

1960 1961
2000 2001

ო მ ვ რ ი ე ბ ი

օ დ ი ხ ი ბ ი

ო მ ვ რ ი

K 234.838
3

ლ ა შ ა თ ა გ უ კ ა მ ვ ი ლ ი

ლაშა თაბუკაშვილი

თოვლივით თათრი თოვლი

მოთხრობები
ლექსები
პიესები

ჩემს მეუღლეს, „პატარა
მედეას”, ეძღვნება...



გაერ სალაპარის
გამოცემა



ლაშა თაბუკარევილი
თორელი ვიდი თათრი თორელი
მოსახლეობები, ლექსები, პიესები
პირველი გამოცემა, თბილისი, 2001

© ლაშა თაბუკარევილი, 2001
ყველა უფლება დაცულია

ყდის დიზაინი:
ქეთი შატაბედი

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150ა, 380012, თბილისი
ელ-ფოსტა: bakur@access.sanet.ge
www.sulakauri.ge

ISBN 99928-52-69-0

Lasha Tabukashvili
Stories. Poems. Plays.

© Lasha Tabukashvili, 2001

Published by Bakur Sulakauri Publishing,
Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

ს ა რ ა ნ ა თ ვ ა ნ ა რ ა ნ ა
ა ა რ ა ნ ა თ ვ ა ნ ა რ ა ნ ა
ა ა რ ა ნ ა თ ვ ა ნ ა რ ა ნ ა
ა ა რ ა ნ ა თ ვ ა ნ ა რ ა ნ ა

სარჩევი


მოთხოვდები

კომიციონ	5
მოქლეს ბიჭი	21
მშეიდობით, ქალბატონო!	26
სიყვარული ჩუმათელეთში	31
გასეირნება ვერის ბაზართან	37
ტერანგი	41
მამა-შვილი ზღვაზე	54
ლექსები	67

აიდენტი

დარაბებს მიღმა გაზაფხულია	81
ათვინიერებენ მიმინოს	125
შენკენ სავალი გზები	158
...მაგრამ უფლება არ მოუცია!	208
ნატაძრალზე	245
მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი?!	285
თოვლივით თეთრი თოვლი	340

K 234.838
3



კომიციონ

ბევრი რამ ხდება, პორაციო, ამ ანთხლეულ თბილისში. ბოლო უამს სულ შავ-თეთრად აღვიქვამ საყვარელ ქრისტიანობა... და ეს სითეთრეც ნაცრისფერში გადადის ხოლმე, მაგრამ იმ ლამაზ ღამეს, დამწვარი ფოთლების სუნიც უხდებოდა. მე და გეგი ხალისიანად მივშრაშუნობდით ხმელი ფოთლების მდინარეში და რაღაც ამაღლებულზე ვსაუბრობდით... რაზე, ბუნდოენად მახსოვს, იმიტომ რომ კომიციო და ფოლტვების ანთება არცთუ ხელს უწყობს მექსიკების აბობოქრებას. გეგი ცოტას რომ ჩაარტყამს, ნასვამობა არ ეტყობა, თუ არ ჩაეთვლით ზოგადსაკაცობრიო სევდას თვალებში. ახლაც ამ განწყობაში იყო შეფუთული, მოკლედ, შეგვაყენეს...

და ზედ უნიკერსიტეტის პირველი კორპუსის ნინ. სამნი იყენებ და ჩვენი კურტები მოეწონათ.

მე ჯერ თავაზიანად მივმართო მათ, მაგრამ სამეულს, განსაკუთრებით ქერას, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენი სტრიპტიზით დატკიბობა. ლაპარაქს აზრი დაეკარგა და სანამ მე მძიმე, ბლაგვი და მჭრელი საგნების თვალიერება დავიწყე გარშემო, გეგიმ ქერას წყვიტა. ქერა კი ნამონვა მხართებოზე, სამაგიეროდ დანარჩენი ორი გაატიკირდა, ერთი მაღალი და ხმელი, მეორე კი, ჯუჯას ვერ ვიტყვი, მაგრამ რაც სიგრძეში იყო, სიგანეში ოდნავ აკლდა. მაღალმა გეგის გაუფერადა თვალი, ჩემს მოქნეულ ფეხს კი ჯუჯამ ისე კოხტად დაუხვედრა თავისი „ბათინე“, რომ ამ ფეხზე ხელი ჩავიქნიე. ამასობაში ქერაც ნამოდგა.

ასეთი ცემატყება სწრაფად თავდება ხოლმე. ეს კი უსაშეელოდ გაინება. ჯანსაღ ფეხს დაეცერდენი და ნახტომში მივუსაჯე ჯუჯას თავური, მაგრამ ის შობელძალი იღნავ გადაიხარა გვერდზე და ჭადარს შევედულე შუბლით. არის ნამები ჩენეს ცხოვრებაში, როცა ყველაფერი სულერთი ხდება. სრულიად გულგრილად შევცეკეროდი, როგორ ბზრისალებდა გეგი და ჩარცეს სურვილიც არ დამბადებია. მხოლოდ მაშინ, როცა ქერას ხელში დანა დაეინახე, გამოუფხიშლდი და ქერას ყურში ვთხლიშე, ამასობაში გეგიმ ნაფუორნილა და დარჩენილმა ორმა ლამის აღლუმი გამართა ნაქცეულზე.

ბორბლების ნრიპინის ხმა... პოლიცია! ყველა ერთად გაურბოდით, ის სამი ვირიშეილიც ჩვენს გვერდიგვერდ მიჰქოდა ბალის ბოლოს-ენ. ჯუჯამ ხელიც კი ნამაშელა, როცა ნავიფორნილე. ქერამ ორიგი-

ნალური გადაწყვეტილება მიიღო, კორპუსის კუთხის ჩატრა მოინდო-
მა მანძილის მოსაგებად, მაგრამ დაბუქსავდა და იქვე გრსჭანმიერი...
დანის გადაგდებალა მოასწრო მხოლოდ.

ოთხმა გავალნიერ... „Beepom“. გეგი ხუთიოდე წუთით დავეარგე,
მაგრამ ნაცნობმა სტენამ ბნელ სადარბაზოში შემიყვანა. ფეხი რუმ-
ბიგით მქონდა გასიებული, გული ამოვარდნაზე.

— მგონი მონყინდათ შერიფებს ჩვენი დევნა. — თქვა გეგიმ.

— სახლში ვერ ნავალო ასე, სულ სისხლში გაქვს ცხვირ-პირი.

— შენ საკუთარ პორტრეტს შეხედე! — ჩაიცინა და ფერდზე ნაივ-
ლო ხელი — ჩამინგრიეს ნეკნები... კენლა რომ დაინყეს, ძირს ალარ
დავუშვივართ. აქ ახლოს მაიერს დისკოტეკაა...

— ასე როგორ შევიდეთ?

— სიბნელე, შუე-ჩრდილები... ვინ დაგვინახავს?

— იმაზე ამბობ? — ხელი გავიშვირე აბრდლვიალებული რეკლა-
მისკენ.

— არა, იქ ცოტა განსხვავებული ორიენტაციის სიმონეთია. აქვეა
ას მეტრში, დამეყრდენი!

უეცრად თოვლი ნამოვიდა, თოვლი კი არა, ფიფქების ზოლი, დალ-
ლილი ვარსკვლავების შუქივით მიმქრალი.

— თოვლი! — ვთქვი და შევჩერდი.

გეგიმ გაიხედ-გამოიხედა და ყურადღებით ჩამაცერდა.

— თოვლი! — გავიმეორე მე.

— ეს თოვლი არ არის! — რბილად მითხრა.

— აბა რა არის?

— შენი და ჭადრის კონტაქტია.

— აბა ჭადრი? — ფიფქების ზოლი გაქრა.

— შუბლით რომ შეენებე — ისევ სიცილი აუტყდა და კელავ ფერ-
დზე ნაივლო ხელი — კარგი რა, ნუ მაცინებ... მტკივა!

— შენც რა კისეისი აგიტყდა?

— არა უშავს, ვიპოვეთ!

— რას იპოვო, აქაურები არ იყვნენ!

— ზნაჩიტ ვერ ვიპოვეთ. რომელი რევანშისტები ჩვენა ვართ?!
სულ არა მაქვას ბოლმა?

— შენც თავში ვდრუზეს? რამ გაგამხიარულა?

— არ ვიცი, ხოშან ხასიათზე ვარ! — თვითონაც ჩაფიქრდა ნამით
— რატომლაც! — შემდეგ ცხვირსახოცი ამოილო და სისხლი მომწინდა.

მაიერ ჩვენზე უფროსი იყო. საქმაოდ აწყვეტილ არსებად ითვლე-
ბოდა ამ პურიტანულ ქალაქში. შემდეგ უეცრად გათხოვდა, გათხოვ-
და კოტიტა, ულიმლამო კაცზე, რომელსაც რატომლაც ტრეზორს
ეძახდა. მისი ნამდვილი სახელი არავინ იცოდა. ყველას გასაკეირად
მათი ურთიერთობა საკმაოდ მყარი აღმოჩნდა, ხოლო საბაზრო ეკო-

ნომიკეამ საბოლოოდ განამტკიცა ეს კავშირი. ერთეული პირველი
დისკონტექსტი ამ წყვილმა გახსნა. ტრეზორი უხილავ ფრონტს ხელმძღვანელი
ლვანელობდა, მაკეო ბართან იდგა, პლუს „სვეტო-მუზიკა“ და გამუშავებული
ლიავებული დიჯეი, სახელად ბენო, რომელიც ერთ დროს მარტოდ-
მარტო ცდილობდა სექსუალური რევოლუციის მოხდენას ქალაქში,
მაგრამ შემდეგ ყავლი გაუვიდა და მაკეო-ტრეზორს შეაფარა თავი.

დისკონტექსტი რამდენჯერმე დაკეტეს... ხან ვიღაცამ ვიღაცა დაჭრა,
ხან სროლა მოხდა, მაგრამ შემდეგ ერთ ურენციამ განმუხტა ეს „ვეს-
ტერნული“ ვენებები.

ზორბა ბიჭმა, მაკეოს ბოდიგარდმა ძლიერ გვიცნო. გეგიმ უთხრა
ავარიაში მოვყევით და მაკეოსთან გაგვიყვანე შეუმჩნევლადო. შიგ-
ნიდან დაგადუგი ისმოდა.

მაკეო სამზარეულოში საკუთარ ყავაზე მკითხაობდა.

— რას ელი კიდევ ბედისგან? — ლიმილით ვკითხე.

მაკეომ უაზროდ ამოგვხედა და უცებ ლოყებზე ნაიშინა ხელი.

— უი, ჩემი სიკვდილი... ვინ გაკადრათ... ვინ გაბედა?

მის ყეირილზე დაფუტებული ტრეზორი შემოვარდა.

— ტრეზორ, ხომ იცნობ გეგის და ლადოს?

— ამათ ვინ არ იცნობს? — ჩაილიმილა ტრეზორმა და უეცრად
შემფუთდა — აქ მოგვიდათ?

— არა... ტაქსი... ავარია! — დამეზარა ახსნა.

— ტრეზორ, ჩემი მედჩანთა! — დაბზრისალდა მაკეო — ესენი ის გო-
იმები არ გეგონოს, იქ რომ ცეკვავენ, ნალი ვერელები არიან, ჯიგრე-
ბი, არც იჩირავენ, არც... — მენტი დადებითი ველარ გაიხსენა მაკეომ
და ხანმოკლე ჩაფიქრების შემდეგ დაამატა — მოიცა, ერთი ექიმი არის
ზალაში! — შემდეგ ფოჩიანი ფარდა გადანია და იყვირა — ლამარა!

შემოვიდა ლამაზი, ჭორფლიანი გოგონა და გაკეირვებით შეგვათ-
ვალიერა.

— ჩემი ახალი ბარმენშაა, გაიცანით ბიჭებო!

ჩენ თავაზიანად მიეცისალმეთ მაკეოს გუნდის ახალ ნეკრს.

— რას უყურებ, ამათზე გიუდებიან გოგოები, ახლა არიან ასე...

— ავარიაში მოვყევით! — თქვა გეგიმ.

— ჰო, ავარიაში! — მაკეომ ტრეზორს ჩანთა გამოართვა და მთელი
აფთიაქი ამოალაგა, ჩენს გაკეირვებულ მზერას კი სიცილით უპასუხა.

— რას იზამ, Специфическое место, სულ დამაქეს სამსახურში, გო-
გო! — მოუპრუნდა ლამარას — იმ ექიმს დაუძახე, შენ რომ გეარშიყება.
გოგონა განითლდა და უხმოდ გავიდა.

— ნი შტიკ, ქორნილამდე გაგივლით! — დაგვამშევიდა მაკეომ და
ბინტი გაშალა.

— ნეტა გამოცდებამდე... — დაინყო გეგიმ, მაგრამ ტრეზორმა
უეცრად შეანყვეტინა.

— ცხოვრება გამოცდაა!

ყველა გამრა. არავინ ელოდა ტრეზორისგან ასეთ სენტენციას.

— თქვენ, ლამარ, ჯოჯოხეთშიც ნამოგყვებით!.. — აქოშანჩული ექიმი ცეკვა-ცეკვით შემოჰყევა გოგონას. ახალგაზრდა კაცი იყო, თუ ნავ შემელოტებული. ჩეენი დასისხლიანებული სიფათების დანახვა ესიამონაო, ვერ ვიტყვი.

მაიკომ ახლა ექიმს გაცნო ჩეენი თავი და საქმისენ მოუწოდა.

— ვალიდოლი გაქვთ? — იქითხა კაცმა.

— რად უნდათ ამათ ვალიდოლი? — გაიკუირვა მაიკომ.

— მე მინდა! — სლოვინით თქვა ექიმმა და კოვზით გამოემართა ჩემენ. ვალიდოლი ენის ქვეშ შეიგდო და ნამით შეყოყმანდა — გულისრევა ხომ არ გიგრძენიათ?

— არა! — პატიოსნად ვუპასუხე მე.

— აბა აქეთ თვალები, მაღლა, მარჯვნივ... დაა... აშეარა ნისტაგმია!

— ესე იგი? — ზრდილობიანად ჰერთხმა მაიკომ.

— კომოციო! — ისევ დაასლოებინა ექიმმა და ხელი პირზე აიჭარა.

— კომოციო და ბუასილი შენ! — ჩაილაპარაკა მაიკომ — თავისუფალი ხართ, ექიმი! ტრეზორჩიქ, ბიჭებს ორი ას-ასი ტეკილა დაუსხი, მე ვუმეურნალებ!

— ტეკილა არაა მაინცდამაინც რეკომენდებული ამ დროს!

გზადაგზა უხსნიდა ლამარას ექიმი. ტეკილა მცირე დალოცვის შემდეგ ვგლიჯეთ და მარილიც ავლოკეთ.

— განათდა! — თქვა გეგომ.

— აბა რას ვამბობდი? — გაუხარდა მაიკომს, სპირტის ქილა გახსნა და ჭრილობები დაგვიმუშავა — აბა, კვენესა არ იყოს... იზოლატორში რომ მოხვდეთ, გნულოვეაში... მაშინ რას იზამთ, ხომ არ გაიღებთ ხმას? სხვათა შორის კოხტად გააეკა ყველაფერი.

მე კვლავ ტეკილა მოვითხოვე, გეგიც ამყვა.

— არა, ეს უკვე ზედმეტია! — სერიოზულად თქვა მაიკომ — შენ, მკონი მართლა ტვინის შერყვევა გაქვს.

— ქორნილამდე?

— მოგირჩება! — გაეცინა ქალს და ისევ დაასხა.

გეგომ ჩუმად ჩაუდი ფული ტრეზორს.

— ჩეენს შორის ასე? — სევდინი საყვედურით იქითხა ტრეზორმა, მაგრამ ფული ჯიბეში ჩაიდო.

— ტრეზორ, ბინტი და სპირტი შენთვისაცა მაქეს სამყოფი! — ნყნარად უთხრა მაიკომ. კაცმა უხმოდ დააბრუნა ფული.

— ვეღარ მოვსულვართ შენთან! — გააპროტესტა გეგომ.

— დღეს ჩემი სტუმრები ხართ!

— თუნდ ზღვა გემართოთ სისხლისა! — მოულოდნელად ბერტყა ტრეზორმა და მორიგი გაეკირვების ტალღა გამოიწვია.

- ტელეფონის ზარმა გაკვეთა დუმილი. მაიკო ჯერ ხმადაბლა ელა -
პარაკებიდა ვიღაცას, შემდეგ აყვირდა.
- მაგას ვუჩვენებ „კრიშას“, მე თვითონა ვარ „კრიშაც“ და „შეგვებულებას“
 - ტრეზორი გლიჯავს! — ჩამწურჩულა გეგიმ.
 - ჰოდა მოვიდეს... რა ურჩხულებსაც დავახვედრებ აქ, იმასაც ნა-
ხავს.. რამდენს ვუხადო? — მაიკომ საკუთარი ხარჯების ჩამოთვლა
დაიწყო, — მე შარვალი ავიკოტავე. — რა გასიბული გაქვს? არა, შენ
არ გვუბნები... ჰოდა მოვიდეს! — ყურმილი დააგდო და მომიტრიალ-
და — გაიხადე ფეხზე! ყინულებს დაგადებ!
 - არა! — მტკიცედ ვთქვი მე.
 - რატომ?
 - იმიტომ რომ ველარ ჩავიცვამ! — ტექილა ოდნავ აყუჩებდა ტეკ-
ვილს. მაიკო ჩვენს „დაპლასტირებას“ მორჩია და კმაყოფილმა შეგვათ-
ვალიერა.
 - მამაკაცს უხდება შრამები!
 - ჩვენ „შრამიანები“ კი არ გვტირდება, არამედ ის, ეინც ესენი
„დაშრამა“ — „შესანიშნავი შეიდეული“ გაიხსენა ტრეზორმა.
- მაიკო ყურადღებით ჩააცერდა.
- შენ, რის ქვეშა ხარ?
 - ოდნავ, მხოლოდ ორი ნაფაზი! — გულადად გამოტყდა ტრეზო-
რი და სპანიელის თვალებით შეხედა ცოლს. მაიკო მძიმედ ნამოდგა.
ტრეზორმა ლოყა მიუშვირა.
 - მიეკილოთ!
- სილამაც არ დააყოვნა. სილის ტკაცანზე ლამარამ შემოიხედა.
- მეძახდით?
 - მაიკომ დოინჯი მოიყარა.
 - აბა როდის დაგიძახე?
 - ექიმმაც შემოპყო თავი ფოჩებში.
 - ალარა ვარ საჭირო?
- მაიკომ პასუხის ნაცვლად ვალიდოლი იტაკა პირში და ჩვენ მოგ-
ვიტრიალდა.
- აკეთე ახლა ამათან ერთად ბიზნესი!
 - ორივემ სინანულით გავაქნიერ თავი.
 - ვისინი! — უთხრა გაჯგიშულ ტრეზორს გეგიმ.
 - მაშ არ მეძახდით? — იკითხა ისევ ლამარამ.
 - შეიძლება ლამარას ვეცევო? — დაინტერესდა ფოჩებში თავ-
გამოყოფილი ექიმი.
 - ნამიყვანეთ რა აქედან! — შეგვეხვენა მაიკო.
 - რომ ნაგიყვანო, სად ნაგიყვანო,
სახლი არა მაქვს, სად მიგიყვანო... — დაამლერა ტრეზორმა და
ბუტერბროდს ებდლენა.

- აათოხლავა პლანჩა! — აგვიხსნა დიასახლისმა, შემდეგ დაძირას მიუბრუნდა — ნაიღეს ბარი, ნაიღეს!
- ლამარამ გაგვიცინა და გაქრა.
- მაშ, შეიძლება? — ისევ შემოყო მელოტი თავი ექიმზა.
- მოველა კლიენტი? — შეგვევითხა მაიკო.
- ექიმი გამპა. ტრეზორი ახლა ტებილეულს ეცა.
- მთელი დღის მშეერი ვარ! — გამოაცხადა გამოტენილი პირით.
- ვინ მოველა, ეს თუ ის? — ისევ იქითხა მაიკომ. მერე მე მომიტ-რიალდა — ფეხი სკამზე შემოდე.
- რაც სიამოვნებით აცუსრულე.
- დიჯეი ბენომ ნამით შეწყვეტა საქმიანობა და ახალი, უფრო მძაფ-რი რიტმი შესთავაზა გასავათებულ მოცეკვავეებს.
- მაიკომ ფორჩები გადასწინა და დარბაზში გახედა.
- ლამარა და ექიმი თავდავინწყებით ცეკვავდნენ.
- მაინც დაითრია! — პირქუშად ჩაილაპარაკა მაიკომ. — ვი კივე!!
- ექიმი ვიბრაციაში მოხვდა! — ალნიშნა გეგიმ და ტრეზორს თვალი ჩაუკრა.
- მაგას ნაკოლეა ექნება. „Умру на танцплошадке“! — თქვა ტრე-ზორმა და უეცრად სიცილი აუტყდა. გეგისაც გაეცინა და ფერდზე ნაივლო ხელი.
- ტრეზორ, დღეს შენი დღეა!
- ტრეზორს სიცილი ნელ-ნელა ისტერიკაში გადაუვიდა, მაგრამ მა-იკოს სილამ უშევლა.
- აბა, ვის რად უნდა მოწყენილი ტრეზორი?! — ჩაილაპარაკა გე-გიმ და ნამოდგა — მაი, ალარ შეგანწყნო თავს, ნავალთ!
- მოიცა, გაგაცილებთ... დარბაზიდან გაგიყვანთ! ტაქსი ხომ არ გამოვიდახო?
- არა, არ ლირს.
- ადგომა გამიტირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე, ტრეზორს მაგრად ჩა-მოვართვი ხელი და მაიკოს გავყევი. დარბაზი თითქმის ჩაბნელებული იყო. ყველა ცეკვავდა.
- კონაინის ველია! — თქვა ჩვენს ზურგსუკან ტრეზორმა — რო-გორ არ იღლებიან?
- ჰა, ექსტაზის ხომ არ ყიდი? — ჰკითხა გეგიმი.
- აბა სად ექსტაზი, სად ჩვენ?.. — სასმელით იგლივებიან.
- სინანულით თავი გააქნია ტრეზორმა. ბენომ დაგვინახა და ხელი დაგვიქნია.
- ბართან დაბრუნდი! — ნაუსისინა ლამარას მაიკომ.
- რა იყო, ცუნცულ, გმურს ახალგაზრდების? — იქითხა ტრე-ზორმა და ენაზე იკენიტა.



მაიკოს უცხოურად გაეღიმა.

— დღეს მართლაც დიდი დღე აქვს ჩემს ქმარს.

დღეგრძელი ტრეზორი დაიძაბა და ცოტა გამოფხიზლდა კიდეც.

ექიმი ცარიელ მაგიდას დაუბრუნდა, სული მოითქვა და სევდია-
ნად ჩაილაპარაკა:

— კომოციო... ოცდაერთი დღე გაუნძრევლად ნოლა. არა ტელევი-
ზორი, არა კითხვა... კომოციო! რა ლამაზად უღერს და ამავე დროს
უბრალო ტვენის შერყევას ნიშნავს! — შემდეგ ყოვლად ულოგიკოდ
დაამატა — ცეკვა ახალგაზრდობაა... სურვილიც კი, რომ იცეკვო, უკ-
ვ რაღაცას ნიშნავს...

შემდეგ ადგა და სანამ ფეხსათრევით ნავიდოდა ტუალეტისკენ,
ჩვენ გავიღიმა — ახალი ფეხსაცმელი მაცვია. ყოფა მიტირა!

— არ არის ცუდი კაცი! — გული აუჩუყდა მაიკოს.

ბენომ რაღაცა შეცყვირა და კვლავ შეცვალა რიტმი. ლამარა უც-
რად ტუალეტიდან დაბრუნებულ ექიმს სწვდა ხელში, შემდეგ მაიკოს
და ტრეზორს... მათ სხვებიც შეუერთდნენ და მხიარული კავალეკადა
მაგიდებს შორის ლავირებით დარბაზს მოედო.

— აჲ, ჩემი საქმე არ არის ეს ზილინა! — ვთქვი მე და სკამზე ჩამოვ-
ჯექი. რამდენჯერმე დამქაჩეს საცეკვაოდ, მაგრამ ხელები გავასავსავე,
სამაგიეროდ, გეგი დაითრიეს და ისიც სიამოვნებით ჩაება ფერხულში.

ისე გემრიელად აცეკვდნენ, რომ მეც აცეკვნტრუშდი.

ლამარა გამოეყო მოცეკვავეთა ჯაშუს და ჩემს მაგიდასთან ჩა-
მოჯდა.

— რატომ არ ცეკვავთ?

— ფეხი მტერება! — გულწრფელად ვუპასუხე, თან შევამჩნიე, რომ
ცალი თვალი გეგისკენ გაურბოდა.

ბოლოს ბენომ ინამუსა და რაღაც ნყნარი და მდორე დაუკრა.

აქოშინებული ექიმი ლამარასკენ გაეშურა, მაგრამ მაიკო დროზე
ჩაერია და მოწყენილი გოგონა ბარს დაუბრუნდა.

— ნავიდეთ? — გეგი იყო.

— რა ვიცი, იქნებ ნაიკეინტრიშო ცოტაც?!?

— უკაცრავად, რომ მიგატოვეთ! — ექიმი ხმაურით დაეხეთქა
სკამს — რამეს ხომ დალევთ?


— თქვენ არ აგვიკრძალეთ?

— ეს თქვენ აგიკრძალეთ და არა გეგის.

— მაშ გეგი პრივილეგირებული პერსონა ყოფილა! — დავიბოლმე
მე და გეგის ჯანსაღი ფეხი მოვუქნიე.

— ასეთი შურიანია, რას იზამ? — გეგი მხარში შემიდგა.

— რა კარგია ასეთი ძმაკაცობა, მე კი სულ მარტო დავდივარ ამ
ბოსელში! — დასევდიანდა ექიმი. სანამ გეგი აქვითინდებოდა მისი
საცოდაობით, კარისკენ უუბიძგე და გზად მაიკოს ვაკოცე.



— მე არ მაკოცებთ? — მოფრთხიალდა საიდანლაც ლამარა.
დიდი კოცნაობა ატყდა. ბოლოს რატომძაც ტრეზორის დაშეუძლებელი
ვეოცნიდი.

ბოლოს გეგი დეპრესიულ ექიმს ჩაეხუტა. აჟიტირებული მაიკო კი
ბენოს.

— ბენოს დავჭრი! — თქვა ტრეზორმა და ხანმოკლე დაფიქრების
შემდეგ დაამატა — ბაყვში დავჭრი.

— არ გინდა, ტრეზორ! — ვუთხარი მე.

— რატომ?

— ბენო უბადლოა დანაში!

მაიკომ რაღაც მითითებები გასცა და ყველა საკუთარ ადგილს და-
უბრუნდა.

— ხანდახან უნდა გაახალისო ეს მოგოიმო პუბლიკა! — აგვიხსნა
მაიკომ და გასასვლელამდე მიგვაცილა.

და პოი, ხილვა უცნაური... რის თოვლი? რის ვარსკვლავები... ეს
უკვე ფაიზალი ჰალუცინაცია იყო.

დისკოტეკაში მონაზონი შემოგოგმანდა. ნელში ლამაზად გაზნექი-
ლი და ტუჩებმოკუმული უცნაურად დაძაბული მზერით ათვალიერებ-
და მოცეკვავე წყვილებს, შემდეგ მსუბუქი ნაბიჯით გამოემართა ჩიკენ-
კენ.

— შეიძლება, სულ ცოტა ხნით შუქი ჩართოთ?

— რა ბრძანეთ? — დაბნა მაიკო.

— ადამიანს ვეძებ... ვის ეთხოვო სინათლის ჩართვა?

დაბალი, სასიამოვნო ხმით ლაპარაკობდა.

— მე! — თქვა მაიკომ.

— შეიძლება? — რბილად იკითხა მონაზონმა. მაიკო გამოერკვა
და ბენოს გასძახა — შუქი ჩართე!

— გმადლობთ! — მონაზონმა კვლავ დაკვირვებით შეათვალიერა
განათებული დარბაზი, აღარავინ ცეკვავდა.

— ვის ეძებთ, იქნებ მე დაგეხმაროთ? — ჰეკითხა მაიკომ.

— ჩემს ქალიშეილს, მაგრამ ის იქ არ არის! — ჩაილაპარაკა მონა-
ზონმა და უეცრად უღონოდ დაეშვა სკამზე — ტაქსიც არ დამელო-
და... მთელი ღამე ვეძებ!

ახლადა დავინახეთ, რომ ახალგაზრდა ქალი იყო, გრძელი, მოდი-
ლიანისებური, მარილიანი სახე და თვალები... ვერაფრით გამოეცანი
რა ფერისა ჰქონდა ეს დიდრონი, წყლიანი თვალები.

— მერე და რატომ ეძებთ, რაო, გრეხია, ბავშვი ცოტა გაერთოს?

— ტაქტიანად იკითხა ტრეზორმა.

— წვენს ხომ არ მიირთმევთ? — მაიკო ანურული იდგა მონაზონის
ნინაშე.

— არა... წყალი, თუ არ შეგანუხებთ!



პატარ-პატარა ყლუპებით შესვა მოტანილი წყალი. დაძაბული იქ-
და, სკამის ზურგს არც კი მოყრიდნობია.

— მე ხომ არა ვარ საჭირო? — ექიმი მოვიდა მაგიდასთან.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰეითხა მაიკომაც.

— არა, ახლა ნავალ. ცოტა მოვითქვი სული!

— არ მომერიდოთ! — თქვა ექიმმა.

მონაზონმა გაევირვებით ახედა მას.

— ექიმი! — აუხსნა ტრეზორმა.

შუქი კვლავ ჩაქრა და ცეკვა გაგრძელდა.

— დედა სოფიო! — თქვა მონაზონმა.

— ვისი დედა? — ვერ გაიგო ტრეზორმა.

მე მევია დედა სოფიო!

ლამარა დაბნეულად ატრიალებდა ხელში დაცლილ ჭიქას.

— ნავალ, უკაცრავად, რომ შეგანუხეთ! — დედა სოფიო ნამოდგა.

ექიმმა რატომლაც ხელშე აკოცა!

— დამლოცეთ, დედაო!

— ან ექიმს მოველავ, ან ტრეზორს! — ჩამჩრერჩულა მაიკომ.

— კიდევ არის ასეთი... ადგილები? — იკითხა მონაზონმა.

— როგორ არა! — მაიკომ მისამართების ჩამოთვლა დაიწყო.

— ჩვენ გაგაცილებთ! — თქვა გეგიმ.

დედა სოფიომ ჩვენს დაპლასტიკებულ სახეებს შეხედა და დანდო-
ბილად გამოგვყვა.

— ექიმი, მანქანა არ გყავთ? — ჰეითხა მაიკომ.

— არა! — აინურა უხერხულობისგან ექიმი — ამას ნინათ გავყიდე!

— ჩვენი კი გაფუჭდა. „იგლა“ ჭედავს! — დააყოლა ტრეზორმა.

— რა ჭედავს? — მექანიკურად იკითხა მონაზონმა.

— იგლა!

— არა უშავს, ტაქს დაუიჭერთ! მობრძანდით დედაო! — გეგი
გვერდზე გაჟყვა ქალს.

— არ იღელვოთ, ხომ ხედავთ, არაფერი ხდება აქ ცუდი!
თავი იმართლა მაიკომ.

ლამის ქეჩიას გავყევით სამივე. გრილოდა, მაგრამ მომერიდა კურ-
ტკის შეთავაზება მონაზონისთვის. ქალაქი მკვდარი იყო.

— არა უშავს, გამოჩნდება! — რიხიანად თქვა გეგიმ.

— ვინ?

— მანქანა... უფრო სწორად, თქვენი ქალიშვილი.

მონაზონმა კვლავ შეგვათვალიერა და გვეითხა:

— გტკივათ?

— რა? აპა, ესა... არაფერია, პატარა აეტოკატასტროფაში მოვყევით.
ვცდილობდი კოჭლობით არ მეველო.

— აქ მოვიცადოთ!

- უკაცრავად, განუხებთ, მაგრამ მარტოს მიჭირს! — ჩაილაპ-
რაკა მონაზონმა.
- რას ბრძანებთ, ჩვენ ლამის ფრინველებიცით ვართ! გადაშემოსის
— ბუ! — ვთქვი მე.
— ბატონ?
— ბუ, ჭოტი... - ახსნა გეგიმ.
— სნაელობთ?
— დიახ, უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ.
სიჩუმე უკვე აუტანელი ხდებოდა. მანქანის ჭაჭანებაც არ იყო.
— არ გაგიკერდეთ... — დაინყო ქალმა.
— არა, რას ბრძანებთ! — აფორიაქდა გეგი.
— მე ხომ არ დამიმთავრებია? — რბილად უთხრა მონაზონმა.
— ჰმ, დიახ...
— ჩემი შეილი მორჩილია, მაგრამ გამოიქცა!
— ვერ გაუძლო? — კვლავ უაზროდ იქითხა გეგიმ.
— არა, საქმე უფრო რთულადაა...
კვლავ სიჩუმე. და უეცრად დედა სოფიო ალაპარაკდა.
— მე ადრე დავკერივდი... ჩვიდმეტი ნლის ასაკში. ჩემმა მეუღლემ
გოგონა გადაარჩინა დახრიბდას. თვითონ კი გული გაუსკდა.
— ბატონ?
— გოგონა გადახტა წყალში, თავს იკლავდა და ჩემმა მეუღლემ
გადაარჩინა... მაგრამ თვითონ ვეღარ... მე მონაზვნად აღვივეცი,
ბავშვი კი ჩემმა დეიდამ გაზარდა. დიდ დროს ვერ ვუთმობდი მის აღ-
ზრდას, მაგრამ ვმეგობრობდით... ძალიან ალერსიანი ბავშვი იყო.
ქალი ჩაფიქრდა. შეუილით ჩაგვიქროლა „BMW“-მ და მთელი ხმით
ჩართულ მუსიკის შლე-იფე დაგვიტოვა.
— ეს ტაქსი არ იყო! — ვთქვი მე.
— ვიცი! — ქალი კანკალმა აიტანა.
— მოგახურავთ ჩემს...
— არა, არ მცირა... ახლა გამივლის.
დამწვარი ფოთლების სუნი ახლა უფრო იგრძნობოდა.
რამდენიმე მანქანა გამოჩნდა კანტი-კუნტად, მაგრამ არაუინ გაგ-
ვიჩერა.
— თქვენი ქალიშვილი რა ხნისაა?
— თქვესმეტის! — მერე რატომდაც დააყოლა — ჩვენთან, პრო-
ვინციაში ადრე თხოვდებიან.
— და უკვე მონაზვნობა მოინდომა? — ვკითხე მე — თქვენს კვალს
დაადგა?
— იცით, აქ სხვა რამე მოხდა... ბიჭი შეუყვარდა!
დედა სოფიო კვლავ ჩაფიქრდა.
— მეგონა, იმასაც უყვარდა...



— თქვენს ქალიშვილსაც ასე ეგონა? — გეგიმ უცებ მოსხიპა სიტ-
ყვა და მოიბორდიშა — ხომ არ გაღიზიანებთ ამდენი შეკითხვით? რამაზაშვილი

— მე ხომ თვითონ მოგიყენით — წყნარად გვიპასუხა ქალმა და ჟილიაშვილი

ახ, მასაც ასე ეგონა, იმ ყმანებილმა კი მოულოდნელად სხვა შეირთო.

კვლავ ჩაფიქრდა, შემდეგ თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო, დაამატა — ერთი თვე კედლისკენ შეტრიალებული ინვა ჩემი გოგონა...

სიგარეტს მოუკიდე და ჩავიმუხლე.

— გტერივათ ფეხი? — მკითხა რბილად.

— ცოტა არ იყოს! — გამეცინა მე.

— და ეს მონაზენობაც...

— ჰო, ამის შემდეგ გადაწყვიტა... მე არ დავუჭირე მხარი...

— რატომ? — იყითხა გეგიმ. მისი ცნობისმოყვარეობა უკვე მაღიზიანებდა.

მონაზონმა ჯერ არ უპასუხა, შემდეგ კი თითქოს გამოერკვაო, სწრაფად ალაპარაკდა.

— არა მჯეროდა. ეს უფრო პროტესტი იყო... ვიდრე...

— ტაქსი! — ვიყვირე მე. ქალი შეკრთა. მძლოლმა მანქანა ჯერ გააჩერა, მაგრამ უცნაური სამეცნილის დანახვისას სწრაფად მოწყვიტა ადგილიდან. კინალამ შევიგინე, მაგრამ დროზე შევიკავე თავი.

— მაინც აღიკეთა, რამდენჯერმე ჩავედი და ვესაუბრე იღუმენიას, თითქოს ყელაფერი რიგზე იყო, მაგრამ ამ ორი კეირის ნინ გამოიქცა. ფოკაში ძნელია.

კვლავ ჩავიმუხლე. გული მიმდიოდა ტკიფილისაგან. ფეხსაცმლის ზონარი შევიხსენი და ცოტა ამომასუნთქა.

— თან რაღაც აგრესია გაუზინდა ჩემს მიმართ, თითქოს მე მაღანა-შაულებდა... და არა მარტო ჩემს მიმართ... ხატს შეაქცია ზურგი. სულ ჩამოხსნა დეიდაჩემთან ხატები და ლოცვასაც კი გვიკრძალავს, როცა ერთად ვართ.

ზედ ცხვირნინ დაამუხრუჭა მანქანამ. კერძო ტაქსი იყო, საკმაოდ შელახული „გუგული“. მძლოლმა გაკვირვებით შევგათვალიერა.

— საიო?

— აბა, რომელი ერთი გითხრათ? — ჩაილაპარაკა გეგიმ და მონაზონს კარი გაუდო.

— მე უკან დავჯდები! — თქვა მან, მოხდენილად აიკეცა ანაფორა და მანქანაში ჩაჯდა. ორიოდე დისკოტეკის ნახვამ გაგვანბილა. გოგონა არსად ჩანდა. მონაზენის დანახვაზე ყველგან გოგოლის „რევიზორის“ მუნჯი სცენა თამაშდებოდა.

— რატომ გოგონიათ, რომ მაინცდამაინც დისკოტეკაშია?

— სულ იქ დარბის ლამ-ლამიბით... ეს გუშინ მითხრეს. ხომ არ დაგდალეთ?



— არა. წულელავთ, ვიპოვით! — მტკიცედ თქვა გეგიმ. რა გამოსია მადლიურად შეანათა თვალები.

— მესმის, რომ ბუნებრივია, მე სხვა რამე მაღლელებს! მისი დამო-კიდებულება... — აღარ გააგრძელა და გაჩიტდა.

— კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ? — ჩაიბუზლუნა მძღოლმა.

— შენ რა პარალელური პროფესიებიც გაქვს, ძმაო? — სუსხიანად ჰეთხა გეგიმ. მძღოლმა არაფერი უპასუხა და კვლავ აგრიხინა დრო-მოქმული „შიგული“.

ბოლოს მაინც მივალნიერ სანაცელს.

— აქ არის! — ჩაიჩიურჩულა მონაზონმა მორიგ დარბაზში შესვ-ლისთანავე. ეს დისკოტეკაც არ იყო, მხოლოდ ორი ნუკილი ცეკვავდა. ფანჯარასთან კი გოგო-ბიჭები ისხდნენ და შამპანურს შეექცეოდნენ. სუფრის თავში ალიკო თამადობდა.

— რომელია?

— აი, ის... ყვითელ კაბაში.

— სახელი?

— გვანცა!

საკმაოდ ლამაზი გოგონა იყო, მაგრამ დედამისს არ ჰგავდა. იჯდა გაბუსუნებული, თავჩაქინდრული და იქ მყოფი გოგონების გაკვირვე-ბულ მზერას იმსახურებდა.

— გეგი, ძმაო! აი, ვისი ნახვა გამეხარდებოდა... ე, პორტრეტზე ვინ იმუშავა? — ჩაეხატუ ალიკო და ჭიქა შეაჩეჩა ხელში.

გეგიმ სუფრა ადლეგრძელა და შემდეგ ლიმილით მიუბრუნდა გო-გონას.

— გვანცა, უნდა მიგიტაცო, გარეთ დედა გელოდება!

გვანცამ გაკვირვებით შეხედა გეგის, შემდეგ უხმოდ ნამოდგა, ნახვამდისო, ჩაილაპარაკა და კარისკენ გაემართა.

შეშფოთებული ალიკოც გეგის გამოყვა.

— გეფიცები, რამე არ იფიქრო, არც ვიცნობთ... თვითონ დაგვიჯ-და სუფრასთან და მთელი ლამე ხმა არ გაულია... არც კი გვიცეკვია!

— მერე ვინ რას გეუბნება-რო?!

დედა-შეილი მდუმარედ შეხვდა ერთმანეთს. მძღოლმა მანქანა ვე-ლარ დაქოქა და ხომ ვამბობდიო, ჩაიბურდლუნა.

— რას ამბობდი?.. შენი დრანდულეტით ქალაქს ნამლავ და აქეთ რას იმადლები? — ჩაუსისინა გეგიმ და ფული დაუყარა სკამზე.

— არა, მე გადავიხდი!

— დანყნარდით, დედაო, მაგის უფლებას ვერ მოგცემთ.

— მე ნაგიყვანით ჩემი მანქანით! — გამოცოცხლდა ალიკო.

— შეიძლება, დაგემგზავროთ! — გაისმა ზანტი, განელილი ხმა. ამ ხმის პატრონს დაბალ, თხელ ბიჭს საიდანლაც ვიცნობდი, მაგრამ ვერ გავიხსენე.



— როგორ არა, ჯუბიკო, ყველა ჩავეტევით, „ჯიპ-ჩეროკია“ რაც
არ უნდა იყოს!

დედა-შვილი წინ დავსვით, ჩვენც ხალვათად მოვენევეთ და ფეხიც
უკვე ნაკლებად მანუხებდა.

მონაზონმა გვანცას ხელი მოხეია, მაგრამ მას მხრის ერთი მოძრა-
ობით გაითავისუფლა თავი.

— მარშრუტები! — ბრძანა ალიკომ.

— ჩვენ სადგურზე დავრჩიბით, ეს ხომ ახლოა? — გაუბედავად ჩა-
ილაპარაკა დედა სოფიომ.

— აკი, დეიდაო? — იკითხა გეგიმ.

— იცით, ხნიერი ქალია, ავადმყოფი... ახლა ვერ გავაღვიძებ!

— აბა, სადგურში რას აპირებთ?

— გათენებას დაველოდებით!

— ფროსია! — თქვა გეგიმ.

— უკაცრავად?

— ფროსია გვყავს ერთი მეგობარი ქალი, აქვე ცხოვერობს... მარ-
ტო. იქ შეიძლება დამის გათევა.

მონაზონმა გაუბედავად გაუღიმა შეილს, მაგრამ მას ნარბიც არ
შეუხრია.

— თუ ძალიან უხერხული არ არის?

— საუხერხულოს ვინ გაკადრებთ, დედაო! — ჩაერთო მატრაკვე-
ცა ალიკო.

— ყველაფერი რიგზე იქნება, დილით კი დეიდასთან მიგიყვანთ!

— გმადლობთ! — უბრალოდ თქვა ქალმა და მხოლოდ ახლა შევამ-
ჩნიე, რა ფასად დაუჯდა ეს ლამზ.

— ჯუბიკო, შენ საით? — ნამლერებით იკითხა ალიკომ.

— მეც გზაზე ჩამოვალ! — ისევ ისე ზანტად და განელილად უპა-
სუხა ბიჭმა.


— სხვათა შორის, დედაო, ერთხელ სულ პატარა ბიჭი დილით შა-
ტალოზე ნაველი და რაღაც ძალამ თავისით მიმიყვანა ნმიდა გიორგის
ხატთან, ეს ქაშვეთში იყო! — განაგრძო აუტირებულმა ალიკომ.

— კარგი, ახლა, ალიკო, შენგან „ცერკოვნი“ მრავალშამიერი თუ
მოგვისმენია! — გაეცინა გეგის.

— რათომ, ძმაო, იქნებ საექლესიო ქანონებით ცხოვერობდა,
ოლონდ ფარულად! — ისევ განელა გარმონი ჯუბიკომ და დამატა —
აქ ჩამოვხტები.

— აბა, კარგად, ჯუბიკო! — ალიკომ ხელი გაუნოდა, მაგრამ ბიჭ-
მა თითქოს ვერ დაინახაო მისი განვდილი მარჯვენა, კარი გააღა.

— ისე, მგზავრების საყურადღებოდ, მე ჯუბიკო კი არა, სულ სხვა
სახელი მქენია. ხოლო რა მქენია, ამას არაეითარი მნიშვნელობა არა
აქვს. — თქვა და ფეხათრევით აუყვა ქუჩას.



— ეცი ახლა ამათ პატივი! — ჩაილაპარაკა ნირნამხდარმა ალექსანდრე
— აბა, საიდან დამესიზმრებოდა მაგის სახელი? გარე ცეკვა
— მაინცდამაინც ჯუბიკ რატომ შეურჩივ? — სიცილით ჟესტის
— არ უციკი, მოფერებით ალბათ! — გაეცინა ალიკასაც.

ფროსია ჩვენზე უფროსი იყო და რესტორანში ცეკვავდა. გეგმი
ერთხელ დაცვა ის სექსუალურად აღტყვინებული ორი ტიპისგან და
მას შემდეგ დამეგობრდნენ. სხვა სამსახურიც უშოვა, ხანდახან ლო-
გინიც პქონდათ, მაგრამ ეს უფრო მეგობრობას ნააგავდა, ვიდრე რა-
იმე სერიოზულს. ჩვენი ლამის ვიზიტები მას უკვე აღარ უკეირდა, მაგ-
რამ აქ მონაზენისა და მისი ქალიშვილის დანახვაზე ყველაფრის მნახ-
ველი ფროსიაც კი დაიბნა.

ალიკ კიდევ პამპანურების ამოტანას აპირებდა, მაგრამ ზრდი-
ლობიანად დავითხოვთ.

— შენ რა, იპატ დრას? — იკითხა ფროსიამ. ჩვენი მოკლე ახს-
ნა-განმარტების შემდეგ, დედა-შვილი მეზობელ ოთახში გავამნესეთ.
ორივე გაუხდელად მინვა ტახტზე.

— Монахиня красавица и светлая, громко ки ми мгновно много дури
в голове. А так исцел ара უშავს. — ქალური დიაგნოზი დასვა ფროსი-
ამ.

— ვინ არა უშავს?

— ის გოგოც არა უშავს! — თქვა ფროსიამ — Но матъ жалко. მე
სად დაეიძინო?

— ნელისთან არ ვამოვა?

— თუ მარტო არის და ესწა ეს პირუტყვი არ მოვიდა.

ფროსია დედა-შვილთან შევიდა.

— Располагайтесь поудобнее, тут რამე დაგჩირდათ... ბიჩებმა
იციან. კეელაპერი კომპაქტურადაა... найдете если что!

მონაზონმა სუსტი ლიმილით უპასუხა.

ჩვენც გაუხდელად მივნექით, გაზეთები დავიფინერ ფეხქვეშ. ცო-
ტა ხნის შემდეგ ფროსიას ხმა მოგვესმა, ნელის ეუბნებოდა კარში.

— შენტან დამადზინე, თუ თაოს რა ამბავია...

— ფროსია კი ნალდად დამავიწყებს ქართულს! — ჩაილაპარაკა
გეგმი და მელავები თავექვეშ ამოიდო.

ცოტა ხნით ჩამოვლიმა, მაგრამ რაღაც ხმაურმა გამალეიძა. დედა-
შვილი ოთახში ჩურჩულით კამათობდა.

— არა, გვანცა, გთხოვ, არ შეიძლება ასე...

— დამანებე თავი! — პირველად გავიგონე გოგონას ხმა. ღია კა-
რის ჭრილში გამოჩნდა გვანცა. ისტერიული სისწრაფით ხსნიდა
ფროსიას ხატებს კედლიდან და მაგიდაზე ახვავებდა — დილით დაკი-
დე შენ თეოთონ.

ძილ-ბურანში ვიყავი, მეზობელი ოთახის კარი ოდნავი ჭრიალით

გაიღო და გვანცა შემოვიდა. შემოვიცა და პირდაპირ გეგის ლოგინი-
 თან მიიქცრა.

- რა გინდა, გვანცა?
- შემომიშვი, მცირა!
- აბა, მოუსვი შენს ოთახში!
- მცირა!
- გაიტყოდები!

გოგონა უხმოდ შეტრიკალდა.

მე თავი მოვიმევდარუნე უხერხულობისგან. თან კარში ასუეტილი დედა სოფიო დავინახე. შემდეგ, როგორც იქნა ჩამეძინა. ჩამეძინა და მე-სიზმრა ბავშვობის ერთი მյაფიო მოგონება, თუ შეიძლება მოგონების დასიზმრება. სულ პატარა ვიყავი, სიზმარში ვარსკელავებს რომ დაუცი-ნე და მას შემდეგ ძილის ნინ ჩემებურად ელოცულობდი, არ დაესაჯათ ვარსკელავებს ჩემი დედ-მამა. ჰო, ასეც ხდება, სიზმარი სიზმარში...

- უკაცრავად, უკაცრავად, გაიღვიძეთ, გემუდარებით!
- დედა სოფიო შემლილი სახით დაგვადგომოდა მე და გეგის.
- გაიქცა!
- ვინ? სად?
- გვანცა გაიქცა!

გულში შევიგინე, სწრაფად ნამოვხტი და კურტკა ჩავიცვი. კინა-ლამ ჩამეჭეცა ფეხის ტკივილმა. ამას სობაძი, გეგიმ ნელის მანქანის გა-საღები გამოართვა და სწრაფად დაერწა კიბეზე. მელნისფერი გარიუ-რაუი იდგა. ჩვენ გირური სისწრაფით მივქროდით უგზოუკელოდ.

- სულ ნამით ჩამთვლიმა! — დაიკვნესა მონაზონმა.
- საით გაიქცა?
- არ ვიცი!

სანაპიროზე ჩავუხვიერ და ცოტა ხანში რაღაც ყვითელი გაკრთა მოშორებით.

- გვანცა, აი, გვანცა! — შეჲყვირა ქალმა.
- მუხრუჭების ღრჭიალის ხმაზე გოგონამ მოიხედა და ჩვენ რომ დაგეინახა, მოულოდნელად მოაჯირზე შეხტა.
- გვანცა, მოიცა, დავილაპარაკოთ! — დაშაქრული ხმით მიმარ-თა გეგიმ და მისკენ დაიძრა. ვერ მოასწრო. გოგონა მტკვარში გადახ-ტა. ნამით ყველა სახტად დაერჩით, ბუნდოვნად მახსოვეს მონაზონის შეკველება... გვანცა უკვე დინებას მიჲქონდა.

გეგიმ კურტკა გაიძრო და ისიც გადაეშვა ამლერეულ მდინარეში. ლევიათანიერი ცურავდა, ამიტომ გული მშვიდად მქონდა, მაგრამ დილის თუ ლამის სიურპერიზები ამით არ დამთავრდა. დედა სოფიო უეცრად ქურციკივით შეხტა მოაჯირზე და მტკვარში გაადინა ტყაპა-ნი. სხვა რა დამრჩენოდა, მეც გადავყევი, რამდენიმე ხელის მოსმით დავენიე და კაბაში ჩავებლაუჭე. მივხვდი, რომ ცურვა არ იცოდა, მაგ-



რამ არ ვუწვეალებივარ.

იღბალზე კიბე ახლოს იყო. ჯერ გეგიმ აიტაცა გვანცურული შეტაქია აუყვა კიბეს. ცოტა ხანში მეც ხელთ მეპურა აკანკალებული, მცუბული ქალი და კოჭლობით მივუყვებოდი კიბეს. უნებლიერ, მის გრძელ კაბას დავაბიჯე ფეხი და კინალამ უკან გადავეარდი, მავრამ როგორც ფროსია ამბობს „ნიგ მილივამ“.

გეგიმ ძირს დაუშვა გვანცა, ცოტა ხანს უყურა გალუმპულ გოგონას და მერე სილა სთხლიშა.

გოგონას ტირილი ნას კდა.

— დედა! — იყვირა და მონაზენისკენ გაექანა. მას ამ დროს თავი მოჰყავდა ნესრიგში და ამ შეტევას არ ელოდა. საბოლოო ჯამში ორი-ვე ასფალტზე აღმოჩნდა. მონაზონმა გვანცას თავი მუხლებში ჩაიდო. ჩეენ განუწლები, დაბნეულები შეეცურებდით მათ. გვანცამ ცრემ-ლიანი, უსამართლოდ დასჯილი კრუტის თვალებით ამოგვხედა და შე-შინებული, უფრო მავრად ჩაეკრა დედას.

მე ჩეენი კურტკები მოვნახე და მათ მოვახურე. გეგი უშედეგოდ ცდილობდა დასველებული სიგარეტის მოყიდებას.

უეცრად, დედა სოფიომ თავი მაღლა ასწა, ღმობიერი თვალები შემოგვანათა და წყნარად, მავრამ საოცარი ზეიმურობითა და სიმტ-კიცით თქვა:

— არ ცემოთ, ჩემი შეილია!

გეგის რომ შევხედე, მონი ისევ აპირებდა მტკვარში გადახტომას. ოდნავ ამონვერილი მზის პირველმა სხივშა ღონივრად დაარტყა მღვრიე წყალს და იქიდან ასხლეტილმა, ოქროს ბურუსში გაგვხეია ყველა.

მონაზონმა ჩემად დაინყო ლოცვა, შეილი ჯერ არ უსმენდა, მაგ-რამ შემდეგ ისიც აპყვა ლოცვაში დედას.

ჩეენ კი ვიდეებით და სველი სიგარეტები გვეფშვნებოდა ტუჩებში.

.....
ფეხი უკე დამიცხრა, მავრამ კომიციო და ფილტვების ანთება ვერაა მაინცდამაინც სახალისო საქმე. გეგი ხშირად მნაბულობს, მაგ-რამ ორივე რატომდაც ვერიდებით იმ გიურური ღამის გახსენებას. ერ-თხელ ჩილაპარაკა მხოლოდ ჩემმა ძმაკაცმა:

— გახსოვს, რა მოყვა გვანცას მამახე დედა სოფიომ, გოგონა გა-დაარჩინაო, წყალში...

— მერე, ზიგმუნდ?

— მერე არაფერი!

მე კი სულ ვცდილობ ჩემი შელაყლაყებული მეხსიერებით აღვიდ-გინო მონაზენის თვალების ფერი. რატომ მეცნაურა ასე და ერთ ღა-მეს ძილის ნინ მკაფიოდ გამახსენდა, თუ როგორ ვეძებდი სულ პატა-რა ბავშვი ბიჭევითის სანაპიროზე კენჭებში ნატვრისთვალს. სნორედ ასეთი ფერის ნარმომედგინა იგი. ბეჯითად, გულმოდგინედ ვეძებდი, რადგან ვიცოდი, რომ მეპოვა, ყველა ნატვრა ამისრულდებოდა.

მოკლეს პიში

ბიჭები დაბნეულები იდგნენ კუბოს გარშემო და უკვირდათ, მათი ქედმიაღალი და შფოთიანი ძმაკაცის უსიცოცხლო ტანი ასე უნამუსოდ რომ გაეჭედა სიკვდილს ყავისჯერ ფიცრებში.

ნაწილი სადარბაზოში ენეოდა. სადარბაზო ზაზას მოკვლამდე ჩანელებული იყო. ხშირად დაცემულან ნასვამი ბიჭები ამ კიბეებზე, ზაზა ამ დროს იცინოდა და ამშეიდებდა დამტვრეულ მეგობრებს, გონებითა და სიცილით რომ იფერთხავდნენ დასერილ ტანისამოსს.

ზაზა მოკლეს, ახლა სადარბაზო ყვითლად და მკაფიოდ იყო განათებული — ალარავინ ეცემოდა. ხის კიბეებზე მოლუშული მამაკაცები და სევდიანი ქალები აფიოდნენ. ზღვა ხალხი მიდიოდა ზაზას სანახავად. ზოგს ტეკილი ანუხებდა, ზოგს ცნობისმოყვარეობა.

დადგა გამოსვენების დღე.

ყველა ეზოში ჩაეიდა, ოთახში მხოლოდ ზაზას ბიძა და შეშინებული ბიჭები დარჩნენ.

— კუბოს ნათესავები გაიტანენ ოჯახიდან, — თქვა მოხუცმა და ჯოხს დაეყრდნო.

ექვსი ბიჭი გამოვიდა ნინ.

— ანიეთ... აი, ასე... ახლა სამჯერ დაატრიალეთ ოთახში!

— რა? — იყითხა ერთ-ერთმა ნათესავმა.

— კუბო! — ხრინნიანად თქვა მოხუცმა. — კუბო!

ბიჭები გაოგნებულები იდგნენ, მათ ჯერ არ ენახათ გამოსვენების რიტუალი, შემდეგ ბორძიკ-ბორძიკით დაინყეს ბრუნვა ერთ ადგილზე.

ეოქას ერთი დაამახსოვრდა მკაფიოდ; ბავშვურად პირდალებული, უაზრო სახით რომ ტრიალებდა ოთახში.

— ახლა სამჯერ მიარტყით კარს! — ბრძანა ისევ მოხუცმა.

— რამდენჯერ? — საქმიანად იყითხა ერთ-ერთმა ნათესავმა ბიჭმა.

— სამჯერ — უთხრა ჯაბამ.

კუბო ნელა დაიძრა და მაღალშუშიან კარს დაეტაკა.

მოხუცი უძრავად იდგა ჯობზე დაყრდნობილი.

კუბო მეორედ დაეტაკა კარს. შუბა ზრიალით დაიფშვნა.

ჯაბამ ფანჯრიდან გაიხედა და უამრავი ხალხი დაინახა ეზოში.

ზაზას პატარა ძმას ქუდი მოეხადა და სერიოზული სახით აკუთ-
დებოდა საკუთარ სახლში მომხდარ ცვლილებებს, თან თვითუდნებულ
ბულ ჯარჯის აძლევდა გულუბრყელო და საშინელ კითხებს.

ცალეე ჯგუფად ტიროდნენ ზაზას სკოლის მასნაელებლები.

კუბო ისევ დაეტაკა შუშეჩამტვრეულ კარებს.

— სამი იყო, არა? — იკითხა ჩამნყდარი ხმით ვიღაცამ.

არავინ უპასუხა. ბიჭებმა ფრთხილად გაიარეს დამტვრეულ შუ-
შებზე და კუბო ეზოში ჩაიტანეს.

ხალხი გახევდა. ბიჭებმა ფრთხილად გაიარეს დამტვრეულ შუშებ-
ზე და კუბო ეზოში ჩაიტანეს.

ხალხი გახევდა, შემდეგ ზლაზვნით დაიძრა ჭიშკრისაკენ.

ბოლმიანი დღე იყო, ნეკრის.

ნათესავები ზაზას მეგობრებმა შეცვალეს.

— შეხედე, — გადაულპარაკა ვიღაცა ბიჭმა მეგობარს. — ძველი
ბიჭებისა და ხულიგნების „სვეტი“ სულ აქ შეკრებილა. ყველას რაღაც
ანგარიში აქვს ერთმანეთთან.

თბილად და მომთენთავად წვიმდა. კუბო მანქანაზე დადეს. ზედ
ოთხი ნათესავი ახტა. ძარა სავსე იყო ყვავილებით და ნათესავები
უხერხულად იდგნენ ყვავილების გულისამრევ სუნში. „ალბათ ასე
ხდება ყვავილების შეზიზდება“ — გაიფიქრა ჯაბამ და კოკას გახედა.
კოკა გაფიტრებული შეპყურებდა ნელა მიმავალ მანქანას, შემდეგ მი-
ირბინა და ძირს გადმოვარდნილი მიხაჟი ისევ ძარაზე შეაგდო.

მას სხვებმაც მიბაძეს. მანქანის გვერდით მირბოდნენ ბიჭები და
გადმოვარდნილ ყვავილებს უკანვე ყრიდნენ.

ჯაბას ბავშვობაში ნანახი გასვენება გაახსენდა. მაშინაც ნელა მი-
დიოდნენ მანქანები.

— მამა, რატომ მიდიონ ასე ნელა?

— მიცვალებულს რომ არ გაეღვიძოს, ჯაბიკო.

— რა არის მიცვალებული?

გავიდა დრო, მაგრამ სიკვდილი მაინც რჩებოდა შორეული და უჩი-
ნო. ახლა კი შორეულის უეცარი დაახლოება აშინებდა ჯაბას.

აშინებდა თავზეხელალებულ, ლამაზ ბიჭებს.

გელამ მოჰკიდა მკლავში ხელი.

— ნავიდეთ, ჯდებიან უკვე, — გელა და ჯაბა კოკას მანქანაში ჩას-
ხდნენ. რამდენიმე ბიჭი დაემატათ.

უცებ ჯარჯი მოვარდა მანქანასთან.

— კოკა, სასაფლაოს გზა რომ გამოჩიდება, საცური ჩართე. ყველა
ასე გააკეთებს.

— საცური რა საჭიროა, — გაბრაზდა ჯაბა. — შოთერს ხომ არ
ვასვენებთ.

— რა ეციდი, ასე თქვეს, — მხრები აიჩერია ჯარჯიმ. — არის ჩემთვის

ადგილი?

— როგორმე ჩაეტიც.

ჯარჯვი მანქანაში შემოძერა და გაშრა. გასულ კვირას გელასიან
მოუკიდა ჩხები. გელაც დაიბნა.

ორივემ ცივად ჩამოართვა ხელი ერთმანეთს. მანქანა დაიძრა და
ჯარჯვი იძულებული იყო მუხლები ჩაჯდომოდა გელას. ჯარჯვი გა-
ნითლებული იჯდა და სკელ თმებს იმშრალებდა ცხვირსახოცით.

სასაფლაოს გზა გამოჩნდა და ერთბაშად ჩაირთო საყვირები, აბ-
ლავლდნენ მანქანები.

და იყო ამ ყვირილში ბიჭების საყვედური, უმისამართო საყვედუ-
რი. ბიჭებმა არ იცოდნენ ვის და რატომ საყვედურობდნენ თავის უც-
ნაურ ტეივილებს.

კოკა გააფთრებით ანვებოდა საყვირს და ცრემლებს ინმენდდა,
რადგანაც ცრემლი ხელს უშლილა მართვაში.

მაღლიდან მომავალი უცხო მანქანები სვლას ანელებდნენ და ყვი-
რილით გამოხატავდნენ თავის თანაგრძნობას.

სასაფლაო ატალახებული და თეორი იყო. ერთ-ერთი მანქანიდან
სამი თოფიანი ბიჭი გადმოვიდა. ბიჭებს მოღუშულად ეჭირათ თოფე-
ბი ლულით მაღლა და ახლად გათხრილ სამარისენ მიიწვევდნენ.

— ვინ არიან? — იკითხა გელამ.

— არ ვიცი, — თქვა ჯაბამ და ბიჭებისაკენ გაემართა.

— გამარჯობათ!

ბიჭებმა თავშეეავებული სალამი მისცეს.

— რად გინდათ თოფები?

— უნდა გავისროლოთ საფლავზე. — თქვა ქერამ და უცებ გაბ-
რაზდა:

— შენ რა, დაკითხვას გვინყობდები?

— არ შეიძლება, ბიჭებო. — რბილად თქვა ჯაბამ. — აქ სალუტის
უფლებას არავინ მოგცემთ.

— ვინ არ მოგვცემს, შენ?

— თუნდაც მე.

ქერა სიბრაზისაგან აკანქალდა.

— მერე მოგელაპარაკებით, ჯაბა!

— ამ თოფებით აპირებთ ლაპარაკს?

— ეს უკვე ჩვენი საქმეა.

— დაჩუტეთ ნესტოები და დადევით თოფები ადგილზე!

ბიჭები ყოყმანობდნენ. უცებ ქალის ისტერიული კივილი გაისმა.

— მხეცებო, აქაც თოფები მოიტანეთ?.. რად გინდათ თოფები,
ამნუთში.. ამნუთში გადააგდეთ თოფები, მეცელებო!

ქალი საზიზლრად კოდა. მას სხვა ქალები ამშვიდებდნენ და ბი-
ჭებს ლანძლავდნენ.

ჯაბა შენუხებული იდგა. მას ეცოდებოდა სამი თოფიანი ბიჭი. ზოტებმა თოფები მანქანაში შეყარეს და თაეჩიქინდრულები გაჟერენ
პროცესიას.

გატენილი თოფები მანქანაში დარჩა.

იქვე ვიღაც ახოვანი ქალი იდგა და ხელის კერით აგდებდა ყველას, ვინც კი მის საჭირისუფლო საფლავზე შემთხვევით შეაბიჯებდა. ეს მისი სამფლობელი იყო. გაცოფებული ბიჭები იღრინებოდნენ.

— გადახადეთ. — გაისმა ზაზას ბიძის ბრძანება.

თავი ახადეს კუბოს და მშობლებმა დაიჩოქეს შეილის ცხედართან.

ბიჭები ჯერ თავს იკავებდნენ, რადგან რცხვენოდათ თავისი შედარებით პატარა დარდის გამომქვდავნებისა.

— ზაზა, — მკვდარი ტუჩებით ჩაიჩირჩეულა დედამ და წყნარად, სევდიანად ნაიმღერა — ზაზა, ზაზუნა, ზაზა, ზაზუნა.

ბიჭები მორიდებული ტირილით აძლევდნენ ბანს ამ დარდით ამ-ლერებულ სიტყვებს.

ჯაბას ერთი ლექსი აეკვითა, ცდილობდა გაეჩიშებინა, მაგრამ ლექსი არ ჩუმდებოდა და გულის ბაგაბუგის რიტმში მიჰყებოდა დე-დის სიტყვებს:

წუხელი სიზმარი ვნახე,

ნეტავ, დედავ, რაო?

ალვის ხე რომ ნაქცეულა,

.....

შეილო, შენი ტანი არის,

ვაჳ შენ დედასაო!

შფოთიანი ცხოვრება გიყვარდა... ერთხელ იხუმრე: იქნება ვკვდე-ბი მალე და მაცალეთ ყველაფერი მოვასწროო...

ლურჯი წყალი მოდიოდა,

.....

შეილო, შენი ცრემლი არის,

ვაჳ შენ დედასაო.

გელა საფლავის ქვაზე ჩამოჯდა და ატირდა, გვერდით ვიღაცის ხრინიანი ტირილი გაისმა, გელამ მოიხედა და ბებერი პლატონი დაი-ნახა, ზაზა მას აპრიალებინებდა ხოლმე ფეხსაცმელს.

— იყუჩე, ზაზიკო, და არ გენყინოს მამისაგან, არაფერის რომ გე-უბნება... ნანყენია შენზე: ჩემდა უკითხავად სად მიდიოს. გახსოვს, მა-შინაც გაგიპრაზდა, შენ და ჯაბა რომ გაიძარეთ მოსკოვში.

ზაზა ამაყად იწვა კუბოში და თითქოს უკირდა, როგორ გამიბედა მოყველა ამ მაიმუნზაო.

— სამი დღე იყო გათოკილი მამაშენი, გვაპატიკე, რომ ვერ მიგვიპ-
ბით საფლავში... შენს პატარა ძამიკოს ვერ დავტოვებთ ჯერ მარტო მარტო
შენი ძამიკოს ხათრით გვაპატიკე, ზაზა... გვაპატორის გვაპატორი

კოკამ უკიდან მოხეია მკლავები ჯაბას და დაეყრდნო.

— ნუ გეშინა, ზაზუნა, ბავშვებაში სიბნელის გეშინოდა, მალე
მოვალთ შენთან მე და მამაშენი... აბა, რა ვაკეთოთ უშენოდ მიწაზე.
ასე მეგონება შენ გაბიჯებ მკერდზე ფეხს...

— პირველი ტყვია რომ მოარტყა ფეხში, ზაზამ უყვირა, რას მიბე-
დავ, შე მათხოვაროთ! — ჩუმად ყვებოდა ვიღაც ბიჭი, — მეორე ტყვი-
ამ ნამოაჩიქა. მაშინ უთხრა: მეტი აღარ მესროლო და შეგარჩენო, სი-
ცოცხლე მინდაო, — ბიჭს ხმა გაებზარა და გაჩუმდა.

— მალე დაემშვიდობეთ, ბიჭებო, — თქვა ვიღაც აქტიურმა ნათე-
სავმა ქალმა. — თორემ სველდება წევიში ზაზა.

ჯარჯომ ველურად შეხედა ქალს.

— თქვენ იცით ვინ ხართ. — ჩახლეჩილი ხმით უთხრა ჯარჯომ, —
იცით ვინ?

მაგრამ საჭირო სიტყვა ვერ იპოვა და გაჩუმდა. ქალმა არ შეიმჩ-
ნია.

დედა ნამოდგა. ცოტა ხანს იბარბაცა და მოცელილივით მოეშვა.

გელამ მოასწრო და ხელში აიტაცა ქალი, მაგრამ ორი ნაბიჯის
შემდეგ მუხლი მოეკერეთა ლამენათევ და თვალებდასიებულ ბიჭს. ახ-
ლა კიკამ აიტაცა ზაზას დედა ხელში, ბიჭებიც ნამოეშველნენ და ნა-
იყვანეს მეგობრის ახალგაზრდა დედა მანქანისაკენ. გზად ყოველმხ-
რივ ფრთხილობდნენ, რომ ქარს მისი კაბა არ ნამოეფრიალებინა.

სამგლოვიარო ნრეში ახლა მოხუცი ბიძა შემოვიდა, ჯოხი გადააგ-
დო და დაიჩიქა ტალახში.

ბინდი ჩამონედა საფლავზე.

— ლამაზო, დარჩეულო ბიჭებო! — ამოიხრიალა მოხუცმა. — რამ
გაგამნარათ ასე?! რას დარევიხართ ერთმანეთს?!

დაჭრილი ბოკვერებივით აბლავლდნენ ბიჭები, ერთმანეთს გადა-
ეხვინენ და ნრე შეპერეს კუბოს გარმემო.

მათ შემხედვარე მოხუცს თითქოს იმედით აეციო თვალები, მაგ-
რამ ის უცებ მიხედა ამ ნამიერ აღტეინებას.

მოხუცი შიძობდა, რომ ხვალ ყველაფერი ძველებურად გაგრძელ-
დებოდა, ერტვებოდა, რომ რაიმე შეიცვლებოდა ამ ცრემლებით.

საჭირო იყო აღბათ რაღაც სხვა, მაგრამ რა იყო საჭირო, არ
იცოდნენ არც ტალახში დაჩიქილმა მოხუცმა და არც ატირებულმა,
დაბრეულმა ბიჭებმა.

მშვიდობით, ეპლატონი!

თვალუნვდენელი მინდორი. დიდი კოპიტის ქვეშ გაშლილია სუფრა. წვეულებაზე შეერებილ შავჩიხიან ყმანვილებსა და გრძელებაბიან ქალებს შორის განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ერთი ყელშეღებულებული გოგონა, თავმოდრეკილ კორნეტს რომ შეჰყურებს ღიმილით.

ეს გოგონა მე მიყვარდა.

ფოტოსურათი ძველი და გაცრეცილი იყო. პირველად ბებიას არქივში ნავანყდი ამ სურათს და ქალის ვინაობით დავინტერესდი. მას ერქვა სალომე და ბებიას ყმანვილქალობის მეგობარი იყო.

ეძვის ნლის ბიჭი, უგონოდ შევვარებული ფოტოსურათზე, საშინადად ვეჭვიანობდი გრძელულვამა კორნეტზე.

*

სუფთად და მხიარულად თოვდა.

ბებია მისი მეგობრის სახლამდე მიევაცილე და ნასვლა დავაპირე.

— გია, თუ შეგიძლია, ორი საათის შემდეგ გამომიარე. ახალ ნელს შევხვდები და ნამოვალ. თუ, არ შეგიძლია?..

— არა, გამოგივლი, მაგრამ...

— თუმცა... მოდი, დარჩი ჩემთან ერთად.

— მაღლა ამოგყვე?

— ჰო, რა მოხდა ასეთი, ორი საათი არ გავიძნელდება ჩემს ბებრუ-ცანებთან.

ბებია მუდარით შემყურებდა.

— კარგი, ამოგალ.

ბებიას ძალიან გაუხარდა და შუბლზე მაჟოცა.

— ნარმომიდგენია, როგორ გაუკვირდებათ... სხვათა შორის, იცი, ვინ იქნება დღეს ნინოსთან?

— ვინ?

— ქალბატონი სალომე... შენ რომ გიყვარდა.

— რაა?

— გახსოვს, ფოტოსურათზე...

გამელიმა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, ბავშვობაში გაგონილ მელოდიას, მივიწყებულს და თითქოს ხავსით დაუარულს, ხელმუორედ რომ მოისმენ.



პატარა მაგიდას სამი მოხუცი ქალი მისხდომოდა. ისევ ის გრძელი კაბები, ისევ გოგონები, ასე მობერებულნი... აღარსად იყო კოპიტნული ულვაშებიანი კორნეტი...

„კორნეტი მე ვიქნები...“ — გადავწყვიტე და სათითაოდ ვეამბორე ხელზე მოხუცებს.

ქალები ძალიან გაახარა ჩემთა მოსელამ, გაახარა და გააოცა.

ბებია ამაყად და ბედნიერად ილიმებოდა.

სათუთად გაშლილ სუფრას მიუუსხედით. ოთახი პატარა და ის-ფერი იყო.

— სალომე სად არის? — იქითხა ტანიტმა.

— სარეის ნინ კეელუცობსა ალბათ.

— ომ, სალომე, სალომე, ისამას თავი ჯერ მოსული არ გავარა.

— მან არც კი იცის, რომ აქ ძეველი თაყვანის მცემელი ელოდება.

„როგორ?“ — გაიკვირვეს ქალებმა.

ბებიამ ფოტოსურათის ამბავი მოუყვა.

ყველა გამხიარულდა.

ზარის ხმა გაისმა და ოთახში ურიამული ატყდა.

— სალომე, სალომე!

ამ დროს ერთი ბუტერბროდი ავნაპნე. მგელივით ვიყავი მოშიებული, ქალები კი ვახშამს არ ეკარებოდნენ.

ოთახში მინიატურული, ამაყი გარეგნობის მოხუცი შემოვიდა. თაფლისფერი თვალები მოაელო ოთახს და მეც შემომხედა.

დაუმთავრებელი ბუტერბროდი მაგიდაზე დავდე და გამოტენილი პირით ვეამბორე ხელზე. სევდა ვიგრძენი: „ეს არის, ის ყელშეღერილი გოგონა, მე რომ მიყვარდა?“

სალომე მოხდენილად ჩამოჯდა სკამზე და მოხუცების საუბარს შეუერთდა. სკამის ზურგს არც კი ეხებოდა, ნელგამართული იჯდა დედოფლალივით.

„დიდხანს გაძლებს, ნეტავ?“ — გავიფიქრე და ნელში გავსწორდი. მაგრამ მალე ისევ მოვემეო და სკამის ზურგს მიეკრდენი.

ნინომ ფოტოსურათის ამბავი გაიხსენა.

ქალმა გაიღიმა.

— ნარმომიდგენია, როგორ მოეწყინა...

— გიას! — დაეასწარი.

— მე ეიცოდი თქვენი სახელი.

— მე არა ვარ მოწყენილი.

— ძალიანაც კარგი, თუკი არ მოგეწყინათ.

ნინომ გიტარა მოიტანა. სალომემ ორიოდე აკორდი აიღო და გაჩერდა.

— გოხოვთ, სალომე, იმღერე რამე...



- თუ ეს ახლგაზრდა რაინდი არ იქნება ნინააღმდევები...
 — როგორ გეკადრებათ, მე...
 — ხომ არ დაგველია ჯერ ცოტა...
 — ღმერთო, სულ დამაინყდა! — ნამოხტა მასპინძელი. კინალამ
 ურუოლამ ამიტანა, ერთი ბოთლი ლიქიორი რომ შემოიტანეს.
 — გიას არ ველოდით და მხოლოდ ეს გვაქვს... თუმცა, კონიაკიცა
 მაქვს, მაგრამ, ალბათ, გია არ სვამს კონიაქს, თანაც ნახევარი ბოთ-
 ლია, უკვე გახსნილი და უერ ვაკაფრებ სტუმარს.
 „მაკადრეთ, მაკადრეთ-მეტეი!“, — ამოუიგმინე კინალამ, მაგრამ
 ბებიამ გამომიყენა ამ მდგომარეობიდან.
 — არა უშავს, ახალი ნლის ხათრით დღეს შეიძლება დალიოს.
 კონიაკის დანახვაზე გავმხიარულდა. სალომემ უცებ მძლავრად
 ჩამოერა ხელი სიმებს და ჩემკენ შემოტრიალდა.
 — Мальчик, ты мой, дерзкий.
 მას ნერილი, მინაბული ხმით აჟყვა ქალბატონი ტანიტი, მშვენივ-
 რად მღეროდნენ.
 ბებია თვალებში შემომციცინებდა, ღელავდა, კმაყოფილი ეიყავი,
 თუ არა.
 სალომემ დაკურა ისევე უეცრად შეწყვიტა, როგორც დაინყო და
 გაიცინა.
 — გრიფი დგას ძალიან მაღლა, ძნელია... თითები მეტკინა, გია,
 გვითხარი რამე!
 — მომისმინე, თამრიკო, — მიუბრუნდა ბებიას ელენე —
 შთორსკეთ კრეეინმჩთეო ყ იურმს ვნუკრს.
 ბებიას გაეცინა.
 — და შენ გახსოვს, როგორ ანვალებდა ლევან ციციშვილს?
 — სულაც არ ვანვალებდი, — ინყინა სალომემ.
 — Het muchela! — დაასკვნა ელენემ.
 სალომე გაფიტოდა.
 — შე კი მახსოვს, მისი დალუპეის ამბავი რომ გაიგე, ნარბიც არ შე-
 გიხრია.
 — არ გრცხვენია, ლენიკო, — უსაყვედურა ბებიამ, — სალომეა ძა-
 ლიან განიცდიდა.
 — ის კი გიუდებოდა! — დაიჭინა ქალმა. ეტყობა, თეოთონაც მოს-
 ნონდა ის ლევან ციციშვილი.
 — მე სალომეს ვეთანხმები, — სუსტი ხმით ნარმოთქვა ტანიტმა.
 — როგორ ამბობ ამას, ნიტიკო! — ალმუტდა ელენე.
 „ვაიმე, ახლა საუკუნის ნინანდელი ანგარიშების სწორება რომ და-
 ინყონ“... — გაეიფიქრე და ნამოედექი.
 — ქალბატონებო, სანამ ახალ ნელს მოგილოცავდეთ, მე თქვენი
 სადღეგრძელო მინდა შევსვა.



მშიერი ეიყავი და სასმელმა ძალიან იმოქმედა.

— Сядьте около голубой чашки, она вам так идет! — мюнхенская *БАРБАРОССა*
ლომებმ.

მე სხვა სკამზე გადაებარგდი.

— იცით, რას მეძახის გია? — თქვა ბებიამ.

— რას?

— „Осколок ренесанса!“

სალომე დაღონდა. გიტარა გვერდზე გადადო და ლიქიორი მოსვა.
ისევ ნელგამართული იჯდა.

— თქვენის ნებართვით, სიგარეტს მოვწევ.

თამბაქოს ნისლში ატივტივდნენ დაღლილი, დაღარული სახები.

ერთხელ, ბებიას ზანდუეი გავხსენი და ძველი, უსარგებლო ნივ-
თებიდან შორეული, იდუმალი სურნელი ვიგრძენი. მას შემდეგ ეს
სურნელი კეთილ სევდას მგერის.

ახლაც ასეთი რაღაც განვიცადე.

მოხუცები, ცოტა არ იყოს, დამნაშავედ გრძნობდნენ ჩემს ნინაშე
თავს. განსაკუთრებით ბებია. მე სადლეგრძელობს მოვუხშირე. ქა-
ლები შეთვრნენ და მოინყინეს.

ნამოვდექი, პატეფონი ჩაერთე და ერთ-ერთი ფირფიტა დავდე.

ხრიალით გაისმა ამ ქალებივით მოხუცი ვალის მელოდია.

რიგრიგობით ვაცეკებდი სუსკელას. ფრთხილად დავატარებდი
ოლრო-ჩილრო პარეეტზე და სულ მეშინოდა, ღმერთო, ფეხი არ დავა-
ბიჯო უცაბედად-მეთქი.

შემდეგ ბებია მიეინვიე.

— ხომ არ მოგნებინდა? — ჩამჩურჩულა.

— არა, პირიქით.

ვალსმა გაახალგაზრდავა ქალები. ბებიაც სხვანაირი იყო, არა-
სოდეს მინახაეს ასეთი.

„ბებია, ბებია!“ — გავიფიქრე და ხელზე ვაკოცე, შემდეგ სკამთან
მივაცილე და ქალბატონ სალომეს ნინ იმ კორნეტივით მოვიდრიკე კი-
სერი.

აქოშინებული, აბრდლვიალებული მოხუცები მაგიდას მიუსხდნენ
და ჩენ მოგვაჩერდნენ.

ოთახში მიეინყებულმა, ნარმტაცმა სურნელმა შემოქონა.

მსუბუქად ნამომყენა. მართლაცდა მშევნიერად ცეკვავდა, ოდნავ
ატორტმანებდა მხოლოდ მოხუცებულობა და დაღეული ლიქიორი.

— ჩქარა, ჩქარა, — დაფაცურდა მასპინძელი და ახალი ნლის გონ-
გმაც ჩამოჰქმდა. ატყდა ჭიქების ნეარუნი, ხეევნა-კოცნა და სურვილე-
ბის გამოხატვა.

ქალებს ცრემლიც მოერიათ.

მოხუცები სათითაოდ გადავკოცნე და ჭიქა დაუცალე. ქუჩიდან



სროლის ხმა ისმოდა.

— ახალი ნლის კანონადაა, აქ ყოველთვის ისერიან, — გამოსახულის გამოცემის წესის ნომ.

მე ჩემი მთვრალი ჭკუით გადავწყვიტე სიურპრიზით გამემხიარულებინა ქალები, რათა უმამაკაცობა არ ევრძნოთ.

სპორტული „სტარტის“ პისტოლეტი ამოვილე და მთელი ჯერი მიუშვი ჭრში. თან შტერულად ვილიმებოდი.

მოხუცები კინალამ სკამებიდან გადმოცვევდნენ.

ბებია ძლივს ითქვამდა სულს შიშისა და უხერხულობისაგნ.

— როგორ შეიძლებოდა ასე მოულოდნელად, გია? — ენის ბორბიკით მითხრა და გალიმება სცადა.

მხოლოდ სალომე დარჩია კმაყოფილი, კარგი მოგონებები აღმიძრა ამ სროლამო.

მალე ყველანი სახლებში დავარიგე და ჩემს მეგობრებთან გავაგრძელე ქეიფი.

სულთად და მხიარულად თოვდა.

*

გავიდა ზამთარი, ასე უჩვეულოდ თოვლიანი თბილისისათვის. გაზაფხულის თავბრუდამხევემა სურნელმა მძაფრად ააჩქეფა სისხლი მოდუნებულ ძარღვებში.

მე შემიყვარდა ერთი გოგონა, მაგრამ გაცნობას ჯერ ვერ ებედავდო.

არცა ეჩქარობდი, მინდოდა გამეგრძელებინა უცნობობის ნარმტაცი პერიოდი.

გაზაფხულის ერთ-ერთ სალამოს სასაფლაოზე მომიხდა ნასელა ამხანაგებთან ერთად.

მარმარილოს ლაპირინთების გაელით ის-ის იყო გარეთ უნდა გავსულიყავით, როცა თვალი მოვეარი გათლილ ლოდში ჩასმულ ნარმტაცი ქალის სურათს.

ლოდზე დაბადებისა და სიკედილის ნლები არ ამოეკვეთათ. და ეს გასაგებიცაა, ქალბატონ სალომეს არ უყვარდა, როცა მის ნლოვანებას გებულობდნენ.

1968

სიცვარული ჩუმათელეთში

საბურავების წრიპინით მიჰქეროდა მანქანა. უკან რჩებოდნენ მწეანეში ჩაძირული სახლები და ბაღები, ჭორფლიანი ბიჭები, ყვავილები მონაცემების შეჩერებას, მოხუცი კაცი, გზის პირას რომ ჩამომჯდარიყო, თიხის ქოთნებითა და დოქტორით გარშემორტყმული.

ლენინმ სათვალე მოიხსნა და მკვახე ბიის ღრღნას შეუდგა.

გია გაღიზანებული შემოტრიალდა.

— გინდა, გადავიჩეოთ ორივე? — მშეიდად ჰეითხა გიამ.

— მინდა!

— ლენინმ, იცოდე, ურთი ისტერიკაც და...

— ეინ დაინყო?

— ამას არა ქვს მნიშვნელობა!

— ჩემთვის აქვს.

— გაიგე, რომ რულზე ვზივარ!

— რულზე კი არა რულთან, უფრო სწორად, საჭესთან.

მანქანა გზის პირას მდგომ ქოხტა რესტორნის ნინ გაჩერდა.

გიამ ძრავა გამორთო და დაბოლმილი გადმოვიდა მანქანიდან.

რესტორანი თითქმის ცარიელი დახვდათ.

აივნის მაგიდას მიუსხდნენ. გიამ მენიუ გაუწოდა ლენინს.

— არ მინდა!

— აბა, დაღრღნი ეგ ბია და დაიმტვრი კბილები!

— ჩემი კბილებია, მინდა დავიმტვრევ, მინდა არა! — გია ბოლმით

მიაჩერდა ოდნავ მოციცქნილ ბიას.

მომტანმა სწრაფად გაშალა სუფრა.

აივანზე პატარა ბიჭი შემობაჯბაჯდა და პირდაპირ გიას მიაჟითხა.

გამშიარულებულმა გიამ მუხლებზე დაისვა და ცხვირზე დააჭირა თითი.

— პი, პიი!

ბავშვმა უეცრად სახეში სთხლიშა გიას და მუხლებიდან ჩამობობდა.

დარეტიანებული გია გაღიმებას ცდილობდა.

ლენინს არ შეუმჩნევია ეს ინციდენტი. უცნაური სევდა ჩაგუბებოდა თვალებში და გაზაფხულის მინდორის გაპურებდა.



სალამოს ბინდი ჩამონევა გზაშე. ნისლი ხელს უშლიდა გრაჭმურული ვაში. მანქანა ფრთხილად მიინევდა ჩამუქებულ სივრცეში და დატენდებულ თვლებდა. გიამ ლენიკოს პომადა წაუსვა ფარებს. მანქანა ახლა ია-სამნისფრად შებოლილ გზაშე მიპქროდა.

- ნელა ატარე!
- რატომ, ახლა უკვე კარგად მოჩანს.
- სოფელში წყარი და ციცინათელებიანი ღამე დახვდათ. გაზაფხუ-ლის თავბრუდამხვევი სურნელი იდგა.
- ლენიკო, გაიღვიძე, ჩამოვედით.
- სადა ვართ?
- ჩუმათელებიში.
- აქ უნდა გავათიოთ ღამე?
- ხო, ბიცოლაჩემთან.
- უიმე, მოსულელო ბიჭი რომ ჰყავს?!
- სულ არ არის მოსულელო, — გიას ხმაში წყენა მოისმა — უბრა-ლოდ, ვერ განვითარდა.
- პოდა, მაგას ვამბობ მე!
- ლენიკო!
- ნუ მიყვირი!
- მანქანა ორსართულიანი სახლის ნინ შეჩრდა.
- დათუნა!
- რა კარგი სახელია ჩუმათელეთი, ჩუმათელეთი! — წაიმდერა ლენიკომ.
- დათუნა!
- ვინ არის, დათუნას რომ უძახის? — მოისმა გაკვირვებული ლა-პარაკი და კიბეზე მსუქანი ქალი ჩამოკოტრიალდა.
- რომელი ხარ?
- გია ვარ, ანეტა ბიცოლა!

ცრემლმორეულმა ანეტამ კინალამ დაახრიშ ეოცნით გია, მერე მომლიმარ ლენიკოს მიუბრუნდა, ჩააცქერდა და ყოველმხრივ ქმაყო-ფილმა გოგონას ნარმტაცი გარეგნობითა და კეთილი ღიმილით, მეკრდზე მიიკრა გიას ცოლი.

— იცოცხლეთ, იბედნიერეთ, შეილებო, თქვენი ქორწილის მონა-ნილე ვერ გავხდი, მაგრამ... გმადლობთ, გია, რძალი რომ ჩამომიყვა-ნე. აქაც ისეთი ამბები დაგახვედრეთ, რომ... — არ დაამთავრა ანეტამ და სახლისაკენ მიმავალ გზაშე გაუძლვა ახლგაზრდებს.

— დათუნა, მანი!

მაგრამ დაძახება საჭირო ალარ აღმოჩნდა, კიბეზე ტანადი, კე-თილთვალება ბიჭი ჩამორბოდა, ხოლო მის უკან მორცხვად მოძრანდუ-ლებდა ელამი და დაბალი არსება, რომელსაც დათუნა კიბის ბოლოში

დაელოდა.

— დათუნა, ბიჭო, როგორ ხარ?!

მაგრამ დათუნა ძალიან უცნაურად მოიქცა, ჩვეულებრივი შეძანილისა და მოხვევის მაგივრად, აზრიანი თვალებით შეხედა ბიძაშვილს, მერე ლენიკოს, შემდეგ წინ ნამოაყენა თავისი ელამი ამხანაგი და თქვა:

— ჩემი მეორე ნახევარი!

— რაა?!

— ჟო, შეილო, ცოლი შეირთო დაეითმა.

დათუნა მტკიცებული იდგა მანოს გვერდით.

— ახლა არ გამაგიუოთ!

ლენიკო პირველი გამოერკვა. ინსტინქტური შიში გადაძლია და ფრთხილად აკოცა უცნაურ ცოლ-ქმარს.

— დათუნა, გამაცნი შენი მეულლე!

— მანო! — ნაილულულა გოგომ და ხელები ზურგსუეან დამალა...

*

გემრიელი ვახშმის შემდეგ, ხის სურნელოვან აივანზე ჩაი მოიტანეს და ოდნავ შემთვრალმა გიამ უფრო მძაფრად დაინყო ამ უცნაური სიტუაციის ალქმა. დათუნა მბრძანებლობდა, მაგრამ ძალიან თავერკავებულად და პატივისცემით ეპყრობოდა მანოს, რომელმაც ზედმეტი აღფრთოვანებისაგან ნახევარი ჭიქა ჩაი მუხლებში ჩაულვარა ლენიკოს.

მანო თთახიდან გაეიდა. ლენიკო უკან მიჰყვა და კიბის ძირში იპოვა. გოგოს ელამი თვალები ცრუმლს დაებინდა.

ცოტა ხნის შემდეგ, დაწყნარებული მანო და კაბგამოცვლილი ლენიკო მაგიდას მიუსხდნენ.

გიამ კინალამ სიგარეტი შესთავაზა ცოლს, მაგრამ დროზე გადაიუიქრა.

— ნადი, დავით, ბარები გადმოზიდე!

— მე თვითონ, ანეტა ბიცოლა, მე თვითონ!

მაგრამ ანეტამ ანიშნა გიას, საქმე მაქეს შენთანო და გააჩუმა.

მანო და ლენიკო ბალში გავიდნენ.

— ახლა მაინც მითხარი, ბიცოლაჩემო, რა მოხდა, თორემ ლამისაა ქურას გადაეცდე.

— რა მოხდა, შეილო, და გადავწყვიტე, ცოლი შემერთო დათუნა-სათვის, ვიფიქრე, მეც ნამებმარება პატარაზე და ბიჭსაც გამიხალი-სებს-თქვა უბედური ოჯახის შეილია ეს მანო. კაბა რომ კაბაა, ის არ ჰქონდა, როცა მოვიყვანეთ, ჩემი ყმანვილქალობის ყვაველებიანი კაბ გადავუკეთე და კინალამ გაგიუდა სიხარულისგან, შენ ნარმოიდგინე, ქორნილიც კი გადაუუხადე.

— ახლა კი მართლა გავგიუდები!

ანეტას ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ბევრმა გამამტყუნა და გამლანძლა, მაგრამ ერთი დღესასწაული ჩემს დათუნასაც ეყუთვნოდა ამ ცხოვრებიდან. დამნაშავედ ვგრძნობ მაგის ნინაშე თავს... სამი დღე ვერ... ეერ მოეფერა მენობერე კი... მოელედ, არ შევრცხვით. თქვენებისთვის არ შემიტყობინებია, მომერიდა მაინც...

დათუნა ამოვიდა თუ არა აივანზე, გიას უსაყვედურა, ქორნილზე რატომ არ ჩამოხვედიო.

— არ ვიცოდი, დათუნა, დედა მომიკედეს.

— იცი, რამდენი ხალხი იყო, ყველა იმდენს იცინოდა, მე მეტი მინდოდა, მაგრამ არ გვყავს აქ მეტი ნაცნობები.

დათუნა გაჩუმდა, შემდეგ მორცხვად მიმართა გიას:

— გია!

— რა იყო, დათუნა?

— რა და, ქორნილის შემდეგ ყველა დავითს მეძახის და... მე შენგან არ მეწყინება, მარა სხვას რომ ენყინოს?

— რა ენყინოს, ბიჭო?

— რა და პატივეს არ ხცემს თავის ბიძაშეილსო. დავითი დამიძახე, კარგი?!

*

გია და ლენიკო საპატიო ოთახში შეაცილეს. გაქათქათებული ზენრების სურნელმა და დაღლამ ნამსვე ლოგინში შეაცურებინა სხეული გიას.

— იცი, რა მითხრა მანომ?

— რაო? — ნაბლეტილი თვალები გაახილა გიამ.

— უკვე შემიყვარდა და შევეჩვიე დავითსო, ძალიან კარგად მეპყრობაო.

— კარგად მოეპყრობა, აბა, თავურს ხომ არ დაარტყამს.

— სულელურად ხუმრობ!

— ლენიკო, მოდი ჩემთან.

— არ მინდა.

— როგორც გინდოდეს, — მოჩვენებითი გულგრილობით თქვა გიამ და გვერდზე გადაბრუნდა.

*

კედლის საათმა სამი დარეკა.

მანომ დაიჩიქა და თმა მაგიდაზე გადაპენტა. დათუნამ უთო მოიმარჯვა და ბეჯითად შეუდგა მანოს თმების დაუთოვებას.

— კიდევ, მანო?

— სულ ცოტაც, დავით.

— მე შლაპას დავიხურავ, — თქვა დათუნამ და დაამატა, — რა გრძელი თმა გაქცეს, მე კი მცვივა.

ჭრიალით გაიღო ეზოს კარი. წყნარი, მთვარიანი ლამე იყო.

დათუნას შლაპა ეხურა თავზე, მანოს ყვავილებიანი კაბა ეცვა და
 თითქოს გრძნობდა ყვავილებს ტანზე.

*

ლენიკომ უცნაური სიზმარი ნახა. თითქოს პატარა კუნძულზე იმ-
 ყოფებოდა და მისკენ მიცურავდა ლურჯიალქნიანი გემი. გემზე
 პრინცის სამოსელში გამოწყობილი დათუნა იდგა.

ლენიკომ გამოილებია, შიშით მიმოიხედა და გიას შეუნვა ლოგინ-
 ში.

დილით სულ უმიზეზოდ ატყდა ჩხუბი, როგორც ყოველთვის ისე.
 გიამ უხეშად შეუყვირა ლენიკოს.

ეზოდან მანოს ნაზი მოძახილი ისმოდა — ჭუკი, ჭუკი...

გია ნეერს იპარსავდა, ლენიკო ბუზლუნებდა, შემდეგ სარკესთან
 მივიდა, გვერდზე გასწია გია და დიდხანს, სადისტური სიამოვნებით
 ივარცხნიდა თმას. გია ამაღლ ცდილობდა საკუთარი გამოსახულების
 დანახვას სარკეში, ყველგან ლენიკოს ფაქიზ კისერს ანყდებოდა. შემ-
 დეგ პატარა სარკე აიღო და ფანჯარასთან განავრძო პარსვა.

— ჭუკი, ჭუკი, ჭუკი... — ისმოდა მანოს ხმა.

— „შანელი“ კი არა, ნყალია ნახევარი, — აბუზლუნდა ლენიკო.

გიამ ხელი სტაცა ტანჯვით ნაშოვნ ფლაკონს და ფანჯარაში გადა-
 უძახა.

მანქანა გაპრიალებული დახვდა. უკანასკნელ წყლის წვეთებს ამ-
 შრალებდნენ მანო და დათუნა.

გია მიხვდა, რომ მანქანა ქვემოდან არ იქნებოდა გარეცხილი, მაგ-
 რამ აღარ ანყენინა ბეჭით წყლის და დიდი მაღლობა გადაუხადა.

გარშემო ფრანგული სუნამოს მათრობელა სურნელი ტრიალებდა.

გატეხილი ფლაკონი იქვე ეგდო, მას ნეტარებისგან დაელმებული
 ძალით დასტრიალებდა და ნაზად ლოკავდა.

დათუნამ დაიქსუტუნა და გაოცებით თქვა:

— რა კა სუნია?!

— მოაშორეთ ძალი, თორემ დათვრება, — თქვა გიამ.

— რას იზამს? — იქითხა დათუნამ.

— დათვრება!

— გესმის, მანო, ძალი დათვრებაო!

დათუნა აცეკვდა, თან ნამლერებით იცინოდა, — ძალი დათვრე-
 ბაო!

დათუნას უცებ გაახსენდა, რომ ის დაეითია და სწრაფად მოსხიპა
 სიცილი.

ლენიკომ ნაძალადევი ლიმილით ჩამოსძახა ფანჯრიდან:

— გია, ამოდი ერთი ნუთით!

— დამანებე თავი! — დაიღრინა გიამ და ნამსვე ინანა.

მანო და დათუნა დაუფარავი გაოცებით მისჩერებოდნენ მას.



ლენიკომ და გიამ საქორნინო საჩუქრები მიართვეს ახლა შეცდება
ლებულებს და ნასელის თადარიგს შეუდგნენ.

ავარდნილ მტვერში გაპერა ჩუმათელეთი.

უღელტეხილი ისე გადაიარეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია.

ლენიკო ბიის ღრღნას განაგრძობდა. გიას სულ უფრო და უფრო სწრაფად მიჰყავდა მანქანა დახვეულ გზაზე.

თავსხმა წვიმა დაინყო. შემზარვად დაიქუხა. გიამ საკინძე ჩაიხს-ნა და სისწრაფეს უმატა.

— არ დაკეტო ფანჯარა! — მიაძახა დამფურთხალ ლენიკოს.

ლენიკომ თვალები დახუჭა და ბიის ღრღნა განაგრძო. წვიმა უმოწყალოდ სცემდა ორივეს და უცნაურ ქინს აყოლილი საშინელი სისწრაფით მიჰქოდნენ ფანტასტიურად ჩამუქებულ გზაზე.

ისევ დაიქუხა, ელვამ ცისფრად გაანათა ალმაცერად დასერილი სივრცე.

ლენიკოს ბია გაუვარდა ხელიდან.

— გია, არ გინდა, შეშინია!

გიამ ყურადღება არ მიაქცია, გააფთრებული მართავდა მანქანას.

— სწორია, ასე აჯობებს, უნდა გადავიჩეხოთ, არაფრის ღირსები არა ვართ, ნეტა არ მენახა ის მანო და დათუნა, არც ერთი არა ვართ სასიცოცხლო, გადაჩეხე, გია, გადაჩეხე მანქანა!

მოსახვევიდან საბარევო ავტომობილი გამოვარდა. გიამ სწრაფად აილო მარჯვენივ, მაგრამ საჭის გასწორება ვერ მოასწორო და მანქანა ხევის ციცაბო დაღმართზე დაეშვა.

გია სასონარკევეთით ჩაეჭიდა საჭეს, მაგრამ უეცრად ცალი ხელი მოწყვიტა მას და ლენიკოს გადაფარა. მთელი ძალით ანვებოდა მუხ-რუჭს, მანქანა მაინც მისრიალებდა ხევისკენ. ერთადერთი შიში რომ-ლის შეგრძნებაც გიამ მოასწორო, ეს იყო შიში — ლენიკოს პარპრიზმა სახე არ დაუზიანოს. ის აზრი, რომ შეიძლებოდა ორივე დაღუპული-ყო, ვერც ნარმოედგინა, და მაშინაც კი როცა მთელი ძალით ანვებო-და მუხრუჭს, მხოლოდ ლენიკოზე ფიქრობდა.

გიამ ხეებს შორის გააძვრინა მანქანა და უცბად დაღმართზე გაი-ვაკა.

წვიმას გადაელო. გარშემო საოცარი სინყნარე სუფევდა. წყაროს ჩუხჩუხი და ჩიტების ჭიკჭიკი არღვევდა ამ გარინდებას.

გიამ სიგარეტი გააბოლა და თავი უღონოდ გადაუვარდა უკან. ლენიკო გადაიხარა და ხელისგულზე აკოცა ბიჭს.

გია ლენიკოს სიტყვებზე ფიქრობდა.

გასეირნება ვერის პაზართან

— ნუდისტები გვჭირდებოდნენ ახლა ჩვენ?! — გადაულაპარაკა
ნასვამმა კაცმა ტაქსის მძღოლს.

— ნუდისტები რა არის?

— ისინი რა, ტიტვლები რომ დადიან.

— რატომ დადიან?

— ასეა საჭიროო! — დაეზარა ბევრი ახსნა-განმარტების მიცემა
კაცს.

— აუ, რამხელა „პრობკაა!“ — ჩაილაპარაკა მძღოლმა და ფანჯა-
რაში გაიხედა.

ვერის ბაზრის ნინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გვიანი შემოდვო-
მა იდგა და ქარი სახეში ახლიდა ადამიანებს ფოთლებსა და მანქანე-
ბის გამონაბოლექს.

ქვაფენილზე დინჯად მიაბიჯებდა ბრგე, უზადო აღნაგობის მამა-
კაცი, შიშველი და ამაყი, გრძელ თითებში ჩამქრალი სიგარეტი დარ-
ჩენოდა, ტიტველ ტანზე სანთლის ნალვენთი ლოლუები ეკიდა.

ადამიანები მხიარული და ცნობისმოყვარე შეძახილებით მიაცი-
ლებდნენ მის მეფურ სელას, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა მათ
და გაქვავებული მზერა სივრცისთვის გაეშტერებინა.

კიკინებიან, გრძელთვალა გოგონას სკოლის ჩანთა მეტრდზე მიეკ-
რა და თითის ნეერებზე შემდგარი ცდილობდა არაფერი გამორჩენო-
და ამ უჩვეულო სანახაობიდან.

დედამისს თხელი, ნერვიული სახე ჰქონდა, სევდიანი და ფერმერ-
თალი, იგი დედაკაცის შემფასებლური მზერით აკვირდებოდა შემლი-
ლის ძლიერ სხეულს და ცხვირსახოცს აწვალებდა ხელში.

ნუდისტებზე მოსაუბრე კაცმა ვერ დაინახა თავისი ცოლი და შეი-
ლი. იგი განუზომელ ნეტარებას აღევსო, ყველა მისი კომპლექსი უკ-
ვალოდ გამქრალიყო და რატომლაც დიდ ქმაყოფილებას გრძნობდა
იმის გამო, რომ ხალხმრავალ ქუჩაზე ვიღაც მიაბიჯებდა ტიტველი და
გასანთლული, ხოლო თვითონ ნებივრად გადანოლილი მანქანის სა-
ზურგეზე, ნუდისტებზე ესაუბრებოდა ხელებმოსევირინგებულ
მძღოლს.

მან არ იცოდა, რომ თვითონაც მიაბიჯებდა სამარცხეინოდ გაშიშ-

ვლებული ვერის ბაზრის ნინ, დაბალი ლიპითა და დონდლო საჯდომის /
რხევით. მისი ერთგული, ლამაზი მეუძღვე ქეშეცნეულად ფლარებული //
ქმრის უნებისყოფო სხეულს გიუის ლვთაებრივ ტანს და უცნიაჭრიანი ე
რები უტრიალებდა თავში.

კიკინებიან გოგონას ჩანთა ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ არც კი
დახრილა მის ასალებად, ადგილი შეინაცვლა და კოხტად ატორტმან-
და თითის ნვერებზე შემდგარი.

დედამ, ქალმა, ახლა-ლა შეამჩნია შვილის ცნობისმოყვარეობით
ანთებული თვალები და მთელი მისი გალიზიანება და უკმაყოფილება
ერთ გაუბედავად განწულ სილაში გამოიხატა.

ქალს მდუმარედ მიძყავდა აქვითინებული შვილი სახლში და თვი-
თონაც ტიროდა, თვალებზე დახატული სალებავი ჭუჭყან ზოლებად
ჩამოსდიოდა მოგრძო სახეზე და ახსენდებოდა ცხრა თვის გაურკვე-
ველი მოლოდინის, არაადამიანური ტანჯვის შემდეგ როგორ დაანა-
ხეს მოლურჯო უსიამო არსება, მინვანი და უმწერ და იქვე მყოფი
პრაქტიკანტი ბიჭის სიტყვები — „კინალამ გაიგუდა“. შემდეგ მოხუცი
სანიტრის ხმა — „რა თეთრი ბავშვია“ და საკუთარი, გულგრილად
ნათქამი — „თეთრი კი არა ლურჯია“!

იხსენებდა იმ საშინელ ათ დღეს, სიცხიანი და დაცარიელებული,
მნვავე მასტიტით ტანჯველი, როგორ ისმენდა თმაგაცევილი შინაბე-
რა მულისაგან, რომ ქმარი სრულებითაც არ უწყრება მას გოგოს გა-
ჩენისათვის.

ქალმა დიდხანს ვერ შეიყვარა საკუთარი გოგონა და, ამავე დროს,
ეჭვიანობდა ძუძუებდატენილ მეზობელზე, მის შვილს რძეს რომ აძ-
ლევდა და არ იცოდა, რა არის მასტიტი.

ყველაფერი ეს გიუის ლამაზმა სხეულმა გაახსენა და მისმა საოც-
რად მიმზიდველმა, სევდიანმა სახემ, დიდებულობის იერი რომ დაპე-
რავდა. ეს სახე ქალს რატომლაც მომლიმარი და ალერსიანი ნარმოედ-
გინა.

უნდოდა კბილებით დაეგლიჯა საკუთარი ხელი, გოგონას ბაგეს
რომ შეეხო... მისი საყვარელი გოგონას ბაგეს.

მეტი შვილი აღარც გასჩენიათ... „მეუღლემ ველარ მოახერხა“, —
ცინიკურად აღნიშნა ქალმა, „თუმცა რატომ ცინიკურად, ეს ფაქტის
კონსტატირებაა, სხვა არაფერი, თავს ნუ იმართლებ, — გაიფიქრა
დედამ, — როცა ქალი ასეთ რამეს ამბობს, ეს უკვე...“

თავი დავანებოთ ამაზე ფიქრს...

რატომ შეაშნა ასე შვილის დაქალებამ?! იმიტომ რომ განსაკუთ-
რებით უყვარს? არა, ყველა დედას უყვარს შვილი, მის ადგილას სხვა
ქალი ეშმაკურად, ოდნავ სევდიანად გაილიმებდა და მომავალი ბები-
ობის სურნელს იგრძნობდა, მას რაღა დაემართა?!

არა, მისი გოგონა ბედნიერი უნდა იყოს, დედა ყველაფერს გააკე-

თებს მისი ბედნიერებისათვის.

„აი, რატომ ყოფილან სიდედრები აუტანელნი, მეც აუტანელი სი-
დედრი ეიქნები!“

ქალი გაძლიერდა, შესლილი მოედანზე გავიდა, კაფე „გაზაფუ-
ხულს“ ანგრევდნენ, ფილარმონიის დაუმთავრებელ შენობასთან მუ-
შები ირეოდნენ.

კაცი არ გრძნობდა სირცხვილს საკუთარი სიტიტვლის გამო, მაგ-
რამ არც ბუნებრივად მიაჩნდა უტანსაცმლობა, თუმცა არც სიცივე
ანუხებდა და არც ბოლმიანი ქარი, ერთადერთი რაც ანვალებდა, იყო
გაურკვეველი მდგომარეობა სულისა, მან არ იცოდა სიზმარია ეს თუ
ცხადი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თავისუფლად შეეძლო ტიტ-
ველს ესეირნა ქუჩაში, ხოლო სანთლის ლოლუები, აჯაგრულ მკერდს
რომ უნინერიდნენ, მეტ სხივოსნებასა და დამაჯერებლობას შემატებ-
დნენ მის წმიდა მისიას — გამოეფხიზლებინა დალლილი და საქმიანი
ადამიანები.

საბურავების წრიპინით გაეჩირდა მანქანა. შესლილი არ გაძალია-
ნებია მასავით ზორბა, თეთრხალათიან კაცებს და მორჩილად ჩაჯდა
მანქანაში.

ქალს უეცრად საოცარი აზრი მოუვიდა, კვლავ ნარმოუდგა გიუის
მოხდენილი, ნატიფი სახის ნაკვეთები და თავისდა მოულოდნელად გა-
იფიქრა, რომ ისინი მშენიერი წყვილი იქნებოდნენ. „უცნაურია, რო-
გორ მოუხდებოდით ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთისთვის ვიყოთ
დაბადებულნი.“

ქალი განითლდა, გადაიხარა და კისერში აკოცა გაბუტულ შეილს.

სადარბაზოს წინ კლასობანას თამაშობდნენ ეზოს ბაეშები. სამი
გოგო იყო, ერთი ბიჭი. ბიჭს თავზე ქვა ედო, თვალდახუჭული მიაბი-
ჯებდა დახაზულ ოთხეუთხედებში და შიშით კითხულობდა — მაკ?!
— მაკ! — ერთხმად პასუხობდნენ გოგონები.

ქალმა თვალი ჩაუკრა შეილს და კოტად გადახტა რამდენიმე
კვადრატზე.

დილით ქალი ქმრის ყვირილმა გააღვიძა:

— ნანა, ბორჯომი!

დიღხანს, ხარბად სვამდა ბოთლიდან, შემდეგ დამსკდარი ტუჩები
მოილოკა და დარცხვენით შეეკითხა ცოლს:

— ძალიან მთვრალი მოვედი გუშინ?

— ძალიან.

— არც ისე ძალიან, შენ რომ ფიქრობ! — ჩაიბურდლუნა ნაბახუ-



სევმა. უეცრად გამოცოცხლდა:

— რა უნდა მოგიყვე, საოცარ ამბავს შევესწარი გუშინ, ფარისქებაზე
ზართან ტიტველი კაცი მოაბიჯებდა, მთლიანად გასანთლულობა მოგეხდა
— ვიცი! — თქვა ქალმა, — ვიცი!

* * *

გოგონას ჯერ კიდევ ეძინა და დილის ფერად სიზმრებს ხედავდა.

გაზაფხულის თვალუნედენელ მინდორზე თეთრ კოსტუმში გა-
მონყობილი გიური და დედა მოდიოდნენ. დედასაც თეთრი კაბა ეცვა.

ორივენი ულიმოდნენ მას და წარმტაც თაიგულს უნნავდნენ თმა-
ში.

ძალიან ლამაზები იყვნენ გიური და დედა. ძალიან უხდებოდნენ ერ-
თმანეთს.

1972

ტერანგი

ეს ვეებერთელა, მრავალფანჯრიანი სახლი გზატკეცილს კარგა გვარიანად იყო დაცილებული. ჯერ ვრცელი მინდორი უნდა გადაგეპ-ვეთათ, შემდეგ მეჩეთი ტყეში ვინწრო ბილიქს გაჟყოლოდით და ბოლოს გრძელ, ქვიან აღმართს რომ გაიგა კებდით, მაღალ მესერს მიღმა, მაჯლაჯუნასაენით თავს წამოგადგებოდათ ეს უშნოდ ანონილი სა-სახლე.

გზატკეცილს გვერდზე რკინიგზის ლიანდაგი მიჟყვებოდა, მოშორებით პატარა საფეხური იყო, სადაც სულ ორიოდე მატარებელი თუ იყადრებდა ხოლმე გაჩერებას, თბილისამდე ადვილად ჩააღნევდით საათნახევარში, მინდვრიდან სახლამდე კი (ზომიერი ნაბიჯით), ათო-ოდე წუთს მოანდომებდით.

ეს აგარაკად შერაცხული სახლი საბანაძეების ოჯახს ეკუთვნიდა და ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში ააშენა გვარის სიამაყემ და ბერმუხამ, კონსტანტინე საბანაძემ, მკლავი მისთვის არავის მოუჭ-რია, რატომ კარგი ააშენეო და ბატონი კონსტანტინე უდრტვინველად მიიცვალა, შეილებითა და მრავალრიცხოვანი ნათესაობით გარშე-მორტყმული.

მისი მემკვიდრეები დიდად არ სწყალობდნენ ამ ახირებული კაცის ნაანდერძევს, ვერც აგარაკის გაყიდვა მოახერხეს და, ბოლოს სოფ-ლიდან შორეული ნათესავი ქალი გამოიხმეს და სახლის მოვლა-პატ-რონობა მიანდვეს, ქალს სახელად ანა ერქვა, შინაბერა გახლდათ. ერ-თადერთი სულიერი არსება, რომელიც მის მარტონობას იზიარებდა, ანას უსინათლო დისტენი იყო, ჩეიდმეტ წელს მიტანებული მოხდე-ნილი ყმანწევილი, სახელად ტერანგი. ამ უცნაური სახელის ისტორია მოკლედ მოიყოლება: იყო ერთი სოფელი და ცხოვრობდა ამ სოფელ-ში ორი და, უფროსი — კეთილი და ულამაზო ანიკო, უმცროსი — კე-თილი და ლამაზი ცინარა. დადიოდა ამ სოფელში კოხტაულვაშა ფოს-ტალიონი, სახელად ბესარიონი. ცინარას და ბესარიონს მოენონათ ერთმანეთი, დაქორწინდნენ და შეილიც გაუჩინდათ, რომელსაც ბესა-რიონმა, ქალაქში ცნობილი ამერიკული ფილმის ნახვის შემდეგ, ტე-რანგი დაარქვა. ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით იმ ამბავს, რომ მოკ-ლე ხანში ყველა მიხედა, ბავშვი ბრმა რომ დაიბადა.

ამას ბესარიონის გალოთება მოჰყვა, გალოთებას კი — თვითდარ-

ნმუნება, რომ დასარიგებელი პენსიები მას უფრო დასტირდებოდა, ვიდრე გადაყრუებული სოფლის გადაყრუებულ მოხუცებს კუთხადაც ქირეს ბესარიონი.

მომზინებით ელოდა მის დაბრუნებას ცინარა, მაგრამ დაუდევარ-მა ბესარიონმა, გათავისუფლების შემდეგ, დაპერა ფეხი და შეა ზია-ში ამოყო თავი, საიდანაც ცოლ-შვილს ასეთი შინაარსის ბარათი უნ-ყალობა: აյ უფრო ქარგია, ახალი ოჯახობაც გავიჩინე და თუ რამე დაგჭირდეთ, არ მომერიდოთ, შემატყობინეთო.

და ავად გახდა ცინარა, დაილია, დაჭკნა, ჩავარდა ლოგინად. სიკ-ვდილის ნინ, ხუთი ნლის ტერანგი რომ მიუყვანეს, ბავშვს არც კი შე-ხედა, ეკდლისენ იბრუნა პირი და მოკვდა.

ანამ ბავშვის აღზრდა ითავა, შემდეგ საბანაძეების აგარაჟის მეთ-ვალყურეობა და... ქატო იქა, ფქვილი აქა...

კონია საბანაძის შეილიშვილი გიო, თავის ამხანაგებთან ერთად, ხანდახან კონიესტადორიეით დაატყდებოდა ხოლმე მიუინყებულ აგა-რაკს და ტერანგის საოცნებო მოგონებად რჩებოდა — ღრიალის, სი-ცილის, ჭურჭლის მტკრევისა და ჩამოტანილი მაგნიტოფონის ამაფო-რიაქებელი სიმღერების პანგები და კიდევ ხუთი ბგერა — „ოდესა“, სადაც ემუქრებოდა ნაყვანას და თვალის ახელას მოვრალი გივიკო.

არსებობს ასეთი ნარმტაცი, ზღვისპირა ქალაქი ოდესა, სადაც ბრმებს თვალებში სინათლეს უბრუნებენ და სადაც, გივის სიმღერის არ იყოს: „Бокалы всем налиты и женщины танцуют до утра!“

*
ტერანგიმ დიდხანს ირბინა მინდორზე, ნინ და უკან, ნინ და უკან, შემდეგ გულამივარდნილი შედგა, მკლავები გაშალა და სიცილით ჩა-ემხო მაღალ ბალახში. ცოტა ხანს უძრავად ინვა მინდვრის სურნელით გაბრუებული. უყვარდა ასე მონყვეტით დამხობა სირბილის შემდეგ. ამ დროს კუნაპეტ ლამეში რაღაცა აციმციმდებოდა ხოლმე და ბიჭიც ხარბად იწოვდა ამ ციმციმს.

— ტერანგი! — მოესმა შორი ძახილი, ნამოდგა, ტანსაცმელი დაი-ბერტყა (გივის ნაჩუქარი გადახუნებული ჯინსები და ყავისფერი „ბა-ტენის“ პერანგი ეცვა) და შეუცდომლად დაადგა ტყეში მიმავალ ვინ-რო ბილიქს, მაღა დაღმართიც ჩაირბინა და ჭრიალა რეინის ჭიშკარი შეალო.

— ტერანგი!

— აქა ვარ, ანიკო დედა! — ხმა მიაწვდინა ბიჭმა და ხტუნვა-ხტუნ-ვით აუყვა კიბეს.

— აქა ვარ, ანიკო დედა! — გაიმეორა ოთახში შესვლისას, მაგრამ სუნზე მიხვდა, რომ დეიდამისი იქ არ იყო; სწრაფად გაიარა რამდენი-მე ოთახი და სასადილოში შეაბიჯა.



— ისევ ირბინე, ხომ? დედა, რა გაოფლილი ხარ, ბიჭო!

— გივი ჩამოდის ფლეს და მიხარია.

ანიკოს გაეცინა, შემდეგ მსუბუქი მოძრაობით მიეიდა ბიჭონიშვილის თმაზე გადაისვეა ხელი.

— წყალი გავაცხელე, რომ შეშრები, გადაივლე და კოსტუმი ჩაიცვი, პალსტუხი სკამზეა...

— კაი...

— კაი კი არა, კარგი, — ანა ბევრს კითხულობდა და არ უყვარდა დისპეცილს სოფლურ კილოკავს თუ შეატყობდა.

— კარგი! — მორჩილად თქვა ტერანგიმ და სივრცეს გაულიმა.

ქალს უეცრად ცრემლი მოერია, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მოზრდილ ჩანთაში დაიწყო ბურჯვენა.

— რა გატირებს? — წყარიად იკითხა ბიჭმა, — რატომ ტირი ასე ხშირად?

ანა გაოგნდა.

— მე არასოდეს არ მიტირია, არასოდეს. — მტკიცედ თქვა ტერანგიმ.

— დედაშენს მიგამსგავსე ძალიან. შენც ძალიან ლამაზი ხარ! ტერანგის გაეცინა.

— მახინჯი რომ გავხდე, აღარ იტირებ?

— კარგი, გეყოფა ახლა! — ჩაილაპარაკა ქალმა — ჰო, მართლა, ხუთის ნახევარზე რადიოში „ყბაჩამ დაიგვიანა“ იქნება.

ტერანგი ისრებზე თითების შეხებით ხედებოდა დროს, ხოლო „ყბაჩა“ მისი საცყარელი მოსასმენი მოთხრობა იყო.

— აბა, ნავედი მე ქალაქში, ხვალ დილით ჩამოვალ და...

— რატომ მიდიხხარ?

— საბანაძებს ქეიფი აქვთ და უნდა მიეეხმარო. აბა შენ იცი, დროზე დაიძინე, არ აპყვე გივის ამხანაგებს, იმ დღევანდელივით არ დაგალევინონ...

— კაი... კარგი! — სწრაფად შეუსწორა საკუთარ თავს ბიჭმა და ქალის ჩანთას მოუფათურა ხელი. — ნამოდი, გაგაცილებ.

ტერანგიმ თბილი წყალი გადაივლო და წვერი გაიპარსა, შემდეგ სადლესასწაულო კოსტუმში გამოიწყო და უმიზნოდ დაინყო ბორიალი ოთახების ლაბირინთებში. გარეშე თვალი ვერც კი შეატყობდა უსინათლობას. რადიოში „ყბაჩას“ გადმოსცემდნენ. ტერანგიმ ყურადღებით მოისმინა თითების ზეპირად ნასწარელი მოთხრობა, შემდეგ ტებილად დაიკვნესა და დამარცვლით წარმოთქვა — „ო-დე-სა“.

მოსალამოვდა და გაზაფხულის თბილმა ნიავმა დაუბერა მინდვრიდან. ბიჭი ეზოში ჩავიდა, ქიშკარი ფართოდ გააღო, ცხვირსახოცი გაიფინა ჯირკზე და ფრთხილად ჩამოვჯდა. ხეთა წყარი შრიალი და შორეული მატარებლების დიგდიგი აფრთხობდა გარინდებას.

ბიჭი სმენად იქცა. სულ მალე ტყიდან გივის ველური ყიუინა და
ხმამაღალი გადაძახილები მოისმა, ტერანგის ნეტარებით გადაწყველა
და ნამოდგა.



— ესეც გივიკოს სრა-სასახლე!

— შე კაი კაცო, ამხელა ქარვასლა რომ მოხია ბაბუაშენმა, გზა ვერ
გაიყვანა სახლამდე? უპატრონოდ რომ დაგვაყრევინე მანქანები მინ-
დორში...

— დღეს აქანე ვიქეიფებთ,
ხვალე იქინეო...

— ნანი, დისკები შენ მოგაქვს?

— გამომართვით ეს ოხერი ჩანთა, ჩამომწყდა ხელები.

— შემპანურები ჭაში ჩაუშვათ...

— აბა, დატრიალდით, ემანსიპაციით გადალლილო ქალბატონე-
ბო!

— ტერანგი, რავა ხარ, ბიჭო! — გივიკო ტერანგისთან საუბარში
რატომდაც სოფლურ კილოზე გადადიოდა.

— კარგად. ყველაფერი მზადაა!

— დეიდაშენი ანიკო?

— თქვენთან ნამოვიდა დასახმარებლად.

— გივი, მორჩი ლაილაის, გვითხარი, რა გავაკეთოთ!

— გაიცანით, ჩემი ნათესავი ტერანგი!

— ვიცნობთ.

— ძალიან სასიამოვნო! — ტერანგის რამდენიმე გოგო-ბიჭმა ჩა-
მოართვა ხელი, — თქვენზე ბევრი გესმენია გივისგან.

— თან საქმე... თან საქმე!

*

სულ მალე, რაღაც ორიოდე საათში, დარბაზში გაშლილი სუფრა
ნაომარ ველს დაემსგავსა.

ნანილი ცეკვავდა, ნანილი სვამდა. ნანილი სავარძელში ჩამჯდარ
გოგონას შემოხვეოდა, ყავის ჭიქა რომ ეპყრა ხელთ და სრული სერი-
ოზულობით უმეტხავებდა სახედაძაბულ ქალიშვილებს.

— შენ მკითხაობ, ვივიკო?

— ვმეტობ.

— კარტზე თუ ყავაზე?

— კარტს ვანებ ყავაში და ისე...

— მე მინდა ერთი სადღეგრძელო...

— კაი, დაგვანებე, ცოტა ხნით თავი, ახალს შენ არაფერს იტყვი
და...

— არა, მე მინდა მამაკაცის ცრემლის სადღეგრძელო დავლიო...

— ბატონო, ბატონო?!



— მამაკაცის ცრემლის, რომელიც იშვიათად გადმოგორდება.

— დაუსტვინა შენმა ქმარმა, თინიკე!

სუფრიდის სახე

გადასაცილებელი

— ოქროშე ქირიფასია ეს ცრემლი, ძალიან დიდი რაღაც უნდა მოხდეს, რომ...

— შენ თუ არ გაძლავლო დღეს ლამით, ქალი არ ვიყო, ერთბაშად გაემდიდრდებით...

— თინიკე, მორჩი...

— გაუმარჯოს საქართველოს, ჩვენს მშობლიურ მინა-ნყალს...

— ხმა არ გაიღო საქართველოზე. შე მათხოვარო, რა შენი სახსე-ნებელია საქართველო, შენი ბარიგა დედა ვატირე!

ხმები: გელა, გელა, რა დაგემართა, დათვერი?.. (ქალის კვილი, ბიჭების აფორიაქებული შეგახილები) დანა წაართვით, დანა!..

— გამომიჩნდა ესეც პატრიოტი, ერთ „ჯინსოვეკაში“ გაყიდის სამშობლოს.

— ჴო, კარგი, გეყოფა, არც შენ მყავხარ ცოტნე დადიანი...

ამ სიტყვებს რაღაც ლანალუნი და გინძის კორიანტელი მოჰყვა. ტერანგი დაბნეულად იდგა ოთახის კუთხეში.

— გელა, გელა, მე დამარტყი, ოლონდ გაჩერდი...

— შენც დაგარტყამ, რა გვინია...

გვის ხმა: გელა, გეყოფა... მართლა არ გამალახინო თავი...

შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, შერიგების უგრძესი სადლეგრძელო შეისვა, რასაც დიდი ხვევნა-კოცნა მოჰყვა.

გვის ბარბაცით ნამოიმართა და სამარისებური სიჩუმე მოითხოვა, მერე უზარმაზრი თასი შეავსო და ტერანგის გადახვია ხელი.

— მე მინდა, ჩემი საყვარელი კრისტალური ბიჭის, ჩემი ძმისა და სისხლ-ხორცის, ჩემი ტერანგის სადლეგრძელი შემოგთავაზოთ...

გვიომ ცაში აიყვანა თავისი ნათესავი და ბოლოს სუფრის წევრებს დაემუქრა, მალე ტერანგის ოდესაში ნავიყვან და თვალების ოპერაციას გავუკეთებო. გულაჩუებულ გივიკოს იმწუთას გულწრფელად სჯეროდა თავისი ნალაპარაკევის, თვალს მომდგარი ცრემლი სახელითი შეიშრო და ტერანგი ჩაბუბნა. გივის მეგობრები ფეხზე ნამოდგომითა და არანაკლებ მგრძნობიარე სიტყვებით მიესალმნენ უსინათლო ბიჭს და შეპირდენენ, არავის დაუაჩაგვრინებთ შენს თავსო. ერთ-ერთმა გოგონამ, დედა, რა ლამაზია და ტუჩებში აკოცა დარეტიანებულ ტერანგის. გივიმ ვეება სასმისი გამოცალა და უცებ მოსტყდა კისერი, სკამზე მოწყვეტით დაჯდა და თვალები შუშის გაუხდა.

— დიდი მადლობა! — თქვა ტერანგიმ და მოწყვეტული თასიდან ოდნავ მოსვა.

— ოჳ, ოჳ, ოჳ! მასე არ შეიძლება, სამადლობელი ბოლომდე უნდა შეისვას.

ტერანგიმ თასი მოიყუდა და დაცალა. სუფრის წევრები გამამხნე-



ვებელი ყიუინით შეეგებნენ მის გმირობას.

ამ დროს კარი გაიღო და დარბაზში მშენიერი, გრძელზომის გორგონა შემოვიდა, მას ჩაფიცვნილი, საქმიანი გამომეტყველების ბიუტი შემოჰყევა.

— მერი, მერი, რა კარგია, რომ მოხვედი...

— სად დაგვეკარგე, გოგო?

— ძლივს მოგაგენით. გაიცანი, ჩემი ახლად გაცნობილი მეგობარი... შენი სახელი, გენაცვალე...

— ვალტერი! — ლირსულად ნარმოთქვა ბიჭმა და სუფრა დაიარა, ყველას უკლებლივ ჩამოართვა ხელი, — ვალტერი! ვალტერი! ძალიან სასიამოვნოა... — ჩაფიცვნილი ახლა თვალგაშტერებულ გივის ეახლა და მძლავრად შეაჯანჯლარა მარჯვენა, — ვალტერი!

— პარრაპელუმი! — ნაილულლუდა გივიმ და თავი თელჭმი ჩადო.

— გზაში გავიცანით ერთმანეთი! — თქვა მერიმ.

ვალტერს საჯარიმო თასი გაუსიპინეს, ბიჭმა ჯერ მოიბოდიშა, საჭესთან ვარო, მერე-კი სულმოუთქმელად გამოყლურნა სასმისა.

ტერანგი ოთახიდან გავიდა. ამდენმა ყაყანმა, თამბაქოს ბოლომა და ვება ღვინის თასმა, ძალით რომ შეასვეს სუფრაზე, თავი ატკინა სიჩურე მესა და სუფთა ჰერს ნაჩვევ ბიჭს. ტერანგიმ საძინებლის კარი შეაღ.

— ვაიმე! — გოგონას ხმა იყო.

— წუ გეშინია, ბრმაა! — ხრინნიანი ჩურჩულით უპასუხა ბიჭის ხმამ.

ტერანგიმ კარი გამოიხურა, ანიკოს ოთახში შევიდა და ტახტზე ნამონვა. დარბაზიდან რიტმული მუსიკის ხმები და ყრუ გუგუნი მოისმოდა. ბიჭს შეუმჩნევლად ჩასთვლიმა... შავი კუნაპეტი ლამე, შორეული ცომციმი...

— ტერანგი! — მოისმა ვიღაცის ღრიალი. ბიჭი სწრაფად ნამოჯდა, კოსტუმი მოიცვა და დარბაზის ენ გაიქცა.

— ლოთიანად, ერთი ასანთი მოგვეცი, ყველას გაგვითავდა და...

— ამნუთას მოგართმევთ! — ტერანგი სამზარეულოში გაიქცა და ორი ასანთი მოიტანა, — ესლა დარჩა, მეტი არ იყო!

— გაიზარდე! — უპასუხა ხმამ და ბეჭტზე დაარტყა ხელი.

— გელა, უნდა ნავიდე, მართლა გეუბნები!

— არსადაც არ ნახვალ!

— გელა, გეხვეწები, გაგიუდება დედაჩემი...

— როდის ყოფილა ნორმალური, ახლა რომ გაგიუდეს...

— გელა!

— არ ნახვალ!

სკრა, აგარა, ლენინგრადი,
მორალურად არ ვარ მდგრადი...



— ტერანგი, ურთი ნუთით გამომყევი, რა! — ბიჭის ხავერდოფენი, ულა
ფხიზელი ხმა იყო.

ეზოში გავიდნენ. უცნობმა მხარზე დაადო ხელი.

— მე უნდა ნავიდე და არ მინდა, ვინმეტ შემამწინის, არა მაქს მა-
გათი თავი... გივი რომ გამოფხიზლდება, უთხარი, აჩიკომ ველარ მო-
გიცადა-თქო. კარგი?

— აუცილებლად.

— ჴო, რა მინდოდა კიდევ მეთქვა... შენ მაგათ არ აპყვე, ყველაზე
გულისამრევი პულკაა ქალაქში. არ გეგონოს, ყველა ასეთები ვართ.
არც მე უნდა მოსულიყავი, მაგრამ გივი ჩამაციედა... გივი გულიანი
ბიჭია, მაგრამ მაგანაც დაკარგა კაცობა. შენ ხომ არ გნების, გივიზე
ასე რომ ვლაპარაკობ?

— მნიშვნელი.

— ეჴ, რას იზამ! — ამოიოხრა ხმამ. — მეც ჭორიკანასავით გადმო-
ვაგდე ენა... კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ მაგათზე უკეთესი... აბა,
მშვიდობით.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— ჴო, მართლა, რაღა ოდესაში მიდიხარ, თბილისში დაილია თვა-
ლის ექიმები?

— გივიმ თქვა, ოდესაში უკეთესიაო!

— გივის ხვალ მაგ ამბავი დაავინყდება... შენ არ მოგერიდოს, გა-
ახსენე სიფხიზლეში. მატარებელი აღარ ჩამოდგება?

— ახლა უკვე აღარ...

— კარგი, არ არის ეს პრობლემა, დავიჭერ რამე მანქანას.

ტერანგის დარბაზში შედარებითი სიწყნარე დახვდა. ერთმანეთს
ჩახევული ნიკილები ნელა დაზოზინებდნენ ოთახში.

— დაანებეთ მაგ ჭიშხაურა ცეკვას თავი. დავლიოთ! — ამოი-
ლულულა ვილაცამ.

— გივის არ გაუდეიძია? — იკითხა ტერანგიმ სივრცეში.

— მაგას დილამდე ვერ გააღვიძებ.

ტერანგიმ კარი გაიხურა და ეზოში ჩავიდა. გრილოდა. ბიჭმა მა-
ჯის შუბამოხსნილ საათს შეავლო თითები. ლამის სამი საათი იყო.

დარბაზიდან ნამოსული ხმაური ნამით შენყდა, შემდეგ კი ყველა
ერთხმად აყაყანდა.

— რა მოხდა? ვინ გამორთო... ასანთი აქვს ვინმეს?.. ფუი, ამის დე-
და ვატირე... არაფერი ჩანს! სინათლე გადაინვა! სინათლე გადაინვა!
ეტყობა, მთელ სახლში... ვაიმე, დედიკო! არაფერი ჩანს! ე, მართლა
არაფერი ჩანს! არც მთვარეა, არც ვარსკვლავები... შენ მაღალე ლექს-
საც დანერ... ხალხო, რა ხდება, გააღვიძეთ გივი! გააღვიძებ მაგას...
აბა, რა ვქნათ? ვაიმე, რას მეჯახები? ვაი, შუბლი!.. ვინ მოიქნია ფეხი,

ფეხი ვინ მომარტყა?! გაჩერდით, ადგილებზე დარჩით, თორუმ დაწლენავთ ერთმანეთს... იმ ბრძან დაუძახეთ, რა პქევია მაგისტრები... ალბათ ზეპირად იცის სახლი... რაღაცა მაზალო სახელი პქევი... ტერანგი! ჰო, ტერანგი... ტერანგი!!! ტერანგი!!! ტერანგი!!!

ტერანგიმ კიბე აირბინა და ოთახში შევიდა.

— რა მოხდა? — იყითხა შეშტოთებით.

— რაღა რა მოხდა, შე კაი კაცო, სინათლე გადაინვა!

— მაგისტრის სულ ერთი არაა?..

— შენ ხომ არ გვირჩევ რამეს?

— ჩვენ ქარხანასთან ვართ შეერთებული, იქ თუ გადაინვა. დილამდე არ იქნება სინათლე.

— სად არის ეგ ოხერი ქარხანა?

— შორსა...

— ვაიმე, დედიკო, ვაიმე, დედიკო!!!

— აბა მორჩით ქალები მოთქმას!

— როგორ გავალწევთ აქედან?

— მაინც რა უბედური სიბნელეა!

— ვაიმე!

ვიღაცა მაგიდას დაეჯახა და ზრიალით დაფშვნა თეფშები. ვიღაცა ბოთლებს ნამოედო და ნაიქცა.

კვნესითა და გინებით გაიგსო სიბნელე.

ტერანგი სწრაფად დატრიალდა უსუსურიად ანრიალებულ ბრძოში.

— აქეთ არ მოხვიდეთ, დაბალი ფანჯარაა, გადავარდებით... ადგილებზე დარჩით და ყველას ერთად დაგსვამთ... ხელი მომეცით, ასე... დამეყრდენით... თქვენ გაინიეთ... ნუ გეშინიათ, კედელია მანდ. დაბრძანდით... დაბრძანდით, გრძელი ტახტია, ყველანი დაეტევით. სავარძლებია კიდევ... იქით ნუ მიიღიხართ, დაბალი ფანჯარაა...

— ტერანგი, ჩვენც დაგვსვი, ჩვენც...

— ამნუთას, ამნუთას, არ გაინძრეთ ოლონდ და ყველას გიპოვით. ზემო სართულის ოთახებიდან შეშფოთებული ხმები ისმოდა.

— ახლავე! - ხმა მიანედინა ბიჭმა.

— ჯერ ჩვენ მოგვხედე, ლოთიანად, მოიცდიან ისინი.

ტერანგი ჯარასავით ტრიალებდა ოთახში და რაღაც ისტერიულ ბედნიერებას გრძნობდა.

— მოვდივარ! — ასძახა მაღლიდან ნამოსულ ხმებს.

— სად მიდიხარ, ბიჭმ, გვტოვებ ამდენ ხალხს უპატრონოდ?

— იმათაც უნდა მივხედო.

— ტერანგი, ტერანგი, მაღლ ჩამოდი, რა!

ბიჭმი ახლა ზემო სართულზე ავარდა.

— რომელი ხარ?

— ტერანგი?

— რა მოხდა?

— სინათლე გადაინვა!

— მერე, რა ვენათ ახლა, როგორ ჩავიდეთ?

— მე ჩაგიყვანთ!

— შეენ?! შენ როგორ?.. პო, თუმცა... პო, მართალი ხარ, მართალი.

— ხელი მომეიდეთ!

— სადა ხარ?

— აქ... მომეცით ხელი... აი, ასე... (გოგონას სუსტი და ბიჭის ძლი-ერი თითები ჩაეჭიდნენ.) ახლავე თქვენთანაც მოვალ!.. — გასძახა დერეფნის ბოლოდან ნამოსულ ხმებს.

მალე ყველა ტახტის გარშემო შემოიკრიბა.

— რა ვენათ ახლა, იქნებ ტერანგიმ გაგვიყვანოს მანქანამდე?

— თხუთმეტი კაცი?

— გივიც რამ მიასიკვდილა ასე?!

— დაველოდოთ გათენებას...

— სინათლე რომ აინთოს, გავაგნებთ ტყეში, იქით კი მინდორია და სულ ადვილად ვიპოვეთ მანქანებს.

— თუ აინთო, კი...

უცნაურმა სიჩუმემ დაიბუდა ოთახში.

— ვაიმე. არ შემიძლია... არ შემიძლია... სული მეხუთება! — ისტე-რიულად შეჰველირა ვიღაც გოგონამ, — მიშველეთ, ველარ უსუნთქავ!.. ააა!!!

გაისმა ჭურჭლის მტკრევისა და სხეულის ვარდნის ხმა. ტერანგი უმალ დაიძრა ხმის მიმართულებით, მაგრამ თვითონაც გამოედო ბოთლებს და წაიფორხილა.

— აა!

— ხომ არ გაიჭერით რამე?.. დაწყნარდით, დაწყნარდით!!!

— სული მეხუთება სიბნელეში, ვაი, ვაი, ვაი... — გოგონა დაჭრი-ლი ფრინველივით აფართხალდა ტერანგის მელავებში.

— ტერანგი, ლენე მაგას ყბაში და ერთბაშად დაგვიწყნარდება! — გაისმა ვიღაცის ზანტი ხმა.

— აა, ნყალი, ნყალი, ვიხრჩობი!

— ტახტათან მოპრძანდით და მოგართმევთ ნყალს.

— ისტერიჩეა ნესჩასტნაია!

ტერანგიმ ძალით დასვა გოგონა ტახტზე.

— ეი, ეი, ხელები გააჩერე, არ დაგვპორტყუნა სუსტელა?!

ტერანგი სამზარეულოში გაიქცა და მალე ნყლით საუსე დოქებით ხელში ეახლა გუნებანამხდარ მოქეიფეებს.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონა დაწყნარდა და ახლა მხოლოდ მისი სუსტი ფშხუკუნილა ისმოდა.

— ტერანგი! — მოისმა გოგონას გაუბედავი ხმა.

— დიახ!

— ტუალეტამდე ვერ მიმაცილებ?

— კი, ბატონი! — დაიბნა ბიჭი.

— სადა ხარ?

— აქ... ხელი მომეცით... დამეყრდენით!

— შენ ოღონდ აქ მომიცადე, არსად ნახვიდე, თორემ გული გამის-კდება! — დაემუქრა გოგონა მისვლისას.

— რას ამბობთ. არსადაც არ ნავალ!

მაგრამ მიუხედავად ტერანგის დაპირებისა, გოგონა ყოველ ათ წამში ერთხელ შეეხმიანებოდა ხოლმე, ხომ არ დამტოვეო.

დარბაზიდან კი კელავ უხმობდნენ ბიჭს. ტერანგიმ სამზარეულო-ში ცოცხი იძოვა და შეძლებისდაგვარდ დაგავა თეფშებისა და ბოთლების ნამსხვერევებით მოფენილი იატაკი.

— სიგარეტი არსებობს? — იკითხა ვილაცამ&

— ცეცხლი არ პრსებობს, ცეცხლი.

— მაგნიტოფონი მაინც ჩაურთოთ.

— რამ გაგაჩინა ასეთი უტვინო, დენის გარეშე როგორ იმუშავებს?

— მე მეგონა ბატარებზე იყო! — თავის მართლებით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— ახლა უცებ სინათლე რომ აინთოს და ერთ-ერთი ჩვენგანი მკედარი აღმოჩნდეს, ნალდი ინგლისური დეტექტივი იქნება.

— კარგი რა, გელა, მეშინია!

ისევ სიჩუმე. ყველაფერი მიწყნარდა. უმრავლესობამ ჩათვლიმა.

— ბუხ! — ხაფი ხმით იღრიალა უცებ გელამ. ამას გოგონების (და არა მარტო გოგონების) შეკიცლება და გულის შეღონება მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ გელამაც ამოუშვა ხვრინვა.

ტერანგი ნამიდგა, კარი გააღო და უეცრად რაღაც სუსტ, შორეულ ხმას მოჰკრა ყური. სწრაფად აირბინა კიბე, მიაყურადა, ხმა მისი ოთახიდან მოდიოდა.

— კი, რა ხდება?

ბიჭმა ოთახში შეაპიჯა.

— რომელი ხარ? — გოგონას ნამძინარევი ხმა იყო.

— ტერანგი ვარ.

— აბა ტერანგი?

— გვიკოს ნათესავი, ტერანგი.

— პომო, ვიცი, გნახე დაბლა (პაუზა). რა ხდება, სინათლე გადაინვა?

— დიახ.

— გივი სად არის?



— ჩაეძინა.

— მეც ჩამეძინა! — მთენარებ-მთენარებით ჩაილაპარაკა გლობუსული ნამ. — ნარმომიდგენია, რა პანიკაა დაბლა, პო, მართლა, მეც მშრივას მქვია.

— ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

— უყურე ერთი შენ? — გაეცინა მერის. — რომელი საათია?

— ოთხის ნახევარი.

— აპა... — ეიდევ დაამთენარა გოგონამ, მერე რაღაცამ გაიშრია-ლოგინთან, — სადა ხარ, ბიჭი?

— აქ.

— სად აქ?

— კართან ვდგავარ.

— მერედა, რას დგახარ? მოდი, ჩამოჯეექი.

— დაბლა უნდა ჩავიდე, მელოდებიან.

— არაფერი მოუვათ. შენ, როგორც მახსოვს, საკმაოდ სიმშაოური ბიჭი უნდა იყო... მოდი, ნამომაყენე!

ტერანგი ლოგინთან მივიდა და ხელი გაუწოდა ნარმტაც სურნელს. მერის თითები ნაზად მოეჭიდნენ და მოულოდნელად, მძლავრად დაქაჩის ბიჭის მარჯვენა. ტერანგი ლოგინზე გადაკიტრიალდა. მერიმ სიცილით მოხვია მკლავები და ბიჭის ტუჩები იპოვა.

— ტერანგი, ტერანგი, — აუღურტულდა გოგო. — ვინდა, შენი მერამა გაეხდე... მერი — მერამა?! გაიხადე ეგ კოსტუმი, რას მანვალებ? შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ, თუ ჯერ კიდევ საკუთარ თაეს ეთამაშები?! გაიხადე! პირველად ხომ არა ხარ ქალთან?

— არა! — იცრუა ტერანგიმ. გივი სიმთერალეში ქალის ამოყვანა-საც პირდებოდა ბიჭს, მაგრამ ესეც, ოდესის არ იყოს, ნამსვე ავინყ-დებოდა.

მერი შრაპაშრუშით იხდიდა კაბას.

— მოდი... — თქვა ბოლოს და მძლავრად შემოეჭდო ბიჭს, — ნუ გეშინია, მიდი...

ცოტა ხნის შემდევ ორივენი უძრავად ინვენენ ლოგინზე და მკლავებით ოდნავ ეხებოდნენ ერთმანეთს.

— კარგი ბიჭი ხარ, ტერანგი... და არც მერამაა ცუდი გოგო, რას იტყვი? — სევდიანად იყითხა მერიმ.

ტერანგიმ ყელი ჩაინმინდა.

— მე თქვენ მიყვარხართ!

გოგონას წყნარად გაეცინა სიბნელეში.

— ძალიან სასიამოვნოა. რა იცი, იქნება მეც შემიყვარდე ოდეს-მე? — და ფაქიზად შეულიტინა ნეკნებში ბიჭს. ტერანგის ნერვიული სიცილი ნასკდა.

დაბლიდან კვლავ გაისმა შეძახილები.

- ტერანგი! ტერანგი! ტერანგი! სად დაიკარგე... ეი, ტერანგი!!!
- გაანყალეს გული! — უქმაყოფილოდ ჩაილაპარაკაზოგონაშიდა
ისევ მოეხვია, — კარგი ბიჭი ხარ, კარგი.
- ტერანგი! სადა ხარ, ეეეი!!!
- წავალ, მეძახიან.
- კარგი, ჩავიდეთ! — ამოიოხრა მერიმ და სწრაფად ჩაიცვა. კიბე-
ზე ჩასვლისას გოგონამ რამდენჯერმე აკოცა ბიჭს.
- თქვენ კიდევ ჩამოხვალთ?
- არ ვიცი, ჩემი ტერანგი, შეიძლება ჩამოვიდე კიდეც... იცი, რა-
ტომ? თქვენობით რომ მომმართავ ყველაფრის შემდეგ. სწორედ, მა-
გიტომ!
- ტერანგიმ მერი ტახტთან მიიყვანა, შემდეგ წყალზე გაეგზავნა ვი-
ლაციას და ბოლოს თვითონაც ტახტზე ჩამოჯდა. სურნელით მიაგნო
მერის და თმაზე მოეფერა.
- ეი, რომელი ხარ? — მოისმა უცხო ხმა. ტერანგი დამდუღრუ-
ლივით გახტა უკან: — ვის აუტყდა არშიყობა ამ სიბნელეში?
- დარბაზში სიცილი გაისმა.
- ტერანგი, საათს ცნობ?
- ამწუთას! — კვლავ შეახო თითები საათის ისრებს. — ოთხს უკ-
ლია ოცი წუთი.
- დარბაზში უეცრად ყიუინა ატყდა. ყველა ერთდროულად ნამოხ-
ტა, სახლი მხიარული შეძახილებით აიგვსო. და ტერანგი მიხედა, რომ
სინათლე აინთო.
- აბა წავედით, დროზე... ისევ არ ჩაქრეს...
- გივის რა ვუყოთ?
- გელას ხმა, — მე მოვიყიდებ ზურგზე (ხვნეშა). უ, რა მძიმეა, ოხე-
რო...
- უკლებლივ ყველა ოთახში ჭალები გააჩირალდნეს და ეზოში გაე-
ფინენ. ტერანგი უაზროდ დაბოდიალობდა და ფეხებში ებლანდებოდა
აჩქარებულ ახლგაზრდებს.
- აბა, კარგად, ტერანგი! — უთხრა ვიღაცამ.
- მე გაგაცილებთ! — უპასუხა ბიჭმა და მერის სურნელს გაეყი-
და, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კიდევ რამდენიმე გოგონა ხმარობდა
იგივე სუნამოს და ვერაფრით გაარკვია საყვარელი ქალის ადგილსამ-
ყოფელი.
- სწრაფად გადაჭრეს ტყე, შემდეგ — მინდორი. გელას ვალტერი
შეენაცელა და ბეჭზე გადაიკიდა გივის მომჩვარული სხეული.
- აი, ჩვენი მანქანებიც! — მხიარულად შესძახა ვიღაცამ და ორი-
ოდე წუთის შემდეგ კარების ჯახა-ჯუხი ატყდა. ნაქეიფარი არმია
სწრაფად შეცვიცდა „ფიატებში“ და აი, უკვე ღმუილით გაქრა ერთი
მანქანა, მას მეორე მიშეცვა.

ტერანგი შლევივით დარბოდა აქეთ-იქით და ცდილობდა ყაფანში
და ხმაურში მერის ხმა ამოეცნო, ბოლოს ველარ შეიკავა თავი და ერთი დაქოქილი მანქანისკენ ისროლა ტანი, გაისმა მუხრუჭჭმრს ყავა
ლრჭიალი და ხმამალი გინება.

— გაგიყდი, კინალამ გაგიტანე!.. აჲ, შენა ხარ, ტერანგი? — გალ-
მობიერდა ხმა.

— მერი...

— აბა, მერი?

— მერი, სად არის?

— რა ვიცი, რომელიმე მანქანაში ჩაჯდებოდა! — უპასუხა მძღო-
ლის ხმამ. — აბა, კარგად, ჯიგარო!

ტერანგი კიდევ ორ მანქანას მიეკარდა, მაგრამ მერი ვერ იპოვა.
სივრცეში გაუჩინარდა მხიარული კავალეადა და მარტო დარჩა ბიჭი
გზის პირას. ცოტა ხანს უძრავად იდგა გაქვავებული, შემდეგ მელავე-
ბი გაშალა და საშინელი ხმით დაიღრიალა:

— მერი!!!

— მერი,.. მერი... მერი! — თანდათან მიჩუმდა ექოს ხმა და ტერან-
გიც ნელი ნაბიჯით დაუყვა მინდორს. შემდეგ ტყეში შეაბიჯა. ტოტმა
შუბლი გაუკანრა, მაგრამ ვერ იგრძნო, დალმართშე ფეხი გადაიპორუ-
ნა და შეარვალი გაიფხრინა, მექანიურად დაიბერტყა და ეზოში შევი-
და. მარტოდმარტომ შეაბიჯა უკან ლამეში უცნაურად გაჩირალდნე-
ბულ სასახლეში, ნელა აუყვა კიბეს, საძინებლის კარი შეაღო და ტახ-
ტზე წამოწვა. ქვეშაგებს ოდნავ დაპერავდა მერის სურნელი. ამოტივ-
ტივდა სანუკვარი სიტყვა — ოდესა, მაგრამ რატომლაც ტკბილი ურუ-
ანტელის ნაცვლად, უნდობლად გაკანრა გულში.

ტერანგიმ ხელი მოისვა სახეზე, ლოყები სველი ჰქონდა და ბიჭი
მიხედა, რომ ტიროდა.

ინვა გულალმა ტერანგი და მნარედ ულიმოდა მარადიულ ლამეს,
სადაც აღარაფერი ციმციმებდა.

1979

მამა-შვილი ზღვაზე

ტბასავით გარინდებული ზღვიდან წელ-ნელა ნამოიმართა უზარ-მაზარი, ლურჯად ჩამუქებული ტალღა, თავზე თეთრი ქაფის ზოლი გაიკეთა და მზე დაფარა, შემდეგ გაიყინა და ყველამ დაინახა, რომ ეს იყო მთა, უყავილო, ბრტყელი მთა, მხოლოდ ქაფის ზოლი განაგრძობდა შიშინს. ხოლო სულ ბოლოს, თითქოს მზემ ამოტეხაო ამ გაუვალ სილურჯეში, ტალღა — მთის მკერდზე კაშაშა მკაცრი ჯვარი გამოკიაფდა.

გაელვიძა. სიზმარი ჯერ კიდევ თბილი და ხელშესახები იყო. საღა-მოვდებოდა. ზღვის ხმაური და ტყის შრიალი შემოდიოდა ფანჯარაში.

ვაუ სიგარეტის კოლოფს გადასწრდა და უეცრად დაინახა სავარ-ძელში მოკალათებული ჭალარა კაცი, მოთმინებით რომ ელოდა მის გაღვიძებას.

— გამარჯვობათ! — თქვა კაცმა, — მე მაქაცარია ვარ, მილიციის სამძებროს უფროსი. გახსოვართ?

— როგორ არა! — ზრდილობიანად უპასუხა ვაუამ, ლოგინზე წა-მოჯდა და სახე მოიფრინიტა.

— უჟაცრავად, ასე მძინარეს რომ დაგადექით თავს, რამდენიმე შეკითხვა მაქვს თქვენთან.

— ბრძანეთ!

მაქაცარიამ ყურადღებით შეათვალიერა ნვიმისაგან დამსკედარი ჭერი, შემდეგ მზერა აივანზე გადაიტანა და თითქოს თავისთვის ჩაი-ლაპარაკა.

— მამათქვენმა ამ სახლის მშენებლობა რომ დაინყო, მეც თქვენ-ხელა გახლდით. ეჭ, კარგი დრო იყო მაშინ...

„მოეშეო ახლა ლირიულ წიაღსულებს...“ გაღიზიანებით გაიფიქრა ვაუამ, სწრაფად ჩაიცვა ხალათი და თვითონაც სავარძელში გადაი-ნაცელა.

კაცმა თითქოს რაღაც იგრძნოო, აჩქარდა.

— ახლა რაშია საქმე! მოგეხსენებათ, ჩვენ რამდენჯერმე ანგარი-ში გაუწიეთ თქვენს ოჯახს... ცოტა აცვენილი პერიოდი რომ გქონ-დათ, ასე ეთქვათ... ახლა მესმის ხოლმე თქვენი ქება, ნარმატებები...

— რაღაც საქმეო... — შეახსენა ვაუამ.

— მოელედ, თქვენი პატარა დახმარება გვჭირდება. დღეს დილით

ჩვენმა ოპერმუშაქმა პლატეზე ვოლგოგრადის ციხიდან გამოქცეულ
პატიმარი დააკავა. აქაური ბიჭია, ზურია ჰქვია. თქვენ, თუ არცუდეთ არ
ბი, შეესწარით მაგ ამბავს.

— დიახ!

— იმ ზურიამ ჩვენი ოპერმუშაქის დანახვაზე ჯინსის „ურტკას“
სტაცა ხელი და ზღვაში გადახტა. ეტყობა რაღაც-რაღაცები მოიცი-
ლა ნყალში.

— მერე?

— ჩვენ ვიციდით, რომ მას თან ორი ათასი მანეთი პქონდა, მაგ-
რამ დაკავებისას ვერაფერი ვუპოვეთ.

„სამას ორმოცდაათი. 350 მანეთი“.

— ალბათ ნყალში ჩაყარა!

— არა. როგორც ჩვენ გვაცნობეს, მას ნაპირზე დაუყრია ფული.
ნყალში მან, ჩემი ვარაუდით, ნარკოტიკი მოიცილა.

— მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— ჩვენ ისიც გვაცნობეს, რომ თქვენს გვერდით მჯდომმა ყმან-
ვილმა აიღო ის ფული! თქვენმა ამხანაგმა, ასე ვთქვათ...

— აქ რაღაც შეცდომაა, იქ მარტო მე და ჩემი შეილი გახლდით.

— დარნიშნებული ხართ ამაში?

— ბატონ?

— ნუ ბრაზობთ! ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ ორი ათასის
პოვნა, საბუთად გვჭირდება!

„სამას ორმოცდაათის. საიდან მოიტანა ეს ორი ათასი?!”

— ციხიდან თუ გამოიქცა, ისედაც დაუმატებენ სასჯელს, რაღა
საბუთი გჭირდებათ?

— ვერ გავიგე? — ცივად იქითხა კაცმა.

ვაჟა სიგარეტს გადასწვდა და მაქაცარიასაც შესთავაზა. მან თავი
გააქნია უარის ნიშნად.

— ორი თვეეთავი დაგანებე.

— რომელი საათია?

— ექვსი ხდება.

კაცმა მუხლზე დადებული პორტფელი გადახსნა, ცოტა ხანს ქექა
უნესრიგოდ ჩაყრილი ხელნანერები, შემდეგ ერთ-ერთი დაკეცა, პე-
რანგის ჯიბეში ჩაიდო და ვაჟას მიაჩერდა. ბიჭის დაინტერესებულ
მზერას რომ ნაანყდა, გაიცინა.

— არა, ეს ისე, საჩვენებლად არ ამომილია.

— კი მაგრამ, იმდენი ფულის დაყრა ნუთუ ვერავინ შეამჩნია.

— შეამჩნიეს და გვაცნობეს კიდეც.

— რომ ჩემმა მეგობარმა აკრიფა?

— არ ვიცი, მეგობარია, ძმაკაცი თუ ნაცნობი... ჩვენ ვიცით, რომ
ფულის ამღები თქვენ გახლდათ პლატეზე.

— იცით, ნაცნობ-მეგობრები მე აქ ბლომად მყავს, მაგრამ იმ
დღეს ჩემთან ერთად არავინ ყოფილა. ასე რომ, ვერაფრით დაცეტებში გადაწყვეტილი რებით.

მაქაცარია ჩაფიქრდა, კვლავ წვიმისაგნ დახეთქილ და დალაქავე-
ბულ ქერს მიაპყრო მზერა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— თქვენი შეილი რა ხნისა?

— შეიდი ნლის.

— ღმერთმა გაგიზარდოთ! ბიჭია?

— დიახ. კახა ჰერია!

— ახლა სად არის?

ვაჟამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, ალბათ თამაშობს ახლო-მახლო...

— თქვენი მეულე არ ჩამოსულა?

— არა. ზეგ ჩამოდის. გნებავთ რამე ჰეითხოთ კახას?

— თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით...

— კი ბატონო, ჰეითხოთ, რახან ეჭვი გეპარებათ ჩემს სიტყვებში.

— არა, რა ეჭვი?! ისე, უბრალოდ... იქნებ რაიმე ახალი გვითხრას.

— ბავშვი ნახევარ სათში უნდა გამოჩნდეს წესით.

— ნახევარ საათში გამოგივლით.

— შევთანხმდით.

მაქაცარიამ პორტფელი იღლის ქვეშ ამოიდო და ეზოში გავიდა. ვაჟამ თვალი გააყოლა, შემდეგ პირსაბანის წყალი შეისხა ძილისაგნ შეშუპებულ სახეზე და მეზობელ ეზოში გადავიდა.

— რა იყო, ვაჟა? — მაღალი, ტანსრული ქალი გამოვიდა აივანზე.

— ჩემს ბიჭს ვეძებ.

— ხეზე გასული, ვერაფრით ჩამოვიყვანეთ! — გაიცინა ქალმა, — შენს თავზეა სწორედ.

ვაჟამ აიხედა და გული გაუსკდა. კახა ცალი ხელით სქელ ტოტს ჩახვეოდა, მეორეთი კი გამწარებით ცდილობდა მოშორებით მოქანა-
ვე ვაშლს მისწვდომოდა.

— კახა, ჩამოდი!

ბიჭი მაინც მისწვდა ვაშლს, მოწყვეტა, ისედაც გვარიანად გამო-
ბერილ პერანგში ჩაიგდო და უხმოდ ჩამოსრიალდა ხიდან.

— ვაშლი გინდა?

— მინდა! — ვაჟამ ვაშლი ჩაებიჩა, მოტრიალდა და სახლისაკენ ნა-
ვიდა. კახა ფეხათრევით გაჰშვა მამას.

— საბანაოდ მივდივართ?

— არა, მაგრამ მალე ნავალთ.

— დათო ბიძია ნავიდა?

— ჲო.

— სად?

- სოხუმში.
- მალე ჩამოვა?
- ალბათ.
- დედა როდის ჩამოდის?
- ზეგ. ახლა გაჩუმდი და მე მომისმინე. ჰო, მართლა, კიდევ მებუ-ტები?

კახამ არაფერი უპასუხა.

- მებუტები-მეთქი?
- არა! — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბიჭმა.
- კარგი, მაგაზე მერე ეილაპარაკოთ. კახა, მე შენ ყოველთვის გასწავლიდი, რომ ტყუილი არ უნდა თქვა!
- მერე, როდის ვთქვი ტყუილი?
- არა, არ ვითქვამს, მაგრამ... მაგრამ ახლა უნდა თქვა!
- რა უნდა ვთქვა?
- ღმერთო ჩემო! — დაიკვენესა ვაუამ, სავარძელში ჩაეშვა და სა-ხე მოისრისა. — ნადი, სიგარეტი მომიტანე!
- ჯიბეში გაქვს. — ნაიბურტყუნა კახამ.
- ჰო, ვერც შევამჩნიო.
- კახა, შენ ერთი ბიძია ვეკითხავს, თუ რა ნახე დღეს დილით პლაზეზე. აი, ის ბიჭი რომ დაიჭირეს... შენ კი უნდა უთხრა...
- რა?

— მაცალე, ტვინი ამებნა!

ვაუამ სიგარეტს მოუკიდა და ბოლოთის ცემას მოყვა აივანზე. კახა მოთმინებით ელოდა საუბრის გაგრძელებას. ზღვისა და ტყის ხმაშენ-ყობილი ხმაური ყვავის ჩხავილმა გასერა. ვაუამ სამჯერ გადააფურთხა და დამნაშავესავით შეხედა შვილს.

— კახა, შენ არ უნდა თქვა, რომ დათო ბიძია ჩემს გვერდით იჯდა. შენ არ უნდა თქვა, რომ დაინახე, თუ როგორ ავერიფეთ ჩვენ იმ ბიჭის მიერ დაყრილი ფული. ეს რომ ნამოგცდეს, ჩვენ დიდი უსიამოენება შეგვხდება.

— ვინ უნდა მეითხოს, მილიციელმა?

— ჰო, მილიციელმა. ოლონდ ფორმა არ ეცმევა.

ბავშვი ჩაფიქრდა.

— კარგი, არ ვიტყვი.

ქუჩიდან მანქანის ხმა მოისმა. ვაუა დაიძაბა, მაგრამ მანქანამ სახლს სწრაფად ჩაუქროლა და კვლავ ყვავმა დაიჩხავლა საზიზლრად. ვაუა გადასაფურთხებლად მოემზადა, მაგრამ შვილის დაინტერესებულ მზერას რომ ნაანუდა, თავი შეიკავა და გვერდზე ჩამოუჯდა ბიჭს.

— შენ ხომ გვერა, რომ მე და დათო უკადრის არაფერს ჩავი-დენთ.

— მჯერა! — მტკიცედ თქვა კახამ. მაგრამ სწორედ ეს სიმტკიცე /
არ მოენონა ვაჟას. რაირცხული

— ის ბიჭი მართლა დამნაშავეა, ტყუილად კი არ დაიჭირებული მაგრა...
რამ როგორ და რატომ გახდა დამნაშავე, ჩვენ ხომ არ ვიცით. თავი-
დანვე დამნაშავედ ხომ არ დაიბადებოდა. ისიც ხომ იყო შენსავით ბავ-
შვი?

— ჰო, — ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ დაეთანხმა კახა.

— მისი გაჩენაც ხომ ისევე გაეხარდათ მშობლებს, როგორც გაგ-
ვეხარდა შენი გაჩენა.

— ჩამოფრენა! — დააზუსტა ბიჭმა.

— რა?

— ჩამოფრენა.

— ჰო, შენი ჩამოფრენა რომ გაგვეხარდა მე და დედაშენს. ეტყობა,
საწყალს მაგრად მოენატრა თავისი მშობლები, მეგობრები, ზღვა...
თორემ ციხიდან გამოქცეული სახლში ხომ არ დაბრუნდებოდა. ეს
ხომ სისულელეა?

კახამ დინჯად დაუკრა თავი თანხმობის ნიშნად. ვაჟამ სული მო-
ითქვა და ახლა უფრო სწრაფად განაგრძო საკუთარი ადაპტირებული
მონილოგი.

— ახლა მთავარი მინდა გითხრა. იმ ბიჭმა, ნყლიდან რომ ამოვიდა,
თვალით გვანიშნა, ფულს აქა ვყრიო. ესე იგი, გვენდო მისთვის უცხო
ადამიანებს. გვენდო მაშინ, როცა ასეთ ცუდ დღეში აღმოჩნდა და
ისევ ის დაწყევლილი ციხე ელოდა. რა მოხდებოდა, ჩვენ ეს ფული
რომ აგველო და მილიციისათვის ჩაგვებარებინა?

— რა მოხდებოდა?

— ის მოხდებოდა, რომ ბიჭი ადამიანების ნდობას კიდევ უფრო
დაკარგავდა. უფრო გაბოროტდებოდა და შეიძლება საბოლოოდ ჩა-
ეჭინია ხელი ცხოვრებაზე. ახლა კი, ნლების განმავლობაში, მას ის აზ-
რი გაათბოს, რომ უცხო ადამიანებმა არ გაუმტყუნეს ნდობა.

— და გამოსწორდება?

— ალბათ. ალბათ კი არა, აუცილებლად გამოსწორდება. მაშ დაი-
მახსოვრე რაც გთხოვე?

— ეი... დიაბ!

— ესე იგი, შენ არ ახსენებ დათოს იქ ყოფნის ამბავს და...

— მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც ყველამ დაინახა.

ვაჟამ ნამით პირი დაალო.

— მამა, ეს ტყუილი დათო ბიძიას სჭირდება?

ვაჟამ კინალამ დაიკვნესა.

— ჰო!

— დაიჭერენ?

— არა, მაგრამ კარგი დღე არ დაადგება.

— არც შენ?

— რა, მე?

— არც შენ დაგადგება კარგი დღე?

— რასაკირველია! — გაეცინა ვაჟას. — ისე, შენ არაფრის შეგე-
შინდეს, მე გვერდზე გეყოლები!

— მე არ მეშინია! — ჩაილაპარაკა კახამ და ვაშლი ჩაკბიჩა.

* * *

ეს დილაც ჩვეულებრივად დაიწყო. დათო ყველაზე ადრე ადგა,
გასტრონომიდან სურსათი მოიტანა და მამა-შეილიც გააღვიძა.

— ვაჟამ მძინარე შვილს აკოცა. მერე შეულიტინა...

ვაჟამ მძინარე შვილს აკოცა. მერე შეულიტინა...

— კარგი რა, მამა, ხუთი წუთი...

— ნამოხტი, საბანაოდ მივდივართ!

კახა დენნაკრავივით ნამოხტა.

ვაჟამ ანაზდად საბეჭდ მანქანას მოკრა თვალი და გუნება მოეშა-
მა.

სიგარეტს მოუკიდა და უმიზწოდ გაბოდიალდა აივანზე.

— დედამ რომ გთხოვა, უშმიზე წუ მოსწევო?!

— არ არის ეგ შენი საქმე! - უპასუხა შვილს. ცოტა ხნის შემდეგ
პირდაპანილი და საბანაოდ გამოწყობილი „კომუნა“ პატარა მაგიდას
შემოუსხდა.

— კბილები გაიფერე?

— კი, მამა!

— კი, კი არა, დიახ!

— დიახ!

— მამა, არაჟანი არ მინდა, რა!

— ვერ ვიტან წუნუნს!

— მე არ ვწუნუნებ! — სახეზე ნამოანათა კახას.

— კახუნა! შეჭამე ეგ არაჟანი! — ჩაერია დათო — თორემ ჩამოვა
ზეგ დედაშენი და გაჩხინკულს რომ დაგინახავს, სამიერე გაგვიჯავრ-
დება.

უხმოდ შეუდგნენ საუზმეს. ვაჟა უგემურად ილუკმებოდა, ისევ
მტვრიანი საბეჭდი მანქანა ედგა თვალნინ.

— რა მოხდა, ვერც გუშინ იმუშავე? — რბილად ჰეითხა დათომ.

— ვერა, მაგის ოხერი... — ვაჟამ დროზე მოსხიპა გინება და ყურ-
დაცქოვეტილ შვილს რომ შეხედა, სულ გადაირია. — ლოკატორები-
ვით რომ ნამოგეზრდება ხოლმე ყურები ჩვენი საუბრის დროს, გატ-
ყეპვა ხომ არ მოგენატრა?

— მე მერევი? — წყნარად ჰეითხა ბაეშემა.

დათოს სახეზე ნამოანითლა და თავი თევზში ჩარგო.



— გაფი, სამზარეულოში დამთავრე ჭამა!

კახა უხმოდ წამოდგა, საკუთარ დანა-ჩანგალს და თეჯში შეღლა ჩასტიდა, გაუბედავად გაულიმა დათოს და აიგნიდან სამზარეულოში გავიდა. ვაჟამ თვალი გააყოლა შეიღს და გული შეეცუმშა.

— პესტალოცი! — გინებასაცით წარმოთქვა დათომ — ეგ ბიჭი მუტრუე არ არის, არ შეიძლება მისი დამცირება. შენ თუ ვერ მუშაობ და „ერასინკა“ აგიბოლდა, ბავშვი რა შეუაშია!

— თავი დამანებე, რა!

— არ დაგანებებ!

— არ ვიცი, დათო, რა მემართება. დედამისს უურძალავ კახას და-ტუქსვას თავმოყვარეობა არ შეულახო-მეთქი. თვითონ კი, მარტო როგორც დაერჩი, კაპას დედაკაცად ვიქეცი.

— ზედმეტად ახალგაზრდა ხარ! — გაეცინა დათოს.

— ჰო, ოცი ნლის ვიყავი, ეგ ყმანვილი რომ მოგვევლინა მე და ირინკას.

გაახსენდა: კახა სულ რამდენიმე თვის იყო, პირველად რომ გაბე-და მისი ხელში ატატება... შემდევ საკუთარი სიმამაცით გათავხედე-ბულმა სასწრაფოდ შეფუთა ბავშვი და ბებიასთან გააქანა. ახალგაზ-რდა მამის ბრივული სიამაყით მიაბიჯებდა ქუჩაზე, ქალაქში ფოთ-ლებს წვავდნენ, გვიანი შემოდგომა იდგა.

და უეცრად ჩამობნელდა, სადღაც ელვამ გაკუთა კაბადონი, ყრუდ დაიგრგვინა. ვაჟამ თავისდაგასაკვირად დაინახა, რომ ქუჩა სულ დაცარიელდა, არც ადამიანები, არც მანქანები... რამდენიმე პირქუში, თვალებჩამქრალი სახლი წამოდგომოდა თავს და რატომ-ლაც ენით აუნერელი შიში და უმნეობა იგრძნო, თითქოს რაღაც უხი-ლავი და საზარელი დაემუქრა მის თოთო შეიღს, თვითონ კი უსუ-სურს და ულონხოს ძალა არ შესწევდა შესკდომოდა ბოროტ სტიქიონს. ვაჟამ მეტრდში ჩაიკრა პატარა სიცოცხლე და ჩვილის განუმეორებე-ლი სურნელით გაბრუებულმა ჩაილაპარაკა: მე შენს თავს არავის და-ვუთმობ!

რაღაც წამებში მოხდა ეს. შემდეგ თვითონაც ეცინებოდა თავის უცნაურ ქცევაზე...

— არ იცი, როგორ ლადაობდნენ შეწიე ბიჭები? — გაეცინა და-თოს.

— როდის?

— კახა რომ დაიბადა!

— რას ღადაობდნენ?

— გაიგე, ვაჟა რატიონს ბიჭი შეეძინა და უკვე პასტერნაქს კითხუ-ლობსო. შენ იმდენს ტრაბახობდი...

— კინტოები ხართ, რა უნდა გელაპარაკოთ! — გაიცინა ვაჟამაც, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, არ ესიამოვნა ეს ხუმრიობა.

— არ ნავიდეთ?

— კახა შენ ნამოიყვანე, გაბუტული იქნება ჩემზე!

მზე უმონყალოდ აცხუნებდა, პლატს ორთქლი ასდიოდა, ხალმზრავლობა იყო. სიცხისაგან დაელმებული დამსვენებლები შვებას ზღვაში ეძებდნენ.

ვაჟა შურით უყურებდა ნყალში მოთამაშე დათოს და კახას. აյი თვითონ აიკრძალა დღეს დილით ყველაზე დიდი ნეტარება: შვილთან ერთად წყალში ჩადგაფუნება და კახას გამხდარი მელავების მოჭერა კისერზე.

— ვაჟა, როგორა ხარ? — მის გვერდით მოხდენილი, ქერა გოგონა ჩამოჯდა.

— რა მიშაეს. მაგრად გაშავებულხარ, ნელი!

— ჰო, კანი მძვრება უკვე. სიგარეტი გაქვს?

— მაქვს!

ნელიმ სიგარეტს მოუკიდა და ზღვას გახედა.

— არსებობს სადმე ასეთი ზღვა?

— ალბათ არა!

— ირინე როდის ჩამოდის?

— ზეგ.

— არ მოენატრა კახას?

— ძალიან, მაგრამ არ იმჩნევს.

— ჰო, ამ ასაკში, ბიჭებს უფრო დედები უყვართ! — ავტორიტეტულად დასკვნა ნელიმ — არ გენყინოს!

— არა მწყინს.

— სასტიკე შეკითხვებს არ გისვამს შეილი?

— რა შეკითხვებს?

— მაგალითად, თუ როგორ და საიდან გაჩნდა ამ ქვეყანაზე!

— ამასთან დაკავშირებით თვითონ მოიგონა მშვენიერი ვერსია. ცაში დაუფრინავდი და მშვენილდისარი მეტირა ხელშიო. მერე ფრთხები მომტყდა და ძირს ჩამოვარდიო. კუპიდონის სურათი ნახა მუზეუმში.

— ისე, მართლა ჰგავს კუპიდონს!

კახა ნყლიდან ამოხტა, მათთან მოირბინა და პირსახოცზე ნამონვა შორინახლოს.

— აი, ასე მყარაულობს! — ჩუმად გადაულაპარაკა ვაჟამ გოგონას.

— ეჭვიანობს! — გაიღიმა ნელიმ, შემდეგ კახას მოუტრინალდა — რა ლამაზი ბიჭია!

— მე ლამაზი არა ვარ! — ჩაიბურტყუნა კახამ.

— შეურაცხყოფად თელის! — კმაყოფილი მამის სიამაყით ახსნა ვაჟამ, შვილს ქუდი ჩამოაფხატა თავზე და ნამოდგა — არ მოიხადო, არ შეიძლება მზეზე უქუდოდ.

ვოგონა მეგობრების ჯგუფს შეუერთდა. ვაჟამ მთვარეულივით
გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შემდეგ ადგილიდან მოწყდა და ჰქონდა
გადაეშვა. უზომო ნეტარება იღრძნო, ამღვრეული ცისფერი მრავალი
გახელილ თვალებს, შემდეგ თანდათანობით გამუქდა ყველაფერი და
ამოყენოთენისას მზემ დაპრმავა.

ნაპირს ხრინნიანი, მოძველებული შლაგერის ბლავილით სასეირ-
ნო კატერი მოადგა. ნაბახუსევი ბიჭების ჯგუფი გემბანზე აცვევდა,
მაგრამ კატერის კაპიტანმა მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა, როცა
გამოაცხადა, გემზე ჩეხური ლუდი გათავდა.

ვაჟა ნაპირზე ამოვიდა და სიამოვნებით განვა ცხელ ქვებზე.

— კახა, ქუდი დაიხურე, ძალიან ცუდი მზეა! — მოესმა დათოს ხმა.
ნამოჯდა, ხელი მოაფათურა და სიგარეტს მოუკიდა. კატერი უმალ
გაივსო დამსვენებლებით და ნაპირს გასცილდა.

— კახა, ჩრდილში ადი.

— ერთსაც დავსეულდები! — ჩაიბურტყუნა კახამ, მამის თანხმო-
ბას ალარ დაელოდა და წყალში ჩახტა.

„მებუტება, ვერ მაპატია“.

უეცრად ვაჟას ყურადღება ერთმა უცნაურმა ჯგუფმა მიიპყრო.
სამი ბიჭი ნაპირთან ჩაცუცქულიყო, სამივეს ძალზე სერიოზული გა-
მომეტყველება ალბეტდონდა სახეზე, ხმადაბლა საუბრობდნენ და და-
ნისლული მზერით დროიდრო თვალს შეავლებდნენ ხოლმე პლატის შე-
მოსასვლელს. უცნაური კი ის იყო, რომ ამ სიცხეში ბიჭები ჯინსის
შარვლებში, ბათინკებში და კურტაკებში გამოწყობილები ისხდნენ
ნაპირზე.

დათო და კახა წყლიდან ამოვიდნენ და ვაჟას გვერდით ჩამოსხდ-
ნენ. დათომ თვალი გააყოლა მეგობრის მზერას.

— რას იკლავენ თავს ამ სიცხეში?! — ჩაილაპარაკა. თითქოს მისი
ნათქვამი გაიგონაო, ერთ-ერთმა ბიჭმა, ქერამ და ჩაფუსკვნილმა, სრუ-
ლიად მოულოდნელად იქვე დაგდებულ კურტაკს ხელი სტაცა და
ტანსაცმლიანად გადაეშვა წყალში.

ვაჟა გაოგნდა. ქერამ გაჭირვებით გაცურა ორიოდე მეტრი, რამ-
დენჯერმე ჩაყვინთა და შემდეგ ნაპირის გასწრივ განაგრძო ცურვა.
კურტაკი, შარვალი და ბათინკები გვარიინდ უშლიდნენ ხელს, მაგრამ
ის სასონარკეეთით, მაინც ცდილობდა არ მოახლოებოდა ნაპირს. მის
ორ მეგობარს სამი ფორმიანი მილიციელი დადგომოდა თავს. ვაჟამ
მოიხედა და დაინახა, მაღალი, თმაშეთხელებული ჯანიანი კაცი, გა-
მაძლარი ვეფხვის მოძრაობებით რომ მიუყვებოდა ნაპირს და თვალს
არ აცილებდა წყალში მოფართხალე ბიჭს. პერანგი გალელოდა, საქამ-
რეში ტიტველი იარალი ჰქონდა გარჭობილი. ბიჭმა შენყვიტა წყალ-
თან ბრძოლა და ვაჟას და დათოს შორიახლო ამოვიდა წყლიდან. ფე-
რი ნასვლოდა, ღრმად სუნთქავდა, ტანსაცმლიან წურნურით ჩა-



მოსდიოდა მოლურჯო წყალი.

კაცი დინჯვად დაიძრა მისკენ. ქერა ნამით მოტრიალდა, ვფუძი ჟავა
დათოს შეავლო გამნარებული მზერა, შემდეგ თვალით რაღაც ინსტარენი
და შეუმწჩერელად ამოყარა ჯიბიდან დასველებული ფულის დასტა.
ვაუა ზანტი მოძრაობით გადაიხარა და პირსახოცი დააგდო ფულის
ბლუჯაზე. იარალიანი კაცი მივიდა ქერასთან და მსუბუქად ნაპერა
ხელი ბეჭე?

— ნამოხვალ, თუ იფაფხურებ კიდევ?

ბიქმა არაფერი უპასუხა. თვალი შეავლო მილიციელებს, შემდეგ
ოდნავ დაიხარა, სარმა გამოსდო კაცს და ფართხუნით გაიქცა გასას-
ვლელისკენ. კაცი შეტორტმანდა, მაგრამ არ ნაიქცა, შემდეგ, ზამბა-
რასავით შეკუმშული სხეული ორჯერ მოისროლა ბიჭის მიმართულე-
ბით, გზად იარალის ამოღებაც მოასწრო და მოწყვეტით ჩაარტყა ქა-
რას ფერდში. ბიქმა დაიკვენესა და ნელა დაეშვა ქებძზე.

ყველაფერი ეს ნამებში მოხდა, გონიმოსულმა ხალხმა იხუვლა, ქა-
ლის კივილმა გააპო გარინდება და აღშოთოთებული ახალგაზრდების
დიდი ჯგუფი გარს შემოერტყა კაცსა და ქერას. ვაჟამ რამდენიმე ბი-
ჭის დახმარებით ხელიდან გამოგლიჯა ქერა იარალიანს, მაგრამ ის
გააფთრებით ჩააფრინდა ბიჭს საქამირეში და რაღაც იყვირა.

— რას შერებით, ეს ორგანოს თანამშრომელია! — აყვირდნენ თა-
ნამშრომლებიც და გზა გაიკაფეს მისევნ.

ქერა კვნესით ნამოდგა. კაცი დაეხმარა ნამოდგომაში, იარალი
კელავ ქამარში გაირჭო და ცოტა ხანს ასე გაშეშებულები იყვნენ.
სულს ითქვამდნენ. პირამოიანი დამსვენებელი ქერასთან მივიდა, ხე-
ლი უბიძგა და კბილებს შუა გამოსცრა:

— ლოჯის!

ბიქმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, შეიგინა და ფეხი ამოსცხო
არამეტოხე მოხალისეს. პირამოიანმა უეცრად ქალის ხმით მორთო ეი-
ვილი.

ქერა ორგანოს თანამშრომელს მოუტრიალდა.

— სიგარეტი მომეცი!

კაცმა უხმოდ მიანოდა კოლოფი. ბიქმა აცახცახებული ხელით მო-
უკიდა ვიღაცის მიერ შეთავაზებულ სანთებელაზე სიგარეტს და
მორჩილად გაჟყვა კაცსა და მილიციელებს. გასასვლელში შემოტრი-
ალდა და იყვირა:

— ვისაც ჩემი დახმარება გინდოდათ, დიდი მადლობა, ვისაც არა
და... — ამას მოკლე გინება მოაყოლა, — შემდეგ იქვე მდგარ სასწრო-
ზე აინონა და თავჩაქინდრული ნალასლასდა გასასვლელისკენ.

ვაჟა უკან დაბრუნდა. დათოს და კახას პირსახოცები და ტანსაც-
მელი აეკრიფათ და მას უცდიდნენ.

— რა მოხდა, მამა? — ბორძიქ-ბორძიქით ჰეითხა კახამ.

— ბოროტმოქმედი დაიჭირეს, ბიჭიკო! — კმაყოფილი სანით ავტ-
სნა მელოტმა, ჩასუქებულმა კაცმა.

— ფული მე ავიღე! ნაეიდეთ! — ხმადაბლა თქვა დათომენაუკერძოება
საათის შემდეგ ვაჟამ დათო ავტობუსის გაჩერებამდე მიაცილა. და-
თო ორი დღით უნდა ჩასულიყო სოხუმში, თვითონ კი პლაზტე დაბ-
რუნდა. სასწორთან ხუთოდე ბიჭი ირეოდა. ერთ-ერთი ვაჟას ნაცნო-
ბი იყო. დანარჩენი ოთხი ქერას მეგობრები აღმოჩნდნენ.

— ფული დაყარა ზურიამ პლაზტე... ვიღაცას აუღია!

— მე ავიღე! — თქვა ვაჟამ, მელავი გამოსდო ერთ-ერთს და და-
ნარჩენების თანხლებით შეფარებულ ადგილს მიადგა.

— შენ ვაჟა ხარ, რატიანი? — ჰკითხა შავტუხა, თხელმა ბიჭმა —
ჩეენ გიცნობთ. — ვაჟამ სველი ფულის ბლუზა ამოილო ჯიბიდან და
დაბალ, პირმრვეალ ბიჭს გაუწოდა.

— ეს არის თქვენი მეგობრის ფული, სამას ორმოცდაათი მანეთია.

— ეგ ფული ჩეენ-შევეგროვეთ ზურიას! — გაუღიმა შავტუხამ.

— აქ მეონი სამოცდაათი მანეთი აელია! — ჩაილაპარაკა ფულის
დათვლით გართულმა დაბალმა. ვაჟას სისხლი აუვარდა თავში, საყე-
ლოში მოკიდა ბიჭს ხელი და თავისკენ მოქაჩა, მაგრამ შავტუხა და ის
ნაცნობი ყმანვილი ჩადგნენ შუაში.

— ჩეენ გვაპატიე, ვაჟა! შენზე არც უფიქრია!

— გეფიცები, მეგობარო, ეს ისე ვთქვი! — ჩაერია დაბალიც და სა-
ყელო გაისწორა — მასეთ რამეს არც გაეადრებდი, პირიქით, მადლო-
ბელი ვართ შენი.

— თითო ჭიქა დავილოცოთ! — თქვა შავტუხამ, მაგრამ ვაჟამ საქ-
მები მოიმიზეზა და მალე დაშორდა ბიჭებს.

ქუჩიდან სიგნალის ხმა მოისმა.

— შენ ჯერ აქ იყავი, კახა, მე რომ დაგიძახებ, მაშინ გამოდი!

— კარგი! — ჩემად თქვა ბიჭმა. ვაჟამ იჭვნეულად შეავლო შეილს
თვალი და გარეთ გავიდა.

მანქანაში ოთხი ისხდნენ. მძლოლის გვერდით ის თმაშეთხელე-
ბული კაცი გაშელართულიყო, ვება ტორი მანქანის საზურგებელი გა-
დაედო და თვალებმილულული ლილინებდა რაღაც მოტიკს. უკან სამ-
ძებროს უფროსი მაქაცარია და მილიციელი ისხდნენ. ვაჟამ კარი გა-
მოაღო და მაქაცარიას გვერდზე მოუჯდა.

— გამარჯობათ!

ორგანოს თანამშრომელი მოტრიალდა.

— თქვენც იყავით დღეს დილით იქ? — ჰკითხა ლიმილით ოპერმუ-
შაჟმა — თქვენი სახე მეცნობა!

— დიახ, იქ გახლდით!

— ის ორიც ავიყვანეთ! — მიახარა ვაჟას მაქაცარიამ.

— კიდევ კარგი, ზურიას იარალი რომ არ ჰქონდა თან! - თქვა აძარებული
დე ჩუმად მყოფმა მიღლიციელმა.

— ჴო, ცუდი ამბები დატრიალდებოდა, სავსე იყო პლაუი ბავშვე-
ბით და ქალებით! — ფიქრიანი თვალები გაუხდა ოპერმუშაკს — ბო-
ლო-ბოლო დავაჭედავდი ოთხ ტყვიას და ამით გათავდებოდა ყველა-
ფერი!

— რატომ მაინც დამაინც თოხს?! — ჰერთხა ვაუამ. ოპერმუშაკი
ყურადღებით ჩააკეირდა ვაუას და უხმოდ შეტრიალდა.

— თქვენი ბიჭი მოვიდა? — ჰერთხა მაქაცარიამ.

— დიახ, ახლავე დაუძახებ! კახა!

კახამ ჭიქვარი გამოალო და მანქანისაკენ ნამოვიდა. ფერი დაკარ-
გვიდა, ფეხები უკან რჩებოდა. ვაუამ გამამხნევებლად გაულიმა.
სხვებიც ლიმილით მიესალმნენ.

— გაუმარჯოს ვაუკაცს, რა გქვია?

— კახა!

— მშვენიერი სახელია! — მოუნონა მაქაცარიამ — სკოლაში და-
დიხარ?

— დიახ, პირველ კლასში გადავედი!

— პირველ კლასში როგორ გადახვედი?

— ნოლ ჯგუფში ვიყავი!

— აშ, ეს ნოლი ჯგუფები... სულ დამავინცდა. ფეხბურთი ვიყვარს?

— მიყვარს!

— ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ვინ ვიყვარს?

— ყიფიანი! — თქვა კახამ, მერე რატომლაც დაამატა — მამა იც-
ნობს ყიფიანს!

— ჴო, მეც ყიფიანის თამაში მომწონს ყველაზე მეტად! ერთი ეს
მითხარი, დღეს დილით, პლაუზე ქურდი რომ დაიჭირეს, იქ იყავი
შენც?

— დიახ!

— იმ ბიჭმა ფული რომ დაყარა, ხომ გახსოვს?

— არა.

— როგორ, ვერ დაინახე იმ ქურდმა ფული რომ დაყარა და...

— ვერ დაეინახე! ის ბიჭი წყლიდან რომ ამოვიდა, აი, ამ ბიძიამ და-
იჭირა.

— კახა, ვინ იყო შენთან და მამიკოსთან ერთად?

— არაეინ!

— კახა, შენ რაღაცას გვიმალავ მგონი. ეს კი არ არის კარგი. დაგა-
ვინცდა ვინ იჯდა მამასთან?

— პლაუზე ბევრი ხალხი იჯდა მამას გვერდით. მაგრამ ჩვენთან
ერთად არაეინ ყოფილა.

— მდაა... — მაქაცარიამ ვაუას შეხედა და უეცრად გაეცინა. ვაუა



კი შეიღლის გაფითრებულ, განწირულ სახეს უყურებდა. ჩამავალი
მზის სხივი რომ სცემდა ირიბად.

მანქანაში მსხდომნიც კახას უყურებდნენ.

მაქაცარია გადმოვიდა მანქანიდან, ვაუას მელავი გამოსდო და
გვერდზე გაიყვანა.

— იცით, ერთი რამე მინდა გითხრათ...

— ბრძანეთ!

— ძალიან კარგი ვაუი გყავთ!

— გმადლობთ!

— ნუ ჩჩქარებთ მადლობის თქმას. მე შეიღლი შეგიქეთ და არა
თქვენი საქციელი. რატომ არ იფიქრეთ, რომ ეს სამას ორმოცდაათი
მანეთი იმ სალახანამ ვინმე ნესიერ და კეთილშობილ კაცს მოჰპარა.
ჩვენ გავიგეთ, რომ ის თრი ათასი მანეთი სხვას მოუპარავს. ისიც გა-
ვიგეთ, ამ ნახევარ-საათში, რომ სამას ორმოცდაათი მანეთი მეგობ-
რებმა შეუვროვეს, მაგრამ თქვენ დასანყისში ხომ არ იცოდით ყოვე-
ლივე ეს. იცით, ძალიან ადვილია სხვის ხარჯზე პუმანისტობა. ვერ
დაგეთანხმებით, ვერ დაგეთანხმებით!

მაქაცარია მანქანაში ჩაჯდა და იქიდან დაუქნია ხელი კახას. ბორ-
ბლების ნრიპინით გაუჩინარდნენ მოსახვევში.

— ნამო, სახლში შევიდეთ! — მიუბრუნდა ვაუა შეიღლს.

— ნამო! — ჩაილაპარაკა კაუამ.

ლამით ძლიერი ქარი ამოვარდა და ორჯერ შემოგლიჯა აივნის კა-
რი. ვაუამ რის ვაივაგლახით დაამაგრა კარი და შეიღლს მიუწვა გვერ-
დით. მესამედ უკვე გარიურაუზე გაეღვიძა.

კახა ლოვინზე ნამომჯდარიყო და კედელს უყურებდა.

— რა დაგემართა?

— რაღაც მესიზმრა!

— რა?

— არ ვიცი, მეონი დიდი ტალღა იყო. დედა ხვალ ჩამოდის?

— ჲო, ხვალ!

— კარგია! — ჩაილაპარაკა ბიქმა, ბალიშზე გადაწვა და დაიძინა.
მამას კი თვალი ალარ მოუხუჭავს. საფიქრალი ბევრი ჰქონდა.

ლექსიგი

ვუძღვნი ნოდარ ბოხუას

ნუ დამიმალავ, რა არის — დროშა?
 თუ გასისხლული ნაჭრის ნახევი...
 თუ ნიშანია შემუსრულ დროში,
 მხურვალე ლოცვით ნაკარნახევი.
 რად მიმეითხავებ საძირქველის მოშლას
 რალას დამაკლებ ცოდვაგამხელილს,
 ჩემს ხელისგულზე მეითხაობს ბოშა
 ძუნწი ლიმილით თანამზრახველის,
 რალაც დაინყო და რალაც მორჩა...
 გეუცხოვება შენი სახელი,
 სამიზნე შენი სარკეში მოჩანს,
 მესროლე ტყვია თვალებგახელილს.
 აბა მითხარი, რა სათქმელია!..
 კაენი აბელს, კაენს აბელი,
 „გამარჯვებული“ კვლავ ქართველია,
 კვლავ მოერია ქართველს ქართველი!
 მაშ დროშაა თუ ნაჭრის ნახევი?
 ვინ შემიყვარებს ცოდვაგამხელილს
 მხურვალე ლოცვით ნაკარნახევი,
 შემომასკდება თვალებახელილს
 ნათელი აზრი, შენი სახელი.,
 სახეს გამითბობს წმინდა სანთელი,
 და გამოჩნდება თანამზრახველიც,
 როცა შეუნდობს ქართველს ქართველი.
 მაშინ დალბება მკერდში იარა
 და მაშინ გეტყვი იმ მთავარ სათქმელს,
 როცა დამინდობს ბედი კი არა,
 როცა ქართველი დაინდობს ქართველს.

მე ვარ კვაზიმოდო, მე ვარ კვაზიმოდო,
 მე მთელი სიცოცხლე ბეჭებით დავათრევ,
 უხეშ ტომარაში ჩაგდებულ ლოდივით კუზს.
 თქვენ მე შეგიძლიათ მახინჯი მიწოდოთ,
 მაგრამ მოუსმინეთ ნუთით კვაზიმოდოს
 მას ერთი რამის თქმა სურს.
 ო, ნუ გაიკვირვებს ამაყი ბიჭი და
 ნუ გაელიმება იმ ცისფერ გოგონას,
 თეთრი მიხაკებით თმებში,
 ჩემი სიყვარული ზვავივით მოგორავს,
 ნუ გაელიმება იმ ცისფერ გოგონას,
 რომ თქვა, რომ ყველაზე
 უფრო ლამაზი ვარ თქვენში.
 მე არ ვარ რომეო და გრძნობა უზიარს,
 არვინ მოუნამლა ტრფობის ამულეტი,
 ჩემი სიმახინჯე და აი, ეს კუზია
 ჩემი მონტეგი და ჩემი კაპულეტი.
 ფოფხვით და კანკალით, სულამოუთქმელად,
 ტაძრის სამრეკლოზე ავალ აღტკინებით,
 მიჯნურის ლამაზი სიტყვების უთქმელად
 და შეასკდებიან ერთმანეთს რეინები.
 მაშინ ვერ შემბოჭავს ტკივილის თარეში
 და თქვენ შეგეძლებათ ლამაზი მიწოდოთ,
 როდესაც ღვთიმობლის ტაძრის სამრეკლოდან,
 ვაბლავლებ სიყვარულს უანგიან ზარებში,
 კოჭლი, კუზიანი, ნაზი კვაზიმოდო!

1967 წ.

მე ვიკოდები ტეივილების მუწვევი ალაგმვით.
 და მამაკაცთა პაპიროსის ლურჯი ბოლიდან,
 მოსჩანს ქალაქი, ნაცრისფერი, მოსჩანს ქალაქი,
 ყველა მაღალი ილუზის გილიოტინა.

ყველამ თითქოსდა, ერთდროულად დაადო ხელი,
 ბედნიერების, სიყვარულის მთლიან აღკვეთას
 და როგორც დანით გადაჭრილი მაღალი ყელი,
 სასონარკვეთას ყმუის კაცთა სასონარკვეთა!

ჩახმახებისკენ მიიწევენ მათი ხელები,
 და თავს იქლავენ ცხოვრებისგან უღვთოდ ნაცემნი,
 სევდიანი და ფეხშიშველი დგანან ხეები,
 როგორც ტყვეობას ჩავარდნილი ჯარისკაცები,
 ეძებენ იმედს, ჩახლეჩილი ხმით უძახიან
 და ახრჩობთ ბოლი ამ სახლების საკვამურების,
 თითქოს სახლებსაც თვითმკვლელობა განუზრახიათ,
 და შავ კბილებში ჩაუდიათ თოფის ლულები,
 ყველა შეპყურებს სიძულვილით, უტყვი მუდარით,
 მე კი სიცოცხლის სილამაზის განახელები,
 გავხდები დიდი ხომალდების ნავსაყუდარი,
 მოხეტიალე, სევდიანი კარაველების.

ჟვითელი კუბო

გადანაცრისფრდა ლურჯი მინდორი,
 და ალარავინ არ გამიკეთებს
 იმ თაიგულებს, მე რომ მინდოდა
 დამედო ვინრო, ყვითელ კუბოზე.
 მე შემოვედი დაუღალავი
 და მხიარული კვიცის ჭიხვინით,
 და უცებ ყველას რაღაც გახადეს
 და უხალისო გარდაცვალება,



უსნორმასნორო ყვითელი მარშით,
ორკესტრის სქელი ლოყების ბერვით,
გამოეფინა მოთენთილ ქარში,
ჩემს შესახვედრად გამოეფინა.

ძვირფასო, ველზე კვიცებს დაღავენ,
დაუდალავებს ქამანდს ესვრიან,
ყელგამოლადრულ ირმის ლალადით
დააგუგუნებს ზარს ეკლესია,
აქ დავინერე უშენოდ ჯვარი,
შენ არც გექნება ეს გაგებული,
და მონაზვნების ნალანდი ჯარი
შემომეხია გაკვირვებული...
„უცნაურო, ჭირნახულო, ჭინჭრიანო ბიჭო,
ბედს წუ ეჭირვეულები,
თუკი რამე გიჭირს,
ლმერთს მიმართე ასე გიჯობს,
ველში ნათარეშო,
რატომა გაქვს მაგოდენა
სევდა შავ თვალებში“.
ყვითელი კუბო, ჩემი სავანე,
კვიცი შემაბეს მძიმე ურემში,
ვათრევდი დამჭენარ იასამანებს
ხარებთან ერთად გულგრილ ქუჩებში.
შემდეგ შემომხვდა პატარა ქუჩა,
მინა დამსკდარი, მშარლი ტუჩებით,
ქუჩის ბოლოში მარხავდნენ ჯუჯას
მოხეტიალე ქუჩის ჯუჯები.

1966 5.

ცა უმზეობამ დაასწეულა
 და ცისარტყელებს უხმობს ვედრებით,
 დღეს თითქოს ყველა ხე ნაქცეულა
 და მისაყრდნობად დამრჩა კედლები...

უმზეობაში მზე თუ ჩავთესე,
 მე მას ლრუბლიან მკერდში ჩავიდებ,
 და დავუძახებ როსინანტებზე
 კვლავ ამხედრებულ გამხდარ რაინდებს,
 ვეტყვი, დაშნები რატომ ჩააგეთ,
 არ შეუშინდეთ დღეს ქარ-წვიმიანს,
 თქვენ ნისქვილებთან ბრძოლა წააგეთ,
 თქვენი სახელით მე დამცინიან.
 დე, სევდიანი ლამანჩელები
 კვლავ ნარსულიდან გახდნენ საჩვენო,
 რომ ყველა დროში შენაჩვენები
 ჩვენმა თაობამ არ შეაჩვენოს.
 სიმართლის გზები ეკლით გებული,
 ხან ლხენით ვთელოთ, ხან კი გოდებით,
 როსინანტებზე ამხედრებული,
 ოლონდ ვიდოდნენ დონ-კიხოტები.

გალვა თაგუაგვილს

ცას სიყვარულს უხსნიდნენ
 შემოდგომის ქარები,
 ქვეყნად მარად მოდიან
 რუხი შემოდგომები.
 მდინარეზე ტივები,
 ტივზე მიუკარები,
 მიცურავენ ბებერი,

დაქანცული ლომები.
 მეც ბოკეერმა ლომების
 ჩუმი სევდა გავლექსე,
 ვხედავ მათი თვალები,
 რაღაც ნისლმა დაბოლა.
 ტივი გადიჩეხება
 პირდორბლიან ჩანჩქერზე,
 შემდეგ ტივთა ახალი
 ქარავნები წამოვა,
 იკარგება ნაპირი
 ნისლით წაფერმერთალები
 და ლომებმაც დატორეს
 ტივის ძავი ფიცარი.
 უკე აღარ სტირიან
 გადამწვარი თვალები
 უკან დარჩა ყოველი
 ნმინდად დასაფიცარი.
 ასეთია ცხოვრება,
 ლამაზი და უხეში,
 შენმა ფართო ბეჭებმა,
 ბევრი დარდი ატარა,
 კიდევ მოვა ზაფხული
 შენს დაზამთრულ ბუდეში,
 კიდევ დაიბუხუნებ
 ჩემო ლომის ფაფარავ.

1965 წ.

გადამცველი მოგზაურობა

ხუან რამონ ხიმენესის მიხედვით.

მეც მალე წავალ, ფრინველი კი კვლავ იგალობებს,
 დარჩება ბალი, მარტოსული, თეთრი ჭა და ხე.
 მკვდრის მზე შეღებავს კანტიკუნტად შემდგარ მალლობებს

და ხსოვნას ჩემსას საბოლოოდ გააპარტახებს.
 ვემახსოვრები მხოლოდ ზარებს გლოვით დარეკილს
 და ნაცნობ ქუჩას ფერს შეუცვლის ნელთა დინება,
 სიყვარულს ჩემსას საფლავების ქვებზე არეკლილს
 უიმედობის მრუმე ბადე დაეფინება.

ნავა სუყველა, ვინც მიყვარდა, სუყველა ნავა,
 გაირინდება ტალღოვანი შრიალი ხეთა
 და ეულ ბაღში ვერ იპოვის ჭრილობის წამალს,
 აჩრდილი ჩემი მონატრებით თუ შეიხედავს.
 მეც ნავალ! ჩემმა გაზაფხულმაც ჩაიცვა თალხი,
 უსიცოცხლო გზა ცეცხლოვანი ენით გალოეს,
 ჭა ამოშრება, აღიგვება მინიდან ბაღი,
 ხოლო ფრინველი... ფრინველი კი კვლავ იგალობებს.

1994 6.

ალავერდობა

გურამ რჩეულიშვილს.

გაუხედნავი კვიცი გავხედნე,
 მე კი ვერავინ ველარ გამხედნა,
 როცა ირინეას მკერდში ჩავხედე,
 ჩემი თვირთვილა მაშინ გახელდა.
 თუმთა ღრეობას მოვტაცე ცხენი,
 ვერ ვაკავებდი შლეგფეხებიანს,
 ჩემი სიცოცხლე არ იყო გრძელი,
 მაგრამ სიკვდილი არ შეხებია.
 ლუდსა სვამდნენ და ორნახად არაყს,
 შემდეგ კი სისხლი მოსწყურდათ კაცებს,
 ხელი აუსვეს ხანჯლების ვარაყს,
 მარცხენა ცხენთა აღვირებს სტაცეს.
 თითქოს ნახმლევი მკერდზე მატყვია,
 მზეზე ტიტველი ბრნყინავს ხანჯალი,
 თითქოს გადმოსქდა გულ-მკერდს ნატყვიარს

სისხლი აქამდე დაუხარჯავი...
 უცებ ვიგრძენი წამის ცვლილება
 კვლავ მომენატრა მოქლული რაში,
 ისევ გავხიე ჩემი ჭრილობა
 და გუმბათიდან გადავხტი ზღვაში.
 ზღვა ოცნებობდა მოთენთილ მზეზე
 და ასკდებოდა ჯებირებს ხველით,
 ჩემი ცხოვრების პატარა ლექსზე,
 ზღვამ მოანერა წყლიანი ხელი.

* * *

მე არ მეგონა, რომ მალე წავა,
 ჩემი ლამაზი, ვაჟეაცი მამა,
 არა მჯეროდა ლალსა და თამამს,
 რომ ვერ ვპოვებდი საჭირო წამალს.
 და აი, როგორც დაცინვა ბედის
 უკანასენელი ალერსი დედის.
 ბაცი ხაზია, არა წყვეტილი,
 აქ დაბადება, ათვლის წერტილი,
 იქ კი სიკვდილით გადაწყვეტილი,
 კვლავ ბედისწერის რაშს რომ აოთხებს,
 მე კი ოცნებას გავისამოთხებ.
 დიახ, მე ახალ ოცნებას ვბედავ,
 დამიბრუნდება მამა და დედა,
 ზაფხულის წვიმად, თოვლის ფიფქებად,
 არ უწერია გადაფიქრება
 რწმენას, რომ ცაში არიან ახლა
 და უხილავი მფარველი მხედავს.

1995 6.

გახელებული ხარი აბლავლდა,
 თითქოს ვიღაცას უხდიდა ბოდიშს,
 ნატყვიარევი ვერ შებლალავდა
 უალდის კეთილ და ამაყ პროფილს.
 გაოცებული გაქრა ნუგეში,
 ლაგამს ლოღნიდა უფეხო რაში;
 კაცები ფოთლებს ნვავდნენ ქუჩებში
 და პასტერნაკი ტიროდა ბაღში.
 მარტორქებს სუსტი, სიმართლის შველი,
 რქაზე აეგოთ, იყო ტალახი,
 როცა პაოლომ ნატიფი ხელით,
 დასხლიტა თოფის ყველა ჩახმახი.
 და კოლომბინას წითელი პალტო,
 მიტოვებული, ფერსევდიანი,
 თქვენს საკიდელზე ეკიდა მარტო
 და შემოდგომა იდგა გვიანი.
 თავს იმართლებდნენ, სჭირდება მიზანს,
 მსხვერპლი და გველი ღმერთის ლოგინში,
 დიდი ბოდიში, მეტს აღარ ვიზამთ,
 მოხდა შეცდომა, დიდი ბოდიში.
 ცავ ულმობელო, შენც განგიცდია,
 როცა მზეები წითლად დაბინდე,
 როცა დაარქვეს ჯვარცმას — ტიციან!
 როცა დაბრმავდა ტანიტ ტაბიძე.
 დაბრმავდა, მზეს ველარ შეხედა,
 მაშინ ზეცაში მზეც დაეხვრიტათ
 და თამუნიას ლამაზ ფეხებთან,
 ეგდო მიხაე დანამეხიდან.
 მაგრამ ლექსები ველარ დარაზეს,
 ვერ დააჭედეს მონური ნალი,
 შენ ყაჩაღებმა მოგვლეს არაგვზე —
 და შენ სიკედილში მე მიდევს ბრალი!

1966 ნ.

ბობოქარ ტალღებს ვახალე მეერდი,
დავტოვე სიყრმე პირსველ მინაზე,
დღეს შემომაკვდა პატარა ღმერთი
და უფრო დიდი ღმერთი ვინამე.
როგორ მასველებს უცხო ქარწვიმა,
ნეტავ ამ წვიმას რა გრძნობა ნაშლის,
დღეს მე ლამაზმა, მამა არწივმა,
ფრენის სასწავლად შემაგდო ცაში.

1965 წ.

მე არ მჯეროდა სიბერის,
მე არა მნამდა სიკვდილის,
სიკვდილმა ისე იბევრა,
სიბერეს ვინღა მისტირის.

Никогда не верил в старость,
Никогда не верил в смерть,
Смерть такою юной стала,
Что ж, о старость жалеть!

...
გაზაფხულის ქარია,
გულო, დარდთან ნაფიცო!
რა კარგი სიზმარია,
დედა არ გამალვიდო!
გაზაფხულია ქარია, ქვეყანას უხარია,
რა კარგი სიზმარია, დედა არ გამალვიდო!

1995 წ.

პირები

დარაპეპს მიღმა გაზაფხული

დრამა ორ მოქმედებად და ათ სურათად

მოქმედი პირი:

კოკა მხეიძე — მეხუთე კურსის სტუდენტი, ფილოლოგი
 ნინიკო — მეორე კურსის სტუდენტი, არქიტექტორი
 ელენე — კოკას ბებია
 ბადრი — კოკას მეგობრები
 გელა — კოკას მეგობრები
 კირილე — კოკას მეზობლები
 ლენა — სიზმირის პერსონაჟი
 დედა — სიზმირის პერსონაჟი

მოდერნის პირველი

სურათი პირველი

დილის მერთალი შექით განათებული ოთახი, მაგიდა, რამდე-
 ნიმე სამი, ტახტი, ტახტზე ოციოდე ნლის ყმანებილს ძინავს.
 ოთახში ქალაქის ხმაური შემოდის.

ტელეფონის ზარი. ბიჭი შეიშმუშნება. ტელეფონის გულისგა-
 მანვროლებელი ზარი. ყმანებილი ტახტზე ნამოჯდება და ცო-
 ტახანს უაზროდ უყურებს გამძვინვარებულ ტელეფონს. სა-
 ფეთქლებს ისრესს, შემდეგ დგება, კოჭლობით მიდის და ყურ-
 მილს იღებს.

კოკა — გისმენთ! ვის? ლუიზას? არა, შეცდით, აქ არ ცხოვრობს
 მეგობარო, აბა საიდან უნდა ვიცოდე, სად ცხოვრობს ლუიზა!.. არა-
 უერს! (კიდებს ყურმილს. ნატენ ფეხს გააქნევს, ტკივილისგან ესე-
 რება სახე, შემდეგ კოჭლობით გადის, ისმის შხაპის ხმა.

ტელეფონის ზარი. პირსახოცშემოხვეული კოკა ოთახში შემოკონ-
 ნიალდება და ყურმილს იღებს).

კოკა — დიახ... ლუიზა აქ არ ცხოვრობს და ლოთიანად, დააზუს-
 ტე რა მისი ტელეფონი... რა შეაშია სოფელი? შორიდან ჩამოხვედი?
 მოსავალი როგორია? აგაშენა ღმერთმა!



(კიდებს ყურმილს, ტახტზე ჩამოჯდება და სიგარეტს უკერჭებს) კვლავ ტელეფონის ზარი).

კოკა — (მოშლილი) გისმენთ! შენა ხარ, ბატრი? კინალამ შეგიყურ-თხე. ამიკლო ვიღაცამ დილიდან! ვერ მოვედი, გელას ვებმარებოდი, რემონტი წამოიწყო. შენ რა, არ იცოდი, პო, ორი დღეა... ფეხი ვიღრ-ძე... კიბიდან ჩამოვვარდი. კარგი, ხვალ! აუცილებლად! შევთანხმ-დით!

(კიდებს ყურმილს და ჩაცმას იწყებს, შემდის ქალბატონი ელენე, კოკას ბებია, მოხუცი, ლამაზი ქალი)

ელენე — (შუბლზე კოცნის შეილიშვილს) გტეივა კიდევ?

კოკა — არა.

ელენე — გასიებული რომ გაქვს?

კოკა — არაუშავს. დაცხრება მალე.

ელენე — კოკა, მართალი მითხარი, ხომ არ იჩხუბე?

კოკა — დაწყნარდით, ქალბატონო ელენე, თქვენი შეილიშვილი უკვე გამოვიდა მაგ ასაკიდან.

ელენე — საშინელი წვიმაა გარეთ.

კოკა — პო, წვიმს.

ელენე — საფენს გამოგიცვლი!

კოკა — ბებია, არაფერია სერიოზული.

ელენე — (ამოიოხრებს).

(სანვიმარს იცვამს და ქოლგას გაშლის).

კოკა — სად მიდიხარ ასეთ წვიმაში?

ელენე — სანთლები უნდა დავუნთო შენს მშობლებს.

კოკა — დაელოდე, გადაიღოს ჯერ.

კოკა — პო, მართლა, რა უნდა მეთქვა. გუშინ ისევ მკერავი ლენა ამოვარდა, წყალი ჩასვლიათ.

ელენე — (შენუხებული) ალბათ მოშვებული დამრჩა.

კოკა — მალე მოხვალ?

ელენე — შევეცდები. ხომ არ დამაბარებ რამეს?

კოკა — კუთხეში რომ კიოსკია, იქ მიდი, რაფიკა პქვია გამყიდ-ველს და უთხარი კოკასთვის „კოლხეთი“ მომეცი-თქო!

ელენე — კარგი. უაუზმე არ გააციო.

(გადის. კოკა მაგნიტოფონს ჩართავს. ზარის ხმა კარზე და კარს აღებს).

კოკა — (ცოტა არ იყოს გაკვირვებული) მობრძანდით!

(შემოდის გრძელობიანი, ლამაზი გოგონა ჩანთით ხელში).

ნინიკო — გამარჯობათ!

კოკა — გამარჯობათ!

ნინიკო — ქალბატონი ელენე სახლშია?

კოკა — არა, ეს ნუთია გავიდა.

ნინიკო — ამ დროისთვის დამიბარა...

კოკა — დაელოდეთ.

ნინიკო — (საათზე დაიხედავს) არა, მერე მოვალ.

კოკა — არ წახვიდეთ! მალე მოვა.

ნინიკო — (ჩაფიქრდება) დავიცდი ათ წუთს.

კოკა — რასაკეირველია, ასე აჯობებს. დაბრძანდით. (საწვიმარს გახდის).

ნინიკო — გმადლობთ.

კოკა — ნვიმაში მოხვდით?

ნინიკო — დია... ქოლგა არ წამოვიდე და უცებ გაწვიმდა.

კოკა — ჰო, თითქოს არ აპირებდა ნვიმას...

ნინიკო — დიას.

კოკა — (გადის და ბრონეული და ორი ჩურჩხელა შემოაქვს). მიირ-
თვით.

ნინიკო — გმადლობთ, წუ წუხდებით!

კოკა — რა შენუხებაა?!

ნინიკო — დარწმუნებული ხართ, რომ მალე მოვა?

კოკა — ასი პროცენტით. (პაუზის შემდეგ) კოკა!

ნინიკო — ბოდიში.

კოკა — მე კოკა მქვია.

ნინიკო — (გაიღიმებს) ნინიკო.

კოკა — ძალიან სასიამოვნოა. (პაუზა).

კოკა — თქვენ სნავლობთ?

ნინიკო — დიას.

კოკა — სად?

ნინიკო — არქიტექტურულზე.

კოკა — პირველ კურსზე თუ...

ნინიკო — მეორე კურსზე ვარ.

კოკა — იმედია, ფრიადოსანი ბრძანდებით.

ნინიკო — არა, ორი ოთხიანი მყავს.

კოკა — ერთი პოლიტეკნიკიში, ხომ?

ნინიკო — (გაკეირვებული) დიას, როგორ მიხვდით?

კოკა — ტიპიური შემთხვევა. გეპეიში ხართ თუ სამხატვრო აკა-
დემიაში?

ნინიკო — აკადემიაში.

კოკა — და იქვე ახლოს ცხოვრობთ, არა?

ნინიკო — არა, ვაკეში ვცხოვრობ.

კოკა — ვაკეში ყველა ტელეფონი 22-ზე იწყება.

ნინიკო — დიას.

კოკა — ალბათ თქვენიც.

ნინიკო — რასაკეირველია.



კონა — შემდეგ?

ნინიკო — რა შემდეგ?

კონა — შემდეგ რა ციფრები მოჰყვება ოცდაორს?

ნინიკო — (საათზე დაიხედავს) იცით, მე მგონი აღარ ლირს მეტი დაცდა.

კონა — რატომ, ხომ გითხარით, ბებია ნუთი ნუთზე გაჩინდება-მეტეი?

ნინიკო — ვისი ბებია?

კონა — როგორ თუ ვისი, ჩემი.

ნინიკო — (განცვიფრებული) ქალბატონი ელენე თქვენი ბებიაა?

კონა — დიახ. რამ გაგავირვათ?

ნინიკო — მე მითხრეს ორმოცს მიტანებული ქალიაო.

კონა — (იცინის) ბებია სამოცდაათი წლისაა.

ნინიკო — უცნაური ამბავია.

კონა — თქვენ ნუიმიდან მოხვედით!

ნინიკო — (გაოცებული) რისი თქმა გინდათ?

კონა — როცა ადამიანი ნუიმიდან მოვა, ეს ყოველთვის რაღაცას ნიშნავს.

ნინიკო — რას?

კონა — არ ვიცი, მაგრამ რაღაცას ნიშნავს.

ნინიკო — (დაინტერესებული) თქვენ სად სწავლობთ?

კონა — მე დაახლოებით ბებიაჩემის პროფესიის გახლავართ.

ნინიკო — (ცოტა არ იყოს დაბნეული) თქვენ რა, კერავთ?

კონა — რას ვშერები?

ნინიკო — მკერავი ხართ?

კონა — ბატონი?

ნინიკო — თქვენ არა თქვით, ქალბატონი ელენეს პროფესიაო...

კონა — დიახ, მეც ფილოლოგი ვარ, ოლონდ ბებიაჩემი ენათმეც-ნიერია, მე კი უახლეს ქართულზე ვარ.

ნინიკო — (განცვიფრებული) ენათმეცნიერი?

(უეცრად სიცილი ნასკედება, დიდხანს იცინის).

კონა — (ცოტა არ იყოს ნაწყენი) რა ვთქვი სასაცილო?

ნინიკო — (თვალშის იმპრალებს) არაფერი, გაუგებრობა მოხდა.

კონა — მომითმინეთ, მომითმინეთ... თქვენ მკერავი ლენა გინდო-დათ?

ნინიკო — (იცინის) დიახ.

კონა — კი, მაგრამ კარზე ხომ ენერა — მხეიძე.

ნინიკო — მე მისი გვარი არ ვიცოდი.

(ორივეს სიცილი აუტყდება და ეს თითქოს აახლოებს მათ).

ნინიკო — (ამჩნევს მის კოჭლობას) ფეხზე რა დაგემართათ?

კონა — გაზაფხულის მზიანი დილა იყო. ბავშვები ნასახლართან



თამაშობდნენ. უეცრად ერთ-ერთმა ნანგრევების ქვეშ ნალმი აღმოა-ჩინა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილი, აშშ და სამხრეთ კორპუსი გამოეჩინდი მე, ახალგაზრდა, ლამაზი კომიკაებირელი, ხელში ჩემის კუთხის კონა მეტირა და გაზაფხულს შევხაროდი, ჩემმა გამჭრიახმა მზერამ ნამსვე შეამჩინა ნალმი, ფიცხლად მივეჭრ ბაშეს: ნალმი შორს მოვის-როლე და... ბუჟ! კიბიდან ჩამოვვარდი!

(ნინიკო იცინის და ტაშით აჯილდოებს კოკას).

კოკა — ამასწინათ, ჩემს ლექტორს ვესტიუმრე. საგანი მქონდა ჩა-სათველელი. კარი მისმა მეუღლემ გამიღო, შემაქო, რა სწრაფად მოხ-ვედიო, აივანზე გამიყვანა და მთელი საათოახევარი ბუხრის შემა მა-ხერხინა. თურმე მისი ქმარი მუშას შესთანხმებია და იმას ელოდა. ბო-ლოს ხუთმანეთიანი რომ გამომინოდა, ძლიერ ამოვლერლე, ქალბატო-ნო, თქვენი მეუღლის სტუდენტი ვარ-მეტქი!

ნინიკო — (სიცილით) მერე რა თქვა?

კოკა — რა უნდა ეთქვა, უი, ჩემი სიკედილი!! ამ დროს ჩეენი მრისხანე ლექტორიც მობრძანდა და სიტუაციაში გარკვევის შემდეგ ისე დაირცხვინა, რომ ულაპარაკოდ ჩამითვალა საგანი. ტყუილად ხომ არ ჩაიკლიდა ეს განნირული სულისკვეთება!

ნინიკო — გამორთეთ მაგნიტოფონი, გათავდა სიმღერა.

კოკა — გნებავთ, ლიზა მინელი მოგასმენინოთ. „ნიუ-იორკ-ნიუ-იორკი“. ახალი მიუზიკლი გამოვიდა.

ნინიკო — არა, ვმაღლობთ, ინსტიტუტში უნდა გავიქცე.

კოკა — რა აუცილებლობას ნარმოადგენს თქვენი მისვლა, ლექ-ტორებს ხანდახან უნდა მოანატრიოთ კიდეც თავი.

ნინიკო — (იცინის) არა, სამწუხაროდ.

კოკა — რა გაეწყობა... (სანგიმარს აცმევს გოგონას) მე კი ისე მინ-დოდა ცოტა ხანს კიდევ მესაუბრა თქვენთან... თქვენ ხომ წვიმიდან მოხვედით, ეს კი რაღაცას ნიშნავს!

(მოულოდნელად მოატრიალებს ნინიკოს და ნაზად კოცნის ტუ-ჩებში. გაოგნებული გოგონა ადგილზე გაშეშდება).

არაფერი მითხრათ! დამნაშავე ვარ, ვალიარებ! მე თვითონ არ ვი-ცი, როგორ მოხდა ეს?! რატომდაც გადავწყვიტე, რომ წვიმიდან მო-სულ ადამიანს მოფერება და სულიერი სითბო სტირდება. შევცდი, მაგრამ მე თვითონ გამოვტან საკუთარ თავს განაჩენს!

(ხელმეორედ კოცნის გოგონას, ახლა უფრო ხანგრძლივად. ნინი-კო სახეზე აიფარებს ხელებს და შეტორტმანდება).

კოკა — არ გრცხვენიათ, რა გატირებთ? აი, ახლა ცხვირი დაგი-ნითლდებათ და აღარ იქნებით ისეთი ლამაზი! შემომხედეთ, რატომ მე არ ვტირი; მოუხედავად იმისა, რომ მელავი ამომიტრიალეთ და ძა-ლით მაქოცეთ, რისი საბაბიც მე თქვენთვის არ მომიცია!

ნინიკო — (გაოგნებული მისი თავხედობით) მე გაერცეთ?



კოკა — დიახ, მეულავი ამომიტრიალეთ და მაკოცეთ! ყველაფურს
ვეტყვი მეერავ ლენას!

(ნინიკო ჩანთას დაავლებს ხელს და გარბის. კოკა კოჭლობით შის-
დევს მას). მომიტადეთ, გაგაცილებთ!

(შედგება)

სად გდიო, ჩემო ნინუცა, ნატკენი ფეხით!

(ხელს ჩაიქნევს. ტელეფონის ზარი).

კოკა — გისმენთ! ლუიშა აბაზანას იღებს, გენაცვალე!

სურათი მეორე

ავანსცენაზე მეურავი ლენა ზომას უღებს ნინიკოს. ჟამიქამ შე-
მობოდიალდება ხოლმე ლენას ქმარი კორილე, ორმოცდათს
მიტანებული მსუქანი კაცი, უღვაშის პრეზით ათვალიერებს
გოგონას და კელავ გადის.

ლენა — ესეც ასე გენაცვალე... მართალი გითხრა, ისე ვიღლები
ხოლმე, რომ უარს გეტყოდი აუცილებლად, მაგრამ ვიოლას გამოგ-
ზავნილი რავა გევისტუმრო ასე?

ნინიკო — დიდი მაღლობა!

ლენა — რისი მაღლობა, გენაცვალე... ანგელოზიერით გოგო ხარ.
შენზე უკეთესს ვის შევუკერავ?!

(საიდანლაც გაისმის რიტმული მუსიკის ხმა).

ა, ბატონო, ისევ ჩართო იმ გადარეულმა!

ნინიკო — ვინ?

ლენა — მეზობლის ბიჭმა. სულ სტუმრები ჰყავს, სულ ბრაგაბრუ-
გი და ალიაქოთია... ხულიგანი, შფოთისთავი... ისე კეთილი გულის ბი-
ჭია, საწყალი.

ნინიკო — რატომ საწყალი?

ლენა — ობოლია, შეიღო, დედამისი მაგის შშობიარობას გადაყვა,
შენ რამდენი ნლისა ხარ?

ნინიკო — თერამეტის.

ლენა — ჴო, ზუსტად შენხელა იყო ცხონებული. შენ ჯვარი გნე-
რია. მამა კოჯირის გზაზე დაიღუპა ოთხი ნლის შემდევ და ასე... ამონ-
ყდა ოჯახი! ბებიამ გაზარდა.

ნინიკო — თქვენ კოკაზე ბრძანებთ?

ლენა — რავა, იცნობ თუ?

ნინიკო — შორიდან.

ლენა — კირილე, ნუ დაბოდიალობ აქ, ხელს მიშლი.

კირილე — გაზეთებს ვეძებ.

ლენა — შენს ოთახშია.

(ზარის ხმა კარზე. კირილე კარს აღებს. შემოდის კოკასთან ერ-

თად).

კოკა — გამარჯობათ თქვენი. აბა, მაჩვენეთ სად ჩამოვიდა, წყალ-
ლი?

კირილე — (აქეთ-იქით დაატარებს) აგერ ა, აქაც, აქაც...

კოკა — (ზურგზე ხელდაწყობილი ყურადღებით ათვალიერებს
ჭერს) მდაა... ბლობად ჩამოსულა...

ლენა — აბა, რა გეგონა, ეტყუოდი თუ?

კოკა — ტყუილს ვინ გაკადრებთ, ქალბატონო ლენა, ხვალვე მო-
ვიყვან მღებავს (თითქოს ახლა შეამჩნია, გამშრალ ნინიკოს მიუტ-
რიალდება).

ნინიკო, საიდან სადაო? მთელი სამი დღეა არ მინახიხარ. სად დაი-
კარგე? აკადემიაშიც ვიყავი...

ნინიკო — (უხერხულად ანრიალდება) მე... მე...

ლენა — როდის მოიყვან მღებავს!

კოკა — ხვალ ან ზეგ.

ლენა — იქნებ მაზეგ იყოს?

კოკა — როგორც იტყვით. თუ არა და, თვითონ შევდებავ. ოღონდ
ჯერ უნდა გამოშრეს კარგად.

ლენა — (გაკაპასდა) ჰო, მთლად დაგალუპინებ ჭერს, მაგ ჭკუაზე
ვარ სწორედ.

კირილე — მაგ ჭერს რა გამოაშრობს?!

კოკა — აბა რა ვქნათ, იყოს ასე?

ლენა — მე შენ გიჩვენებ, იყოს ასე!

კოკა — ნინიკო, არ გაგიკვირდეს, ჩვენს კეთილმეზობლობაში შე-
ხუმრებულები ვართ ერთმანეთს...

ნინიკო — (ძლიერ იკავებს სიცილს) ქალბატონო ლენა, კარგად
ბრძანდებოდეთ... ესე იგი, გამოგიყლით ამ დღეებში.

ლენა — აჯობებს ტელეფონის ნომერი დამიტოვო, ჩემო კარგო,
მე თვითონ დაგირეკავ.

ნინიკო — კი, ბატონი... ოცდაორი... (შეცბება და ყურებდაცევე-
ტილ კოკოას შეხედავს) ქალალდი და ფანქარი მომეცით, ჩაგინერთ.

კოკა (სწრაფად იღებს ბლოკნოტიდან ფურცელს და კალამს მოი-
მარჯვებს). მე ჩავინერ, ნინიკო, სადლაც დაცეკარგე შენი ტელეფონი.

ნინიკო — (არ პასუხობს) ინებეთ! (ლენას ანედის ქალალდის ნაგ-
ლეჯს).

კოკა — არაუშავს, მაინც საქმეები მაქვს აკადემიაში, კირილე ბა-
ტონი!

კირილე — რა თქვი?

კოკა — სამხატერო აკადემიაში ვარ მისასვლელი-მეთქი.

კირილე — მერე ჩემთან რა ვინდა?

კოკა — არაფერი, იქ ვიშოვი მღებავს.



ნინიკო — ნახევამდის.

კოკა — ნახევამდის, ქალბატონო ლენა, არ იხერვიულია, მეტყველე
ცილებ ნინიკოს.

ნინიკო — არ მიწდა.

კოკა — ნახევამდის, ბატონო კირილე!

(ხელკავს გაუყრის დაბნეულ გოგონას და მასთან ერთად გადის).

კირილე — (შურით) უყურე ახლა ამას?! ამ შემოდგომამ ხომ ნაი-
ღო ტვინი, ნეიმს და ნეიმს გაუთავებლად.

სურათი მესამე

კოკას ოთახი. მაგიდას ოთხი უსხედან, კოკა, ნინიკო, ბადრი
და გელა. კოკას ხელში გიტარა უჭირავს.

კოკა — (მღერის)

ყველა სნეულებაზე

სიყვარული ძნელია...

(კოკა გიტარას გადმოაბრუნებს და დოლივით ააბაგუნებს. გელა
ნამოხტება და ნინიკოს გაინვევს საცეკვაოდ. ნინიკოც მოხდენილად
ატოცდება ადგილზე. მშევნივრად ცეკვას, გელას ახლა ბადრი შეე-
ნაცვლება. ცეკვა მთავრდება და ყველა მაგიდას უბრუნდება. ნინიკოს
ცნობა ძნელია. ის ბავშვურ, ალტაცებულ მზერას არ აშორებს კოკას).

ბადრი — ნინიკო, შენ გაგიმარჯოს, ორი თვეებაც კოკამ შენი თა-
ვი გაგვაცნო და დასავით შეგვიყვარდი მე და გელას. ბედნიერ ცხოვ-
რებას გისურვებ!

ნინიკო — გმადლობთ, ბადრი!

გელა — და დააყოლე გმადლობთ, გელა! იმიტომ, რომ მოჟელი სუ-
ლითა და გულით ესვამ შენს სადლეგრძელოს. ხანდახან ბადრიც იტყ-
ვის ხოლმე ქეციანურ სიტყვას!

კოკა — გაგიმარჯოს! მართლაც ორი თვე გავიდა.

გელა — (ფანჯარასთან მიდის) აუ, რამხელა თოვლი დადო.

ბადრი — ვერ ვიტან ზამთარს. ერთი სურვილი მაქვს დათვივით
ჩავიდო თათი პირში და მეძინოს და მეძინოს.

კოკა — იმღერე რა, ნინიკო!

ნინიკო — რა ვიმღერო?

კოკა — ინოლას სიმღერა, რომელიმე!

(ნინიკო მღერის, კოკა გიტარის აკომპანიმენტის უკეთებს. ოთახში
შემოსული ელენე სიმღერის შემდეგ ნინიკოსთან მიდის და შუბლზე
კოცნის გოგონას).

ბადრი — დაბრძანდით, ელენე ბებია!

ელენე — არა, არა, არ შეგიშლით ხელს, მე ჩეენი მშვენიერი ნინი-
კოს მოსასმენად შემოვედი (ნასელას აპირებს, მაგრამ კოკა ხელში აი-



ტაცებს, სკამთან მიყავს და ფრთხილად დასვამს ზედ).

ელენე — (სიცილით) გადარეულ!

კოკა — ბატონებო, გაუმარჯოს ჩვენს სათაყვანებელ ქალბაზონ ელენეს!

(ბიჭები ფეხზე ნამოიქრებიან).

ელენე — კოკა, აღარ დალიო!

ბადრი — (ხელზე ემთხვევა ელენეს) ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს გისურვებოთ, ელენე ბებია, და თქვენი არანორმალური შვილიშვილის ნორმალური შვილების გაზრდას!

ელენე — (ხელებს გაასავავებს) რას ამბობ, ბადრი?

ბადრი — პროტესტს არ ვდებულობ!

(ბიჭები ფიალას დაცლიან, ელენე გადის).

კოკა — (თვალებს მოჭუტავს) გინდა მფრინავი თეფში გაჩვენო?

(ხელს სტაცებს ერთ-ერთ თეფშს და გელას გადაუგდებს, გელა ძლიერს მოასწრებს დაჭრას).

გელა — შე კაცო, ერთად არ ვსვამთ, რამ დაგათრო ასე სწრაფად?

კოკა — სიყვარულმა, ბატონო ოფიცრებო, სიყვარულმა!

ბადრი — მფრინავ თეფშებზე გამახსენდა, გივი მიმტკიცებდა, კუს ტბაზე ნამომყევი, ყოველ ლამე სამ საათზე მქაფიოდ მოჩანსო.

გელა — მთელი ქალაქი ერთმანეთს უმტკიცებს, დავინახეო.

ნინიკო — ძალიანაც კარგი, არ სჯობია ადამიანებმა ისევ დაინ-ყონ ცაში ყურება?!

ბადრი — ისე რა იცი, იქნებ იმ თეფშებში კაი გულის ბიჭები სხე-დან.

გელა — ქართველები თუ უყვართ?

კოკა — კი, განსაკუთრებით ზემოიმერლებზე გიუდებიან თურმე. (ტელეფონის ზარი).

ბადრი — გისმენთ... ლუზიზას? (კოკას შეხედავს).

კოკა — მომკლა მაგ კაცის საცოდაობამ!

გელა — (ჭიქას იღებს ხელში) გაუმარჯოს ჩვენს ნასულ მეგობ-რებს. გავუგზავნოთ გია აბაშიძეს ერთი სადლეგრძელო...

ბადრი — თქვენ შეცდით!

(კიდებს ყურმილს).

კოკა — (ჩაიტიქრებული) ფოტო ვნახე ძველი, სკოლის დამთავრების შემდეგაა გადალებული... კიროვის პარეში ვდგავართ ათიოდე ბიჭი, მაგარი ქარია და თმები განენილი გვაქვს ქარში... ყველა ბეჭინე-რად იცინის, მხოლოდ გია და ალიკო იღიმებიან ოდნავ მორცხვად და ნალვლიანად...

ბადრი — მე კი ნელ-ნელა მავინედება მათი სახეები. საოცრად გა-მიჟერმკრთალდა მათი სიცილი, სიმღერა...

გელა — კარგი, გვეყოფა... დავლიოთ! (სვამენ).



ელენე — (შემოდის) კარტოფილი ხუთ წუთში შეინვება.

ბადრი — აღარაფერი გვინდა, სჯობს ჩვენთან ერთად დაბრძნებული ბიბლიოთის დეველოპმენტის დეპარტამენტის მინისტრი.

ელენე — ცოტა ხანში...

(ნინიკი დეგბა და ცარიელი ბოთლები გააქვს. ტელეფონის ზარი).

კოკა — გისმენთ... დიახ, აქ არის, ნელი დეიდა... ვსადილობთ. და-ვუძახო? არა? კარგით... ნახვამდის. დედაშენი იყო ბადრი, არ დააგვი-ანოსო.

ბადრი — მომელა ამ შემონმებებმა... სამი წლის ვგონივარ კიდევ.

კოკა — დააფასე, ძამიკო, დააფასე! ისე კი, მართლაც უცნაური ხალხია დედები... მე და ბოჩის ჩხუბი მოგვიციდა გლდანელებთან, პოდა, გაგვსევანჩეს და მილიციაში მიგვაბრძანეს... ზუსტად ერთ სა-ათში დედამისი მოვიდა და მაიორის ეუბნება, ჩემი ბავშვი დააკავეს და ნახვა მინდაო! გამოაბუნდულეს ჩვენი ბოჩის სამორიგეოში... მაიორმა ეს ორმეტრიანი მუტრუჟი რომ დაინახა, დაიკვნესა, ეგაა, ქალბატო-ნო, თქვენი ბავშვიო? გაუშვით, გაუშვით, აქ მაინც ვერ დავატევთ მაგხელა სპილოსო.

გელა — მერე, გაუშვეს?

კოკა — (სიცილით) უშვებდნენ, მაგრამ ბოჩიამ ქვა ააგდო და თა-ვი შეუშვირა, სანამ კოკასაც არ გაუშვებთ, ფეხს არ მოვიცელი აქედა-ნო! ამ განცხადებაზე მაიორს ლურჯი ფერი დაედო, შეაგდეთ ეს ახმა-ხი უკან და ათ წუთში ოქმი გაუფორმეთო. მერე დედამისს მიუტრი-ალდა და ეუბნება, ხომ ხედავთ, ქალბატონო, რა ტუტუცი შეილი გყავთ, ძალით მაფუჭებინებს თავსო. ტუტუცი კი არა, რაინდია, დედა ენაცვალოს, მეგობარი არ მიატოვა გასატირშიო... აქ კი იღმუვლა მა-იორმა, დანის და იარალის არ მეშინია, ისე როგორც დედებისო, გაუშ-ვით ორივე, მაგათი ყოფაც ვატირეო! ასე, რომ, დააფასეთ, ძამიებო... (დასევდიანდება).

ბადრი — რა კარგია, როცა მილიციის მაიორს იუმორის გრძნობა აქვს.

კოკა — ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, ღმერთმა დიდხანს გვი-ცოცხლოს მეგობრების თავი! მაშინ ნაგველოს ნერილი, როცა ერთმა-ნეთი აღარ გვემახსოვრება ლრმა სელერიშის გამო.

(სვამენ. შემოდის ნინიკი და ტაფა შემთაქვს).

კოკა — სად დაგვეკარგეთ ქალები, ბებია სად არის?

ნინიკი — ახლავე მოვა (საათზე დაიხედავს), ვაიმე, უნდა გავიქცე!

კოკა — რა გეჩქარება?

ბადრი — დარჩი, ნინიკო, უშენოდ ჩვენს სუფრას ფასი არა აქვს.

ნინიკი — სამნუხაროდ, უნდა გავიქცე!

კოკა — ტაქსმი ჩაესვამ და ამოვალ.

კოკა — ნინიკო ვაკელია, არისტოკრატების უბნიდან.



ბაღრი — მართალია, ვაკეში ყავამ ამოხეთქაო?

(იცინიან, ნინიკო ემშეიდობება ბიქტებს და ელენეს, იცვამს უძველეს გამოდის ავანსცენაზე).

ნინიკო — კოკა, ადი, გაცივდები!

კოკა — არაუმავს.

(მანქანების მოძრაობის ხმები. კოკა ხელს უწევს, მაგრამ არავინ აჩერებს. დანარჩენი დიალოგი ამ უსტიკულაციის ფონზე მიმდინარეობს. კოკა თან ნინიკოს ესაუბრება, თან მანქანის გაჩერებას ცდილობს).

კოკა — ნინიკო, ერთი რამე უნდა გითხრა... ხვალ ბებია მთელი დღე არ იქნება სახლში... ეი! არ გააჩერა! ჰო, რას ვამბობდი?! მოკლედ, მარტო ვიქნები... მოხვალ?

ნინიკო — (თავს ჩაქინდრავს) არ ვიცი.

კოკა — რას ნიშნავს არ ვიცი... ნინიკო, გაიგე, რომ მე შენ მიყვარხარ!

(უეცრად ორ თითს პირში ჩაიდებს და უსტვენს) არ გააჩერა ოხერმა! ალარავის უნდა ჩემი მანეთიანი?!

ნინიკო — კოკა, ადი სახლში, ძალიან ნასვამი ხარ!

კოკა — ნინიკო, აუცილებლად უნდა მოხვიდე ხვალ, მე გთხოვ, ალარ შემიძლია ასე! ორი თვეა სული ამომხადე!

ნინიკო — კოკა, გაჩერდი!

კოკა — რა დაგემართა? უანა დ' არე შენხელა იყო, რმებს რომ იგებდა, შენ ეკ ელემენტარული, ბუნებრივი რაღაცის გეშინია?!

(ხელს აიქნევს, ბორბლების ნრიპინის ხმა. უხილავი მანქანისკენ ნაკლენ).

ნინიკო — ეიდევ ერთხელ მითხარი!

კოკა — რა?

ნინიკო — რომ გიყვარვარ!

კოკა — მიყვარხარ! მიყვარხარ!

ნინიკო — მოგალ!

(კოკა ხელს მოხვევს, კოცნის და მანქანისკენ მიყავს, ცოტა ხანში ბრუნდება).

ბაღრი — გააცილე?

კოკა — ჰო!

გელა — არ გაიყინე ასე?

კოკა — არა!

(ცოტა ხანს უმიზნოდ სცემს ბოლთას ოთახში. ამხანაგები გაევირებით შესცეკრიან).

ბაღრი — ახალგაზრდავ, იქნებ მოგვაქციოთ ყურადღება?!

კოკა — (გამოერკვევა) რა თქვი?

გელა — არაფერი, ნუ გამოშტერდებიო!

(კოკა მაგიდასთან მივა, მოზრდილ თასს გაავსებს ღვინით) 7



ბადრი — სულ გადაირია ეს კაცი!

გელა — სწრაფად გინდა გაგვისტუმრო?

კოკა — (ოდნავ ქანაობს ადგილზე) მე მინდა იმ მშვენიერებას სჭავა... უმარჯვოს, როცა ყველაფერი იცვლის ფერსა და სურნელს...

გელა — როცა დალტონიკე ხდები...

კოკა — დიახ, სწორი ბრძანდებით, ყმაწევილო! და როცა რაღაც უზარმაზარი, ნათელი და ლმობიერი შემოდის სულში...

გელა — დაუსტვინა ნიკოლოზმა!

ბადრი — არა, სიყვარულის სადღეგრძელოს სვამს.

კოკა — ბიჭებო, თქვენ რომ იცოდეთ... ეჰ!

(მოყუდებს და სულმოუთქმელად დაცლის თასს).

ბადრი — შეყვარებულია ლომი!

გელა — ვინ არის ის ბედნიერი ქალწული?

(კოკა პასუხის მაგიერ მაგნიტოფონს ჩართავს, ნაზად მოხვევს ხელს მკლავებს უხილავ გოგონას და ნელა დაინყებს ტრიალს ოთახში. ბიჭები ლიმილით გადახედავენ ერთმანეთს, სამზარეულოდან გამოსულ ელენეს ტუჩზე თითის დადებით ანიშნებენ არ შეანწყვეტინოთ და ჩემად მიუჭახუნებენ ერთმანეთს ჭიქებს. ელენე გადის).

ბადრი — მაშ, გაუმარჯვოს ნინიკოს!

გელა — გაუმარჯვოს, ბრნყინვალე გოგოა!

კოკა — არა, არა, ძალიან კარგი გოგოა, დიდ პატივს ვსცემ, გარევეული სიმპათიაცა მაქვს, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც მე ვამბობ! მე მინდა იმ იდუმალი ფანტომის, იმ შორეული იდეალის სადღეგრძელო დავლიო, იმ გოგონასი, რომელსაც მართლა შევიყვარებ. მე პიროვნებას ვეძებ, ჩემო გელა, პიროვნებას!

ბადრი — შენ ტერინი გაქვს ამლურეული, ძამიკო, და აქვე გაფრთხილებთ, მეც და გელაც, მაგ გოგოს მოუარე და არ ანწყენიო, ბავშვს გულწრფელად უყვარხარ!

კოკა — არ გესმით ჩემი, მეც ხომ მშვენიერად ვეპყრობი? მეც ჩემებურად მიყვარს!

გელა — მე კი არ მიყვარს, როცა თვითემაყოფილი იდიოტის შთაბეჭდილებას სტოვებ.

კოკა — (სახე აენთება) გელა, ნინათ მაგ სიტყვების გამო მეგონებიც კი დუელში იწვევდნენ ერთმანეთს.

გელა — რომელი ლერმონტოვი მნახე, კავალერგარდო მხეიძე?

ბადრი — მორჩით ბაზარს, ელენე ბებიას არ გააგონოთ!

კოკა — (მთვრალი ადგილზე ქანაობს, უეცრად მელავებს გაშლის და...)

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,

სიყვარული ისე დამჯახებია!

მე მიეტირი ლამესზამბახებიანს



და სიყვარულს ათაბაგის ქალისას.

ბადრი — (შემპარავად) ტრამალ და ტრამალ გამოგედევნების გადაცემა
კოკა — (თვალდახუჭული)

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,

შემოვამტვრიე გზები ტიალი,

მცხეთას უუმტვრიე საკეტურები,

კლენე ტაძრები ექლაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც გადილენება,

დაბადებულა ვინც კი ყივჩალად...

გელა — დაეილუპეთ!

კოკა — (ამღვრეული თვალებით მიაჩირდება) შენ რა, მთვრალი
გვინვარ?

გელა — ნუ მიყურებ ასეთი მომაკედინებელი ირონიით. გაიარე
აბა სწორ ხაზზე!

კოკა — კი ბატონი!

(მელავებს გაშლის და ძალიან ცდილობს სწორად გაიაროს, მაგ-
რამ ლეინო აქეთ-იქიათ აქანავებს. ბიჭები სიცილით იგუდებიან, ელე-
ნეც ნაწყენი ლიმილით მისჩერებია მთვრალ შეილიშვილს. ბოლოს კო-
კასაც გაეცინება, ხელს ჩაიქნევს, ნაბარბაცდება, ტახტზე დაეცემა
და მოხერხებულად იწყობა ზედ).

კოკა — თქვენ გააგრძელეთ, მე ორიოდე წუთს ნავთვლემ და შე-
მოგერთდებით.

(მაშინვე იძინებს).

ბადრი — მოდი გაეხადოთ!

(სამივე მიდის კოკასთან და ფრთხილად იწყებენ მის გახდას).

გელა — (ფეხსაცმელს გააძრობს) პირველად ვხედავ კოკას ასეთ
მთვრალს.

ბადრი — (ლიმილით) სიყვარულმა დაცადა.

(შარვალს გააძრობენ)

კოკა — (უეცრად ტრუსების ამარა ნამოვარდება)

მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ

შშვიდი დღეების თეთრი ბროლება,

მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თშაში

და თმების ქარით გამოქროლება.

მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი

ვით უბინაოს ყოფნა ბინაში...

თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი...

(პაუზა) მერე ალარ მახსოვეს... (ნამონვება და საბანს გადაიხურავს).

ბადრი — დაიძინე, მიჯნურო, დაიძინე!

გელა — ნახეამდის, ელენე ბებია, დიდი მადლობა!

ელენე — კარგად იყავით, ბიჭებო.

(შუბლზე კოცნის ორივეს).

კოდა — (კელავ წამოვარდება)

დედოფლალო! ლურჯი რაში

მიჰერის საშიშ ჩქარი

და ბილიკით ლურჯ ქვიშაში

მიაქვეს მძაფრი ქარი!

მიჰერის დალალ-გადაყრილი

დოვინ, დოვენ, დოვლი...

თოვლი, ფიფქი და აპრილი,

ვარდისფერი თოვლი.

(ბიჭები ხარხარით ეცემიან და ლოგინს მიაჯაჭვებენ).

იდიოტები! გავიგუდე!

(ბიჭები ხელს უშვებენ. კოკა წამოჯდება და სწრაფად ჩაიცვამს).

ბადრი — რას შვრები?

კოდა — რა და, გრძელდება ქეიფი! ქალბატონო ელუნე, განვაახ-ლოთ სუფრა!

(გიტარას იღებს ხელში და მღერის).

ყველა სნეულებაზე სიყვარული მნელია...

გელა — (ამოიოხრებს) დავილუპეთ! ეს ახლა დილამდე აღარ გავ-ვიშვებს!

(აპყვებიან მის სიმღერას).

სურათი მეოთხე

კოკა საწერ შაგიდასთან ზის, სქელტანიანი წიგნებით გარშე-მორტყმული, შემოდის ელუნე, ჩაის და ბუტერბროდს დადებს მაგიდაზე და ფეხაკრეფით გადის.

კოკა — (ფურცელს იღებს ხელში და კითხულობს).

ყველაზე ტრაგიკულ მომენტში ისინი გაივლიან ღრმა ზნეობრივი კრიზისის მიჯნას, ერთგვარ კათარზის და ახალი, მანამდე უცნობი მორალით გამდიდრებულნი აღარ უბრუნდებიან ადრინდელ შინაგა-ნად უშფოთველ ცხოვრებას... ისინი ნამიერი პროტესტანტები კი არ არიან, არამედ ზნეობრივად ახლადშობილნი...

(ტელეფონის ზარი)

გისმენთ... ლუიზა ორი თვით წავიდა მოსკოვში (შეცოდება) არა, გებუმრე შე კაცო, ნუ ჩაგივარდა ხმა... ჰო, ისევ ჩემთან მოხვდი... რას იზამ, არ იცი ჩვენი ტელეფონების ამბავი? აბა მე რა გიშველო, ძამია! კარგად! (კიდებს ყურმილს. კელავ ტელეფონის ზარი). გისმენთ... ჰო, გელა, რას შვები, მორჩი რემონტს? მოგილოცავ! გვიქეიფია და ეგ არის, რამდენს? ოც კაცამდე? მერე და სად ატევ ამდენ ხალხს? (იცი-ნის) მე ვის ჩამიჯენ მუხლები? აბა, ლია? აჲ, ის შენი ფაშვაშა მეზო-

ბელი? დიდი მადლობა, მაგრამ მე აღმოსავლური გემოვნების კაცი არ გახდავარ! დიპლომზე ვმუშაობ; ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთეულაშვილი“. ლიტერატურა? ვრიგოლ კიქნაძე, აკაკი განერელია, თამაზ ჩიტერია ეკლი, ბენაშვილი, ზანდუკელი, ეიტა აბაშიძე, კალანდარიშვილი... ასე რომ, მაგარი გაჭედილი ვარ! კარგი, შევთანხმდით! (კიდებს ყურმილს. ზარის ხმა კარზე).

ბები, გააღე რა!

(ელენე ეკარს აღებს და შემოდის ნინიკოსთან ერთად)

ელენე — ჩვენი მშვენიერი ნინიკო მოვიდა... სად დაგვეკარგე, მთელი თვეეა აღარ მინახიხარ!

ნინიკო — სესიები მქონდა.

ელენე — ხომ ყველაფერი რიგზეა?

ნინიკო — დიახ!

ელენე — ეჭვიც არ მეპარებოდა!

კოკა — მობრძანდით აქ, ქაბატონო ხუთოსანო!

(ელენე გადის. კოკა თმაზე მოეფერება გოგონას და სავარძელში ჩასვამს).

კოკა — ძალიან მომენატრე!

ნინიკო — მეც!

კოკა — მესიზმრებოდი ხოლმე...

ნინიკო — მეც!

კოკა — რა „მეც“, „მეც“ აგიტყდა, მომიყევი შენი ამბები. რა არის ახალი შენს ცხოვრებაში.

ნინიკო — (ჩაფიქრდება) მოგიყები!

კოკა — (შეაგულიანებს) აბა, ჰე!

ნინიკო — რას მეცადინეობ?

კოკა — დიპლომს ვაკეთებ!

ნინიკო — გაცდენ!

კოკა — არაფერსაც არ მაცდენ, პირიქით... მონატრებულზე მიჭირდა კიდეც ჩაჯდომა... (ეფერება) სულ შენი სახე მედგა თვალწინ.

(შემოდის ელენე, ტახტს მიალაგებს და გადის).

კოკა — (ჩურჩულით) ბებია ამ დღეებში სოფელში მიდის ერთი კვირით...

(ნინიკო დგება, მელავებს გადაიჯვარედინებს და ჩაფიქრებული ბოლთას სცემს ოთახში).

კოკა — (გაკვირვებული) რა დაგემართა?

ნინიკო — დედა გახსოვს? (რაღაც ფოტოსურათს ათვალიერებს).

კოკა — რა თქმა უნდა, არა.

ნინიკო — ლამაზი გოგოა, მაგრამ შენ არა გგავს. არც მამა გახსოვს?

კოკა — ბუნდოვნად. ნინიკო, რა მინორულ განწყობაზე ხარ, სხვა

თემა ვერ აირჩიე სასაუბროდ?

ნინიკო — მაპატიე, კოკა, წყალი მომიტანე რა!

კოკა — კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს!

(გადის. ნინიკო ცოტა ხანს ხელებში ჩარგავს სახეს. შემდევ მაგიდას მიუჯდება და ჭიქას აბზრიალებს ჩიკორივით).

კოკა — (შემოდის წყლით სავსე ჭიქით ხელში) ინებეთ, ქალბატონო, მურაბიანია.

ნინიკო — გმიადლობთ.

კოკა — (ყურადღებით ჩაკევირდები) ალარ მეტყვი, რა მოხდა?

ნინიკო — გამოთიშე რა...

(კოკა გამორთავს მაგნიტოფონს და გვერდზე ჩამოუჯდება ნინიკოს).

ნინიკო — კოკა, მაპატიე, რომ გეკითხები...

კოკა — გისმენ. -

ნინიკო — გიყვარვარ?

კოკა — არა.

ნინიკო — (შეერთება) რა სთქვი?

კოკა — (გაილიმებს) მე შენ არ გეტყვი, გეტრფი,

ვით სხვანი გეტყვიან...

ნინიკო — (მოეხვევა და შუბლზე აკოცებს) კარგი ბიჭი ხარ!

კოკა — იდეალური.

ნინიკო — იცი... (კელავ პაუზა).

კოკა — (სიცილით) ე, ბოშო!

ნინიკო — მე მგონი რაღაც ხდება ჩემს თავს.

კოკა — ნუ დამილიე სული!

ნინიკო — კოკა, ბავშვი მეყოლება.

კოკა — (კიდევ ვერ მოსულა აზრზე) აბა, ბავშვი?!

ნინიკო — კოკა!

(მოეხვევა და მის მეერდში ჩარგავს თავს. ბიჭს ნელ-ნელა ეყინება სახეზე ღმილი, ის მხოლოდ ახლა მიხვდა ნათქვამს).

კოკა — (ჩახლეჩილი ხმით) ხუმრობ თუ მცდი?

ნინიკო — კოკა!

კოკა — (რატომღაც ჰერნია, რომ სცდიან) მერე და ამას რა სჯობია, ძვირფასო, ეს ხომ გენიალური ამბავია!

ნინიკო — მე კი ისე მეშინოდა შენთვის ამის გამხელა, თითქოს ლოდი მომწყდა გულიდან.

კოკა — (ნამოხტება) შენ რა, სერიოზულად ამბობ?

ნინიკო — ჰო, ძალიან მეშინოდა, მე ხომ არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდი ამ ამბავს.

კოკა — მაგას არ გეკითხები! ბავშვის ამბავი მართალია?

ნინიკო — (გაოცებული) შენ ხომ გაგიხარდა?!

კოკა — (ყვირის) მე მეგონა მცდიდი! (ცდილობს მშვიდად ილაპა-

რაკოს) იქნებ მოგეჩენა, ხომ შეიძლება რომ ცდებოდე?

ნინიკო — (ჩამწყდარი ხმით) არა.

კოკა — დედაშენისთვის ხომ არ გითქვამს?

ნინიკო — მე დედა არა მყავს, დაგავინყდა?

კოკა — დამავინყდა. არავისთვის გითქვამს?

ნინიკო — ვისთვის უნდა მეთქვა, მამას ხომ არ ვეტყოდი?

კოკა — (გისიერი დადის აქეთ-იქით) რასაკვირველია...

ნინიკო — რა ვქნათ, კოკა?

კოკა — რა უნდა ვქნათ! შენ თვრამეტი წლისა ხარ, მე ოცდაერთის, რა დროს ჩეენი ბაეშვებია.

ნინიკო — (სასონარკვეთილი) რა მოვდის?

კოკა — როგორ თუ რა მომდის, შენ გესმის რა მითხარი?! რატომ არ გაფრთხილდი?

ნინიკო — (სახეზე აიფარებს ხელებს) გაჩუმდი!

(ტელეფონის ზარი)

კოკა — (ყურმილს იღებს) დიახ... მეტი აღარ დარეკო, შე კრეტინო, თორემ...

ნინიკო — არ შეიგინო! (ყურებზე ნაივლებს ხელებს).

კოკა — (მოწყვეტით დააგდებს ყურმილს) რა მშვენიერი დილა გამითენდა! რას აპირებ ახლა?

ნინიკო — (პაუზის შემდეგ) რას უნდა ვაპირებდე?

კოკა — (უეცრად დაწყნარდება და გალიმებასაც მოახერხებს) რა-მეს მოვიფიქრებთ... ხომ არა გშია?

(ნინიკო გაოცებით შეხედავს და არაფერს პასუხობს).

ელენე — (შემოდის) ნინიკო, მოდი ერთად ვისაფილოთ!

ნინიკო — გმადლობთ, არ მინდა, ელენე დეიდა!

(ელენე გადის)

ნინიკო — (ჩურჩულზე გადადის) რა ვქნათ, კოკა?

კოკა — პრინციპში არაფერი ისეთი არ მომხდარა... შენ უკვე დი-დი გოგო ხარ და იცი... ხედები, რას გეუბნები?

ნინიკო — (თავს გააქნევს) ვერა.

კოკა — მოკლედ... არსებობს საშუალებები, რომ... რომ თავი და-ვალიოთ ამ უსიამოვნებას.

ნინიკო — (გაოგნებული) შენ რას მთავაზობ, მე ხომ შენ მიყვარ-ხარ?

კოკა — (კბილებში გამოსცრის) მე არ მიყვარხარ, მე!

ნინიკო — (გაფითრებული) დაგავინყდა, რა სიტყვებს მეუბნებოდი?

კოკა — როდის გეუბნებოდი?

ნინიკო — (უმნეოდ) მეუბნებოდი!

კოკა — (სწრაფად) ლოგინში არ ითელება! არ იტირო! არ იტირო-მეთქი!

(ნინიკო სახეს ხელებში ჩარგავს და ტირის. კოკა ცდილობს დააძ-
შვიდოს, თავზე ხელს გადაუსვამს).

კოკა — კარგი, დაწყნარდი, რას არ იტყვის გამნარებულეულობები
ისე მოულოდნელად დამატავე ეგ ამბავი, რომ...

ნინიკო — შენ მე არ გიყვარვარ!

კოკა — ვინ გითხრა, სულელო?

ნინიკო — (ტირილს უმატებს) შენ... შენ მითხარი და მიყვირე კი-
დეც. ჩემთვის მამასაც კი არ უყვირია.

კოკა — (მოშლილი) უნდა ეყვირა, ქამრითაც უნდა ეცემე... (ყალბი
ღიმილით) ასეთი მტირალა გოგო!

ნინიკო — (თავს სწევს და განცემურებით შეპყურებს კოკას) არა,
შენ ვიღაც სხვა ხარ, მე შენ ვერა გცნობ.

კოკა — გავმდიდრდები!

ელენე — (შემოტის) კოკა, გეძახიან!

(კოკა გადის)

სად აპირებ ნასვლას არდადეგებზე, ბიჭები ბაჟურიანში აპირებენ.

ნინიკო — არ ვიცი, ალბათ არსად.

კოკა — (შემოტის და კურტყას იცვამს) მე უნდა გავიდე ცოტა
ხნით, ამხანავი მეძახის.

ელენე — კი, მაგრამ, ნინიკოს არ უხდი ბოდიშს!

კოკა — ნინიკო შემინდობს, შინაურია!

(გადის)

ელენე — ყოველი მისი გასვლა ლახვარივით მცემს გულში. ისეთი
ფათერაკიანია. შენ ხომ გესმის, ნინიკო, მის გარდა არავინ მყავს ქვე-
ყანაზე.

ნინიკო — დიახ.

ელენე — რაღაც სევდიანი მეჩვენები!

ნინიკო — (მერთალი ღიმილით) დავიღალე!

ელენე — ჰო, თუმცა გამოცდები... მოდი, ჩაი დაელიოთ!

(ნინიკო ულონოდ დაიქნევს თავს თანხმობის ნიშნად. ელენე ყუ-
რადლებით ჩახედავს, მაგრამ აღარას კითხავს და გადის. ცოტა ხანში
კვლავ შემოტის და სუფრას ანყობს).

ნინიკო — (ნამორ. ჩევს) დაგეხმარებით!

ელენე — დაჯექი! აბა, რა დახმარება მჭირდება?

ნინიკო — ნუ ნუხდებით!

ელენე — ნინიკო, ნუ შემანუხე შენი კარგი აღზრდილობით, რა შე-
ზუხებაა, პირიქით, მიხარია, შენთან ერთად ყოფნა. ვინ იცის, იქნებ
არც მოგენყინოს ჩემთან.

ნინიკო — რას ბრძანებთ?

ელენე — (პაუზის შემდეგ) ნინიკო, კოკა როგორი ბიჭია.

ნინიკო — (ჩაფიქრების შემდეგ) რთული!



ელენე — როული?

ნინიკო — ძალიან მრავალწახნაგოვანია... ერთბაშად ვერ გაუტექმა ჩეყლა
ელენე — (ცოტა არ იყოს ნაწყენი) მეგობრებს ძალიან უყვარს!

ნინიკო — (გაულიმებს) მეც მიყვარს!

ელენე — (ჩაფიქრდება) ძალიან ნათელი ბავშვი იყო. ცოტა სევდი-
 ანიც გახლდათ... შემდეგ მამლაყინწოდა დაინყო. ქუჩა, ჩხუბები, უი-
 მედო სიყვარულები, რომელებსაც თვითონვე იგონებდა, მოსნონდა
 რომანტიული კაეშანი... (იცინის) ლექსებს ნერდა, სხვათაშორის არც-
 თუ ისე ცუდად... შემდეგ გატლანქდა, რაღაც ნიღაბს ეძებს აქამდე...
 მაგრამ მე ჯვერა, რომ მობეზრდება ეს ძებნა და ისევ ისეთი ნათელი
 ბიჭი დამიბრუნდება... (ხაზგასმით) უფრო სწორად, დაგვიბრუნდება,
 ნინიკო, შენ, მე, თავის მეგობრებს. ამიტომაა, რომ არ ვანუხებ ზედმე-
 ტი ჭკუის სწავლებით.

ნინიკო — (არ პასუხობს. რაღაცაზე ჩაფიქრებულა. შემდეგ გამო-
 რევევა) კოკას ლექსები ხომ არა გაქვთ?

ელენე — სამწუხაროდ არა. უნივერსიტეტში პირველ კურსზე მი-
 სი ლექსების განხილვა მოეწყო. ძალიან საინტერესოდ ჩაიარა დის-
 პუტმა, მაგრამ ხომ იცით მისი ხასიათი... მინიმალური კრიტიკა და
 სახლში დაბრუნებისთანავე ყველა ლექსი დაწვა, ერთიც არ დაიტოვა.

ნინიკო — (საათზე დაიხედავს, დეიდა ელენე... დიდი მადლობა...)

ელენე — (სერიოზულად) ნინიკო, არ მინდა ასეთი განწყობით ნახ-
 ვიდე აქედან. დაელოდე კოკას. მე ხელს ალარ შევიშლი... (საათზე და-
 იხედავს) ახლა მონაფე უნდა მოვიდეს ჩემთან... შენ ჩამოჯექი, მუსი-
 კა ჩართე... მეც მალე შემოგიერთდები.

(გადის)

ნინიკო — (მარტო რჩება, ნიკაპს მუჭტზე ჩამოსდებს და სევდიანად
 ჩაილაპარაკებს).

გაიმე, ჩემო დედიკო... გაცოცხლდი რა!!!

(მუსიკას ჩართავს, მელავებს კეფაზე შემოიჭობს და ცოტახანს
 ასე ტრიალებს ადგილზე. შემდეგ ჩაიცვამს და ჩუმად მიდის).

სურათი მეხუთე

ავანსცენაზე კოკა და ნინიკო. ეტყობა ორიცეს სციფა. თბილად
 არიან ჩაცმულნი.

ნინიკო — (უიმედოდ) რა ვქნათ, კოკა?

კოკა — შენამდე ეგ შეკითხვა ჩერნიშევსკიმ დასვა.

ნინიკო — კოკა!

კოკა — ჰო, თუმცა... მე ხომ პოტენციური მამა ვარ, რა დროს ხუმ-
 რობაა! (აცემინებს)

ნინიკო — (მექანიკურად) სიცოცხლე.

კოკა — გმადლობთ!
 ნინიკო — როგორ ცივა!
 კოკა — შენ აირჩიე ეს ადგილი!
 ნინიკო — ავირჩიე, იმიტომ, რომ დედა ელენეს ვერ ვუყურებ
 თვალებში.
 კოკა — ნინიკო... უნდა დამიჯერო, სხვა გამოსავალი არა გვაქვს...
 მე ყველაფერს მოვაგვარებ! ჩემი ნაცნობის დეიდა სახლში ლებუ-
 ლობს... ავადმყოფებს. არ შემანყვეტინო!
 ნინიკო — კოკა, კოკა, რა მოგდის?
 კოკა — მაგას კითხვა უნდა!
 (აცემინებს).
 ნინიკო — (ნერვიულობს) სიცოცხლე!
 კოკა — (ასევე ნერვიულად) გმადლობთ! მოქლედ, ხვალ უნდა მი-
 ვიდეთ!
 ნინიკო — კოკა, რამ გამოვცვალა ასე?! შენ ხომ ლექსებს ჩერდი?
 კოკა — მერე და ახლა რა ვქნა, აბორტების საწინააღმდეგო ტრაქ-
 ტატი დავნერო?
 ნინიკო — ნუთუ ეს შენა ხარ?!

კოკა — ნინიკო, შელოდრამატიზმის გარეშე, გთხოვ! (დაცემინე-
 ბას აპირებს).
 ნინიკო — (ისტერიულად) აღარ დაამცხიკვო!
 კოკა — (გაოცებული) რა არ ვქნა?
 ნინიკო — ნუთუ შენთვის გაუგებარია, რომ მიყვარხარ, რომ არ
 შემიძლია ასეთს გიყურო.
 კოკა — როგორს, გრიპიანს?
 ნინიკო — მე შენ მიყვარხარ, გესმის?!
 კოკა — შექსპირრ!
 ნინიკო — (სახე ეყინება) იცი, დეიდა ელენე ცდება! შენ ნილაბს არ
 ეძებ, შენ ნილაბს არ ეძებ, შენ სწორედ ასეთი ხარ! (კოკა აცემინებს)
 ნინიკო — სიცოცხლე!
 კოკა — დამანებე რა თავი, შენი სიცოცხლის ძახილით!
 ნინიკო — კოკა!
 კოკა — (მოშლილი) თავმოყვარეობა არა გაქვს?!

ნინიკო — თავმოყვარეობა? რა დროს თავმოყვარეობაა, როცა
 გიყვარს!
 (კოკა აცემინებს, ნინიკო გარბის)
 კოკა — (ამოიოხებს) ეს რა ხათაბალაში გავები!
 (აცემინებს და გადის).

სურათი მეექვსე

კოკას ოთახი. კოკა კელავ საწერ მაგიდასთან ზის სქელტანია-
 ნი ნიგნებით გარშემორტყმული. ხელში ქალალდის საჭრელი

დანა უჭირავს და ფურცლებს ქრის.

(ტელეფონის ზარი)

კოკა — მეექვსე რაიმილიცია გისმენი!

(ლიმილით ატრიალებს ხელში ყურმილს) რა მოსხლეტით დაკიდა
ლუიზას სატროფომ?

(განაგრძობს ქალალდების ქრას. ზარის ხმა კარზე. კოკა კარს
ალებს და ხასიათნამხდარი ბრუნდება უკან ნინიკოსთან ერთად. ნინი-
კო საცოდავად მობუზულა სიცივისგან, გათოშილ ხელებს ითბობს და
სველ თმას იმშრალებს).

კოკა — მაგრად თოვს?

ნინიკო — ძალიან.

კოკა — (პირსახოცს ანვდის) გაიმშრალე თმა... ქოლგა არ გქონდა?

ნინიკო — (გათოშული გამომეტყველებით) ტროლეიბუსში დამრჩა.

კოკა — ხომ არ გძია?

ნინიკო — ძალიან სტუმართმოყვარე ხარ, ყოველ მოსვლაზე ერ-
თი და იგივე შეეითხოს მაძლევ!

კოკა — მოდი, ვისადიღოთ!

ნინიკო — არ მინდა, მეცადინეობდი, ხელი შეგიშალე!

კოკა — ვებოდიშოთ ერთმანეთს და ვატაროთ ასე დრო!

ნინიკო — ვიხარია, სწავლას რომ ამთავრებ?

კოკა — არ ვიცი.

ნინიკო — გამოთიშე რა! (მაგნიტოფონზე მოუთითებს).

კოკა — კი, ბატონი, ნინათ ძალიან გიყვარდა?!

ნინიკო — შეიძლება დავრეკა?

კოკა — (ეცინება) არა, არ შეიძლება. იცი, მეღავს შენი ზრდილო-
ბიანობა!

ნინიკო — (რეკავს) მამა, მიხვედი სახლში?

კოკა — არა, ჯერ არ მისულა!

ნინიკო — მამა, გადაწყდა ჩენი პრაქტიკის ამბავი... ჰო, ორი
თვეით, ტალინში! მთელი ჯგუფი უკლებლივ... როგორი ხმა? ჩვეულებ-
რივი ხმა მაქეს! კი, მიხარია! მართლა მიხარია, რატომ არ გვერა! ამ-
ხანაგთან... შენ არ იცნობ! საფილი აივანზეა... მალე მოვალ.

(კიდებს ყურმილს და მოულოდნელად ატირდება)

კოკა — (გაევირებული) რა გატირებს?

ნინიკო — მიყვარს მამა...

კოკა — შენ ხომ არ აურიე ამ ბოლო ხანებში?

ნინიკო — ნესიერად მელაპარაკე!

კოკა — ძველი ბიჭიც გახდი, ტონალობას მიკონტროლებ!

ნინიკო — (თავისთვის) სახლში შესვლა არ მინდა, არაფერი დამი-
მალავს მამისთვის... ახლა კი...

(ტელეფონის ზარი).

კოკა — გისმენთ! 22-23-55? ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ტელეფონი!
ნინიკო — იცი რა მომენტია პირველად შენში?

კოკა — რა?

ნინიკო — შენს ნინანდელ რომანებზე რომ არ მიყვებოდი!

კოკა — რა გაგიკვირდა, დედაკაცი ხომ არა ვარ?

ნინიკო — კიდევ რა მახსოვს იცი?..

კოკა — (გალიზიანებით) ნინიკო, დავანებოთ ამ ლირიკულ ნიაღა-
ვლებს თავი! დაწმუნებული ვარ, რომ მშვენიერი მესიერება გაქვს!

ნინიკო — (ჩამწყდარი ხმით) კარგი!

კოკა — (რბილად) მაპატიკე, გამანამა ამ დიპლომმა. ადვილად ელი-
ზიანდები!

ნინიკო — გასაგებია, ბებია სად არის?

კოკა — სასაფლაოზე!

ნინიკო — დედა და მამა ერთად არიან დაკრძალული?

კოკა — ჰო.

ნინიკო — დედა გახსოვს?

კოკა — რამდენჯერ უნდა მეითხო? და საერთოდ რა „გახსოვს“,
„გახსოვს“ აგიტყდა?.. საიდან უნდა მახსოვდეს, როცა ჩემს დაბადე-
ბას შეენირა.

ნინიკო — მაპატიკე.

კოკა — გპატობ, ბატონი!

(მოუთმენლად ცემს ბოლთას ოთახში და საათზე იხედება).

ნინიკო — (ნალელიანად) გეჩქარება საჭმე?

კოკა — (ჩაიბურტყუნებს) ისე რა... ნახევარ საათში უნდა გამომი-
არონ.

ნინიკო — ნავალ მე...

კოკა — მოიცა. მე მონი, მთავარზე არ გვილაპარაკია.

ნინიკო — მე არ ვიცი, კოკა...

კოკა — სამაგიეროდ, მე ვიცი! ზეგისთვის მყავს შეთანხმებული
ის ქალი.

ნინიკო — მე არ ნამოგყვები.

კოკა — ნინიკო, გონის მოდი, გირჩევნია!

ნინიკო — მე არ ნამოგყვები.

კოკა — აბა რას აპირებ?

ნინიკო — ვიტოვებ.

(მოულოდნელად კვლავ ატირდება, მაგრამ სწრაფად მოსხიპავს
ცრემლს).

კოკა — (გაოგნებული) და მე არც მეეითხები, ხომ?

ნინიკო — მე შენ გეითხე!

კოკა — (ყვირის) ხომ არ გავიწყდება, რომ ჩემს შეილზეა ლაპარა-



კო?

ნინიკო — (მნარედ) მე არ მავინდება!

კოკა — (გვერდულად ჩამოუჯდება) ნინიკო, მომისმინე, ბაფშუჭალი ხომ არა ვართ?

ნინიკო — შენ არა თქვი, ჯერ თვითონ ბავშვები ვართ, რა დროს ჩვენი ბავშვებიაო?

კოკა — ნინიკო, ჟეუას არ გადამაცდინო!

ნინიკო — იცი, ერთი მშვენიერი აზრი მომიგიდა თავში. მოდი ხელი მოვანეროთ, გადავიხადოთ მშვენიერი ქორწილი, ბადრი და გელა შენი მეჯვარეები იქნებიან, ნანა და ლიკა ჩემი. ნავიდეთ საქორწილო მოგზაურობაში გემით, მერე პატარაც გაჩინდება...

კოკა — აი, თურმე რა იდეები განუხებს; პრიციპში მე ველოდი, რომ აღრე თუ გვიან ჩამოაგდებდი ამ თემაზე საუბარს. იცი, რას გეტ-ყვი, ჩემი კარგო, ქორწინების სახლი ჩემთვის თბილისის გეოგრაფიაში არ არსებობს.

ნინიკო — მაშ არ გინდა, რომ შენი ცოლი გავხდე?

კოკა — შენ ნარმოიდგინე, არა.

ნინიკო — მე კარგი ცოლი ვიქები, ერთგული, მოსიყვარულე.

კოკა — (უცარი დაეჭვებით) შენ ხომ არ დამცინი?

ნინიკო — არა, დასაცინი რა გჭირს. ერთი ეს მითხარი, რომ გიჩივლო რა მოხდება?

კოკა — (გაოგნებული) რომ მიჩივლო?

ნინიკო — ჴო, მილიციაში. შემაცდინა და ახლა ბავშვის მამობა არ სურს-მეთქი. მაშინ ალბათ ან ციხეში ნახვალ, ან ცოლად შემირთავ, არა?

კოკა — (მნარედ ჩაიცინებს) გაიყიდე ბოლოს და ბოლოს, ახლა სინდისიც ალარ შემანუხებს. დიდი ლოდი მომხსენი გულიდან. შენ რა იფიქრე, შანტაჟით შემაშინებდი? ციხეში ნავალ, მაგრამ შენ არ შეგირთავ...

ნინიკო — (ყრუდ) კარგი, გაჩუმდი!

კოკა — არა, მომისმინე. შენ გონია, იმას ვათქმევინებ, კოკა მხედემ მიქარა და ქალი შეეტენაო, გამორიცხულია! გამოჭერაზე რომ ხართ ყველა, მაგიტომ ვერ გიტანთ ახლანდელ გოგოებს. შენ იცი, რომ ამდენ ბიჭურ თრომტრიალებში შიში არ მიგრძვნია და მხოლოდ ახლა გავიგე, რა არის ცხოველური შიში, მას შემდეგ, რაც შენ გამომიცხადე, ბავშვი მეყოლებაო. ყოველ შენს მოსვლაზე გული მისკდება და მიციცედება. ციხეში ნავალ და შენ არ შეგირთავ, იმიტომ რომ მძულხარ. იმიტომ რომ ხაფანგი ხარ, გესმის, ხაფანგი!

ნინიკო — გაჩუმდი, გაჩუმდი!

(ნამოხტება, ხელს სტაცებს ქალალდის საჭრელ დანას და მთელი ძალით ჩაარტყამს მკერდში კოკას).

კოკა — მაგ საქმისთვის უფრო წვეტიანი დანა უნდა შეგერჩისა, ეგ
ქალალდის საჭრელია!



ნინიკო — (თითო გაიშევრს მისკენ) სისხლი!

კოკა — არაფერია, გაკანრა მხოლოდ.

(ცხვირსახოცით იწმენდს სისხლს და ძირს დავარდნილ დანას იღებს) ასე რომ გზა ხსნილი გაქვს... (უცებ ამჩნევს, რომ გოგონას ცი-ებიანივით აკანკალებს) რა გემართება?

ნინიკო — (კბილები უკანკალებს) ააარ ვვეიცი!

კოკა — მოდი, აქ დაწექი!

(ტაბტზე დაანგენს ნინიკოს, გარბის და წყალი მოაქვს).

დალი! (იცინის) რა წვაპანებული აუტეხე ჭიქას? (ნინიკო ცოტა ხანს უძრავად წევს, შემდეგ ტაბტზე ჩამოჯდება და თმას ისწორებს).

კოკა — ტალინში მიდიხარ?

ნინიკო — ჰო, პრაქტიკაზე.

კოკა — რა ხნით?

ნინიკო — შენ რა, მართლა დაიჯერე რაც გითხარი?

კოკა — მხოლოდ პირველ წუთებში, რომელი მომჩივანი შენა ხარ! მომისმინე, ჯანდაბას ჩემი თავი, მოვანეროთ ხელი და ორ თვეში დავ-ცილდეთ, ვითომ ხასიათებით ვერ შევეწყვეთ, მაღლობა ღმერთს, არავის გაუკეირდება, პანტა-პუნტით ცილდებიან დღეს ერთმანეთს. ოღონდ ბავშვის მოცილება მაინც საჭირო იქნება, ასე გავაკეთოთ. ჩა-მოხვალ თუ არა, ხელს მოვანერთ. ბევრი ხმაურის გარეშე...

ნინიკო — არა...

კოკა — რაო?

ნინიკო — ეს არ მოხდება, კოკა!

კოკა — (სასოწარკვეთით) აბა, მეტი რა ვქნა, გამაგებინე!

ნინიკო — დამშეიდდი. ალბათ არ უნდა მერვალებინე ამდენ ხანს. კოკა, მე ახლა ერთი ადგილიდან მოვდივარ. ეს ერთი თვე, რაც შენ ეს ამბავი გაიგე, მე ბევრს ვყოყმანობდი... მოკლედ, მე თვოთნ გავაკეთე ყველაფერი.

კოკა — (გაოგნებული) რა გააკეთე?

ნინიკო — რაც ასე ძალიან გინდოდა. მოვიცილე!

კოკა — მართალს ამბობ?

ნინიკო — (წამოდგება) ჰო, (შეტორტმანდება, კოკა ხელს შეაშვე-ლებს) მე უნდა ნავიდე!

კოკა — მოიცა, ერთი რამე ამიხსენი, რაში დაგჭირდა ეს გათამა-შება?

ნინიკო — დამჭირდა. ახლა ბევრად უფრო ადვილი გახდა ყველა-ფერი.

(საწვიმარს იცვამს).

კოკა — (დარეტიანებული) გაგაცილებ!



ნინიკო — (ისტერიულად) არა! არა! არა!

კოკა — (შეშინებული) ჰო, კარგი, კარგი.

(ნინიკო გადის. კოკა ცოტა ხანს უმიზწოდ დაბორიალებს, შემუშავებული სავარძელში ჩაეშევება, ცხვირსახოცს მეურდში ჩაიფენს და დაბნეულად გაშლის მკლავებს).

პირველი მოქმედების დასასრული

მოძველება მეორე

სურათი მეშვიდე

ოთახი, კოკა და ბებია საუზმობენ. ბიჭი რაღაცაზე ძალიან ჩაფიქრებულია, ხანდახან ლუმაც უჩერდება პირში.

ელენე — რა გემართება?

კოკა — (გამოერკვევა) არაფერი.

(სიგარეტს უკიდებს).

ელენე — დაამთავრე საუზმე.

კოკა — ალარ მინდა.

ელენე — ბოლო ხანებში რაღაც აფორიაქებული ხარ.

კოკა — გეჩვენება.

ელენე — (პაუზის შემდეგ) კოკა, სად გაქრა ნინიკო?!

კოკა — (მხრებს აიჩეჩავს) აბა, მე რა ვიცი?!

ელენე — რატომ არ იცი?

კოკა — რატომ უნდა ვიცოდე?!

ელენე — რამე მოხდა თქვენს შორის?

კოკა — ბები, შენ ნინათ არ იცოდი ასეთი ჩაციება!

ელენე — ნუ გიკვირს, არც ისე დიდი დრო დამრჩა შენს გვერდით სამყოფად, რომ შენს საქმეებში არ ჩავერიო!

კოკა — არც მასეთ ლაპარაკს ვარ შენგან ჩვეული.

ელენე — როგორ ლაპარაკს?

კოკა — ნუნუნა ბებიების...

ელენე — (იცინის) იცი, რას გეტყვი, შენ მაგ კონტრშეტევებს თავი დაანებე. პასუხი გამეცი შეკითხვაზე.

კოკა — რა გინდა, ბები, ამიხსენი!

ელენე — შენ ხომ გიყვარს ნინიკო!

კოკა — ცდები!

ელენე — იქნებ შენ ცდები? იქნებ ის იდუმალი ფანტომი, რომელ-საც დაეძებ, გვერდზე გყავს და შენ კი ვერ ხდები ამას!

კოკა — (მოშლილი) ბები, დამანებე თავი!

ელენე — (მკაცრად) როგორ მეღაპარაკები!

კოკა — ბოდიში, (პაუზის შემდეგ) მე თვითონ ვერ გავრკვეულვარ

რაღაც-რაღაც ეცნობში ჯერ რიგიანად!

(ელენე მაგიდას ალაგებს)

კოკა — (ეხმარება) ხომ მაპატიე?

ელენე — ნუ გამგუდე სიგარეტით!

(გადის. კოკა ხანს უმიზნოდ სცემს ბოლოს ოთახში. შემ-
დეგ ჯდება, დანას მოიმარჯვევებს და ფანქრების გათლას შეუდება.
უამი-უამ ჩაფიქრდება და თვალი უშტრერდება. ბოლოს დება, გაუბე-
დავად მიდის ტელეფონთან. ცოტა ხანს ხელში ატრიალებს ყურმილს.
მერე კი თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, რიცხვს კრეფს).

კოკა — (ხმადაბლა) ნინიკოს სთხოვეთ! (სახე ეცვლება) ნაეიდა!
სად ნაეიდა?.. ტალინში? გუშინ? მე ამხანაგი ვარ! ბოდიში... კარგად
ბრძანდებოდეთ!

(უძრავად დგას ოთახში, შემდეგ სწრაფად კრეფს ნომერს).

ბადრი, კოკა ვარ!-მომისმინე, სასწრაფოდ მტკირდება ფული! ტალინ-
ში მივდივარ! ველასაც დაურეკე! რამდენსაც იმოვით! რა დროს ხუმრო-
ბაა, ხომ არ გაგიფდი! მართლა, მართლა... კარგი, გადმომირეკე! (კიდებს
ყურმილს, მაგიდის უჯრას გამოალებს და ფულს ითვლის) ბები!

(შემოდის ელენე, ძველმოდური, გრძელი თეთრი კაბა აცვია, თით-
ქოს ოცი წლით გაახალგაზრდავდა კიდეც).

კოკა — (გაკურვებული) რა ამბავია, ქალბატონო, ამხელა სილა-
მაზე რომ დაგვატეხეთ თავზე?

ელენე — (სიცილით) უეცრად ძალიან მომინდა ჩემი ყმანვილქალო-
ბისდროინდელი კაბის ჩაცმა... ამ კაბასთან ხომ დიდი მოგონებები მა-
კავშირებს. მხედები ყველა ნარჩევი ვაჟაცები იყენენ, მაგრამ ბაბუა-
შენი მათშიც კი მარგალიტივით გამოირჩეოდა, ჭუას ვკარგავდით მის
გამო გოგოები... და უეცრად, ვამჩნევ, რომ ბოლო დროს რაღაც უბშირა
ვიზიტებს ჩევნს სახლში. ზის ქანდაკებასავით მაგიდასთან, თვალს არ
მაშორებს და აბდაუბდად პასუხობს მამაჩემს შეკითხვებზე... ერთხე-
ლაც ბზობაზე ნამიყვანა ეტლით... მაშინ ჯერ კიდევ იყო ეტლები. დედა-
ჩემს ვეჩხუბე, რა ნესია, ქალიშვილ ქალს მარტო რომ მატანთ მაგ კაცა-
მეთქი, მიპასუხა: ელიზბარ მხედე ჭეშმარიტი რაინდია და უმნიკელო
რეპუტაციის პატრონიო, უხერხელი იქნება დაუსაბუთებელი უარი
ვუთხრათ და თავმოყვარეობა შევულახოთო... ძალიან ამაყი კაცი იყო
ბაბუაშენი, კოკა! სხვა რა დამრჩენოდა, ნაეყევი ბზობაზე... ეტლში ასას-
ულელად ხელი რომ გამომინოდა, კინალამ ფეხები ნამერთვა... (იცინის)
ნაევდით ასე ჩაქჩაქით სიონისაკენ... გაბუტიულებივით ჩუმად ესხედ-
ვართ, ხმას არ ვიღებთ... არც ერთი... მალულად თვალი შევავლე და ვხე-
დავ, კაცის ფერი არ ადევს... სიონს რომ მიეუახლოვდით, ეტლი გაჩერე-
ბინა, გადავიდა და რევოლუციი საფეხქელზე მიიღო... დგას ასე ფერდა-
კარგული ეს მშვენიერი ვაჟაცაცი და მეუბნება — ელენე, მრავალსიტყვი-
ანობით არ შეგანუხებთ, ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშია, ან ეხლავე

წმინდა გიორგის ხატთან სიყვარულს შემომტიცავთ, ანდა, ჩემი სიკული ლის ნახვით აქ არ შეგანუხებთ, ისე კი თავს არ ვიცოცხლებო. კორიცხვა
კოკა — (სიცილით) უყურე ერთი, რა ოპერატორულად მოქმედდა მასა?

ბაბუაჩემი! შენ რაღა უპასუხე, ცოტა მაინც არ გაიკეთები?

ელენე — სად იყო, ბიჭო, ამის დრო? ვინ მაცალა განაზება, გული გამისედა, რამე ისეთი არ ვთქვა და არ დაიგრიალოს საფეთქელში ტყევია-მეთქი... შენნაირი გადარეული იყო ისიც! სხვათაშორის, გარეგ-ნულადაც და ხასიათითაც გაჭრილი ვაშლიერი გავხარ ელიზბარს... ჰოდა, სხვა რა დამრჩენოდა, დავითიცეთ ხატის ნინ. ორი კელაპტარი დავანთეთ და დიდხანს ვიდექით გალობითა და საქმეელის სუნით გაბ-რუებულნი... საკმაოდ ლამაზი წყვილი ვიყავით მაშინ! დაბრუნებისას, სახლს რომ მივუახლოვდით, ელიზბარმა ბზა გამომართვა და ხელზე მეამბორა, და უეცრად ღია ფანჯრიდან გაისმა „რიორიტას“ ჰანგები...

(სადღაც ყრუდ შემოდის „რიორიტას“ მელოდია).

კოკა — რიორიტა რა არის?

ელენე — სიმღერა იყო ასეთი. საცეკვაო... და მას შემდეგ ეს კაბა და „რიორიტა“ იმ ბზობას, იმ საღამოს მაგონებას.

კოკა — ბები, მაპატიკე, ცოტა პროზაულ საქმეზე რომ დაგელაპა-რაკო, შენი მშეენიერი მონაყოლის შემდეგ. ფული მჭირდება სასწრა-ფოდ!

ელენე — რამდენი?

კოკა — აი, ჩემი კოსტუმისთვის რომ გაქვს გადადებული, ზეს-ტად ის თანხა მჭირდება.

ელენე — (ნალვლიანად) მერე და კოსტუმი?

კოკა — ბები, ვერ ნარმოიდებნ როგორ მჭირდება, ტალინში მივ-დიერ ორი დღით, ნინიკოსთან.

ელენე — ნინიკოსთან? (გაიღიმებს) კარგი. (გადის ფულის მოსა-ტანად. ზარის ხმა, კოკა კარს აღებს).

ლენა — (შემოიჭრება ოთახში ყვირილით) რამდენჯერ გაგაფრთ-ხილეთ, წყალი ნუ გრჩებათ მოშვებული-მეთქი. ახლა ჩამოდი და შენი ხელით მონმინდე იატაკი!

კოკა — (ვედრებით) ჩუმად! ჩუმად! გთხოვთ! ხვალვე მოვიყვან მუშას და...

ლენა — ხვალისა ხვალ იყოს, ბატონო, ახლა კი ჩამობრძანდი, მაგ თავადიშვილობა მოიშალე და შენი ხელით მონმინდე იატაკი!

კირილე — (რომელიც უძრავად დგას მის გვერდით) დამშვიდდი, ლენა!

ლენა — ჩამოხვალ თუ არა?

კოკა — (მოთმინებადაკარგული, ვედრებით) ჩამოვალ, ყველა-ფერს გაეცემოდ, ღოლნდ ნუ ყვირით და ბებიას ნუ გააგონებთ! მაცა-ლეთ, წყალს გადავკეტავ.

(გარბის და ნამსვე შემორბის).

ლენა — რა ვქნათ, აბა, კალოშებით ვიაროთ საკუთარ სახლში?

კირილე — დამშეიდდი, ლენა, გენაცვალე!

კოკა — (მოძლილი) გავიდეთ. მე გავამშრალებ თქვენს იატაკს, ოღონდ დროზე გავიდეთ აქედან.

ლენა — მხეიძეობა და კნიაზობა მეფის დროს იყო, ახლა ყველა ერთი ვართ...

კირილე — ნუ აიშლი ნერვებს, გენაცვალე!

ლენა — დამანებე ერთი თავი, თუ ღმერთი გნამს!

(გადიან. ცოტა ხანში შემოდის ელენე, ფულის შეკვრით ხელში და დაბნეულად ათვალიერებს ოთახს).

ელენე — კოკა, კოკა!

(გადის სამზარეულოში. იქიდან ისმის მისი ძახილი) კოკა! ნეტა, რა იქნა ეს ბიჭი?

(ჩამოჯდება სკამზე და დაბნეულად იწყებს ფულის თველას, შემდეგ ფულს გვერდზე გადასდებს, ნიკაპს ხელისგულზე ჩამოაყრდნობს და ჩაფიქრდება. სადღაც შორს გაისმის „რიორიტას“ მელოდია. ტელეფონის ზარი. ელენე ფიქრებიდან გამოერკვევა და ყურმილს იღებს).

ელენე — ალო... ოჳ, ბადრი, გამარჯობა!.. გმადლობთ, მშვენივრად... არ ვიცი, ხუთი წუთის ნინ როთახში იყო და უცებ სადღაც გაქრა... შეიძლება მეზობლებთანაა... პალტო არ ჩაუცვამს... კარგი, ვეტყვი...

(ყურმილს კიდებს და დგება, რამდენიმე ნაბიჯს გააკეთებს და უეცრად შეტორტმანდება, ძლივს შეინარჩუნებს ნონასნორობას, მაგრამ ადგილიდან ვერ იძურის).

ღმერთო, რა მემართება (შეშინებული) კოკა, მიშველე, კოკა! (უღონოდ ქანაობს აქეთ-იქით. შემოდის კოკა, ვერ ამჩნევს ბებიას და მთელი ძალით ხეთქავს კედელს მუშტს).

ელენე — (სუსტად) კოკა!

კოკა — (ახლადა შეამჩნევს ბებიას არაბუნებრივ პოზას) რა დაგემართა?

ელენე — არ დამძრა ადგილიდან, საშინელი ტკივილია, კოკა!

კოკა — (შეშინებული) რა მოგდის, ბები?

ელენე — (ნანყვეტ-ნანყვეტ) მაგრად ჩამიკარი, მივდივარ, კოკა, მგონი გტოვებ მარტო, ჩემო ბიჭო!

კოკა — ბები!

ელენე — (თვალდახუჭული) მინდოდა სიკვდილის ნინ ღიმილი და-მეტოვებინა შენთვის, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია გაღიმება...

კოკა — (ლრიალებს) უქიმი, უქიმი სწრაფად! სასწრაფომში დავრე-კავ!

ელენე — არა, არა, არ გამიშვა ხელი... არ დაუთმო ჩემი თავი, იქ
სიცივეა, სიბნელე... არ გამიშვა კოკა, არ მინდა! ტახტამდე ვჭრამზე
ვალ, მოდი, აქეე დამანვინე...

(ბებია-შეილიშვილი იატაკზე ეშვება. კოკა მუხლებში ჩაიდებს ბე-
ბიას თვეს) კოკა, მივდივარ... არ დაანებო ჩემი თავი, მეშინია... მეში-
ნია... (ხმა უწყდება და გაირინდება).

კოკა — (მკერდში ჩაიკრავს მის სახეს და დაჭრილივით ბლავის).
არაააა!

(მძლავრად და მზიარულად შემოიტრება „რიორიტას“ მელოდია).

სურათი მერვე

კოკას ოთახი. აულაგებელი მაგიდა, აულაგებელი ტახტი,
უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სკამები. შემოდის კოკა, ხელში
გაზეთში გახევული კონსერვები და პური უჭირავს. პალტოს
საყელო ანეული აქეს, წევრი კარგა ხნის გაუპარსავი და, საერ-
თოდ, ძნელი საცნობია, ისეა მოტეხილი და მოშვებული. პალ-
ტოს იქვე სკამზე მიაგდებს, დაიიფერთხავს დამტკერილ პი-
ჯაეს, გადის და ცოტა ხანში უკან ბრუნდება, ხელში პირსახო-
ცი უჭირავს, შეიმშრალებს ხელებს და პირსახოცაც იქვე მი-
აგდებს. ჯაყვა დანით კონსერვს ხსნის და პურს ჭრის. ტელე-
ფონის ზარი.

კოკა — გისმენთ... ჰო, გელა... სასაფლაოზე ვიყავი, ეს წუთია შე-
მოვედი... ალბათ ორ კეირაში მოვრჩები საფლავს... არა, რა დახმარე-
ბა, ისიც ზედმეტი იყო, რაც გააკეთეთ... არა, გელა, არ მინდა წასვ-
ლა... სახლში მირჩევნია ყოფნა... არა, არ გენყინოს და მარტო მინდა
დავრჩე... ნუ ამოხვალ! კარგი... ნახვამდის!

(კიდებს ყურმილს. მაგიდას უბრუნდება, დანას კონსერვის ქილა-
ში ჩაყოფს და უხალისოდ, მექანიკურად ინყებს ჭამას. ტელეფონის
ზარი).

კოკა — გისმენთ... ისევ ლუიზას ეძებ, ძმობილო? რა გიყო, რითი
დაეხმარო, არ იცი ჩვენი ტელეფონების ამბავი?! რას ამბობ, სრუ-
ლებით არ მანუხებ, პირიქით, ორი დღე რომ არ დარეკავ, თითქოს
მაკლიაო რაღაცა გულზე... ასე რომ, არ მოგერიდოს!

(კიდებს ყურმილს და კვლავ მაგიდასთან ჩამოჯდება. ცოტა ხანს
უძრავად ზის რაღაცაზე ჩაფიქრებული, შემდეგ გამოერევევა, უხა-
ლისოდ მოციცქნის პურს და ჭამას განაგრძობს. კვლავ ზარის ხმა, ამ-
ჯერად კარზე რეკავენ. კოკა ნამოიზლაზნება და გადის).

კოკა — (გაევირვებული) მობრძანდით!

კირილე — (შემოდის. ხელში კონიაჟის ბოთლი უჭირავს) აქა მშვი-
დობა!

კოკა — დაბრძანდით.

კირილე — (ჯდება, კონიაქის ბოთლს მაგიდაზე დებს) არ გავიკირდეს, ჩემო კოკა... უცებ მომინდა მეზობელთან ერთი ჭიქას მეტად და ლი ამენია! ხომ იცი, კარგი მეზობლობა... (შეცდება) შენ გული ხას არ ჩაიდე იმდელევანდელი?.. ლენა კაი გულის ქალია, მაგრამ ხანდახან რო გაძრაზდება...

(ნამოდგება, ჯიბეებს მოიჩერებავს და სიგარეტს იღებს) შენც შეირთავ ცოლს და ნახავ, რა ჯურის არიან ქალები... მაგრამ (კირილე თითს ანეს გამაფრთხილებლად) ლენაზე ვინმეს გადაბრუნებული რომ ნამოცდეს, სისხლს დავლერი, იცოდე!

კოკა — (ცივად) მე რატომ მეუბნებით ამას?

კირილე — შენ მოგიკვდა ჩემი თავი, მაგი რავა იფიქრე, შენ არ ვგულისხმობდი... (კონიაქს გახსნის) არაა წესი საკუთარი სასმელით მოსვლა, მარა... (კოკას ჭიქები მოაქვს, კირილე ჩამოასხამს) ბიძაშვილი გავაცილე ახლა... ერთი ბოთლი კონიაქი იმასთან ერთად გაეჭყლიტე... კაი ადგილას მუშაობს, ასეა! (თითს მიიტანს ყელთან) ჰო, ვუთხარი შენი ამბავი... გაგაფორმებს მუშად. თვეში სამას მანეთამდე გექნება, კვირაში ორჯერ დაგჭირდება მისვლა, ისიც ფასონად... სამასი მანეთი გექნება პენსიასავით!

კოკა — გმადლობთ, მაგრამ...

კირილე — რა მაგრამ?

კოკა — მე სხვა პროფესია მაქეს.

კირილე — მუშის სახელს თუ თაკილობ, არ უიცი და... თითის თითზე დარტყმა არ დაგჭირდება.

კოკა — რატომ ეთაკილობ? მე უკვე ვმუშაობ მეტროში, ღამის ცელაში.

კირილე — (რატომლაც შეშინებული) რავა, ბურლავ?

კოკა — (იცინის) არა, იქ პროფესიონალები მუშაობენ... მე მხოლოდ ბიგელებს და ვაგონებს ვრეცხავ შლანგით... ესაა და ეს.

კირილე — მერე მაგ კაპიკების გამო იქცევ ჭაჭებს?

კოკა — ბატონო კირილე, მოდით დავანებოთ თავი ამ თემას. თუ გამიჭირდა, აუცილებლად მოგმართავთ.

კირილე — (ცოტა ნაწყენიც) კი, ბატონო...

კოკა — ისე კი, ძალიან მადლობელი ვარ თქვენი...

კირილე — (გამოცოცხლდება) შე კაცო, ერთმანეთს თუ არ გამოვადექით, რალაა აბა ეს ცხოვრება? ამ ჭიქით, ჩემო კოკა, ქალბატონი ელენეს სადლეგრძელო-შესანდობარი უნდა დავლიო, თუმცა არ გვინდა შესანდობარი, როგორც ცოცხალს, ისე გაუმარჯოს!

(ფეხზე ნამოიჭრება, კოკაც დგება).

დიდებული ქალი იყო ცხონებული ბებიაშენი, ჩემო კოკა, გაუმარჯოს და იქ გახარებოდეს შენი ნარმატებები.

კოკა — (ჩუმად) გმადლობთ, ბატონო კირილე! დაბრძანდით რა!



(სხდებიან)

კირილე — მდაა. ესე იგი, შენ სულ მარტო ცხოვრობ, ახლა კოკა — დიახ! ხანდახან ჩემი მეგობრები ათევენ ხოლმე დამშესხვაოთავა... კირილე — (თვალს ჩაუკრავს) მეგობარი გოგონები?

კოკა — (ზრდილობიანად იცინის) ბატონი კირილე, ერთი წამით თუ მომიცდით, კარტოფილს შევნვავ.

კირილე — ესეც საკმარისია მისატანებლად... შენ ერთი ეს მითხარი...

კოკა — ბრძანეთ!

კირილე — შენ ახლა... ისა... ბლომად გოგოებს იცნობ, არა?

კოკა — (გაკეირვებული) გოგოებს? კი, საკმარისად.

კირილე — (სუფრის გადასაფარებელს აწვალებს) ჰოდა, ისა... ახლა მარტო რომ ცხოვრობ შენ... ისა... ახლა მარტო რომ ცხოვრობ შენ... ისა... (ნაძალადევად იცინის) ალბათ ძაან მამაძალლობ, ხომ?

კოკა — (ცივად) ვერ გავიგე...

კირილე — იცი, ეს ცხოვრება ისე მურდლადა მოწყობილი, რომ ბოლო-ბოლო დავასკვენი, მაგაზე დიდი სიამოვნება არაა... ჰოდა, ისაა... ახლა, გამოჩნდება ხოლმე კაი ვარიანტი, ბინა კი არ არის. აი, ამასნინათ ერთი ცხენივით ქალი დავპატიუე რესტორანში, ხუთი თუ-მანი დავხარჯე, ნაყვანით კი ვერსად ნავიყვანე...

კოკა — (მიხვდა რაშიცაა საქმე) ხავერა არა გაქვთ?

კირილე — ხავერა? (მიხვდა) ჰო, ჰო, სწორედ ხავერაზე ვამბობდი, ახლა მამაკაცები ვართ და რა გვაქვს ერთმანეთთან საპირფარე-შო?! ჰა, ჰა, ჰა...

კოკა — საპირფარეშო მშვენიერი კალამბურია, ბატონი კირილე!

კირილე — (გამზიარულებული) ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რო ტყველა ნუ გავაცდენთ დროს... შენ შენი გოგოები მოიყვანე... ხარჯებს კი მე გავიღებ... ისა... შამპანურის... ჰურმარილის... მანქანასაც დაგიომობ ხოლმე... და ასე კონსპირაციულად ვატაროთ ეს დრო. მეტი რა შეგვრჩება?

კოკა — მშვენიერი ნინადაცებაა, ბატონი კირილე, მოვიყვანოთ შევართა-შევართა გოგოები და გავახუროთ გრუპენ სექსები მთელი ამბებით... ოღონდ (უეცრად მოიწყენს) ერთი დაბრკოლებაა.

კირილე — (დამფურთხალი) რა დაბრკოლებაა, შე კაცო?

კოკა — (თავს ჩაქინდრავს) ქალბატონ ლენას როგორდა შევხედო თვალებში?

კირილე — რაო?

კოკა — მეუხერხულება რაღაც...

კირილე — ეაცო, შენ არ გამაგიშო? ვინ ეკითხება ლენას ამ ამბავს?

კოკა — მაინც მეუღლეა და...

კირილე — (განცემის მულტი) მერე რა?
 კოკა — რა და როგორ შევხედო თვალებში?
 კირილე — კაცო, ნუ შეხედავ ამ თვალებში!
 კოკა — (ჩატიქრდება) არ შევხედო?
 კირილე — ჰო, აბა რას გეუბნები?! გამაკეირვე ახლა შენ ძალიან,
 ჩემი კოკა!

კოკა — თუმცა ეს პრობლემა არ არის. ესე იგი, სუფრის ხარჯებს
 თქვენ გაიღებთ?

კირილე — მაგი რა საკითხავია.
 კოკა — ძალიან კი მეუხერხულება, მაგრამ ფირმა სიგარეტების
 ყიდვაც თქვენ უნდა ითავოთ. ბარიებებში ბლოკი სამი თუმანი ლირს,
 მე კი, მოგეხსენებათ, მაინც სტუდენტი კაცი ვარ...

კირილე — (გათავხედებული) ახლა მთლადაც ნუ გადავყვებით იმ
 კაბებს, „კოლხეთზეც“ იოლად გადაივლიან.

კოკა — სწორი ბრძანებაა. ზედმეტი არაფერი ვარგა.
 კირილე — ხო, თორემ ხომ იცი მაგათი ამბავი... (კონიაქს დაის-
 ხამს) შენ მე დამიჯერე და არ ნააგებ (ფეხს ფეხზე გადაიდებს და
 ოთახს შეათვალიერებს) ახლა შენ მიალაგე აქაურობა, მთლად საღო-
 რეს ნუ დაამგვანებ...

კოკა — ახლა დავინყო, თუ თქვენი ნასვლის შემდეგ, ბატონი კი-
 რილე?

კირილე — მოესწორება. აბა, გავეიმარჯოს! ჰო, მართლა, შენი ძმა-
 კაცებიც არ აბორიიალო ახლა ზედმეტად!

კოკა — დღეს საღამოთი შემიძლია მოვიყვანო ორი...
 კირილე — ჰმ, კარგი იქნება...

კოკა — (შეიძმუშნება) ჰოდა... ისა... მერიდება კი...
 კირილე — რა გერიდება ბიჭო, ფული? აჲა... რაც გადაგრჩეს შენ-
 თვის გამოიყენე.

კოკა — (ფულს გამოართმევს) სულ მინდოდა თქვენთვის მექით-
 ხა, რამდენი წლის ბრძანდებით?

კირილე — ორმოცდახუთის, რა იყო?
 კოკა — არაფერი, ესე იგი, არ იქნება მთლად უსინდისობა ჩემი
 მხრიდან... (არ ამთავრებს სათქმელს, მიდის კირილესთან, ნიკაპში
 მოკიდებს ხელს და ფულის დასტას მიარტყავს (ცხვირში) ნუ ზმუი, ეს
 ერთი, ეს ორი! ეს სამი, ოთხი, ხუთი... აუჭ, ორმოცდახუთამდე რა ავა,
 ხელი დამეღალა!

(ხელს უშვებს. კირილე დამდუღრულივით ნამოვარდება).
 კირილე — დავაჭერინებ! დავაჭერინებ შენს თავს, კაცი არ ვიყო!
 კოკა — (მშვიდად) ცხვირის ექსპერტიზა გააკეთებინე!
 (ხელში ჩაჩრის კონიაკის ბოთლს და ფულს. კირილე გადის, კოკა
 მაგიდას ალაგებს)



კირილე — (უცორად ისევ შემოაბოტებს) კარი ვერ გავალე!
კოკა — რაო?

(აცილებს კარამდე, შემდევ ბრუნდება, ჯიბიდან სიგარეტს ამორიანია დებს, უკიდებს და ტახტზე ჩამოჯდება, ზის ასე უძრავად, რაღაცაზე მნარედ ჩაფიქრებული. ტელეფონის ზარი).

კოკა — (ყურმილს ილებს) გისმენთ... დიაბ! (სახე ეცვლება) ნინი-კო, შენა ხარ?.. გამარჯობა! როდის ჩამოხვედი? ბებია აღარ არის... უკვე გაიგე? მოხვალ? როდის მოხვალ?.. ახლავე? (ყვირის) გელი! გე-ლი!

(კიდებს ყურმილს და ცოტა ხანს გიუივით დარბის ოთახში. არ იცის საიდან დაიწყოს მილაგება, ხან რას ნაეტანება, ხან რას... შემ-დევ სახეზე მოისვამს ხელს და ხედება, რომ გაუპარსავია. სწრაფად დაიბერტყავს დამტერილ პიჯაკს და პერანგს, ნელზემოთ ტიტვლ-დება და აბაზანისექნ გარბის... სირბილით ბრუნდება უკან, ერთი ხე-ლის მოსმით მოხვეტავს ჭურჭელს, საქმლის ნარჩენებს და გააქვს. კვლავ გარბის აბაზანისექნ და ცოტა ხანში გაპარსული სახით შემორ-ბის პირსახოცის ასაღებად. რამოდენიმე ნუთის შემდევ გაპარსული და სადლესასნაულოდ გამოწყობილი შემოდის ოთახში და უმიზნოდ სცემს ბოლოს. უცორად მუსიკა წყდება და ყველაფერი ბნელდება).

კოკა — ოჲ, თქვენი დედა ვატირე! რა დროს გადაიწვა ეს ოხერი?!

(უჯრიდან სანთლების შეევრას ილებს, გაანანილებს ოთახის სხვა-დასხვა კუთხეში. აღაგებულ ტახტზე ჩამოჯდება და სიგარეტს უკი-დებს. კაკუნის ხმა კარზე).

კოკა — (ნამოვარდება და კარისექნ გარბის) ახლავე!

(შემოდის ნინიკოსთან ერთად. ნინიკოს კვლავ საწვიმარი აცვია, მას ნვიმის მონოტონური ხმაური შემოჰყვება და მთელი მოქმედების მანძილზე თან გასდევს მათ საუბარს).

კოკა — გამარჯობა!

(უხერხულად ართმევენ ერთმანეთს ხელს)

ბოლო ხანებში სულ წვიმაში მოდიხარ! ქოლგა აღარ გრჩება ხოლ-მე?

ნინიკო — რა ქოლგა?

კოკა — ტროლეიბუსში რომ დაგრჩა მაშინ.

ნინიკო — ჴ...

კოკა — არ გაგიკვირდეს ეს სანთლები, სინათლე გადაიწვა. (ხდის პალტოს).

ნინიკო — კოკა, არ ვიცოდი დეიდა ელენეს ამბავი...

კოკა — ტალინში როგორ გაიგებდი!

ნინიკო — საოცრად დამწყდა გული!

კოკა — ბებიას ძალიან უყვარდი!

ნინიკო — ვიცი.

კოკა — (შუბლზე შემოიკრავს ხელს) სულ დამავინცდა... /გარბენ/ და შამპანურის ბოთლი შემოაქვს. მაგიდასთან სხდებიან). ესრულულა
კოკა — (შამპანურის ბოთლს ხსნის) გაუმარჯოს შენს ჭამისწუნეულებას.

ნინიკო — გაუმარჯოს.

კოკა — კმაყოფილი ხარ?

ნინიკო — მშვენიერი ქალაქია, პატარა, მყუდრო...

კოკა — მე ჩამოსვლას ვაპირებდი...

ნინიკო — სად?

კოკა — ტალინში, შენს სანახავად.

ნინიკო — ბებიამ დიდხანს ინვალა?

კოკა — არა. ჩემს ხელზე გარდაიცვალა. ყმანვილქალობის დრო-ინდელ კაბაში დავასაფლავეთ. საშინელი ქარი იყო!

ნინიკო — სიგარეტი მომეცი!

კოკა — შენ რა, ენევი?

ნინიკო — ხანდახან...

კოკა — მამა როგორ არის?

ნინიკო — ეარგად.

კოკა — ალბათ ძალიან მოენატრე!

ნინიკო — ჰო, ძალიან.

კოკა — მეც მომენატრე!

(პაუზა)

ნინიკო — მეც ბევრს ვფიქრობდი შენზე, კოკა! ძალიან ბევრს!

კოკა — გუშინ სასაფლაოზე შებინდებამდე დავრჩი. ნამოსელა რომ დავაპირე, შორს, სასაფლაოს სიღრმეში თვალი მოვეარი თეთრ საწვიმარს, შენ რომ გაქვს ისეთს. იქით გავექანდი და გვარიანად დავა-ფეთე ვიღაც გოგო... მერე უკანასკნელი ავტობუსი ჩამოდგა. სულ მარტო აღმოვჩნდი შავოსანი ქალებით გარშემორტყმული. იცი, ისინი ძალიან სხვანაირები არიან, ადამიანები, რომლებიც შებინდებამდე რჩებიან საჭიროსუფლო საფლავებთან, ძალზე განსხვავდებიან ჩვენ-გან. ჰოდა, ვიჯეეტი იმ გადაშავებულ ავტობუსში და უეცრად საზა-რელმა, ენით აუხსნელმა შიშმა ამიტანა. დავინახე, რომ ყოველი მათ-განი მე მომჩერებოდა... მიყურებდნენ შავოსანი ქალები და თითქოს მიღიმოდნენ კიდეც... უცნაური იყო ის მზერა... ბრძნული, ალერსიანი, მაგრამ თითქოს... როგორ აგიხსნა... იქიდან მიყურებდნენ... იმ ქვეყ-ნიდან. თითქოს გარდაცვლილთა ლანდებს შორის აღმოვჩნდი. თვა-ლები დავხუჭე და შევეცადე შენზე მეფიქრა... და როგორც კი შენი სა-ხე დავხატე, ნამსვე დავნენარდი... რაღაც საოცრად კარგად ვიგრძე-ნი თავი: ვიცირა ტკივილი და შეურაცხყოფა მოგაყენე, მაგრამ არ შე-მიძლია უშენოდ. მიყვარხარ!

ნინიკო — მეც მიყვარხარ. მე შენ არ მიგატოვებ. ოღონდ ნუ გა-

მახსენებ იმ ძველს.

(აქეთ-იქით იხედება), მოდი, მივალაგებ ოთახს.

კოკა — (ლიმილით შეხედავს) ამ ოთახის მილაგება ალბათ შორეული ცხოვრების მანძილზე მოგინევს. (მეტყდში ჩაიკრავს) გიყვარვარ?

ნინიკო — მიყვარხარ!

(კოკა ნაზად კოცნის)

კოკა — (უეცრად უკან დაიხევს) რა გემართება?

ნინიკო — არაფერი.

კოკა — ქანდაკებასავით ხარ...

ნინიკო — (უეცრად გამოცოცხლდება) იცი, მე მაინც მივალაგებ აქაურობას. სად არის ცოცხი?

კოკა — რა დროსია!

ნინიკო — რა იცი, (სიცილით) იქნებ დიასახლისად მინდა ვიგრძნო თავი!

კოკა — (გაიბადრება) მაგ შემთხვევისთვის ცოცხი თქვენს განკარგულებაშია, ქალბატონი!

(მოაქვს ცოცხი და აქანდაზი. ნინიკო ასუფთავებს და ალაგებს ოთახს, რაღაც ნერვიული სისწრაფე იგრძნობა მის მოქმედებაში. კოკა ცდილობს დაეხმაროს მას).

ნინიკო — ხელს მიშლი! (ამთავრებს მილაგებას) ხელებს გადავიბან და მოვალ (გადის).

კოკა — (მეღლავებს გაშლის და ყირას ჭიმავს).

ნინიკო — (ბრუნდება) ხომ არ გშია? გინდა რამე მოგიმზადო?

კოკა — არა, ნუღარ გახვალ!

(მეღლავებს მოხვევს კვლავ და კოცნის).

ნინიკო, რაღაცაშია საქმე, რა გემართება?

ნინიკო — არაფერი, გეჩვენება!

კოკა — არა. რამდენჯერ ხელი მოგხვიე, იმდენჯერ მოიბუზე და აკანგალდი!

ნინიკო — მომენატრე ალბათ და იმიტომ. ხომ გითხარი მიყვარხარ-ხარ-მეთქი.

(ახლა თვითონ მოხვევს მეღლავებს, მაგრამ უეცრად ხელს კრავს, სახეზე აიფარებს ხელებს და ტახტზე დაემხობა).

ნინიკო — (ტირის ისტრიულად) არ შემიძლია, არ შემიძლია!

კოკა — (დაბნეულად) ნინიკო, ნინიკო!

ნინიკო — ვაიმე, არ შემიძლია!

(ტახტზე იკრუნჩხება და ტირის).

კოკა — (გაოგნებული) რა არ შეგიძლია?

ნინიკო — არ ვიცი.

კოკა — ნინიკო, რა მოგდის?

ნინიკო — არ შემიძლია!



კოკა — რას აიკვიატე ეს სიტყვა, რა არ შეგიძლია?

ნინიკო — მოვდიოდი და ვფიქრობდი, ყველაფერს დავიწინებოდი ასლა მარტოა, მას მე ვჭირდები...

კოკა — ვინ არის მარტო?

ნინიკო — შენ. შენ ხარ მარტო... ვფიქრობდი. ის ყველაფერს მიხ-
ვდა, მე ის მიყვარს, მიყვარს, მიყვარს... მაგრამ არ შემიძლია დავიწინე-
ბა. მე შენ მიყვარდი! შენი ღიმილი, თავის შემობრუნება თუ ხმის გა-
გონება ჩემთვის დღესასწაული იყო. მიყვარდი! მაგიტომ დაგთანხმდი
ბავშვის მოცილებაზე. ველარ გიყურებდი დამფრთხალს, ყალბს,
უხეშს... სახედაკარგულს! შენ ხომ არ იცი, რა გრძნობაა, ნეიმაში რომ
მიდიხარ მარტო, აკანგალებული, გათელილი... როცა ექიმის მოსაც-
დელში ზიხარ და ექიმის ვაჟი დამცინავი ღიმილით პაემანზე გითანხ-
მდება!

კოკა — მე იმას მოვკლავ!

ნინიკო — მე ბევრი ვიფიქრე იქ, იმ ქალაქში, მაგრამ გადაწყვე-
ტით ვერაფერი გადავწყვიტე... ვიფიქრე, ჩავალ და ყველაფერი გაირ-
კევა-მეტე და აი, გაირკვა კიდეც.

კოკა — რა გაირკვა?

ნინიკო — არ შემიძლია შენთან ყოფნა.

კოკა — ვერ მაპატიე?

ნინიკო — არა, აქ რაღაც სხვაა... შენ რაღაც იდეალს ეძებდი, მე ეკ-
ვერ დამინახე!

(ნამოჯდება, ცრემლებს იმშრალებს).

კოკა — რა უნდა დამენახა, როგორ უნდა დამენახე. შენ ხომ არ
მომეცი ამის საშუალება, ნამითაც არ მაგრძნობინე, რომ პიროვნება
ხარ, რომ საკუთარი რამე გაგაჩინა!

ნინიკო — იმიტომ, რომ შემიყვარდი, გვსმის, შემიყვარდი! ნამსვე
აგყევი, მორჩილად, უხმოდ, ანგარიშმიუცემლად. იმიტომ, რომ
კლდეს მეგონა ვიყავი შეფარებული. მე ხომ შენამდე ბიჭისთვისაც არ
მიკოცია... მეგონა, თუ გიყვარს, ქვესქნელშიც უნდა გადაყევ-მეტე!
თურმე არა, თურმე უნდა მეწვალებინე! ფხიზლად და ძერცდომლად,
დროის მონაკვეთებზე უნდა გამენანილებინა ჩემი მონყალება! ხვალ
კინოში ნახელაზე დავთანხმდები, ერთი კეირის შემდეგ კოცნის უფ-
ლებას მიუცემ... ერთი თვის შემდეგ ცოტას ვაეჭვიანებ, ორი თვის
შემდეგ... და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ეგ გინდოდა აუცილებლად?

კოკა — მე მაშინაც მიყვარდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი ამას. ვიღა-
ცას ველიდი და შენი მოსვლა ვერ შევამჩნიე. ზედმეტად ჩეცულებრი-
ვად მოხდა ყველაფერი. შენ რომ იცოდე, ერთი ორჯერ სიამაყეც ეკ-
ვიგრძენი, საკუთარი მამობის გამო, მაგრამ ნამითაც არ მივეცი თავს
ამაზე ფიქრის უფლება...

ნინიკო — ნუთუ შეიძლება ვერ მიხვდე ამას?

კოკა — შეიძლება. ბებიამ იცოდა ეს და მაგრძნობინა კიდეც!..
ნინიკო — როგორც კი რაღაც ნათელი გაგიჩნდებოდა თვალებში?
ნამსვე ამოტივტივდებოდა სიტყვა „ხაფანგი“ და აღარ იცოდი, რო-
გორ მოგეცილებინა თავიდან. სულ ეგ ხაფანგი გელანდებოდა.

კოკა — იქ, ტალინში ხომ არ მოხდა რამე?

ნინიკო — რა უნდა მომხდარიყო?

კოკა — იქნებ ვინმე შეგხვდა ჩემზე უფრო მიხვედრილი!

ნინიკო — კოკა, კოკა, მე რას გეუბნები, შენ კი რაზე ფიქრობ! შენ,
რომელიც ხუთი თითოეული მიცნობ, როგორ იფიქრე, რომ მე... შემძ-
ლო ასე სწრაფად...

კოკა — სწრაფად, არასწრაფად, მე არ ვიცი. მერე რას პპირებ?

ნინიკო — ვერ გავიგე, რას მეტითხები?

კოკა — საერთოდ რას პპირებ?

ნინიკო — (ულიმდამოც) რას უნდა ვაპირებდე, ვიცხოვრებ!

(კარზე კაკუნის ხმა გაისმის. კაკუნი მეორდება. შემდეგ ეირილე
შემოდის, ნინიკოს დანახვაზე შედგება).

კირილე — კარი ლია დაგრჩენია, კოკა!

კოკა — რა ვნებავთ?

კირილე — ბოდიშს კი მოვიხდი ქალიშვილთან... შეიძლება, ერთი
ნუთით!

(გვერდზე გაყავს კოკა)

ახლა შენ ნეკას ნუ ჩაიდებ გულში, არც მე ჩავიტოვებ. მართლა კი
არ გიპირებ რაღაცას!

კოკა — მასე იყოს.

კირილე — ჰოდა ახლა... ისა... ლენას კი ნუ ეტყვი ამ ამბავს, არ
დამტუპო, ბიჭო!

კოკა — (გაკვირვებული) მაგ რამ გაფიქრებინა, შე კაი კაცო!

კირილე — (შეებით ამოისუნთქავს) ხუმრობით გითხარი, თორე
მაგას რავა იზამდი!

კოკა — კარგი, მერე ვეხუმროთ ერთმანეთს, ახლა დაკავებული
ვარ!

კირილე — (თან მესაიდუმლის ლიმილით) ვხედავ, ვხედავ და მივ-
დივარ!

კოკა — (უეცარი გალიზიანებით) რას ხედავ, ჩემი მეგობარია.

კირილე — ჰო, მეგობარია, აბა რა!

კოკა — კირილე, ნერვები ნუ დამანყვიტე. ერთი და იგივე ნუ გიტ-
რიალებს ტვინში!

კირილე — (შემფრთხალი) კაცო, მე რამე ვთქვი? ვთქვი რამე? მე-
გობარია და ლმერთმა შეგარგოს!

კოკა — ოპ, კირილე, კირილე, დიდი არასერიოზული კაცი ხარ, კი-
რილე!

კირილე — (გადის და ბურტყუნებს) რა უნდა ამ კაცს ჩემგან, გო-
უია ნაღდად! (გადის).

კოქა — (პაუზის შემდეგ) იქნებ ვცადოთ... იქნებ დავიშორთ თავი-
დან! შენ ხომ გჯერა, რომ ახლა სულ სხვანაირად იქნება ყველაფერი.

ნინიკო — არ შეიძლება, კოქა, შენ არ გეგონოს აქ პატივება-არაპა-
ტივების ამბავი იყოს. ბოლოს და ბოლოს, ყველა ქალს ძალაუნებურად
უხდება იმის გაკეთება, რაც შენ მაიძულე. ეგ არ არის მთავარი! მე არ
შემიძლია დავივინყო შენი შეშინებული, ყალბი სახე. მე არ შემიძლია
დავივინყო ის, რომ შენ, ჩემმა სათაყვანებელმა ბიჭმა, როგორც კი ხი-
ფათი იგრძნე, სანგრის თხრა დაინყე, შიგ ჩანექი და მიწაც დაიყარე
ზემოდან, არავინ დამინახოს!

კოქა — საინტერესო ლიტერატურული შედარებაა! კარგია ყვე-
ლაფერი რომ მითხარი, ახლა მეც ვეღარ გაპატივებ მაგ სიტყვებს!

ნინიკო — ვაწვალეთ, ვაწვალეთ ერთმანეთი და ორივე გადავინ-
ვოთ!

კოქა — ცდები, მე ჯერ არ გადავმწვარვარ!

ნინიკო — (დგება) ნავალ მე, კოქა!

კოქა — გაიხადე!

ნინიკო — რა თქვე?

კოქა — გაიხადე!

(მიდის მასთან და პერანგს ჩამოახედვს).

ნინიკო — (ცოტა ხანს უძრავად დგას და ნახევს გულდასმით ათ-
ვალიერებს) ნემსი და ძაფი მომეცი!

კოქა — ნემსი და ძაფი?

ნინიკო — (მშვიდად) ჰო, ნემსი და ძაფი! ასე ხომ არ ნავალ?

კოქა — (მოულოდნელად, მორჩილად) კარგი!

(მიდის უვერასთან)

რა ფერის ძაფი გინდა?

ნინიკო — ლურჯი!

კოქა — შავი მაქვს.

ნინიკო — სულერთია!

(კოქა ანვდის ძაფს და ნემსს. ნინიკო ცდილობს ძაფი ნემსში გაუ-
ყაროს, მაგრამ ვერაფრით ახერხებს ამას.

კოქა — ძალიან ძლიერი გახდი. ვეღარ გცნობ.

ნინიკო — მართლა, სულ მინდოდა მეუითხა, ბიჭები როგორ არიან?

კოქა — კარგად.

ნინიკო — ძალიან კარგი მეგობრები გყავს.

კოქა — ერთი მე ვარ ცუდი.

ნინიკო — არა, შენც კარგი ხარ, ყველას უყვარხარ!

კოქა — პირდაპირ ბურძგლავთ ტანში ჩემი სიყვარულით!

ნინიკო — მართლა, მართლა, შენ ბევრს უყვარხარ. ეს უნდა იცოდე-

კონკა — ვატყობ შეავი სანთლები უნდა დამენთო, უფრო შეეჭირეთ
ბოდა სიტუაციას.

ნინიკო — გადაინვა სინათლე?

კონკა — არა. გადაუხდელი მაქვს მთელი თვის და გადამიჭრეს ეტ-
ყობა!

ნინიკო — დიპლომი დაამთავრე?

კონკა — თითქმის.

ნინიკო — ახლა რას აპირებ?

კონკა — ზუსტად არ ვიცი... ასპირანტურას მთავაზობენ. მე მთა-
თუშეთში ვაპირებდი წასვლას ორი ნლით.

ნინიკო — (ოდნავ ირონიულად) მეცხვარედ?

კონკა — არა, მასნაველებლად. ძმადნაფიცები მყავს მთაში...
თუმცა ახლა ვეღარ შევძლებ!

ნინიკო — რატომ?

კონკა — გამიჭირდება შენ რომ ვერ ვნახავ.

ნინიკო — იცი, ძალიან მსიამოვნებს ამას რომ მეუბნები. მართლა,
მართლა! და იცი, რა მგონია?

კონკა — რა?

ნინიკო — რომ ის გოგონა, რომელიც მომავალში შეგიყვარდება,
ძალიან ბეჭნიერი იქნება შენთან, ამ ისტორიის შემდეგ შენ სხვანაი-
რად მოეპყრობი მას.

კონკა — რას ნიშნავს სხვანაირად?

ნინიკო — უკეთესად, ვიდრე მე მომექეცი.

კონკა — არ იქნება ის სხვა...

ნინიკო — შეტრიალდი, უნდა დავაკერო.

(კონკა ზურგით შეტრიალდება)

კონკა — იცი, რა გამახსენდა?

ნინიკო — (აკერებს პერანგს) რა?

კონკა — მეათე კლასში ერთი გოგო მომენონა...

ნინიკო — ვინ გოგო?

კონკა — შენ არ იცნობ. ჰოდა, საიდან არ მიუუდექი, ვერაფერი გავან-
ყე, ახლოსაც არ გამიყარა, ერთი კეირა გავატარე ამგვარ წვალებაში, მე-
რე კი ხელი ჩაიკინიე და უმტკივნეულოდ დავიცინე ეს ამბავი... გავიდა
ერთი წელინადი და სრულიად მოულოდნელად, მისმა მეგობარმა გოგომ
გამომიტავდა, რომ ლიას ძალიანაც მოსწონდი, მაგრამ თელიდა, რომ
ზედმეტად თავდაჯერებული ხარ და ზედმეტად ჩქარობო, ამიტომაც გა-
დანყვიტა ცოტა გაეწვალებინეო. ხომ ნარმოიდგენ როგორ ამაღულებდა
ეს ამბავი?! არ გასულა ამის შემდეგ ორი დღე და კონსერვატორიაში
ვხვდები ლიას, მეგობრებთან ერთად იყო. იქვე დავაბზრიალე ბაზრი და
გელა და ისე მოვახერხე, რომ მარტო მე გამეცილებინა სახლში. იმ საღა-
მოს დიდი თოვლი დადო თბილისწი. ფეხით წამოვედით და უცრიად, რა-

ტომლაც გადაუწყვიტე შური მეძია მასზე და დამცინავად, ქედმაღლუ-
რად, კლარე გებძლის ლიმილით დავუწყე ლაპარაკი... გაოგნოდა სამართლი-
კო გოგო, მე კი დარწმუნებული, რომ ხელში სამი ტუზი მიჭირავს, სულ უფ-
რო და უფრო უუმატებდი დოზებს. და უცებ, როცა ხელი გაუწინოდე, აქ
ფეხი არ დაგისხლტეს გენაცვალე-მეთქი, თვითონ დამისხლტა და ტყა-
პანი მოვადინე თოვლში. თანაც ხომ შეიძლებოდა მოხდენილად, სპორ-
ტულად ნაიქცე, არა, მოქრილი მორიგით გავადინე ბრაგვანი. ენევარ ასე
თოვლში, მეყინება ცხვირი და ვფიქრობ, რა საშუალებით მოვიკლა თა-
ვი... მერე ავდექი ნირნამხდარი, გაბითურებული...

ნინიკო — (სიცილით) გოგომ რა თქვა?

კოკა — ხომ არ იტკინე რამეო? მოკლედ, სანამ სახლამდე მივაცი-
ლე, ეპსჯერ ნავიქეცი. არ ვიცი რატომ მისხლტებოდა ასე უსაშვე-
ლოდ ფეხი... სახლთან რომ მიიყვანე, გვარიანი ნაცემი ვიყავი, და-
ლილავებული, თოვლჭყაპში ამოგანგლული! ლიამ მითხრა, ამოდი
ერთი წუთით, არა-მეთქი! მაშინ ეზოდან წუ ჩახვალ, დიდი დაქანე-
ბაა, ქუჩით დაბრუნდიო, შენ წუ დელავ, არაფერი მომივა-მეთქი, შევ-
დგი ფეხი დაქანებაზე და თურმე წუ იტყვი, ბავშვებს წყალი დაესხათ
სასრიალოდ... მოკლედ, ბოლო კადრი ის გახლდათ, თუ როგორ მის-
რიალებდა კოკა მხეიძე სამარცხივნოდ ფეხგაჩაჩისული ყინულზე.

(ორივე გულიანად იცინის).

სამი წელი ვემალებოდი მას შემდეგ, სადაც კი დაეინახავდი, მეო-
რე ქუჩაზე გადავდიდი. გუშინ შემხვდა, გათხოვილა, ბავშვი მოყავ-
და ბაგადან... გავიხსენეთ ეს ამბავი და ბევრი ვიცინეთ.

ნინიკო — შეგიძლია მოტრიალდე!

კოკა — მორჩი?

ნინიკო — კი.

(სანეიმარს დანვდა. კოკა ეხმარება ჩაცმაში).

კოკა — იქნებ მოიცადო, გადაიღოს წევიმამ.

ნინიკო — არა, უნდა წავიდე.

კოკა — წევიმაში მოხვედი და წევიმაში მიდიხარ.

ნინიკო — ჰო, (სევდიანად) მშეიღობით, კოკა მხეიძე!

კოკა — გაგაცილებ!


ნინიკო — არა (უკრად შეაცექერდება) შენ რა, ტირი?

კოკა — ჰო, ვტირი.

ნინიკო — წეტა მომეტყუებინე მაშინ და ყველაფერი ისევ ისე და-
მეტოვებინა.

კოკა — (ექოსავით) წეტა მოგეტყუებინე!

(ნინიკო სნრაუად შეტრიალდება და გადის. კოკა გაქვავებული-
ვით დგას, შემდეგ სანთლებს აქრობს. ბარბაცით მიდის ტახტთან და
გულალმა ეცემა ზედ. თანდათან ბნელდება და სიზმარისეული შუქი
შემოდის სახლში).


[სცენის სილრმიდან გამოჩენდება თეთრ კაბაში გამოწყობილი
თვრამეტიოდე წლის გოგონა. კოკას ოთახში შემოდის და ინტერიერის აუ-
ათვალიერებას იქაურობას. კოკა ტახტზე ნამოჯდება, საფერტელების შე-
ისრესს და ცოტა ხანს უაზროდ შესცერის გოგონას.]

კოკა — (ყოყმანი) დედა?

დედა — (სწრაფად შემოტრიალდება მხიარულად) კოკა, გაგაღვი-
ძე?

კოკა — დედა!

დედა — რად გძინავს ჩაცმულს?

კოკა — პირველად გხედავ სიზმარში, მაგრამ ნამსვე გიცანი!

დედა — რამხელა ბიჭი გახდი! ოთახი კი თითქმის არ შეცვლილა,
ყველაფერი ძველებურადა. ეგ ტახტი კი ამ კუთხეში იდგა. სამშობი-
აროში რომ მივყავდი, ყველა მაგ ტახტზე ჩამოვკეტით, როგორც ხან-
გრძლივი მოგზაურობის ნინ იციან ხოლმე... მოგზაურობა კი მართ-
ლაც ხანგრძლივი აღმოჩნდა.

კოკა — მე ბავშვობაში ვიმუქრებოდი, რომ უკვდავების ნყალს ვი-
პოვიდი და ყველას გავაცოცხლებდი... უპირველეს ყოვლისა, შენ და
მამას.

დედა — გახსოვს მამაშენი?

კოკა — ბუნდოვნად, სურნელი მახსოვს მხოლოდ მისი... და კიდევ
მახსოვს ლურჯი გარიურაჟი და დიდ ოთახში ზღაპრული ლანდები-
ვით აბორიალებული თოფიანი და პატრონაჟიანი კაცები... თურმე სა-
ნადიროდ მიდიოდნენ, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ საომრად
ემზადებოდნენ და ტირილით ვეხვენებოდი, მეც ნამიყვანეთ-მეთქი.

დედა — ჩვენ ისე ვოცნებობდით შეზე. შენ კი აბაგუნებდი, აბაგუ-
ნებდი ფეხებს... უკანასკნელად ამ სარკეში ჩავიხედე და ნარმოვიდგინე,
თუ რა ლამაზები ვიქნებით სულ მალე, მე და ჩემი შვილი, როცა ამ სარ-
კეში ჩავიხედავთ. ჩვენ რატომდაც გვეგონა, რომ გოგონა გაჩინდებოდა...
და მერე არაადამიანური ტკიფილებისა და ტაჯვის შემდევ დამანახეს
შენი თავი... ლურჯი, მნივანა, უსიამო არსების. ვიღაცამ თქვა, რა თეთ-
რი ბავშვიაო, მე კი ვუპასუხე, თეთრი კი არა ლურჯია-მეთქი... მეტი
ალარაფერი მახსოვს... ექიმების ბრალი არ იყო. ვერც კი მივხვდი, რომ
მიედიოდი. მერე გამოჩნდა უზარმაზარი შავი გვირაბი და ძალიან ძნელი
იყო გზის გაღწევა, შორს, გვირაბის ბოლოში, თეთრი სხივი ციმციმებდა
და ნაცნობი, გარდაცვლილი ადამიანების ხმები იქით მიხმიბდნენ, იმ
შუქისაკენ. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მიედიოდი გვირაბის ბო-
ლოსკენ, თანდათან ფართოედებოდა თვალისმომქრელი სინათლის ნა-
კადი და ენით აუნერელი ნეტარება დამეუფლა, ვიგრძენი, როგორ გა-
თავდა სიბნელე და უსაზღვრო სითეთრეში შეიტყორცნა ჩემი სული...
(იცინის) რა პირდალებული მისმენ, დაგავინყდა, რომ ეს სიზმარია?!

კოკა — ბებიას კი ისე ეშინოდა სიბნელის, მარტოობის, სიცივის...

(უცებ ამჩნევს, რომ დედა ნელ-ნელა სცილდება მას და ნისლში იძი-
რება), არ ნახეიდე, გთხოვ, ნუ დამტოვებ, მარტო, ან მეც ნამრავნებზე
სითეთრეში...

დედა — (მორიდან) რა სისულელეს ამბობ, კოკა, როგორ შეიძლება?..
ყველაზე დიდი სითეთრე ხომ სიცოცხლეა, არაფერი შეეძრება მას!

კოკა — (მუდარით) არ ნახეიდე, არ დამტოვო მარტო!

დედა — (ნისლიდან) მე არც გტოვებ... ჩვენ სულ შენთანა ვართ...
შენ ვერ გეხედავ მხოლოდ! სიყვარული არ ქრება, კოკა, ჩვენი სიყვა-
რულიც არ გამქრალა, იგი უხილავი მოსასხამივით გეელება სხეულ-
ზე... ჩვენ ხომ შენი უხილავი მფარველები ვართ! სიყვარული არ კვდე-
ბა, არასოდეს, ის თქვენს გარშემოა, ის თქვენს გარშემოა! (ხმა თან-
დათან მისუსტდა და გაქრა. სიზმრისეული შექი ნელ-ნელა იფანტება.
დღის სინათლე და ქალაქის ხმაური შემოიჭრება ოთახში. კოკა უძრა-
ვად წევს ტახტზე. იატაკზე ნყლით ნახევრად სავსე სურა დევს. მაგი-
დაზე და ოთახის კუთხეებში ჩამქრალი სანთლების ნალევნთია. უცე-
რად მძლავრი ზათქანი არღვევს გარინდებას. ვიღაცა მთელი ძალით
ანგრევს კარს. დარტყმა რამდენჯერმე მეორდება. კოკა ტახტზე შე-
იძუშნება. დარტყმები გრძელდება და უცებ ლანანით და ზრიალით
გადმოვარდება კარი და ოთახში დაფეხებული, შეშინებული ბადრი
და გელა შემოიჭრებიან. გელა ცდილობს სინათლე ჩართოს.

გელა — გადამნვარია.

ბადრი — (ტახტთან ჩაიჩინებს) კოკა! კოკა!

გელა — (მის გვერდით ჩაჯდება) რა დაგემართა, ბიჭი!

ბადრი — (შეშფოთებული) კოკა! კოკა!

კოკა — (სუსტად) რა იყო?

ბადრი — (შეებით ამოისუნთქავს) უჰ, შენ რა ვითხარი ჩვენი და-
ფეხებისთვის!

გელა — რამ მიასავათა ასე?!

(უცერად ოთახში კირილე და ლენა შემოიჭრებიან. ლენას ხელში
რეინის ქაფჩა უჭირავს, კირილეს ორლულიანი თოფი).

ლენა — გვიშველეთ! ქურდები! გვიშველეთ!

კირილე — ხელები მაღლა!

(განცვილებული ბიჭები ხელებს მაღლა ასწევენ).

ბადრი — ბატონი ჩემო...

ლენა — (კირილით) მოკლეს, მოკლეს, ეს უბედური!

(ქაფჩას მოუქნევს გელას, გელა აიცდენს და უკან გახტება, ლენა
მთელ ოთახში დასდევს მას ქაფჩით ხელში).

ბადრი — დანიე ეგ თოვი, შე კაი კაცო, არავინ მოგვიკლავს, მე-
გობრები ვართ კოკასი!

გელა — (სიცილით) კოკა, შე უღმერთო, ამოიღე ხმა!

კოკა — (ტახტზე ნამომჯდარი) ქალბატონ ლენა, ესენი ჩემი მე-

გობრები არიან.

(კირილე და ლენა გაშრებიან).

კირილე — კი, მარა, ეს კარის შემონვრევა რაღა იყო? არ გამიგია მე ასეთი მეგობრობა.

ბადრი — ახლავე აგიხსნით: სამი დღის განმავლობაში არც ტელეფონი პასუხობდა, არც კარს გვიღებდა ვინმე... ჰოდა, შეგვეშინდა...

კირილე — ბოდიში, ბატონო!

კოკა — (სუსტად) რას ბრძანებთ, ბატონო კირილე, პირიქით, დიდი მადლობა, ჩემი გულისთვის ამხელა ხლაფორთში რომ ჩაიგდეთ თავი.

კირილე — ჰო, კაი ახლა... (ნასიამოვნებია) ნავიდეთ, ლენა!
(გადიან)

ბადრი — (სიცილით) მაგარი შიში გვაჭამეს, ძმაო!

კოკა — (თავს გააქნევს, ცდილობს გონს მოვიდეს) რა მოხდა მაინც?

გელა — რა მოხდა და, ნინიკო მივიდა ბადრისთან, ყველაფერი მოუყვა და სთხოვა, მარტო არ დატოვოთ. ჩვენც გაგვახსენდა, რომ სამი დღეა არ გვინახისარ... ესე იგი, იმ დღიდან, რაც ნინიკო ნავიდა... გავეკითხეთ ინსტიტუტში, მეგობრები, არავის ენახე... ტელეფონი არ პასუხობს, სინათლე გადამწვარია, დარაბები დახურული, კარს არავინ აღებს, რა უნდა გვეფიქრა, ხომ ვერ მეტყვი?

კოკა — ნინიკომ გითხრათ?

ბადრი — ჰო, ნინიკომ.

კოკა — ესე იგი სამი დღეა?

ბადრი — ოცდასამი.

კოკა — ესე იგი სამი დღე!

(კოკა ნამოდგება, რამდენიმე ნაბიჯს გააკეთებს, მაგრამ ნაბარბაცდება, ბიქები ხელს შეაშეველებენ).

გელა — რა გემართება?

კოკა — მგონი არაფერი მიჭამია ეს სამი დღე!

გელა — (წყლის საცსე გრაფინს იღებს იატაკიდან) ჰოლ ბრეგის დიეტაზე გადახვედით, ვასია?!

(ბადრი სამზარეულოში გადის და საჭმლის ნარჩენები შემოაქვე. კოკას მაგიდასთან დასვამენ).

გელა — ჭამე!

კოკა — არ შემიძლია!

ბადრი — ცოტა უნდა შეჭამო, დასუსტებული ხარ!

(საკუთარი ხელით აქმევს, როგორც ბაეძეს).

ეს მასნავლებლის ხათრით... აი, ასე! ეს დედიეოს ხათრით! ეს მამიკოს ხათრით! ეს ამ იდიოტის ხათრით, რომ დაყუდებულა და ვერ მოიფიქრებს დარაბები გააღოს!

გელა — მართლა დამდნარი სანთლის ბოლია დაგუბებული!



(ჩსნის დარაბებს და ხარბად ჩაისუნთქავს ჰაერს).

გაზაფხული დამდგარა! სამი დღე წვიმდა, მხოლოდ ახლა გადასტარო! კოკა, მოდი ფანჯარასთან, ერთი ჩაისუნთქე მხოლოდ!

კოკა — (ყრუდ) არ მინდა გაზაფხული! არაფერი არ მინდა.

ბადრი — რას ამბობ, კოკა!

კოკა — ბებიაჩემი ისე ნავიდა, ეგონა ნათელი ბიჭი დამტოვა. ცოდვიანი დავიბადე ამ ქვეყანაზე, ჩემს სიცოცხლეს დედაჩემის სიკ-ვდილი დასტირდა. თეოთონ კი ჩემს შეიღლს განაჩენი გამოუტანე და საყვარელ გოგონას სული დავუსახიჩრე! შენ კი მეუბნები, გაზაფხუ-ლიო! როდის ხდება ეს, ბადრი, როდის ხდება, ერთ მშენიერ დღეს სა-კუთარ თავში ლორს რომ აღმოაჩინ? როდის ებდებით პირუტყვები? მილიონობით ნიღაბს ეიზომავთ და ბოლოს ყველაზე ყალბს, ყველაზე მახიჯასა და უცხოს ამოვირჩევთ ხოლმე და ისე გენეპება ეგ ოხერი, რომ კანიანად გინდა აიდლიზო სახიდან, მაგრამ აღარ შეგნევს ამი-სი ძალა და ღონე! ადამიანს ხომ სინაზის და სიყვარულის უზარმაზა-რი მარაგი აქვს დაგუბებული მკერდში. სად მოვახერხეთ მისი ჩატ-კეპნა, რომელ სარდაფებში გამოვამზყდით!

(ბიჭები ერთმანეთს გადახედავენ).

გელა — მოდი რა ფანჯარასთნა!

კოკა — არ მინდა ეგ თქვენი გაზაფხული, მე მინდა მოვკვდე!

ბადრი — მშენიერი სურვილია, გეყოფა, ნუ აგვაქეითინებ ახლა! მე პირადად, ყაბულს ვარ, ერთხელაც გაილახო ასე, ოღონდ ამდენს მიხვდე! ადექი, ნავიდეთ, საცოდაობაა ახლა სახლში ყოფნა!

გელა — შეხედეთ, ხალხო, სასულე ორკესტრი მოაბიჯებს!

(ფანჯარაში ყვირის).

მაესტრო, ტუში!

(უეცრად უხილავი ორკესტრი „რიორიტას“ დასცხებს).

გელა — მგონი, მართლა შემისრულეს თხოვნა.

კოკა — (თავს სწევს) „რიორიტა“ ჰქვია მაგას. (ტელეფონის ზარი. კოკა ნელა დგება და ყურმილს იღებს).

გისმენთ! ალო? ვინ? ვინ იპოვე?! (უეცრად სიცილი უტყდება). შე-ნი ლუიზა იპოვე?! მოგილოცავ, მოგილოცავ ძმაო! აღარ დაკარგო!

მის დანარჩენ სიტყვებს ორკესტრის გაძლიერებული პანგები ახ-შობენ. კოკა რაღაცას ყვირის ტელეფონში, მაგრამ ჩენ აღარ გვესმის, რადგანაც ყველაფერს აქსებს გაზაფხულის მარში.

ათვისის მიმოხილვა

პიესა ორ მოქმედებად და შეიძლება სურათად

მოქმედი პირები:

გომ

ანი

პატრონი

ორანა

მერი

მელოტი

ცალთვალა ბაზიერი

პირველი ბაზიერი

ყურა-მუნჯი ბაზიერი ქალები

ბაზიერი ქალები და კაცები

სურათი პირველი

ყველთლად ჩამუქებული, ოვალური ფორმის ბუნგალო, გრძელი მაგიდა. კანტიკუნტად გარშემოწყობილი სკამებით. კუთხეში მაღალი ბუხარია, ტაბლა და სკამებად გამოყენებული ჯორჟოები. გრძელ მაგიდაზე დიდი, თეთრი ბოთლი დგას, ნახევრამდე შინდისტური ლეინით საცავი. ბოთლის გვერდით მოზრდილი პურის ნატეხია, შლაპასა და ძეგლმანებში გამოწყობილ მანანალას თავი გვერდზე გადაუხრია და მაგიდის კიდეზე რაღაც ყური რიტმი გამოყავს. მაგიდაზე, ბოთლის გარშემო ზორბა მელოტი კაცი ციკეავს, მუცელზე განასკული შინდისტური პერანგი და გრძელი ჩექმები აცეია. კაცი უბრიდ ციკეავს ბოთლის გარშემო. ბუხართან გრძელებიან ქალი ზის, კაბა მუხლებამდე აუნევია და შიშველი ჯეხები ბუხრის ქვაზე მიუჭიცხებია. კუთხეში ჩეიდმეტიოდე ნლის ქოჩორა ბიჭი ზის.

მერი. (შეშას შეაგდებს ბუხარში. გაღიზიანებით) აღარ მოგბეზრ და მაგიდაზე ჭუნძული, ბაზიერო!?

(კაცი ჯიუტად განაცრძობს როვას)

(ფეხებს ჩამოუშვებს ბუხრიდან)

ოჲ, როგორ ჩაგაფარებ მაგ მოტვლეპილ თავში!

(დაიხრება და ქოშს ესერის კაცს, ის ჰაერშივე დაიჭერს, მერე მონ-
ცვეტით ჩამოჯდება მაგიდის კიდეზე და დაკეირვებით ათვალისწილება
ფეხსაცმელს.

მელოტი. (ბოთლს წატანს ხელს) შენი ქოშით უნდა დავლიო ჰატ-
რონის სადლეგრძელო, მერი!

(ლვინის ჩასხმას აპირებს, მაგრამ მერი დგება და ხელიდან გლეჯს
იმპროვიზებულ სასმისს)

იონა. (შლაპას მოიხდის და მაგიდის ძგიდეს ჩამოეყრდნობა იდაყ-
ვით) აცალე, გალალება ბავშვს, ძლივს გამხიარულდა!

მერი. კარგი გალალებაა, ვირს დაემსგავსა ამხელა კაცი.

იონა. ვირს რას ერჩი, შე ქალო!?

მელოტი. ჩემზე ლაპარაკობთ?

იონა. (ლვინოს ისხამს) არა, ვირზე!

მელოტი. ნუ მაპრაზებთ, ნუ მაპრაზებთ!

მერი. მელოტი, წადი, შეშა დაჩეხე!

მელოტი. ახლავე!

(მაგიდაზე ნამოგორდება და იძინებს)

მერი. შეიდ ხმაში ხვრინავს, ოხერი!

იონა. მოდი, დავლიოთ, მერი!

(გარედან წვიმის ხმაური ძლიერდება)

მერი. მთელი დღეა წვიმს, წვიმს... გამომაშტერა ამ წვიმამ (პაუ-
ზის შემდეგ) წადი, იონა! ჰატრონმა არ მოგისწროს, თორემ მოგელა-
ვენ ბაზიერები! ხომ იცი, როგორ სძულხართ!?

იონა. შენც გძულვარ?

მერი. ისე, რა...

იონა. (ლვინოს სვამს) წვიმს... წვიმს...

მერი. (ბიჭს) შენ მას ელი...

გიო. ჰატრონს!

მერი. ის კაცი რა იქნა, შენ რომ მოგიყვანა?

გიო. დამტოვა და წავიდა.

მერი. ბაბუაა შენი?

გიო. არა. მამა!

მერი. სახელი რა გქვია?

გიო. გიო!

მერი. რაო. ურევ?

გიო. შიგადაშიგ, ისე ცუდი ბიჭი არა ვარ...

მერი. ქალაქში ცხოვრობ?

გიო. დიახ. ისე ცუდი ბიჭი არა ვარ...

მელოტი. (თავს ნამოყოფს, ზანტად გადაწვდება რალაც
საქალალდეს, ქალალდს ამოილებს და კითხულობს).

პოტენციურად საშიში. თამამად აზროვნებს.

გიო. მამაჩემს ურჩიეს პატრონისათვის მიემართა, ახალი აღმზირ-
დელობითა სისტემა შეიმუშავაო.

მერი. ნინათ კაცომოძულეს და ყალთაბანდს უნოდებდნენ ჟატკოს მიერთების
რონის ქალაქში.

იონა. ახლა პატრონის ავტორიტეტი ძალზე ამაღლდა. ვაი, თქვენს
პატრონს!

მერი. მერე და, დაგიყოლიეს აქ წამოსვლაზე?

გიო. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

მერი. რატომ?

მელოტი. (განაგრძობს კითხვას) ბავშვობიდან უყვარდა ერთი ქა-
ლიშვილი, შემდეგ ის გოგო მშობლებმა პოლიციის უფროსის ვაჟიშ-
ვილზე გაათხოვეს. გიო მაშინ ქალაქში არ იყო. დანგრეული საყდრის
შესაკეთებლად იყვნენ წასულები ეგ და მისი მეგობრები. დაბრუნები-
სას გიომ გოგონას გათხოვების ამბავი რომ შეიტყო...

მერი. რა ჰქვია გოგონას?

გიო. ანი! (გამოერკევევა) რა მკითხეთ?

მერი. შენ უკვე მიპასუხე!

მელოტი. როგორც კი ანის გათხოვების ამბავი გაიგო, თოფით შეუ-
ვრდა საქორნილო სუფრაზე პოლიციის უფროსს და მის ვაჟიშვილს.

იონა. წარმოუდგენელია, პოლიციის უფროსს?

მელოტი. ჰო!

იონა. პოლიციის უფროსს!

• მელოტი. ჰო-მეტექი და მის ვაჟიშვილს!

იონა. პოლიციის უფროსის ვაჟიშვილს?

მერი. იონა, ნუ მაიმუნო!

მელოტი. განაიარადეს და სცემეს. ორჯერ დაკარგა გონება! ლოგი-
ნად ჩავარდა და მთელი სამი დღე აბოდებდა... გათხოვდა, გათხოვდა.

მერი. ვინ გათხოვდა?

გიო. რა მკითხეთ?

მერი. არაფერი...

მელოტი. მერე ისევ მიუვარდა და...

მერი. და ისევ სცემეს, არა?

გიო. დიახ, ამჯერად უფრო საფუძვლიანად!

მერი. პატრონი მოგივლის, სულ ამოგიგდებს მაგ სიყვარულობიას
თავიდან და ისეთ კაცს გაგხდის...

იონა. ხომ შეიძლება სულ მაღე თვითონ გახდეს პოლიციის უფ-
როსი...

გიო. ვინ, მე?!

იონა. ჰო, შენ!

გიო. აბა, კარგად იყავით!

მერი. სად მიდიხხარ?

გიო. სტუმრად!

მერი. ეისთან?

გიო. პოლიციის უფროსთან...

იონა. და მის ვაჟიშვილთან?

გიო. და მის ვაჟიშვილთან.

მერი. შენ აქედან ვეღარსად ნახვალ!

გიო. რატომ?

მერი. იმიტომ, რომ აქ მოსული თავის ჭეუაზე ვეღარ ივლის...

გიო. ეინა ხართ თქვენ?

მერი. ბაზიერები, აქ მიმინოებს გეშავენ, ათვინიერებენ.. შენც მოთვინიერდები, პატრონი მალე მოვა.

(გადის)

იონა. აქ ათვინიერებენ!

გიო. ვავიგე, მიმინოებს!

იონა. არა მარტო მიმინოებს, შენნაირებსაც. ეს ბაზიერთა სექტაა, რომელიც მიმინოების მოთვინიერების ხერხებს ახალგაზრდებზე იყენებს. შენ იცი, როგორ ათვინიერებენ მიმინოს?

გიო. არა.

იონა. საშინელი პროცესია, გამოთაყვანების პროცესი, შელოცვას ეძახიან ესენი.

გიო. მერე რა მოხდება, რომ შემილოცონ?

იონა. რა და თოფით შევარდნის მაგივრად საქორნილო საჩუქარს მიართმევ პოლიციის უფროსის ვაჟიშვილს!

გიო. მე? მე მივართმევ?

იონა. მე დაგეხმარები გაქცევაში, თორემ დაბრუნდებიან ნადი-რობიდან ბაზიერნი...

გიო. ჩემთვის სულ ერთია! კისერი უმტკრევიათ ბაზიერებსაც და მიმინოებსაც.

იონა. შენ არ იცი, როგორი გახდები შელოცვის შემდეგ, შენში ყველაფერს მოკლავენ ლამაზს, კეთილს, სიყვარულს მოკლავენ.

გიო. (ჩაფიქრდება) სიყვარულს მოკლავენ?

იონა. მოკლავენ.

გიო. მაშინ დაერჩები!

იონა. რას იზამ?

გიო. დაერჩები!

(სილრმეში ბაზიერები რიტუალურ ცეკვას იწყებენ, სცენის სილრმიდან კოჭლობით მემოდის ორმოციოდე წლის კაცი, მას მელოტი ეხმარება. ვიღაც შესძახებს „პატრონი“. ბაზიერები ცეკვას წყვეტის და მას მიეჭრებიან)

პატრონი. (ტკივილისაგან იმანჭება) არაფერია, არაფერი. ნაღრძობია მხოლოდ.

(მერი ჩაიწოდებს და ჩექმას ხდის კაცს)
არაფერია-მეთქი, დამანებე, მერი, თავი!
(გიოს შეხედავს)
ეს არის ის ბიჭი?

(მერი დაიხრება და ყურში უჩურჩულებს რაღაცას)
მამამისმა ორი ოქრო დატოვა?

მერი. დიახ.

პატრონი. იონა, შენ რატომ მოხვედი?

იონა. სოკოს ვერეფიდი და ნვიმამ მომისწრო.

პატრონი. თუ მერის სიყვარულმა გაგიხსენა? (ბაზიერები იცინიან) სულ ჩვენს ლანძღვა-გინებაში ამოგდის სული და ახლა მოგენატრეთ?! მნიური აჭამეთ და შევი ღვინო არ მოაელოთ, თორემ ნავა და სტუმარ-მასპინძლობას შეგვიგინებს. იონა! ხედავთ, როგორ გართულა სოკოს კრეფით. ჩემი დალესილი ბიჭებისაც აღარ ეშინია. მომით-მინეთ, იქნებ ჩვენს რაზმი გადაწყვიტა შესვლა, პა?

(საერთო ხორხოცი)

მე მგონი, მისგან კარგი ბაზიერი დადგება. განვრთნა სჭირდება მხოლოდ!

(სახემოცინარი ბაზიერები გარს შემოეხვევიან იონას და პატრონს აჟყვებიან თამაშში).

I ბაზიერი ბიჭი. უპირველეს ყოვლისა, თეთრი ღაურა საჭირო მი-მინოს მოსატყუებლად და კედით ნაქსოვი დიდრონთვალება ბადე...

მიმინოს დანახვაზე ვმლით ჩიტ-ბადეს და ბუჩქს ვეფარებით. გრძელ ჯობზე გამობმულ ღაურას კი ფეთქვას ვაწყებინებთ. მიმინო ღაუროს ჩამოუქროლებს კლანჭებში ჩასაგდებად და ბადეში ებმება... ბადეში გაბმული მიმინოს ფეხზე ზონარებს ვაბამთ და თვალებს ძაფით ვუხვევთ... გარდა ამისა, სამხრე სალტეს ვუკეთებთ, რომ ხელი-დან გადავარდნისას წელი არ გადატყდეს... პირველ მნიურს რომ მოი-ნადირებს, თავი უნდა გაუტეხო მნიურს და ტვინი ამოაკენებინ მიმი-ნოს... მაგრამ მანამდე სახლში მიყვანილ ტყვეს კანაფს შევხსნით და ღამეს ვუთევთ... ვაშიმშილებთ... მერე ვაძლობთ... გაუთავებლად ჩავ-ყვირით რაღაცას ყურში და ვაჯანჯლარებთ, ვათაყვანებთ.

პატრონი. (იცინის. ამჩნევს გიოს). მოდი, ბიჭი, აქ! (გიო ადგილი-დან არ იძვრება). მოდი-მეთქი!

გიო. (ნელი ნაბიჯით მიდის მასთან) გამარჯობათ!

პატრონი. გაგიმარჯოს! რა გქვია?

გიო. გიო!

პატრონი. რამდენი წლის ხარ?

გიო. თქვენ?

პატრონი. რა, მე?!

გიო. რამდენი წლის ბრძანდებით?

პატრონი. (იცინის) ორმოცდაწუთის გავხდები მაღვე, მოხვალ ჩემს!
დაბადების დღეზე?
გიო. (მხრებს იჩეჩავს) თუ დამპატიურებთ!
პატრონი. რატომ გაუშრე მამაშენს სისხლი, ბიჭო?!
გიო. სახელი მისთვის მეითხეთ, რომ ბიჭო მეძახოთ!
პატრონი. (გაკვირვებული) უყურე ამას შენ?!
ცალთვალა ბაზიერი. როგორ ელაპარაკები პატრონს?
პატრონი. დაანებე თავი! (ინტერესით შეჰყურებს). შენ იცი, რა-
ტომ მოგიყვანეს ჩემთან?

გიო. ვიცი.

პატრონი. რატომ?

გიო. ვიცი-მეთქი!

პატრონი. მერე, თანახმა ხარ?

გიო. ჩემთვის სულერთია!

პატრონი. რომ არ გავხარ სულერთია კაცა?!

გიო. ჩემთვის სულერთია!

| ბაზიერი. ძალზე შეგითამამდათ, პატრონ!

პატრონი. შენ ჩემზე უფრო თავმოყვარე ხარ?!

| ბაზიერი. მაპატიეთ.

პატრონი. (გიოს) მოგწონს აქაურობა?

გიო. ისე რა...

პატრონი. შეყეარებული ხარ?

გიო. ნახვამდის!

(ტრიალდება და მიდის, მაგრამ ბაზიერები მკლავში ნაატანენ
ხელს და შეაჩერებენ)

პატრონი. გინდა დაისვენო და ლალი კაცი გახდე? გინდა ამოგა-
თალო ეგ სიყვარული?

გიო. (მოუტრიალდება) მინდა! (პაუზა) მინდა!

პატრონი. (დგება. კოჭლობით მიდის მასთან და მხარზე ადებს
ხელს)

შენ კარგი ბიჭი ხარ, მე შენ ნაღდ ბაზიერს გაგხდი. ბაზიერნო, აბა,
დააკვირდით, რაღაცით არ გავონები ჩემს ახლგაზრდობას?
(ბაზიერები ჩუმად არიან).

ნუთუ ვერც ერთი ვერ ამჩნევთ მსგავსებას?

მერი. ჲო, რაღაცით თითქოს გვავს!

პატრონი. (ხელს ჩაიქნევს) დაბრმავებულხართ ყველა! (გიოს) მო-
დი, სიბნელეში დაჯექი და რაც არ უნდა დაინახო, ხმა არ გაილო! ის
გოგო შემოიყვანეთ.

გიო. (მხრებს იჩეჩავს და სიბნელეში გადის) ჲი, ბატონო!

პატრონი. მართლა საოცრად მაგონებს ჩემს ახლგაზრდობას. (მე-
რი გადის და ანი შემოჰყავს).

პატრონი. გამარჯობა!

ანი. გამარჯობათ!

პატრონი. დაწყნარდი. მოისეენე ცოტა?

ანი. დიახ!

პატრონი. ხომ კარგად გეპურობოდნენ?

ანი. დიახ.

პატრონი. რა გქვია?

ანი. ანი.

პატრონი. რატომ მოხვედი ჩვენთან, ანი?

ანი. მე არ მოესულეარ?

პატრონი. აბა?

ანი. მომიყვანეს.

პატრონი. ვინ მოგიყვანა?

ანი. არ ვიცი. ვიღაც კაცებმა.

პატრონი. ქმარმა რატომ გამოგაგდო სახლიდან?

ანი. ვტიროდი.

პატრონი. რაო, რაო!

ანი. ვტიროდი ბევრს.

პატრონი. რატომ ტიროდი?

ანი. ისე... მეტირებოდა!

პატრონი. მტირალა გოგო ხარ?

ანი. ალბათ.

პატრონი. მკლავები მიჩვენე! (მაჯებს უსინჯავს) რატომ დაისეი მკლავეზე სამართებელი?

ანი. ცუდ გუნებაზე ვიყავი!

პატრონი. ყოველ უგუნებობაზე იჭრი ძარღვებს?

ანი. არა. მაშინ ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი.

პატრონი. იმიტომ, რომ ქმარი უნდა შემოგოლოდა ლოგინში? მშენიერია, არა, ქორნილის პირველ ლამეს პატარძალი სისხლში რომ ცურავს! მაგიტომ გამოგაგდეს სახლიდან?

ანი. დიახ.

პატრონი. და კიდევ ტირილის გულისთვის?

ანი. დიახ, მობეზრდათ.

პატრონი. რა მობეზრდათ?

ანი. ჩემი ტირილი მობეზრდათ.

პატრონი. მოკლედ, სხვა გიყვარს და ძალით გაგათხოვეს, არა?

ანი. დიახ.

პატრონი. რა ჰქვია იმ ბიჭს, შენ რომ გიყვარს? (ანი ჩუმად დგას)

არ გინდა მიპასუხო?

ანი. არა.

პატრონი. გინდა იმ ბიჭის ნახვა?

ანი. არა.

პატრონი. რატომ?

ანი. იმიტომ, რომ ციხეში ნაიყვანენ.

პატრონი. ასე გითხრა მამამთოლმა?

ანი. დაახ, თვალიც რომ მოკრა, ციხეში ამოვალპობა!

პატრონი. ლირსია ის ბიჭი შენი სიყვარულის?

ანი. მე ვარ მისი ულირსი, ბატონი!

პატრონი. მაშ ასეთი კარგი ბიჭია გიო?!

გიო. ანი! (მორბის მისეუნ, მაგრამ ბაზიერები უყელავენ გზას, შებოჭავენ და გაჰყავთ)

ანი. გიო! (ტირილი აუვარდება)

პატრონი. საყმარისად ავიჩუყეთ გული. ხვალ ჩაუტარებით შელოცვას. მანამდე კი... ერთმანეთს არ შეახვედროთ. მელოტო! შენ უდარაჯებ გოგოს. ახლა კი ნადით. მიმინოები ჩააპურეთ! მერი, ტაშტი მომიტანე თბილი წყლით, თორებმ გამათავა ტკივილმა.

(ბაზიერები გადიან. ანი მელოტს გაყავს)

პატრონი. (ნასასელელად გამზადებულ იონას) მტოვებ, სიყრმის მეგობარო? დარჩი რამდენიმე დღე, იქნებ მოგენონოს აქაურობა. იონა. დაურჩები.

პატრონი. ბაზიერების არ შეგვეძინდეს. ხელს არ გახლებს არავინ! იონა. აბა, როდის ვიყავი მშიშარა?

პატრონი. ჴო, მაგას ვერ დაგაბრალებს კაცი. ისე კი, დღეს შეიძლება რომელიმეს ალერსიანად გამოეჭრა შენთვის ჭული. მე გადაგარჩინე. იონა. გმადლობთ.

პატრონი. არაფერს. ახლა რამდენიც გინდა იტლიკინე ჩემზე ქალაქში, ველარაფერს დამიშავებ.

იონა. ვიცი. ძალიან მომძლავრდი!

პატრონი. ნადი ახლა და დაისვენე. ხვალ ვილაპარაკოთ, ბაეშეობა გაუიხსენოთ.

იონა. გაეიხსენოთ! (გადის. შემოდის მერი ტაშტით ხელში და ფერხთით უდგამს პატრონს).

პატრონი. (კუნესის) უჲ, ცოტა დამიამა, ეს რა ბალაბ-ბულახი ჩაგიყრია?

მერი. სამკურნალო ბალახია.

პატრონი. საქმეზე ვილაპარაკოთ, ქალაქთან ვაჭრობა როგორ მიდის?

მერი. ყველა დუქანი ჩვენი ნანადირევითაა საესე.

პატრონი. პოლიციის უფროსს თუ გაუგზავნეთ ოცი ოქრო?

მერი. დიახ, დღეს დილით.

პატრონი. გაგვატყავა ოხერმა! ახლა რძალიც რომ გამომიგზავნა!

მერი. ასეთი რთული წყვილი ჯერ არ შეგვევედრია.


პატრონი. რთული, არა, რთული მე არ ვიცი. ბიჭი ისე მგავს, თით-ქოს ჩემი შეილი იყოს. კარგი ბიჭია! მე და ეგ ბიჭი დიდ საქმეებს ფაქტურულა კეთებთ. ძალა ვიგრძენი მასში, ჩემეული ძალა! იონა არ გაუშრათ, ამ-ლა ჩვენთვის საშიში ალარ არის. ბევრი ასევი, რაც უფრო გაიძიოურებს თავს სიმთვრალეში, მით უკეთესი, ბაზიერების მასხარად უნდა ვაქციოთ იონა, ჩემი სიყრმის მეგობარი!

მერი. იყოს ნება შენი!

პატრონი. ისე, კინალამ შევენირე თქვენს სიყვარულს. ახლაც მტკივა სინესტეში ნატყვიარი მხარი!

მელოტი. (კვნესა-კვნესით შემოდის, თავზე ქალივით ნამოუხურავს თავსაფარი). ვაიმე, პატრონო, მტკივა, მტკივა...

პატრონი. რა გტკივა?

მელოტი. (კვნესის) თავი, პატრონო, თავი!

პატრონი. ეგ შენ დიდი ხანია გტკივა!

მელოტი. არა, არა. ახლა სხვანაირად მტკივა. ქვა ჩამარტყა იმ ბიჭმა!

პატრონი. ვინ ბიჭმა?!

მელოტი. იმ გიომ, იმ გიომ გამაბრაზა!

პატრონი. (შეაჯანჯლარებს) თქეი, რა მოხდა, რეგვენო?!

მელოტი. ნუ მაჯანჯლარებ, ნუ მაჯანჯლარებ, პატრონო!

პატრონი. თქეი!

მელოტი. ის გოგო გაიტაცა გიომ, შენ რომ მითხარი, უდარავეო!

მე დანით გავეეკიდე, იმან კი ქვა ჩამარტყა გამაბრაზა, გამაბრაზა!

პატრონი. როდის მოხდა ეს?

მელოტი. არ მახსოვეს.

პატრონი. (მერის) სასწრაფოდ დაადევნე ბაზიერები. იპოვონ და ადგილზე შეულოცონ, იონა ასწავლიდა მაგათ გზას. შორს ვერ ნავ-ლენ ამ წვიმაში.

მერი. ახლავე! (გარბის)

მელოტი. (კალთაში თავს ჩაუდებს პატრონს) მაბრაზებენ, ყველა მე მაბრაზებს, პატრონ!

სურათი მეორე

ნვიმის ხმაური. სიბნელუ. სინათლის მერთალი შექი ავანსცენაზე შეგროვილ ნინეის გროვაზე ნამონოლილ გოს და ანის ეცემა. გო-ოს ნელზევით გაუზღდა და პერანგით თმას უშროალებს გოგონას.

ანი. გაციცდები, გიო, ჩაიცვი, გთხოვ! (იცინის). დამანებე თავი! (უცებ ჩაცქერდება გიოს შიშველ მკერდს) რა დალურჯებული გაქვს ტანი... როგორ გცემეს ასე უმონყალოდ? აქ... აქ, კი თევშისხელა სილურჯეა! (კოცნის ნაიარევ ადგილებში ბიჭს)



ღმერთო, ნეტა ეს სიზმარი არ იყოს, ჩემს გვერდით რომ ხარ, რომ
შემიძლია შეგვეხო, გაეკოცო, თვალებში ჩაგხედო!
(თავზე მოქიდებს ხელებს და დიდხანს უყურებს თვალებში). მე
ალარ მჯეროდა... ალარ მჯეროდა, თუკი ოდესმე გნახავდი.. ალარც
მესიზმრებოდი! შენ? გესიზმრებოდი?

გიო. არ მახსოვეს!

ანი. თითქოს საზარელი სიზმარი იყო, არა?

გიო. კარგი ადგილი გვასწავლა იონამ. სიმშრალეა, ნინვიც ბლო-
მად არის. სამწუხაროდ, ცეცხლს ვერ დაეანთებთ, მოგვაგნებენ ბაზი-
ერები.

ანი. რატომ გეშინია მათი, განა ასეთი ცუდი ხალხია? მე მგონია,
ის იონა რაღაცას აჭარბებს, ვერაფერი გავიგე, ვერც შელოცვა-მოთ-
ვინიერების, ვერც სიყვარულის მოკვლის. როგორ უნდა მომიკლან ის,
რაც ჩემშია და რამაც ყველაფერს გაუძლო?!

გიო. რასაკვირველია, მაგრამ იქ ჩვენი დარჩენა ალარ შეიძლებო-
და. ისევ მოგაკითხავდა პოლიციის უფროსი და ის... (უჭირს სიტყვა
ქმარი თქვას) მისი შვილი.

ანი. (მოეხვევა) სულელო, სულელო ბიჭო! ნუთუ არ გესმის, რომ
მე იმ ვაჟბატონის ხელი არ შემხებია. შეხედე! (ხელებს ამოატრიკა-
ლებს და ნაიარევს უჩიდესებს გიოს) ახლა ალარ მაქვს ისეთი ლამაზი
ხელები. სამაგიეროდ, შენ ასე უფრო მოგვენონები... გახსოვს, თითის
გადაჭრაზეც გული რომ მიღიოდა?! მაშინ კი, იმ ღამეს, სულ არ შემ-
შინებია სამართებლის დასმა. ნახე, რა ღრმა ნაიარევია!

გიო. (იცინის) მოკლედ, დიდი ნაომარი ნყვილი ვართ, ნაიარევე-
ბით დამშენებულნი.

ანი. (შეაცერდება) შენ ტირი, ტირი... (ხელებს ზურგსუჟან მა-
ლავს) ალარ გაგიფუჭებ გუნებას... (ეხვევიან ერთმანეთს. შორიდან,
წევიმის ხმაურში შემოიჭრება მგლებისა და ტურების ყმუილი, ღამეუ-
ლი ტყის ხმაური და ეკვნების წყნარი წყარუნის ხმა).

ანი. (შემქრთალი) მეშინია!

გიო. რისი?

ანი. ღამის, ყმუილის, წევიმის, ტყის ამ ეკვნების წყარუნის... თით-
ქოს ექვნებიაო, არა?

გიო. ჩემი არ გეშინია?

ანი. (სერიოზულად) არა (ულიმიან ერთმანეთს. უცებ, ანი კვლავ
შეკრთება).

გიო. რა მოგდის?

ანი. ისევ ეკვნების წყარუნი მომესმა!

გიო. გეჩვენება, ტყის ხმებია!

ანი. ჰორ... იცი, რატომ მეშინია ეკვნების?

გიო. რატომ?

ანი. ბაზიერებს აქვთ შებმული ჩექმებზე!

გიო. ეუვნები?

ანი. ჴ.

გიო. დაგტოვებ ცოტა ხნით, დავზვერავ აქაურობას!

ანი. არ წახვიდე, მეშინია!

გიო. მხოლოდ ორი წუთით.

(გადის. ანი მარტო რჩება. მოიბუზება და თავს ჩაკიდებს. უცებ სა-
იდანლაც წყნარად და შემპარავად შემოდის გიოსა და ანის სიყვარუ-
ლის მუსიკალური თემა. მელოდია ძლიერდება. ანი თავს მაღლა სწევს
და ნათელი ეფინება სახეზე).

გიო. (ბრუნდება) არავინა! მოგეჩვენა!

(წევება მის გვერდით. ანი მუხლებში ჩაიდებს მის თავს)

ანი. რა უხეში ქოჩორი გაქვს, გიო?!

(ეფერება თმაზე) იცი, რა მითხრა მერიმ? მიმინებს, საერთოდ,
ოქროსნინნელებიანი თვალები აქვთო. მაგრამ არის მეორე, ძალიან
იშვიათი ჯიშის მიმინოცო, მისმენ?!

გიო. ჴ!

ანი. ამ იშვიათი ჯიშის მიმინოს შავი თვალები აქვსო, ამ მიმინოს
თითქმის ვერასდროს ვერ იჭერენ ბაზიერები, მაგრამ თუ დაიჭირეს,
მაშინვე კლავენ.

გიო. ვიცი! შავთვალა მიმინო არ თვინიერდება. ამიტომაც კლავენ.

ანი. მართლა რა უხეში თმა გაქვს, გიო?!

გიო. (თვალდახუჭული) მიყვარხარ!

ანი. (დაიხრება, კოცნის) ხვალ რას ვაპირებთ?

გიო. ცოტა ხნით ქალაქში შევივლით, მერე უბიანეთის საზღვარ-
თან მივალო და მეტყევესთან გავათევთ ღამეს. ზეგ კი უკვე სხვა ქეე-
ყანაში ვიქნებით.

ანი. მაგრამ ოდესმე ხომ დავბრუნდებით აქ?

გიო. რასაკეირველია.

ანი. საწყალი მელოტი. როგორ გაიმეტე ასე, მე ვიფიქრე მოკლა-
მეტე!

გიო. ნუ გეშინია, მელოტის შტერ თავს არაფერი მოუვა.

ანი. რამხელა დანით გამოგვეკიდა...

(გიო თავს ასწევს, ეხვევიან ერთმანეთს და თივაზე წვებიან. სულ
უფრო მატულობს აქამდე ყრუდ მუღერი ეუვნების ნკარუნის ხმა. ფე-
ხაკრეფით შემოდიან ბაზიერნი, თავზე დადგებიან გატრუნულ
ნყვილს და უზარმაზარ ჩიტ-ბადეს გადააფარებენ).

სიბნელე.



ბუნგალო. ბუხართან თავშეხეული მელოტი, მერი და იონა ჩირი მომსხდარან, სიღრმეში პატრონი სცემს ბოლთას. სამი ბაზიქ-რი გოგონა ჩიტ-ბადეს ქსოვს.

მელოტი. (უეცრად აღრიალდება)

გაბეჭული ნაბიჯით,

ბაზიქრო, იარ,

ჩემს მიმინოს სად ნაუხვალ,

შტერო ჩიტუნია!

(წყენით) რატომ არავინ ამყვა?

იონა. ხელი არ შეგიშალეთ!

მელოტი. შენ გვრნია, ჩემზე უკეთ მდერი?

იონა. არა, ლმერთმა დამიტაროს!

მელოტი. (ნიშნისმოგებით)

გაბეჭული ნაბიჯით

ბაზიქრო, იარ,

ჩემს მიმინოს სად ნაუხვალ,

შტერო ჩიტუნია!

მერი. დავყრუვდით, მელოტო!

მელოტი. ნუ მაბრაზებთ! ნუ მაბრაზებთ!

მერი. დაიგვიანეს ბაზიქრებმა!

მელოტი. იპოვიან, ნუ გეშინია!

მერი. პატრონი ისე დელავს! შენც რამ გამოგაშტერა, იმ ლლაპს როგორ გაალხვინე თავი?!

მელოტი. (წყენით) ე, იმას ქვა ჰქონდა და... (თავზე ნაივლებს ხელებს) აი, ისევ ამტკიცდა.

იონა. ეს იმიტომ, რომ მელოტი ხარ!

მელოტი. ჴო, თმა რომ მქონოდა, ასე არ მეტკინებოდა!

იონა. გინდა თმის ამოყვანის უებარი ხერხი გასწავლო?

მელოტი. (გახარებული) მასწავლე, რა!

(იონა გადაიხრება და უჩურჩულებს ყურში)

მელოტი. (ჩაფიქრდება) კი, მაგრამ თავზე ვის დავაფსმევინო?!

იონა. ეგ უკვე გადასაწყვეტი პრობლემაა, მელოტო!

მელოტი. საკუთარი არ შეიძლება?

იონა. როგორ არა, მაგრამ სხვისი სჯობია!


მელოტი. რამდენ ხანში ამომივა?

იონა. შარდს გააჩინია!

მელოტი. (დაეჭვებით) მატყუებ შენ რაღაცას?!

იონა. ლრუტ, ლრუტ, ლრუტ!

მელოტი. ნუ მაბრაზებ, ნუ მაბრაზებ!



იონა. მაინც საკუირველია, როგორ გაგხადეს ასეთი იდიოტი, შენ
მშვენიერი ყმანენილი იყავი, მე ხომ მახსოვებარ!

მერი. (მკახედ) ჰოდა, შენთვის შეინახე ეგ მოგონებები, ჟურნალურე მელოტის!

იონა. რაც აღარ აქვს, რა უნდა ავურიო, ისე, შენც მახსოვებარ, ჩე-
მო მერი... ისიც მახსოვეს, როგორ მოყვარდი!

მერი. მეც მშვენიერ ქალწულად გახსოვარ?

იონა. არა, შენ თავიდანვე კახპას გული გქონდა!

მერი. ყველა ქალწული პოტენციური კახპაა, ჩემო იონა!

მელოტი. (წყენით) მე არ მოვწონვარ კახპებს! სანამ ერთ გემრიელ
თავურს არ ვგლიჯავ, არავინ მომყვება!

პატრონი. (რაღაც განკარგულებას აძლევს ბაზიერ გოგონებს,
შემდეგ ბუხართან მიდის და ჯორჟოზე ჩამოჯდება) დამალევინეთ
ერთი ჭიქა!

(ფეხზე ნამომდგარი მელოტი და მერი სწრაფად უვსებენ სასმისს)
გაგიმარჯოთ!

მერი. ღელავ, პატრონი!?

პატრონი. არა, შორს ვერ ნავიდოდნენ. ჴა, იონა ბატონო, გააპარე
ბავშვები და გიხარია, არა?!

იონა. მე გზა ვასნავლე მხოლოდ!

პატრონი. (მელავებს შლის გაკუირვებისაგნ) განა ეს ცოტაა?

იონა. სამწუხაროდ, ცოტაა!

პატრონი. აღარ დაიღალე ჩემთან ბრძოლით?

იონა. დავიღალე, სამწუხაროდ! (ლეინოს სვამს)

მერი. ნუთუ იპოვიან?

იონა. გაძედული ნაბიჯით, ბაზიერო იარ...

მელოტი. (ნამსვე აყვება) ჩემს მიმინოს სად ნაუხვალ, შტერო ჩი-
ტუნია?

პატრონი. შენი ნასროლი ტყვია ახლაც მხარში მაქვს ჩარჩენილი.
სინესტეში მახსენებს ხოლმე თავს, ნეიმები კი ხშირი იცის ამ დალოც-
ვილ ტიპიანეთში!

იონა. იქ ვერ მოგარტყი, სადაც გიმიზნებდი...

მერი. რა სამწუხაროდ, სამწუხაროდს გაიძახი მთელი დღე! რას
აიკიატე ეგ სიტყვა!

იონა. ბევრ რამეზე ვწუხვარ, ჩემო მერი!

პატრონი. რა ბოროტები ხართ სიკეთეზე თავგადადებული კაცები!

იონა. ეგ პარადოქსები შენი გამოშტერებული ბაზიერებისათვის
შეინახე.

მელოტი. როგორ ელაპარაკები პატრონს!?

იონა. ღრუტ, ღრუტ, ღრუტ!

მელოტი. მაბრაზებს, პატრონო!

პატრონი. მეც მაბრაზებს, მაგრამ რა ვქნა, სტუმარს ხომ არ დაკ-
სჯი? სტუმარი ლეთისაა!

მერი. სადილს გავაწყობ, პატრონო, დღეს ლუკმა არ ჩაგდებულია

პირში!

პატრონი. დაეგდე მანდ!

იონა. ვერ დაეწევიან ბავშვებს შენი ბაზიერები, დევნილი ყოველ-
თვის უფრო სწრაფად გარბის, ვიდრე მდევარი!

პატრონი. (მშევიდად) ვერ დაეწევიან და შენზე ვიყრი ჯავრს, ჩემი
იონა, ნამებაში ამოგხდი სულს!

იონა. (გაკვირვებული იცინის) მე მაშინებ ნამებით და სიკედი-
ლით? მე ხომ ისედაც ვიცი, რომ ადრე თუ გვიან მომქლავ!

მელოტი. გამოეჭრა ყელი?

იონა. გაბედული ნაბიჯით, ბაზიერო, იარ!

მელოტი. (ნამსვე აყვება) ჩემს მიმინოს სად ნაუხვალ, შტერო ჩი-
ტუნია!

პატრონი. მარტო დაგვტოვეთ მე და იონა!

(მერი და მელოტი გადიან. სასმელს ჩამოასხამს)

ეს ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს, ჩემი იონა! მე მართლა მიყვარდი
მაშინ, მაგრამ რა მომიტანა ამ სიყვარულმა ტკივილების გარდა?

იონა. მეც მიყვარდი!

პატრონი. და მაგიტომ მესროლე ტყვია? ბოზანდარა მერის გუ-
ლისთვის?

იონა. გიკვირს?

პატრონი. მიკვირს, მიკვირს! შენ, ტკივიანმა კაცმა, რატომ არ მო-
ინდომე გაგერკვია, როგორ და რატომ მოხდა ეს ამბავი?

იონა. უნდა მომეკალი მაშინ!

პატრონი. სიკეთის ყველა მქადაგებელი ბოროტმოქმედზე უარესია!

იონა. უმაღლესი სიკეთე სამართლიანობაა!

პატრონი. კარგი, მასე იყოს, ჩემი სამართლიანო და კეთილი იო-
ნა! ახლა ისიც მითხარი, რატომ მოხვედი ჩემთან?

იონა. არ ვიცი!

პატრონი. არ იცი?

იონა. მარტლა არ ვიცი! ერთ მშვენიერ დღეს გამეღვიძა ჩემს თევ-
ზითა და ნაარყლით აშმორებულ სარდაჭმი, გარეთ გამოვედი, შებინ-
დებამდე ვიბოდიალე მტკრიან ქალაქში და ისეთი სიმარტოვე ვიგრძე-
ნი, რომ კინალამ ყმული მოვრთე. თქვენი სიძულვილი მირჩევნია ქა-
ლაქელთა გულგრილობას. შენთან ბრძოლითაც დავიღალე, უფრო
სწორად, დავიწვი. გადამწვარი კაცი კი მაღლე უნდა მოკვედეს.

პატრონი. მოკლედ, მარტო არ გინდოდა სიკედილი, არა?

იონა. პო, ეგეც არის! შენ ისიც არ იცი, შენი იარაღის საწყობიც
რომ ვიპოვე, ერთი ამბავი ავტეხე ქალაქში, მაგრამ კაცმა ყური არ შე-

იბერტყა!

პატრონი. ქალაქი დიდი ხანია ჩემია!

იონა. ჰო, ეიცი!

პატრონი. მაში იარაღის საწყობსაც მიაგენი? ეს უკვე ჩემი შეცდო-
მა! ეპ, ჯანდაბას ყველაფერი, მოდი, დაულიოთ! გაგვიმარჯოს!
იონა. გაგვიმარჯოს!

პატრონი. მგლების ჯოგები დარბიან გარშემო, ჩემო იონა, ამი-
ტომაა მგლებად რომ ვზრდი ჩემს გოგო-ბიჭებს, უფრო მარდ, უფრო
ბასრებილებიან, დაუნდობელ მგლებად, ვერავინ რომ ვერ მიაყენოს
მათ ის ქრილობები, აქამდე რომ ვილოკავ ტანზე!

იონა. რა ქრილობები გქონდა ასეთი?! შენ ერთი გამნარებული პა-
ტიარა კაცი ხარ!

პატრონი. სტყუი! პატარები ვერაფერს აღწევენ

(სვამენ. უცებ თითქოს რაღაცამ იფეთქაო, ყიუინით და სტკენით
შემორბიან ბაზიერნი და რიტუალურ ცეკვას ინყებენ. ფეხზე ნამოჭ-
რილი პატრონი აღლვებით შესცემის მათ).

ცალთვალ ბაზიერი. (გამოყეყოფა მოცეკვავეთა ჯგუფს) ვიპოვეთ,
პატრონი, შევიყარით! ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მიუაგე-
ნით კვალს, იქვე ჩავუტარეთ შელოცვა!

პატრონი. (მეტრდში ჩაიკრავს მას) გმადლობთ, ბაზიერნი, გმად-
ლობთ!

ცალთვალა. ძალიან რთული წყვილი აღმოჩნდა, ჯვარს გვაცვეს!
საბოლოო ჯამში გოგონა მოთვინიერდა!

პატრონი. ბიჭი? (უეცრად სიჩუმე დაიბუდებს ბუნგალოში) ბიჭი-
მეთქი?!

ცალთვალა. ბიჭი არ დაემორჩილა შელოცვის ნესს!

პატრონი. რაო?

ცალთვალა. ბიჭი შავთვალაა, პატრონი!

პატრონი. (ნაძალდევი სიცილით) შეუძლებელია, ბაზიერო!

ცალთვალა. (ჯიუტად) რატომ? ჩეენ ხომ გვერნდა ასეთი შემთხ-
ვევა ამ ათიოდე წლის ნინ.

პატრონი. (შეკავებული რისხვით) შეუძლებელია-მეთქი!

ცალთვალა. ეს გიო ნამდვილი შავთვალაა, მისი მოთვინიერება
შეუძლებელია! ჩემი თუ არ გჯერათ, სხვა ბაზიერებს ჰქითხეთ!

(ბაზიერთა ჯგუფი დუმს)

პატრონი. მე კი დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ ცდებით. (შემფოთე-
ბით) სად არის გიო? ახლავე მოიყვანეთ!

ცალთვალა. უგონოდაა, პატრონი!

პატრონი. სად არის-მეთქი?

ცალთვალა. მიმინოების დარბაზშია! სიკედილისთვის ამზადებენ
ბაზიერები!



პატრონი. მელოტო! ახლავე ჩემს ოთახში დააწერინე და ჰყენერდება
დან არ მოცილდე!

ცალთვალა. (გააფირებით) რატომ? შავთვალას ხომ კლავენ?! მე
ყოველთვის ველავდი შავთვალა მიმინის, ასე მასნავლე შენ! რა გე-
მართება, პატრონო, ველარ გცნობ! ჩვენ ერთს გვიქადაგებ, თვითონ
კი პირველი არღვევ უწყევ კანონს?

პატრონი. (რბილად) კარგი, ნუ ლელავ, ბაზიერო, ნადი, დაისვენე,
გადალლილი ჩანხარ! ხვალ გავარკვევთ ამ საკითხს!

(ცალთვალა მოღუშულად აკოცებს გამონვდილ ხელზე და გადის.
პატრონის ნარბის ანევა და მელოტი ორი ბაზიერის თანხლებით უკან
გაყვება მას).

პატრონი. (გასამხნევებლად გაუღიმებს გასულ ბაზიერებს) ყველა-
ფერი რიგზე იქნება. მას შემდეგ, რაც ბიჭი მესაუბრა, ის შინაგანად
მხოლოდ მე მემორილება! მე თვითონ ჩავუტარებ შელოცვას და ჩვენს
რაზმს მამაცი და ძლიერი ბაზიერი შეემატება. ხომ გჯერათ ჩემი!

ბაზიერთა რაზმი. (არეულ-დარეულად) გვჯერა!

(შემოდიან ორი ბაზიერი და მელოტი, მელოტი დანას იმშრალებს
ქურთულების კალთაზე).

। ბაზიერი. უბედურება მოხდა, პატრონო, ცალთვალა ნაიქცა და
საკუთარ დანას ნამოეგო!

მელოტი. უკვე მოკვდა!

პატრონი. საკუთარმა გაუფრთხილებლობამ დალუპა!

მელოტი. ჰო, ეგრეა!

იონა. (პატრონს ჩუმად) დროზე გადაიყვანე შენს ოთახში გიო,
თორებ შეიძლება ვინმემ ჩუმად მოკლას!

პატრონი. (გალიზიანებით) არაა ეგ შენი საქმე! (მელოტს) ჩემს
ოთახში გადაიყვანე ბიჭი და უდარაჯე!

(ხელს აიქნევს და თვითონ ინყებს რიტუალურ ცეკვას. სხვა ბაზი-
ერები აჟყვებიან).

სურათი მეოთხე

სისხლისფრად ჩამუქებული, დაცარიელებული ბუნგალო.
სილრმეში ბოძზე გაერული გიოა. თავი უდონოდ ჩამოუგდია
მკერდზე და მძიმედ სუნთქვაებს. ნელზეებით ტიტველი, გაოფ-
ლილი მელოტი ტანი იმშრალებს პირსახოცით, შემდეგ წერეს
გაახევს და ნაზად გააბოლებს. შემოდის პატრონი.

პატრონი. (ცოტა ხანს უცურებს გონდაკარგულ გიოს) ახსენი!

მელოტი. (ნამოხტება) საკმარისად დამუშავებულია პატრონი! მე
მგონი, მეტი აღარ უნდა!

პატრონი. (მიდის და თვალის უპეს აუნევს გიოს) ძალიან გიცემია!

მელოტი. პო, ცოტა ზედმეტი მომიერიდა!

პატრონი. ახსენი-მეთქი!

მელოტი. ახლავე! გამოვაფხიზლებ ჯერ!

(გვერდზე გადის, წყლიანი კასრი შემოაქეს და სახეში შეასხამს ბიჭს. გიო ძლივძლივობით წევს თავს, მელოტი თავის შინდისფერ ჰერანგს იცვამს და თოკებიდან ახსნის გიოს. ის ბარბაცით გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს და მაგიდის კიდეს დაეყრდნობა).

პატრონი. რამდენი დღე აშიმშილე?

მელოტი. სამი, პატრონი! როგორც თქვენა ბრძანეთ, მეტს ველარ გაუძლებდა ნინა შელოცვიდან დასუსტებული!

(გიოს სკამზე დაჯდომა უნდა, მაგრამ ფეხს გამოკრავს სკამს მელოტი და ბიჭი ეცემა)

პატრონი. (ნამოაყენებს გიოს და მსუბუქად გაკრავს სილას მელოტს) რაებს სჩადა?

მელოტი. აბა, ის კარგი იყო, ქვა რომ მეევეა თავში!

პატრონი. (რისხვით) გაეთრიე აქედან!

(მელოტი ბურტყუნ-ბურტყუნით იქვე შორიახლოს ჩამოჯდება და კვლავ ნეკოს შეახვევს)

პატრონი. (დაყვავებით ვიოს) არ უნდა გენყინოს მაგ მუტრუუი-საგნ, ვირის ნიხლი, აბა, რა საწყენია? რას დაუმსგავსებიხარ, ბიჭი, მაგ თხერს?! ისარგებლა არა, ჩემი აქ არყოფნით?! არაფერია! სამაგლითოდ დავსჯი ამისთვის. რა იყო? ვერ დგახარ ფეხზე. (დაიხრება) აუჭ, როგორ დაგსიებია! არ მოგცა, ხომ, ფეხსაცმლის გახდის უფლება?! გაიხადე, გაიხადე ფეხზე, თორემ მოკვდები, შე საწყალო! (ეხმა-რება ფეხსაცმლის გახდაში) ამოისუნთქე ცოტა? (წყალს ასმევს)

გიო. (ძლივ-ძლივობით ამოლერლავს) პო, ცოტა დამიამდა!

პატრონი. მაგრად დაგსიებია! ეს იმიტომ, რომ ამდენ ხანს ფეხზე მოგინია ყოფნა. ცოტა გაიარ-გამოიარე ჩემთან ერთად და სულ და-გიცხრება ტკივილი, ახლა, რაც უფრო გასიედება ფეხი, მით უფრო ნაკლებად გეტკინება.

(აქეთ-იქით გაატარებს გიოს. ბიჭი კენესის)

ჩემი ბრალია, როგორ ჩაგაგდე მაგ პირუტყვის ხელში, მაგრამ რა მექნა? სანადიროდ ვიყავი ახლად დაგეშილი მიმინოს გამოსაცდელად და სულ ამომეარდა შენი ამბავი თავიდან. შენ მშიერიც იქნები. რა ვიყო მაინც ასეთი, მაგ თხერმა? გაშიმშილა, ალბათ, გაჯანჯლარა...

გიო. ყურში ჩამძახოდა რალაცას განუწყვეტლივ! ოთხი ბაზიერი ენაცვლებოდა!

პატრონი. კარგი, დანყნარდი, დამშვიდდი, ჩემო ბიჭი! (თმაზე ეცერება გიოს ალერსიანად)

ეპე, შენი საქმე ვერაა მთლად კარგად! რა დღეში გაქვს, ბიჭი, ნერვები. ჩემს მოფერებაზე ცრემლი რომ მოგდის?! ასეთი რა განამეს

მაგ ძალლიშვილებმა?! დამშვიდდი, მოინმინდე ეგ სიმწრის ცრემლი! ახლა უკვე ეელარავინ გაგიბედავს მასეთ რამეებს, რახან მე აქა-გან! (მაგიდასთან მიჰყავს) გიგანტობრივი

ბიჭის, რამხელაზე გაგისივდა ფეხები! ჩამოჯექი აქ! (დასვამს ჯორკოზე. ცოტა ხანს უხმოდ უფურებს, შემდეგ შეცვლილი ხმით ეუბნება)

ახლა კი ადექი, შე ლანირაკო, და ეგ ფეხსაცმელი ისევ ჩაიცვი! გიო. (გაოგნებული) რა ვქნა?

პატრონი. რა და, ეგ ფეხსაცმელი ჩაიცვი-მეთქი! რა იყო? გინდა შემაფურთხო?! მაგას ვერ მოახერხებ, ნერნევი გაგიშრა პირში. მე-ლოტო, მოდი, დაეხმარე, თორემ გაგვიზარმაცდა საწყალი!

მელოტი. (მოირძენს) ვისმერ!

პატრონი. ფეხსაცმლის ჩაცმაში მოეხმარე გიოს!

მელოტი. (დაიხერხება და ცდილობს რამენაირად ჩატენოს ბიჭის გა-სიებული ტერფი ფეხსაცმელში) არ ეტევა, პატრონ!

პატრონი. ჩაცვი-მეთქი! (პაუზის შემდეგ) რატომ არ კენესის?

მელოტი. (ხევეშის) თავს იკავებს, პატრონ!

პატრონი. ჩემს ჯინაზე, არა?! სჯობია, ცოტა ინრუნუნო, შეგიმ-სუბუქებს ტკივილი! (გიო სკამიდან ვარდება) რა დაემართა?

მელოტი. გონება დაეკარგა! რა ვქნა, აღარ ეტევა, პატრონ!

პატრონი. კარგი, დაანებე თავი და სავარძელი შემოიტანე!

(მელოტი გადის და უმალ შემოაგორებს თეთრ, მაღალზურვიან სავარძელს)

მელოტი. მონყობილობები შევუერთო?

პატრონი. არა, აღარ არის საჭირო! მეტს ველარ გაუძლებს!

მელოტი. მეც ასე მგონია! ამდენი არასოდეს გვინვალია. ოთხ ბა-ზიერს გაძერა სიქა. სხვები დაიღალნენ, ტირიან, გვემუდარებიან.

ამას კრინტი ვერ დავაძვრევინეთ. ცოტას კენესოდა მხოლოდ!

პატრონი. (კმაყოფილებით) ასეთი ბიჭი მჭირდება სწორედ, შავი ლეინო და უმი ხორცი მომიტანე!

(მელოტის პატარა კალათა და კევარტიანი ბოთლი მოაქვს. პატრონი ჯიბიდან რაღაც შეკვრას იღებს და მელოტს უწვდის).

პატრონი. აპა, აიღე, შეპირებული სათამაშოა!

მელოტი. (ბავშვივით გახარებული) საპნის ბუშტების გასაშეებია?

პატრონი. პო, ქალაქიდან ჩამოვატანინე!

მელოტი. (ხელზე კოცნის მას) გმადლობთ, პატრონო! გმადლობთ! ახლა ისეთ ბუშტებს გაუშევებ!

(სცენის სიღრმეში გადის. პატრონი ბოთლს გადმოაპირქვავებს, პეშვს გაიგსებს და სახეში შეასხურებს ლვინოს ბიჭს. გიო ნელა ახელს თვალებს)

პატრონი. (მხიარულად) ახლა ცოტა ნაისადილე, გიო! ხორცი,



მართალია, უმია, მაგრამ ტრადიციას ვერ ვუღალატებ, მიმიწოდების
ჩაპურება ასე ხდება!

(ძალით ატენის პირში უმი ხორცის ნაჭრებს, შემდეგ ბოთლსაც მი-
აყუდებს ტუჩებზე)

დალიკ, დალიკ, გიო! გიჭირს ყლაპვა? ცოტა დაისვენე! ახლა ხორ-
ცი შეჭამე! ნუ მენინალმდეგები! ლვინო მიატანე... აი, ასე! მელოტო,
კასრი! გული ერევა!

(მელოტი კასრს მოარბენინებს, ბიჭი ზედ გადაეყუდება, პატრონს
შებლით უჭირავს გიო)

ეს იმიტომ, რომ ნაშიმშილარი ხარ ჩემო ბიჭო!

(ნამოაყენებს, ხელსახოცით უწმენდს ბაგეს)

ახლა მოხერხებულად მოეწყვე მაგ სავარძელში და ყურადღებით
მომისმინე! ძალზე საინტერესო ამბავი უნდა გიამბო. მერწმუნე, ამ-
ჯერად გულანრფელი ვარ!

(სიგარეტს მოუკიდებს და ტუჩებში ჩაუდებს გიოს, ის უღონოდ
ურტყამს რამდენიმე ნაფაზს)

უფიცავ, უილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

ტბიანეთში ცხოვრობდა ერთი ყმანვილი კაცი. ნინასნარ რომ არ
დაგაბნიო, გეტიუვი, რომ ის ყმანვილი მე გახლავარ! უბრალოდ, მესა-
მე პირში უფრო ადვილია მოყოლა, ვიდრე საკუთარ თავზე.

ლამაზი და ღონიერი იყო ის ყმანვილი, უბადლო ბაზიერი და და-
უღლელი მოქეიფე, ხელგაშლილი და მხიარული მეგობარი. ჰყავდა ერ-
თი ძმასავით შეზრდილი ამხანაგი, სახელად იონა. და ჰყავდა იმ იონას
საცოლე, სახელად მერი, მშვენიერი მერი. ბეჭინიერი და უდარდელი
ეგონა ყველას. და არავინ უწყოდა, რამხელა ჭრილობას ატრებდა იგი
მეერდში. ეპ, ჩემო გიო, საუბედუროდ, მას საკუთარი ძმაკაცის საცო-
ლე შეუყვარდა, შეუჩნდა მას, თავიც შეაყვარა, მაგრამ საქმე საქმეზე
რომ მიდგა, ჩევნი ყოჩალი ბაზიერი უძლური აღმოჩნდა საყვარელ
ქალთან ალერსში. გვიან მიხვდა, რომ ღმერთს მისთვის მამაკაცობაზე
უარი ეთქვა, იცი, რა ძნელია, გიყვარდეს ქალი, მასაც უყვარდე, მთა-
ვარი კი აერძალული გქონდეს. პოდა, დასცინა მას მერიმ, მნარედ დას-
ცინა, თუ არაფრის თავი არ გქონდა, რაღას შემომიჩნდიო. დაცინვას
კი, ჩევნი ბაზიერი ვერავის აპატიებდა და მანაც, მიმინოს მოთვინიე-
რების ნესის თანახმად, ბნელში ჩაკეტა ერთ ღროს საყვარელი გოგო-
ნა, აშიმშილა, ჩააპურა, გამოათაყვანა, და რამდენიმე უფროს ბაზიერს
მიუგდო საჯიჯეგნად. შემდეგ, იონამ იძია შური მეგობარზე და მხარში
დაკოდა ის... დაჭრილმა ბაზიერმა ტყეს მისცა თავი, იონა ციხეში ჩაა-
ყუდეს, მერი კი გაბოზდა.. რა იყო, ისევ გული გერევა?.. (კვლავ გადა-
აყუდებს ბიჭს კასრზე და შებლს უჭირს ხელით)

აი, ასე მინდა აგერიოს გული, სიყვარულის ხსენებაზე, რა არის,
ბოლოს და ბოლოს, ეს სიყვარული? ხაფანგი ნაბიჭვრებისათვის! აი,

ის საპნის ბუშტია, მელოტი რომ უშევებს! რა მოგიტანა ამ სიყვარულ-
მა თვითგვემის გარდა. სიყვარულის ყველა ცნება ჭევიანთა ათავითი-
ნებმა მოიგონეს სხვების გასაბრივებლად.

უნდა გესმინა, როგორ წყევლა-კრულვას უთვლიდა ის შენი ანი
სიყვარულს, მოთვითიერების შემდეგ, სიყვარული ხომ ბინძური ლა-
ლატია, შხამიანი ჭრილობა!

შეხედე მელოტს. ის დიდხანს არ დაემორჩილა შელოცვის ხერხებს
და სრულყოფილ იდიოტად იქცა. შენ კი უფრო ფაქტზე სულის ბიჭი
ხარ და მე არ მინდა, რომ შენც ტვინგამოლაყებულ ლაქიად გაქციო.
მე არასოდეს მეყოლება შვილი და გადავწყვიტე შენ გიშვილო, ჩემთ
გიო. მე და შენ დიდ საქმებს გავაეკეთებთ! სულ მალე მე ტბიანეთის
მეზობელი ქვეყნებიც დამემორჩილებიან. მე შენ გაჩვენებ ჩემი იარა-
ლის უზარმაზზ საწყობს, მე შენ სხვა საიდუმლოებებსაც გაგანდობ,
მაგრამ მანამდე ისე უნდა ამოვნება შენს სულში სიყვარული, რომ
ფერფლიც არ დარჩეს მასში, ფერფლიც არ დარჩეს!

(სადღაც იქცებს და ქარიშხლის ღრიალი შემოვარდება ბუნგა-
ლოში, ქრება და ინთება სინათლეები, მელოტი საპნის ბუშტებს უშ-
ვებს, პატრონი ბეჭებში ჩაფრენია გიოს და რაღაცას ჩაყვირის ყურში,
ცოტა ხანში ქარიშხლის ხმაური წყდება და მისავათებული პატრონიც
თავს ანებებს გიოს)

პატრონი. (მელოტს) ანი შემოიყვანე!

(მერის ანი შემოჰყავს, პატრონი გიოს წამოაყენებს და ოდნავ
უბიძებს ხელს).

ანი. გამარჯობა!

გიო. გამარჯობა, ანი!

ანი. სულ წაცემა უნდა იარო, ბიჭო!

გიო. (მხრებს იჩეჩავს) რას იზამ, უილბლო ვარ! მაგრამ დღეიდან
იშვიათად მნახავ გალხულს!

ანი. აბა, შენ იცი!

გიო. რა გადაწყვიტე!

ანი. რისი? დარჩენის? პო, ასე აჯობებს, დაურჩები!

გიო. მეც იგივე გადაწყვიტე! (პაუზა)

ალარაფერი დამრჩა მკერძო, ანი!

ანი. რა ალარ დაგრჩა? პოო, მიეხედი, შენ ნუ მიაქცი ყურადღე-
ბას!

გიო. ფერფლიც არ დარჩა!

ანი. პო, ფერფლიც არ დარჩა!

გიო. (პატრონს) მე მჯერა შენი!

ანი. (მერის) მე მჯერა შენი!

პირველი წანილის დასასრული

სურათი მეხუთე

ბუნგალო. მერი ბუხართან ზის და ქსოვს, მის გვერდით ანი ჩა-
 მომჯდარა. ისიც ქსოვითაა გარისული. სამი ბაზიერი გოგონა ბა-
 დეს ლამბავს. მაგიდას მელოტი და ოთხი ბაზიერი შემოსხდომი-
 ან და ბანქოს თამაშობენ. ყოველი ნაგებული ხელის შემდეგ მე-
 ლოტი კბილებს აღრჭიალებს და მუშტა ურტყამს მაგიდას. სურ-
 ნის სიღრმეში გიო და პატრიოტი სხედან. რალაცაზე საუბრობენ.

მერი. ძალიან დაიახლოვა პატრონმა გიო, გვერდიდან აღარ იცი-
 ლება!

ანი. ჰო, მეც შევამჩნიე!

მერი. (ჩაფიქრდება) უცნაურია, მაინც როგორ შეცდა ასე ცალთ-
 ვალა?

ანი. მიტომაც ჩაყვინთა ორმოში! ისე, მართალი გითხრა, არც მე
 მჯეროდა გიოს მოთვინიერების, მაგისი ამბავი რომ ვიცი!

მერი. რაო, დელავდი?

ანი. არა, ჩემთვის უკვე სულერთი იყო!

მერი. (მკაცრად) არ უნდა იყოს შენთვის სულერთი. ყოველი ახა-
 ლი წევრის შემომატება ძალზე საჭიროა ჩვენთვის!

ანი. ჭუას ნუ მასნავლი, მერი! მე ხომ მივხვდი, რატომ დაინტე-
 რესდი ჩემი მღელვარებით?!

მერი. მე დედაშვილურად.

ანი. არ მაინტერესებს შენთან დედაშვილობა! საქმარისად და-
 ვუმტრიცე ჩემი ერთგულება პატრონს. ასე რომ, გამოცდები აღარ
 მჭირდება!

მერი. კარგი, დამშვიდდი! (პაუზა)

ანი. შენ ერთი ეს ამიხსნი! ნელინადია აქ ვარ და კაცმა ვერ გამი-
 ბდედა ხელის ხლება. თქვენ ხომ ამ ამბებში თავისუფლება გაქვთ!

მერი. პატრონი პირველი ლამის უფლებას ყველაზე ღირსეულს
 აძლევს.

ანი. მერე და ვინ არის ის ყველაზე ღირსეული?

მერი. ვნახოთ! ძალიან გეჩერება?

ანი. (მხრებს იჩეჩავს) არა, საჩეარო რა მაქვს? უბრალოდ, მაინტე-
 რესებს.

(გარედან ხმაური შემოიჭრება. კვნესა-კვნესით შემორბის | ბაზი-
 ერი, მას მათრახით მოსდევს გიო და გამეტებით ურტყამს).

გიო. ლორივით დაგულავ, შე მათხოვარი!

| ბაზიერი. მაპტიკე, მაპატიკე, გიო!

გიო. მაგ ენას ამოგაძრობ, ბაზიერო!

| ბაზიერი. ნამომცდა, ნამომცდა!



(მელოტი წამოხტება და ისიც ხეთქავს ბაზიერს)
გიო. დაანებე, მელოტო, თავი! ნუ ერევი ჩემს საქმეებში ეს შენიშვნა
მე მეხება! (დანას ხსნის)

პაზიერი. არ მომჟღა! (უჩოქებს) შემინდე, შემინდე!

გიო. (დანას ინახავს) დაიმახსოვრეთ შენ და შენისთანებმა!

პატრონი. (შემოდის ხმაურზე) რა ხდება, გიო!

გიო. არაფერი.

პატრონი. როგორ თუ არაფერი!

გიო. არაფერი-მეთქი!

მელოტი. ბაზიერმა გააბრაზა გიო! პატრონმა თავისი ნაბიჭვარი
რატომ დაგვასვა ყველას თავზეო?!

პატრონი. წადი აქედან! (გიოს მოხვევს მკლავს) დაწყნარდი! ზედ-
მეტად ფიცხი გახდი!

გიო. შენი დამსახურებაა!

პატრონი. სად იყავი მთელი ლამე!

გიო. ბოზებში.

პატრონი. (გაეცინება) თავი დაანებე მაიმუნობას და მისასუხე!

გიო. ქალაქში!

პატრონი. რატომ არ მეითხე?

გიო. არ ჩაეთვალე საჭიროდ!

პატრონი. რაზე წახვედი?

გიო. ისე, გავისეირნე!

მელოტი. საქმე არა გვექონდა და დიდხანს ვიბოდიალეთ ქალაქში.

მერე გადავწყვიტეთ, პოლიციის უფროსის სახლი გადაგვეწვა!

პატრონი. რა?

მელოტი. გიომ თქვა, ბარემ რახან საქმე არა გვაქვს, პოლიციის
უფროსის სახლი გადავწვათო!

პატრონი. მერე?

მელოტი. მერე გადაეწვით, დედა უუტირეთ! თვითონ პოლიციის
უფროსიც გიომ უირზე შესვა უულმა და ასე ატარა ქალაქში! გახარე-
ბული ხალხი სულ კუდში დაგვდევდა, გვლოცავდა!

პატრონი. მართალია, რასაც ეს იდიოტი ამბობს?

გიო. მართალია.

პატრონი. (გააფთრებით) როგორ გაბედე ჩემთან შეუთანხმებ-
ლად? პოლიციელები რაღას აკეთებდნენ?

გიო. მელოტს ჰყავდა შეყვენებული ორი იარაღით! ნუ დელავ, ნიღ-
ბები გვეკეთა, ვერავინ გვიცნო!

პატრონი. რომ ეცნეთ?

გიო. მერე რა, ქალაქი მაინც შენია. პოლიციის უფროსი ჩეენ უკვე
յარგა ხანია აღარ გვჭირდება!

პატრონი. საიდან იცი, გვჭირდება თუ არა?

გიო. თუ არ ვიცი, ეგეც შენი ბრალია!

პატრონი. რა არის ჩემი ბრალი?

გიო. ყველა საქმეს რომ მარიდება!

პატრონი. იმიტომ, რომ გიფრთხილდები!

გიო. არ მჭირდება მე შენი მოფრთხილება!

პატრონი. ვაი, რომ ძალიანაც გჭირდება და საერთოდ, არ იფიქრო ყველაფერი გაპატიო! ნადი, მიმინოები ჩააპურე!

გიო. გული მერევა უკვე იმ დასკლინტული დარბაზისან!

პატრონი. ძალიან ადვილად გერევა გული, ნადი! (გიო ყოყმანობს, შემოდის მთვრალი იონა).

იონა. მეც რომ ეგ მინდა.

იონა. რაო, პატრონის შეილობილო, ვერ მორიგდი მამიკოსთან? დაუჯერე, დაუჯერე, ხომ იცი, შენთვის კარგი უნდა!

გიო. დამანებე, იონა, თავი!

იონა. როგორც ატყობ, მე დიდი ხანია უკვე თავი დაგანებე! (პატ-რონის) შენ კი რა ადვილი გეგონა კაცის გაზრდა!

პატრონი. რას დაბოდიალობ აქ, იონა? ვერ ხედავ, რომ ყველას ნერვებს უშლი? ერთხელაც იქნება, მოგელავს რომელიმე ბაზიერი!

იონა. მეც რომ ეგ მინდა.

პატრონი. რა გინდა?

იონა. რომ მომელან და ნარწერა ჩამომეიდონ „იონა, რომელიც ყველას ნერვებს უშლიდა“, გადამწვარი კაცი ვიცი, რომ უნდა მოკვ-დეს, მაგრამ თავის მოკვლის თავიც რომ ალარა მაქვს?

პატრონი. მართლა ძალიან დამღალე, იონა, კისერი გიმტვრევია, რაც გინდა, ის ქენი!

იონა. რაც მინდა? დალევა მინდა!

პატრონი. მაინც არ მესმის, რას დაეძებ აქ?

იონა. (თავს დახრის) სულ ორი ადამიანი დამრჩით, ვისთანაც რა-ლაცა მაჟავშირებს, შენ და მერი!

პატრონი. კიდევ გიყვარს მერი?

იონა. რასაკვირველია!

პატრონი. არა, შენ ნამდვილად გიუი ხარ!

იონა. (სევდიანად) რატომ, იმიტომ, რომ მიყვარს? შენ, შენ განა ნორმალური ხარ? შენ ხომ არასოდეს გყვარებია!

პატრონი. შენ მიყვარდი!

იონა. ხომ კი?

პატრონი. მართლა, მართლა და ვერ ავიტანე, კახპას გამო რომ შემიძულე!

იონა. ნეტა მომეკალი მაშინ!

პატრონი. ნანობ?

იონა. ვნანობ რომელია?



(პატრონი ხელს გაარტყამს, იონა ეცემა)

იონა. (სტუმართმოყვარე კილოთი) გვერდზე მომიჯექმა, პატრიული
ნო, ვისაუბროთ!

მერი. რა იყო, რაზე იჩხუბეთ?

იონა. ვერაფრით ვერ გადავნუკიტეთ, მელოტის თავზე დაფსმის
პრობლემა

მელოტი. რაც პატრონმა დაგაკლო, მე დაგიმატებ!

იონა. ლრუტ, ლრუტ, ლრუტ!

მელოტი. აი, ასე მაბრაზებს სულ! (იონა დგება, ეასრთან მიდის და
ლვინით ავსებს ჭიქას)

იონა. (გიოს) იცი, რატომ მიყვარდი, გიო?

გიო. რატომ, იონა?

იონა. მე შენ შავტვალა მეგონე! მე დიდი ხანია ველოდი, რომ მო-
ვიდოდა ბიჭი, ვისაც ვერ მოათვინიერებდნენ, ვერ მოკლავდნენ მასში
ადამიანს!

გიო. ახლა ალარ გიყვარვარ?

იონა. ახლა? (ჩაფიქრდება, შემდეგ ლვინის შეასხამს სახეში გიოს)
გიო. ხელი არ გაანძრიო, მელოტი! (იონას) იცი, იონა, ტბისპი-
რეთში ნაღრევად დანგრეული საყდრის კედელზე ფრესკა ენახე!

იონა. (ფლეგმატურად) არ მაინტერესება!

გიო. მისმინე! თვალებბრიალა, ხარისკისერა ბიჭი იყო იმ ფრესკა-
ზე, თავზე ეკლის გვირგვინი ჰქონდა...

იონა. არ მაინტერესება!

გიო. მისმინე-მეთქი! იმ ბიჭს ყოველთვის მიბნედილს და სევდიანს
ხატავდნენ, ხოლო ფრესკაზე მებრძოლი და ძლიერი იყო, როგორც
მაშინ, ფარისევლები რომ გაყარა საყდრიდან!

იონა. არ მაინტერესება!

გიო. (უკან მიშყვება) ნუთუ, ვერაფერს ხვდები?

იონა. (მერის) როგორ ხარ, ტურფა ასულო?

მერი. დავბერდი, იონა!

იონა. (მიდის მასთან და თმაზე ეფერება) არა, მერი, შენ დღეს ისე-
თივე ლამაზი ხარ, როგორც მაშინ, ოცდახუთი წლის წინათ!

მერი. რატომ დღეს?

იონა. სწორედ დღეს, სწორედ დღეს!

ანი. (სიცილით) ხვალ ალარ იქნება, იონა?

იონა. ალარაფერი იქნება ხვალ!

ანი. ნუ გვატირებ, გთხოვთ!

იონა. შენც შავთვალა მეგონე, ანი!

ანი. სისულელების ლაპარაკს ვერ ვიტან!

იონა. მე კი შენ ვერ გიტან! რა გიყოთ მაინც ასეთი პატრონმა? რი-
თი დაგიკოდათ სული (ყვირის) ხელები მაჩვენე! ეს ნაიარევები მაინც
არ გახსოვს, მისი გულისათვის რომ დაიფატრე ვენები.

ანი. (გულგრილი ლიმილით) მერე რა, რომ მახსოვს!

შენ ცოტა სისულელე ჩაგიდენია?

იონა. თქვენი დედა ვატირე მე... ყველასი!

მელოტი. ჩემიც?

იონა. შენი არა! შენი არა, მელოტო!

მელოტი. (ნასიამოვნები) მოდი დაელიოთ!

იონა. მოიცა! (მერის) გახსოვს ზღვისპირა სახლზე რომ ვოცნებოდიოთ!

მერი. მახსოვს. (იონა უეცრად მიდის მასთან, ნელში გადაზნექს და ტუჩებში კოცნის)

მერი. რა გემართება, იონა!

(იონა ცეკვას იწყებს, რაღაც უცნაურ, აღტეინებულ ცეკვას. ცველა გაოგნებული უცნაურებს, იონა ასევე უეცრად შეჩერდება და დიდხანს უცნაურებს ყველას)

ანი. რა იყო იონა, გვიმახსოვრება?

იონა. ჰო, ალბათ!

ანი. რა დაგემართა?

მერი. არ ვიცი!

ანი. (გიოს) როდემდე ვიქნები ასე?

გიო. რა გინდა?

ანი. სთხოვე პატრონს მოგცეს პირველი ლამის უფლება, თორემ შენი შეიძით კაცი ვერ გამარებია.

გიო. შენთვის ხომ სულერთია?

ანი. არა, რატომ? შენთან მაინც უფრო მიჩვეული ვარ. აბა, რომელიმე ბინძურ ბაზიერს გინდა დავუწევე?

გიო. ვინა ხარ შენ, იქნებ არც გიცნობდი?

ანი. არ მიცნობდი?

გიო. კარგი, მერე ვილაპარაკოთ!

იონა. მელოტო, საქმე მაქვს შენთან!

მელოტი. რა საქმე გაქვს, იონა? (იონას გვერდით გაჰყავს, მერიმ რომ არ გაიგონოს)

იონა. თავი მინდა ჩამოვიხჩიო!

მელოტი. რატომ?

იონა. ასე მომინდა უცებ!

მელოტი. მერე?

იონა. მერე ის, რომ ყულფის გაკეთება არ ვიცი.

მელოტი. ყულფის გაკეთებას რა უნდა.

იონა. გამიკეთე.

მელოტი. თოკი გაქვს?

იონა. მაქვს! (ანვდის ჩუმად თოკს) მაინცდამაინც ნუ გამოაჩინ!

მელოტი. კი, მაგრამ თავს თუ ჩამოიხჩიობ, ხომ მოკვდები?

იონა. რასაკვირველია.

მელოტი. არ გაგიკეთებ!
 იონა. მე შენ გთხოვ!
 მელოტი. (გაკეირვებული) რას შერები?
 იონა. მე შენ ძალიან გთხოვ, გამიკეთე ყულფი!
 მელოტი. იცი, ჩემთვის არავის არასოდეს არაფერი უთხოვია.
 მხოლოდ მიბრძანებენ ხოლმე.
 იონა. მე კი გთხოვ, გეხვეწები!
 მელოტი. შენ პირველი ხარ, ვინც არ მიბრძანა და შემუხვენა! კარ-
 გი, გაგიკეთებ!
 (მელოტი და იონა გადიან)
 მერი. დასალევად ნავიდნენ!
 ანი. ალბათ!
 მერი. მე უცნაურად მიყურებდა!
 ანი. უყვარხარ!
 მერი. რაო?
 ანი. უყვარხარ-მეთქი!
 მერი. ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ სიყვარული არ
 არსებობს, არ არსებობს! აბა, გაიმეორე!
 ანი. არ არსებობს!
 მერი. რა?
 ანი. სიყვარული.
 მერი. აბა, ახლა ერთად ვთქვათ!
 ანი. მერი. სიყვარული არ არსებობს!
 (შემოდის მელოტი)
 მელოტი. საწყალი იონა, არ უნდა დამეჯერებინა მისთვის, რა
 კარგად მღეროდა! საწყალი!
 ანი. რა მოხდა?
 მელოტი. არ უნდა დავთანხმებოდი იონას!
 მერი. რა მოხდა-მეთქი, მელოტო?
 მელოტი. იონა მეცოდება!
 ანი. რატომ? რა სჭირს შენი შესაცოდი?
 მელოტი. განა ცოდო არ არის? ქანაობს საწყალი ქარში.
 მერი. მოიცა, კაცი, აგვიხსენი, ვინ ქანაობს, სად ქანაობს?
 მელოტი. ხეზე ქანაობს იონა.
 ანი. რატომ?
 მელოტი. თქვენ გადამრევთ მე! თავი ჩამოიხრჩო და ქანაობს ახ-
 ლა საწყლად-მეთქი, რაა ამაში გაუგებარი?
 პატრონი. (კვლავ შემოდის გიოსთან ერთად) კიდევ მოხდა რამე?
 ანი. იონამ თავი ჩამოიხრჩო!
 გიო. რაო?
 მერი. თავი ჩამოიხრჩო იონამ!

პატრონი. ეჭ., იონა, იონა...

მელოდი. მე ვკითხე, სიკედლის წინ რამე ხომ არ გინდა მიუწოდოს?

გიო. (სწრაფად) მერე, გითხრა რამე?

მელოდი. კი.

გიო. რა გითხრა?

მელოდი. ღრუტი, ღრუტი, ღრუტი; ისევ გამაბრაზა სანყალმა!
ღრუტი, ღრუტი, ღრუტი, მითხრა!

სურათი მექვსე

ბუნგალო. გახვითქული მელოდი ბუხარს შეშას უკეთებს. ანი და მერი გიოს ემსახურებიან.

გიო გრძელი მაგიდის თაეში ზის და უგემურად ილურება. უა-მი-უამ რაღაცაზე ჩაფიქრდება ხოლმე და დანით კანრაცს მაგი-დას. ანის ლეიინით საესე დოქტორმაქეს, მაგრამ გიო ანიშნებს, არ მინდაო და ისიც მორჩილად შეტრიალდება. მერის ყვავი-ლების კონა მოაქვს და ცალ-ცალკე შემოუწყობს გიოს თევზს.

გიო. (კუშტად) რა უბედურებაა ეს?

მერი. (დამფრთხალი) მინდვრის ყვავილებია, თეითონ დავკრიცე!

გიო. მოაშორე აქედან!

| ბაზიერი. (მონინებით ეკითხება გიოს) რას მიბრძანებ, გიო?

გიო. (გაკვირვებით) რა უნდა გიბრძანო, ხომ არ შეიშალეთ დღეს სუჟექტა?

| ბაზიერი. ნება მომეცი, ერთი საიდუმლო გაგანდო!

გიო. ჩემი მემკვიდრედ შერაცხევის საიდუმლო?

| ბაზიერი. (ნირნამხდარი) პატრონმა მე დამავალა დღევანდელი დღესასწაულის მომზადება!

გიო. აბა, შენ იცი!

| ბაზიერი. მოხარული ვარ, ასეთი ლირსეული მემკვიდრე რომ ეყოლება პატრონს! იმედია, არ დამივინწყებ, გიო!

გიო. მელოდის დაუძახე!

(პირველი ბაზიერი მელოდის უხმობს)

მელოდი. (ტანსაცმლის ფერთხვით მიდის გიოსთან) რას მიბრძანებ, გიო?

გიო. დაჯექი და ჩემთან ერთად ივახშმე!

მელოდი. გმადლობთ (ჩამოჯდება)

გიო. ჭამე! (მელოდი ილურება) რას გელაპარაკებოდა იონა თავის ჩამოხრიობის წინ?

მელოდი. (პირვამოტენილი) ყულფი გამიკეთეო!

გიო. კიდევ?

მელოტი. (ჩატუიქრდა) ძალიან ვთხოვო!

გიო. სხვა არაფერი ვითხორა?

მელოტი. სხვა არაფერი.

გიო. კარგად გაიხსენე!

მელოტი. კიდევ ის მითხრა... ღრუტ-ღრუტო!

გიო. გადი რა, მელოტო, სანამ რამე არ გდოუზე თავში!

(მელოტი ბუხარს უბრუნდება. გიო ცოტა ხანს უძრავად ზის და მა-
გიდის ზედაპირს ჩაშტერებია, შემდეგ გამოერკვევა და თუთუნის ქი-
სას დაიბერტყავს ხელზე)

ანი. (მაგიდასთან შეჩერდება) მომეცი, გაგიხვევ!

გიო. დაჯექი, ანი!

ანი. (ჩამოჯდება) გახსოვს, ჩემი გულისოფის მეთევზეებთან ჩხუ-
ბი რომ მოგივიდა და ხელი მოგტყდა, მაშინ ეისწავლე, შენ გიჭირდა
ცალი ხელით გახვევა!

გიო. (ჩაახველებს) მახსოვს!

ანი. დღეს შენ მემკვიდრე ხდები და ჩვენი მომავალი პატრონი!

გიო. ეკიც.

ანი. პატრონმა ჩემთან პირველი ღამის უფლება შენ მოგცა!

გიო. ეგეც ეკიც.

ანი. შენთვის მინახავდა თურმე ამდენ ხანს!

გიო. (პაუზის შემდეგ) თმები შეგიჭრია, ანი!

ანი. ჲო, ცხელა! თუ არ მოგწონს, ისევ გავიზრდი!

გიო. არა, ასეც კარგია! (მთელ მათ საუბარს თან სდევს მათი სიყ-
ვარულის მუსიკალური თემა)

ანი. (ანვდის წეკოს) სწრაფად მეზრდება!

გიო. (გააბოლებს) გმადლობთ!

ანი. მომისმინე, ჩვენ მაინც ბევრი რამ გვაკავშირდება!

გიო. (დაძაბულად) რად მეუბნები მაგას!

ანი. იმედია, მე გამხდი მთავარ ბაზიერ ქალად. მერი დაბერდა და
გამოშტერდა! შენი მხარდაჭერა მჭირდება! გიო, მერი ძალიან მავინ-
როვებს!

გიო. (პაუზის შემდეგ) კარგი, მე ვიფიქრებ ამაზე, სხვათა შორის,
სად არის შენი შინდისუერი კაბა? მახსოვს, ერთ დოლას შენმა სიცილმა
გამალვიძა, თვალი გავახილე და შენ დაგინახე იმ შინდისუერ კაბში, ყუ-
რებზე ბლის კუნწულები გეკეთა საყურეებად... ძალიან კარგი იყავი!

ანი. ახლა არ ვარ კარგი?

გიო. შენ ახლა ძალიან ავად ხარ, ანი, მაგრამ მე მჯერა, მალე გა-
გივლის ეგ დაწყევლილი...

ანი. (განცვეიფრებით) სულაც არა, მშვენიერად უგრძნობ თავს. რა-
ტომ მითხარი, ავად ხარო!

გიო. ალბათ, მომეჩვენა!

ანი. შენს ოთახში დავაგო ლოგინი?

გიო. ამაზე მერე ვიღლაპარაკოთ!

(ანი გადის, შემორბის მერი)

მერი. ყველაფერი მზად არის, გიო! ახლავე გაგპარსაც და გაგალა-
ჩაზებ! ტანისამოსი საკუთარი ხელით გაგიუთოვე, არავის ვანდე!

მობრძანდი, ზეიმი უკვე იწყება!

სურათი მეშვიდე

ბუნგალო საესეა ბაზიერებით. პატრონი შემაღლებულზე შემ-
დგარა, უკან მერი, მელოტი, ანი და პირველი ბაზიერი დგანან.

ბაზიერთა რაზმი სულგანაბული უსმენს პირველ ბაზიერს

| ბაზიერი. ბაზიერნო, ამაყო ტომო, ვინ გაგნმინდათ, ვინ შეგილო-
ცათ პირველმა?! ვინ მოვიდა, ვინ აგიხვიათ თვალები კანაფით, ვინ
გაშიმშილათ და შიმშილის შემდეგ ვინ დაგაპურათ უმი ხორცითა და
შავი ღვინით?! ვინ ჩაგრუჩულებდათ უზენაეს აზრებს, ვინ გაგნვრთ-
ნათ და გიჩვენათ ერთადერთი სნორი გზა?! ვინ აგიხილათ თვალები
ცხოვრების მეაცრ, უანგიან ფერებზე, ვინ შთაგინერგათ არსებობის
ნარუშელელი ყინი, ვინ გაეხადათ მონადირენი?! და რომელი ზეკაცის
დაბადების დღეს ვზეიმობთ გაზაფხულის ამ საღამოს?!

ბაზიერთა რაზმი. პატრონის!!! პატრონის!

(პატრონი ხელს მაღლა სწევს)

პატრონი. ბაზიერნო! ამას დიდი მადლიერების გრძნობით ვისმენ.

ჩემი შეგნებული ცხოვრება, მთელი ჩემი ენერგია და სულისკვე-
თება მე მოვახმარე გზას აცდენილი ყმანვილებისა და მიმინების მო-
შინაურება-მოთვინიერების საქმეს. თვალს რომ გადავავლებ გაფრე-
ნილი ნლების ქარიშხლიან დღეებს, კანონიერი სიამაყე მეუფლება,
არც ერთი ნუთით, არც ერთი ნამით არ შევყოყმანებულვარ არჩეული
გზის სისწორეში.

დადგა დრო დიდი ცვლილებებისა, კაცობრიობა უნდა გათავი-
სუფლდეს მოგონილი და უაზრო ტეირთად ქცეული გრძნობებისაგან.
ამიტომაც გამოვლიტეთ იმ მატყუარა ლიბრგადაფარებული ხილვე-
ბის სამყაროს...

თქვენ მე ზეკაცს მინოდებთ! ეს არ არის სნორი. მე ერთი რიგითი
ჯარისეაცი ვარ ჩვენი დიადი საქმისა.

(საპროტესტო ღრიანცელი)

ბაზიერნო, გულწრფელად გეტყვით, ცხოვრებამ უხვად დამაჯილ-
დოვა, არაფერი მაქეს სანუნუნო, მხოლოდ ერთი რამ მიკოდავს
გულს; ნლები გარბიან. ორმოცდამეათე შემოდგომას ვეზიარე, ხოლო
მემკვიდრე შვილი, ძე არა მყავს.

მე ვერ დავტოვებ ჩვენს საქმეს ობლად, ყველანი სიკვდილის შვი-

ლები ვართ და ერთადერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. დამასაფლავებ
ტრიალ მინდოოში. არ არის საჭირო ქანდაკებები, ერთი ლუდი და ფლა
დეთ საფლავს და თან ჩამაყოლეთ ჩემი ერთგული, ოქროს თევზალებას ეს
მიმინო მენამულა!

მერი. (დაუჩოქებს პატრონს) უბრძანე, თუ ცოცხალი ვიქენ, მეც
მომელან და საფლავში ჩამატნონ შენთან და მენამულასთან ერთად.

პაზიერი. (წინ ნამოვარდება) მეც, მეც!

პატრონი. (ჩაფიქრდება) კარგი, მერიც ჩამატანეთ!

(მერი ხელზე კოცნის პატრონს, შეშინებული ბაზიერი სასწრაფოდ
მიიმაღება)

პატრონი. (ლიმილით) ახლა ყველა თუ დავიხოცეთ, ვინდა გააგრ-
ძელებს ჩემს საქმეს? გვეყოფა სევდა, სიკედილი შორსაა. დღეს ჩემი
დაბადების დღეა, ვიმხიარულოთ. გაიღიმეთ.

(ბაზიერები უაზროდ იღომებიან)

დღეს მინდა გააგანდოთ ის დიდი საიდუმლო, მე და მერიმ ნლების
განმავლობაში რომ ვინახეთ და თქვენც კი არ გაგიმხილეთ. ეს იყო ჩე-
მი ყველაზე მნიშვნელოვანი ცდა. ბოლო თქვენსმეტი წლის განმავლო-
ბაში ჩემს რაზმში სამოცამდე ბავშვი დაიბადა. არც ერთმა თქვენ-
განმა არ იცოდა რომელი რომლის შეიღო იყო. ბავშვები ქრებოდნენ.
მერისა და ექვს ყრუ-მუნჯ ბაზიერ ქალს სადღაც მიჰყავდათ ისინი და
საიდუმლოდ მაღავდნენ. ბავშვები ცალ-ცალკე იზრდებოდნენ. ჩემი
უკანასკნელი ცდაც ის იყო, რომ აქ გაჩინილ ბავშვებს აღარ დასჭირ-
ებოდათ გამოლოცვის მძიმე დღეები და მიმინოს მოთვინიერებისებუ-
რი ხერხები, მათ ჩემი მოსაზრებით, სისხლით უნდა გადაცემოდათ
მშობლებისაგან ის თვისებები, რაც მე ჩაგინერგეთ, ბაზიერნო!

ისინი მოგვევლინებიან პირველ სრულყოფილ თაობად, რომელიც
დაუდებს სათავეს თავისუფალი კაცობრიობის ბედნიერ მომავალს.
დღეს ამ სამოცი ბავშვიდან ათი თქვენსმეტი წლის ხდება. ბოლო ნელი-
ნადს მათზე მზრუნველობა და აღზრდა დაევალა თქვენს მეგობარს
გიოს და იგი ჩემგან ამ საიდუმლოს ეზიარა!

დღეს ათი გოგო-ბიჭი მინდორზე გავა, ისინი პირველად შეხვდები-
ან ერთმანეთს, ნდობით აღჭურვილი ბაზიერები თვალყურს ადევნე-
ბენ მათ და ბოლოს უნდა მოგაბენოთ მთავარი სათქმელი, დღეს არ-
ჩეული უნდა იყოს ჩემი მემკვიდრე, ჩემი შვილობილი!

მე ჩემს ძედ და მემკვიდრედ ვრაცხ ჩემს რიგებში ყველაზე უფრო
გვიან შემოსულ წევრს გიოს!

(და უცებ თითქოს რაღაცამ იფეთქაო, გაისმის სულის ამაფორია-
ქებელი ბაგუნი, მგრგვინავი მუსიკის ჰანგებს თან ერთვის ზარების
მძლავრი რეკვის ხმა.

შემაღლებაზე გამოჩიდება გიო. ბაზიერები მნერივდებიან და ორი
მხრიდან მიემართებიან მისკენ. გიო ოდნავ ზიზღიანი გამომეტყვე-

ლებით, ორივე ხელს უნდღის საამპოროდ მოწინებისაგან ნელში მოწინებისაგან რილ, რიგში ჩამდგარ ქალებს და კაცებს.

ბაზიერები იწყებენ რიტუალურ ცეკვას, სადღესასწაულოდ მორთულ გიოს შეაში ჩაიყენებენ და ალტენინებული შეძახილებით, დანაგაშიშელებულები როკავენ მის გარშემო. გიოც იშიშვლებს სატევარს და მათთან ერთად იწყებს ცეკვას ნრეში. პატრონი ბედნიერი ღიმილით შესცეკრის ამ სურათს. ბაზიერი უელური შეძახილებით ტოკავენ ადგილზე)

პატრონი. გამოაგორეთ ლეინის კასრები. გაშალეთ სუფრა, დღეს ჩაჟურების დღეა. იმხიარულეთ.

(ბაზიერი ქალები და კაცები სასწრაფოდ შლიან სუფრას. მოაგორებენ მუხის კასრებს. მხიარული შეძახილებით დარბიან წინ და უკან. ისმის ლანძლვა-გინება, სიცილი. გრძელ სუფრას შემოუხსდებიან. იწყება ღრეობა).

ანი. (მერის) ჩემთან პირველი ლამის უფლება გიოს აქვა!

მერი. ვიცი, გილოცა!

! ბაზიერი. (მელოტს) მელოტო, მოდი, შერიგებისა დავლიოთ!

მელოტი. დავლიოთ, ოლონდ, გიო აღარ გააბრაზო!

(ანის პირველი ბაზიერი მიუჯდება გვერდით და რაღაცაზე უწყებს ჩუმად საუბარს. ანი გულგრილად უსმენს, ქალალდის ჩიტებს აერთებს და მაღლა ისერის. პირველი ბაზიერი გაღიზიანებით შეჰვერებს მას).

! ბაზიერი. როგორ მოგეწონა ჩემი დღევანდელი გამოსვლა?

ანი. კარგი იყო!

! ბაზიერი. (მოშლილი) დაანებე მაგ ჩიტებს თავი და მე მისმინე!

(ყურში ჩასჩურჩულებს რაღაცას)

ანი. (მოუტრიალდება) განა არ იცი, ბაზიერო, გიოს რომ მისცა პირველი ლამის უფლება პატრონმა?! ნერას აუტანიხარ, უბედურო!

! ბაზიერი. მაპატიე, ნუ გამამხელ!

ანი. (იცინის) ამ ერთხელ მიპატიებია!

(პირველი ბაზიერი შვებით ამოისუნთქავს და იქაურობას გაეც-ლება)

პატრონი. ახლა ჩვენს უფლისწულს მოეუსმინოთ!

(გიო ფეხზე დგება, მავრამ ამ დროს ყველას ყურადღებას დარბაზში შემოვარდნილი ყრუ-მუნჯი ბაზიერი ქალი მიიპყრობს. ყრუ-მუნჯი მერის მიეჭრება და თითების მოძრაობით უხსნის რაღაცას).

მერი. (თვითონაც თითებით ეკითხება ქალს, შემდეგ პატრონს მოუტრიალდება) უცნაურ ამბებს ჰყვება ეს ყრუ-მუნჯი, პატრონო... ის ათი ბავშვი, მინდორზე რომ გაიყვანეს...

პატრონი. თქვი, ნუ დამილი სული!

მერი. მე არაფერი ვიცი, ბოლო ნელი გიო ზრდიდა მათ!

ଗିର୍ମ. ମେ ହୈତ୍ଯପୁଣି, ପାତ୍ରରୀନ୍ଦି! ଶେବ ମିୟର ମନବାମଲ୍ଲୁଲି ଲୋକପ୍ରକଳ୍ପରୀନ୍ଦି
ନେଣିନାଫଶି ଅଧିମାନେବାଦ ବାଜ୍ପୁରୀ. ପୁନ୍ଦରୀଲାମ ବାଶ୍ଵେଦରୀବାଦି ତ୍ୟାଶି, ବା-
ମେଗନ୍ଦରୀବାଦି ଏବଂ ବାପୁବାରୀବାଦି ଏରିତମାନେତି!

ପାତ୍ରରୀନ୍ଦି. (ଥାରଧାପ୍ରେମିଲ୍ଲି) ଗିର୍ମ!

ଗିର୍ମ. ଏରିତି ସିଦ୍ଧନ୍ତରେ ହାଜ୍ଞେଇରିବାଦ, ପାତ୍ରରୀନ୍ଦି! ମନ୍ଦିରଲ୍ଲୁଲି ଦାଖିଏରିବି
ଏହିରଫିଲି ବନ୍ଦ ଏବଂ ଗିପାତ୍ମନ୍ଦିବା ତଥାଲି? ବିଷ ମାରିବାଲି ପିପି, ଶାସତବାଲା
ମିମିନିବି କଣାପୁଣି! ଶେବୁ ଫୁରିଥି ଉନ୍ଦରା ମନ୍ଦିରକାଳି!

I ଦାଖିଏରି. (ଫାନାବ ପଦିରୀବାଦ) ଏହି ବାଲାବା ଗାବାନ!

ଗିର୍ମ. ଗାବାନ ଏବିବି, ଦାଖିଏରି, ଗାବାନ!

ପାତ୍ରରୀନ୍ଦି. (ମ୍ରଜଳାପ୍ରେମିଲ୍ଲି) ଶେବିଲି ଏବଂ ଦାରଦାପ୍ରିତ ମିଦିଲି ମିଲିଏବି!

ଗିର୍ମ. ଦାଖିଏରିନ୍ଦି! ତ୍ୟାଶି, ବିନ୍ଦ ଫାଇନ୍ଦିନ୍ଦୁତ ଏବଂ ଜ୍ଵାକ୍ଷ୍ଵେଶ ଗାଇତ୍ରୀଲ୍ଲେଟ
ପ୍ରେଲାଶେ ନମିନଦା, ସିପ୍ପବାର୍ତ୍ତିଲ୍ଲୋ, ମେଗନ୍ଦରୀନ୍ଦି, ବିନ୍ଦ ପ୍ରେରାନ୍ଦିରୀବା,
ବିନ୍ଦ ପ୍ରେରାନ୍ଦିରୀନ୍ଦିରୀନ୍ଦି ସାକ୍ଷାତାରି ଶୁଲ୍ଲିଲି ମିନ୍ଦରୀରୀବି, ମଦ୍ରାଶବାରିତ ଏବଂ ମେପ୍ରିନ୍ଦିରୀବି!
ଏବଂ ଗାପାତ୍ରିକୀବି ସାପୁବାର୍ତ୍ତିଲ୍ଲୋ ଗାଗନବାଦ ଶୁଲ୍ଲିଲି ଫାଲାବିରୀରୀବାଦାବା, ଏବଂ ଗାପାତ୍ରି-
କୀବି ପିନ୍ଦାବ ତଥାତମିକ୍ଷେଲ୍ଲୋବାଦାବା ଏବଂ ଏହି ତ୍ୟାଶିର ମନ୍ଦିରବାଦାବା ପାତ୍ର-
କୀବି ମାବା, ପିଲାବ ତଥାତ ତ୍ୟାଶି ପାତ୍ରରୀନ୍ଦିବା ଉନ୍ଦରିଦିବି! ଏବଂ ଗାପାତ୍ରିକୀବି,
ରାତା ପ୍ରେରିବି ମେମାବ ଏବଂ ମେ ପିନ୍ଦାବ ଶୁରିବି! ଶାସତବାଲା ଏବଂ ତଥାନିରୀଦିବା, ଦାଖିଏରିନ୍ଦି!

ତୁ ଗାଇଗନ୍ତେ, ପାତ୍ରରୀନ୍ଦି, ଶେବରି ଆଫ୍ରେଟକୀବିଲି ବେମା? ଏବଂ ଶେବି ପାରାଲିବ
ସାନ୍ଧୁବାଦ ଆଫ୍ରେଟକୀବିଦା! ଶୁନି ତୁ ଗପେମି କ୍ଵାମଲିଲି? ଏବଂ ଶେବି ମିମିନିବେବି
ଦାରଦାଶି ନିର୍ବିଶି! ପୁରୀରିଲି ତୁ ଗେବିଲି ଦେବେରି ମର୍ଦାମୁଲାବାଦି? ପ୍ରେଲାମି
ମିମିନିବି ତଥୀକୀ ଗାଫାକ୍ରିଲିଲାବା. ଗେବିଲି ମାତି ଫୁରିତକୀବିଲି ଶେବିଲି? ଏବଂ ଗପି-
ବିରିବ, ରା ଶୁରୁବାଦ ଦାନ୍ଦେଲିଲି ଏବଂ ଗାମିତେନିବିଲାବା. ଶେବି ମିମିନିବେବି ଜ୍ଵାର-
ମା ଦାତ୍ତାରା ମିଥୀ! ପିନ୍ଦବ ମର୍ଦାମୁଲାବା ଫୁରିତକୀବିଲି ଶିମଦ୍ରାରାବା? ଏବଂ ଶିମଦ୍ରାରାବା-
ବିନ୍ଦ ତୀରିବା, ପାତ୍ରରୀବା, ପାତ୍ରରୀନ୍ଦି! ଫଲେ ମେ ମର୍ଦାମୁଲାବା, ମାଗରାମ ଗଲାଗାଲି
ଶେବିଶି ରାଜ୍ୟବାଦି, ଶେବିଶି, ଶୁଦ୍ଧଦେଶବାଦି ତୁରିବାନ୍ଦି! ହେମିମା ଗାମିତେନିବିଲିମା ଦାଵଶ-
ବେବିମା ଗାବାଜ୍ଞାତିଲି ଏବଂ, ଏବଂ ଦାବଶ୍ଵେବିମା, ଶେବ ବନ୍ଦ ମାନଦି ଏବଂ ହାମିଦରୀ!

**ଦାଖିଏରିବି, ଦାଖିଏରିବି, ମେ ତ୍ୟାଶି ମଦ୍ରାଶବାରିତ ଏବଂ ମେ-
ପ୍ରଦେବିତ!**

**ପାତ୍ରରୀନ୍ଦି. (ନିନ ଗାମିତେନିବିଦା) ଏବଂ ମିମିନିବିଲାତ ଶେବିଲି! ଏବଂ ମନ୍ଦିରାତ!
ଏବଂ ମନ୍ଦିରାତ ହେମି ଶେବିଲି!**

(ଦାଖିଏରିବି ଦାନ୍ଦେବି ପିଲିଶେବେବି)

I ଦାଖିଏରି. ଏକେଦାନ ମରାମରିରେ ଏହି ଦେବେରି ମଦିରି!

ପାତ୍ରରୀନ୍ଦି. (ଦାନ୍ଦେବାଶାବିତ) ହେମି ଶେବିଲି! ହେମି ଶେବିଲି!

(ପ୍ରାଣୀନିଶ୍ଵାସକ୍ଷେତ୍ରରୀନ୍ଦି ପାତ୍ରରୀନ୍ଦିବା ମର୍ଦାମୁଲାବିଲି)

ଗିର୍ମ. ଏବଂ, ଏବଂ, ମିମିନି ହେମିତାବ!

(ଶେବି ନିନିବିଲି ମିଲିଶ୍ଵାସ, ମାଗରାମ ଏଫଗିଲିଦାନ ମର୍ଦାମୁଲାବିଲି ଦାଖିଏରି
ଦାନ୍ଦାବ ଶୁରୁତ୍ୟାମି ଫୁରିବି. ଦାଖିଏରି ଗାଗନ-ବୁଝେବି ଏବଂ ମର୍ଦାମୁଲାବିଲି ଦାଖିଏରି
ମାରିତେବିଦାନ ଗାଗନଶ୍ଵାସ ଏବଂ ସାତିତାମିନ ଶୁରୁତ୍ୟାମିନ ଦାନ୍ଦାବ)
ଏବଂ ଗପିଲିଶି ଜ୍ଵାନାବିଦା, ମାଗରାମ ଏବଂ ଏପ୍ରେମିବା)

ଗିର୍ମ. ମେ ତ୍ୟାଶି ମିମିନିବିଲାତ ଏବଂ ମେପ୍ରଦେବିତ!

(ბოლოს ანი რჩება მარტო, ის ნელი ნაბიჯით მიდის გიოსკენ და უკანასენელ, სასიკედილო დარტყმას აყენებს ბიჭს) ანი!

(შემდეგ თვალები ეხუჭება, საყვარელი გოგონას მხრებზე ჩამოტკიცება ცურდება და ძირს ეცემა. ანი მოტრიალდება და რაღაც სომნამბულურ ცეკვას ინყებს. ბაზიერები უკან-უკან იხევენ და ბოლოს მხოლოდ გიოს გვამთან ჩაჩოქილი პატრონი და მერი, იქვე მდგარი მელოტი და მოცეკვავე ანი რჩებიან)

პატრონი. გიო, გიო!

გიო. (თვალს ახელს) ანი.. ანი სად არის!

მელოტი. ანი ცეკვავს!

გიო. ცეკვავს? რა ალერსიანი ყოფილა.

მერი. ვინ, გიო?

გიო. რა ალერსიანი ყოფილა სიკედილი!

(თავი გადაუვარდება)

პატრონი. (ბლაეის) გიო!

მელოტი. (თვალს უხუჭავს გიოს) დაანებე თავი, გიო მოკედა.

პატრონი. (ზედ დამხობა, შემდეგ თავს მალლა სწევს) მარტო მე და შენ დავრჩით, მერი, ალარც იონაა, ალარც გიო! ეჺ, დროზე უნდა მომეკლა გიო! დროზე უნდა მომეკლა, სანამ შევიყვარებდი!

მერი. სანამ შეიყვარებდი?

პატრონი. ჟო, სანამ შევიყვარებდი!

მერი. (ჩაფიქრებით) შენ მთელი ცხოვრება მატყუებდი!

პატრონი. შავთვალა გოგო-ბიჭები დარბიან მინდორზე. თითოეულში გიოს სულის ნანილია, მერი! ჩვენ დავმარცხდით!

მერი. შენ მთელი ცხოვრება მატყუებდი!

პატრონი. (დიდხანს უყურებს მერის, შემდეგ დანას უნდის). გამომართეო და აქვე გამათავე!

(მერი დანას ილებს და შემართავს)

მელოტი. (რბილად ჩამოართმევს დანას) რაღა აზრი აქვს, ნავი-დეთ, მერი!

(ფაქიზად ნამოაყენებს და მიჰყავს)

პატრონი. მე შენ მინდორზე ნაგიყვან, შვილო, შენ შავთვალა გო-გო-ბიჭებთან!

(ხელში აიტაცებს გიოს და ნელი ნაბიჯით მიდის)

ანი. (ნამით ნყვეტს ცეკვას, პატრონთან მიდის და თავგადაგდებულ გიოს თმაზე გადაუსეამს ხელს) რა უხეში ქოჩორი გაქვს, გიო!

(პატრონი გადის. ანი ცეკვას განაგრძობს, მაგრამ უცრაად საიდანდაც შემოიჭრება მიმინოების ფრთების შხულის ხმა, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდება და თანდათან ფარავს ყველას და ყველაფერს!)

დასასრული

შენერცხვის სავალი გზები

დრამა ორ მოქმედებად

1. მარიამი — 50 წლის.
2. კახა — 20 წლის..
3. ირინე — 18 წლის.
4. თენგიზი — 55 წლის.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

სიბნელეში ნყნარად შემოდის კლავესინის მელოდია. ბინდში თანდათან გამოიკვეთება ოთახის კონტურები... შემდეგ ტახტი, მაგიდა, სკამები, ნიღნებით სავსე კარადა და გრძელი, ოვალური ფორმის ფანჯარა.

მელოდია ნყდება და ოთახი ქუჩიდან შემოჭრილი ხმაურით იქ-სება. შემოდიონ მარიამი და კახა. მარიამი მელავზე ექაჩება ბიჭს და სკამზე სეამს.

მარიამი — (აქმინინდული) მგონი... მგონი დაჭრილი ხართ!

კახა — არაუერია, გამკანრა მხოლოდ!

მარიამი — მაჩვენეთ, მელავი!

(გახდის ტყავის ქურტაქს, კახას მარცხენა ხელი სისხლში აქვს მოთხოვილი).

მარიამი — (სახეზე აიფარებს ხელს) ვაიმე!

(გარბის ოთახიდან. კახა დგება და ფანჯარასთან მიდის, შემდეგ არცუ დიდი ინტერესით შეათვალიერებს საკუთარ ქრილობას. მარიამს ბინტი, პირსახოცი და ნყლიანი ტაშტი შემოაქვს).

მარიამი — დაჯექით!

კახა — (კურტაქს ნაატანს ხელს) ნუ ნუხდებით, ქალბატონო, მენავალ!

მარიამი — (ძალით სვამს სკამზე) გარეთ მაინც ვერ გახვალთ, და-გიჭერენ!

(ძალით სვამს ბიჭს სკამზე. მელავს ჩამობანს და შეხვევას იწყებს,

კახა რაღაც თავისას ფიქრობს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ
პროცედურას, ერთი-ორჯერ შეიჭმულნება მხოლოდ ტეკილისაგან! გრავა

მარიამი — (აფორიკაქებული) არც კი ვიცი... იქნებ იოდის საჭიროება
რო... ახლავე სისხლს შეგიჩერებთ და სასწრაფოს გამოვუძახებ!

კახა — (სასწრაფოს ხსენებაზე გამოერკევება და ფეხზე ნამოხტე-
ბა) არავითარი სასწრაფო, ქალბატონო, ესეც საემარისია!

მარიამი — (ოდნავ დაბნეული მისი რეაქციით) კი, მაგრამ რა მოხ-
დება, რომ გამოვიძახო!

კახა — (რბილად) არ არის საჭირო!

მარიამი — (თანდათან ხვდება) თქვენ ფიქრობთ, რომ მილიციას
შეატყობინებენ?

კახა — მიმიხვდით!

მარიამი — (კვლავ დასვამს სკამზე) ხომ არ გატეინეთ?

კახა — არა!

მარიამი — (მისუსტებული ხმით) რამხელა ჭრილობაა?

კახა — ჰო, ღრმად შესულა!

(მარიამი უეცრად შებარბატდება და ტახტზე ეშვება).

კახა — რა გემართებათ, ქალბატონო?

მარიამი — (ძლიერ პასუხობს) არ ვიცი, ალბათ, მალე გამივლის!

კახა — (დგება) ნამლებს სად ინახავთ?

მარიამი — სამზარეულოში... თაროზე... ვალოკორდინი!

კახა — რამდენი წვეთი?

მარიამი — ოცი.

(კახა გადის, ჭიქით ხელში ბრუნდება და თვალდახუჭულ ქალს ნა-
მალს ასმევს).

მარიამი — გმადლობთ!

კახა — ახლავე უკეთ გახდებით!

მარიამი — (სუსტი ღიმილით) რა სწრაფად შეიცვალა როლები?

კახა — (პაუზის შემდეგ) უკაცრავად, მაგრამ თქვენ ყოველთვის
ასე იქცევით?

მარიამი — როგორ?

კახა — აი, შეაჩებში რომ შემოვარდით გასაშველებლად?

მარიამი — მესმის, ხელი შეგიშალეთ, მაგრამ ის ბიჭი ისე ბრმად
იქნევდა დანას... თქვენ რომ არ ამფარებოდით, დანა მე მომხვდებო-
და! ასე რომ, დახმარების ნაცვლად...

კახა — (ფანჯარასთან მიდის) შეიძლება მოეწიო?

მარიამი — აი, ის სურა გამოიყენეთ საფერფლედ!

(პაუზის შემდეგ)

ისე რა ვაუკაცობაა, ისინი ორნი იყვნენ, თქვენ ერთი, რას გერ-
ჩოდნენ?

კახა — (მხრებს იჩეჩავს) აბა, რა ვიცი... ალბათ ვიღაცაში შევეშალე!



მარიამი — (დაეჭვებით) არც ერთს არ იცნობდით?

კახა — (ქალის გამჭრიახობით ოდნავ გაღიზიანებული) არა კარისული
მარიამი — ბოდიში!

კახა — აი, ფერიც დაგიბრუნდათ!

მარიამი — საერთოდ, არა ვარ ასეთი გულსუსტი... სახელიც ვერ
გეითხეთ ამ ფორიაქში!

კახა — კახა!

მარიამი — მე მარიამი ვარ.

კახა — გმადლობთ, ქალბატონო მარიამ, მაგრამ წულარასოდეს
ჩერევით ჩხუბში, ამტკრიონ კაცებმა ერთმანეთს თავები, თქვენ რა
გენალვლებათ?

მარიამი — (დაბნეულად) აბა, ასე როგორ შეიძლება?

კახა — (კვლავ გაღიზიანებით) შეიძლება, შეიძლება!

მარიამი — თქვენ ასე მირჩევთ?

კახა — (მკვირცხლად მოტრიალდება და შემცბარი შეხედავს
ქალს) ლმერთმა დამიტუაროს, მე ჟუუის დარიგებას კი არ გიბედავთ...

მარიამი — (გაიცინებს) მიბედავთ, მიბედავთ, მაგრამ გაქვთ ამის
უფლება, ჩემს გამო დაიჭრით... (კვლავ დასერიოზულდება) ძალიან
მადარდებს ეგ ჭრილობა, მე მხოლოდ გადაგიხვით და...

კახა — არაფერია!

(კვლავ ფანჯარასთან მიდის).

რას დაქრიან აქეთ-იქით?! ტყუილად აფეთებენ ხალხს!

მარიამი — მილიციელები?

კახა — დიახ!

მარიამი — ის ორი ბიჭი გაიქცა?

კახა — კიდევ კარგი მოასწრეს, ქალბატონო მარიამ. თქვენი მე-
ზობლები...

მარიამი — მე მგონი არავის დაუნახავს ჩვენი აქ შემოსვლა, თუმ-
ცა რაზე ვიმარჩიელოთ, ჩავალ და გავიგებ, რა ხდება!

(გადის)

კახა — (სწრაფად მოისხამს კურტაქს და ტელეფონზე რეკავს).
ლექსო, მანქანას დაახტი და სასწრაფოდ მოდი... წუგზარის სახელოს-
ნო გახსოვს? იმის მოპირდაპირე სადრბაზოსთან! მოიტანა ფული იმ
ხვადაგმა, ავილე, მაგრამ მერე დაინყო უშნო ლაპარაკი და მოკლედ,
ერთმა ღვთისნიერმა ქალმა შემიკედლა, დაბლა კი ჩვენი ძმები ნრია-
ლებენ და ველარ გავალნიე აქედან... ზედ სადარბაზოსთან მოაყენე
მანქანა, ბევრმა დამინახა!

(კიდებს ყურმილს, სიგარეტს უკიდებს და ბოლოთას სცემს ოთახში,
შემდეგ კარადასთან მიდის და ნიგნებსა და ნახატებს ათვალიერებს).

მარიამი — (შემოდის, სულს ითქვამს) ყველაფერი რიგზეა. ნავიდ-
ნენ უკვე! (სახვევს უსწორებს)

განუხებთ ტკიცილი?

კახა — არა, დამიბუჟდა მხოლოდ!

მარიამი — ახლავე ჩაის დაგალევინებთ!

კახა — გმადლობთ, მაგრამ მეგობარმა უნდა გამომიაროს ხუთ
წუთში!

მარიამი — ჰოდა, ხუთ წუთში მშვენივრად მოასწრებთ დალევას!
(ყვავილებიან სურას შეავლებს თვალს) დამტკინარან, მე კი ვერც შე-
ვამჩინო!

(გააქვს სურა, ცოტა ხანში ბრუნდება და სუფრას აწყობს).

მარიამი — აბა, გთხოვთ!

კახა — (ერთხელაც შეათვალიერებს ოთახს) მარტო ცხოვრობთ?!

მარიამი — დიახ, მარტო!

(პაუზა. კახა ჩაის სვამს).

მარიამი — გასადილებდით, მაგრამ თქვენ ისე ჩქარობთ!.. (პაუ-
ზის შემდეგ) სწავლობთ?

კახა — (მოტრიალდება) რა ბრძანეთ?

მარიამი — სწავლობთ-მეტეი?

კახა — დიახ, უნივერსიტეტში! (ფანჯარში გაიხედავს და ვიღაცას
უქნევს ხელს) აი, მოვიდა კიდეც!

მარიამი — სთხოვთ თქვენს მეგობარს!

კახა — არა, სამწუხაროდ, გჩქარობთ ორივე! ამ დღებში გინახუ-
ლებთ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის! (გადის. მარიამი მარტო რჩე-
ბა ოთახში).

სურათი მეორე

კვლავ კლავესინის მელოდია. მარიამი მაგიდასთან ზის და
უკირეთებს საბეჭდ მანქანას. ლია ფანჯარაში წეიმის ხმაური
შემოდის. ზარის ხმა. მარიამი სათვალეს იხსნის, დგება და
კარს აღებს. ოთახში ჭარმაგი, წარმისადევი კაცი შემოდის.

მარიამი — მობრძანდით, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — სამუშაოს ხომ არ მოგწყვიტეთ?

მარიამი — არა, მოვრჩი უკვე!

თენგიზი — ისევ ტექნიკური თარგმანია?

მარიამი — დიახ!

თენგიზი — რატომ მხატვრულ თარგმანს არ მოკიდებთ ხელს?

მარიამი — არასოდეს მიცდია, თანაც სულ სხვა სპეციფიკა, ჩვენ
ხომ უკვე ვისაუბრეთ ამის შესახებ?

თენგიზი — უცნაურია, არც კი მახსოვდა... მაგრამ მოუხედავად
ამისა, თქვენი განათლებისა და ნიჭიერების პატრონს არ უნდა გაუ-
ჭირდეს წესით...

მარიამი — (სიცილით) როგორ მიხვედით ასეთ დასკვნამდე?
თენგიზი — (ჩუმად) მე ვგრძნობ თქვენს პიროვნებას! რა და როგორ გადა
მარიამი — (დაბნეული მისი ინტონაციით) ჩაი დავლით!
თენგიზი — დიახ, დიახ, ვგრძნობ! თორებ არიან ადამიანები, რომ-
ლებსაც საერთოდ უერა ვგრძნობ, უერ ვხედავ, რაღაც ნაცრისფერი
ლაქაა, სხვა არაფერი!
მარიამი — დაბრძანდით, ბატონი თენგიზ!
თენგიზი — (გამოერკევეთა) ჩემი ტელეფონი ისევ გაფუჭდა და
თქვენის ნებართვით...
მარიამი — დარეუეთ, მე კი მანამდე ჩაის მოვადულებ! (გადის,
თენგიზი უხალისოდ მიდის ტელეფონთან, მექანიკურად კრეფს
რიცხვს შემდეგ კიდებს ყურმილს და კელავ რევაცს. ბოლოს თავს ანე-
ბებს ამ უაზრო მანიპულაციებს და სკამზე ჩამოჯდება).
თენგიზი — (შემოსულ მარიამს) სულ დაკავებულია!
მარიამი — არა უშავს, ცოტა ხანში კიდევ სცადეთ!
თენგიზი — ეს ჩემი უსინდისო ტელეფონი ნამდაუწუმ ფუჭდება!
მარიამი — (ოდნავი ღიმილით) დიახ, მე შევამჩნიე ეს!
თენგიზი — (შემფორთებული) თქვენი ხომ კარგად მუშაობს?
მარიამი — (ძლიერ იკავებს სიცილს) არ უშიგი!

თენგიზი — (დაბნეული ღიმილით) თქვენ რაღაცაზე გეცინებათ.
მარიამი — თუ მომაქცევთ ყურადღებას, ხანდახან მომდის ასე...
გამახსენდება რომელილაც სასაცილი ისტორია და მთელი დღე ამჟა-
ვიატება ხოლმე!

თენგიზი — (დაეჭვებით) დიახ, დიახ, გასაგებია!
(მარიამი სუფრას ანყობს).
მარიამი — სამსახურში ხომ ყველაფერი რიგზე გაქვთ?!

თენგიზი — (მხრებს ჩერჩავს) ვაშენებთ!

მარიამი — (ფანჯარში გაყოფს თავს) რა გაუთავებელი წვიმაა?

თენგიზი — ღილიდან წვიმს!

მარიამი — (ჩაფიქრებით) ზოგს აწყნარებს წვიმის ხმა. (ზარის
ხმა. მარიამი კარს აღებს. შემოდის თავიდან ფეხებამდე გალუმპული
კახა, ხელში ვარდების უზარმაზრი კონა უჭირავს).

მარიამი — (გამოართმევს ყვავილებს კახას) კარგი ბიჭი ხარ, რომ
მოხვედი! შეხედეთ, რამხელა კონაა, ბატონი თენგიზ! ეტყობა კახას
ჩემი დამტკნარი ყვავილები შეეცოდა!

თენგიზი — (მოლუშული დგება) თენგიზი, ბატონი ჩემი!

კახა — (ხელს ჩამოართმევს) კახა!

მარიამი — რა არის ეს, როგორ გაილუმპე?

კახა — დღეს უკვე მესამედ ვსველდები და ვშრები! ნამდვილი
ნარღვნაა გარეთ!

მარიამი — (პირსახოცი შემოაქვს და ძალით უმშრალებს თმას



ბიჭს) როგორ შეიძლება ასე?!

თენგიზი — ახლადა მივხვდი, თქვენ ის ყმანვილი ხართ, ქალბატონი მარიამი ტონ მარიამი რომ აეფარეთ დანაზე, არა?

კახა — პრინციპში, პირიქით მოხდა, ჯერ ქალბატონი მარიამი ამეფარა, მერე მე ავეფარე...

მარიამი — (ლიმილით) მოკლედ, ერთმანეთს გადავეფარეთ! ხოლო გუშინ კახამ მთელი დღე მატარა ტაქსით ჩემს საქმეებზე! ქუჩაში დამინახა უცაბედად!

(ენერგიულად უმშრალებს თავს).

კახა — (თავის დალწევას ცდილობს) შემინყალეთ, ქალბატონო მარიამ!

მარიამი — (თავს გაანებებს) აი, ასე არა სჯობია?

(თმაბურძგნული ბიჭის დანახვაზე ეცინება და სავარცხელს ანვდის).

მარიამი — მაინც რამდენი მატარა გუშინ ტაქსით, არაფრით არ დამტოვა! თქვენ კი არ მოგწონთ ჩემი ახალგაზრდობა, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — (შემცბარი) მე ეს არ მითქვამს!

მარიამი — კონიაკი მაქას! (გადის).

თენგიზი — (პაუზის შემდეგ) ის კი არა, ერთ ჩემს მეგობარს ვუთხარი, ამას ნინათ, ძალიან რომ გამოთათხა თქვენი თაობა, ახლგაზრდების ლანძლვა-გინება მოახლოებული კლიმაქსის ნიშანია-მეთქი!

კახა — (იცინის, შემდეგ შეაურულებს და ხელებს მოიფშვნეტს) არ ათბობენ?

თენგიზი — როგორ არა! გცივათ?

კახა — (კელავ შეაურულებს) ჰო, ცოტა, თითქოს...

თენგიზი — არცაა გასაკეირი, სამჯერ თუ დასველდით და სამჯერ გაშრით, კონიაკი გიშველით!

(მარიამი შემდის და სუფრას ანყობს, შემდეგ ყვავილების კონას იღებს და ქალურად ჩაფიქრდება).

მარიამი — რომელ სურაში ჩავდო ამხელა კონა?!

(კვლავ გადის. კახა სკამზე წრიალებს და სახეს ისრესს).

თენგიზი — თქვენ ტაქსზე მუშაობთ?

კახა — (გაევირვებით) არა!

თენგიზი — ჰო, მე კი ქალბატონ მარიამის სიტყვების შემდეგ გადავწყვიტე, რომ ტაქსზე მუშაობთ!

კახა — არა, მეც მგზავრი გახლდით!

თენგიზი — სნავლობთ?

კახა — რა ბრძანეთ?

თენგიზი — სნავლობთ-მეთქი?

კახა — დიახ, უნივერსიტეტში (სახეზე იფარებს ხელებს).

თენგიზი — რა მოგდით?
 კახა — რა ბრძანეთ?
 თენგიზი — კიდევ გაციებთ?
 კახა — არა, გავთბი უკევ!
 მარიამი — (შემოდის, ამჩნევს ღია ფანჯარას) უიმე, ფანჯარა ღია
 დამრჩენია, გაგყინეთ, ალბათ?!
 (მიხურავს ფანჯარას და თვითონაც მაგიდას მიუჯდება).
 აბა, შევუდგეთ!
 თენგიზი — ქალბატონ მარიამს გაუმარჯოს!
 კახა — კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონი მარიამ! (სუამს, ცოტა
 ხანს თვალებს დახუჭავს და სახეს ისრესს).
 მარიამი — დარეჯვა რომ გინდოდათ, ბატონი თენგიზ?!

თენგიზი — ჰო, მართლაც...
 (მიდის ტელეფონთან, კვლავ უყურადლებოდ ქრეის რიცხვს და
 უმალევ კიდებს ყურმილს).
 არ არიან სახლში!
 მარიამი — ახლა კახას გაუმარჯოს, ძალიან კარგ ბიჭს!
 კახა — (თვალდახუჭული) გაუმარჯოს!
 მარიამი — (შეშფოთებით) რა გემართება, კახა?
 კახა — (გამოერევევა) რა ბრძანეთ?
 მარიამი — ცუდად ხომ არა ხარ?
 კახა — (კვლავ ისრესს სახეს) არა, მე მგონი არა!
 თენგიზი — თქვენი სადლეგრძელო ითქვა, კახა!
 კახა — გმადლობთ!
 თენგიზი — გაგიმარჯოთ. მიხარია, თქვენნაირ ახალგაზრდას
 რომ შევხედი, თორემ მართალი გითხრათ, ცოტა გული მაქვს გატეხი-
 ლი თქვენს თაობაზე!
 კახა — (თვალებს ისრესს) ქლიმაქსიო?
 მარიამი — რა თქვი, კახა?
 თენგიზი — (მკაცრად) ქალბატონ მარიამს მაინც მოერიდეთ!
 კახა — (არეულ-დარეულად) არა, მე ვერიდები... უფრო სწორად,
 მე მერიდება... მაგრამ თქვენ არა ბრძანეთ რაღაცა მოახლოებული
 კლიმაქსის შესახებ... აღარ მახსოვე... რაღაცას ამბობდით...
 მარიამი — რა გემართება კახა? (შეშინებული).
 კახა — (ნამოდგება და შებარბაცდება) ვერა ვარ კარგად... მცირა!
 მარიამი — (მიდის მასთან და შუბლზე ადებს ხელს) ღმერთო,
 თურმე ინვის ბავშვი! (თენგიზს) ძალიან მაღალი სიცხე აქვს!
 კახა — (თვალდახუჭული) მე ნავალ!
 მარიამი — სად ნახვალ სიცხიანი, რას ამბობ?
 კახა — (უნიათოდ უძალიანდება ქალს) არა... არა, ცოტა მცირა
 მხოლოდ... ნავალ... გამიშვით, რა!

(ხელს გააშვებინებს, მაგრამ კვლავ შებარბაცდება და თენგიზი
ძლიერს ასწრებს ხელის შეშველებას)

უკეთ ვარ, გეფიცებით! ნავალ... ძალიან გთხოვთ! (ძალაგამოტკურებული
ლი ბიჭი ვეღარ ეწინააღმდეგება მარიამსა და თენგიზს)

მარიამი — ტახტზე დავაწერით!

კახა — არ მინდა ტახტი...

(თენგიზსა და მარიამს ტახტთან მიყავთ კახა და ზედ აწვენენ) არ
მინდა ტახტი!

მარიამი — (თენგიზს) სასწრაფო გამოიძახეთ, გავარვარებულია
ბავშვი!

თენგიზი — (ტელეფონს ეცემა) გამოითხშა, მართლა გაფუჭდა!

მარიამი — მეზობლისგან დარევეთ, სწრაფად!

(თენგიზი გარბის)

კახა — (კბილების კანკანით) მცირი... ვა... ააა!

მარიამი — გარბის და რაც კი პლედები და საბნები აქვს, ზედ ახუ-
რავს ბიჭს) ახლავე გათბები, კახა, ახლავე! აბა, თერმომეტრი ჩაიდე!

კახა — არ მინდა ტახტი... თერმომეტრი... არც თერმომეტრი მინ-
და...

მარიამი — შენ ხომ ჭევიანი ბიჭი ხარ, დამიჯერე, გთხოვ! (ძალით
უხსნის საკინძეს და თერმომეტრს იღლიაში უტენის ბიჭს).

კახა — (ბოდავს) ირინეა, გემები შემოფიან ნავსადგურში.

მარიამი — რა თქვი?

კახა — (ნამოინევს) გემები... გემები შემოფიან ნავსადგურში.. ყუ-
რემი.. მაგრამ... მაგრამ ძალიან ბევრი მეჩეჩია!

თენგიზი — (შემორბის) ახლავე აქ გაჩიდებიან!

მარიამი — ბავშვი აბოდებს უკევე!

კახა — (კვლავ ნამოინევს) არ ესროლო, არ ესროლო, გოჩა!

(ტახტიდან ნამოიქრება და სადღაც მიინევს, მარიამი და თენგიზი
აკავებენ, მაგრამ ბიჭი ცოტა ხანს მაინც თან დაათრევს ორივეს
ოთახში).

მარიამი — კახა, კახა!

თენგიზი — (აქოშინებული) აბა, რას ჰეგავს ეს, დაწყნარდი.

კახა — (უეცრად, მკაცრად) ხელი არ გაატოვოთ არც ერთმა, თო-
რემ დაგაცივებთ სამიერს ადგილზე!

თენგიზი — რაო, რას იძახის?

მარიამი — არ გამაგიქოთ, რა დროს ეგაა?! ბოდავს ბიჭი!

კახა — (უეცრად, წყნარად) ირინეა, მაპატიე, ვერ მოვედი გუშინ!
ძალიან დაეიღლალე, ირინ... აი, ახლა ნამოვწვები, ცოტას ნავთვლემ და
ყველაფერს მოგიყვები! ხომ არ გენყინება, ორი წუთით რომ ნამოვწვე!

თენგიზი — არა, არ გეენყინება!

კახა — (მთვარეულივით მიდის ტახტთან და მშვიდად წევება)

მგლოვიარე ბინდებით,
 იბურება ყვარელი,
 ვაზით და სიმინდებით
 მიდის გზა საყვარელი!

თენგიზი — (სულს ითქვამს) ასე ლირიულად არა სჯობია!?

მარიამი — (ჩაყვირის ყურში ბიჭს) კახა, კახა, შენი მშობლების
 ტელეფონი მითხარი!

კახა — (უცრად ნამოჯდება, მეაცრად) მე მამა მომიკვდა!

თენგიზი — დედა!?

კახა — დედა არა მყავს! ცოცხალია, მაგრამ არა მყავს! მამა
 მყავს!

თენგიზი — მაშინ მამას ტელეფონი გვითხარი!

კახა — (სევდიანად) მე მამა მომიკვდა!

თენგიზი — აზრი არა ქვს გამოკითხვას!

მარიამი — რა ვქნა, ვის შევატყობინ? (თერმომეტრს ამოუღებს
 იღლიდან) ღმერთო ჩემო, ორმოცდაერთი!

თენგიზი — ორმოცდაერთი?

მარიამი — (სასონარევეთით) რა წყალს ვეცე! სად არიან ამდენ
 სანს, ცოცხლად იწვის ბავშვი!

თენგიზი — (ოპტიმისტურად) წუთი წუთზე აქ გაჩნდებიან!

კახა — რამდენი გემია, ირინ! დიდი, ხავსმოდებული კარაველები!
 არასოდეს მინახავს ამდენი გემი ერთად! ბურთი კი დახტის, დახტის,
 აღარ ჩერდება, ნერვები ნაილო! ირინკა, სად მიდიხარ! ვეღარ გხედავ...
 ირინკა! (მოულოდნელად, მშვიდად) ნისლში გაქრა... ნისლში გაქრა...
 ნისლში! (თვალებს დახუჭავს და უღონოდ გადავარდება ბალიშებზე).

მარიამი — რა ვქნა, რა ნამალი მივცე? მოდით მაგრად შევფუთ-
 ნოთ და ოფლი მოვადინოთ!

თენგიზი — დეკას ჩაი მაქვს, თუშეთიდან ჩამოტანილი!

კახა — ლექსო, ხვალ საკონტროლო გვაქვს გეომეტრიაში! ხომ
 იცი, რა ტიპია ქოთქოთა?

თენგიზი — (უცრად გაეცინება) ქოთქოთა ვინ არის?

კახა — (კვლავ ნამოჯდება) ქოთქოთა ჩვენი გეომეტრიის მასნავ-
 ლებელია!

(მარიამი და თენგიზი ცოტა ხანს გაოგნებული შეჰყურებენ აბსო-
 ლუტურად ფხიზლად მომზირალ ბიჭს).

თენგიზი — მაღლობა ღმერთს, გონს მოვიდა!

მარიამი — (იმედით) ახლა მაინც მითხარი, კახა, თქვენების ტე-
 ლეფონი!

კახა — მგლოვიარე ბინდებით
 იბურება ყვარელი...



ელავესინის მელოდია. მარიამი ფეხისნეკერებზე დადის ოთახ- 14. მუზეუმი
ში, კახა ტახტზე წერა, თავზე მარიამის ნაქსოვი ქუდი ახურავს, გვერდზე სკამი უდგას, სკამზე ნამლები და ჭიქაა. ტახტთან „სულინ“ დგას. კახას სძინავს. მარიამი ბალიშს გაუსწორებს
და ამ დროს, გარინდებას ტელეფონის მქანე ზარი გაპეკეთს.

მარიამი — (სწრაფად იღებს ყურმილს, ბიჭს რომ არ გაეღვიძოს)
გისმენთ... გამარჯობათ, ბატონი თენგიზ... სძინავს... მთელი ლამე
იბორგა... ახლა დაიძინა, მხოლოდ... არა, ერთი კეირით გაეითავისუფ-
ლე თავი... სახლში ნამოვილე სამუშაო!... ახლა თითქმის ალარა აქვს
სიცხე... ალარც აბოდებს! ალარაფერია საჭირო... ყველა ნამალი ვუ-
შოვე... თანამშრომელმა მომიტანა! ექიმიც გამოძახებული მყავს!
გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

(ყურმილს კიდებს და მოტრიალდება. თვალგახელილი კახა უხ-
მოდ უყურებს მას).

გაიღვიძე?

კახა — დიახ (პაუზის შემდეგ) მოელედ თქვენს სახლაფორთოდ
გავჩერილვარ ამ ქვეყანაზე! რა ჭირი მეტაკა მაინც, ვერ გამიგია!

მარიამი — ფილტვების ანთება გაქვს!

კახა — (გაევირვებით) ცხოვრებაში არ გავმხდარვარ ავად! ბუნ-
დოენად მახსოვს, მთელი ლამე ჩემს სასთუმალთან გაატარეთ... თვა-
ლებიც უძილო გაქვთ? რატომ გეცინებათ?..

მარიამი — ძალიან გიხდება ჩემი ჩეფჩიკი!

კახა — (თავზე მოივლებს ხელს) კარგი სანახავი ვარ?!

მარიამი — არ გაბედო მოძრაობა!

კახა — გემორჩილებით, მაგრამ ქუჩაში ასე ხომ არ გავალ?

მარიამი — (გაოცებული) ქუჩაში რა გინდა?

კახა — მიიხედეთ რა, უნდა ჩავიცვა!

მარიამი — კახა, არ გადამრიო, რას აპირებ?

კახა — უნდა ნავიდე, ქალბატონო მარიამ, აბა აქ ხომ არ დავრჩე-
ბი?

მარიამი — რატომ ვერ დარჩები?

კახა — უკვე კარგად ვგრძნობ თავს!

მარიამი — ყმანვილო, თქვენ ფილტვების ანთება გაქვთ, გესმით
ამ სიტყვების მნიშვნელობა?

კახა — ძალიან გთხოვთ, გამიშვით, რა!

მარიამი — გუშინაც მთხოვდი წვიმაში გაშვებას, ორმოცდაერთი
რომ გქონდა სიცხე!

კახა — ახლა ხომ ალარა მაქვს, თქვენ თვითონ არა თქვით?

მარიამი — კახა, ეს ტონა ნამლის წყალობით და საერთოდ, რა



ხდება, გერიდება?

კახა — ხომ შეიძლება თქვენთან სტუმრები მოვიდნენ! ეს კარგი არა
მარიამი — ჩემთან თითქმის არავინ დადის! მოკლედ, ცეკვაშია წიგნის
გორც იტყვის, ისე მოვიქცევი!

კახა — (დაიხედავს და „სუდნოს“ დაინახავს, გულგახეთქილი) ეს
რა არის?

მარიამი — (ირონიულად) აბა, როგორ აგიხსნა?

კახა — და თქვენ...

მარიამი — (მშეიდად) რა მოხდა მერე, ყოველ მოწყალების დას
უწევს ამის გაეტება. (იცინის) სხვათა შორის, ჩემი პირველი ნერილი
ამასთან დაკავშირებით მივწერე მთავრობას. შეიდი ნლის ვიყავი მა-
შინ. ოში ვითხოვდი გაშვებას, მოწყალების დად!

კახა — მოწყალეო ქალბატონო მარიამ, ხომ არ გახსოვთ, რას
ვბორდავდი გუშინ?

მარიამი — (ლომილით) ვინ არის ქოთქოთა?

კახა — (გაკვირვებული) ქოთქოთა? (სიცილი აუტყდება) ჩემი
მასნავლებლის მეტსახელი იყო სკოლაში. ერთხელ ბებიაჩემი გამოი-
ძახა, რომელიც, სულო ცოდვილო, ცოტა მსუბუქად არის ქართულზე!

მარიამი — რატომ?

კახა — თვითონ როგორც ამტკიცებს, პეტერბურგში მიღებული
სწავლა-განათლების გამო! ჰოდა, ჩემმა თერგდალეულმა ბებიამ,
არც აცია, არც აცხელა და პატივცემულო ქოთქოთაო, ასე მიმართა
ჩემს მასნავლებელს!

მარიამი — (იცინის) ბატონმა ქოთქოთამ რა უპასუხა?

კახა — თქვენც გადაგრიეს ამ ბავშვებმა ქალბატონო (უეცრად
საბანს შემოიხვევს ტანზე და ტახტიდან ნამოხტება) ნავალ რა, ძალი-
ან ვთხოვთ!

მარიამი — არ გაბედო! (ხელს კრავს და ტახტზე ნამოაქცევს) ახ-
ლა ისე ხარ დასუსტებული, რომ მეც მოგერევი! აბა, რა გიყო, კახა?!
მართლა ხომ არ გაგიშვებ ქუჩაში სიცხიანს, ფილტვების ანთებით?
ერთ შეღავათს გაგინევ მხოლოდ, ჩემს ხალათს და ფლოსტებს და-
გითმობ და ხანდახან ადგომის უფლებასაც მოგცემ. რახან ასე შეგზა-
რა ამ ქოთნის დანახვაშ! („სუდნოზე“ ანიშნებს).

კახა — გმადლობთ, მაგრამ...

მარიამი — (შეაწყვეტინებს) ერთი გამოსავალი გაქვს, დაურევე
თქვენებს და როგორც ისინი გადაწყვეტინ, ისე მოვიქცეთ! ძალიან
უხერხულად ვგრძნობ თავს დედაშენთან, რატომ არ მეტყვი ტელე-
ფონის ნომერს?

კახა — (ჩუმად) მე დედა არა მყავს!

მარიამი — მამა?

კახა — ხუთი ნლის ნინ დამეღუპა!

მარიამი — (პაუზის შემდეგ) დედა გახსოვს?

კახა — (ნერვულად) დედაჩემი ცოცხალია!

მარიამი — (დაბნეულად) მაპტიკე, ვერ გავიგე...

კახა — (მოშლილად) თუ არ გენყინებათ, სხვა თემაზე ვისაუბროთ!

მარიამი — კი მაგრამ, შენ სად ცხოვრობ?

კახა — ბებიასთან!

მარიამი — ჰოდა, ბებიას დავურეკოთ!

კახა — იცით, რა...

მარიამი — რა?

კახა — თუ მართლა არ გაწუხებთ, დავრჩები!

მარიამი — (რაღაცას ხედება) კარგი, დარჩი! შენ მე არ შემუნახებ! მოდი ახლა, სიცხე გავიზომოთ!

კახა — (ძალაგამოცლილი მიესვენება ბალიშზე) გავიზომოთ.

მარიამი — (დაბერტყავს თერმომეტრს) შენ თვითონ როგორ გრძნობ თავს?

კახა — (მიმქრალი ხმით) უკეთესად! ქალბატონო მარიამ, ვინ იყო ის კაცი, გუშინ რომ...

მარიამი — თენგიზი, ჩემი მეზობელი!

კახა — რამე ხომ არ ვანყენინე!

მარიამი — არა, არაფერი!

კახა — რაღაც მომენტში გავითიშვ...

მარიამი — ჩემი ბრალია, ფანჯრის დახურვა რომ დამავინყდა! იცი, მარტო უცხოვრობ და გადავეჩვიე სხვაზე ზრუნვას, უყურადღებო გავხდი!

კახა — თქვენ სად მუშაობთ?

მარიამი — ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, ინგლისურის სპეციალისტი გახლავარ! შენ იცი ინგლისური?

კახა — ინგლისურს მასნავლიდნენ სკოლაში, ბათ მაი ინგლიშ იზქვაით ფუარ!

მარიამი — გადაგავინყდა?

კახა — თითქმის, სიმღერა მახსოვს მხოლოდ... მაი ბონი!

მარიამი — (გაიღიმებს და ჩუმი ხმით იწყებს:

my bonny is over ocean

my bony is over the sea.

(კახა აყვება მას. ქალი და ბიჭი მღერიან)

მარიამი — მშეენიერი პრონონის გაქვთ, ყმანვილო! უნივერსიტეტში სხვა ენას სნავლობ?

კახა — (უხალისოდ) არა, იგივეს. (პაუზის შემდეგ) მე თქვენ მოგატყუეთ, ქალბატონო მარიამ!

მარიამი — არ მესმის!

კახა — მე მართლა ჩავაბარე უნივერსიტეტში, ცოტა ხანს ვისწავ-
ლე კიდეც, მაგრამ მერე დამიჭირეს, ზედიზედ ორჯერ და სულ-
დენიმე თვეა, რაც ციხიდან გამოვედი!

მარიამი — თუ არ გსურს, ნურაფერს მომიყვები!

კახა — არა, სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია! პირველად ჩხუბ-
ზე დამიჭირეს, მეორედაც რაღაც ამდაგვარზე... ასე რომ, დიდხანს არ
მაყურყუტეს!

მარიამი — კი მაგრამ, ახლა ხომ შეგიძლია ალიდგინო თავი უნი-
ვერსიტეტში?

კახა — რასაკეირველია!

მარიამი — (გულუბრყვილო გამომცდელობით) თუ ეს შენოვის არ
შეიძლება?

კახა — (გაევირებული) რატომ არ შეიძლება?

მარიამი — იქნებ არ მოგცენ მაგის უფლება?

კახა — ვინ?

მარიამი — აი, იმ შენმა ამხანაგებმა?

კახა — (განცვილებით) ჩემმა ამხანაგებმა? (უეცრად ყველა-
ფერს ხვდება და სიცილი აუტყდება) არა, ქალბატონო მარიამ, მე კა-
ნონიერი ქურდი არ გახლავართ, ასე რომ, ჩემი სწავლა-განათლება
არავისში გამოიწვევს პროტესტს! თქვენ გადაწყვიტეთ, რახან ციხეში
ვიჯექი. (ისევ სიცილი აუტყდება, შემდეგ დასერიოზულდება) მე არც
ქურდი ვარ, არც ბოროტმოქმედი, ისე მიკედ-მოვედები რაღაცას.
მოკლედ, ცოტა ანენილად ვცხოვრობ, სხვა არაფერი!

მარიამი — ბოლიში!

კახა — რა გჭირთ საბოდიშო?

მარიამი — (გადის და ხალათი და ფლოსტები შემოაქვს) რასაკ-
ეირველია, ცოტა პატარა გერენება, მაგრამ რას იზამ?

კახა — თქვენ სამსახურში არ მიბრძანდებით?

მარიამი — არა, სახლში ნამოვილე სამუშაო!

კახა — ქალბატონო მარიამ, შეიძლება ჩემს ამხანაგს დავურევე?

მარიამი — ამას რა კითხვა უნდა?! მე გვერდით ოთახში ვიქნები.
თუ რამე დაგჭირდა, დამიძახე! ტელეფონს ლოგინთან ჩაგირთავ!

(ტელეფონი კახას ტახტან მიაქვს და გადის).

კახა — (ყურმილს აიღებს და რიცხვს კრეის, ხმადაბლა) გამარ-
ჯობათ, მისს აირინ! მე ერთი უიმედოდ შეყვარებული, ზნეობითა და
კეთილშობილი ზრახვებით აღსავს ახალგაზრდა გახლავართ!.. სულ
ტყუილად მეჩხუბები, ირინქა, ფილტვების ანთება დამემართა... არა,
რა სავადმყოფო, (უფრო ჩუმად) იმ დღეს რომ გიყვებოდი იმ ქალზე,
მარიამზე... სწორედ მასთან სახლში დამარტყა მაღალმა სიცხემ და
ახლა უსინდისოდ ვარ ნამოკეტრიკალებული ტახტზე... ისე, ზრდილო-
ბისათვის გადაუწყვიტე ვიზიტი გამექეთებინა... რაც არ უნდა იყოს,

ჩემი გულისფერის დანის ტრიალში შემოვარდა! (იცინის) რას სულუ-
ლობ? სულ სხვა ტიპის ქალია... და საერთოდ, ნუ გაქვს გადაწყვეტილობა!
ლი, რომ მთელი საქალეთი ჩემზე ნადირობს! მოდი და თვითომზ ნიშავ! სა-
საცრად კარგი ადამიანია, ლექსო მოგიყვანს, მისამართი იცის! ჲო,
მართლა, ბებიაჩემთან გაიარე და საპარსი, კბილის ჯაგრისი და პირ-
სახოცი ნამომილე! გელოდები!

(კიდებს ყურმილს, კურტაქს გადაწყვეტა, პისტოლეტს იღებს გუ-
ლის ჯიბიდან და ლეიბის ქვეშ ინახავს, შემდეგ სიგარეტის კოლოფს
ხსნის და ასანთს იღებს ჯიბიდან).

მარიამი — (შემოდის) როგორ შეიძლება ახლა სიგარეტი!?

კახა — გემორჩილებით! ქალბატონო მარიამ, გავკადნიერდი და
ერთ გოგონას აქ ვთხოვე მოსველა, რაღაც უნდა მომიტანოს!

მარიამი — შენ მართლა გადამლალე ბოდიშებით! მოდი, შევთანხ-
მდეთ, თუ ვმეგობრობთ, მორიდება არ იყოს!

კახა — ნუ გივირთ, ცოტა უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი!

მარიამი — ერთ საათში გასადილებ!

კახა — ნამცეცსაც არ დაეტოვებ!

მარიამი — ყოჩალ, ახლა მომნონხარ!

(გადის. კახა გვერდს იცვლის და კვლავ ჩასთვლემს. მარიამი მოუ-
ლოდნელად უკან ბრუნდება, ჩაძინებულ ბიჭს რომ დაინახავს, ნამით
შეჩერდება, შემდეგ მიღის მასთან და საბანსა და ლეიბს უსწორებს.
უცებ, თავისიდაუნებურად, იარალს ნაატანს ხელს. დაბნეული ატრია-
ლებს ხელში, შემდეგ მოუხერხებდლად ნიგნების კარადაში ინახავს. კა-
ხა ამ დროს თვალს გაახელს, დაინახავს ამ მომენტს და ჩახველებს).

მარიამი — (მოიხედავს) გაიღვიძე?

კახა — დიახ.

მარიამი — უცაბედად ნაეანყდი შენს რევოლვერს!

კახა — (ლიმილით) ეგ რევოლვერი არაა.

მარიამი — აპა რა არის?

კახა — პისტოლეტია!

მარიამი — ძალიან მინიშვნელოვანი დაზუსტებაა! სამწუხაროდ,
უფლება არა მაქვს გეითხო..

კახა — თქვენ ყველაფრის უფლება გაქვთ, ქალბატონო მარიამ,
მაგრამ...

მარიამი — რა მაგრამ?

კახა — დამიბრუნეთ ეგ რეინის ნაჭერი, უმაგისოდ ავადმყოფი
მოწყენილად იგრძნობს თავს!

მარიამი — დაბლა მაღაზიაში სათამაშო ტანკი იყიდება!

კახა — მართლა ჩემი არ გეგონოთ, შესანახად მომაბარეს!

მარიამი — (ნაღვლიანად) კახა, რად გინდა ეს რე... პისტოლეტი?

კახა — ისე, მიყვარს იარალი!

მარიამი — რას იზამ, განიარაღებით პრობლემა ჩემზე უფრო
ჭევიანმა ხალხმა ვერ გადაჭრა! დროებით მაინც იყოს აქ! გადადორის
კახა — კი, ბატონი!
(ზარის ხმა კარზე).
კახა — (ნამოჯდება) ეს ალბათ ირინეა!
(მარიამი კარს აღებს. შემოდის ლამაზი, კიეინებიანი გოგონა,
მხარზე გადაეიდებული ჩანთით).
მარიამი — მობრძანდით!
ირინე — გმადლობთ! (კახას) თქვენი საპარის და პირსახოცი ინე-
ბეთ, მილორდ! კბილის ჯაგრისი და საპონიც მანდევე ეძებეთ!
(ლოგინში ჩაუგდებს ჩანთიდან ამოღებულ ტოპრაეს)
კახა — ერთი ნამით მიიხედვთ, უნდა ჩავიცვა!
ირინე — (ცივად) მე შემიძლია არც მივიხედო!
(მარიამი ჩაიცინებს და გვერდით ოთახში გადის).
კახა — (ხალათს იცვამს) როგორ იქცევი? რა დღეში მაგდეს.
ირინე — (ტაშს შემოკრავს) როგორ გიხდება?! ბეჭებში გაქვს
ოღონდ ცოტა განიერი!
კახა — ქალმა შემიკედლა, შეილივით მივლის, შენ კი...
ირინე — (მოულოდნელად მორჩილად) მაპატიე, მაგრამ ისეთი
განწყობით მოვდიოდი... ეტყობა, მართლა ნორმალური ქალია!
კახა — მადლობა ღმერთს, რომ მიხედი!

ირინე — ნეტა ჩემს სახლში დაგმართოდა ეგ ფილტვების ანთება!
რამდენიმე დღე მაინც დაგამწყვდევდი, მოგივლიდი, მოგეფერებო-
დი... შენ ხომ სულ გაქცევაზე ხარ, ერთხელ არ შეარგებ ადამიანს
თავს!

კახა — (რბილად) ძალიან გთხოვ, მოეფერე და ბოდიში მოუხადე
მარიამს, მე შეაპს მივიღებ და გაეიპარსავ მანამდე!

ირინე — გაგიდი? რა დროს შეაპა, ფილტვების ანთება გაქვს!

კახა — რაც გთხოვ, ის გააკეთე!

(გადის)

მარიამი — (შემოდის) რატომ დგახართ ფეხზე, დაბრძანდით!

ირინე — ჯერ კახას დავალება უნდა შევასრულო!

მარიამი — რა დავალება?

ირინე — ბოდიში უნდა მოგიხადოთ!

მარიამი — (ცივად) არ არის საჭირო!

ირინე — იცით, აქ რომ მოვდიოდი, მილიონი სულელური აზრი
მიტრიალებდა თავში! მაგრამ ერთი გამართლება მაქვს, მე ხომ არ
გიცნობდით!

მარიამი — მარიამი!

ირინე — (კნიქსენს უკეთებს) ირინე!

მარიამი — ახლა მაინც დაბრძანდით!

ირინე — არა! მე კიდევ ერთი დავალება მაქვს შესასრულებელი!
 მარიამი — რა დავალება?
 ირინე — კახამ მითხვა, მოეფერე ქალბატონ მარიამსო, მაგრამ...
 მარიამი — მაგრამ?
 ირინე — მაგრამ მე, რატომდაც მისი დავალების გარეშეც გამიჩნდა ასეთი სურეილი!
 მარიამი — (ოდნავი ირონით) ასე სწრაფად?
 ირინე — დიახ, ასე სწრაფად!
 (მელავებს გაშლის, მარიამს ჩაეხუტება და აკოცებს. შემდეგ მოტრიალდება და გრაციოზულად უშვება სავარძელში)
 ახლა დაჯდომაც შეიძლება!
 მარიამი — ვისადილოთ!
 ირინე — გმადლობთ, მე ლექსოსთან ვისადილე!
 მარიამი — ლექსო ვინ არის?
 ირინე — კახას ერთადერთი ნორმალური მეგობარი! თუმცა მთლად ნორმალური არც ლექსოა, ეგეც გვარიანად უფშეიტინებს!
 მარიამი — (სიცილით) ამომწურავი დახასიათებაა!
 ირინე — არა, ისე კარგი ბიჭები არიან! ლამაზები, დახვენილები, ნაეკითხები, ოჯახიშვეილები და ასე შემდეგ. მაგრამ ყველას... არ ვიცი რა სიტყვა ვიხმარო!
 მარიამი — უფშეიტინებს?
 ირინე — არა, ეგ თავისთვალი! მოკლედ რომელი როდის და სად მოიტეხს ეისერს, ალაპმა უნყის! მე მგონი, უბრალოდ ინფანტილურები არიან!
 მარიამი — ირინე, ერთი რამე უნდა გეითხო!
 ირინე — ბრძანეთ!
 მარიამი — კახას მშობლები ჰყავს?
 ირინე — მამა მოკლედა ინფარქტით. სულ ახლგაზრდა კაცი...
 მარიამი — დედა?
 ირინე — პოო, ეგ რთული საკითხია! დედამისი ცოცხალია, მაგრამ კახა უკვე ოთხი ნელია, რაც ბებიასთან გადასახლდა...
 მარიამი — რატომ?
 ირინე — იმიტომ, რომ ქალბატონი, ქვრივი ნინო ჭავჭავაძისავან განსხვავებით, ერთი ნლის თავზე გათხოვდა კახას მამის საუკეთესო მეგობარზე. შექსპირის არ იყოს, ჯერ ის ფეხსაცმელი არ გაცვეთოდა, რომლითაც ქმრის კუბოს მიყვებოდა... და ასე შემდეგ! კახა მაშინ თოკიდან ჩამოხსნეს!
 მარიამი — თავს იკლავდა?
 ირინე — დიახ! თხუთმეტი ნლის ბიჭი უკეთესს რას მოიფიქრებდა? მერე ბებიასთან გადასახლდა და სულ აენენა ცხოვრება!
 მარიამი — კი მაგრამ, ბებია?

ირინე — ო, ეს ტიპიური, სათნო და შეილიშვილზე გადაფორმდა
ბებია არ გეგონოთ! დღეში ასი გრამი „რემბარტინი“, სხვას არა უკრძა-
და პასიანსი გონების დაკარგვამდე, ეგოზმის ფორმულა! ისე, ფულს
აძლევს ხოლმე... ძუნი არ არის. მოკლედ, არსაიდან ხმა, არსით ძანი-
ლი, მშობელი შობილს არრას ეტყოდა!

მარიამი — (ჩაფიქრდება) გასაგებია!

(ოთახში გაუბედავად შემოდის გაპარსული და ხალათში შეფუთ-
ნული კახა).

მარიამი — (მკაცრად) ახლავე ჩამოიცვი თავზე ჩემი საყვარელი
ჩეფჩიკი!

კახა — დაუყოვნებლივ ასრულებს მარიამის ბრძანებას.

ირინე — (ასევე მკაცრად) და ულაპარაკოდ, ლოგინში! (კახა თავს
ჩაქინდრავს, პატიმარივით დაინყობს ზურგსუკან ხელებს და ლოგი-
ნისკენ ნავა).

კახა — გემორჩილებით, ოლონდ წუთით მიიხედეთ, თუ შეიძლება!

(მარიამი და ირინე შეტრიალდებიან. კახა სწრაფად გაიძრობს ხა-
ლათს და ნვება).

მარიამი — მე უნდა ნავიდე ცოტა ხნით, სადილი მაცივარშია.
ირინე, იდიასახლისე! (ლაბადას მოიცვამს და ქოლგას აიღებს) მეონი,
ნეიმას აპირებს ისევ (გადის).

კახა — (პაუზის შემდეგ) ხომ გითხარი?!

ირინე — მართლაც კარგი ქალია!

კახა — გუშინ მესიზმრე!

ირინე — (ინტერესით) როგორ?

კახა — ბუნდოვნად მახსოვს, რაღაც კატასტროფულად სექსუა-
ლური სიზმარი იყო!

ირინე — (ნაზად) გაიტყიპებით, მილორდ!

კახა — ლექსო რატომ არ მოვიდა?

ირინე — მოერიდა, ყველა ხომ არ შევესევით იმ ქალსო!

კახა — (ამოიოხრებს) სწორია, მეც საკმაოდ თავხედურად გავში-
ნაურდი!

ირინე — როგორც გატყობ, ძალიან მოგწონს აქ!

კახა — იცი, მართლა კარგად ვვრძნობ თავს, დავისვენე!

ირინე — (მოუღოდნელად) ამას ნინათ სიყვარული ამიხსნეს!

კახა — (ხმას გაინაზებს) დედა, რა ბედნიერი ხარ?! ვინ?

ირინე — მაღალი, ქერა და ცისფერთვალება ბიჭია! (სიგარეტს
უკიდებს და ბოლთას სცემს აქეთ-იქით).

კახა — ნუ ენევით ავადმყოფის ოთახში! ან ავადმყოფსაც მოანე-
ვინეთ!

ირინე — როგორი თვითდაჯერებული ხარ, ეჭვიანობასაც არ კად-
რულობ!



კახა — ღმიერთმა დამიუკაროს! მე შენი მჯერა, ირინ!

ირინე — მე კი არა მჯერა!

კახა — (ნაძალადევი განცვიფრებით) ვისი, საკუთარი თავის? არ მოგვიახლოება?

ირინე — მორჩი! შენი არა მჯერა!

კახა — ბატონი, ბატონი?!

ირინე — ვინ იყო ის მწვანე უირაფი, რვაჯერ რომ ეცეკვე ლელას-თან!

კახა — რა კარგია, ფერებით რომ აზროვნები!.. მწვანე უირაფი...

ცისფერთმიანი, ქერათვალება მიჯნური...

ირინე — ცისფერთვალება, ქერათმიანი!

კახა — ბოდიში, შემეშალა. სასწრაფოდ გადავიდებავ თმას და თვალებსაც, მაგრამ მწვანე უირაფს მაინც ვერ ვახსენებ!

ირინე — რა ვიცი, ვერაფრით აგანინკნეს ერთმანეთს!

კახა — (დალლილად) რა სისულელებს იგონებ, ირინ?

ირინე — ჰო, მილიციამ ვერ გამოგტეხა ვერც ერთხელ და მე რას მოგერევი?

კახა — (ხმას აუწევს) მართლა არ ვიცი, ვისზე მეუბნები!

ირინე — არ ვიცის დედა იცინოდა, ვიცის დედა ტიროდა — ძველ-თბილისური ანდაზა.

კახა — (ალერსიანად) მოდი ჩემთან, ჩემო პატარა ძველო ბიჭი, მართლა საოცრად მომენატრე!

ირინე — (ცრემლიანი ლიმილით) მეც მომენატრე!

(ისკუპებს და თავზე დააცხრება ბიჭს).

კახა — ირინეა, ფრთხილად, გადაგედება!

ირინე — გადამედოს, იქნებ მეც მინდა ფილტვების ანთება მქონ-დეს?! მარიამი ორივეს შეგვიკედლებს!

კახა — (თავს გაითავისუფლებს) ვინ არის ის ქერათვალება, ცის-ფერთმიანი ახალგაზრდა?

ირინე — ცისფერთვალება, ქერათმიან..

კახა — ვინ არის-მეთქი?

ირინე — ჰო, მეტი საქმე არა მაქვს, მაგასაც გაგალახინებ!

კახა — (განცვიფრებით) ვინ უპირებს გალახვას?

ირინე — (თავზე ნაივლებს ხელებს) დედა, რა თაღლითია?! კაცი ველარ მიბედავს შეხედვას ამ ველურის შიშით.. თუმცა, იმ ქერა ბიჭს შენ ვერ მოერევი! კარატისტია!

კახა — თუ კარატისტია, უნდა დავუთმო შენი თავი, სხვა რა გზაა?

ირინე — რატომ არ მექითხები, მე რა ვუპასუხე?

კახა — რა უპასუხე!

ირინე — შენი ფოტოსურათი ამოვილე ჩანთიდან და ვაჩვენე! სხვათა შორის, ლირსეულად მოიქცა, შეტრიალდა და ნავიდა, ცოტა შემცოდა კიდეც!

კახა — ირინე, მართლა ადექი რა, სულ არ გჭირდება ფილტვების
ანთება!

ირინე — ოჰ, შე უსინდისო, არც ეჭვიანობ და ლოგინიზაციაც მაგ
დებ! მე შენ გიჩვენებ სეირს!

(ხელებს შეუყოფს იღლიებში)

კახა — (ისტერიული სიცილით) ირინ, გეხვენები... არ შემიძლია
ლაჭუნის ატანა!

ირინე — აპა, ვერ იტან? აკი არა ვარო ეჭვიანი?

კახა — ვარ! ვარ!

(ირინე თავს გაანებებს ბიჭს, წამოდგება და სავარძელში ეშვება)

ირინე — (დიდხანს უყურებს კახას) შენ მართლა არ იცი... არ გეს-
მის...

კახა — რა?

ირინე — როგორ მიყვარხარ!

კახა — (პაუზის შემდეგ) თუ არ შენუხდები, კურტაკის ჯიბეში ჩა-
ყავი ხელი!

ირინე — (გავეირებული) რა ვქნა?

კახა — გულის ჯიბეში ჩაყავი-მეთქი ხელი!

ირინე — (ამოიოხრებს) მშვენიერი გადასცლაა... მე სიყვარულს
ვუხსნი, ეს კი... მუტრუკო!

(ხელს ჩაყოფს კურტაკის გულის ჯიბეში და მთელი დასტა ფული
ამოაქვს).

ირინე — (გაოგნებული) კახა, რა არის ეს?

კახა — რა უნდა იყოს, ფულია. სამი ათასი მაენეთი!

ირინე — (სუსხიანად) ვისია ეს ფული?

კახა — ჩვენი! ჩემი და შენი!

ირინე — კახა, საიდან ეს ფული?

კახა — (ნაუმღერებს) ხილი ჭამე, მებალეს რას კითხულობ...

ირინე — (ისტერიულად) საიდან-მეთქი?

კახა — (მოშლილად) რა გაყვირებს?

ირინე — აბა, საიდან ამხელა ფული?! ახლავე მითხარი, რა ჩაიდი-
ნე?

კახა — (უკმაყოფილოდ) ოოჰ, კარგი, გეტყვი... მოვიგე!

ირინე — შენ ნინათაც გითამაშია, მაგრამ ამდენი...

კახა — სიმართლე გინდა?

ირინე — მინდა!

კახა — ერთმა ნაძირალამ ეს თანხა მოუგო მეორე ნაძირალას, მე-
ორე ნაძირალამ არ გადაუხადა ვალი პირველს. მაშინ პირველი ნაძი-
რალა ჩემთან მოვიდა და მითხრა, ეს ვალი შენთვის გადმომიბარები-
ამ! თუ აიღებ, მთლიანად შენი იყოს, მე იმ ოხერის გამწარებაც მეყო-
ფაო!



ირინე — მერე, შენ რა ქენია?

კახა — მივედი იმ მეორე ნაძირალასთან და ვუთხარი, ეგ ფულები მოგება!

ირინე — მაინც ჭუჭყიანი ისტორიაა!

კახა — არაეითარ შემთხვევაში, და იცი რატომ? იმიტომ, რომ ეგ თანხა ერთ საქმეს უნდა მოხმარდეს!

ირინე — საბავშვო ბალს უნდა აჩუქო?

კახა — ნუ გადაიღლი თავს ირონიით! ეს ფული ტალინში დამჭირდება!

ირინე — ტალინში რა გინდა?

კახა — რა ვიცი, ვიფიქრე, რომ შენც ასე გადაწყვეტიდი!

ირინე — რას? ნუ დამანყვიტე ნერვები!

კახა — რას და თაფლობის თვის ტალინში გატარებას!

ირინე — რაო, რაო?

კახა — კოტე ჯვარს ინერსო!

ირინე — კახა!

კახა — ერთხელ ხომ ნამოგცდა, საქორწილო მოგზაურობა ტალინით დავიწყოთ! დედა უუტიროთ ამ სამი ათას მანეთს!

ირინე — შენ, მგონი, მართლა ამბობ!

კახა — შორს ლირიკა! საქმიანად ეისაუბროთ! უნივერსიტეტში სალამის დასწრებულზე აღვიდებენ თავს! პარალელურად ვიმუშავებ! ბინის პრობლემა არა გვაქვს, ბებიაჩემი მოხუცდა და შიშები დაენყო, აქედან გამომდინარე, დედაჩემთან გადადის საცხოვრებლად! გარდა ამისა, ჩემს მშობელს კეთილშობილი უესტი გაუკეთებია და მამაჩემის დატოვებული საქმაოდ დიდი თანხა და პენსია ჩემს სახელზე გადაურიცხავს სალაროში! ასე რომ, დასანყისში რამენაირად გავიტანთ თავს, მერე კი...

ირინე — მერე კი?..

კახა — ხომ იცი, რა საქმესაც არ უნდა მოვეიდო ხელი, რამე სერიოზულს მივაღწევ!

(პაუზა)

ამდენი რომ მაქაქანე, ახლა შენც თქვი, რას ფიქრობ ყოველივე ამის შესახებ?!

ირინე — ბედნიერი ვარ!

(მიღის ლოგინთან)

კახა — არ მომექარო, გადაგედება-მეთქი!

ირინე — ნუ გააწყალე გული შენი ფილტვების ანთებით! (ეხვევა კახას. ზარის ხმა კარზე) გავალ, თავს მოვიყვან ნესრიგში, თორემ და-ვაბნევ მარიამს! კარი შენ გააღე!

(გადის. კახა დგება, ხალათს იცვამს და კარს ულებს მარიამს. მა-რიამი შემოსვლისთანავე მოწყვეტით ჯდება სკამზე და სახეზე აიფა-



რებს ხელებს).

კახა — (გავეირვებით) რა მოხდა, ქალბატონო მარიამ? გარემონდები
მარიამი — (სუსატი ხმით) ირინე ნავიდა?

კახა — არა, აქ არის! რა დაგემართათ?

მარიამი — ღმერთო, რა შიში ვჭამე! ვალოკორდინი...

კახა — ოცი წვეთი?

(მარიამი უღონოდ დაუქნევს თავს. კახა სამზარეულოში გარბის)

კახა — (შემორბის ჭიქით ხელში) ინებეთ!

მარიამი — მოკლედ, სულ ერთმანეთის მოვლაში ვართ მე და შენ! (სვამის. გაეცინება. მერე ცრემლი ერევა).

კახა — (დაბნეული) ვერ გავიგე, იცინით თუ სტირით?

მარიამი — (უღონოდ გაასავსავებს ხელებს) მაცალე!

კახა — რა დაგემართათ ასეთი?

მარიამი — გამქურდეს!

კახა — რაა?

მარიამი — ღმერთო, რა შიში ვჭამე!

კახა — სად გაგქურდეს?

მარიამი — ვაკეში, ნაცნობის სადარბაზოში... ორი ბიჭი დამხვდა. ფული მოხოვეს, ერთი თუმნიანი მქონდა და მივეცი, მაგრამ იმ კურდ-ლლისტურამ ბეჭედიც შენიშნა...

კახა — კურდლისტურამ?

მარიამი — ჰო, უსაშველოდ ანონილი ბიჭი იყო. თქვენს თლილ თითებს სამჯაული არ სჭირდება და ბეჭედიც მომთხოვეს! (უეცრად გაეცინება და თითებზე დაიხედავს) რომელი თლილი თითები მე მაქვს?!

კახა — მერე?

მარიამი — შევეხვენე, ბეჭედს ნუ ნამართმევთ, დედაჩემის სახ-სოვარია-მეთქი! მაღალმა კი მიპასუხა, ნუ იქნებით ასეთი სენტიმენ-ტალურიო და ბეჭედიც ნაიღო! მგონი ნარკოტიკი ჰქონდათ მიღებუ-ლი!

კახა — (საქმიანად) კაეფში იყვნენ?

მარიამი — სად იყვნენ?

კახა — ბეჭედი ძვირფასია?

მარიამი — არცოუ ისე, ვერცხლის ბეჭედი იყო, ძველებური, დე-ამ მაჩუქა, ინსტიტუტი რომ დავამთავრე! (ხელს ჩაიქნევს) კარგი, გვეყოფა ამაზე, ალარაცერი ეშველება! შენ რატომ დგახარ ფეხზე, ახლავე დანექი!

(კახა წვება. მარიამი ლაბადას იხდის და სამზარეულოში გადის. შემოდის ირინე).

ირინე — სად არის მარიამი?

კახა — სამზარეულოშია?

მარიაში — (სამზარეულოდან) აქ ვარ, ირინე! (შემოდის) სასაყვაებლად
დური მაქვს შენთან, რატომ არ ასადილე ავადმყოფი?
ირინე — რაღაცნაირად საუბარს შევყევით და...
მარიაში — აბა, ახლა სამიერე ერთად ვისადილოთ!

სურათი მეოთხე

მარიაში ბოლთას ცემს ოთახში და ნერვულად იმტკრევს თი-
თებს. ფანჯარში ნების ხმაური შემოდის. კახას ტახტი ცარი-
ელია. ზარის ხმა კარზე. მარიაში გარბის და კარს ალებს.

მარიაში — (ოდნავ გაეკირვებული) მობრძანდით, ბატონო თენგიზ!
თენგიზი — (შესამჩნევად ნასვამია. ხელში შემპანურის ბოთლი და
ყვავილები უჭირავს) კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ... იცით, უცებ
ძალიან მომინდა... უფრო სწორად, გადავწყვიტე ეგრეთოდებული
მეზობლური ვიზიტის გაეკეთება! უდრიოთ დროს ხომ არ მოვედი?

მარიაში — არა, მობრძანდით!

თენგიზი — მაშინ, თქვენის ნებართვით გავიხდი!

მარიაში — მომეცით, დავვიდებ!

თენგიზი — მე თვითონ, მე თვითონ!

(კიდებს სანვიმარს და მაგიდასთან ჯდება).

მარიაში — მშევნიერი ყვავილებია, ბატონო თენგიზ!

(სურაში აწყობს)

თენგიზი — (მიმოიხედავს) კახა სად არის?

მარიაში — ეგ მაღლელებს მეც. ნახევარი საათით გაეცედი და დაბ-
რუნებისას ალარ დამხედა. არ ვიცი, რა ვიჟიქრო... დღეს დილით ისევ
ჰქონდა სიცხე!

თენგიზი — კი მაგრამ, სად ნავიდოდა ამ წვიმაში!?

მარიაში — ლექსოსაც დავურექე, ირინესაც...

თენგიზი — მე მგონი, არ უნდა იყოს უმაღური ბიჭი, საბოლოოდ
რომ ნასულიყო, დაგემშვიდობებოდათ მაინც (უეცრად ეცინება)

მარიაში — (გაკვირვებით) რა გაცინებთ?

თენგიზი — გამახსენდა რაღაც...

მარიაში — (გალიზიანებით) მაინც?

თენგიზი — პირველად რომ ვნახე თქვენთან, ცოტა ვიეჭვიანე მე
სულელმა!

მარიაში — (პაუზის შემდეგ) ხომ არ ისადილებთ?

თენგიზი — უცნაური ჩვევა გაქვთ, როგორც კი რაღაც მნიშვნე-
ლოვანის თქმას დაეპირებ, ნამსევ ან სადილს, ან ჩაის მთავაზობთ!

მარიაში — (უმნეოდ) ტელეფონზე ხომ არა გსურთ დარჩევა?

თენგიზი — თქვენ მშევნივრად იცით, რომ ჩემი ტელეფონი არა-
სოდეს ფუჭდება!

მარიამი — მაშ, ჩაი...

თენგიზი — აპა, ახლა ჩაი!

მარიამი — (დალლილად) ნუ მანვალებთ, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — (გამოფხიზლდება. შემფოთებით) მაპატიეთ, ცოტა ნასვამი ვარ!

მარიამი — ხილს მოვიტან!

თენგიზი — სიამოვნებით გეახლებით! შეიძლება შამპანური გავხ-სნა?

მარიამი — გახსენით!

(გადის და ხილით სავსე ლანგარი შემოაქვს)

თენგიზი — თქვენ არ ინებებთ?

მარიამი — არა; მე არ მინდა!

თენგიზი — აბა, მარტო ხომ არ დაულევ?

მარიამი — (ჭიქას უწევდის) დამისხით! ოღონდ სადლეგრძელოების გარეშე, კარგით?

თენგიზი — (ოდნავი ნყენით) არც ვაპირებდი ქადაგად დავარდნას!

მარიამი — სად არის ნეტა ეს ბიჭი?

თენგიზი — თქვენ ძალიან შეიცვალეთ ამ ბოლო ხანში!

მარიამი — არ მესმის!

თენგიზი — საზრუნავი რომ გაგიჩნდათ, თითქოს გამოხვედით მუდმივი აპათიიდან!

მარიამი — რა აპათიაზე ბრძანებთ?

თენგიზი — იცით, მე რას გეძახდით ნინათ, სანამ გაგიცნობდით?

მარიამი — ბატონო?

თენგიზი — ქალი ფანჯარასთან... სულ ფანჯარასთან გხედავდით ჭურიდან! იცით, არიან ქალები, რომლებიც მთელი ცხოვრება რაღაცას ელიან! აი, თქვენც...

მარიამი — (ცივად) მე კახას ველი!

თენგიზი — ნუ იქნებით ასეთი მკაცრი!

(ჟაუზა)

მე ნავალ! (ნამოდგება)

მარიამი — (თბილად) ბატონო თენგიზ, ძალიან კარგს იზამთ, თუ დაჯდებით!

თენგიზი — გმადლობთ, რომ არ გამიშვით! (ჯდება)

მარიამი — ხილი მიირთვით!

თენგიზი — (ჭიქას იღებს) თუ ნებას დამრთავთ, მე მინდა...

მარიამი — ხომ შევთანხმდით, სადლეგრძელოს არ ვიტყვითო.

თენგიზი — (ეშმაკური ღიმილით) კი, ბატონო, მე კახა მინდოდა მედლეგრძელებინა!

მარიამი — (სწრაფად დასწვდება ჭიქას) არა, არა, დავლიოთ!

(თენგიზის ეცინება. ორივე სვამს).

მარიამი — (ფიქრიანად) სიცხიანი, ამ წვიმაში...

თენგიზი — ნუ დელავთ, ყველაფერი რიგზე იქნება! (სახეს შოის-რეს) ა ალა მომერიდა სასმელი!

მარიამი — ნუდარ დალევთ მეტს!

თენგიზი — არა, მინდა დავლიო! (პაუზა) იცით, დღეს რესტორანში ვიყავი! ერთ ჩემს ყოფილ კურსელს შეეხვდი, ერთად ვსნავლობდით პოლიტექნიკურში. საკმაოდ დიდი ობიექტი ჩააბარეს და მასთან შემომთავაზა გადასვლა!

მარიამი — თუ სახარბიელოა თქვენთვის, რა გაფიქრებთ!

თენგიზი — იცოცხლეთ, კარგი კია, მაგრამ ძალიან საყაჩალო ადგილია! ფული კი ბევრი მექნება...

მარიამი — თქვენც ნუ იყაჩალებთ!

თენგიზი — ეგ გამორიცხულია, სხვანაირად არც საქმე გაკეთდება და იმ ჩემს მოპატიუსაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაუაგდებ!

მარიამი — რა უპასუხეთ იმ თქვენს მეგობარს?

თენგიზი — ვუთხარი, ვიფიქრებ-მეთქი! როგორც გიეს, ისე შემომხედა! სხვები მეხევენებიან მაგ ადგილოს... ალბათ, დავთანხმდები!

მარიამი — ჰო, პრინციპში სინდისზე ხელის ალბა არასოდეს არაა გვიან!

თენგიზი — ნუ იქნებით ასეთი კატეგორიული! თქვენ ბევრი რამ არ იცით... არ იცით, რას ნიშნავს... თავმოყვარე კაცისთვის უცხო სხეულად ყოფნა... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავუგო ამ ცხოვრებას, როგორც ჩემი ყოფილი მეუღლე მიკიცინებდა!

მარიამი — ხვალ სხვანაირად იფიქრებთ!

თენგიზი — არ ვიცი... ღმერთმა არ ქნას!

მარიამი — თქვენ მე მაკვირებეთ!

თენგიზი — კარგი, შევცვალოთ თემა!

(პაუზა)

მარიამი — თქვენ მგონი მოზრდილი ვაჟი უნდა გყავდეთ!

თენგიზი — დიახ, ოცდაექვსის ხდება მალე! დიდი ბიჭია, მაგრამ... მაგრამ ერთმანეთის არ გვესმის!

მარიამი — ო, ეს ხშირად ხდება!

თენგიზი — არა, აქ სულ სხვა რაღაცაა, სასაყვედურო არაფერი მეთქმის: სკოლაც და ინსტიტუტიც ფრინადზე დაამთავრა! არასოდეს უჩხუბია, არც სიგარეტი მოუწევია, თითქმის არ სვამს... ღმერთო, რამდენჯერ მინატრია, რამე სისულელე გაეკეთებინა!

მარიამი — (ღიმილით) მამის გულს ვერაფრით მოიგებ!

თენგიზი — (პაუზის შემდეგ მოუღოდნელად, სევდიანად) ჩვენს ყმანვილეაცობაში ასეთ დადებით ბიჭებს გამოქლიავებულებს ვეძახდით!



მარიამი — (შეკავებული ლიმილით) რა ბრძანეთ?

თენგიზი — არა, ისე კარგი ბიჭია, კეთილი... თუმცა რაჟუ კუტბურია
თქვენთან, კეთილი არ არის!

მარიამი — (რბილად) ნუ ლაპარაკობთ საკუთარ შვილზე ასე! ეს
ცოტა არ იყოს... არაბუნებრივია!

თენგიზი — (მნარედ) ვიცი, საქმეც მაგაშია, რომ საოცრად მიყ-
ვარს, ჩემი სისხლი და ხორცია, ბოლოს და ბოლოს!

მარიამი — იქნებ თქვენ დააკელით სითბო?

თენგიზი — არა, ბევრი ვეცადე გვეამხანაგა! თუმცა, ალბათ, არც
არის აუცილებელი შვილისა და მამის მეგობრობა, ევროპაში ხომ
ასეა?

მარიამი — ევროპისა აბა რა მოგახსენოთ!

თენგიზი — ერთხელ რაღაც საკვანძო მომენტის გადაჭრისას,
ცოლმა მომახლა, რამ გამოგთიტა, საკუთარი შვილისგან მაინც აიღე
მაგალითით! თვითონაც იქ გახლდათ, მაგრამ ხმა არ გაუღია, დედამი-
სის გვერდზე იდგა და უშფოთველად მომჩერებოდა სკოლის დირექ-
ტორივით! შევხედე ორივეს და მივხვდი, რომ ისინი უცხონი იყვნენ ჩემ-
თვის...

(კვლავ პაუზა)

და ნამოვედი! ახლა ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. მეუღლემ,
ბოლოს და ბოლოს, მომცა განქორწინების უფლება! უცნაურია, სკო-
ლაშიც და ინსტიტუტშიც დიდი ავტორიტეტი მქონდა თანატოლებ-
ში... გოგონებსაც მოვწოდი... მერე კი გაირკვა, რომ თუ მთლად ხელ-
მოცარული არა, არიერგარდში მაინც ვიმყოფები! პუნქტი ა აკვანი,
პუნქტი ბ ორი მეტრი მინა სასაფლაოზე და სულ ფირობა, რომ ხვალ,
ხვალ, ხვალ და არ არის ეს ხვალ. არის მარტო დღეს, დღეს, დღეს... და
ეს დღეს არის ნაცრისისფერი და რიგითი...

მარიამი — მაგრამ რამდენი ბედნიერი ნუთი...

თენგიზი — დიახ, სწორედ ნუთი... ერთად რომ აკინძოთ ეს ბედნი-
ერი ნუთები, ერთ სამსახურებრივ შესვენებას ძლიერ ეყოფა!

მარიამი — სამოცი ბედნიერი ნუთი ძალიან ბევრია, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — თქვენ ხუმრობთ, მე კი მაინტერესებს, რატომ არის
ადამიანი ასე მარტო! ერთი სული მაქვს ნერილი ჩავაგდო ბოთლში,
კარგად დავხუჭო და ზღვაში გადაუძახო.. მეძებეთ, უკაცრიელ კუნ-
ძულზე ვარ! ამა და ამ განედზე, ამა და ამ სიგრძედზე... (პაუზა) უსინ-
დისოდ ავნუნუნდი, მაპატიეთ!

მარიამი — მოდით ერთიც დაულიოთ!

თენგიზი — არა, (დგება, ცოტას შეაბარბაცებს სიმთვრალე) მე ახ-
ლა ნავალ და კახას ვიპოვი!

მარიამი — აბა, სად იპოვით?

თენგიზი — (რიხიანად) სადმე!

მარიამი — ბატონი თენგიზ, სახლში წაბრძანდით, კახა ალბათ
უკე მალე მოვა!

თენგიზი — (უცრად მოეშვება) ჰო, თუმცა თქვენ მართალი
ხართ! ისედაც შეგანყინეთ თავი!

მარიამი — არა, რას ბრძანებთ?

თენგიზი — (ხელზე კოცის მარიამს. შემდეგ საწიმარს დასწოდე-
ბა და ნელი ნაბიჯით მიდის გასასვლელისკენ)

რად გავჩინდი ადამიანად,

რატომ არ მოველ წვიმადა!

(გადის. მარიამი ცოტა ხანს უძრავად დგას, შემდეგ სუფრას ალა-
გბს. ყველაფერი სამზარეულოში გააქცს. ცოტა ხნის შემდეგ ბრუნ-
დება, ოთახს შეათვალიერებს და სკამზე ჯდება).

მარიამი — მეონი მეც მომზონხართ, ბატონი თენგიზ!

(ზარის ხმა. მარიამი კარისკენ გარბის. შემოდის კახა).

მარიამი — (შვებით) მადლობა ღმერთი! რატომ გამიხეთქე გული?
კახა — ნებართვა რომ მეთხოვა, ხომ არ გამიშვებდით?!

მარიამი — სასწავლოდ გაიხადე და დანექი! ხომ არ დასველდი?
(ქოჩორზე მოუსვამს ხელს)

კახა — არა!

მარიამი — (თერმომეტრს ანვდის) ჩაიდე!

კახა — ირინეა ხომ არ მოსულა?

მარიამი — აპირებდა მოსულას! ახლა ალბათ ის და ლექსო მთელ
ქალაქში დაგეძებენ!

კახა — არა უშავს, დავურეკავ! (კარადასთან მიდის და რაღაცას
ეძებს) ქალბატონო მარიამ, სად არის ჩემი სათამაშო, ნასვლის ნინაც
ვეძებე და ვერ ვიპოვე!

მარიამი — (პაუზის შემდეგ. დამნაშავედ) კახა, უნდა მაპტიო!

კახა — რა მოხდა?

მარიამი — შენი იარაღი ჩვარში გავახვიე და მკტვარში გადავაგდე!

კახა — (გამშრალი) თქვენ ხუმრობთ!

მარიამი — არ შემეძლო სხვანაირად, ყოველ ღამე კოშმარები
მკლავდა... იცი, ნინათვრძნობასავით მქონდა, რომ ეგ პისტოლეტი
რაღაც უბედურებას გადაგყრიდა!

კახა — თქვენ რა, მართლა გადააგდეთ?

მარიამი — ჰო, კახა!

კახა — (ყვირის) რატომ? რატომ მიეცით თქვენს თავს ამდენის
უფლება?

(მარიამი კახას ყვირილზე უნებურად სახეზე აიფარებს ხელებს,
უკან დაიხევს და სკამზე ეცემა მოწყვეტით).

კახა — რა დაგემართათ? (დაბნეული)

მარიამი — შემეშინდა!

კახა — ჩამოიღეთ ხელები, მართლა არ გამავიყოთ!
 მარიამი — (მელავებს ჩამოუშვებს) შენ მე მიყვირე!
 კახა — (ჩუმად) ძალიან გაემწარდი!
 მარიამი — (ჩუმად) იმ რეინის ნაჭრისთვის?
 კახა — ხომ ვითხარით, უნებლიერ მომივიდა-მეთქი!
 (მარიამი არ პასუხობს)
 მაპატიეთ!
 (მარიამი არ პასუხობს. კახა კურტაქს მოიცვამს, რალაცას მოიჩხ-
 რეკს ჯიბეში და ლოგინთან მდგარ სკამზე დასდებს).
 მარიამი — გაიხადე და ლოგინში ჩაწერი!
 კახა — არა, მე ნავალ!
 მარიამი — გაიხადე-მეთქი!
 (კახა ყოფილა ნობს. მარიამი დგება, მიდის მასთან და კურტაქს ხდის).
 მარიამი — არ ვიცოდი, ასე თუ დაგნუვეტდა გულს!
 კახა — თქვენ არ იღელვოთ, მასეთ იარაღს ათს ვიძოვი.
 მარიამი — უჲ, რა დამანყნარე? ახლა მართლა აღარ ვიღელვებ!
 კახა — (ეცინება) არა, მე მინდოდა მეთქვა...
 მარიამი — სიცხე გაიზომე?
 კახა — დამავიწყდა!
 (თერმომეტრს ჩაიდებს)
 მარიამი — გაიზომე და ჩაწერი, ცოტა ხანში გასადილებ!
 კახა — (სანყლად) არა მშია!
 მარიამი — იცი რას გეტყვი...
 კახა — გნებდებით!
 (მარიამი მოტრიალდება და გასულას აპირებს)
 კახა — ერთი წამით, ქალბატონი მარიამ!
 (მარიამი შეჩერდება)
 თვალები დახუჭეთ და ხელი გამომინოდეთ!
 (მარიამი ოდნავ იჩეჩავს მხრებს და თხოვნას უსრულებს, კახა გა-
 მოწვდილ ხელზე ბეჭედს უკეთებს მარიამს).
 მარიამი — (თვალს ახელს, გაოგნებული) ჩემი ბეჭედი!
 კახა — დიახ, ნასულა რომ დავაპირე, აქვე დავდე სკამზე, მაგრამ
 თქვენ ვერ შეამჩნიერ!
 მარიამი — როდის?
 კახა — ორიოდე წუთის წინ!
 მარიამი — (მოეხვევა ბიჭს) რა კარგი ბიჭი ხარ!
 (უეცრად შიშით)
 იმ ბანდიტებს ნაართვი?
 კახა — არა, ვთხოვე და მომცეს.
 მარიამი — კი, მაგრამ როგორ მიხედი?
 კახა — თქვენი აღნერილობით... კურდღლისტურა, ანონილი, კაფე

ერთი მეგულებოდა იმ მიღამოებში!

მარიამი — შენი ამხანაგია?

კახა — (ოდნავ ნყენით) თქვენ როგორ ფიქრობთ?

მარიამი — ბოდიში!

კახა — დღეს ურთიერთბოდიშობის დღე გვაქვს!

მარიამი — ვერ ნარმოიდგენ, როგორ გამახარე, ჩემი პატარა რობინ ჰუდო, მაგრამ მეცა მაქვს შენთვის სიურპრიზი!

კახა — მაინც ვერ გამოიცინობ, ასე რომ, პირდაპირ მითხარით!

მარიამი — ჩემი ძეველი ნაცნობობა ჩავრთე და ეს დღეები შენი უნივერსიტეტში აღდგენის საქმეზე დავრბოდი! მგონი მალე სასიკეთოდ გადაწყვდება ეს საკითხიც!

კახა — (აღფრთოვანებით) ქალბატონო მარიამ!

მარიამი — უიმე, ჩაიდანი ამიტეთქდება! (გარბის სამზარეულოში. დარეტიანებული, ილლიაში თერმომეტრამოჩილი კახა უკან მისდევს მას).

სურათი მეხუთე

მარიამის სახლი. კახა ფიქრიანად ცემს ბოლოთას ოთახში. ზარის ხმა კარზე. კახა ცოტა ხანს ყოფილობს, შემდეგ თითქოს რაღაცა გადაწყვიტაო. სწრაფი ნაბიჯით მიღის კარისკენ და აღებს. შემოდის ირინე, მხარზე ჩანთა აქეს გადაეიდებული.

ირინე — (ნაზად კოცნის ბიჭს) სად ხარ მთელი დღე? ჩამოვიდე ტელეფონი!

კახა — საქმეზე გავედი!

ირინე — მერე რას დაძურდუებო სიცხიანი? მოიშუშე რა ბოლომდე ეგ ანთება, სულ არ მინდა სნეული ქმარი საქორნინო მოგზაურობაში! მარიამი სად არის?

კახა — სამსახურში ნავიდა! ძალიან გავანანყენე!

ირინე — რით?

კახა - მე სულელმა გადავწყვიტე ფული შემეთავაზებინა. თუ ასეთ ახლობლად მთელით, ნება მომეცით, სადილის თანხა მე გადავიხადო-მეთქი! და ეწყინა!

ირინე — მართლა სისულელე მოგსვლია!

კახა — აბა, რა მექნა, ამხელა მუტრუე დავანექი კისერზე!

ირინე — არა უშავს, მარიამი ოქროა, შეგირიგებს! ამიტომ ვერა ხარ ხასიათზე, თუ, ჩემი მოსვლა გენყინა?

კახა — შენი მოსვლა მეწყინა!

(მეტადზე მიიხუტებს გოგონას და დიდხანს დგას ასე, რაღაცაზე ჩაფიქრებული).

ირინე — გამიშვი! (თავს გაითავისუფლებს და თმას ისწორებს)

თეოთმფრინავის ბილეთები აიღე?

კახა — აეიღე!

ირინე — სად არის?

კახა — სკამზე. პასპორტებში!

ირინე — (კოცნის ბილეთებს და რამდენიმე საცეკვაო პას აკე-
თებს ოთახში) სამ დღეში მიეფრინავთ, შენ კი ცხვირ-პირი ჩამოგტი-
რის. რამ მიგაპანაშვიდა ასე?

კახა — გეჩვენება!

ირინე — მმაჩიში მოელაპარაკე?

კახა — მოველაპარაკე!

ირინე — ყველაფერი რიგზეა?

კახა — რიგზეა!

ირინე — კიდევ კარგი, თორემ ახლა, ამ მდგომარეობაში ერთი
თვე ერთაფრით ვერ მოვიცდიდი! არა, რაღაცა ხდება შენს თავს, რა
დაგემართა?

კახა — ხომ გითხარი, გეჩვენება-მეთქი!

(ირინე ცოტა ხანს ყურადღებით აკეირდება ბიჭს, შემდეგ ჩანთას
დაავლებს ხელს და მეზობელ ითახში გადის).

ირინეს ხმა — არ შემოხვიდე!

(კახა სიგარეტს უკიდებს და ფანჯარასთან მიდის).

ირინე — (შემოდის საქორწილო, გრძელ თეთრ კაბაში გამოწყობი-
ლი) შეგიძლია მოტრიალდე!

კახა — (მოტრიალდება) ირინკა!

ირინე — (ლრმა რევერანსს უკეთებს) გისმენთ, ჩემო მბრძანებელო!

კახა — (გაბრწყინებული სახით) ირინკა!

ირინე — (პოზას არ იცულის) მე თვრამეტი წელია, ირინკას მეძა-
ხიან, თქვი რამე პოეტური, შე სქელეკანიანო!

კახა — საოცრად გიხდება, ირინ!

ირინე — მოდი ერთი წუთით სარკესთან მივიდეთ!

(ავანსცენაზე გადიან)

მშვენიერი წყვილი ვართ, არა?

კახა — რის პრინც ჩარლზი და რის ლედი დიანა!

ირინე — (სერიოზულად) გეთანხმები! ახლა სკამზე დაჯექი და
ყურადღებით მისმინე!

(ზურგსუკან დაინწყობს ხელებს და ბოლთას (ცემს ოთახში) ტალინ-
ში ჩასვლისთანავე, უფრო სწორად, პირველ საღამოს, მივდივართ მი-
უნდი ბარში...)

კახა — ირინ...

ირინე — არ შემანყვეტინო... ჰო, მართლა, შენ არც იცი! სასტუმ-
როს ამბავი გარკვეულია, უირუში გვექნება ნომერი! მაგრამ სჯობს
თავიდან დავინყო! მაგ ასე... ჩენებს საქმის კურსში ნასვლის ნინა

დღეს ვაყენებთ! ბრძოლა, ცოტა მეშინია, მაგრამ არაუშავს, შეუძლებელია არ მოხიბლო! პრინციპში შეგვიძლია გავიპაროთ, მაგრამ უკარის ივარგებს, იმიტომ, რომ უკვე ბანალური გახდა, თანაც ჩვენები შეცოდებიან!

კახა — ახლა მე მომისმინე, ირინქა!

ირინე — (მუხლებში ჩაუჯდება ბიჭს) გისმენთ, პატივცემულო საქმროე!

კახა — გაიხადე ეგ კაბა!

ირინე — (შეშფოთებით) რა, არ მოგწონს?

კახა — მომწონს კი არა, ჟეუაზე არა ვარ!

ირინე — აბა, რატომ გავიხადო?

კახა — ერთი ნუთით ნამოდექი!

(გაკეირვებული ირინე დგება).

ირინე — რა უნდა მითხრა ასეთი?

კახა — (დგება, სიგარეტს უკიდებს და ცოტა ხანს დაუტინებით უყურებს გოგონას) შენ ხომ ხარ ჩემი ვაუკაცი გოგო?!

ირინე — (შეშფოთებით) კახა, რისთვის მამზადებ?

კახა — ჩვენ ვერ ნავალთ ტალინში, ირინ, ვერც ტალინში, ვერც სადმე სხვაგან!

(ირინე უღონოდ ეშვება სკამზე).

დაწყნარდი, მე არ მითქამს, საერთოდ, ვერ ნავალთ-მეთქი! უბრალოდ, გვიან გაზაფხულამდე მოგვინევს აქ მოგზაურობის გადადება!

ირინე — (უსიცოცხლო ხმით) რატომ?

კახა — მიზეზების მთელი კომპლექსია! ერთი ის არის, რომ ბები-აჩემი გაზაფხულამდე არ აპირებს გადასვლას!

ირინე — ეგ არ არის მიზეზი, შენ მთავარი მითხარი!

კახა — ირინ, ვიცი, როგორც გატკინე გული, მაგრამ დამიჯერე, სხვა გამოსავალი არა მაქეს!

ირინე — (მშვიდად) მითხარი მიზეზი!

კახა — ძალიან გთხოვ, მენდე ახსნა-განმარტებების გარეშე!

ირინე — მიზეზი-მეთქი, თორემ ფანჯრიდან გადავხტები!

კახა — (უხალისოდ) ერთი ჩემი მეგობარი პატიმრობიდან გაიქცა, გუშინ ჩამოვიდა თბილისში... საკავშირო ძებნაა გამოცხადებული!

ირინე — (უსიცოცხლო ხმით) მე ვიცოდი... ვიცოდი, რომ რაღაც ამდაგვარი...

კახა — მისმინე! პირველად რომ დამიჭირეს, ერთ საკანში მოვხვდით, მაგან მიპატრონა, ძმობა გამინია, საოცრად საყვარელი და უბედური ბიჭია!

ირინე — ეგრეც ვიცოდი!

კახა — ნუ დაიჩემე ეგ სიტყვა! დამამთაერებინე! ის სამი ათასი მა-

ნეთიც მაგას მიკეცი, არ ილებდა, მაგრამ დავაძალე! პრინციპიში ეგ არ
არის პრობლემა და ფულზე ნუ გადატეხავ ჯოხს! მთავარი ინაუ, რომ
ჩემს მეტი პატრონი ახლა მაგას არ ჰყავს. ლექსოც არ იცნობს... გორჩა
ქვია, ერთხელ გაგაცანი კიდეც რუსთაველზე, გახსოვს?

(ირინე არ პასუხობს)

ჰო, აბა საიდან გემაბსოურება?! მოელედ, ერთი ორი თვე უნდა
დაემზალო და ვუპატრონო, სანამ არ ჩაცხრება აუიოტაჟი!.. მანამდე,
გორჩა ქუჩაშიც ვერ გავა! მერე კი რამენაირად გავაპარებ სადმე! ნე-
სით არ უნდა გამამტყუნო, ირინე!

ირინე — (მშვიდად) მე ვიცოდი... ვიცოდი, რომ რაღაც ამდაგვარი
მოხდებოდა! მე ვიცოდი...

კახა — რა გემართება, ირინ!

ირინე — მე ვიცოდი... რომ რაღაც ამდაგვარი...

კახა — ირინე!

(გარბის და წყალი მოაქვს გოგონასათვის, ძალით ასმევს).

ირინე — მიუნდი ბარი... კაბა... ბილეთები..

(ისტერიული სიცილი უტყდება. დამფრთხალი კახა ცდილობს კი-
დევ დაალევინოს წყალი, მაგრამ ირინე ხელით იშორებს მას).

კახა — ირინე, რა მოგდის?

ირინე — (უცრიად წყნარდება) არაფერი! ძალიან კარგი, ასე რომ
მოხდა... დღეს თუ არა ხვალ მაინც მოხდებოდა რაღაცა...

კახა — გაიგე, რომ სხვანაირად მე ვერ მოვიქცევი! ჩემს მეტი პატ-
რონი არა ჰყავს, გესმის?! შენ რომ იმის თვალებში ჩაგახედა, ალარ
გამამტყუნებდი?!

ირინე — თვალებში? (დგება და ახლოს მიაქვს სახე კახასთან) აბა,
მე ჩამხედე თვალებში? ხედავ რამეს? ვერაფერს დაინახავ! ვეღარა-
სოდეს!

კახა — (ცივად) ნუ მაშინებ!

ირინე — (წყნარად) მე არ გაშინებ, რომელი მშიშარა ბიჭი შენა
ხარ?! მე მხოლოდ გაგაფრთხილე! ნინასნარ!

კახა — (იფეთქებს) აბა, რას მთავაზობ, ძმასავით საყვარელი კა-
ცი გასაჭირში მივატოვო და თვითონ მიუნდი ბარში ვიგრიალო?!

ირინე — გავალ, კაბას გამოვიცვლი!

(გადის. კახა მოწყვეტით დაჯდება სკამზე და სახეს ხელებში ჩარ-
გავს. შემოდის ირინე, ხელში ჩანთა უჭირავს).

კახა — დაჯექი, ირინე!

ირინე — (სკამზე ეშვება) ჰო, ცოტა ხნით შეიძლება, ნასვლის ნინ
ხომ ასე აკეთებენ?

კახა — ნუთუ არ გესმის ჩემი?

ირინე — არა!

კახა — ახლა, ამ ცხელ გულზე, თუ...


ირინე — არა! მე გადავინვი, კახა, დავილალე! წასვლა რომ ვთქვი,
უბრალო წასელა არ გეგონოს, მე სულ მივდივარ, საბოლოოდ შექმნავ ულევა
ვარ, გესმის?

კახა — შენ თუ ახლა ვერ მიმიხვდი, ვერც ვერასოდეს გამიგებ! მე
ყოველთვის ისე მოვიტევი...

ირინე — როგორც სინდისი გიკარნახებს, არა?!

კახა — რატომ ასე მაღალფარდოვნად?!

ირინე — ჰო, ეს მშვენიერი პოზიციაა, ყველასთან მართალი იყო!

კახა — კაცმა რომ თქვას, რითია ცუდი?

ირინე — შენ.. დიახ, შენ, ჩემთან მართალი ხარ?

კახა — რა ვქნა, არა მაქვს ქერა თვალები და ცისფერი კულულები!

ირინე — (ფიქრიანად) ცისფერი თვალები და ქერა თმა! (პაუზა) მართლა არა გაქვს! (დგება) ახლა შეიძლება დავიძრათ კიდეც! კარგად იყავი და ნურსად მოიტეხ კისერს! ახლა სხვამ დაიწყვიტოს ნერვები შენს გამო! მე, სამნუხაროდ, გადავინვი! წავედი, კახა! კი არ გაშინებ, უბრალოდ, მივდივარ... მივდივარ და მივდივარ!

(გადის. კახა მარტო რჩება ოთახში. ცოტა ხანს ყოყმანობს, შემდეგ კურტაქს მოისხამს და კართან მიდის, მაგრამ ალარ გაალებს კარს, ნელა გაუშვებს ხელს სახელურს, კურტაქს ჰქიდებს და კვლავ სავარელში ჩაჯდება).

პირველი აქტის დასასრული

მეორე მოძრადება

სურათი მეექვსე

კვლავ ქლავესინის მელოდია. მარიამი მაგიდასთან ზის და ბეჭდაეს. ზარის ხმა კარზე. მარიამი დგება, სათვალეს იხსნის და კარს ალებს.

მარიამი — ირინე! (ეხვევა შემოსულ გოგონას) სად დამეკარგა? მთელი კეირაა, ალარ მინახისარ!

ირინე — როგორ ბრძანდებით, ქალბატონო მარიამ?

მარიამი — არა მიშავს, დაჯექი და მომიყევი შენი ამბები!

ირინე — არა, ვჩერობ!

მარიამი — დაჯექი, დაჯექი, კახა ერთ საათში მოვა!

ირინე — მე ვიცოდი, სახლში რომ არ იყო! უნივერსიტეტის წინ დავინახე მანქანიდან!

მარიამი — როდის?

ირინე — ხუთი ნუთის წინ! სწორედ ამიტომ ამოვედი თქვენთან!



მარიამი — კარგი, ნუ ებუსხები, გამოასწორებს თავის შეცოლება
მებს! შენ ახალი ამბავი არ იცი!

ირინე — რა ამბავი?

მარიამი — კახას უნივერსიტეტში აღდგენას უპირებენ! დღეს
სწორედ საბუთებს აფორმებს!

ირინე — ჰორ? ეს კარგია!

მარიამი — (წყენანარევი გაკეირებით) შენ რა, არ გაგეხარდა?

ირინე — მე ვთხოვდები, ქალბატონი მარიამ!

მარიამი — (პაუზის შემდეგ) თხოვდები?

ირინე — დიახ!

მარიამი — კი, მაგრამ როდის გადაწყვიტეთ, კახას ჩემთვის არა-
უერთ უთქვამს!

ირინე — აბა, რა უნდა ეთქვა კახას?!

მარიამი — არ მესმის!

ირინე — სხვას მივყვები!

მარიამი — (პაუზის შემდეგ, ნაძალადევი სიცილით) ოჟ, შე პატა-
რა მისტიკიკატორო...

ირინე — მე არა ვხემრობ, ქალბატონი მარიამ!

მარიამი — (ჩამწყდარი ხმით) ირინე, რა ხდება შენს თავს!

ირინე — (მხრებს აიჩინავს) არაფერი, ვთხოვდები, ესაა და ეს!
უფრო სწორად, ვიპარები ერთ ბიჭთან ერთად!

მარიამი — ვინ ბიჭთან ერთად?

ირინე — ქერა ბიჭია, ცისფერთვალება... აბა, მეტი რა მოგახსე-
ნოთ, ორი ევირაა რაც გავიცანი!

მარიამი — შენ რა, გაგიუდი თუ მე მაგიუდებ!

ირინე — არა, სრულ ჭერაზე გახლავართ! დაბლა მანქანა მელო-
დება!

მარიამი — რა მანქანა?

ირინე — ის ბიჭი და მისი მეგობრები მელიან!

მარიამი — ირინე, გონის მოდი, კახას რას უპირებ?


ირინე — კახამ გააქეთა თავისი არჩევანი! ციხიდან გაქცეულ ბან-
დიტში გამცვალა!

მარიამი — გამარკვიე, რა მოხდა!

ირინე — ახლა აღარ აქვს ამას მინიშვნელობა, უბრალოდ ბოლო
ნვეთი იყო! მომბეზრდა განუწყვეტლად ხიფათის მოლოდინი! არასო-
დეს მესმოდა მატადორთა ცოლების!

მარიამი — (გამოგნებული) ირინეა, ერთხელ დალატის მეორე მოყ-
ვება, იცოდე!

ირინე — ნუ ეცდებით გადამაფიქრებინოთ, ქალბატონი მარიამ,
მე მაგისტვის არ მოვსულვარ აქ! თქვენ მინდოდა მენახეთ ნასვლის
წინ და ორიოდე სიტყვა დამებარებინა კახასთან!



მარიაში — ირინე, მოიცადე რამდენიმე დღე, ნუ დაილუპავ თავს!

ირინე — მე ამას სწორად საკუთარი თავის გადასარჩენად უჭირავთ თებ! მშვიდი, ნორმალური ოჯახის შექმნა მინდა! თქვენმა ფეხიანი კახამ საკმარისად დამაგლივა ნერვები! (ჩაიცინებს) ისტორია მე გა- მამართლებს!

მარიაში — ძვირი დაგიჯდება ეგ ხუმრობა. საკუთარ თავს ვერ მოატყუებ! (პაუზა) შენ ალარ გიყვარს კახა?

ირინე — (უეცრად ნამოხტება სკამიდან) მერე რა, რომ მიყვარს?!

მარიაში — (ისიც ყევირის) არ გესმის, რომ ეს პათოლოგიაა, პათო- ლოგია. ერთი გიყვარდეს და მეორეს მიყვებოდე.

ირინე — მე კახასთან ბრძოლა ველარ შევძელი, თორემ საკუთარ გრძნობას როგორმე მოვუგრებ კისერს!

მარიაში — მოუგრებ?

ირინე — დიახ! რა მომცა ამ გრძნობამ? ციხის კართან დგომა, სხვა არაფერი!

მარიაში — არც არფერი სხვა?

ირინე — (სევდიანად) არა, დღესასწაულიც საკმაოდ იყო!

მარიაში — (დგება და გასაღებზე კეტავს კარს) მე შენ არსად არ გაგიშვებ!

ირინე — მომეცით გასაღები, ქალბატონო მარიამ!

მარიაში — ირინე, გონს მოდი!

ირინე — (ცივად) თქვენ ძალიან გაერთეთ დედობანას თამაშით! მომეცით გასაღები!

მარიაში — (შეძრნუნებული) დედობანას თამაშით?

ირინე — დიახ! (ყვირის) საკუთარი არა გყავთ და ვინმეზე გინდათ დახარჯოთ ეგ დაგუბებული პოტენცია... მე კი არ ვთამაშობ, მე ვცხოვრობ, გასაგებია?

მარიაში — (მაგიდაზე დებს გასაღებს) აიღე და ნადი!

ირინე — ქალბატონო მარიამ, მაპატიეთ!

მარიაში — (დაღლილად) კახა მოვა მალე!

ირინე — არ ვიცი, რამ გამაბოროტა ასე? (პაუზის შემდეგ) თქვენ კახას აუხსენით თუ შეიძლება, რომ სხვანაირად არ შემეძლო, ჰაერში ვიყავი გამოკიდებული და ამ დროს გამოჩინდა ის ბიჭი... მე მას უუყ- ვარვარ!

მარიაში — მე ვერაფერს აუუხსნი კახას! ნურაფერს დამავალებ!

ირინე — (ჩანთას აიღებს და გასაღებით აღებს კარს. უცებ მოტ- რიალდება) იცით, თქვენ რომ არ გამოჩინოდით პატრონად, გამიჭირ- დებოდა მისი მიტოვება!

მარიაში — (ცივად) კახა თოჯინა არ არის, ვინმეს რომ გადააბა- რო!

ირინე — (პაუზის შემდეგ) მშვიდობით, ქალბატონო მარიამ. (გარ-

ბის, მარიამი გაქვავებულივით ზის დიდხანს. შემდეგ გამოურკვევას წამოდგება და უაზროდ დადის ოთახში... ბოლოს საბეჭდ მანაზე და და ფურცლებს აალაგებს და თაროზე დებს. შემდეგ ფანჯარასთან მიღის და დიდხანს დგას ასე, რალაცაზე ჩაფიქრებული).

მარიამი — (უეცრად შეერთება) ვაიმე, კახა!

(მიღის კარისენ და ალებს, შემდეგ მაგიდასთან ბრუნდება).

კახა — (შემოდის) კარი ლია დაგრჩენიათ!

მარიამი — არა, ფანჯრიდან დაგინახე და გავალე!

კახა — რა დაგემართათ, მოხდა რამე?

მარიამი — არაფერი. საბუთები გააფორმე?

კახა — ყველაფერი რიგზე! მგონი მართლა დაუუბრუნდი ჩემს ალმა მატერს! რასაკეირველია, თქვენი ნყალობით!

(ცერემონიულად კოცნის ხელზე მარიამს, შემდეგ კართან დაგდებულ ჩანთას იღებს და მაგიდაზე დებს) ბაზარში ვიყავი და ლომივით ვივაჭრე! მართლა კი არა, სულ არ ვიცი ვაჭრობა... მაგრამ შერჩევით ყველაფერი ხარისხიანი შევარჩიე!

მარიამი — რატომ აეკოდ ამას?

კახა — თქვენ გინდათ სტუმრად მაგრძნობინოთ თავი?

მარიამი — (სუსტი ლიმილით) არა!

კახა — მაშ ნუ მსაყვედურობთ! ჰო, მართლა, ქალბატონო მარიამ, შეიძლება ცოტა ხანიც ვიცხოვრო თქვენთან?.. ბებიაჩემმა ჩემს ოთახში ვიღაც ქალი შეასახლა, მომელელად მჭირდებაო...

მარიამი — ამას რა კითხვა უნდა?

კახა — გმადლობთ! სადილს მე თვითონ გაევაკეთებ, არა ვარ ურიგო კელინარი!

(ჩანთას დაავლებს ხელს და სამზარეულოში შეაქვს. შემდეგ ბრუნდება და ტელეფონთან მიღის) ირინეას ვეძებ მთელი კვირაა, ცოტა გამებუტა და მემალება!

მარიამი — ცოტა გაგებუტა?

კახა — (ჩაიცინებს) არა, ამჯერად საემაოდ მაგრად, თუმცა ალდე გენის ამბავს რომ გაიგებს, უცებ მოულბება გული! თქვენთვის ხომ არ დაურევაეს?

მარიამი — არა!

კახა — (ტელეფონთან მიღის და რიცხვს კრეცს) ირინეს სთხოვეთ თუ შეიძლება... არ არის? უკაცრავად... გადაეცით, თუ შეიძლება, რომ კახამ დარევა! გმადლობთ!

(კიდებს ყურმილს და იცინის) ჩემს სახელს რომ გაიგებს ხოლმე, წამსვე ხმა ეცვლება დედამისს! თვალით არ ვუნახივარ, მაგრამ დაუსწრებლად ვერ მიტანს! თუმცა არცაა გასაკეირი!

მარიამი — რატომ?

კახა — რა არ უთხრეს ჩემს შესახებ! ხულიგანიო, ნაციხარიო,

ნ. რეკომენიო... და ასე შემდეგ! ცხოვრებაში არ გავეკარებივარ ნარკო-
ტიქს!



მარიამი — ვინ უთხრა?

კახა — რა ვიცი, ცოტაა კეთილისმსურველი?

მარიამი — კახა, რაღაცა მინდა გეითხო?

კახა — ბრძანეთ!

მარიამი — პირველად რომ უბრალო ჩხუბზე დაგიჭირეს, ვიცი.

კახა — თქვენ გაინტერესებთ, მეორედ რაზე დამიჭირეს? არაფ-
რის გამო! თუმცა, ყველა ასე ამბობს.

მარიამი — არა, მე შენი მჯერა!

კახა — ერთ დაბადების დღეზე, სადაც საქმაოდ ჭრელი საზოგა-
დოება იყო შეკრებილი, ვიღაცამ ვიღაცა დაჭრა! ყველა იქ მყოფი აგ-
ვიყვანეს და ჩემზე აიღეს ეჭვი, როგორც ერთხელ უკვე ნაციხარზე! ამ
დროს ნამდვილი დამნაშავე გაიქცა.

მარიამი — ირინეც იქ იყო?

კახა — დიას და სწორედ მაგ ფაქტორმა გადაწყვიტა ყველაფერი!
მე უკვე მოყუჩებული ყყავდით, ირინეა რომ შემოიყვანეს სამორიგე-
ოში... ეს რომ დავინახე, ნერვებმა ველარ გამიძლო და ვიყვირე, გაუშ-
ვით სუჟველა, მე დავჭერი-მჟეჟი! არ მინდოდა, ირინეა დაეკითხათ!

მარიამი — ნამდვილი დამნაშავე?

კახა — ნამდვილი დამნაშავე თვითონ დაჭრილმა ჩაუშვა, მაგრამ
რატომძაც საში თვის შემდეგ, მანამდე არ ვიციო, იძახდა! მერე, სანამ
არ ვიცის და აზუსტეს, კიდევ ორი თვე გავიდა... ბოლოს გამომიშვეს!
ესა და ეს!

მარიამი — ირინემ იცოდა, რატომ აიღე შენს თავზე დანაშაული!

კახა — კი, გაიგო და ერთეულირიანი ისტერიკა დაემართა, მოკლედ,
მაგრად განვალდა ჩემი სისულელის გამო!

მარიამი — მე არც ერთ შენს მეგობარს არ ვიცნობ!

კახა — ჰა, ერიდებათ თქვენთან ამოსვლა!

მარიამი — (ამოიბრებს) ერთი რამე არ მესმის, როგორა ხართ
ასეთი კარგები, როცა ასეთი ცუდები ხართ!

(კახა იცინის. ტელეფონის ზარი. მარიამი ყურმილს იღებს) გის-
მენთ... კახას? ვინ კითხულობს?.. ნანა?

კახა — (მხრებს იჩეჩავს) საიდან გაიგო თქვენი ტელეფონი.

მარიამი — ამნუთას. (კახას) ვინ არის ნანა?

კახა — არის ერთი... ირინეა მწვანე უირაფს ეძახის! (ყურმილს არ-
თმევს მარიამს) ნანა გამარჯობა, როგორ ვიკითხო?.. რას მამზადებ,
ასეთი რა უნდა მითხრა? (პაუზა. კახას ყურმილი უცივდება ხელში და
ნელა ეშვება ტახტზე) შენ ხომ არ გაგიუდი?.. ვინ გითხრა? (ყვირის) ეს
ჭრია, ჭრი! და ენას ამოგაძრობთ სუჟველას, თქვენი... (მარიამს,
გაოგნებული) დამიკიდა! ირინეაზე მითხრა...



მარიამი — (ტკივილით) მართალი გითხრა!

კახა — მართალი? (პაუზის შემდეგ) თქვენც გაიგეთ? რა მოგვიანება...

მარიამი — თვითონ ირინემ მითხრა! მე არ მინდოდა ასე უციბად...

**კახა — (თავს ჩაქინდრავს და ყურმილი უვარდება ხელიდან) ცის-
ფერთვალება, ქერათმიანი?!**

მარიამი — ჰო, ცისფერთვალება!

(მის გვერდით ჩამოვაჭდება და თმაზე ეფერება ბიჭს) ხომ ხედავ,
არც კი განყნარება! მე მჯერა, რომ შენ ვაჟაცი ხარ!

კახა — (დაბნეულად შეხედავს ქალს) რა ბრძანეთ?

მარიამი — შენ ხომ ვაჟაცი ხარ?

**კახა — დიახ, ალბათ... (დგება, უაზროდ დადის ოთახში, სკამს და-
ეტავება და ნააქცევს) ეს სიზმარია... მე ეს მესიზმრება!**

მარიამი — (უმწეოდ) კახა!

**კახა — (თავისითვის ბურტყუნებს) ეს სიზმარია, მე ეს მესიზმრება,
(ბარბაცით მიღის ტახტთან და მოწყვეტით ჯდება ზედ).**

**მარიამი — (ტკივილით შეპყურებს მის ასეთ ყოფას) კახა, დამშ-
ვიდდი!**

კახა — ნყალი მოიტანეთ?

მარიამი — ამწუთას!

(გარბის სამზარეულოში. კახა დგება, კარს ალებს და გადის. შემო-
დის მარიამი ნყლით საესე ჭიქით ხელში. დაბნეული დასწრება კახას
კურტაკს, შემდეგ ფანჯარას ეცემა).

მარიამი — (ფანჯრიდან) კახა! კახა!

(კურტაკს მკერდზე მიიხუტებს და კარისკენ გარბის).

სურათი მეშვიდე

ოთახი. მარიამი ტახტზე ზის ხელებში თავიარგული. მაგიდაზე

საბეჭდი მანქანა და უნესრიგოდ მიმოფანტული ფურცლებია.

ზარის ხმა კარზე. მარიამი სწრაფად დგება და კართან მიღის.

მარიამი — მოპრძანდით, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — გამარჯობათ, ხომ არ მოგაცდინეთ!

მარიამი — (ხელს აიქნევს) არა, კისერი უტეხია ამ სამუშაოს!

თენგიზი — (გაკვირვებით) მოხდა რამე?

მარიამი — არაფერი, დაბრძანდით!

თენგიზი — ჩემი ტელეფონი...

მარიამი — გაფუჭდა?

თენგიზი — დიახ, ასე ნამდაუნუმ...

მარიამი — დარეკეთ, მე გავალ!

**თენგიზი — არა, ნუ ნუხდებით, მხოლოდ ორი სიტყვა მაქვს სათქ-
მელი! (კრეფავს რიცხვს). ლერი, გამარჯობა!.. თენგიზი ვარ! როგორ**

ვიკითხო? (პაუზა) ლერი, არ გეგონო უმაღლური კაცი, მაგრამ... მიიცა
აგისძნა ჯერ... მე კი ძალიან მინდა, მაგრამ მიეცედი, რომ არ გამოიწვევა
გადაები. პო, მყარად გადავნევიტე, არაა ეგ ჩემი საქმე, შენც უხერ-
ხულ მდგომარეობაში ჩაგაყენება... არ გენყინოს, ძალიან მადლობელი
ვარ შენი... მაგრამ რას იზამ... რა შუაშია აქ ხერხემალი? ვიცი, რომ ხე-
ლი გამომინდე, მაგრამ ასე აჯობებს შენთვისაც და ჩემთვისაც. კარ-
გად იყავი. ლმერთმა ჩემი თავი არ დაგაჭირეოს, თორებ ყველა სხვა
შემთხვევაში შენს გვერდით დაედგები! (კიდებს ჭურმილს, მარიამის-
კენ შემოტრიალდება) შეგანუხეთ, მაგრამის...

მარიამი — (რაღაცაზე ჩაფიქრებული) ოთხჯერ თქვით „მაგრამ“,
ეს უკვე მეხუთეა!

თენგიზი — რა ბრძანეთ?

მარიამი — (გამოერკვევა) არაფერი, მექანიკურად ვითვლიდი,
რამდენჯერ თქვით სიტყვა მაგრამ...

თენგიზი — ჰოოო... როგორ ფიქრობთ, მართალი ვარ?

მარიამი — რა საკითხში?

თენგიზი — უარი რომ ვთქვი ახალ სამსახურზე!

მარიამი — უარი თქვით?

თენგიზი — (ოდნავ გალიზიანებით) თქვენ რა, არ მისმენდით?

მარიამი — (ისიც გალიზიანებით) აბა რატომ უნდა მესმინა.

თენგიზი — რა ვიცი, მაგრამებს კი ითვლიდით!

მარიამი — პრინციპში, რასაკვირველია, არ უნდა დათანხმებო-
დით! რახან საყაჩალო ადგილია...

თენგიზი — არა, რაღაც ხდება თქვენს თავს!

მარიამი — ჰო, ცოტა ცერა ვარ...

თენგიზი — კახასი რა ისმის?

მარიამი — თვენახევარია აღარ მინახავს, ხანდახან რეკავს ხოლ-
მე!

თენგიზი — ცოტა უმაღლურად მოსვლია!

მარიამი — (მკაცრად) რატომ?

თენგიზი — აბა, არ შეეძლო ერთხელ მაინც ენახეთ?

მარიამი — ესე იგი, არ შეეძლო!

თენგიზი — რაც თქვენ ამაგი გაქვთ დახარჯული...

მარიამი — კახასგან ნუ დამიცავთ, ბატონო თენგიზ!

თენგიზი — აზრადაც არ მომსვლია!

(პაუზა)

მარიამი — ნუ გამინაწყენდით, ძალიან აფორიაქებული ვარ!

თენგიზი — მე ვხედავ ამას!

მარიამი — სხვა გზა არა მაქვს, თქვენ უნდა გითხრათ...

თენგიზი — რა, ქალბატონო მარიამ!

მარიამი — დღეს მილიციის სამმართველოდან იყვნენ ჩემთან.

თენგიზი — თქვენთან მოეიდნენ?

მარიამი — დიახ.

თენგიზი — კახას გამო?

მარიამი — დიახ, კახას უძებდნენ!

თენგიზი — რა ჩაიდინა?

მარიამი — არ ვიცი! გამაფრთხილეს, აუცილებლად შეგვატყობინეთ, თუ გამოჩნდათ!

თენგიზი — სხვა არაფერი უთქვამთ?

მარიამი — არა, ძალზე ზრდილად იქცეოდნენ, თან მამშვიდებდნენ, სერიოზული არაფერიათ! (პაუზა).

თენგიზი — მე ვიცოდი, რომ რაღაც ამდაგვარი მოხდებოდა.

მარიამი — (ცივად) საიდან?

თენგიზი — ცუდად იყო ეგ ბიჭი ატეხილი!

მარიამი — კახა უსინდისობას არ ჩაიდენდა!

თენგიზი — რა გულუბრყველო ხართ, ქალბატონო მარიამ, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავიგე, რომ კახა ძალიან ცუდ წრეში ტრიალებს. განუწყვეტლივ რაღაც ფათერაკებშია გაბმული...

მარიამი — კახა უსინდისობას არ ჩაიდენდა!

თენგიზი — აბა, რა ვიცი, თქვენს სახლაფორთოდ კი გაჩინილა ამ ქვეყანაზე!

მარიამი — რატომ ღიზიანდებით ასე კახაზე?

თენგიზი — (იფეთქებს) იმიტომ, რომ თქვენ ასეთ ყოფაში გხედავთ, მაგ პირობის გამო!

მარიამი — (გაფითრებით) ვინ არის პირობი?

თენგიზი — ვინ და თქვენი პროტეფე! უმაღური და ეგოისტი... ეგ ბიოლოგური ბოროტმიოქმედია, მე ვიცი მაგის თაობა! საკუთარ ხუშტურებს აყოლილი, პარაზიტი და უმაქნისი თაობა... ერთი კანის მეტი რომ არაფერი შეუძლიათ... და სხვათა შორის, თქვენნაირი ლიბერალების ბრალია, ყველაფერი რომ გაუდით! და ეგ თქვენი აბსტრაქტული ჰუმანიზმი...

მარიამი — როგორ აძლევთ თქვენს თავს უფლებას, ასე ზეპირადილაპერაკოთ მთელ თაობაზე. რა ცოდვა აქვთ ასეთი ამ ბავშვებს? და, საერთოდ, რატომ არას ყველა ჩასაფრებული, რომ თუ ახალგაზრდას ფეხი გადაუბრუნდა, ზეიგნენდივით ნაესონ ნამსვე!

ქრისტემ რომ უთხრა ბრძოს, ვინც ყველაზე უცოდველია, პირველმა მან ესროლოს ქვა ცოდვილსო, ფარისევლებმაც ვერ გაბედეს ამის გაერთება, დღეს კი, ეს რომ ეთქვა, ნებისმიერი თქვენგანი პირველი დასწერებოდა ქვას ჩასაქოლად. იმიტომ, რომ მარტო სხვისი დანაშაულის დანახვა შეგიძლიათ. რა ხართ ასეთი უცოდველები, განსჯის უფლებას რომ აძლევთ თავს. რას ერჩით კახას, თქვენ, რომელიც ყოყმანობდით ვიყაჩალო თუ არაო, და აქ, ჩემს დასანახად, საკუთარი

უკომპერომისობის დემონსტრაცია მოაწყვეთ!

თენგიზი — (გაოგნებული) მე... დემონსტრაცია?

მარიამი — რას თხოულობთ კახასგან, ამ თბილი და სევდიანი ბიჭისგან. რას? იმას, რომ ჯერ სამშობლოს ვერაფერში გამოადგა? იქნებ საკუთარი თაობაც დაადანამაულოთ ამაში? ჯერ ეგ ბავშვები გაქურდეს და მერე თვითონაც დაინყეს ქურდობა!

თენგიზი — (ფეხზე ნამოდგება) მე ნესიერი შეილი გავზარდე.

მარიამი — (ვეღარ ჩერდება) ხოლო რაც შეეხება თქვენს გამოქლიავებულ შვილს...

თენგიზი — (დარეტიანებული) რა ბრძანეთ?

მარიამი — რა ვბრძანე და თქვენს ქლიაც შვილს ჩემი შვილი ათი თავით სჯობია! აი, რა ვბრძანე!

თენგიზი — თქვენ მე დღეს ისეთი შეურაცხყოფა მომაყენეთ, რომ... ვერასოდეს გაპატიებთ! თქვენ ისარგებლეთ სიმთვრალეში წამორიშილი სიტყვებით!

მარიამი — თქვენ კი მსაჯულის როლში გადაწყვიტეთ ხმის დაბოხება... მაშინ, როცა მე დახმარება გთხოვთ!

თენგიზი — (მოტრიალდება და მიდის) საკმარისად ბევრი ვითმინე...

მარიამი — (მიაყენებს კარებისენ მიმავალს) და საერთოდ, გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენი ფენომენალური ტელეფონი ისევ ვაფუჭება, შეგიძლიათ სხვა მეზობელს მიმართოთ! (თენგიზი მოტრიალდება, უნდა რაღაც თქვას, მაგრამ გადაიფიქრებს და ძალუმად გაიჯახუნებს კარს. მუშტრებშეურული მარიამი ნერვიულად დადის აქეთიქით, უცრად გაეცინება და სახეს ხელებში ჩარგავს, შემდეგ კვლავ მოინყენს და ტელეფონთან მიდის).

მარიამი — (კრეფს რიცხვს) ლექსოს სთხოვეთ, თუ შეიძლება. არ არის? (კიდებს ყურმილს. ზარის ხმა. მარიამი სწრაფად აღებს კარს).

მარიამი — (განცვიფრებული) ირინეა! შენ?

ირინე — (შემოდის) გამარჯობათ, ქალბატონო მარიამ!

მარიამი — (ცოტა ხანს უყურებს) ირინეა!

ირინე — (ნაძალადევი ლიმილით) არ მელოდით?

მარიამი — არა!

ირინე — მე კი მოვედი!

მარიამი — დაჯექი!

(ირინე დალლილი ჩამოჯდება სკამზე).

ირინე — როგორ ბრძანდებით?

მარიამი — შენ როდის ჩამოხვედი?

ირინე — ორი კვირაა!

მარიამი — სად გაატარეთ თაფლობის თვე?

ირინე — ლენინგრადში.

მარიამი — ჰო, მშვენიერი ქალაქი!
 ირინე — დიახ!
 (პაუზა)
 რატომ მათვალიერებთ ასე, ძალიან გამოვიცვალე ამ თვენახევარ-
 ში?

მარიამი — როგორ ვითხრა?!
 ირინე — (ნაძალადევი სიცილით) ნუ მეტყვით!
 (პაუზა)
 მარიამი — საიდან მოდიხარ?
 ირინე — ეიცი, რაც უნდა შემთავაზოთ! ახლახან ვისადილე!
 მარიამი — ჩაი?
 ირინე — არა, ქალბატონო მარიამ, საქმეზე ვარ მოსული!
 მარიამი — გისმენ!
 ირინე — კახაზე მინდა ვითხრათ!
 მარიამი — (შეშფოთებით) შენ რა, გაიგე რამე?
 ირინე — დიახ.
 მარიამი — სწრაფად მითხარი!
 ირინე — კახას ერთი მეგობარი პატიმრობიდან გაიქცა...
 მარიამი — ვინ მეგობარი?
 ირინე — ნყალნალებული რეციდივისტია... მაგრამ კახას ძალიან
 უყვარდა...
 მარიამი — მერე?
 ირინე — მთელი ეს თვენახევარი მალაედა და ინახავდა ქალაქება-
 რეთ, ვიღაცის აგარაზე. ამ სამი დღის ნინ კი, გადაწყვიტა მცხეთის
 სადგურიდან გაეპარებინა, მაგრამ სადგურზე ოპერჯგუფი დაადგათ
 თავზე!
 მარიამი — საიდან გაიგეს?
 ირინე — მეზობელს აულია ეჭვი. ერთი ნუთით ნყალს დავლევ
 და...
 მარიამი — მე მოგიტან! (გარბის სამზარეულოში და ნყალი მო-
 აქვს გოგონასათვის).
 მერე?
 ირინე — მერე ის, რომ იმ ნაძირალამ სროლა აუტეხა მილიციას.
 აქედანაც ესროლეს და ფეხში დაჭრეს. კახამ კი კაი პარტიზანიკით
 ზურგზე მოიგდო ის უნამუსო და ტყისკენ გაიქცა, მაგრამ სად გაიქ-
 ცეოდა?
 მარიამი — კახას რამე ხომ არ დაუშავდა?
 ირინე — არა, მაგრამ მაგ უტკინომ კიდევ უფრო დიდი სისულელე
 ჩაიდინა!
 მარიამი — რა სისულელე?
 ირინე — თბილისში რომ ჩამოიყვანეს, მანქანიდან გადმოსვლი-

სას, ხელი გაითავისუფლა, ოპერმუშაქს გაარტყა და რაღაც სასწაულად გაქცევაც მოახერხა.

მარიამი — (აკანკალებული) და ახლა...

ირინე — (მნარედ) ახლა ძებნაა კახაზე გამოცხადებული!

მარიამი — (თავზე ნაივლებს ხელებს) ვაიმე!

ირინე — (უსიცოცხლონ ხმით) ჰო, მართლა, რატომა ვარ მოსული!

თქვენ უნდა უშველოთ კახას!

მარიამი — როგორ? მითხარი!

ირინე — თუ მოვიდა, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ერთ კაცს.

მარიამი — ვის?

ირინე — ბესო ჰქეითა სახელად. ოპერმუშაქია.

მარიამი — შენ რა, გაგიქდი? კახა დავასმინო?

ირინე — ბესო კახას ყოფილი მეზობელია, პატარაობისას ძალიან უყვარდა და როგორც უმცროს ძმის, ისე ანებივრებდა. ახლა კი ისე მოხდა, რომ მცხეთაში სწორედ მაგ ბესო მეთაურობდა ოპერაციას.

მარიამი — მერე რა, რომ ბავშვობაში უყვარდა?!

ირინე — ეგ ბესო ჩემთან მოვიდა და მითხარა, კახას ყველა ახლო-ბელი გააფრთხილე, ეისაც კი ხმა მოუწვდება, ურჩიონ, ჩაბარდესო! მილიციამ იცის, რომ შეიგარალებულია!

მარიამი — ღმერთო ჩემთ!

ირინე — მოელედ, თუ გვინდა, რომ გადარჩეს, აუცილებლად უნდა მოვნახოთ! თქვენთან თუ გამოჩნდა, ან დაიყოლიეთ ან ამ ტელეფონზე დარეკეთ!

მარიამი — (ათვალიერებს ქალალდის ნაგლეჯს) ვისთან?

ირინე — ბესოსთან! ასე სჯობია! კახა ხიფათს გადარჩება და ნაელებსაც მისცემენ, ბესო რამენაირად დაეხმარება, თვითონაც ძალიან განიცდის, სისხლი კინალამ ჩაექცა, კახა რომ იცნო!

(პაუზა)

მარიამი — რა ნყალს ვეცე, არ ვიცი!

ირინე — მე ნავალ!

მარიამი — მოიცადე, ირინქა, ჯერ ნუ ნახვალ!

ირინე — არა, მელოდებიან!

მარიამი — ცისფერთვალება, ქერათმიანი!..

ირინე — თქვენ მაინც ნუ იქნებით სასტიკი!

მარიამი — გიყვარს?

ირინე — ძალიან კარგი ბიჭია!

მარიამი — ეჲ, ირინქა, ირინქა...

ირინე — (უეცრად ატირდება და მუხლებში ჩაემხობა მარიამს) რომ ნარმოვიდგენ ახლა რა დღეშია, რა გამნარებული და მე მის გვერდით არა ვარ... ეჲ, ეგ უტივინო, უტივინო!



მარიამი — დამშვიდდი, ნუ ტირი!

ირინე — ჰო, ალბათ ტირილის უფლებაც დავკარგე! (ცრცილს ძევა
იმშრალებს) მე ნავალ, ქალბატონო მარიამ! მშვიდობით! პიტიონის

მარიამი — (უსიცოცხლო ხმით) მშვიდობით, ირინკა!

ირინე — შეიძლება, ხანდახან მაინც მოვიდე ხოლმე?

მარიამი — რასაკეირველია, აუცილებლად!

ირინე — (კოცნის მარიამს) არ დაგავინყდეთ, დაიყოლიეთ ჩაბა-
რებაზე!

მარიამი — ვეცდები ირინკა, შენც მიხედე საკუთარ თავს.

ირინე — ამ დღებში გინახულებთ!

მარიამი — ჰო, მოდი!

(ირინე გადის, მარიამი ცოტა ხანს უძრავად დგას, შემდეგ სამზა-
რეულოში გადის, ნამალი და ნახვარი ჭიქა წყალი გამოაქვს. ნელა ან-
კეთებს წყალში წამალს და საბეჭდ ფურცლებს მაგიდის ეიდისკენ
მიხვეტავს. ჭიქას პირთან მიიტანს და ნამალს გადაპერავს. შემდეგ
დგება და უაზროდ ინყებს ბოდიალს ოთახში, ბოლოს კვლავ ტელე-
ფონთან მიდის, კრეფს ნომერს — უკაცრავად, ლექსო ხომ არ მოსუ-
ლა? არა? მაპატიეთ! (კიდებს ყურმილს და უღონოდ ეშვება ტახტზე.
ზარის ხმა, გათიშული მარიამი უცებ ვერც გაიგონებს, შემდეგ გამო-
ერკევევა, ნამოხტება ტახტიდან და კარებს აღებს).

მარიამი — (შეყვირებს) კახა!

(მძლავრად ჩახუტება შემოსულ ბიჭს და ცოტა ხანს ასე უძრავად
დგანან თრივენი).

მარიამი — (კარს მიკეტავს) კახა, ჩემო კახა! (სახეს დაუკოცნის)
რა კარგი ბიჭი ხარ, რომ მოხვედი! რა კარგი ბიჭი ხარ!

კახა — ძალიან მომენატრეთ, ქალბატონო მარიამ!

მარიამი — რა არის ეს, სულ გალუმპულხარ!

კახა — ნეიმაში მოხვედი!

(მარიამი სკამზე სეამს ბიჭს, გარბის, პირსახოცი მოაქვს და ენერ-
გიულად უმშრალებს თავს).

კახა — როგორც მაშინ...

მარიამი — რა თქვე?

კახა — როგორც მაშინ-მეთქი, ფილტვების ანთება რომ დამემარ-
თა!

მარიამი — (სევდიანად) ჰო, მართალი ხარ! (პაუზა).

კახა — ნეტა ახლაც ფილტვების ანთება მქონდეს და თქვენი ჩეფ-
ჩიკი მეხუროს თავზე!

მარიამი — კახა, მე ყველაფერი ვიცი!

კახა — (სწრაფად) ეინ გითხრათ?

მარიამი — ირინემ!

კახა — ირინკამ?



მარიამი — პოდა, ისიც მითხვა, აუცილებლად უნდა ჩაბრდეს,
თორებ კატასტროფით დამთავრდება ყველაფერიო!

კახა — (ჩაიცინებს) მითითებებიც მოგცათ!

მარიამი — კახა, ირინეს ის ბესო ელაპარაკა... მილიციამ იცის,
პისტოლეტს რომ დაათრევე!

კახა — არა, ქალბატონო მარიამ, არ ჩავბარდები!

მარიამი — რატომ?

კახა — არ შემიძლია ასე ცხვარივით ჩაბარება, არც ციხე მომნატ-
რებია მაინც დამაინც! და არც ირინეს ეკითხება ვინმე!

მარიამი — შენ გესმის, რომ შეიძლება მოგელან, ნინააღმდევობა
თუ გაუწიე? (მუდარით) კახა, დამიჯერე!

კახა — (რბილად) მაპტიეთ, მაგრამ მოდით ნუ ვილაპარაკებთ ამა-
ზე!

მარიამი — (სასონარევეთით) რა დროს გმირობანას თამაშია?

კახა — (ნაზყენი და გაეკირვებული) აბა რა გმირობანაზე პრძა-
ნებთ, ქალბატონო მარიამ?! სრულებითაც არ მეთამაშება!

მარიამი — ღმერთო ჩემო, შენ არაფერი გესმის!

კახა — (მოულოდნელად) მშია!

მარიამი — რა თქვე?

კახა — სასტიკად მშია, ორი დღეა ლუკმა არ ჩამიდევს პირში!

მარიამი — შენ მოგიკედა ჩემი თავი!

(გარბის სამზარეულოში). კახა ხელს ჩამოდებს მაგიდაზე. სახეს
მოისრესს და მომენტალურად იძინებს. შემოდის მარიამი, ხელში ნა-
ხევარი ბოთლი კონიაკი და ჭიქა უჭირავს. მძინარე ბიჭის დანახვაზე
ნამით შედგება, შემდეგ ფრთხილად ალაგებს ყველაფერს მაგიდაზე
და ცოტა ხანს დატინებით მისჩერებია კახას, ბოლოს, თითქოს რაღაც
გადაწყვეტილება მიიღო, კარისკენ მიდის ფეხაკრეფით).

კახა — (იღებიძებს, დაფეხულივით ნამოვარდება, შემდეგ გონს
მოდის და სკამზე ეშვება) უუუფ...

მარიამი — რა იყო?

კახა — სიზმარი ვნახე... (ჩაფიქრდება) მაგრამ აღარ მახსოვს...
სურნელი კი აქვე ტრიკალებს... თითქოს პოპ და ხელს ნაავლებო!

მარიამი — ეს ის კონიაკია, შენ და თენგიზმა რომ ვეღარ დაამ-
თავრეთ მაშინ!

კახა — (დაისხამს) გაგიმარჯოთ!

(სკამს)

მარიამი — მოიცა, საჭმელი არ მომიტანია ჯერ!

კახა — (თვალდახუჭული) არა უშავს! (თვალს ახელს) ირინე რო-
დის იყო აქ?

მარიამი — ნუთით გაგასწრო! ძალიან აფორიაქებული და შეშინე-
ბული მოვარდა, აუცილებლად ჩაბარდესო... ირინეა ძალიან განიც-



დის შენს ამბავს, კახა! (პაუზა)

კახა — პრინციპში სწორად მოიქცა, დროზე მიხედა საკუთრივი ბიბლიუსი

თავს!

მარიამი — შენ არ იცი...

კახა — (აგრძელებს) და ძალიანაც კარგი, ცალკე ტვირთად და-

მანვებოდა მისი პრობლემა!

მარიამი — ირინქა ძალიან განიცდის!

კახა — ჴო, ალბათ! მაგრამ მაინც სწორად მოიქცა, აბა, რომელი დეებაპრისტი მე ვარ?! (ჩაიცინებს) და არც ეგა მყავს პენელოპე! (კელავ დაისხამს კონიაქს)

მარიამი — ჯერ არ დალიო! მაცალე სუფრის გაშლა!

კახა — გემორჩილებით!

(მარიამი გადის და საჭმელი შემოაქვს).

მარიამი — ღმერთო ჩემო, პური გამთავებია, შენ მომიცადე, მე-ზობელს გამოვართმევ!

(სწრაფად გადის, კახა ცოტა ხანს უძრავად ზის, შემდეგ ტელე-ფონთან მიდის და ნომერს კრეფს).

კახა — ლექსო, გამარჯობა... ქუჩიდან გირეკავ! დღეს გავდივარ ქალაქიდან.. ტყუილად მაცივედები, მაინც არ ვეტყვი, სადა ვარ... არ მჭირდება-მეთქი მანქანა. ეგლა მაქლია, შენც გაგხვიო შარში.. ისე, მომენატრა შენთან დალაპარაკება... ნუ აგინძე, ბევრს მეხვენა ის უბედური, გაიქცი, თავს უშეელეო! მართლა გუუბნები... ლექსო, თა-ვი დამანებე, არ მჭირდება შენი დახმარება! ერთი სათხოვარი მაქვს მხოლოდ... მარიამთან ადი ხოლმე ხანდახან, ხომ იცი, მარტოხელა ქა-ლია! რაო? შენთანც იყო ბესო? არა, ლექსო, არ ჩავბარდები, შენ მა-ინც ხომ იცი, რომ არ ჩავბარდები, მოკლედ, მარიამი არ მიატოვო... გმადლობთ, ძამიკო, გეხვევი! არ გენყინოს, უნდა დავეიდო ყურმილი! (ცოტა ხანს უძრავად დგას, შემდეგ ფანჯარასთან მიდის, შემო-დის მარიამი პურით ხელში).

კახა — (მოტრიალდება) თქვენა ხართ?

მარიამი — ხომ არ გაგიფიცხო პური?

კახა — არა (ჯდება და გამგელებული იწყებს ჭამას, მაგრამ მალე-ვე წყვეტს და ჩაფირდება).

მარიამი — (ტკივილით უყურებს) რატომ არ ჭამ?

კახა — ალარ მინდა!

(კელავ ფანჯარასთან მიდის)

მარიამი — ირინქა...

კახა — (მოტრიალდება) რა თქვით?

მარიამი — ირინქა ძალიან ნანობს!

კახა — ირინქა კარგი გოგოა!

მარიამი — (ფრთხილად) შენ კიდევ გიყვარს?



კახა — (იფეთქებს) მერე რა რომ მიყვარს, მე დედაჩემიც მიყვარს,
მაგრამ ჩემთვის აღარ არსებობს! (მნარედ) ლალატს ბავშვობისან მის უკან
მაჩვიერს, ქალბატონი მარიამ!

მარიამი — რას აპირებ ახლა?

კახა — ცოტა ხანში წავალ!

მარიამი — საერთოდ?

კახა — რა ვიცი, ვიცხოვრებ. (პაუზა) მაპატიეთ, ავწუნუნდი ცო-
ტა!

მარიამი — ყველაფერი წინაა, კახა!

(კახა მხრებს იჩეჩავს და თავს ჩაჰეთდებს) მოდი ჩემთან (კახა დგე-
ბა და ტახტზე ჯდება მარიამის გვერდით. მარიამი მელავს გადახვევს
მას. კახა თავს ჩაუდებს კალთაში. მარიამი თმაზე ეფერება ბიჭს და,
სადღაც სივრცეში ეყინება მზერა).

კახა — (დგება) ცდებით!

მარიამი — ვცდები?

კახა — დიახ, თქვენ... თუმცა, აბა, რად გინდათ სიტყვები?!

მარიამი — მინდა, მინდა!

(და უცრად იფეთქებს ქუჩიდან ხმაური, მანქანების და ბორბლე-
ბის წრიპინისა, სინათლის მკეთრი ზოლი და მეგაფონის ხმა შემოიჭ-
რება ოთახში).

მეგაფონის ხმა — კახა, ბესო ვარ, დაგვინებდი. სახლი გარშემორტ-
ყმულია!

(კახა ფანჯარას ეცემა, შემდეგ გველნაკბენივით მოტრიალდება
და იარაღს იძრობს ქამრიდან).

მეგაფონის ხმა — კახა, დაგვინებდი... და სისულელების გარეშე
(კახა კარისკენ გარბის, მაგრამ კარზე ჯვარცმულივით გაერული მა-
რიამი შეაყოვნებს).


მარიამი — (უსიცოცხლო ხმით) ეს მე დავრევე, კახა! (გაოგნებუ-
ლი კახა ცოტა ხანს უძრავად დგას და მარიამს უყურებს, შემდეგ
მოტრიალდება და ფანჯარას აღებს).

კახა — (მტკიცე ხმით) — არ ამოხვიდეთ, ბესო, თვითონ ჩამოვალ!
(და იარაღს ფანჯრიდან ქუჩაში ისვრის, შემდეგ გაქვავებულ ქალთან
მიდის და თმაზე კოწნის) თქვენ, ალბათ, მართალი იყავით, ქალბატო-
ნო მარიამ, არასოდეს არ ინანოთ თქვენი საქციელი!

(გადის. მარიამი ნელმონყვეტილივით მიდის ფანჯარასთან და
უღონოდ გადაეკიდება რაფას).

მარიამი — (ყვირის) არ ატეკინოთ, არ ატეკინოთ, მელავებს ნუ უტ-
რიალებთ, მელავებს ნუ უტრიალებთ, არ ეტეკინოს...

(რაფიდან ჩამოცურდება და ცოტა ხანს ჩაჩოქილი ზის იატაზე,
შემდეგ წვალებით ნამოიმართება და რამდენიმე გაუბედავ ნაბიჯს
აკეთებს).



როგორ გადაიხლართა ყველაფერი... წვიმა, კახა, ვიღაც ქაცები
მეგაფონებით... ირინეას ჩამქრალი სანთლის სურნელი ასტრის, თურ-
გიზმა ქიდევ რაღაცა თქვა, მე კი არ მახსოვეს...

(მთვარულივით მიღის მაგიდასთან და უაზროდ გადაადგილებს
თევზებსა და ჭიქებს. დგება, აქეთ-იქით იწყებს სიარულს, თითებს იმ-
ტვრევს და გათიძეული მზერა რაღაცისთვის გაუშტერებია).

. პატივცემულო მოსამართლევ, სიკედილი შემოდის ჩვენს ფანჯ-
რები... სიკედილი და მარტოობა! მე შვილებს მიელავენ... ჩემს შვი-
ლებს... ყველა ჩემი შეილია, ყველა ჩემი შეილია. რა არის ამაში გაუგე-
ბარი?

ქალაქს გველეშავმა შემოხვია ვეება კუდი და ნამდაუნუმ თხოუ-
ლობს მსხვერპლს, ჩვენი გოგო სიცოცხლეს თხოულობს, რათა წყალი
მოგვცეს არსებობისა... (ნამით შეცებება, თვალს მოავლებს ითახს და
საფეხულებს ისრესს) არა, ვტყუო! ეს რომელილაც ზღაპრიდანაა!
გველეშაპები ხომ არ არსებობენ, ხომ არ არსებობენ, პატივცემულო
მოსამართლევ!

(ისევ მიღის მაგიდასთან, ისევ ნერვიულად უცვლის ადგილს თევ-
შებს, ჭიქას, ბოთლს).

ობიექტურად, მოწყალეო ხელმიწვევე, თქვენ მართალი ბრძანდე-
ბით, მათ დააშავეს და კანონმა ისინი დასაჯა, მაგრამ... მაგრამ, პა-
ტივცემულო მოსამართლევ, ნუთუ არაფერი დგას ამ რეალობის მიღ-
მა, სხვა უფრო მართალი და ღრმა სინამდვილე?! ჯერ ხომ ჩვენ გავ-
ძარცვეთ ისინი და არაფერი შევთავაზეთ სანაცელოდ, ნავართვით
სამართლიანობის გრძნობა... გესმით, მოწყალეო ხელმიწვევე... სა-
მართლიანობის გრძნობა! შევაგდეთ იმ მყაცრს ცხოვრებაში და ჩვენი
თამაშის ნესები მიუღებელი აღმოჩნდა მათვის.

(თავს დაანებებს თევზებს და ნინ გამოდის. მოტეხილი და მხრებ-
ჩამოყრილი).

არ იფიქროთ, პატივცემულო მოსამართლე, მათ კი არ ვამართ-
ლებ, მე მხოლოდ მსურს აკიხსნათ მათი ანენილი სულის მოძრაობა!
თქვენ მე არ მისმენთ, თქვენ არ მისმენთ, ამასობაში კი, სიკედილი და
მარტოობა შემოდის ჩვენს ფანჯრებში, უსასრულო ღამესთან ერ-
თად!

(მძაფრად) სად არიან ჩემი შეილები, სად? ყველა ჩემი შეილია,
ყველა სევდიანთვალება, ყველა ჩემი შეილია. რა არის ამაში გაუგება-
რი, ღმერთო ჩემო, რა არის ამაში გაუგებარი?

(ბარბაცით მიღის კარისკენ, აღებს და სინათლე ქრება).

სურათი მერვე

გავიდა ორი ნელი. მარიამის თათახში არაფერი შეცველილა ამ
ხნის განმავლობაში. მარიამი მაგიდასთან დგას, ზედ რუკები



და პროექტები გაუშლია და გულმოდგინედ აელებს რაღაც ტე-
ხილ ხაზებს რუკაზე. მაგიდასთან ვეებერთელა ჩემოდანის მართვა-
და გადას.

ზარის ხმა. მარიამი გამოერკვევა და კარს ალებს).

მარიამი — ო, ბატონო თენგიზ, სადა ხართ, რომ აღარ ჩანხართ?

თენგიზი — (შემოდის) ექვსთვიან მივლინებაში გახლდით, რამ-
დენჯერმე დაგირეეეთ კიდეც..

მარიამი — ჰო, ვერ შემისწრებდით, ბოლო ნელინადი ნათესავთან
ვცხოვრობდი სოფელში, სულ ორი თვეა რაც ჩამოვედი!

თენგიზი — მშვენივრად გამოიყურებით!

მარიამი — მე მადლობაც ვერ გითხარით მაშინ, ამდენი ყურად-
ღებისათვის! თქვენი ყვავილებით მთელი პალატა იყო მორთული!

თენგიზი — (ფრთხილად) ახლა როგორ გრძნობთ თავს?

მარიამი — ექიმებს თუ ვენდობით, ახლა ჯანმრთელი ვარ, აღარც
პალუცინაციები, აღარც დეპრესია... თითქოს თავიდან დავიწყე
ცხოვრებაო!

თენგიზი — მოხარული ვარ! (პასუხის შემდეგ) ეს რა რუკებია?

მარიამი — (იცინის) ხომ ვგავარ მრისხანე გენერალს ბრძოლის
ნინ?

თენგიზი — (ლიმილით) ცოტა არ იყოს! ეს ჩემოდანიც?! მიემგ-
ზავრებით სადმე?

მარიამი — დიახ.

თენგიზი — კვლავ სოფელში?

მარიამი — არა, კომის ასსრ-ში.

თენგიზი — ბატონო?

მარიამი — კომის აეტონომიურ რესპუბლიკაში. ახლა სწორედ
მარშრუტს ვადგენდი!

თენგიზი — კახასთან მიემგზავრებით?

მარიამი — დიახ, კახასთან!

თენგიზი — (პასუხის შემდეგ) რამდენი დარჩია მოსახდელი?

მარიამი — ორი ნელი და 17 დღე.

თენგიზი — კი მაგრამ, მარტო მიპრძანდებით?

მარიამი — არა, ლექსო მომყვება, კახას მეგობარი! პრინციპში,
დარღვევები რომ არ ჰქონდა, უფრო მაღლე გამოვიყვანდით!

თენგიზი — იქაც დარღვევები აქვს?

მარიამი — ეს მე სრულიად არ მიკვირს... თუმცა საქმე რაღაც
ნერილმანებს ეხება! (იცინის) ძალიან დახვენილი იუმორი კი ჰქონია,
ისეთ სასაცილო ნერილებს მიგზავნის... (უეცრად მოინყენს) ირინას
კი არც ერთ ნერილზე არ უპასუხა... ის კი არა, საკუთარიც გაუხსნე-
ლი მოუვიდა...

თენგიზი — ძალიან სახლაფორთო მოგზაურობას კი შედგომი-



ხართ...

მარიამი — (ნამით თავს დაანებებს რუკას და ნელში გაიმარტობა) ბატონო თენგიზ, ჩვენთან ინსტიტუტში ერთი ქალი მუშაობს... ძალი-ან ნატანჯი ადამიანია... მას წლები პატიმრობაში აქვს გატარებული. არავის ანუხებს ხოლმე მოგონებებით, მაგრამ ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, თავის ნარსულზე დამინყო საუბარი... თურმე მათი კოლონიის ზონაში, როგორც ეძახიან, დღეში ორჯერ ცხენშებმული ორთვეალით საჭმელი შემოჰქონდათ. ცხენს პატარა კვიცი ახლდა ხოლმე, რომლის დანახვაც პატიმარი ქალებისთვის ქეშმარიტი დღე-სასწაული იყო. ყველა ანებივრებდა ეყიცს, უკანასკნელ ლუქმას უყოფდა, ეფერებოდა... და ერთხელ ასეთ ფერება-თამაშში გართულ-მა კვიცმა ველარ მოასწორ დედასთან ერთად კოლონიიდან გაღწევა. ინსტრუქციით კი მეორე დილამდე ჭიშკრის გაღება, აღარავის შეეძლო.

(ტელეფონის ზარი. მარიამი ყურმილს იღებს).

ჰო, ლექსო... მე უკვე მზადა ვარ... ათ ნუთმი? კარგი... გელი! (თენ-გიზს) ლექსომ დარეკა!

თენგიზი — შემდეგ, ქალბატონო მარიამ?

მარიამი — შემდეგ გარეთ დარჩენილმა დედამისმა ჭიხვინი ატეხა, თავის კვიცს უხმობდა... შეეხვენენ პატიმარი ქალები ოფიცერს, მაგრამ ჭიშკარი ვერ გააღებინეს... დაფეხული კვიცი კი აქეთ-იქით დაპეროდა, გასავალს ეძებდა, მავთულხლართებს ანყდებოდა მეერ-დით... და აქ თურმე მექრდდასისხლიანებული კვიცი რომ დაინახეს ქალებმა, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს კოლონიის უფროსი, ჭიშკარი გაედო... კვიცი გარეთ გავარდა და აჭიხვინებულ დედას გადაჭდო კი-სერი! აქ კი უკვე ქალებს აუტყდათ ტირილი, რადგანაც ყოველ მათ-განს თავ-თავისი კვიცი ჰყავდა სადღაც დატოვებული! გასაგებია?!

თენგიზი — რა, ქალბატონო მარიამ?

მარიამი — კახა ჩემი კვიცია, ჩემი კვიცი! და საერთოდ, ჩემი აზ-რით, ჩვენ ყველანი ცოტ-ცოტა მიუსაფარი ხალხი ვართ, ბატონო თენგიზ, რალაცა ამაობებას ვართ შებმულნი და მთავარი კი გვავინყ-დება... ერთმანეთისკენ სავალი გზების ძებნა... გზების, რომელიც უკ-ვე ბალახმა გაავერანა!

(ჩაფიქრდება და კვლავ რუკას ჩააჩერდება).

თენგიზი — (ჩუმად) მეც ვეძებ ასეთ გზას, ქალბატონო მარიამ, თევენენენ სავალ გზას! მოკლედ, ჩემი აქამდე უსამართლო ბედი თევენს ხელთაა!

(ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ)

მე თქვენ მიყვარხართ!

მარიამი — (რუკას ჩასჩერებია) არა!

თენგიზი — (ტყვიანაკრავით) არა?



მარიამი — არა! ასე არ ივარებსა! სჯობია აქედანაც მატარებლით... პრინციპში ნახევარ დღეს ვაგებთ მხოლოდ..

თენგიზი — (უცებ ვერ ხედება) მატარებლით?

მარიამი — (თავს ასწევს) დიახ, მატარებლით! რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ამინდზე? ასე არაა?

თენგიზი — (მოულოდნელად გაელიმება) რასაკვირველია, რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ამინდზე! თუ ნებას დამრთავთ, თქვენს ჩემოდანს ჩაეიტან.

მარიამი — (გამოერკვევა) დიახ, ნასვლის დროა უკვე! (თენგიზი ხელს ჰკიდებს ბარგს და გადის, მარიამი საწვიმარს იცვამს, შემდეგ რუქას გადაუსვამს ხელს).

შენკენ სავალი გზები...

(გადის. ოთახში კლავესინის მელოდია დაილვრება და, ნალველთან ერთად, რაღაც გამოუცნობ იმედსაც გვპირდება).

დასასრული

...მაგრამ უფლება არ მოუცია!

ორნანილიანი პიესა

მოქმედი პირები:

ლენიკო — 21 წლის
გია, მისი ძმა — 15 წლის
ქახა — 27 წლის
ირინე — 25 წლის
დათო — 23 წლის

ოთახი, მაგიდა, ტახტი, სკამები... მოკლედ, ჩევეულებრივი სა-
საფილო ოთახი. იმავე სიბრტყეზე მეორე ოთახიცაა, რომე-
ლიც კედლით უბეჭინება პირველს, მაგრამ ეს უკვე სხვა ბინაა,
კახას ერთოთახიანი ბინა. აქაც მაგიდა, ტახტი და სკამებია...
და კიდევ ერთის აყოლებაზე რამდენიმე გრძელი წიგნის თა-
რო, ამჟამად დაუტეირთავი, რადგანაც წიგნები მეტნილად ია-
ტაკზე ყრია. კახაც იატაკზე ზის და წიგნებს არჩევს. შემდგომ-
ში წელინელ შეიცვება ცარიელი თაროები.

მეზობელ ბინაში კი და-ძმა ცხოვრობს — ლენიკო და გია. გია
ახლა სკოლაშია, ლენიკო არა ჩანს, მხოლოდ მის სტუმარს ეხე-
დავთ, მაგიდასთან გვერდულად მჯდარ, დაგვენილი გარევნო-
ბის ახალგაზრდა ქალს, ირინეს.

ირინე — (ყავის ცარიელ ჭიქას ატრიალებს ხელში) და მაინც, და
მაინც, და მაინც... არ უნდა ნამოსულიყავი!

ლენიკოს ხმა — არ მესმის!

ირინე — (ხმამაღლა) არ უნდა ნამოსულიყავი-მეთქი!

ლენიკოს ხმა — მოიცა რა, გამოვალ და მითხარი!

(შემოდის სასაფილოში, ეტყობა, ახალი თავდაბანილია, გრძელი
სააბაზანო ხალათი აცვია, თავი ფადიშაპურად აქვს ნაკრული პირსა-
ხოცით).

ლენიკო — რას ამბობდი?

ირინე — ქმარს შეურიგდი-მეთქი!

ლენიკო — კარგი რა...

ირინე — რა კარგი რა, სამი თვეც არ გასულა და ქუდმოგლეველი
გამოვარდი სახლში!

ლენიკო — (საერთოდ უხალისოდ ლაპარაკობს ამ თემაზე) ის

თვითონ ცხოვრობდა აქ!

ირინე — რატომ, იმხელა ბინა აქვს?

ლენიკო — გიას მარტო ხომ არ დავტოვებდი!

ირინე — მერე რაო, რას ამბობს?

ლენიკო — ვინ?

ირინე — დათო!

ლენიკო — რა ვიცი, ხან რას და ხან რას!

ირინე — შერიგება უნდა?

ლენიკო — უნდა...

ირინე — მერე?

ლენიკო — მოვრჩეთ რა ამაზე!

ირინე — ეი ბატონო!

ლენიკო — ნუ გწყინს!

ირინე — ასეთ ბუტიად მიცნობ? ისე კი, მართალი გითხრა, მაშინებს შენი მაქსიმალიზმი!

ლენიკო — აღარ მიყვარს! ესაა და ეს!

ირინე — ასე სწრაფუად გაგიტყდა?

ლენიკო — აბა ნარმოიდგონე შენს გვერდით კაცი, რომელიც ვერაფრით ვერ ამოიცანი!

ირინე — (ირონიული მაღალფარდოვანებით) მაგაშიც ხომ არის რაღაც იდუმალი, მშვენიერი?

ლენიკო — არა, სხვა რამეს ვამბობ! ერთ დღეს მკერდგალელილი ყარაბილებია... (დება და მელავებს გაშლის) Krasota ი იიანის ვსხ ჯენეჟი მირა, გენაცვალოთ თქვენი დათუნა! ნავიდეთ ხობბებზე, ვიქეიფოთ, ბეთანიაში! მეორე დღეს თავმოდრეკილი ბუდისტია, მესამე დღეს — ბაპტისტი, მეოთხე, — დღეს კომკავშირელი, მეხუთე დღეს, — დისიდენტი...

ირინე — მეექვსე დღეს?

ლენიკო — მეექვსე დღეს ქურდული გაგების, ნესტოებდაბერილი ახალგაზრდაა. დაგჭრი, დაგუპავ, დაგანყობ, შე ახვარო!

ირინე — (სიცილით) მეშვიდე, მეშვიდე დღეს?

ლენიკო — (უცებ მოეშვება და სკამზე ჯდება) მეშვიდეს აღარ დავლოდე!

ირინე — (ცნობისმოყვარეობით) მოკლედ, ვერ გაიგე, რა მასტია, არა?


ლენიკო — ჰო, ვერ გავიგე!

ირინე — სამ თვეში მოასწრო ყველაფერი ეს?

ლენიკო — ისე არ არის ცუდი გულის ბიჭი!

ირინე — ვგლიჯავთ ქართველები! კაცი მოთხარე და ახლა გულს უქებ?

ლენიკო — სულ არ მინდოდა მისი გალანძლვა...



ირინე — გიამ განიცადა?

ლენიკო — გიას უმცროსი ძმის კომპლექსი ჰქონდა... მფონი უხავა... გიამ დაცილდით!

ირინე — რომელ კლასშია ახლა?

ლენიკო — მეცხრეში, თხუთმეტი წლისაა!

ირინე — თხუთმეტი წელი, თხუთმეტი წელი... ჩართე რა რამე!

ლენიკო — გამიფუჭდა მაგნიტოფონი... გია ხან მთაში დააპრონიალებს, ხან ბარში...

ირინე — კარგია მთა... ამასნინათ ჩემი ზურგჩანთა ვიპოვე სარდაფში და კინალამ ავტირდი!

ლენიკო — მერე რა გიშლის ხელს! როცა მოისურვებ, მაშინ ნავიდეთ... ჩემი მეგობრები...

ირინე — (ანყვეტინებს) რა შუაშია შენი ან ჩემი მეგობრები?! თვითონ გამოვეთიშე ყველაუერს...

ლენიკო — ბავშვი?

ირინე — არა! ამოვნურეთ მთის თემა. თქვენების რა ისმის?

ლენიკო — იგუანებს ნერილი!

ირინე — მდაა... მშობლები სამი წლით უცხოეთში, გადარეული უმცროსი ძმა გარდამავალ ასაქში, დიპლომი დასაცავი... ქმარი გაგდებული...

ლენიკო — (იცინის) კარგი სურათი დაიხატა, არა?

ირინე — (რაღაც საკუთარზე ჩაფიქრდება) უკეთესს ვერ ინატრებ!

(ამასობაში კახა ათიოდე წიგნს აარჩევს და დაიღლობს ზემო თაროზე დადოს, მაგრამ ამას ერთობ უხერხულად აკეთებს, ხელში ვეღარ შეიკავებს და წიგნები ხმაურით ცვივა ძირს).

ირინე — (შეერთება) რა ხდება?

ლენიკო — არაფერი, მეზობელია! ისე კი, მაგრად მომენატრე, ორი თვეა არ მინახიხარ!

ირინე — (ღიმილით) ერთი წლის წინ, სწორედ ამ დროს გავიცანით ერთმანეთი!

ლენიკო — (ღიმილით) ტურიზმუს!

ირინე — მშვენიერი იყო! ჩვენი გაოთლილი ტურისტები საყიდლებზე რომ დაუგდუგობდნენ დროის ცხენებივით...

ლენიკო — (აიტაცებს) ჩვენ კი პატარა დუქანში ვქეიფობდით! ბელლა სინიორიტი, ბენვენუტო ა კაზა მია!

ირინე — (სიცილით) როგორ გადავიყვანეთ ჭუიდან ის პატრონი, ერთმანეთს რომ გავექაჩეთ გადახდაზე, გამიშვი და გაგიშვებო.

ლენიკო — (სიცილით) ორი გიური ქართველი ქალი!

ირინე — მგონი ლესბიანკები ვეგონეთ!

ლენიკო — (უქმაყოფილოდ) ნუ იცი რა...

ირინე — (იცინის) ჩემო აზიზო მეგობარო!

ერთობლივი და მეტყველეობის მიზანი

(ნიგნების რჩევით გაძებრებული კახა სიგარეტს უკიდებს და შეგნივრონს რთავს. წყნარი პანგები გამოყონავს ეკდლებში).

ირინე — (გაკვირვებით) როდიდან დაიწყო შარაფისტმა ვანიჩკამ ამ ტიპის მუსიკით ტებობა?

ლენიკო — ვანიჩკა ერთი თვეა გადავიდა.

ირინე — აქ ვინ გადმოვიდა?

ლენიკო — ახალგაზრდა კაცია...

ირინე — მაინც რა ხნის?

ლენიკო — 26-27 წლის იქნება!

ირინე — დანარჩენი ინფორმაცია!

ლენიკო — იჯდა ბოლო ექვსი წელი...

ირინე — დიდუ, წაციხარი მეზობელი გაელდა!

ლენიკო — არა, განათლებული, ზრდილი ბიჭია!

ირინე — ლამაზია?

ლენიკო — (მხრებს იჩეჩავს) რა ვიცი?! ისე რა! თუმცა... არ ვიცი!

(კახა ჩაქუჩის ილებს და დამატებით ლურსმანს აჭედებს სამაგრად თაროში).

ირინე — მოუსვენარი მეზობელი გყოლია!

(კახა უეცრად ჩაქუჩის გვერდზე გადადებს, ორად მოიკეცება და მძლავრად დააცემინებს).

ირინე — (მთელი ხმით) ხეირი, გენაცვალე!

(გაკვირვებული კახა კედლისკენ იხედება, ხომ არ მომეურადაო. გოგონები ჩაუმად იგუდებიან სიცილით).

ირინე — მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა...

ლენიკო — მართლა არ გშია?

ირინე — არა-მეთქი. (პაუზის შემდეგ) თქვენებმა გაიგეს?

ლენიკო — (მოინყენს) არა, ჯერ არა!

(კახა ისევ ლურსმანს აჭედებს).

ირინე — (უარყოფითად) არ გაახურა შენმა ნაციხარმა?!

ლენიკო — ერთი თვის გადმოსულია, ეწყობა!

ირინე — შავები ბევრი დადიან?

ლენიკო — რა ვიცი, შავები არიან თუ თეთრები, მშვენიერი მე-გობრები ეი ჰყავს!

ირინე — შენ რა, იცნობ?

ლენიკო — (უბრალოდ) რამდენჯერმე გადაგვიპატიუა მე და გია! გიას კერძია, ჭეუას კარგავს.

ირინე — უყურე შენ, მეზობლური კონტაქტებიც გქონიათ?! რა უნდა მიიღოს გიამ მისგან, ციხის რომანტიკა?

ლენიკო — რას ამბობ, პირიქით... ის კი არა, იქით ვთხოვ ხოლმე ჩარევას...

ირინე — (ირონიით) და ყველაფერი ეს, ერთ თვეში?

ლენიკო — (ჩაფიქრდება) ჰო, ერთ თვეში!

(პაუზა. კახა მაგნიტოფონს გამოთიშვავს).

ირინე — უთხარი რა, ისევ ჩართოს!

ლენიკო — უხერხულია! აი, გია მოვან წუთი წუთს და შევაგზავნი!

ირინე — (სიგარეტს უკიდებს) გია ზარმაციბს?

ლენიკო — მომელა მაგასთან ერთად მეცადინეობამ! უნდა ნახო, რა ყიყლიყოებს უშეებს! მაგრამ სახე სუფთა აქვა!

ირინე — მოსწონს ვინმე?

ლენიკო — მოსწონს კი არა, შეყვარებულია!

ირინე — (გამოცოცხლდება) ვინ არის დუღულინეა?

ლენიკო — (კრიტიკულად) გრძელი ფეხები, მწვანე თვალები...

ირინე — ანვალებს?

ლენიკო — სისხლს უშრობს! თანაც მეათე კლასშია, გიაზე ერთი ნლით უფროსი!

ირინე — გასანყვეტები ვართ ქალები! მაშ შენს ქმარზე აღარ ვილაპარაკოთ?!

ლენიკო — ჰო, თუ დმერთი გნამს.

(კახა ოთახიდან გადის. ზარის ხმა ლენიკოს კარზე).

ლენიკო — გია! უცნაურია, ფეხით რომ არ გააღო კარი! (დგება)

ირინე — ფეხით როგორ?

ლენიკო — (მიდის კარის გასაღებად) რამდენჯერმე ჩაგვეეტა და ამ გზით გავაღეთ. ვერაფრით ვერ მოვიყვანე ოსტატი!

(აღებს კარს და უკან გახტება კახას დანახვაზე).

ვაიმე, მაპატიკ, კახა, გია მეგონე!

(ხალათში იფუთნება და გზას უთმობს).

კახა — დარეკვა მინდოდა! მაშ, მერე მოვალ!

ლენიკო — არა, არა მობრძანდი!

(კახა ოთახში შემოდის, ირინე მისკენ მოტრიალდება).

გაიცანით, კახა... ირინე...

უკაცრავად, წუთით დაგტოვებთ... კახა, დარეკვე.

(გადის. კახა ტელეფონის ყურმილს იღებს ხელში. ირინე მონუს-ხულივით მისჩერების მას).

ირინე — გამარჯობა!

კახა — ლექსოს სოხოვეთ... ხუთ წუთში? გმადლობთ! (კიდებს ყურმილს).

ირინე — არ გამოცვლილხარ!

კახა — შენსკენ ხომ მშვიდობაა?

ირინე — ნანილობრივ! ბებიას ჩამოუსწარი?

კახა — ვერა!

ირინე — თუმცა... მე ვიყავი პანაშვიდზე!

(პაუზა)

მიმაგრება გაქვს?

კახა — არა, მოვრჩი ყველაფერს!

ირინე — დაინყე მუშაობა?

კახა — ჰო, დოკში!

ირინე — დოკი რა არის?

კახა — ხის დამამუშავებელი კომპინატი!
(ციფებს ყურმილს).

ნოდარი მინდა... როდის? გმადლობთ!

ირინე — დაანებე რა თავი მაგ ტელეფონს! ექვსი წელია...

კახა — ის ექვსი წელი ჩემი დათვლილია!

ირინე — არც მე მილხინდა!

კახა — ეგ უკვე შენი პრობლემა! (კვლავ რეკავს) არ მოსულა
ლექსო?.. ხუთ წუთში? (ციფებს ყურმილს).

ირინე — შენი წერილები მაქვს... გადმოგცე?

კახა — ძალიან დაგიმადლებ!

ირინე — შემხედები?

კახა — რა საჭიროა... აქ ხომ მოდიხარ ხოლმე... ჩემი ფოსტის
ყუთში ჩააგდე!

ირინე — ბევრი მაქვს სალაპარაკო შენთან...

კახა — (რბილად) შენ ხომ მე მიცნობ?

ირინე — გიცნობ, ისე როგორც არავინ!

კახა — ჰოდა, სავსებით არ გამოვცვლილვარ!

ირინე — შენი უფლებაა არ მაპატიო...

კახა — ვეყო რა! (რეკავს) ლექსოს სთხო... ხუთი წუთი ალარ მიხ-
სენოთ, ძვირფასო... გადაეცით, რომ კახამ დაურევა... დიახ, კახამ! გა-
მარჯობათ... ლილი? დიახ, დიახ, როგორ არა... გმადლობთ... მაშ გა-
დასცემთ? ჰო, არ ვიცოდი, ერთად თუ მსახურობდით... როგორ არ
მახსოვეხართ... თვალების ფერი?.. ეგ უკაცრავად არ მახსოვე... ქერა!
ლილი, გამოგიტყდებით და დალტონიყი ვარ! (ციფებს ყურმილს) აუ!

ირინე — (უეცრად გაეცინება) შენ მართლა არ გამოცვლილხარ!

კახა — ხეირო, შენ მომაძახე?

ირინე — ჰო! (რაღაც დათბება მათ შორის).

კახა — ბავშვი რა ხისაა?

ირინე — ოთხი წლის!

კახა — ღმერთმა გაგიზარდოს!

ირინე — ბებიას ბინა გადაცვალე?

კახა — ჰო, ფული მჭირდებოდა.

ირინე — მომენატრე!

კახა — კიდევ რას იტყვი ჭევიანურს? (დგება).

ირინე — არ ნახვიდე რა...



კახა — (ჯდება) მარიამს ნახულობდი ხოლმე?

ირინე — ხშირად... სავადმყოფოშიც... სახლშიც... სულ შენის სახლშიც...
ნებაში იყო! საფლაზე იყავი?

კახა — ვიყავი!

ირინე — მართლა შეილივით უყვარდი!

კახა — შენ... ყველაფერი რიგზე გაქვს?

ირინე — არა!

კახა — პოოო...

ირინე — დედაშენი ნახე?

კახა — ერთი-ორჯერ!

ირინე — ისევ ძველებურად ხართ?

კახა — რას გულისხმობ?

ირინე — არ შეურიგდი?

(პაუზა)

(ლიმილით) კახა, ძალიან დავბერდი?

კახა — არა, მშევენივრად გამოიყურები!

ირინე — შენ კი მართლა არ გამოცვლილხარ!

კახა — ეტყობა დამაკონსერვა იქაურობამ!

ირინე — შენი ძმაკაცები როგორ არიან?

კახა — ზოგი კარგად, ზოგი ისე რა...

ირინე — დღემდე არცერთი არ მესალმება!

კახა — თუ ეს განუხებს, ვეტყვი, რომ მოგესალმონ!

ირინე — კახა, რად გინდა ეს ფარიკაობა?

კახა — დავაძავე რამე?

ირინე — არა, დამაკაცით მე დავაძავე, მაგრამ მაინც შენი ბრალია
ყველაფერი!

კახა — ლოგიკურია!

ირინე — მე შენზე უფრო ცუდად ვარ!

კახა — მერე, ვინ გეჯიბრება?

ირინე — მე მინდა, რომ შენ ეს იცოდე!

კახა — ჩემზე უფრო ცუდად რომ ხარ?

ირინე — ჰო!

კახა — მეცოდინება!

ირინე — არ შედგა ჩვენი საუბარი!

კახა — მე ნავალ, კარგი?

ირინე — მოიცა, შეიძლება რაღაცა გეითხო?

კახა — ბრძანე!

ირინე — იმ ექვს ნელინადში...

კახა — დაანებე მაგ ციფრს თავი!

ირინე — (იმეორებს) იმ ექვს ნელინადში მე სულ არ ვყოფილვარ?

კახა — (რბილად) ძალიან ცოტა ხანს... მერე აღარ!



ირინე — (თავს ჩაქინდრავს) ასეც ვიცოდი!

ლენიკო — (შემოდის, კაბა ჩაუცვამს, თმაც გადაუვარცხნა) კაშა გაი-

რით გაგიმასპინძლდეთ?

კახა — გმადლობთ, ლენიკო, მეჩერება!.. (ირინეს) კარგად იყავი!

(გადის. ლენიკო გაკვირვებით მისჩერებია თავჩაკიდულ მეგო-
ბარს).

ლენიკო — რა დაგემართა?

ირინე — არაფერი...

ლენიკო — (სიგარეტს და ასანთის კოლოფს უნდის) ცუდად ხომ
არა ხარ?

(ირინე თავს უქნეუს, სიგარეტს უკიდებს და სახეს ხელებში ჩარ-
გავს).

რა მოხდა ამ ხუთ წუთში?

ირინე — დასალევი გაქვს რამე?

ლენიკო — ღვინო!

ირინე — არა, რამე უფრო არსებითი!

ლენიკო — მოიცავნახავ...

(გადის და კონიაკი შემოაქვს).

ირინე — (სუსტი ხმით) დამისხი რა!

ლენიკო — იქნებ ვალერიანის წვეთები.

ირინე — არა, ეგ დამისხი! (სვამს და პირზე ივლებს ხელს).

კონიაქს ვერ ვიტან. (პაუზის შემდეგ) მაგარი საჩუქარი დამახვედ-
რე!

ლენიკო — კახა!

ირინე — ჰო, კახა, ჩემი საქმრო!

(ლენიკო მოულოდნელობისაგან სკამზე ჯდები).

ირინე — არ მითქვამს შენთვის?

ლენიკო — არა!

ირინე — ჰო, ჩემი საქმრო იყო!

ლენიკო — როგორ?

ირინე — ჭრელად! მეცხრე კლასიდან მიყვარდა... ცოტა მიშეე-
ლა...

ლენიკო — გინდა ეიდევ?

ირინე — არა, თორემ ავჯლავლდები! (პაუზის შემდეგ) აი, თურმე
რა მეზობლები გყოლია!

ლენიკო — თუ გიჭირს, ნუ მოყვები!

ირინე — არც რაა მოსაყოლი... მიყვარდა, ბედნიერი ვიყავი, მერე
დაიჭირეს, მერე გამოუშვეს და მერე ისევ დაიჭირეს! ამ შუალედში
გაეთხოვდი! ცოტა დამისხი რა...

(ლენიკო კონიაქს უსხამს ჭიქაში. ირინე ბოლთას სცემს ოთახში).

ლენიკო — რაზე დაიჭირეს?

ირინე — პირველად იჩინუბა... ცოტა ხანს იჯდა, მერე უნივერსი-
ტეტშიც აღადგინეს და საქორნილო კაბაც შევიყერე... გადადა გათხოვდა მამამისის
ლენიკო — მშობლები?

ირინე — მამა ადრე დაელუპა. დედა მალე გათხოვდა მამამისის
მეგობარზე... კახამ ეს არ აპატია!

ლენიკო — საქორნილო კაბა?

ირინე — არა მარტო კაბა, თვითმფრინავის ბილეთებიც... ვიპარე-
ბოდით და უცებდ მიცხადებს, ეგ კაბა გაიხადე, ორი თვით გადაიდო
ჩვენი ნასვლაო!

ლენიკო — რატომ? *ო?*

ირინე — მგონი დავთვერი!

(ჩამოჯდება და სახეს ხელებში რგავს. ლენიკო მოუთმენლად წრი-
ალებს სკამზე).

ლენიკო — მერე?

ირინე — (ყრუ ხმით) მაცალე რა... ცუდი შეგრძნება მაქვს... გავალ
ცოტა ხნით!

(ლენიკო ნამოხტება, ხელს აშველებს მეგობარს და ოთახიდან
გაპყავს. კახა იატაკზე ზის და სიგარეტს ენევა. ლენიკო ოთახში
ბრუნდება და სავარძელში ჯდება, საფეხლებს ისრესს. კახა შექანი-
ურად ფურცლავს ნიგნებს).

ირინე — (ბრუნდება) ლოთური სინდრომი...

ლენიკო — უჟეთ გახდი?

ირინე — ახლა არა მიშავს! *თუ!*

(პაუზა)

რას ვიყვებოდი? პო, მითხრა, გადაიდო ჩვენი ქორნინება, ორი
თვეც უნდა მოვითმინოთო. თურმე მისი მეგობარი ციხიდან გაქცეუ-
ლა და კახამ ითავა პატრონობა... ეს უკვე ბოლო წვეთი იყო...

ლენიკო — ვეღარ დაელოდე?

ირინე — (რისხვით) ბოლო წვეთი იყო-მეტეი! გადაეინვი!

ლენიკო — (პირდალებული შესცეკრის) და გათხოვდი?

ირინე — პო, ერთ კვირაში!

ლენიკო — კახა?

ირინე — კახა ერთი თვის შემდეგ დაიჭირეს. იმ რეციდივისტის გა-
პარება სცადა მცხეთის საფეხურიდან... მოელედ, სროდდა-ატყდა, ორი-
ვე მხარე ძალიდა... *მხებები სხურ ზურ...*

ლენიკო — კახაც ისროდა?

ირინე — არა, ჭეუა დაუშლიდა! მეც დამღუპა და თავიც დაიღუპა!
ახლა დოქტორ მუშაობს, პროლეტარი! მისი მეგობრები ნებისმიერ ად-
გილზე მოაწყობდნენ!

ლენიკო — რა ადგილზე?

ირინე — ფულიან ადგილს არ ვგულისხმობ. მაგას ფულის ნარ-

თმევეა შეუძლია, ფულის კეთება კი არა!

ლენიკო — აბასად უნდა მოეწყოთ?

ირინე — სადაც გინდა... განათლება და ნიჭი არ აკლია!

ლენიკო — ჰო, გიას ამეცადინებს ხოლმე ინგლისურში...

ირინე — ენა, ეტყობა, ციხეში დაამხეცა!

ლენიკო — აქეთ ღიზიანდები?

ირინე — (ცივად) შენ ნარმოიდგინე! იმ ხე-ტყის კომბინატში მუ-
შაობაც პოზაა და სხვა არაფერი!

ლენიკო — განა პოზიორია?

ირინე — როგორც არ უნდა დაგნედეს გული, ხანდახან ეგეც ახა-
სიათებს!

ლენიკო — ეიდევ რა ახასიათებს?

ირინე — კიდევ თავს შეაყვარებს ადამიანს და მერე ტანკივით გა-
დაუვლის... საკუთარი პრინციპების გამო!

ლენიკო — (ნამოხტება) შენ გადაგიარა, შენ?

ირინე — დიახ, მე!

ლენიკო — შენ, რომელმაც მიატოვე?

ირინე — რას თხოულობ ჩემგან?

ლენიკო — უნდა მოგეცადა!

ირინე — დეკაბრისტის ცოლი გავმხდარიყავი?

ლენიკო — როგორც შენ მიამბე, მაშინ კახა გარეთ იყო!

ირინე — ჰო, იმ რეციდივისტში კი გამცვალა! გაფრთხილებ, სას-
ნაულად უიღბლო ბიჭია!

ლენიკო — ო, ღმერთო ჩემო!

ირინე — მე პირადად დედა მიტირა!

ლენიკო — შენ რაღა გაქვს სათქმელი, მშენიერი ქმარ-შეილი
გყავს!

ირინე — ჩემს ქმარს საყვარელი ჸყავს... არც ვამტყუნებ... ეტყო-
ბა, არ შემიძლია არტისტობა! თუმცა ალბათ ეგეც შემიძლია! კოჩენ
ბალ, ფიასტე სვეტი! (კონიაკს დაასხამს).

ლენიკო — აღარ დალიო, ცუდად გაგხდის!

ირინე — ამაზე ცუდად? (სუამს, სანვიმარს იცვამს და ლენიკოს
კოცნის). კარგად იყავი და აღარ დამირეკო!

ლენიკო — რატომ?

ირინე — ნათელმხილველი ვარ და იმიტომ!

(გადის. ლენიკო სავარძელში ჩაეშვება).

(ოთახის შუაგულში სკოლის ჩანთა ეცემა ზათქანით. ლენიკო შეე-
რთება. ჩანთას მაღალი, ლამაზი ბიჭი შემოყვება, სკოლის ფორმაში
გამოწყობილი).

ლენიკო — (საყვედურით) გია!

გია — მოშეებული მხეცი თუ გინახავთ, იგი თქვენს წინაშეა!

ლენიკო — კატლეტი და სუპი მაქვს.

გია — ყველი?

ლენიკო — გათავდა.

გია — ის შენი დაქალი შემხვდა კიბეზე... მგონი ცუდად იყო, ხომ არ გაგაცილოთ-მეთქი და არა... (გაკვირვებით ატრიალებს კონია-კის ბოთლს ხელში). ეს რა არის, უბერავდით?

ლენიკო — (მაგიდას აწყობს) ირინას გული გაუხდა ცუდად!

გია — მერე კონიაკი შველის? (დასუნავს ბოთლს და იმანჭება) ამას როგორ სვამთ ქალები? ჟო. მართლა, ორიანი მივიღე! ქოთქოთამ დამაჯილდოვა!

ლენიკო — ო, ღმერთო ჩემო!

გია — ეგ კიდევ არაფერი, პედსაბჭოზე გავყავართ...

ლენიკო — რატომ?

გია — კოლექტიური შატალოს ორგანიზატორად...

ლენიკო — კიდევ რას მეტყვი?

გია — რა გითხრათ, რით გაგახაროთ? დაბადების დღეზე მივდი-ვარ!

ლენიკო — ჟო, რასაკვირველია, დაიმსახურე დროსტარება!

გია — კატლეტი არ გააცხელო, ცივი მირჩევნია!

(ლენიკო სუფრას გააწყობს. გია გამგელებული ჭამს).

ლენიკო — წყნარად ჭამე, არავინ მოგდევს! (გია რალაცას ზმუის აღმფოთებით) რა ვენათ ახლა?

გია — კახას წავიყვან პედსაბჭოზე. ერთხელ უკვე იყო ჩვენთან სკოლაში, გიას ბიძა ვარო, ნელის უთხრა... მას შემდეგ ნელი სულ ეითხულობს, ბიძაშენი როგორ არისო და თვალებს ნაბავს. ეტყობა, ნარუსლელი შთაბეჭდილება დატოვა!

ლენიკო — კარგი, გეყო ტლიკინი, ჭამე!

გია — ჯერ წყნარად ჭამეო, მერე...

ლენიკო — ორიანი რაში მიიღე?

გია — ისტორიაში!

ლენიკო — ისევ?

გია — ჯერ საქართველოს ისტორია გვასწავლონ ნორმალურად, მერე სხეისას ვისწავლი!

ლენიკო — რა გულით მიდიხარ დაბადების დღეზე.

გია — ანკარა, ლალი გულით, ჩემო ანგელოზო! (გადაიხრება და კოცნის).

ლენიკო — უჟ, შე კატლეტიანო! (ინმინდაქს ლოყას). ის გოგო იქ-ნება?

გია — (პაუზის შემდეგ) ალბათ! აი, ნახე!

(შარვლის ჯიბიდან ქალალდის ნაგლეჯს იღებს და ლენიკოს უწვ-დის).

ლენიკო — (გამოართმეცს) რა არის?

გია — ჩემი ლექსია!

(ლენიკო კითხულობს. გია იძაბება).

ლენიკო — (ამთავრებს კითხვას) კი მაგრამ, იმ გოგონას ხომ ლე-
ლა პქევა?!

გია — (წყენით) მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

ლენიკო — აპა, კონსპირაცია!

გია — მომე აქ! (ხელიდან გამოგლივეას ქალალდს).

ლენიკო — მშვენიერი ლექსია!

მშვენიერია-მეთქი! (პაუზა) რას მებუსხები, აქეთ! ორიანი მე მივი-
ღე თუ შენ?

გია — წუ გავიწყდება, რომ კაცი მე ვარ ამ ოჯახში!

(ფალცეტზე გადადის).

ლენიკო — ყიყლიყ!

გია — რაო?

ლენიკო — (სიცილით დარბის მაგიდის გარშემო) ყიყლიყ, ყიყლიყ!

გია — (ცერ დაიჭერს) დიდი ხანია, ალარ მიმიტყეპიხარ!

ლენიკო — კარგი, დაამთავრე სადილი, უნდა ავალავო!

გია — ჩემი თეორი კურტკა სად არის?

ლენიკო — გავრეცხე!

გია — (შეშფოთებით) ხომ გაშრა?

ლენიკო — არა მგონია!

გია — (ყვირის) გაგიუდი, ეგ უნდა ჩამეცვა!

ლენიკო — (შენუხებული) მე რა ვიცოდი!

გია — ვამე! (გარბის ითახიდან. ლენიკო უკან მიყვება მას. კახა
კვლავ მაგნიტოფონს რთავს და ტახტზე ნევება).

გია — (ისევ შემორბის) არა, ეს შიზოფრენიის ერთ-ერთი ფორმაა.

ლენიკო — რა, გია?

გია — (ლრიალებს) რა და, ისტერიულად რომ რეცხავ ჟველაფერს!

(გამნარეცული მლერის) „ვრეცხავთ დღისით და ლამით“...

ლენიკო — მე რა ვიცოდი...

გია — (ყვირის) მაინც ჩავიცვამ!

ლენიკო — სველს ჩაიცვამ?

გია — დიახ, სველს!

(გარბის. ლენიკო ედელს ეცემა და მუშტით აბრახუნებს).

ლენიკო — კახა! კახა!

კახა — (შემორბის ლია კარში) მოხდა რამე?

ლენიკო — უკაცრავად, მაგრამ... სველი კურტკით აპირებს ნასვლას!

კახა — ვინ?

ლენიკო — გია! დაბადების დღეზე მიდის... ის ლელა იქნება იქ...

კახა — მერე სველი რატომ უნდა ჩაიცვას?

ერთგანი!

ლენიკო — ვიხდებაო, იმ ვოგომ უთხრა? მე კი მაინც დამატამაზე
დღეს გავურეცხე! მიშველე რამე!

გია — (შემოდის. კურტქის სახელოებიდან ნურწურით ჩამოსდის
ნყალი) აი, ასევე ნავალ!

ლენიკო — ვაიმე, ფილტვების ანთება...

კახა — ანდა ტენის!..

ლენიკო — გეხვენები... გაიხადე!

კახა — გია, პატარა სტრიპტიზს ხომ არ ჩაატარებდი?

გია — (უყურებს თრივეს) შეთქმულებას აქვს ადგილი?

კახა — (ღიმილით) გაიხადე! გაიხადე!..

გია — (ბურტყუნით-იხდის) მრეცხავი ლენა...

ლენიკო — კარგი, დამნაშავე ვარ!

გია — (ცხრება) რა ვქნა ახლა?

კახა — ჩემი კოსტუმი ჩაიცვი...

გია — კოსტუმი?

კახა — ჰო, უხმარია... თანაც პატარა მაქვს!

გია — კოსტუმი არასოდეს მცმია...

კახა — არ გვინდა მანჩიერლობა, ჯერ გაისინჯე!

(გადის თავის თთახში)

გია — მოუხმე ხომ საშველად?

ლენიკო — აბარა მექნა?

კახა — (ბრუნდება) ლენიკო, შარვალია დასაუთოებელი!

ლენიკო — უთოს ჩავრთავ! (გადის).

გია — დაბადების დღეზე მივდივარ!

კახა — გუშინ არ მითხარი?

გია — დამავინყდა! ნახე რა მაჩუქეს! (ჯიბიდან დანას იღებს და
ტკაცანით ხსნის) კნოპკიანია!

კახა — მაჩვენე! (ხელში ატრიალებს დანას, შემდეგ ეცცავს და ჯი-
ბეში იდებს) მსოფლიო განიარაღებას ცდილობს, შენ კი იარაღდები?

გია — სუვენირია!

კახა — ჰო, თანაც ძალიან ლირიული სუვენირი!

გია — დამიბრუნე რა!

კახა — მე არ ნამირთევია!

გია — ხომ იცი, დანას არ ვატარებ!

კახა — მით უმეტეს!

გია — რა მით უმეტეს, მუშტის მოქნევას ვერ მოასწრებ, რომ ხუ-
თი დანა მოდის... ყველა ატარებს, ჩემს გარდა!

კახა — (გალიზიანებით) პოდა, ეგ მეომრული ენერგია ერთმანე-
თის უსუფაში არ უნდა დახარჯოთ!

გია — (ჯიბრით) შენ რაში დახარჯე?

(პაუზა).

ნიღა ის ძოხი ა-ზ

მაპატიე!

კახა — მე მაგალითად არ გამოვდგები!

გია — ხომ გთხოვე, მაპატიე-მეთქი!

კახა — მოდი, ეს დანა მე მაჩუქე, კარგი?

გია — (უხალისოდ) კი, ბატონო!

კახა — ხომ გემეტება ჩემთვის?

გია — (ეცინება) კარგი რა...

(პაუზის შემდეგ)

გეოგრაფიაშიც თრიანი მჭყლიტეს!

კახა — რა ამბავია ამდენი?

გია — არ ვიცი, ვერაცერს ვერ ვუდებ გულს!

კახა — გინდა გამეცადინო გეოგრაფიაში?

გია — (გაეკირვებით) შენ რა, ასეთი ბეჯითი მონაფე იყავი?

კახა — არა... მაგრამ ეგ საგანი კარგად ვიცი... მამა რომ დამელუ-
პა, ცოტა შენზე პატარა ვიყავი... ჰოდა, მოვიგონე ასეთი თამაში, მა-
მასთან ერთად ვმოგზაურობდი პლანეტის ყველაზე ლამაზ ქვეყნებ-
ში... ეს მისი ოცნებაც იყო, მაგრამ არ დაცალდა!

ლენიკო — (შემოდის) მოისინჯე!

(კახა ჯიბეში იდებს დანას. სიბნელე. როცა სცენა განათდება,
კოსტუმში გამოწყობილ გიას ლენიკო და კახა ატრიალებენ აქეთ-
იქით).

კახა — მხრებშიც გამართა... სკოლის გამოსაშვებ საღამოზე მეც-
ვა მხოლოდ... აბა მშეიღობაში და ფერქეშ!

ლენიკო — ო, არა!

კახა — გიამაც მაჩუქა რაღაც, ასე რომ ბარი-ბარში ვართ!

გია — (ეჭვით) მიხდება?

კახა — (ლენიკოს უკრავს თვალს) გიხდება და მგონი ნლებსაც
გმატებს!

ლენიკო — ჴო, სტუდენტივით გამოიყურები!

(გია ოთახიდან გადის).

ლენიკო — საერთოდ საშინელი ფეთხუმია... პირველად ვნახე, ასე
რომ იპრანჭება!

კახა — სიყვარულო ძალსა შენსა...

ლენიკო — გმადლობთ, გადამარჩინე გიას რისხევას!

გია — (ბრუნდება. კმაყოფილია) ცოტა მოგომო ტიპი ხომ არა
ვარ?

ლენიკო — კახას რა უნდა უთხრა?

კახა — რა უნდა უთხრა ბიძიას?

ლენიკო — (ერთხმად) გმადლობთ!

კახა — მაგას კაშნე-გალსტუკიც მოუხდება!

(კისერში ჩაუფენს კაშნეს)

გია — ძალიან ნეკერმანის ბიჭი ხომ არ გავხდი?

ლენიკო — არა, ეგ არ გვემუქრება!

(გია კვლავ კახას ოთახში გარბის. ლენიკო და კახაც მას მიჰყებიან).

გია — მართლა, ნიგნები მაქვს შენთვის დასაბრუნებელი!

კახა — მერე იყოს!

(გია გარბის, სკოლის ჩანთიდან სამ ნიგნს იღებს და უკან ბრუნდება).

გია — ეს ნიკო ლორთქიფანიძე, ეს გურამ რჩეულიშვილი და „მობი დიკი“.

კახა — ასე სწრაფად წაიკითხე?

გია — გადავყლაპე! როდის გავარჩიოთ?

კახა — (ჩაფიქრებით) როდის?

გია — ხვალ გეცლება?

კახა — მოდი, ზეგ წავუჯდეთ!

გია — ზეგ იყოს! ლენიკო, შენ ხომ არ გადიხარ?

ლენიკო — არა!

გია — აბა წავედი! (მღერის)

და მე მარტო ვარ ისევ,

პისტოლეტებით ხელში!

(გადის. კახა და ლენიკო მარტო რჩებიან ოთახში).

კახა — დაბრძანდი, ლენიკო!

ლენიკო — არა, აღარ შეგიშლი ხელს!

კახა — კარგი რა...

ლენიკო — მიღაგებაში ხომ არ დაგეხმარო?

კახა — (ოთახს შეათვალიერებს) არა!

ლენიკო — მართლა, არ მოგერიდოს!

კახა — დიეტურში დამლაგებელი ქალი შევისირე, კვირაში ირგერ მოვა...

ლენიკო — (ფეხს ითრევს წასვლაზე) როგორ მოუხდა კოსტუმი?

კახა — (იცინის) გია თვითონ უხდება ყველაფერს!

ლენიკო — შენ კი კოსტუმში არასოდეს მინახიხარ!

კახა — ჰო, გადავეჩვიე ცოტა არ იყოს!

ლენიკო — (თაროებს ათვალიერებს) თითქმის მოენყვე უკვე.

კახა — პატარა რეკონსტრუქციასაც გავაკეთებ და საბოლოოდ დაესახლდები!

ლენიკო — წავალ, მივხედავ ჩემს დიპლომს... ჰო, სულ დამავინადა... წაგიკითხა ლექსი?

კახა — გუშინ!

ლენიკო — მე წაელებად მომენონა!

კახა — სამაგიეროდ გულნრფელია!

ლენიკო — გულწრფელი... ეს უკვე რაღაცას ნიშნავს?
 კახა — ალბათ!

ლენიკო — ესე იგი, კარგი ლექსია!
 კახა — კარგია, რომ გულწრფელია!

ლენიკო — აუცილებელია გულწრფელი იყო?
 კახა — პოეზიაში?

ლენიკო — არა, ცხოვრებაში!

კახა — გამომძიებელთან არამც და არამც!

ლენიკო — მე მართლა მაინტერესებს!

კახა — არ ვიცი, ალბათ უნდა იყო, ან...

ლენიკო — ან?

კახა — ან არ უნდა იყო!

ლენიკო — (დიდხანს უყურებს კახას) რა სწრაფად პასუხობ ყველა შეკითხვას!

კახა — ზედმეტად სწრაფად?

ლენიკო — აღარ მოგაცდენ!

(გადის. კახა ტახტზე ჩამოჯდება და სახეს ხელებში ჩარგავს. ლენიკო თავის ოთახში შედის და უმიზნოდ სცემს ბოლთას. კახა მაგნიტოფონს რთავს. ნალვლიანი მელოდია დაიღვრება ოთახებში. ლენიკო და კახა ერთდროულად მიდიან გამყოფ კედელთან... ორივე თითქმის სინქრონულად ინკვ კედელზე დასაკაუნებლად, მაგრამ ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ულონოდ ჩამოეშვებათ შემართული ხელები. კახა ტახტს უბრუნდება, ლენიკოც გამოდის სომნაბულური ტრანსიდან, სათვალეს იკეთებს, სავარძელში ჯდება და სქელტანიან რვეულს დაიდებს მუხლებზე. ზარის ხმა კარზე).

ლენიკო — (დეგბა და კართან მიდის) ვინ არის?

დათოს ხმა — მიტუა ვარ, კახეთიდან ძლევნი ჩამოვიტანე!

ლენიკო — დათო, ნადი რა!

დათო — კარი გააღე!

ლენიკო — გთხოვ!

დათო — გააღე, თორემ შემოვამტკრევ!

(ლენიკო კარს აღებს. შემოდის დათო, ლენიკოს ყოფილი ქმარი).
 მარტო ხარ?

ლენიკო — ჰო! (დათო თავს შეათვალიერებს, შემდეგ სავარძელში ჯდება და ფეხებს მაგიდაზე ააწყობს) ჩამოიღე ფეხები!

დათო — რატომ?

ლენიკო — ჩვენ აქ ვსადილობთ!

დათო — ამ ჩემს ფეხებს, თუ სადილობთ! ერთ დროს მეც ვსადილობდი!

ლენიკო — დათო, რა გინდა?

დათო — ანი, ბანი და განიდა,

ნეტავ რა მინდა... რა მინდა?!

ლენიკო — რაზე მოხვედი?

დათო — მშია!

ლენიკო — (დგება) კატლეტს გაგიცხელებ!

დათო — დაჯექი, გადაუიფიქრე!

ლენიკო — გია მოვა მალე!

დათო — მოვიდეს, ვინ უშლის! სხვათა შორის, შენს ლანირაჟ ძმას გადაეცი, სალამი ისნაელოს!

ლენიკო — გადავცემ!

დათო — გაეკრილი სიფათით რომ მხვდება... რა გონია?! მე მიგატოვე თუ შენ? მიტოვებული კაცის კომპლექსი მე არა მაქვს, მხოლოდ ველი, როდის მოხვალ გონს! უჩემოდ ვერ იკვირტრიშებ, ძვირფასო!

ლენიკო — ჩამოიღე ფეხები!

დათო — (დგება და სიგარეტს უკიდებს) საფერფლე მომეცი.

(ლენიკო საფერფლეს დებს მაგიდაზე. კახა კელავ რთავს მაგნიტოფონს).

დათო — (კედლისკენ გაიხედავს) ეს, შენი ბლატნოი მეზობელი გუგუნობს?! კიდევ დაეთრევა აქ ტელეფონზე დასარეკად?

ლენიკო — ხანდახან შემოდის ხოლმე!

დათო — გადაეცი, რომ მორჩეს აქ ბოდიალი!

ლენიკო — კიდევ ვის რა გადავცე, ხომ ვერ მეტყვი?!

დათო — (კარისკენ მიდის) მაშინ მე თვითონ აუცხსნი საქმის ვითარებას!

ლენიკო — (გადაელობება) ნუ სულელობ!

დათო — რა იყო, რა მატროსოვით გადაეფარე?!

ლენიკო — სკანდალი არ მინდა!

დათო — აი, მე კი მინდა!

(ტელეფონის ზარი, ლენიკო ყურმილის ალებას აპირებს, მავრამ დათო დაასწრებს).

დათო — გისმენთ! არ არის სახლში... მე დათო ვარ... (კმაყოფილი კიდებს ყურმილს) მაგრად გაუკეირდა ვიღაცას ჩემი აქ ყოფნა!

ლენიკო — არ მესმის, რას აეკორებ?

დათო — რა და ხვალ ჭორი ნავა ქალაქში, შერიგდნენ!

ლენიკო — ნასვამი ხარ თუ...

დათო — აი, ეგ კი შენი საქმე არ არის! მე მინდა გავიჩირავ, მინდა დაულევ, მინდა ქალს გავნენავ...

ლენიკო — კი ბატონო, მაგრამ არ შეგიძლია უჩემოდ ანარმონ ეგ პროცესები?

დათო — უშენოდ? (პაუზის შემდეგ) უშენოდ სიცოცხლე არ ძალმის! რას დაფუძიო? არ იცი, რომ მიყვარხარ?

ლენიკო — კარგი რა, დათო!

დათო — არ იცი, რომ სულიერად გავეპარტახდი? მოვისპერ? ლენინი უკავშიროდ კო, დაბრუნდი, სისულელე არ ჩამადენინო! აღარ იქნება არც წარმოადგინოს ტი, არც უაზრო ცხოვრება... იმ შტერ დედაეკაცთანაც არაფერი მქონია... უბრალოდ, ყოველი ლამაზი ქალის დანახვას პირად შეურაცხყოფად ვთვლიდ!

ლენიკო — დათო, გვიან არის უკვე!..

დათო — სახლიდან მაგდებ?..

ლენიკო — არა, საერთოდაა გვიან!

დათო — რა, აღარ გიყვარეარ?

ლენიკო — შემიცოდე რა!

დათო — შენ, შენ შემიცოდე?

ლენიკო — მე არც გაკადრებ მაგას!

დათო — თავმოყვარეობაზე მანვები? გინდა დაგიჩოქებ! (აპირებს დაჩინქებას).

ლენიკო — (შიშით) ო, ეგ კი არა ქნა!

დათო — (გაბზარული ხმით) ლენიკო!

(მიღის მასთან და მელავებს მოხვევს).

ლენიკო — (უკან გახტება) არ მომეუარო!

დათო — (თავს ჩაქინდრაეს) ასე გეზიზლები?

ლენიკო — (შეწუხებული) ნუთუ ველარ გაგაგებინე...

(მიღის მასთან და მხარზე შეახებს ხელს, იმნამს დათო ძალუმად ჩაბლუჯავს მკლავები და ცდილობს აკოცოს).

ლენიკო — (კივის) არა!

(მაგნიტოფონთან ჩამჯდარი კახა ფეხზე ნამოხტება).

დათო — (განბილებული) აკი არ მეზიზლებიო?!

ლენიკო — (სავარძელში ჩაჯდება და ტირის) ნადი რა, ნადი რა, გთხოვ!

დათო — (თვითონაც სავარძელში ჯდება და ფეხებს კვლავ მაგიდაზე ანყობს) აქაც მშევნივრად ვგრძნობ თავს!

(ზარის ხმა კარზე).

ლენიკო — (შეკრთება, ცრემლებს ინმენდს და დგება) ეს გიაა, ახლა კი მართლა ნადი!

(აღებს კარს).

კახა — შეიძლება?

ლენიკო — დიახ... შემოდი!

დათო — (პოზის შეუცვლელად) ეს თუ შენი უმცროსი ძმაა, მაგრად გამოცვლილა!

კახა — უკაცრავად, უდროო დროს...

დათო — (სტუმართმოყვარედ) აბა, რას ბრძანებთ, ჩვენს ოჯახში ცხოვრება ამ დროს ინყება!

ლენიკო — დარეუვა გინდოდა?

კახა — დიახ, მაგრამ არა უშავს... მერე დაურეკავ!

დათო — ჩემი ნასვლის შემდეგ?

კახა — არა, ხვალ დილით!

დათო — მობრძანდით, დარეკეთ... ჩვენ ხომ არ გიშლით ხელს?

კახა — არა, ბატონო... (მიდის ტელეფონთან, რეკავს, შემდეგ ყურმილს ეიდებს და ნასასვლელად მოტრიალდება) არავინ პესუ-ხობს... გმადლობთ!

დათო — (დება და სკამს მოუდგამს კახას) დავსიდდაუნდეთ! ნავიულურტულოთ აქეთურზე-იქითურზე. კეთილ მეზობლობას როგორც ეკადრება!

ლენიკო — (რისხვით) რას მაიმუნობ?

დათო — მე კი არ ვმაიმუნობ, ვმასპინძლობ! მშვენიერი ჩანაწერები გქონიათ, გისმენდით... და ვტკბებოდი!

ჰე, ჯუ, დონთ ბი ეფრეიდ,

ლა ლა ლა ლა, ლა ლა, ლა ლალ ლალ ლა!

კახა — თქვენის ნებართვით დაგტოვებთ.

დათო — ჩემის ნებართვით, მანდ დაეგდები, შე ქარაქუცა!

ლენიკო — (ყურებზე ნაივლებს ხელს) ვაიმე!

(კახა სკამზე ჯდება)

დათო — (კვლავ მაგიდაზე ანყობს ფეხებს) შენ რომელ ლაგერში იჯექი?

კახა — (დინჯად) მე... პიონერთა!

დათო — (დამცინავად ათვალიერებს მას) შევი ხარ?

კახა — არა, შავგვრემანი!

დათო — გლანდები ამოჭრილი გაქვს?

კახა — არა!

დათო — ჰოდა, აქ სიარულს თავი დაანებე, თორემ სულ გლანდებში გიტრიალებ ნაგანის ლულას! რა იყო, რა გაცინებს?

კახა — ისე, გამოთქმა მომენტა... ახლა კი ნავალ!

(დგება).

დათო — სულ ასკინეილით იარე!

ლენიკო — კახა, მე გიხდი ბოდიშს!

(კახა გაულიმებს შას და გადის).

დათო — ნუ გადაიღლი ბოდიშებით თავს!

ლენიკო — (კარს მიხურავს და რისხვით მოუტრიალდება) ოჟ, შე მართლა ქარაქუცა!

დათო — (მხიარული განცემის მიზანით) რა გინდა, ცუდად ჩავატარე? ნაღდი საკონცერტო ნომერი იყო!

ლენიკო — (დაღლილად) ნადი, რა!

დათო — კი, ბატონო... ახლა მართლა ნავალ! შენ კი გონს მოდი, გირჩევნია!

კმის განვაჭ!

(კარს გაიჯახუნებს. ტახტზე ჩამომჯდარი კახა კარის ბრძანებულებას ხმაზე, სწრაფად დგება და ოთახიდან გადის. ლენიკო ბოლთას სცუმის მეულე და ისტერიულად ისრესს საფეხქლებს)

დათოს ბლავილი — ვაიმე, მკლავს!

(დათო შემოანგრევს კარს და ლენიკოს ფეხებთან ეცემა).

ლენიკო — (კივის) რა მოხდა?

დათო — მმმკლავდა! კეკარი ჩაკეტე!

(სავარძელში ჩაჯდება. ლენიკო კარს კეტავს).

ლენიკო — ვალერიანის ნეეთები?

დათო — მმმოიტა!

(ლენიკო ნამალს უმზადებს და ჭიქას უწყდის).

ლენიკო — დალი!

დათო — (თავს ანევს და სვამს) დაბლა დამიღდარაჯდა!

ლენიკო — კარგი, დაწყნარდი!

დათო — (ფეხზე წამოიჭრება) დაეწყნარდე? დავწყნარდე კი არა, მაგას...

ლენიკო — გინებას ნუ ატეხავ!

დათო — (ფეხს ურტყამს კედელს) ეს მე ვარ ბოზის ტრიკო? მე შენ განახებ, ვინ არის ბოზის ტრიკო! (ისტერიულად ქალივით კივის) ქურდებში გაირჩევ საქმეს!

(ოთახში დაბრუნებული კახა იცინის და მაგნიტოფონს უნევს ხმას).

ლენიკო — კარგი, ნუ ყვირი!

დათო — მაგის სისხლს დავლევ შე!.. ქურდებში გაირჩევა საქმე! ასევე გადაეცი!

ლენიკო — (შეკავებული ღიმილით) გადავცემ, გადავცემ!

(დათო ფრთხილად ალებს კარს და გადის. ლენიკოც კედელზე აკა-კუნებს. კახა სიცილს მოსხიპავს და ლენიკოს ოთახში შემოდის).

კახა — მეძახდი!

ლენიკო — ბოდიში მინდოდა მომეხადა.

კახა — (მხრებს იჩეჩავს) ხომ მომიხადე უკვე!

ლენიკო — (პაუზა) ესე არ უნდა შეგეშინებინა!

კახა — მე არაფერი... თეითონ დაფრთხა რაღაცაზე!

(ერთმანეთს შეჰურებენ).

ძილი ნებისა, ლენიკო!

ლენიკო — ნახეამდის!

(კახა გადის, ლენიკო კაბას იცვლის, ხალათში შეიცუთნება, კელავ სავარძელში მოიკალათებს და რვეულს გადაშლის. კახა ტახტზე ნევ-ბა).

(სიბნელე. როცა სცენა განათდება, ლენიკოს გაუხდელად სძინავს სავარძელში. ოდნავ ბუტავს ლამის ნათურა. კახა შხაპის შემდეგ ხა-

ლათმოსხმული სველ თმას ივარცხნის სარკის წინ. ზარის ხმა ლენი-
კოს კარზე).

ლენიკო — (განმეორებითი ზარის შემდეგ, ნამტინარევი ხმით) ვინ
არის? (პასუხი არაა). გია, შენა ხარ? (თანდათან ფხიზლდება) გია?
(დგება და კართან მიღის, შემდეგ ალებს. გია უხმოდ შემოღის ოთახ-
ში). ვერ მიპასუხებ? (ამთქანარებს) რომელი საათია? რატომ დაიგვია-
ნე? (გია უხმოდ ჯდება მაგიდასთან). რამ დაგამუნჯა? (ჭალის ანთე-
ბას აპირებს, მაგრამ გია ხელით შეაჩერებს მას). რა, არ ავანთო? რა-
ტომ? თითქმის ვერ გხედავ? გია, ჟეუიდან არ გადამიყვანო, ხმა ვამე-
ცი! (იცინის) გეყო რა, მაიმუნბა, ლამის ორი საათია! (შეძფოთებული
მისჩერებია უძრავად მჯდარ გიას). გია, ნუ მაშინებ, დამელაპარაკე!
მოხდა რამე?

გია — მშია, ლენიკო!

ლენიკო — (შეებით იცინის) დღეობიდან მოსულს? გაგიცხელო?

გია — (ჩახლეჩილი ხმით) როგორც არის, ისე მოიტანე!

ლენიკო — (უეცრად მიღის მასთან და სახეს სახესთან მიუტანს.
შიშითა და გაკვირვებით) შენ რა... დალიე?

გია — ჰო, დავლიე!

ლენიკო — შეიძალე?

გია — (თავის მოუტრიიალებლად) შევიძალე!

ლენიკო — (რისხევით) ეინ იდიოტმა გამოგიტანათ ბავშვებს ლვი-
ნო! მიპასუხე!

გია — მშია!

(სადღაც სიერცეში გაშტერებია მზერა).

ლენიკო — სად იყურები?

გია — (თავს მოაბრუნებს) არ ვიცი!

ლენიკო — არ იცი? (გია მძიმედ უქნევს თავს) მოდი, დანექი!

გია — მშია!

(ლენიკო სამზარეულოში გადის. გია მის მოსვლამდე ასევე უძრა-
ვად ზის. ლენიკო სუფრას ანყობს, თან თვალს არ აშორებს გაქვავე-
ბულ ძმას).

ლენიკო — (ნაძალადევი უდარდელობით) იქ რა, არ გიჭამია არა-
ფერი?

გია — არა!

ლენიკო — (რბილად) არა უშავს, ერთხელ დალიე, მეორედ ალარ
იზამ ასეთ სისულელეს... სანამ დიდი ბიჭი არ გახდები. ნუ განიცდი!

გია — (თავს შემოატრიიალებს. ჩლუნგი გაკვირვებით) მე არ გან-
ვიცდი!

ლენიკო — ცუდად ხომ არა ხარ?

გია — მშია!

ლენიკო — (გაკვირვებით) აკი მოგიტანე!

გია — (მძიმედ შემოტრიალდება საჭმლისკენ) ჰომო!

ლენიკო — ჭამე! რაღას უცდი?

გია — არც არაფერს.

(იწყებს ჭამას, ზანტად, ურიტმოდ. ხანდახან ჩანგალი ხელში უშეშდება. ლენიკო სულ უფრო მეტი შეშფოთებით შეპყურებს მის ასეთ ყოფას).

ლენიკო — კარგი დრო ატარე?

გია — იშვიათი!

ლენიკო — (გაუბედავად იცინის) აი, ახლა უკეე გცნობ!

გია — (ჩაფიქრებით) მანამდე რატომ ვერ მიცანი?

ლენიკო — (დაბნეულად) რა ვიცი, რაღაც უცხო კაციერი იქცეოდი!

გია — გემრიელია ძალიან!

ლენიკო — კატლეტი?

გია — ჰო, ცივი უფრო გემრიელია!

ლენიკო — რაღაცა რობოტიერი ლაპარაკობ!

გია — როგორ? გამოთქმის გარეშე?

ლენიკო — ჰო, უინტონაციოდ!

გია — რამდენს მაკვირდები?

ლენიკო — რაო, რაო?

გია — (მძიმედ) რაც მოვედი, სულ მაკვირდები! ნუ მაკვირდები, დანექი!

ლენიკო — ხელს გიშლი? გალიზიანებ?

გია — არა, შენ ჩემი უსაყვარლესი და ხარ! ძალიან მიყვარხარ...

ლენიკო — (ნაზად) გმადლობთ!

გია — (ჭამას განაგრძობს) ოლონდ.

ლენიკო — (დაბნეული დგება) კარგი, ნავალ!

გია — ჰო, ნადი, დაიძინე!

ლენიკო — ჰო! რატომ არ ჭამ?

გია — ვჭამ! როგორ არ ვჭამ...

ლენიკო — ბევრი დალიე?

გია — (ჩაფიქრდება) არ ვიცი! ბოლო სადლეგრძელო 14 აპრილის იყო! გახსოვს 14 აპრილი?

ლენიკო — მე პატარა ვიყავი, აი, კახას კი ემახსოვრება!

გია — კახა, კახა!

ლენიკო — რა იყო?

გია — ძალიან მიყვარს კახა! კახასი მჯერა!

ლენიკო — ჩემი?

გია — შენი ხომ მჯერა, მჯერა და მჯერა... შენი რომ არ მჯეროდეს, თავს მოვიკლავდი!

ლენიკო — (სპეციალურად უხეშად) კარგი, ენას ვეღარ ატრია-



ლებ, დანექი!

გია — ნუ მელაპარაკები ასე, თორემ გაებრაზდები!

ლენიკო — (ნაძალადევი სიცილით) ცივ ნყალს დალევ! პირზე გამოისახავა!

გია — (ჩუმად) არ მატეინო გული, ისედაც მტკივა!

ლენიკო — (ახლოს მიდის მასთან) მითხარი, მოხდა რამე?

გია — ბევრი რამ ხდება ჰორაციო ამ ქვეყანაზე!

ლენიკო — გეხვეწები, მითხარი... შენც შვებას იგრძნობ!

გია — მეცეკვე!

ლენიკო — რაო?

გია — მეცეკვე... — რამე ნელი, ნელი ცეკვა!

ლენიკო — მაგნიტოფონი რომ გაფუჭდა! (კახა მაგნიტოფონს რთავს და ლოგინში წევბა. ნყალი, სევდიანი მელოდია შემოაღწევს თახში) როგორ დაემთხვა?!

გია — ტელეპატური კონტაქტით... ხომ გითხარი, მიყვარს კახა-მეთქი!

ლენიკო — მოდი, დავწერეთ რა... მეოთხე საათია!

გია — მეცეკვე!

(დევბა და ხელს კიდებს ლენიკოს. და-ძმა ცეკვავს).

ლენიკო — ასე რატომ დააგვიანე?

გია — ქუჩებში დავდიოდი!

ლენიკო — გააცილე ვინმე? რა გატირებს? რატომ ტირი?

გია — ამდენს რატომ ლაპარაკობ?

ლენიკო — გია!

გია — ჩუმად მეცეკვე, უხმოდ!

(უეცრად მოწყვეტით ჯდება სკამზე და სახეს ხელებში ჩარგავს. მერე სწრაფად დგება და ოთახიდან გადის. სამზარეულოდან შუშის მსხვრევის ხმა ისმის).

ლენიკო — (შეჰკივლებს) გია!

(გარბის სამზარეულოში. კიდევ ერთხელ ზრიალით იფშენება შუშა).

ლენიკო — რას სჩადი?

(ოთახში შემოათრევს გიას).

ხელები ხომ არ დააჩეხე!

გია — ნუ ნკავნკავებ, რა!

ლენიკო — მაჩვენე ხელები... რას იქნევ ამ მუშტებს, გაგიუდი?

გია — ლენიკო!

ლენიკო — რა?

გია — არაფერი... დავწერეთ!

ლენიკო — ჴო, შენი ჭირიმე, დაუწერეთ... ჩემი ჭკვიანი ძამიკო!

გია — ენას ნუ მიჩილიქავ!

ლენიკო — მე...



გია — ბავშვი ალარა ვარ! ნუ მიჩლიქავ ენას!

ლენიკო — არა, არა, შენ დიდი ხარ უკვე, დიდი ბიჭი ხარ!

გია — აი, ისევ!

ლენიკო — რა?

გია — ენას მიჩლიქავ!

ლენიკო — ვაიმე, რა წყალს ვეცე?

გია — (თვალდახუჭული) დისტილირებულს... გამოხდილს...

ლენიკო — (შიშით) ბოდავ?

გია — მე ნავალ!

ლენიკო — სად?

გია — (ენის ბორძიკით, თვალდახუჭული) გავიტასავ-გამოვიტა-სავებ...

ლენიკო — (მეაცრად) აბა, ახლა მართლა მორჩი!

გია — ხმას ნუ იბოხებ, დედაშვილობას!

ლენიკო — გია, დანექი რა, გეხვენები!

გია — არ არსებობს!

ლენიკო — რა?

გია — დაწოლა არ არსებობს და არც იარსებებს!

ლენიკო — (თვარცურემლიანი) გია, შენ უკვე ბოდავ!

გია — გამიშვი, რა!

ლენიკო — არა! ვერ გაგიშვებ... გაახილე თვალი, გოხოვ!

გია — სული მეხუთება... ჰაერზე მინდა...

ლენიკო — ფანჯრებს გამოვალებ!

გია — ვერ გამოალებ! მე ჩავამტვრიე!

ლენიკო — მით უმეტეს!

გია — რა სულელური სიტყვაა „მით უმეტეს“!

(მთელი ეს დიალოგი ლენიკოსა და გიას ჭიდაობის ფონზე მიმდინარეობს).

ლენიკო — იცოდე, კახას დავუძახებ!

გია — კახა... კახა მე მიყვარს...

ლენიკო — (იმედმოცემული) დავუძახო?

გია — როგორც უფროსი ძმა!

ლენიკო — ერთი ნუთით ჩამოჯექი და დავუძახებ!

გია — არა, მარტო უნდა ნავიდე! ლენიკო, ხელი გამიშვი, თორემ უცაბედად გატკენ რამეს!

ლენიკო — გია, საყვარელო, ვერ გაგიშვებ! ხომ იცი, რომ არ შეგი-პუები.

გია — (იცინის) რა შეუპოვარი და მყავს... კარგი, დავწერ! დავი-ღალე!

ლენიკო — მართალს ამბობ?

გია — სიცრუე და ორპირობა...

ლენიკო — ავნებს ხორცისა, მერმე სულსა!

გია — ყოჩალ!

ლენიკო — მართლა დაწვები?

გია — უსიკვდილოდ! ლოგინი გამიშალე!

(ლენიკო შიშით გაუშვებს ხელს, გია სკამზე ჯდება და თავს ჩაკიდებს. ლენიკოს თეთრეული გამოაქვს და კუთხეში მდგარ ტახტზე ან-ყობს).

ლენიკო — (ლოგინს შლის) ჩემი ქეციანი სულელი ძამიკო... წარმოგიდენია, ჩვენებს რომ ენახეთ ასეთ მდგომარეობაში?..

გია — (თვალდახუჭული) ვინ ჩვენებს, ნითლებს?

ლენიკო — მშვენიერად იცი, ვიზეც ვამბობ... არა, რა ბარბაროსი უნდა იყო, ბაუშვებს ღვინო რომ გამოუტანო?!

გია — (თვალდახუჭული) ბარბაროსი, ბარბარისი, ბარბიტურატი, ბარბარიზმი, ბურბუშელა... ურბუშელა... რბუშელა... ბუშელა... უშელა... შელა... ელა... ლა... ა!

ლენიკო — თავი მაღალი გირჩევნია?

გია — „თავები მარად კეთილშობილი, სიმღერით ავლენ სახრჩო-ბელაზე!“

(უეცრად მოსაწყდება ადგილიდან, კარს გამოანგრევს და გარეთ გარბის. **ლენიკო** ნამით შრება, მერე კარისენ გაიქცევა, უეცრად შედგება და კედელზე დააბრახუნებს მძლავრად).

ლენიკო — (სასონარევეთით) კახა, კახა!

(დაფუეთებული კახა ლოგინიდან ნამოვარდება).

ლენიკო — კახა, გია გამექცა ქუჩაში! დროზე!

(თვითონაც გარბის. დარეტიანებული, ნამინარევი კახა სწრაფად იცვამს, გზად ნიგნების გროვას ნამოედება და ზღართანს გაადენს, შემდეგ ნამოხტება და გზადაგზა ფეხსაცმელის ჩაცმით, ასკინებილით გარბის გარეთ. ცოტა ხნის შემდეგ კახას და ლენიკოს გაკავებული გია შემოჰყავთ ოთახში).

გია — გოხოვთ, ოქმში აღნიშნოთ, რომ დაკავების მომენტში ნინა-აღმდეგობა არ გამინევია!

(გიას ძალით სვამინ სკამზე).

ლენიკო — (ვეღრებით) გია, მითხარი, რა გემართება?

გია — (ფეხს ფეხზე გადაიდებს) ჩემი აღვოკატის მოსელამდე ჩვენებაზე უარს ვაცხადებ!

ლენიკო — გია, ძვირფასო, რა მოხდა?

გია — დავთვერი!

ლენიკო — კიდევ?

გია — პირველ ჩვენებას არ შეეცელი!

კახა — (ეცინება) არამც და არამც?

გია — დიახ, არამც და არამც!

კახა — კარგი, დანექი ახლა!

გია — კახა, შენ გაგიმარჯოს!

კახა — გმადლობთ!

გია — ალავერდი ლენიკოსთან!

ლენიკო — (კახას) მე რა ვქნა?

კახა — მადლეგრძელე!

გია — (დაუინგბით) ალავერდი ლენიკოსთან!

ლენიკო — გაუმარჯოს!

გია — ვის?

ლენიკო — კახას!..

კახა — (ღირილით) სამადლობელი ვთქვა?

გია — კახა, ძალიან ცუდად ვარ...

კახა — რატომ, გია?

გია — (თვალდახუჭული) მიშველე რამე! კახა! (ტირილი აუვარდება, მაგიდას დაემხობა და მთელი ტანით ცაცახებს).

ლენიკო — (ისიც ატირდება) ვაიმე!

გია — (ტირილით) ნუ ღნავი! მეორე ხმა არ მჭირდება!

ლენიკო — (კახას) რას ამბობს?

(გიას უეცრად სიცილი აუტყდება).

ლენიკო — რა გაცინებს?

გია — (სიცილით, კახას) ყველა ლექსი გამიგრძელა, ჭეუაზე არ არის.

ლენიკო — (გაოგნებული, კახას) ხომ არ გვაშაყირებს?

კახა — (ჩუმად) ისტერიკაა, ნუ აყვები!

გია — (უცბად საკინძეს გაიხევს) კახა, მიშველე, სული მეხუთება!

ლენიკო — (კივის) ვაიმე!

კახა — (შეუყვირებს) აბა, მორჩით მოთქმას ორივე!

გია — კახა, რატომ არის ლალატი? რატომ არსებობს ლალატი? რატომ? მიპასუხე!

კახა — (სევდინად) აბა, რა გიპასუხო?

ლენიკო — (აღმფოთებით) არა, ვინ გამოუტანა სასმელი ბავშვებს! რომელმა დეფექტურმა?

გია — ეფექტურად ვეპრილოთ დეფექტურებს!

ლენიკო — (იფეთქებს) გეფიცები, დაგვცინის!

გია — ვინც ჩევნზე გაიცინოს...

კახა — (მჟაცრად) არ მიქარო... და არ გარითმო!

ლენიკო — უნმანურობა თქვა რამე?

გია — უნმანურობა, წმანურობა, მანურობა, ანურობა, წურობა...

კახა — შემომხედე! ძალიან გთხოვ, დანე.

გია — (უღონოდ ჩაპეკიდებს თავს) კახა, მიღალატეს...

კახა — ვინ გიღალატა?

(გიას ისევ ტირილი აუვარდება).

ლენიკო — კახა, რა ვქნათ?

კახა — წყალი მოიტანე... (ჩუმად) და ნიშადური!

(ლენიკო გადის).

გია, გინდა რამე მიამბო?

გია — ჰო, მინდა!

კახა — მითხარი!

გია — კახა, ვერ ვყვები!

კახა — გიჭირს?

გია — ლელა...

კახა — ჰო!

გია — ლელამ მიღალატა!

ლენიკო — (წყალი შემოაქეს) დალიე, გიუშეი!

გია — (ნამოხტება) ნუ მიჩლევ ენას!

კახა — (ძალით დასვეს სქამზე) შესვით წყალი, გიორგი!

გია — (თვალდახუჭული სვამს წყალს) ჯერ სამჯერ ეცეკვა
სხვას... (ლენიკო ნიშადურის ფლაკონს მიუტანს ცხვირთან. გია დამ-
დუღულივით ნამოხტება) რა უბედურებაა ეს?

ლენიკო — (დამნაშავედ) ნიშადურია, გია!

გია — (დაღლილი) მოაცილე აქედან!

ლენიკო — როგორც შენ იტყვი, გიუშეი... (პირზე აიფარებს
ხელს).

გია — (ამჯერად ვერ ამჩნევს ენის მოჩლექვას) სამჯერ ეცეკვა!

კახა — მერე?

გია — რაღა მერე, კახა, რაღა მერე... მაგრამ მერე სულ საშინელე-
ბა გამიკეთა! კახა, რატომ ხდება ასე? მითხარი!

კახა — რა მოხდა მერე?

გია — (თვალს ახელს) მერე... სხვას ჩაუჯდა ტაქსში... სხვას გაა-
ცილებინა თავი, გესმის? სხვამ გააცილა!

კახა — ვინ სხვამ? ვისაც ეცეკვა?

გია — (აკანკალებული ხმით) არა, ის კიდევ სხვა იყო!

(ლენიკო სივრცეში უღერებს ვიღაცას მუშტებს).

კახა — (ლიმილს იყავებს) ძალიან ცუდად მოქცეულა!

გია — (ნამოდგება) ყველა გოგო კაბპა!

კახა — (პაუზა).

გია — (ცრემლმორეული) ლენიკო, მაპატიე, შენს გარდა... შენ ხომ
არა ხარ ისეთი?.. ლენიკო, ბოლიში! ჩემო წმინდა დაიკო!

(ხელზე კოცნის ლენიკოს).

ლენიკო — (ცრემლი ერევა) კარგი, დაწყნარდი!

გია — სამჯერ... (სუნთქვა ეკვრის) ჯერ სამჯერ ეცეკვა...

კახა — გასაგებია!

გია — (ლენიკოზე კახას) გის ულერებს მუშტებს?

ლენიკო — (ჰაერში უშეშდება ხელი) მე... ისე!

გია — 14 აპრილი გახსოვს, კახა?

კახა — მახსოვს!

გია — რას აეტობდი?

კახა — მეც სხვებთან ერთად ვიყავი!

გია — კარგი დღე იყო, არა?

კახა — ძალიან!

გია — თვალებს ვეღარ ვხუჭავ!

ლენიკო — რატომ?

გია — ყველაფერი ტრიალებს... ტრიალებს გარშემო...

კახა — ტაშტი მოიტანე, ლენიკო!

გია — არ მინდა ტაშტი!

კახა — კი, ბატონო... ოღონდ, წამონექი ტახტზე. კარგი?!

გია — (მორჩილად) წამოვნები! (მიყვება კახას და ტახტზე ნეება. ლენიკოს ტაშტი შემოაქვს). არ მინდა ეგ!

ლენიკო — (შეშინებული) არ გინდა, ნუ გინდა...

გია — (თვალებს ხუჭავს)

„მომე ჭიქა, სადლეგრძელო ახალი,

მომე გული, მერე გამაქვითკირე!

თუ მოგესმათ ხერხემალის ჭახანი“...

(გრძელი პაუზა)

ლენიკო — (გაუბედავად) ...ნეროს თოვლში, ნეროებო, მიტირეთ!

გია — ჩქარა, ტაშტი!

(ლენიკო კედლის პირითან დაურბენს ტახტს. კახა შუბლს დაუჭერს გიას. ბიჭი ტახტისკენ გადაიხრება. ყრუ ხმები ისმის).

კახა — თავს ნუ წევ... კიდევ... (გია რაღაცას ზმუსის)

ლენიკო — მე არ გიყურებ, ნუ გეშინია!

გია — კახა, ბოდიში!

კახა — რას მებოდიშები, თუ ძმა ხარ?! (სულმოთქმული გია ტახტზე მიესვენება. კახა ფეხზე წამოაყენებს და სააბაზანოში გაჰყავს). ახლა პირი დაიბანე და ყველაფერი გაგივლის! (სააბაზანოდან წყლის ხმაური და გიას კვირილი იმის. ცოტა ხანში კახას თავგალუმშეული გია შემოჰყავს, ლენიკო სველ თმას უმშრალებს ძმას).

გია — (კბილებს აკანკანებს) რა ცივი წყალი იყო! (ტახტზე ნეებს) აღარ ტრიალებს... უკვე კარგად ვარ!

ლენიკო — ჲო, გია, დაიძინე ახლა!

გია — (ბუტბუტებს) დაეიძინებ... ძილი კარგია...

ლენიკო — ხვალ, თუ გინდა, ნუ წახვალ სკოლაში!

გია — ქოთქოთას ორიანი...



ლენიკო — ვიცი!

გია — კახა, მოხვალ პედსაბჭოზე? ვითომ ჩემი ბიძა ხარ. უკავშირის
კახა — მოვალ!

გია — უკვე მძინავს... (თვალდახუჭული ამთქნარებს).

ლენიკო — დაიძინე!

გია — (მიმქრალი ხმით) არ გავიხადო?

ლენიკო — მერე გაგხდით!

გია — ლენიკო!

ლენიკო — რა იყო, გია?

გია — სკოლაში ნავალ!

ლენიკო — რატომ?

გია — უნდა წავიდე სკოლაში!

ლენიკო — კარგი, დაიძინე!

გია — (ბუტბუტებს) უკვე მძინავს... აუცილებლად გამაღვიძე დილით!

ლენიკო — რატომ?

გია — იმიტომ, რომ... (უცბად წამოვარდება) იმ კახპას შევაფურ-
თხო სახეში! (კარისკენ მიიჩევს. ლენიკო და კახა ზედ დაეკიდებიან და
ტახტზე ნააქციებენ) გამიშვით! (მალე შეწყვეტის ფართხალს და ბალიშ-
ზე მიესვენება).

ლენიკო — (აქოშინებული) მეონი, მართლა დაიძინა!

კახა — მოვიცადოთ ცოტა ხანს! (თანდათან სიჩუმე დაისადგუ-
რებს).

ლენიკო — როგორ გაამნარა ბავშვი იმ უსინდისომ?

კახა — კარგი, ნუ გამაგიურ, შენც სერიოზულად აღიქვამ ამ სისუ-
ლელეს?

ლენიკო — (უეცრად ეცინება) გიას ავყევი! რა ვქნათ ახლა!

კახა — დაველიდოთ, ღრმად ჩაიძინოს!

ლენიკო — აღარც ვიცი, მერამდენედ გიხდი დღეს ბოდიშს!

კახა — შენც ნუ მიხდი!

**ლენიკო — მაინც რა კოშმარული სალამო იყო, ჯერ დათო... მე-
რე...**

გია — (ძილში) კოშმარული... ოშმარული... შმარული...

ლენიკო — ვაიმე!

კახა — ნუ გეშინია, სძინავს!

**ლენიკო — (დგება ტახტიდან) კიდევ კარგი აქ იყავი! და საერ-
თოდ, კარგია, რომ ჩენს მეზობლად გადმოხვედი!**

კახა — (სიცილით) რა, ვანიჩა არ ვარგოდა მშველელად?

**ლენიკო — ვანიჩა-ლოთი იქით იყო, მოსაულელი! არა, მაინც რო-
გორ გამოუტანეს ბავშვებს სასმელი? გიას ჭიქა ლვინოც არ გაუსინ-
ჯავს დღემდე! ნარმოგიდგენია, ქუჩაში ვინმეს რომ გადაყროდა?**

კახა — (ისიც დგება) დაიძინე!

(ლენიკოს ტაშტი გააქვს, ცოტა ხანში ბრუნდება).

ლენიკო — სულ ჩამტკრია შუშები, კიდევ კარგი, ხელები არ და-
 იჩება!

კახა — ჰო!

ლენიკო — მონევა თუ გინდა, არ მოგერიდოს!

კახა — არა, ნავალ უკვე!

ლენიკო — მე სულ გადამიარა ძილმა. შენ გეძინება?

კახა — მაინცდამაინც არა!

ლენიკო — რახან ყველა გაგვილოთდა გარშემო, თითო ჭიქა
 ჩვენც დავლიოთ!

კახა — როგორც იტყვი!

ლენიკო — თუ დაგლალეთ ოჯახის წევრებმა?

კახა — (სიცილით) სიამოვნებით შევუბერავ შენთან ერთად!

ლენიკო — (ღიმილით) ქუჩაში ხომ არ გაიქცევი?

კახა — სხვას თუ არ ეცეკვები... (უხერხული პაუზა) უკაცრავად!

ლენიკო — (პაუზის შემდეგ) არაფერია! (ბოთლი შემოაქვს და მა-
 გიდაზე დგამს). კატლეტიც აქ არის, პურიც... პური ცოტა გამხმარია...

კახა — შენ რა, გშია?

ლენიკო — არა...

კახა — (სუამზე ჯდება) თამადა აეირჩიოთ?

ლენიკო — დემოკრატიულად, ბატონი ჩემო, დემოკრატიულად!
 (ჭიქებს შეავსებს)

ეს გიას გაუმარჯოს!

კახა — გაუმარჯოს! (ლენიკო ოდნავ მოსვამს. კახა ჭიქას ცლის)
 ეს არის მოქეიფე ვარო?

ლენიკო — (თავის მართლებით) მეტი არ შემიძლია!

(გია რაღაცას ნამოაბოდებს. ორივე ყურებს ცქვიტავს).

კახა — მშეიდობაა!

ლენიკო — მშეიდობას გაუმარჯოს!

კახა — (იცნის) გაუმარჯოს!

ლენიკო — (პაუზის შემდეგ) იცი, როგორ უყვარხარ გიას?

კახა — ვგრძნობ!

ლენიკო — (შეჭიკიებული) ძალიან უყვარხარ!

კახა — მაგის ასაქში ცოტა არ იყოს, აიდეალებენ ხოლმე უფროს
 მეგობრებს. მე სულ ვცდილობ, გიამ ისეთი დამინახოს, როგორიც
 ვარ.

ლენიკო — რატომ?

კახა — მერე ორივემ ტრავმა რომ არ მივიღოთ.

ლენიკო — შენ კარგი ხარ!

კახა — უკეთესებიც არსებობენ!

ლენიკო — შესაძლებელია, მაგრამ...

კახა — დიპლომს ამთავრებ უჟვე?..

ლენიკო — რატომ მანყვეტინებ?

კახა — მეტს აღარ ვიზამ!

ლენიკო — შენ რატომ ხარ ცუდად?

კახა — ბატონო?

ლენიკო — (დაუინებით) ცუდად რატომ ხარ-მეთქი?

კახა — (გაევირვებით) რა შემატყვე?

ლენიკო — აბა, კარგად ხარ?

კახა — მბურჯელავს ტანში ბედნიერებისგან-მეთქი, უერ ვიტყვე!

ლენიკო — მე მგონი, შენ ჯერ კიდევ ვერ ჩაერთე ამ ცხოვრებაში.

კახა - რახან ჩემზეა საუბარი, მაშინ გეტყვი, მე ცუდად კი არა, უხერხულად ვარ!

ლენიკო — ვისთან?

კახა — ყველასთან, მათ შორის საკუთარ თავთანაც!

ლენიკო — იქნებ ამისსნა?

კახა — ალბათ გამიჭირდება!

ლენიკო — შეეცადე მაინც!

კახა — (იცინის) არ მინდა, ჩემი პრობლემებით დაგდალო!

ლენიკო — სიამოვნებით დავილლები!

კახა — მოდი, ცოტა ხნის შემდეგ, კარგი?

ლენიკო — ასე იყოს!

(პაუზა)

შენ და ირინე თურმე იცნობდით ერთმანეთს!

კახა — ჴო, ვიცნობდით!

ლენიკო — დიდი ხანია?

კახა — (ყურადღებით შეხედავს) რატომ მექითხები, შენ ხომ ყვი-ლაფერი იცი?!?

ლენიკო — (დაიბნევა) საიდან ეს დასკვნა?

კახა — მე მას კარგად ვიცნობ. აუცილებლად გადაგიძლიდა გულს!

ლენიკო — გიყვარდა?

კახა — არ გენყინოს, მაგრამ ჩვენი საუბარი ცოტა დაკითხვას და-ემსგავსა?

ლენიკო — (აგრესიულად) გიყვარდა?

კახა — (იცინის და მკლავებს შლის) აი, მონოლაც ამას ჰქვია! მიყ-ვარდა!

ლენიკო — (თავს ჩაქინდრავს) ძალიან განიცდის!

კახა — თანავუგრძნობ!

ლენიკო — იქნებ აპატიო?

კახა — ლენიკო, გაიტყიცები!

ლენიკო — შენ რატომ არ მეცითხები... დათოზე?

კახა — რატომ უნდა გეითხო?

ლენიკო — მე გაძლევ უფლებას!

კახა — მე კი არ ვისარგებლებ ამ ბოძებული პატივით!

ლენიკო — კარგი, შევეძვათ ამ თემას... ირინეს გაუმარჯოს!

კახა — (ინტერესით შეჰყურებს მას) გაუმარჯოს!

ლენიკო — (ჭიქას დგამს მაგიდაზე და კახას შეჰყურებს) აი, ახლა
კი დავრწმუნდი!

კახა — რაში?

ლენიკო — რომ აღარ გიყვარს!

კახა — (ინტერესით) რამ დაგარნმუნა?

ლენიკო — (ჭკივიანური გამომეტყველებით) მივხვდი!

კახა — მე მგონი, შენ ცოტა შეთვერი!

ლენიკო — რა ვქნა, იუზგარ, ყველა გალოთდა კრუგომ!

(კახას სიცილი აუტყდება):

იცი, მე შენ ერთხელ ოპერაში გნახე... კიბეზე ჩამოდიოდი ორ მე-
გობართან ერთად... შინდისფერი ჯემპრი გეცვა... გოგოებმა შუშუნი
ატეხეს... ეს არის, ეს არისო... დიდი ალიაქოთი გამოინვიე!

კახა — (ერიტიულად) „Кричали женщины ура

и в воздух чепчики бросали!“

ლენიკო — მე კი სულ პატარა ვიყავი... დიდი ბაფთით... აი, რას
ნიშნავს დრო, ახლა ერთად ქეეიფობთ ლამის 4 საათზე.

კახა — ჰო, მართლა გვიანია!

(ნამოდგება)

ლენიკო — (შიშით) შენ ვერ გაიგე... არ ნახვიდე!

კახა — (სეამზე ჯდება) დავრჩე?

ლენიკო — (ჩუმად) ჰო! (ცოტა ხანს უხმოდ სხედან). ანგელოზმა
გაიფრინა!

კახა — ეს დიპლომი...

ლენიკო — რატომ ჩააცივდი ამ დიპლომს? სხვა არაფერი გაქვს
საკითხავი?

კახა — როგორ არა!

ლენიკო — (წელში გაიმართება) მეითხე!

კახა — (ხელისგულს ჩამოუსვამს ცხვირზე) ეს ცხვირი ასე რომ
ჩამოდის... ასე რატომ არ ადის?

ლენიკო — (გაბუტული) შენ მე ვის ტოლი ხომ არ გვონივარ?!
იცი, ბავშვობიდან, თითქმის დღემდე, მეგონა, რომ ყველაფერი, რო-
გორც ზღაპარშია, ყოველთვის კარგად მთავრდება...

კახა — ასეც იქნება, ლენიკო! შეგხვდება ახლო მომავალში ღირ-
სეული, საინტერესო პიროვნება, ვისაც შეიყვარებ!

ლენიკო — (აგრესიულად) შენ ხომ არ გამირიგებ ვინმეს?

კახა — (იძნევა) ვერ გავიგე?

ლენიკო — ჩემს ჭიქაში ნუ იმკითხავებ, კარგი!?

კახა — განყენინე რამე?

ლენიკო — დიახ, მანყენინე! და მოვრჩეთ ამაზე!

კახა — (ლიმილით) მეც ხომ არ გავიბუტო?

ლენიკო — შენ არა! მოდი, მარტო მე გავიბუტები!

კახა — მოდი!

ლენიკო — „მოდიზე“ გამახსენდა! ერთ ბიჭს მოვწონდი მეშვიდე კლასში... მე არ მომწონდა... ჰოდა, დიდ შესვენებაზე უთხარი, გაეი-გე თურმე მოგნონვარ და მოდი, კარგი ამხანავები დავრჩეთ-მეთქი!

კახა — მერე რა გიპასუხა?

ლენიკო — მოდიო! (კახას სიცილი უტყდება) სახლში ცოტა ნავუ-ტირე ეკიდეც! შენს ოთახში რამდენიმე ფოტოა... სამი ბიჭია და ერთ ხნიერი ქალი...

კახა — ჰო, არცერთი ალარაა ცოცხალი... ის ქალი, ქალბატონი მარიამი, მართლაც მარიამ-ლვილობელივით იყო ჩემთვის... ის ბიჭე-ბიც დაიღუპნენ! საერთოდ, ბევრი დაიღუპა იმ მშვიდობიან დროს ჩვენს თაობაში... იმდენია, რომ გიდად შემიძლია ვიმუშაო სასაფლა-ოზე!

ლენიკო — მაინც რატომ გრძნობ უხერხულად თავს!

კახა — (ეცინება) არ დაგავინყდა?

ლენიკო — არა!

კახა — მაგარი ჩაციება გცოდნია... (პაუზის შემდეგ) იმიტომ, რომ ის სიახლე თუ მოძრაობა, რაც დამხვდა, ჩემი მონანილეობის გარეშე მოხდა, მე არანაირი წელილი ან დამსახურება არ მიმიდლევის ამაში. პა-ტიმრობიდან პირდაპირ ამ ცხოვრებაში ვტკუცე თავი... და არ ვიცი, რა ვაკეთო, რა სარგებლობა მოვიტანო... ამიტომ ვერძნობ თავს უხერხულად. თითქოს თვითონ ნავართვი ჩემს თავს მოძრაობის უფ-ლება! ის, რომ მე გადავრჩი ფიზიკურად და თან არაფერი გავაკეთე, უკვე, უკვე საუხერხულოა! ეტყობა, უფრო ელასტიკური აღმოვჩნდი, ვიდრე ჩემი დაღუპული ძმაკაცები!

ლენიკო — რატომ? კომპრომისებზე ნახვედი? ოლონდ არ მითხ-რა, მთელი ჩემი ცხოვრება კომპრომისიაო!

კახა — არა, მაგას არ გეტყვი!

ლენიკო — აბა, რა ელასტიკურობას იპრალებ? ერთხელ მაინც უღალატე შენს სინდისს?

კახა — (ჩაფიქრდება) არ ვიცი... მგონი, არა!

ლენიკო — მაშ რას ერჩი საკუთარ თავს? რა მაზოხიზმია ეს?

კახა — ტყუილად რომ დაერჩი ცოცხალი... უნაყოფოდ! ჩემი ძმა-კაცები კი მინაში წვანან!

ლენიკო — მინაში კი არა ცაში არიან! სიყვარული არ ქრება, მათ

დღესაც უყვარხართ შენ, ოლონდ შორიდან, ისინი შენი უხილავი
მფარველები არიან, მამაშენიც, მარიამიც, შენი მეგობრებიც! შენ უკავები
მათ წინაშე ხარ მოვალე, წუნუნით შორს ვერ ნახვალ!

კახა — (წყენით) მე არ ვწუნუნებ!

ლენიკო — სწორედ წუნუნებ! საკუთარ თავზე ხელის ჩაქნევა ძა-
ლიან ადვილია! უხერხულად გრძნობს ბიჭი თავს!

კახა — (გაკვირვებული) დავაშავე, გულნრფელად რომ გიპასუხე?

ლენიკო — (უეცრად ნაზად გაულიმებს) არა! (პაუზა. ერთმანეთს
უყურებენ).

კახა — მაშ არ ქრება?

ლენიკო — რა?

კახა — სიყვარული!

ლენიკო — არა! არც სიძულვილი არ ქრება!

კახა — გვარიანად დამძიმებულა ჩვენი პატარა პლანეტა!

ლენიკო — აბა, სულ ჭრაჭუნით ტრიკალებს თავის ლერძზე! კახა,
მე მჯერა, შენ გააკეთებ შენს გასაკეთებელს! ცხოვრებამ მოგვცა ურ-
ნმუნობის ბევრი საბაბი! მაგრამ უფლება არ მოუცია!

კახა — (ლიმილით) ლმერთმა გისმინოს!

ლენიკო — შენ ძლიერი ხარ! კეთილი...

კახა — გაჩერდი, თორემ გავყოყოჩდები!

ლენიკო — გიას ტყუილად არ უყვარხარ!

კახა — აი, გიაც რომ მიყურებს ბორილას თვალებით, მაშინვე
უხერხული შეგრძნება მაქესა... მას სულ სხვა მაგალითები სჭირდება...

ლენიკო — ზედმეტად ხომ არ იმდაბლებ თავს?

კახა — გეფიცები, გულნრფელი ვარ!

(უეცრად ბრაგვანის ხმა ისმის).

ლენიკო — (წამოხტება) გია გადმოვარდა!

(ორივე ძლივ-ძლივობით ასწევენ ტახტზე გიას).

გია — (ბურტყუნით) დამანებეთ თავი... მეძინება... არსადაც არ
ნამოვალ!

კახა — გულდალმა დავანუინოთ! ბოდავს!

ლენიკო — ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც მონოლოგებს კითხუ-
ლობს ძილში!

(მაგიდასთან ბრუნდებიან)

რაღაც დაესიზმრა ალბათ!

მომშივდა! მოიცა, დანას მოვიტან!

კახა — არ ნახვიდე, მაქესა!

(ჯინსის ჯიბიდან დანას იღებს, ხსნის, ხელსახოცით ნმენდს და
პურს ჭრის)

ლენიკო — რა დანაა?

კახა — გიას პრეზენტია, დღეობაზე ნასვლის ნინ მაჩუქა!

ლენიკო — საიდან აღმოაჩნდა?

კახა — ვიღაცამ მისცა!

(ლენიკო ოდნავ მოციცქნის პურს).

ლენიკო — გასაგებია! (პაუზა. კახა დგება) მიდიხარ?

კახა — ნავალ უკვე! ჩემს ოთახაშე გრძელი გზაა!

(ლენიკოც დგება).

კახა — რა კარგი სიტყვაა, კომპრესორი!

ლენიკო — (გაქვირვებით) კომპრესორი რას ნიშნავს?

კახა — მოწყობილობაა ასეთი, კედლის განვრევა შეუძლია!

ლენიკო — (სუსტი ხმით) კედლის?

კახა — ჴო, კედლის! (პაუზა). ძილი ნებისა!

ლენიკო — ლამაზ სიზმრება!..

(უეცრად ერთმანეთს მოეხვევიან. ეოცნიან. შემდეგ უხმოდ შეაც-ქრდებიან ერთმანეთს და კახას ოთახში გადიან. ლენიკო სკამზე ჯდება გვერდულად და მაგიდას ჩამოეყრდნობა იდაყვით. კახა უძრა-ვად დგას).

ლენიკო — ცოტა ხანს მაცალე, კარგი?!

(ასე ზის რაღაცაზე ჩაფიქრებული, თითქოს ძალას იკრებსო, შემ-დეგ დგება და გახდას ინყებს. სიბრუნვე, შემდეგ ბაცი ფერის სინათლე. გარიფრაჟია.

გია ტახტზე ნამომჯდარა, მუხლებში ჩადებულ ბალიშს დაყრდნო-ბია იდაყვებით.

კახას ოთახში სინათლე ანთია. ჩაცმული ლენიკო მაგიდასთან ზის, სიგარეტს ენევა. კახა თმას ივარცხნის).

ლენიკო — ლამაზი ჯვარია!

კახა — ჴო, მეგობარმა მისახსოვრა!

ლენიკო — ჩიტებიც აჭიკჭიკდნენ, კატებიც აკნავლდნენ. თითქოს ბავშვები ტირიანო, არა?

კახა — გარიფრაჟია!

ლენიკო — გარიფრაჟი, არიფრაჟი, რიფრაჟი, იურაჟი... ვაიმე გია!

კახა — (სწრაფად მიტრიალდება) გაიღვიძებდა?

ლენიკო — არ ვიცი! შენ მერე შემოდი!

(შერბის გიას ოთახში)

გია — (თავს სწევს მაღლა. პაუზის შემდეგ) ტანსაცმელი ვერ გამ-ხადე?

ლენიკო — როგორ გრძნობ თავს? (პაუზა) ნყალს ავადულებ! (გა-დის სამზარეულოში. შემოდის კახა).

კახა — გაიღვიძე?

გია — შენ როგორ მატყობ?

კახა — ცუდად ხომ არა ხარ? (გია დაუინებით მისჩერებია მას და არ პასუხობს). რა დაგემართა? (ისევ სიჩუმე) არაფერი გაქვს ჩემთვის

სათქმელი?

გია — როგორ არა!

კახა — მითხარი!

გია — ჯერ რუქაზე ხომ არ გვემოგზაურა?

კახა — გია, შენ ხვდები...

გია — რას?

კახა — ეს არ იყო ღალატი!

გია — (დგება) არ იყო? არ იყო?!

(ხელს დაავლებს მაგიდაზე დაგდებულ დანას და ფერდში ურტყამს დანას. კახა ორად იკეცება და სკამზე ჯდება).

კახა — დანა მომეცი! (გია უძრავად დგას) დანა მომეცი! (გაოვნებული ბიჭი მთვარეულივით მიდის კახასთან და დანას აძლევს. კახა დანას დახედავს). ტარამდეა სველი! (სკამზე ჯდება).

ლენიკო — (შემოდის) კახა, ჩაის დალევ?

(სიბბნელე. სასწრაფო დაბმარების სირენის ხმა, რომელიც ხანძლივრდება მოქმედების განმავლობაში, ხანაც მიმქრალად ისმის. სინათლე ინთება, მაგრამ ამჯერად ბლანტი, ხან ყვითელი და ხან შინდისფერი... ირეალური განათებით. შემოდის ირინე... შემოდის დათო... კუთხეში, ანთებული სანთლით ხელში, მუხლებზე დაჩოქილია გია... ლენიკო ბოლთას ცემს აქეთ-იქით... აქეთ-იქით, კახა მათ შორის ტრიალებს. დათოც ანთებს სანთლს, ლენიკოც, ირინეც).

დათო — არ მოკვდე!

გია — არ მოკვდე!

ირინე — არ მოკვდე!

ლენიკო — (ნამით შედგება) კახა, ჩაის დალევ?

(კახა ხან ერთს ჩააჩირდება, ხან მეორეს. სირენის ხმა ხან მატულობს, ხან ოდნავ ისმის).

კახა — ირინე!

ირინე — მაპატიი!

კახა — გეყო, რა!

ირინე — შენ არ გესმის, რატომ ვარ შენზე ცუდად?

კახა — არ მესმის!

გია — ღმერთო, გევედრები, გადაარჩინე კახა!

კახა — ადექი, გია!

ირინე — მაშ, არ გესმის, რომ ის ვინც საპატიიებელია, უფრო ცოდოა, ვიდრე მპატიიებელი?

დათო — არ მოკვდე რა!

კახა — შენ ვინ ხარ? (დათო მეორე სანთლს ანთებს და კახას უწედის) ვინ ხარ?

დათო — მე ჯემო ვარ!

კახა — არა!

დათო — მე გია ვარ!

კახა — არა!

დათო — მე დამიტრი ვარ!

კახა — არა!

დათო — მე გოგი ვარ!

კახა — არა! არა! არა! შენ ჩემი დალუპული ძმების სახელებს მე-
უბნები! შენ დათო ხარ!

დათო — მერე რა, მეც ხომ შენი ძმა ვარ, ქრისტესმიერი?

გია — გევედრები!

კახა — გია, დანყნარდი, მე შენი ხელით არ მოვევდები!

ირინე — მაშ მპატობ?

კახა — ირინ, რომ იცოდე, რა ხნის ნაპატიები ხარ?! მე ვინ მაპატი-
ებს?

გია — ნუ დამამძიმებ კახას სისხლით! გევედრები...

ირინე — ყველაზე დიდი ჭრილობა მე მოგაყენე!

კახა — გია, გაიგე, რომ შენ მკელელი ვერ გახდები!

დათო — მე ძმა ვარ შენი ქრისტესმიერი... მე ჯემო ვარ, გია, დი-
მიტრი, გოგი!..

კახა — მესმის, დათო, ახლა მესმის, რასაც ამბობ!

ლენიკო — იცი, ბავშვობიდან, თითქმის დღემდე მეეროდა, რომ
როგორც ზღაპრებში ყველაფერი ყოველთვის კარგად დამთავრდე-
ბა... არ მოევდე, რა!

კახა — არა, ლენიკო, ეს მხოლოდ დასაწყისში მეგონა... იცი, თით-
ქოს რაღაც ტალღას ნაეყვევი... მიენებდი... წყალს სიკედილის მოტკბო
სუნი ასდიოდა... მაგრამ მერე მაგრად აეფართხალდი და ნაპირისკენ
გამოვცურე!

გია — მე მიყვარს კახა!

ირინე — გამოცურე, კახა!

დათო — გამოცურე!

ლენიკო — გარიყრაჟი, არიყრაჟი, რიყრაჟი, იყრაჟი...

გია — მე ხომ ვიცოდი, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ!

დათო — გაყვირვებული დარჩნენ ექიმები, ასეთი ჭრილობა და
არცერთი დაზიანებული სასიცოცხლო ორგანო!

კახა — თითქოს რაღაც შევი ტოპრაჟი მქონდა ჩაქერებული სხე-
ულში ბალღამითა და შხამით სავსე... სნორედ ის გაფატრა გიას და-
ნამ... არასოდეს მიგრძენია ასეთი ნეტარება! მინდა ვიცოცხლო, მინ-
და მიყვარდეს, მინდა საჭირო ვიყო!

ლენიკო — არ მოევდე, თორემ მოგელავ, იცოდე!

გია — (უეცრად გაეცინება) რაო? რაო?

ლენიკო — არ მოევდე, თორემ მოგელავ!

კახა — რას მერჩის ეს და-ძმა, ვერ გამიგია!

ნატაძრალზე

დრამა ორ მოქმედებად

მოქმედი პირი:

მარები
 ნინო
 თამარი
 მიხა
 დავითი
 ლექსო
 გიზო
 ნათია
 თოშა
 დემია
 ზურაბი
 გიორგი
 ხეიჩა

სურათი პირველი

შინდისფრად განათებული სცენის კუთხე. სიღრმეში კათედრა, ზედ გაშლილი ვეება ფოლიანტით. ბერის ტანისამოსში გამოწყობილი მემატიანე ფოლიანტს ფურცლავს. შემდეგ ფრთას იმარჯვეებს ხელში, ნერას ინცეპს და თან კითხულობს საკუთარ დანერილს.

მემატიანე — იდგა ტაძარი. ზედ ურჯულოს საზღვარზე, თვალუნვდენელი მთის წერტილი. და იყო ტაძარს შეფარებული ხალხი მხნე და ზნექეთილი, ლალი და გამრჯვე, მრისხანე მტერთან და გულგალელილი მოყვრად მოსული სტუმრის ნინაშე.

იდგა ტაძარი. გამოხდა ხანი და მტრისგან მოსვენებულმა ადამიანებმა თანდათან მიიღინყეს ტაძრისკენ მიმავალი გზა. ფართედ გალოკილ ბილიკს ბალახმი გადაურბინა და ერთ დროს ლამაზად აშოლტილი ერი გაზულუქდა, მოიმჩვარა და დამჭევდა, ვითა ირემი მგელგანყვეტილ ტყეში. და მიატოვა ხალხმა ტაძარი. აღარ თბებოდნენ ტაძრის კედლები სანთლის ალითა და ადამიანთა ამონასუნთქი

მხურვალე ლოცვით და ვეღარ აღუდგა ობლად დარჩენილი ტაძარი ქარებს ხორშაკინებს, ინყო ნელინელა დაშლა და აი, ერთხელ ფლეჭული ნით გარუმბებული გლეხი, საქონელს რომ გაჰკიდებოდა მოაშერებულება ბედად ტაძრის გალავანში შეხეტიალდა, გამსუნავებულმა მზერამ ნამსვე აღმოაჩინა მოყანყალებული ქვა და მალე ამდაგვარი ქვებით განმტკიცდა გლეხკაცის ოდა-სახლის ფუძე. და კვლავ გაილოკა ტაძრისკენ მიმავალი ბილიკი, მაგრამ ამჯერად არც ლოცვისთვის, არცა მტერთან საომრად დაიძრა ხალხი, არამედ ტაძრის თლილი ქვების ჩამოსაზიდად. შემდგომში ბარში აიშენეს პატარ-პატარა ციხე-სიმაგრები, ხით განყობილი ქოხების ნაცვლად და გაისმოდა უპირატესად სიტყვა — ჩემია, ჩემთვის და ჩემთან. გაქრა ტაძარი, ვინაიდან განიყვეს სხეული მისი.

და გამოჩნდა მაშინ კაცი სახელად თეოდორე, კაცი მნიგნობარი და მორჩმუნე დიდად და შეუდგა იგი ქადაგებასა და შეგონებას, რათა მოეშალა ხალხს ტაძრის ქვით ნაშენი გალავნები და სახლები, უკან, მთის ნეერზე აეზიდა და გაემთელებინა ტაძრის განძარცული სხეული.

და გულს უშანთავდა მისი სიტყვები მათ, ეისაც აღარ ძალუძღა თავის გახრიოკებულ სულში ფათური. ჯერ დასცინოდნენ, შემდევ გაბეჭრებულად დაუწყეს ბლვერა, ბოლოს კი ვიღაცამ მოქადაგე და მაშინ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სინანულით აევსო გული ხალხს, მხურვალედ იგლოვა თეოდორე და შეარქვა მას ბრძენი. მაგრამ მიუხედავად მისი სიბრძნის აღიარებისა, კაცმა არ ახლო საკუთარ სახლსა და გალავანს ხელი. ამასობაში მტრისთვისაც არ დარჩა შეუმჩნეველი გამოლაყება ერთ დროს გონიერი და ლონიერი ერისა და შეუდგა ურჯულო მზადებას ახალი შემოსევისთვის. დათეთებულმა ხალხმა ძლიერდობით, დამარილებული სახსრების ჭრაჭაჭრუჭით ინყო კვლავ მთის ნეერზე ტაძრის მშენებლობა, ვინაიდან ეკტავდა იგი ვინწრო ხეობის ყელს და შეუვალი იყო მტრისთვის. მოიტანეს ქვა და შეუდგნენ პირველი კედლების აყვანას და დაინგრა იგი. თავიდან დაინყეს და კელავ ნერევით დამთავრდა მათი უხალისო ძრომა და აქ თვალი გაახილა ხალხმა, მზერა გაიორდა, გაიხსენა თეოდორეს შემოძახილი და მიხვდა მიზეზს ნერევისა: მტრის მოსალოდნელი საფრთხით შეშფოთებულმა სოფელმა მოშალა საკუთარი ციხე-გალავნები და პირნმინდად აზიდა ძეელი ტაძრის ყოველი ლოდი მთის ნეერზე. კვლავ შეუდგნენ მენებას, ამჯერად მხოლოდ ძველი ტაძრის ქვით. მაგრამ რაღაცა აკლდა მათ გარჯას... ძნელი აღმოჩნდა სიტყვა ჩემიდან მცნება — ჩევნამდე მიღწევა, და აშენებს ახლა ერი ახალ ტაძარს ძველი ტაძრის ქვით.

(ბერი ფრთას სათუთად ჩადებს გადაშლილ ფოლიანტში და გადის. სიბნელე).

სურათი მეორე



(წყაროსთან მოკლე მორზე მარები და ნინო ჩამომსხდარან) და გადასახად
მარები — შე კაი ქალო, თერამეტი ნლისა დაქვრიციდი, ლექსორ და
დი ბიჭია უკვე, როდემდე აპირებ მარტო ყოფნას?

ნინო — კაცს მე ვერ გავიჩნ, გათხოვების კი რა გითხრა?

მარები — რატომ? გვარი მეოლობა დიდებული, ქალად ქალი ლა-
მაზი, ხელის მთხოვნელი ულევი... ბევრი განუხებს?

ნინო — (ჩაიცინებს) მოვიდნენ ამასწინათ შუამავლები, მაგრამ
ლექსო რომ გამოუეარდა ხანჯლით, სულ ლინინ-ლინინით გაასწრეს
ლობებზე!

მარები — ჰო, ეჭვიანი ვაჟიშვილი გყავს, შენც ბატონად დასვი
ოჯაბში! დროა მიხვდეს შენს ასეთ ყოფასაც!

ნინო — რა გითხრა, ჩემი მარებ, ძალიან მახსოვს ჩემი გიორგი და
სხვა კაცი ვერ იარსებებს ჩემთვის!

მარები — ლექსო ვნახე უყშინ, მზეჭაბუქს გავდა, სხვათა შორის
კოჭლობა შევატყე, რა დაემართა?

ნინო — ცხენმა დაამტვრია, დავითს გაუხედნა ის სულელი კვიცი!

მარები — (ჩაიცინებით) ისე მართლა უხედნივით რომ სცემს
ფულოქებს ნათიას ჭიშკრის ნინ, შენ რავა უყურებ მაგ ამბავს?

ნინო — (ჩაფიქრებით) კარგი გოგოა, მარა ადრე არაა ჯერ?

მარები — ადრე-გვიან არ იციან მაგათ!

ნინო — ის ბოვში მეც მომწონს. ჯანმრთელი, მხიარული გოგოა!

მარები — საჟიშეთაც ივარგებს, ხო გინდა ლამაზი შეილიშვილე-
ბი?

ნინო — (იცინის) შენ უკე ქორნილიც გადაიხადე, მგონი, მე რა-
ლას მეკითხები? ისე კი, ორი წუთის ნინ ჩემს გათხოვებას აპირებდი!
რაღა დროსია, ბებიობით თუ მემუქრები?

მარები — ვინმეს მოგზავნილი არ გეეგონ! არამეკითხე მაჭანკალი
ვარ მხოლოდ! ისე, რო იცოდე, მზითვიც რიგიანი მოყვება!

ნინო — მზითვეს ვინ უყურებს, ოჯახის ქალად ივარგოს და...

მარები — რაც უფრო ლარიბია აზნაურიშვილი, მით უფრო ამპარ-
ტავანი ბრძანდება, ბატონო!

ნინო — (წყენით) ამპარტავნობის რა შემატყე?

მარები — თუნდაც ეს გაბუტვა! არ შეიძლება გაგეხუმრო? სუ,
თამარი მოდის!

თამარი — კაი გამარჯობა თქვენი, ქალებო!

ნინო — გაგიმარჯოს, დეიდა თამარ!

მარები — ხომ მშვიდობით?..

თამარი — მშვიდობა ვინ თქვა ამ ანენილ დროში?! ყველაფერი
იღაპარაკეთ უკვე, თუ მოგრჩათ რამე მოხუცისთვის? ცოტა ხმამაღ-
ლა მელაპარაკეთ ოღონდ, თვარა ყურს დამაკლდა ძლიერ!



(ამის შემდეგ დიალოგი თითქმის ყველილით მიმდინარეობს)

მარები — სალაპარაკოს რა გამოლევს? დაბრძანდი!

თამარი — (ჩამოჯდება) უუფ, დავიღალე! (პაუზის შემდეგ) თუ მშენება
კალატოზი დავინახე, სულ ბუბუნით მიბუნძულობდა დალმართში!

ნინო — ჰო, არავინ გასულა სამუშაოდ, დილიდან ტაშ-ფანდური
გამართეს კაცებმა!

თამარი — ჰო, ეტყობა მაგათ ეძებდა! ისე კი რა უსაშეელო
გვჭირს, ვაშენებთ, ინგრევა, ვაშენებთ ინგრევა... ა, ბატონო, დაუუჯე-
რეთ თომა გადარეულს და მოვმალეთ ჩვენი გალავნები, აძენდა?
შენც არ მომიკედდე!

ნინო — თომა მაინც სწორი იყო, ბრძენი თედორეს ანდერძი რომ
შეგვასრულებინა!

თამარი — კაი, შენი ტირიმე, სხვების დახმარება რომ აკრძალა,
ნესია, მარტო ჩვენმა სოფელმა უნდა აშენოსო, ეგეც მართალია? რა
ხნის აშენებული იქნებოდა, ყველა რომ დაგვხმარებოდა.

ნინო — (გაუბედავად) ბრძენის ანდერძი ზუსტად უნდა იყოს და-
ცული!

მარები — ჰო, ქეიფ-ქეიფში უმალ აშენდება ტაძარი!

თამარი — ქვეყანა ინგრეოდა და კიმოთე ცეკვას შვებოდაო... ასეა
ჩვენი საქმე (შორიდან შეწყობილი სიმღერა და დოლის ბაგუნი მოის-
მის). ჯანდაბა და ზურბაბა მაგათ! მონახეს არა დრო? მტერი კარზეა
მომდგარი!

ნინო — აბა საკუთარ ეზოში მუშაობდნენ! გული და ხალისი უნდა
კარგად შენებას!

მარები — რავა, ტაძარი სხვისი ჰეგონიათ თუ? სიმაგრე თუ არ მო-
ესწრო, გვიტიროს ყველამ! საზღვარზე ჩვენა ვართ, სხვა კი არა!

ნინო — (ეცინება) კაია, აქედან რომ უუბრაზდებით! პირდაპირ
ბდლეირი ავადინეთ კაცებს!

(ქალები იცინიან)

თამარი — ისე, ამ პატარა სოფელს რომ მოგვჩერებია ყველა, ცო-
ტა რომ ნაგვეხმარონ, არაფერი დაუშავდება თედორეს ანდერძს!

ნინო — ყველას თავისი აქვს საშენები!

მარები — საზღვარი კი აქაა და ჩვენი სიმაგრეც ყველაზე მთავა-
რი!

ნინო — მოკლედ, ჩვენი ასაგებია და მორჩია, უნდა შევეგუოთ ამას!
(ცეკვა-თამაშის ხმა ძლიერდება)

თამარი — ნეტა რა ულხინთ? კაი, გვეყოფა ამაზე, ისედაც მოშხა-
მული მაქვს გული! აქობამდე რას ბაასობდით?

მარები — (ეშმაკური ლიმილით) შვილებზე, დეიდა თამარ, შვი-
ლებზე!

თამარი — (ყურზე ნაივლებს ხელს) შვილებზეო? (პაუზის შემდეგ)

ნინოს ვენაცვალე, ხო იცი, პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს!

ნინო — არც მე მეხერხება ქარაგმა, დეიდა თამარ!

თამარი — შენი ბიჭი რაღაც ძაან უტრიალებს ჩემს ეზო-კარს... ჩემი დღესაც ბლის ხეზე იყო გასული და სულ ჭინჭრით ავუსუსხე კანჭები!

ნინო — (უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი) რა გითხრა, დეიდა თამარ, ბალი არასოდეს ყვარებია და...

თამარი — (უნებლიერ ელიმება) ბალზე გიუდებაო, არ მითქვამს მე!

ნინო — რა ვიცი, გავაფრთხილებ!

თამარი — ჴო, მასე ქენი, გენაცვალე! (უხერხული პაუზა) სწორად გამიგე, შვილო, რამეს კი არ ვუკადრისობთ... ლექსოსნაირი ბარე ორი არ დადის ამ დუნაუზე, ოჯახიც სახელიანი გაქვს, სანიმუშო, მარა სულ ბოვშია ჯერ ჩემი ნათა!

ნინო — (ჩაილაპარაკებს) არც ლექსო მათუსალას ხნის!

თამარი — მაგას არ ვამბობ მეც, მოვიცადოთ პატარა ხანს!

ნინო — (ელიმება) მშვენიერი სმენა გაქვს დეიდა თამარ, ტყვილა დაგვაწყვიტე ყელის ძარღვები!

თამარი — კი, როცა ძალიან მაინტერესებს, ყველაფერი მესმის! (სამიერ იცინის)

მარეხი — მოვიცადოთ? ახლა მაგათ კითხეთ თუ ელოდინებათ? (ხმამაღლა გადაიკისეკისებს)

თამარი — ნუ იცი შენ უადგილო ღლაბუცი!

ნინო — (დგება, კაბას ისწორებს) აბა, უკაცრავად ვიქნები თქვენთან.

მარეხი — რატომ აჩქარდი?

ნინო — საქმეს რა გამოლევს, (თამარს) ლექსოს კი მაგრად დავტუქსავ, დეიდა თამარ!

თამარი — (შენუხებული) ძალიან მკაცრად არ გამიგო, შვილო!

ნინო — აბა, მშვიდობით! (სურას აიტაცებს ხელში და მიდის)

თამარი — (მარეხს) იქნებ არ უნდა მეთქვა?

მარეხი — ნუ სწუხარ, არაფერი სწყენია!

თამარი — დიდი ყოჩალი გოგოა! ქვრივმა, მარტოხელამ რა ბიჭი გაზარდა!

მარეხი — რა ვიცი, ჭინჭრისთვის კი გაიმეტე და...

თამარი — რა ვქნა აბა? კრუხივით დავქოთქოთებ ბოეშს და გული მისკედება, რომ ნარმოვიდგენ სხვის ოჯახში! ბებია ვარ, რა ვქნა?

მარეხი — თვითონ ბაბუდას რომ გეძახის?

თამარი — სულერთი არაა? შე ქალო!

მარეხი — შენს ხელობას თუ ასწავლი?

თამარი — მაგი ხელობა კი არა, მეცნიერებაა! ძაან გონიერი გოგოა, უცებ აუღო ალდო!

მარები — კაი საქმეა დასტაქრობა! (დგება) აბა, მეც უნდა დაგუნდეობო!

თამარი — რავა გამირბიხართ ყეველა?

მარები — (სიცილით) შენ ოლონდ ნათიაზე გალაპარაკა და დილამდე არ გაუძვებ არავის!

თამარი — (ბუზლუნით) მოგაბეზრეთ ხომ თავი? მოიცა, შენეენ მაქეს გზა!

გამაცილე! (მარები ნამოდგომაში ეხმარება) ა, შეხე რავა დამდულრულივით მიფუთფუთობს თომა!

მარები — ევ კი ჩაუმნარებს მაგათ ქეიფს!

თამარი — არ არიან ღირსნი თუ?

(მარების მკლავს დაეყრდნობა. ორივე გადის).

სურათი მესამე

დოლის ბაგუნით, სიმლერით, ცეკვა-თამაშით შემოდიან აქეთ-ჟებული კაცები.

მიხა — (მხარზე შემოდებულ ტიკეჭორას მინაზე დებს) ახლა ამ ადგილას დავანათლოთ, წყაროს პირას.

დავითი — დაგეხოცავს, ბიჭო, თომა!

მიხა — ნუ შემიკიერინეთ ამ თომათი, ფეხებსაც ვერ მომტამს.

ლექსო — (მოილუშება) მიხა, ნათლიაჩემზე ძვირი არ ნამოგცდეს, თორემ ისე გავლახავ, რომ კარგახანს ჭერში დაინყებ ღიმილს.

მიხა — (ნამოხტება) ამ ლანირაკს შეხედეთ! (ლექსო ქულაჯის გახდას ინყებს. დავითი და ახალგაზრდა გლეხი შუაში ჩადგებიან)

დავითი — გრცხვენოდეთ, ქეიფის ჩხუბში გადაზრდა ვის გაუგია.

დემნა — (ჩაიხითხითებს) მაგის მეტი რა გამიგია.

მიხა — (იქაჩება) მაგას გვარიშევილობა ხომ არ ატყუებს.

ლექსო — (ჩაიცინებს) აკარი ახლა ამას ყბაში!

მიხა — ბოლო-ბოლო ხუთი წლითა ვარ უფროსი.

გიზო — ჰა, რა ვენათ, დავიშალოთ? (დემნას) ნამო, ნავილოთ ეს ჩვენი ტიკეჭორა, მამი!

ახალგზარდა კაცი — ასე ჩავიმწაროთ ეს მშვენიერად დაწყებული დილა?

დავითი — შეგარცხვინოთ ღმერთმა!

ლექსო — (უცრად გაილიმებს და სიმლერას ინყებს):

ზემთაგონებით მოვდივარ,

ასე ურჩი და აშარი,

ღმერთმა სიცოცხლე მაშოროს

შენი მტრის ნაფეშეაშარი!

(მიხა მეორეს ეტყვებს მას, დანარჩენები ბანებს დააგუგუნებენ).

დავითი — (სასმისს შეაუსებს) ეს ჩვენი ნინაპრის ნათელი სულის
მოხსენება იყოს, მის კუნთა მარჯვენას გაუმარჯოს, ურჯულოჭუჭულა
მუსვრელ და აიდი ტაძრის აღმშენებელ მარჯვენას. მტრისადგის მიზანი
უდგომელ ციხესიმაგრედ რომ იქცა და მოყვრისთვის ცოდვების გამ-
ნდან სასუფევლად ახლა, როცა მხოლოდ ნაფუძარი დარჩა ჩვენი ძე-
ლი დიდებისა, ისევ აიზვირთა მტერი ჩვენს შესამუსრად, მაგრამ უკან
დაიხევს ყოველთვის ეშმა ჯვრის ნინაშე. დე, ჩვენი ნინაპრის ცაში მო-
ფარფატე სული გაგვიძლევს ნინ აბლდვრიალებულ ჩირალდნად, ჩვე-
ნი სათაყვანებელი სამშობლოს დასაცავად და ახალი ტაძრის აღსა-
მართავად.

ახალგაზრდა გლეხი — (მელავს დაიკაპინებს) უუჲ!

დავითი — (შემცბარი) რა იყო, შე კაცო!

ახალგაზრდა გლეხი — სულ ბუსუსები დამაყარა მელავზე, აა,
შეხედე (შიშეელ მელავს აჩვენებს დავითს. ერთმანეთს გადაეხვევი-
ან).

დემნა — (ნიკაპში ხელს კიდებს მიხას) შენ რამ დაგამუნჯა, კაცო!

მიხა — (თავს წევს მაღლა) ვტირი!

ახალგაზრდა გლეხი — შენ გენაცვალე მაგ ცრემლიან თვალებში,
შენა!

(შემოდის აქოშინებული თომა)

დავითი — (შემფრთხალი) თომას გაუმარჯოს, თომას!

გიზო — (თასში ღვინოს ჩამოასხამს და თომას უწვდის) დაგვლო-
ცე, თომა ბიძია!

თომა — (თასს ჩამოართმევს) თქვენი დედები ვატირე მე!

დემნა — ასეთი დალოცვა კი არსად გამიგია!

თომა — ადამიანები ხართ თქვენ?

დავითი — რა დაგემართა, შე კაცო, ცოტა მოლხენას საქმე არას-
დროს გაუფუჭებია.

ახალგაზრდა გლეხი — სწორედ ტაძრის სადლეგრძელოს ვსვამ-
დით ახლა. დაგვილიერ ერთი თასი, ბატონო თომა.

თომა — (თასით ხელში) თქვენს სისხლს დავლევ მე!

დემნა — (შემკრთალი) რამ გაგამხეცა, შე კაცო!

თომა — გილხინთ არა, ლალობთ ხომ? ტაძარი თავისით აშენდე-
ბა?

გიზო — ერთი დღე რა მოხდა, თომა ბიძია.

თომა — გუშინ?! დავითს ვენახი ჰქონდა შესანამლი, ამას მინა გა-
დასაბრუნებელი. ვანო ქორწილში გამოსკდა, ამ ვირმა ხელი იღრძო
ჭიდაობაში, ტაძარს კი არა, სალორეს ვერ ააშენებთ თქვენ. ყოველდღე
ასე ტყე-ტყე გეძებოთ?

მიხა — კარგი, რამ აგაფეთქა ამ დილაადრიანად, შე კაი კაცო!

თომა — რაო, თავი მოგაბეზრეთ, არა?!

მიხა — მობეზრების რა გითხრა, მონატრებით კი ნალდად არ მომ-
ნატრებიხარ.

თომა — სულს ამოგიყვანთ ყელში, თავბედს გაწყევლინებთ, მერე
თუნდაც თედორესავით გამისტუმრეთ!

მიხა — ეს კი ნამეტანი მოგიყიდა, თედორეს არ შეადარა თავი, კა-
ცო?

ლექსო — მე რა გაგაფრთხილე, მიხა?

თომა — (ლექსოს ხმაზე შეტრიიალდება) შენც აქა ხარ, ლექსო?

ლექსო — მაპატიე, ნათლი!

თომა — სხვას რაღა უნდა ვუთხრა, შეგარცხვინა, შეილო, ლმერთ-
მა! (ჯამს გეერდით მოსისრის და გადის)

ლექსო — ესც ასე... ახლა კი მართლა ნავიდეთ, სირცხვილია!

მიხა — კაი, თუ ძმა ხარ, იმ მთაზე რა ამაპრონიალებს ახლა?

(ტიქჭორას თავექვეშ ამოიდებს და თვალებს მილულავს)

ლექსო — შენი საქმის შენ იცი!

(გადის).

დავითი — სავალალოა ერთობ, სავალალო! აბა, ერთიც შევავსოთ
და...

სურათი მეოთხე

სიბრძელე. თივის ზეინზე თომას სძინაეს. უეცრად დაიქუჩებს,
ელვა გაანათებს გარემოს და ამ მიცისფრო, სიზმრისეულ გა-
ნათებაში, თივის ზეინზე ნამომჯდარი თომა ყრუ ხმით ინყებს
ლაპარაქს უხილავ თანამოსაუბრესთან.

თომა — რა არის ეს, ხილვა? თუ მესიზმრები?.. მე შენ გიცანი,
არასოდეს მინახაეს შენი სახე, მაგრამ გიცანი!.. ბრძენი თედორე ხომ
ბრძენი თედორე ხარ?.. რატომ გელიმება? ეს შენი სიკედილის შემდეგ
შეგარქვა ხალხმა ბრძენი! (მიაყურადებს) დიახ, მეც ასეთად მიმარინი-
ხარ!.. ვინ მოგელა, იცი? ვინ? არა, ეგ არაა სულერთი!.. როგორ თუ
ყველამ?.. ყველამ ერთად?.. რატომ?.. ჴო, მესმის, მეც შენსავით ვალი-
ზიანებ და სულს უფორინაქებ მათ! არ იფიქრო, შენ გედრები! მე შენს
გაევალულ ბილიქს მიცვები მხოლოდ! არც ის იფიქრო, საბოლოოდ
გადავვევარდით, რომ ჩადენილი ცოდვების სიმძიმეს ვერა ვერძნობთ,
ვერძნობთ და საკუთარ თავსაც არ ვუტყდებით! ნაელი რაცა გვაქვს,
დროდადრო იმასაც ვხედავთ, მაგრამ ეგაა და ეგ, ამის იქით ნაბიჯსაც
ვერა ვდგამთ. უცხოსი არაფერი გვშურს, ერთმანეთის შურმა კი მოგ-
ვსპონ და ამოგვაგდო! ერთი სახატე გვაქვს ყველას სალოცავი, ჩვენი
ქვეყანა, მაგრამ ვერა და ეერ ვისწავლეთ ერთად სიყვარული და ასე ცალ-
ცალკე გვიყვარს ქვეყანა ჩვენი! თუმცა, ალბათ შენს დროსაც ასე

იყოს?! მე ერთ კაცს არ მოუუელავარ, ყველამ ერთად მომკლაო, რომ
ბრძანე, ალბათ ამას გულისხმობდი, სამშობლოს ცალ-ცალკე ცალკე და
რულმა ყველას ერთად რომ გაამტებინა მოსაკლავად შენი თავი!

(პაუზა. თომა უხილავ მოსაუბრეს უსმენს).

დიახ, ორჯერ დავინერე მშენებლობა და ორჯერვე ჩამოგვენგრა
უკვე აყვანილი ეყდლები. მტრის შემოსევის შიშმა მიგვახვედრა მი-
ზეზს და ახლა შენს ანდერძს ვასრულებთ! ხალხმა უკვე მოშალა საუ-
თარი ციხე-გალავნები და ძველი ტაძრის ლოდები ნატაძრალზე აზი-
და. ახლა მართლა გაგვიჩნდა იმედი, რომ ბოლომდე მიეცივანთ ამ
საღვთო საქმეს და მტერს შეუვალ ციხე-სიმაგრედ დახვდება ტაძარი.

(თომა კვლავ მიაყურადებს უხილავ თედორეს, სახეზე ნელ-ნელა
გაკვირვება და შიში ეხატება).

ეგ რა თქვი, ბრძენო?!. თუ მომესმა?.. რას ამბობ, რას? რაღა ძა-
ლამ უნდა დაანგრიოს კვლავ, ახლა ხომ სულ ძველი ტაძრის ქვით ვა-
შენებთ!.. მაშ, რა გვემეელება, დაჩოქილი გევედრები, გვითხარი, რა
გზას ვენიოთ?!

(კვლავ მიაყურადებს ბრძენს და ახლა შიშნარევ გაკვირვებასთან
ერთად, ძრნოლაც ეხატება სახეზე).

არა, არ მჯერა! არ მჯერა, რომ ეს შენა ხარ! ბრძენი თედორე და
ასეთი სისასტიკე? თან მე მავალებ მაგ შემზარავი ბრძანების აღსრუ-
ლებას? ეს შენ არა ხარ, შენ სხვა ხარ, სხვა, თედორეს ნიღაბით!..
ღმერთო მიშეელე, ღვთით მოვლენილი ხილვაა თუ ეშმაკული გამიჯ-
და ტანში?!(ჯვარს მოიგლეჯს კისრიდან და ნინ აიფარებს). განვედ!
განვედ! განვედ! (ნელ-ნელა ეხუჭება ფართოდგახელილი თვალები
და ულონოდ ჩამოუვარდება მკლავი). მაშ, ქეშმარიტად შენ ყოფილ-
ხარ, ბრძენო! როგორ ვიფიქრო, რომ შენი მოკელის გამო იძიებ შურს
შენს საყვარელ ერზე! მე, შენს ერთგულ მონაფეს, რა უფლება მაქეს
არ აღვასრულ შენი ბრძანება?! იყოს ნება შენი! გემორჩილები, მე
უბედური! ვიქადაგებ და მოვიძიებ იმ ყმანვილ კაცს, მაგრამ რაღა მე
ამჟიდე ასეთი მძიმე ჯვარი, რაღა მე?!

სურათი მეხუთე

ლექსო და ნათია თივის ზეინზე მოკალათებულან.

ნათია — სულ მინდოდა მეუითხა შენთვის, იმ დღეს უეცრად რომ
ჩამობნელდა, რატომ შეკრთი?

ლექსო — განა შევერთი?

ნათია — აბა, მომეჩვენა? ისე მომიჭირე ხელი, რომ მელავი დამი-
ლურჯდა!

ლექსო — (დარცხვენით) იცი, ბაშვობიდან გამომყვა სიბნელის ში-
ში. სულ პატარას მესიზმრა, თითქოს ალი მიტაცებდა და... ცხონებუ-

ლი ბებიაჩემიც ისეთ ძილისპირულებს მიყვებოდა ხოლმე, რომ განადანიშნული
გახედებილი ველარც ვიძინებდი!

ნათია — ახლაც გეშინია?

ლექსო — დედაჩემს ლამით ჭრაქსაც არ ვაქრობინებ!

ნათია — ხვალვე მოვდებ მთელ ქვეყანას!

ლექსო — (გულნატკენი) აბა, შენ იცი!

ნათია — (მელავზე შეახებს ხელს) არ გრცხვენია, მართლა დაიჯე-
რე, რომ შენზე ვიჭორავებ?

ლექსო — სულ დამცინი და...

ნათია — აბა, აბა, ნუ განაზდები! მაჩვენე ნატკენი ადგილი! (ქუ-
ლაჯას ხდის ლექსოს და პერანგის სახელოს აუკაპინებს) მაგრად
გაქვს დაბეჭილი! ისე კი, ახია შენზე!

ლექსო — რატომ?

ნათია — როდის მოგისროლა ცხენმა, გახსოვს?

ლექსო — მაინც როდის?

ნათია — თავმომწონედ რომ გადმოხედე, რა ყოჩალი ბიჭი ვარო,
სწორედ მაშინ! როგორც ეი გაიპრანჭები, განგება ყოველთვის დაგს-
ჯის!

ლექსო — მაშ შენ სულ დაბეჭილს უნდა გეარა!

ნათია — ვითომ რატომ?

ლექსო — გაუთავებლად იპრანჭები და მიტომ!

ნათია — მე გოგო ვარ!

ლექსო — (მელავზე დაიხედავს) რალას ვიფიქრებდი. უკვე გახედ-
ნილი მყავდა!

ნათია — (ჩაფიქრებით უსინჯვავს მელავს) აქ დამელოდე (გარბის
და ცოტახანში უკან ბრუნდება, ხელში ბალახის კონა აქვს).

ლექსო — ეგ რა არის?

ნათია — სამუშარნალო ბალახია, აქვე დავკრიფე! ამას ნატკენზე
დაგადებ და ორ დღეში მოგირჩება!

ლექსო — შენ რა, ბაბუდასგან ისწავლე?

ნათია — ჲო, ცოტა რამ გამეგება! (უხვევს მელავს)

ლექსო — (მიამიტად) სიყვარულს ვერ ეურნავ?

ნათია — არ იკურნება!

ლექსო — აბა, მე რა მეშველება?

ნათია — სიყვარულს მოპოვება უნდა! შენ ეგ ცხენის გახედნა ხომ
არ გგონია?

ლექსო — გოგოები რა, არ იხედნებით რო? (ტკივილისაგან შეჰყ-
ვირებს) მელავ?

ნათია — არ მიყვარს მუტრუკული ღლიცინი!

ლექსო — რა ვთქვი ასეთი? იმ ღლეს აფრასიონის კვიცი რომ გავ-
ხედნე...

ნათია — აღარ მორჩიები ამ გავხედნე-გამოვხედნეს?

ლექსო — ის კვიცი ძალიან გგავდა შენ! აღარ მატეინო!

ნათია — გატეენ!

ლექსო — რა გენყინა?

ნათია — აი, შეგიხვევ და ნავალ!

ლექსო — რა დავაძავე ასეთი?

ნათია — ცხენს რომ შემადარე!

ლექსო — (გულნრცელად) ცხენზე ლამაზის უის შეგადარო?

ნათია — ჯერ ეს ერთი, არაესთან მჭირდება შედარება...

ლექსო — მეორე?

ნათია — მეორე ის, რომ შეელია ყველაზე ლამაზი!

ლექსო — (გაცხარებით) აბა, რას ამბობ, ცხენზე ლამაზი ადამიანიც ეკა არ არსებობს!

ნათია — სულ არ არსებობს?

ლექსო — მხოლოდ ერთი!

ნათია — მაინც ვინ?

ლექსო — ეგ დიდი საიდუმლოა!

ნათია — მითხარი!

ლექსო — შენი თმის კულული მაჩუქე!

ნათია — ვაჭრუეანა ხარ?

ლექსო — ხანდახან!

ნათია — ჯერ მითხარი!

ლექსო — კარგი, გენდობი!

ნათია — მაშ ვინ არის ყველაზე ლამაზი?

ლექსო — ერთი გოგოა, მთის სოფელში ცხოვრობს!

ნათია — (გამშრალი) მართლა? სახელი რა ჰქვია?

ლექსო — ნანო, მგონი!

ნათია — სად ნახე?

ლექსო — კვირიებაზე, ხევში! ახლა შენი თმის კულული მიბოძე!

ნათია — (ამთავრებს გადახვევას) სიტყვა სიტყვა, მომეცი ხანჯალი!

ლექსო — მე თვითონ შეგქრი!

ნათია — არა!

(ლექსო ხანჯალს უწედის. გოგონა თმის კულულს მოიქრის).

ლექსო — ფრთხილად, ახალი ნამახული აქვს პირი!

ნათია — (თმის კულულს უწედის ბიჭს. ლექსო მისგან გადაიხრება, მავრამ ნათია უეცრად ხელს კრაეს მას, თივაზე გადააქცევს და ხანჯლის ნვერს ყელზე მიაბჯენს) ილოცე, უბედურო!

ლექსო — ასე არაფრისთვის მიმეტებ?

ნათია — ხანჯლის ნვეტს ნუ უჟურებ!

ლექსო — რატომ?

ნათია — თვალები გიულამდება!

ლექსო — სულ ერთია, მაინც მკლავ და...

ნათია — იღოცე სიკედილის ნინ!

ლექსო — რა გაეწყობა? უფალო იქსო ქრისტე, ძეო ღვთისა, სულ ასეთი მშვენიერი და ლამაზი მიმყოფე ჩემი ნათია!

ნათია — (რბილად) მე შენი არა ვარ!

ლექსო — მაშ ვისი ხარ?

ნათია — დედასი და მამასი!

ლექსო — ეს ჯერჯერობით! (ლოცვას განაგრძობს) ნათიაზე ფიქ-რში ერთ უსასრულო ლექსს ვწერ! არ დამიმთავრო ეს ლექსი დიდ-ხანს, დიდხანს...

ნათია — არც მერე გავხდები შენი!

ლექსო — მაშ ნავსულვარ ნანოსთან მთაში და ესაა! რას შევრები, მართლა მკლავ?

ნათია — (ამოიოხრებს) მართლა!

ლექსო — შეწყალება როგორ დავიმსახურო?

ნათია — თვალები დახუჭე!

ლექსო — (თვალებს ხუჭავს) მაკოცეპ?

ნათია — (უკვე მისკენ გადახრილი საკოცნელად კვლავ ნელში გასწორდება) ო, რა ტლიერია ხარ! კერაფრით დაკაცდი!

ლექსო — მანახე ვინმე, კაცურ საქმეში რომ მაჯობოს! ტყვიას ტყვიაში ვაჯენ, ცხენოსანი უბადლი ვარ, ჭიდაობაში და მუშტში მომ-რევი არ მყავს, მძეილდისრით ნენელს ეხლიჩავ...

ნათია — რა გეშველება ასეთ ტრაბახას და ბაქიას?

ლექსო — არა, რა ვენა, თვითონ თუ არ შევიქე თავი, შენგან ამას ვერ ვეღირსები!

ნათია — (დატიქრდება) იცი რა?

ლექსო — რა?

ნათია — ნადი იმ შენ ნანოსთან!

ლექსო — რატომ?

ნათია — ნადი! ნადი!

ლექსო — შენ?

ნათია — მეც ნავალ!

ლექსო — სად?

ნათია — სახლში!

ლექსო — გინდა ორივე ნავიდეთ?

ნათია — ნანოსთან?

ლექსო — დაანებე მაგას თავი, ხომ იცი, რომ არ არსებობს არანა-ირი ნანო!

ნათია — აბა, სად მეპატიუები?

ლექსო — ჩემთან! დედაჩემი სუფრას გაგვინყობს და მე ვეტყვი,

რომ ამიერიდან ოჯახში სამწი ვიქწებით!

ნათია — ცოლად გამოგყვე?

ლექსო — ჰო!

ნათია — რატომ?

ლექსო — იმიტომ, რომ მიყვარხარ!

ნათია — მე ალარ მეტითხები?

ლექსო — შენ რა, არ გიყვარვარ?

ნათია — რა გაქვს რო საყვარელი?

ლექსო — აბა მე რა ვიცი?

ნათია — (ახლოს მიდის მასთან) იქნებ თვალები? (თვალებში კოც-ნის ბიჭს) სახლში კი მხოლოდ მაშინ ნამოგყვები, როცა ცოტა დარბა-ისელი გახდები!

ლექსო — (სიცილით) დამიბერდები მაგის ლოდინში!

ნათია — სად შეინახავ ჩემს კულულს?

ლექსო — გულთან!

ნათია — ჰო, ეგ კარგი ადგილია!

(ეხვევიან ერთმანეთს. უეცრად ზარის მძლავრი რეკვის ხმა აკრ-თობს გარემოს)

ნათია — (ლექსოს მელავებიდან ითავისუფლებს თავს) ზარი და-რეკეს!

ლექსო — (მიაყურადებს) მეათედ შემოერა ვიღაცამ, რაღაც მოხდა!

ნათია — (შეშფოთებული) გავიქცეთ!

(ლექსო ხელს სტაცებს ნათიას და ორივე სირბილით ტოვებენ იქა-ურობას).

სურათი მეექვსე

ვიღაც ძალუმად რეკავს ზარს. ნელ-ნელა ყველა მხრიდან შე-მოდის ხალხი

დავითი — რა მოხდა?

მიხა — აბა, რა გითხრა, მეც ეს წუთია მოვედი!

თამარი — (აქოშინებული) ვინ რეკავს ზარს?

დავითი — (ყვირის) ჰეი, რომელი ხარ მანდ?

თომა — (შემაღლებულ ადგილზე გამოდის) მე ვარ!

ნინო — რა მოხდა, თომა?

თომა — ზარი მე დავრეკე, ხალხო! მე მოგიხმეთ!

მიხა — ჰოდა, გვითხარი, რაზე დარეკე, რა მოხდა?

თომა — ხილვა მქონდა, ადამიანებო, ბრძენი თედორე გამომეცხადა!

(შემორბიან ნათია და ლექსო. თამარის დანახვაზე, ნათია ცალკე გადგება)

თამარი — რაო? რაო?

დავითი — ხილვა მქონდაო, თოშამ!

თამარი — ეგ გავიგე, კაცო!

დავითი — (ხმამაღლა) ბრძენი თედორე გამომეცხადონ!

თამარი — რა გაყვირებს, ეგეც გავიგონე!

დავითი — აბა, მეტი არ უთქვაშს არაფერი და...

თომა — გაიგეთ, ხალხო? ბრძენი თედორე გამომეცხადა ხილვაში!

მიხა — მერე, თომას ვენაცვალე, რამდენი ვინმე სიზმარს ნახავს, ყველამ მაგ ზარს თუ დოუწყო რაკარუე, რაფრა წავა ჩვენი საქმე?

თომა — უცნაური რამ მითხრა ბრძენმა... ჩემი ვალია გამცნოთ ეს და დანარჩენი თქვენ იცით!

მარეხი — თქვი მერე, შე კაცო!

თომა — ოლონდ ყურადღებით მისმინეთ და ერთბაშად ნუ აყაყან-დებით!

ნინო — სულგანაბული გისმენთ, თომა, თქვი, ნუ დაგვილიე სული!

თომა — ბრძენი თედორე გამომეცხადა...

მიხა — საიდან იცი, გინახავს რო ოდესმე?

თომა — თვითონ მითხრა, თედორე ვარო!

მიხა — ბრძენი თედორეო?

თომა — თავისთავს ბრძენს ხომ არ უნოდებდა, შე დალოცვილო!

ნინო — მიხა, ნუ უშლი ხელს!

დავითი — ათქმევინეთ ბოლომდე თქვე კაი ხალხო, რა დავემარ-თათ?

მიხა — კაცო, იქნებ სხვა თედორე იყო-თქო, მიტომ ვიკითხე!

თომა — უშნოდ მხიარულობ, მიხა!

მიხა — ა, ბატონო, პირში წყალი ჩავიგუბე! (ლოყებს ბერავს. ვი-ლაცას გაეცინება).

თომა — თედორე ბრძენმა მითხრა, ერის ხსნა ტაძრის აგებაშიაო!

მიხა — ეგ ჩვენც ვიცით-თქო ვერ უთხარი?

თამარი — (თავში წაუთაქებს მიხას) ალარ მორჩები?

(მიხა თვალებს გადაატრიალებს და მოჭრილი მორიცით დაასკდე-ბა მინას).

დავითი — ადე, ნუ მაიმუნობ!

(მიხა არ ინძრევა).

თამარი — დაანებე თავი, იწვეს!

თომა — თუ ტაძარი აშენდა, ერიც დღეგრძელი იქნებაო, მითხრა! ხშირ-ხშირად რომ ინგრევა, გრძელეული ძალის კი არა, თქვენი უხალი-სო შრომის ბრალიაო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ერს ცოდვა ანევს და ნმინდა მინა არ ღებულობს თქვენს ნაშენებსო!

დავითი — საშველი რა არისო?

თომა — ერი ცოდვებისაგან უნდა განიბანოსო!

მარეხი — რა ცოდვაა ასეთიო?



თომა — რომელი ერთი ჩამოგითვალით?

ნინო — მარტო თედორეს მოკელა გვეყოფა მძიმე ცოდვად! დავითი — ასი წლის ნინ მოკლულ კაცზე ჩვენ ვაგოთ პასუბი?

თამარი — რაო, რა გვირჩია ბრძენშა?

თომა — (ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ) ხალხო, სიკედილია ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა, უნდა გითხრათ ამ... ამ ამოსაგლეჯი ენით! (თავს ჩაქინდრავს)

მარეხი — რა იყო. რამ დაგამუნჯა, ასე უცბად, შე კაცო?

ნინო — (შემფორთებული) რას გვეუბნები ასეთს, თვითონ რომ გული გისკდება?

დავითი — აცალეთ, ქალებო!

თომა — (თავს მაღლა სწერეს) ტაძარი რომ აშენდეს და ალარ დაინგრეს, მის პირველ ერთეულში ყმაწვილი კაცი უნდა ჩაეტანოს ცოცხლადო!

(საკრებულოს მოკლე გმინვა აღმოხდება)

თამარი — (სამარისებურ სიჩუმეში) გაიმეორე, ყურს რომ დაუკუჭერო!

თომა — (მორჩილად) უნდა ჩაეტანოს მხოლოდ საკუთარი ნებით, უანგარიდ და არაფერი ითხოვოს სანაცვლოდო!

(რაღაც ხანს ყველა გამტერებით მისჩერებია დამნაშავესავით თავჩაქინდრულ თომას)

მიხა — (მინაზე ნამოჯდება) ხალხო, რას უსმენთ, გაგიჟებულა თომა!

ესაა და ეს (ხალხი დუმს), არ გახსოვს, სტეფანეს რა დაემართა ჩარექი ორნახადის დალევაზე? ცხრათავიან დევებს რომ ებრძოდა მთელი ლამე?

(ვიღაცა შვებით გაიცინებს, ხალხი ნელ-ნელა გონს მოდის).

დავითი — მაინცდამაინც ახალგაზრდა უნდა იყოსო?

თომა — ჰმ, ჩვენდა საუბედუროდ, აბა, ეგ რომ არ ეთქვა, ჩავეკირებოდი და მორჩებოდა ამბავი!

მიხა — თქვენ გადამრევთ მე, მაინც უსმენთ?

თომა — (საწყლად) რად მიყურებთ ასე, მე ხომ არ მომიგონია ეს დანყევლილი!

თამარი — მასეთ რამეს ვინ დაგაბრალებს, შე კაცო? მარა მაგნაირი არაფერი იბჟუტურო ბოეშებთან, თორემ ხომ იცი ჩვენი ყმაწვილების ამბავი, მოინდომებს ვინმე გმირობანას და...

ნინო — მართლა არსად მოყვე, თომა, ტვინი არ აურიო ბოვშებს!

(ლექსო ზურგებს ამოეფარება, დედამისმა რომ ვერ დაინახოს)

მიხა — არაუშავს, თომა, ეტყობა ძლიერი ჭრა ჰქონდა ლეინოს, ასე რომ, რა შენი ბრალია?

თომა — (სასონარევეთით) ხალხო, ხალხო, მერნმუნეთ, ჭეშმარი-

ტიკა, რასაც მე ვამბობ! დამავალა ბრძენმა და როგორ გავჩუმდე? თქა-
დაგე, მოინდი ერისთვის თავდადებული ყმანვილი კაციონის ქაფუნდები,
რომც ჩამქოლოთ, მაინც ვერ გავჩუმდები!

თამარი — (განცეიფრებით) მაშ, ახალგაზრდებს შეაგულიანებ,
კედელში ჩაეტანეთ ცოცხლადო?

თომა — ჰო, თამარ, ჩემი წმინდა ვალია ეს!

თამარი — თომა, მართლა დედების ჩასაქოლად არ ვაიხადო საქმე!

მიხა — რავა, მამები დამშვიდებით შეხედავენ ამ საქმეს თუ?

მარები — თეოთონ უშეილო და უძირო რას მიხედება ამას?

თომა — შეგარცხვინა, მარებ, ღმერთმა! თუმცა, რა მნიშნები, თქვე-
ნებურად მართლებიც ხართ! მაგრამ მთავარი, დიდი სიმართლე მიუნ-
დომელია თქვენთვის!

მიხა — ცეცხლს ეთამაშები, თომა!

თომა — ვაიგეთ, ადამიანებო, ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად
უნდა მოხდეს ეს უბედურება! სიკედილია ჩემთვის ამის თქმა, მარა რა
ვქნა, რა წყალს ვეცე?

დავითი — (მძიმედ) შენ რას გერჩით, თომა, შენ შენი ვალი გაქვს
თედორეს ნინაშე, ისე მეც გამიგია, რომ ნინათ ასეთი წესით აშენდა
ერთი ციხე! ზურაბი ერქევა იმ ჩაკირულ ბიჭს!

ნინო — (უჩეველო გახარებით) კაცებო, რას მიედ-მოედებით, ნე-
ტა ვიცოდე?! ავარდით იმ მთაზე, დაიკაპინეთ მელავები, თქვენი ოფ-
ლითა და სისხლით შეზილეთ დუღაბი და აშენდება ის ტაძარი, აშენ-
დება და აღარ დაინგრევა! თქვენი არხეინობის გამო, თომას მიერ
გაბრიყებული ვინმე ყმანვილი მართლაც რომ ჩაეკიროს, რაღად გი-
ლირთ მერე ან კაცობა, ან სიცოცხლე?

მიხა — თქვენ გადამრევთ მე, რავა, ახლა არ შენდება თუ დანგრე-
ვის ეტყობა რამე? თომას ვენაცვალე, ერთი მითხარი, ვთქვათ არაეის
არ მოუნდა ეცდელში ცოცხლად ჩამარხვა, მაშინ რა?

თომა — მაშინ აღარაფერს ჰქონია აზრი, ჩემი მიხა!

თამარი — მოელედ, ბოვშებს აღარ გააგონო შენი ნალოთარი
ბოდვები, თორემ მართლა ჩაგკირავ მე შენ!

თომა — თამარ, დაიიყე ეგ შენი კაპუეტი ხასიათი და უქმად ნუ
ატარტალებ ენას!

დავითი — მართლაც, არც ისე უბრალოდაა საქმე, როგორც შენ
გვონია, თამარ!

მარები — ატყობთ, თომას სულ უშვილოები რომ უჭერენ მხარს?

დავითი — ცდები, მარებ, მე სხვა რამეს ვამბობ. თუ ყურადღებით
მომისმენთ, ყველა კმაყოფილი დამრჩებით. თომა, თედორეს ანდერ-
ძით რა უნდა გვექნა ჩვენ? საკუთარი გალავნები დაგვემალა და ჩვე-
ნი ნინაპრის მიერ მერეხელურად ბარში ჩამოზიდული ტაძრის ქვები
ისევ ნატაძრალზე აგვეზიდა. აგვეზიდა და ძველი ქვებით აგვეგო თა-



ვიდან ახალი ტაძარი! ასეა ხომ?

შეძახილები — ასეა, ასე! ზუსტად თქვი, დავით!

დავითი — შენ გეეითხები, თომა, სადმე გადაუუხვიე სიმართლეს?

თომა — (დაფიქრებით) არა, ყველაფერი სწორად თქვი, მაგრამ არ
მესმის...

დავითი — ახლავე აგიხსნი! თომა, შენ არ იყავი, სული რომ ამოგ-
ვართვი, დამალეთ თქვენი სამოსახლოებიო?

თომა — მე ვიყავი!

დავითი — მერე არ დავშალეთ?

თომა — მხოლოდ მას შემდეგ, მეორედ რომ დაინგრა ტაძარი!

დავითი — ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა! ეს ამდენი ქვა ძა-
ლით რომ აგვაპრონიალებინე მთის ნვერზე?

თომა — მართალი ხარ!

დავითი — ხომ დაგიჯერეთ, ხომ დავინყეთ მშენებლობა?

თომა — მხოლოდ მას შემდეგ, რაც მტრის თავდასხმამ შეგაში-
ნათ!

დავითი — (გაბეზრებულად) ახლა არ ღირს ამაზე-მეთქი! მოკ-
ლედ, შევასრულეთ თედორეს ანდერძი, თუ არა?

თომა — ნანილობრივ კი!

დავითი — ჰოდა, გვაცალე ახლა, დალოცვილო, მიგვაყვანინე საქ-
მე ბოლომდე, მსხვერპლისა და სისხლის გარეშე! ვაფასებთ შენს
ერისკაცობას, შენს თავდადებას, მარა შენს სიზმრებს ყმანვილების
სიცოცხლეს ნუ შეგვანირინებ!

აშენდება ტაძარი, მოვიგერიებთ მტერს და ცხოვრება დაინყება,
ავ თვალს რომ არ დაენახვება ისეთი!

მიხა — შენ გენაცვალე მაგ ოქროს ყანყრატოში, შენა!

დავითი — (რბილად) ამოიგდე ახლა თავიდან ეგ შენი ნაგვიანები
ხილვა და მივხედოთ საქმეს!

ნინო — კაცი ხარ კაცური, დავით!

მარეხი — არ გაგვიმთელა დამსკდარი გულები?!

მიხა — თომა, ჩამო ძირს და ზარს აღარ გნახო გაკარებული!

(გარს ეხვევიან დავითს, შიშისგან განთავისუფლებული ხალხი გა-
ლალდა და გამხიარულდა)

მიხა — დემნა, ერთი შენი ტიკჭორა გამოაგორე!

დემნა — რომელი ტიკჭორა, ხო არ მოგლანდებია?

მიხა — რომელი და ურმის უკან რომ მალავ!

დემნა — მაქვს და გიმალავ, კაცო?

მიხა — აი, ეს კი მართალი თქვი. გაქვს და მიმალავ!

(ყველა იცინის)

თომა — (ყვირის) ხალხო, უდროოდ მხიარულობთ!

მარეხი — რას დაგვჩხავის ეს კაცი, მართლა და მართლა!

მიხა — ჰაა, დემნა დახლიდარო, სული მიწყებს ფორიაქს, იცოდეს! გამააჩენ იმ ღვინოს თუ შენი წევნების თელა დაეიწყო?!

დემნა — (ძუბლში იტკიცავს ხელს) ჩემი სიმამრის ღვანზოგან ჩმავე ბობ, კაცო?

მიხა — გინდა პაპიდაშენის დაარქვი, დროზე მოიტა, გირჩევნია!

თომა — (ყელს იხლეჩს) მომისმინეთ, ადამიანები არა ხართ?

ქრისტე ღმერთი არ გვამო?

მიხა — რომ გენამს, მაგას უმაღლოდე, თორე დიდი ხნის გადებული მეყოლებოდი ფეხქვეშ!

თომა — ამასაც მოვესნარი?

(მაღლიდან გადმოხტება მოხუცი, მიხასკენ გაქანდება, მაგრამ ლექსო შეაჩერებს)

ლექსო — არ გინდა, ნათლი, შენ არ გეუადრება მაგაზე ხელის გასვა!

(ლექსო ხელს უშვებს მოხუცს, მკვეთრად მოტრიალდება და ძლიერი დარტყმით ძირს დასცემს მიხას. უგონოდ გაშოტილი მიხა გაუნდრევლად ნევს).

ნათია — (მხიარულად) ახლა კი ნამდვილად არ მაიმუნობს მიხა!

თამარი — ნათია!

ნინო — ლექსო, შენ აქა ხარ?

ახალგაზრდა გლეხი — (დემნას მოტანილ ტიკჭორას იღებს ხელში) მე ვიცი, რაფრა გამოვაღიძო!

(ტიკჭორიდან ლეინის ნერილ ნაკადს სახეზე დაასხამს მიხას, მიხა შეიშუბნება)

თომა — მეშინია, ხალხო, მეშინია, ხილვაში ნათქვამი იყო, რომ არ აშენდება უმსხვერპლოდ ტაძარი!

ნინო — კარგი რა, თომა, ნუდარ იმეორებ მაინც!

თამარი — რას შემოუჩნდი, თომა კალატოზო, ამ სოფელს, ვერ ხედავ, თავი რომ გააძეზრე ყველას?

თომა — (ყვირის) რა ვქნა, მეც რომ შემეპაროს ეჭვი, მაშინ რა ვქნა?

ნინო — ერთ უაზრო სიზმარის ნუ შეგვირავ ყველას!

თომა — (თავზე წაივლებს ხელებს) იქნებ მართლა სიზმარი იყო და ვცდები!

დავითი — (დაყვავებით) აი უკვე ძველი, გონიერი თომა ხარ!

(და უცერად მძლავრი ნგრევის ხმა ნალეკავს ხალხის ურიამულს)

ხმები — ტაძარი! ტაძარი დაინგრა! ვაი, უბედურ ჩვენს თავს! დაინგრა, სულ დაინგრა! ღმერთო, რა შევცოდეთ ასეთი? არა, უფალო, არა! ვილოცოთ, ხალხო, ვილოცოთ!

(ყველა მუხლებზე ემხობა გაოგნებული თომას გარდა).

თომა — მაპატიე, თედორე, ჩემი ეჭვები!

მიხა — (წამოჯდება, ყბას ისრესას, ძლივს ახელს თვალებს) რა და-
მემართა, ცა ჩამომექცა თავზე?
დავითი — (სევდიანად) მართლა ცა ჩამოგვექცა, მართლა! ღმურა მართლა
თო დაგვიფარე!

სურათი მეშვიდე

ლექსოს ქოხი. ლექსო ტახტზე ნამონოლილა. ნინო მაგიდას-
თან ზის და შეილის განეულ ჭულაჯას კემსაეს.

ნინო — გძინავს?

ლექსო — არა!

ნინო — რაზე ფიქრობ?

ლექსო — ბევრ რამეზე ერთად. დღისით ხომ არ მიეკითხა ვინმერ?

ნინო — (შეყოვნდება, შემდეგ უხალისოდ) კი, ტყემლიანიდან იყვნენ.

ლექსო — რა გვინდაო?

ნინო — რა ენდომებოდათ? ორი ურა კვიცი გვყავს გასახედნი და
კარგ ფულს გადავუხდითო.

ლექსო — მერე, როგორ შეუთანხმდი?

ნინო — არ გამიჯავრდე, შეილო, და უარით გავისტუმრე.

ლექსო — (ლოგინზე ნამოჯდება) ხუმრობ?

ნინო — არა, ლექსო, რამდენი სულელი და გადარეული ცხოვე-
ლია, ყველა შენ უნდა მოაქეციანო?!

ლექსო — დედი, ეს რა ჰქენი?

ნინო — აბა, რომელ დედას გაეხარდება, შვილს სულ დაბეჭილს
უყუროს, ტყუილად ხომ არ გასნავლე ნერა-კითხვა, თან არც ჩეენს
გვარიშვილობას შეზერის ეგ ხელობა!

ლექსო — (ჩაფიქრებით) კუდაბზიკა დედა მყოლია!

ნინო — (იცინის) ამპარტავნად არ მომზათლო.

ლექსო — კარგი, გეყოფა, ახლა, დანექი!

ნინო — ცოტაც დამრჩა!

ლექსო — (პაზის შემდეგ) მაინც არ უნდა გაგესტუმრებია უარით!

ნინო — რა ვენა, შვილო, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე!

ლექსო — პატივი თუ ეცი რამე?

ნინო — სადილზე უარი მითხრეს, გვეჩერებაო.

ლექსო — ხვალე ნავალ ტყემლიანში, აი ნახავ!

ნინო — (მშვიდად) ნუ მემუქრები, თორემ მამაშენის ხსოვნას და-
გაფიცებ!

ლექსო — (შემფრთხალი) დედი, არ ქნა ეს!

ნინო — დაგაფიცებ!

ლექსო — მამას ხსოვნას გაფიცებ, არ დამაფიცო!

ნინო — (ეცინება, დგება და ლოგინზე გადაუჯდება შეილს) თვი-

თონ გასახედნი კვიცი ხარ ჯერ, შენ ვინ უნდა გახედნო? (შუბლზე)
კოცინის შეილს)

ლექსო — არ გეწყინოს, ხვალ წავალ იცოდე!

ნინო — ცუდს მიგრძნობს გული, შეილო, გამანამეს სიზმრებმა...

ლექსო — რას ხედავ ასეთს?

ნინო — დილით აღარ მახსოვს!

ლექსო — ამ ერთხელ და მორჩა! შევთანხმდით? (მკლავებში იხუ-
ტებს დედას)

ნინო — უნდა დამემალა შენთვის!

ლექსო — დედაჩემი და ტყუილი?

ნინო — ნამდვილად ბოლო...

ლექსო — (ანუვეტინებს) აღარ განაგრძო! შემიძლია დაგიფიცო,
რომ მეტი არცერთ ცხენს აღარ გავხედნი!

ნინო — (ყურადღებით აკეირდება შეილს) ლექსო, რაღაც შეცვ-
ლილი მეჩვენები!

ლექსო — (მხრებს იჩეჩავს) შეცვლილი?

ნინო — (ხელში იღებს მის ხელს) რაღაც ხდება შენში, რაღაც ხდება!

ლექსო — (იცინის) შენი სიზმრების შედეგია!

ნინო — არაფერს მიმალავ?

ლექსო — ცდები, დედა! (გადაწვდება და რაღაც ნიგნს იღებს
ჯორეოდან). ამხელა ნიგნი როგორ გადაწერე ხელით?

ნინო — ჩემი მზითევია. ნესად იყო, ქალიშვილს საკუთარი ხელით
გადაწერილი „ვეფუსისტყაოსანი“ უნდა მიეტანა მეუღლის ოჯახში.

ლექსო — რატომ, იყო? ნათიამაც თითქმის დაამთავრა გადაწერა!

ნინო — მშენიერი საქმეა! სხვათა შორის, თამარი ვნახე ამასწი-
ნათ?

ლექსო — ვინ თამარი?

ნინო — ნათიას ბაბუდა! ერთი მითხარი, ბლის ქურდობა როდი-
დან დაინყე? კარგი, ნუ მიპასუხებ. ერთსა ვთხოვ, იშვიათად გამოჩნ-
დი მაგათ სამოსახლოს.

ლექსო — (ანუვეტინებს) იშვიათად კი არა, საერთოდ ველარ მნა-
ხავს თამარი!

ნინო — (ფარული: შეშფოთებით) რაღაც იოლად იძლევი დაპირე-
ბებს!

ლექსო — (პაუზის შემდეგ) დედი, ნათია როგორი გოგოა?

ნინო — კარგი!

ლექსო — ძალიან კარგი თუ... ისე რა?

ნინო — ძალიან კარგი გოგოა!

ლექსო — ყველაზე კარგი?

ნინო — (სიცილით) რას გადამეკიდე?

ლექსო — მიპასუხე!

ნინო — ჴო, ყველაზე კარგი!
 ლექსო — ჩვენს მიტან-მოტანებაში?
 ნინო — აბა, სხვაგან გეგულება უკეთესი?
 ლექსო — მე არა!
 ნინო — არც მე და დავიძინოთ უკვე!
 ლექსო — დედი, ჭრაქი ჩააქრე!
 ნინო — (გაკეირვებით) ალარ გეშინია?
 ლექსო — რაღა დროს შიშია, დედი? ჩააქრე!
 ნინო — ეი, შვილო!
 (აქრობს ჭრაქს და თვითონაც წვება)
 ლექსო — (სიბნელეში) დედი, ლამაზია?
 ნინო — ნათია? ეი, ლამაზი ეთქმის!
 ლექსო — ეთქმის რა სიტყვაა.
 ნინო — (შვილის წყენით შენუხებული) ლამაზი, ჯიშიანი გოგოა,
 მეტი რა ვთქვა?
 ლექსო — მეტი თქვი, რა!
 ნინო — აბა, ძალიან შემეხვენე!
 ლექსო — გეხვენები!
 ნინო — მზეთუნახავია! ახლა დავიძინოთ!
 ლექსო — დავიძინოთ! (პაუზის შემდეგ) დედი!
 ნინო — რა იყო?
 ლექსო — მამაჩემი პირველად სად ნახე?
 ნინო — მარიამობას, დღეობაზე!
 ლექსო — რას აკეთებდა?
 ნინო — ქეიფობდა!
 ლექსო — ნეტა მეც უეცრად ვენახე ნათიას!
 ნინო — რას ნიშნავს უეცრად?
 ლექსო — რასა და ბალლობიდან ვიცნობთ ერთმანეთს!
 ნინო — მერე რა?
 ლექსო — რა და უცებ რომ დავენახე, უფრო სხვა თვალით შემომ-
 ხედავდა.
 ნინო — ახლაც მშენიერი თვალით გიყურებს. ისე ეი, არც ნელ-
 ნელა დასანახადა ხარ ურიგო ბიჭი!
 ლექსო — ყველა ყვავს მოსწონს თავისი ბახალა!
 ნინო — აბა, ახლა ყვავეიც გავხდი!
 ლექსო — არა, დედი...
 ნინო — კარგი დავიძინოთ! (სიჩუმე. უეცრად ნინო ლოგინზე ნა-
 მოჯდება) რა დაგემართა, შვილო?
 ლექსო — (ნამძინარევი ხმით) რატომ მაღვიძებ?
 ნინო — არა, მომეჩვენა, რომ... შენ რა, ტიროდი?
 ლექსო — (მხიარული განცვიფრებით) რაო?



ნინო — რამ მომაჩვენა?

ლექსო — სიზმარმა ალბათ! არ აანთო, ძილს დამიფრთხობეს!

ნინო — ჰო... კარგი! (უკან დებს ჭრაქს)

გამოყენებული

ლექსო — (მთქნარებით) თომამ თუ იშოვა ვინმე?

ნინო — აბა, როგორ იპოვიდა?

ნინო — ვინ გიყი ჩაეკირება, შვილო, თავისი ნებით?

ლექსო — სამშობლოს თუ დასჭირდა?

ნინო — რა, ადამიანის ცოცხლად დამარხვა?

ლექსო — აბა, უმსხვერპლოდ არ შენდება ტაძარი და...

ნინო — აშენდება, ნამუსიანად თუ იშრომეს! ეგენი, სანამ საკუ-
თარ ეზოში არ დაინახავენ მტერს, სულ ასე არხეინად იქნებიან!

ლექსო — მითუმეტეს! აუცილებელი ყოფილა თავის განირვა! მე
ამას ვერ ვიზამ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გადადოს თავი?!

ნინო — რისთვის, შვილო? გამოჩერჩეტებულ თომას მოლანდება
ქქონდა ნალოთარზე. ესაა და ეს!

ლექსო — ნინათ ძალიან ჰატიერით, იხსენებდით, ახლა გამოჩერ-
ჩეტდა?

ნინო — ასაკი თავისას შერება, ლექსო!

ლექსო — ტაძარი რომ მისი ქადაგების დროს დაინგრა!

ნინო — უბრალო დამთხვევაა შვილო, უბრალო დამთხვევა და
ამით ისარგებლა თომამ!

ლექსო — შენ აღარ გიყვარს თომა?

ნინო — როგორ არ მიყვარს, მაგრამ იმ ქადაგებას ვერ ვპატიობ,
შვილო!

ლექსო — რა ექნა აბა, დაემალა ხალხისთვის?

ნინო — არა, მაგრამ მაინც... ისე კი, იმ ჩაეირულ ბიჭზე, ზურაბზე
თქმულება იყო მხოლოდ, სხვა არაფერი! ახლა კი, მართლა ლამე მშვი-
დობისა, შვილო!

ლექსო — შენმა სიზმრებმა თუ დაგვაცალეს ძილი! (პაუზა) დედი,
მამაჩემი ჩაეტანებოდა კედელში?

ნინო — (გულგახეთქილი ნამოვარდება ლოგინიდან) არასოდეს,
გესმის, არასოდეს!

ლექსო — რატომ? ხომ გასწირა თავი?

ნინო — ის ბრძოლის ველზე იყო!

ლექსო — ჴო, ბრძოლის ველზე სულ სხვაა! (ამთქნარებს) კარგი,
დაეძინოთ!

ნინო — (დამშეიდებული) ლამაზი სიზმრები გენახოს, შვილო!

ლექსო — რაც მითხარი, სულ შენ!

(დედა-შვილი იცინის. ლექსო გვერდზე გადაბრუნდება. ლოგინზე
ნამომჯდარი ნინო ცოტა ხანს აყურადებს მის სუნთქვას, შემდეგ კი
თვითონაც წვება).

სურათი მერვე

თომა მარტო ზის დუქანში, ნინი ლეინით საცხე დოქტორი უდგას, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობია და სახე ხელებში აქვს ჩარგული. დრო და დრო სვამის დახლთან მედუქნე დემნა საქმიანობს. გარედან წეიმის ხმაური შემოდის.

დემნა — (გარეცხილ ჯამს აშრალებს ხელსახოცით) როდიდან დაგრიმდა, შე კაცო, მარტო სმა? ხომ იცი, მარტო კაცი პურისჭამაშიცო...

თომა — მხოლოდ ეგა მჭირს შესაცოდი?

დემნა — ვიცი, ჩემი თომა, ვიცი რაც გიხერხავს გულს, მარა რას იზამ, შენ გამოგეცხადა თედორე და ვალიც შენ დაგადო!

თომა — რაღა მაინც დამაინც მე? რატომ შენ არა?

დემნა — აბა, ეგ მე რა ვიცი?

თომა — არ ჩაგთვალა ლირსად და იმიტომ!

დემნა — (ნაწყენი) სატრაბახოდ გქონია, შე კაცო, საქმე და რაღას ჯავრობ!

თომა — შენს დახლს მიხედე!

დემნა — ერთი ეს მითხარი, ერის ჭირისუფლად გთვლიან, ცოტა ჯაჯღანა ჭირისუფლად, მარა მაინც... მაშ, შენი ერი თუ გიყვარს, მაგ ერის ანგარიშში ხომ მეცა ვნერივარ?

თომა — ვაი, რომ წერიხარ!

დემნა — (ნიშნისმოგებით) ჰოდა, შენი ერი თუ გიყვარს, მეც უნდა გიყვარდე!

თომა — (ახედავს) მერე ვინ გითხრა, მძულხარო?

დემნა — (ნასიამოვნები) ასე, შე კაცო! (თავისთვისაც მოაქვს ჯამი).

თომა — (ჯამს შეუვსებს) ჭრა სუსტი აქვს, თორემ არაა ურიგო ლვინო!

დემნა — ჰოო, ლვინო მართლა სანაქებო მაქვს! (ჯამს მაღლა სწერს) ეს შენ გაგიმარჯოს, თომა, დამსახურებული კაცი ხარ, ვაჟეა-ცი და ავეარგიანი! რას იზამ, იმ დარდით გაგიმარჯოს, შენ რომ ატარებ! (სვამს).

თომა — მადლობელი ვარ.

დემნა — (სახელოთი გაიმშრალებს ნალვინარ ტუჩებს) ახლა, გულზე ხელის დადებით, მართლა გვერა, რომ იპოვი ასეთ მოხალისეს?

თომა — ეგ მიკლავს სწორედ გულს, რომ ერის საუკეთესო ვაჟეა-ცი უნდა ჩავეკირო ქვაში!

დემნა — მაშ, შენ გნამს ასეთის არსებობა? მე კი რაღაც ეჭევი მე-პარება!



თომა — რატომ?

დემნა — ვინ მოინდომებს საკუთარი ნებით, თანაც უანგარიშოდება

თომა — რომ შეიძლებოდეს, მე ხომ ჩავეკირებოდი? პირზე იმისა

დემნა — შენ რავა არა, ახალგაზრდა კაცი კი, მთელი სიცოცხლე

ნინ რომ აქვს... რა ვიცი?

თომა — მთელს ერში ერთიც თუ არ გამოჩენდა თავეგადადებული, აღარა ვწერივართ ცოცხლებში და ესაა!

დემნა — ჴ, მტერმა რომ გაგვნევიტოს, დასანანიც აღარ ვიქნებით! ეჭ, მაგის მეტს რას ვუსმენ და რას ვხედავ ამ დახლიდან! ჴთა დედასა, პაპაჩემის მოყოლილი ამბები რომ მახსენდება, ტირილი მინდება, რა ერი ყყოფილვართ, რა ამაყი, რა ძლიერი, რა გონიერი! ვინ დაამადლიდა მაშინ სამშობლის თავის განირვას?

თომა — (ცოტა ხანს ყურადღებით მისჩერებია მედუქნეს) ჴთო, მძიმე დღეში ვართ!

დემნა — (ხელს ჩაიქნევს) ნუ იტყვი!

თომა — ერთი ეს მითხარი, შენმა ბიჭმა რომ გამოთქვას სურვილი, რას იზამ?

დემნა — (ჯამი უშესდება ხელში) რაღა ჩემს ბიჭს მიახტი, დალოცვილო, ვინ მყავს მაგის მეტი?

თომა — რა მოხდა, ისე გკითხე!

დემნა — (ამღვრეული) კაი კითხვები კი გცოდნია, მე და ჩემმა ღმერთმა. თვითონ უშვილოს და უძიროს, რა გენალელება? (უეცარი დაეჭვებით) თომა, ვაუკაცურად მითხარი, ბიჭთან რამე ლაპარაკი ხომ არ გქონია?

თომა — რაზე?

დემნა — (გააფირებით) თავს ნუ იგდებ, კარგად იცი, რაზეც! (ფეხზე დგება) თომა, პატივს გცემ, მარა ჩემს ბიჭთან ახლო გაკარებული არ გნახო...

თომა — (სუსხიანად) დახლთან მიდექ, ჩარჩო, შენი ადგილი ნახე!

დემნა — (მომტყდარი) შენ რა გესმის მამის გულის?

თომა — (მკეახედ) დვინო მომართვი!


(კვლავ საკუთარ საფიქრალს უბრუნდება. წეიმის ხმაური მატულობს, შორს დაიქსებს).

დემნა — (სველ დოქს დგამს მაგიდაზე გაუბედავად). ჩამოიქცა ცა!

(თომა არ პასუხობს. გარედან ცხენის ჭიხვინი და რაღაც შეძახილები მოისმის).

ვინ სტუმარია ნეტა ამ თქეშში? (გარეთ გადის და მოკლე ხანში ბრუნდება) სამი ყმანებილი კაცია, შენი ნახვა უნდათ, საქმე გვაქცეს!

თომა — (ფეხზე ნამოიჭრება) ჯერ არ შემოიყვანო! სწრაფად, ცი-ვი ნყალი მოიტა!



დემნა — (თომას მოთხოვნით დაბნეული) ახლავე, ბატონო!

(მოაქვს ნავით ნყალი. თომა გვერდზე გადგება და პერანგს გულის გის)

თომა — (ნელზევით შიშველი) თავზე გადამასხი!

დემნა — ყინულივითაა, შე ეაცო!

თომა — ჰო, ჰო, ეგ მჭირდება სწორედ! ნალვინები ხომ არ შევხვდები?

დემნა — შენ გვინია, იმ საქმეზე არიან?

(დემნა თავზე ასხამს ნყალს, შემდეგ პირსახოცს უნედის).

თომა — (თმას იმშრალებს) აბა, სხვა რა უნდა იყოს? შემოიყვანე!

(დემნა გადის და სამ იარაღასხმულ ბიჭთან ერთად ბრუნდება).

დემნა — ეს არის სწორედ ბატონი თომა, ყმანეილებო!

ზურაბი — ზურაბი, ბატონო! (ხელს ართმევს თომას, დანარჩენებიც ასე იქცევიან).

გიორგი — გიორგი!

ხვიჩა — ხვიჩა, ბატონო!

თომა — ჩემი ვინაობა უკვე გცოდნიათ!

გიორგი — დიახ, სწორედ თქვენთან მოვიჩქაროდით!

ზურაბი — მთელი ღამე ვიარეთ!

დემნა — მოისევნეთ, სამოსი შეიმშრალეთ, მანამდე სუფრასაც გაგიძლით!

ხვიჩა — მაგდენი დრო არა გვაქვს, ბატონო!

დემნა — მაშ, არყოთა და თეთრი ნიგოზით შეიქციეთ თავი!

თომა — დაბრძანდით, ვიბაასოთ! ტანისამოსს ხომ არ შეიმშრობდით ჯერ, გაციცდებით მასე!

ხვიჩა — ჯერ არასოდეს გავმთბარვართ და რა გაგვაციებს, ბატონო ჩემო?

(მაგიდას შემოუსხდებიან)

გიორგი — ჩვენ შორი სოფლებიდან გეახელით, თქვენთან საზღვარზე პირველადა ვართ!

ზურაბი — საქმეზე ილაპარაკე!

ხვიჩა — ვაცალოთ ერთმანეთს.

გიორგი — ბრძენი თელორეს ხილვა თქვენ გქონდათ, თომა ბატონო?

თომა — დიახ მე გამომეცხადა!

ხვიჩა — და დავალებაც თქვენ მოგცათ, არა?


თომა — მართალი ბრძანდებით!

ზურაბი — (მოუთმენლად) მე მზადა ვარ!

თომა — (იბნევა) უკაცრავად?..

ზურაბი — მზად ვარ ჩავეკირო!

გიორგი — (გალიზიანებით) ზურაბ, ჩვენ რა, სხვა საქმეზე ვართ ნამოსული, თუ რა?



ზურაბი — (დიდსულოვნად) დიახ, ესენიც მზად არიან ჩაეკირონ!
თომა — (აღელვებული) რა უბრალოდ ამბობთ ამ სიტყვები, შეგრძელებო?

ხვიჩა — დრო არ ითმენს, მტერი ახლოა!
თომა — სამი სიცოცხლე არ არის საჭირო
 (დუქინის სილრმიდან მაღალი, მოუხეშავი ბიჭი გამოდის, დახლთან ჩამოჯდება, პურის ყუას მოტეხავს და ნელა დაინყებს ჭამას. დემნა თვალით ანიშნებს, გადიო, ბიჭი ყურადღებას არ აქცევს მას).

დემნა — გიზო, ნადი, საქმეს მიხედე!
გიზო — მოერჩი ყველა საქმეს!
დემნა — (გამნარჟბული) მაშინ დავითთან გადირბინე, მარილი გა-
 მოართვი, შვილო!

გიზო — რად მიშვებ ამ თავსხმაში?
დემნა — (ამჩნევს რომ სტუმრების ყურადღება მიიქცია) ჩემი შვი-
 ლია, გიზო!

თომა — დიდებული საქმე ჩაგიფიქრებიათ, ყმაწვილებო, მაგრამ
 სამი სიცოცხლე არ არის-მეტე საჭირო!

ზურაბი — ეგ ვიცით!
გიორგი — თქვენ თვითონ შეგვარჩიეთ.
თომა — (უმნეოდ) აბა მე როვორ?..
ხვიჩა — თქვენ ხართ ამ საქმის თავეკაცი!
თომა — და ამიტომ მე გამოგიტანოთ განაჩენი? არა, ასე არ ივარ-
 გებს! ერთმანეთში მოილაპარაკეთ! მე ნუ დამაყენებთ არჩევანის ნინშე!
ხვიჩა — ჯერ ყოველი ჩვენთაგანი გეტყვით, თუ რა პირობას ვაყე-
 ნებთ!

თომა — პირობას?
ზურაბი — მე დავიწყებ, თქვენი ნებართვით! გამიგია, ოდესლაც
 ასე ჩაეტანა ვიღაც ბიჭის ციხის კედელში და სიმაგრე ურყევი აშენდა!
თომა — არსებობს ასეთი თქმულება, სხვათა შორის იმ ბიჭსაც
 ზურაბი ერქვა სახელად!

ზურაბი — (მხიარულად) აუჟ, ზურაბი. მაშ სეხნიებიც ვყოფილ-
 ვართ?! შემდეგშიც ასე მოგვიხსნიებენ, ზურაბ პირველი და ზურაბ
 მეორე! (უეცრად ღიმილი ჩაუქრება) არა მეორე არ ივარგებს, სჯობს
 სოფლის სახელით განგვასხვაონ... მაგალითად...

გიორგი — (უემაყოფილოდ) თუ ძმა ხარ, შენთვის იოცნებე, შენს
 გარდა ორი კაცი ვართ აქ!

ზურაბი — არც თქვენ მავიწყდებით, ძმებო, ტყვილა გყნინთ!
 (თომას) როდის არის საჭირო?

თომა — რა, შვილო?
ზურაბი — აი ის... ჩაეკირვა მოელედ!
ხვიჩა — (თომას) ციხის კედელში!

თომა — ის ციხე არ არის, ტაძარია!

გიორგი — სიმაგრის მაგივრობას ხომ გასწევს?

თომა — დაახ!

ზურაბი — (სულწასულად) ჰოდა, რაღაზეა ლაპარაკი, როდის არის საჭირო-მეთქი?

თომა — (თვალებს დახრის) თუნდაც... თუნდაც ხვალ!

ზურაბი — (ჩაფიქრდება) ცოტა უნდა გადავდოთ, ჩვენებთან დამშვიდობება ხომ უნდა მოვასწროთ?

გიორგი — (კუშტად) ჩვენ აღარ გვაცლი, დალოცვილო?

ზურაბი — თქვენ თქვენი თქვით, უინ გიშლით? (თომას) ახლა კი ჩემს პირობას ჩამოვალ, ბატონო თომა!

თომა — რა პირობას?

ზურაბი — რას და... იმ ციხეს, ციხეა თუ ტაძარი ჩემი სახელი უნდა დაერქეას! ზურაბის ციხე, ეარგად უღერს. პა, რას იტყვით? (იცინის)

თომა — უღერადობის რა მოგახსენოთ...

ზურაბი — მომითმინეთ, ჯერ არ დამიმთავრებია! ერმილე ოსტატს უნდა დაევალოს ჩემი სახის გამოთლა ქვაში! თან ძალიან უნდა მგავდეს...

გიორგი — და კიდევ ასი შევოსანი მოტირალი ქალი და მგალობელთა გუნდი...

ხვიჩა — სულ თეთრებში გამოწყობილი!

ზურაბი — (მადლიერების გრძელობით) თქვენ ხუმრობთ, მე კი ძალიან მომწონხს! მშენიერი აზრია! არაფერი უჭირთ, ცოტა რომ ნაიტირონ კიდევც! პა, ბატონო თომა, ჩაუვლის მერე ჩემი ლამარიკა ზურაბ ნაყანარელის ტაძარს და გული დაეთუთქება, რა ბიჭს კუთხარი თავის დროზე უარიო (ნასიამოვნები სკამის ზურგზე გადაწვება) ახლა კი, უკაცრავად და თქვენიც თქვით, ძმებო!

თომა — მომითმინეთ...

ხვიჩა — ბატონო თომა, ჯერ მე და გიორგიც გვალაპარაკეთ!

გიორგი — იტყვი, ხვიჩა?

ხვიჩა — ჯერ შენა თქვი, ბარემ!

გიორგი — კეთილი! მე, თომა ბატონო, ჩემი სიკვდილის სანაცვლოდ მამაჩრიმის განთავისუფლებას ვთხოულობ!

თომა — ტყვედ არის?

გიორგი — არა, ბატონო, ტყვედ რომ იყოს, რა უჭირს? მესამე წელია მეფის დილეგში იტანჯვება ტყუილუბრალოდ!

თომა — როგორ მოხდა ეს, შვილო?

გიორგი — ბეზღობით! მოშურნეებმა მეფის სანინააღმდეგო შეთქმულების თავეაცად მონათლეს!

ხვიჩა — მორჩი, გიორგი?

გიორგი — არა! მე მის განთავისუფლებას და დამბეზღებლების



სამაგალითო დასჯას მოვითხოვ! ან ხელ-ფეხი გაგვიხსნან და ოჯახი
თვითონ მივხედავთ მაგ ქვენარმავლებს!

ხეირა — ახლა მე ვიტყვი!

ზურაბი — მო, ხვიჩა, შენი ჯერია!

ՀՈՐՄԱԴՈ — ՃԵՐՈ ՅՈՒ ԲՈՎՆԻՑՈՒԹԵԱ?

ზურაბი — რა გაუთავებლად იქმინები, შე კაცო?! კბილები დაგვ-
ვდება მასი!

ՀՈՐԻՇՈ — (ՆԱԺՈԿՄԱՐԴՈՒՅԹ) ԻՆ ՏՐԾԵՆԴ, ԿՄԱՆՉՈՂԸ?

ხეიჩა — (გალიზიანებით) გიორგი, შენ რომ ყველოდი შენს გასა-
ჭირს, მე გისმენდი!

პიორები — (ნუგნით) მე რას მერჩი, ხვიჩა?

ხეიჩა — ბატონი თომა, მე ამათსავით არც გვარიშვილობა მაქვს
და არც შეძლება! არ გაგიკვირდეთ და... მე ფულს ვთხოულობ! ორას
ოქროს, რომელიც ჩემს ოჯახს უზნდა გადაეცეს!

ზურაბი — შენ, მმაო, ტაძრის კი არა, შენი ოჯახის აშენება მოგდომებია!

ხვინია — (ყურადღებას არ აქცევს მის გაკილვას) თომა ბატონო, ცხრა და-ძმა მყავს და ხეიბარი მამა, ნელს ქვემოთ მთლიანად მოწყვეტილი! დედაჩემი ნაბოლარას მშობიარობას გადაყვა! ერთადერთი მარჩენალი მე ვყავარ ოჯახს, ამიტომ ნუ გამამტყუნებთ!

თომა — მესმის შენი, შვილო!

ხვინა — მე ჩემს სამშობლოს ვენირები, მაგრამ არ მინდა ათსულიანი ოჯახი რომ უპატრიონოდ დარჩეს!

გიორგი — ახლა თქვენ განვივსაჯეთ, ბატონი!

თომა — ვაი, რომ გული უნდა გატკინოთ, შეიღებო! მშვენიერი ყმანვილები ხართ, ერისთვის თავდადებული, ვაჟაცი, დაზვერილი სიტყვა-პასუხის...

ხვინა — გმადლობთ, ბატონო, მაგრამ გული რად უნდა გვატე-
ნოთ?

ზურაბი — რა არ განყობრ მაგალითად, ჩემს პირობაში?

თომა — თვით პირობის არსებობა, ზურაბ! მთავარი ის გახლავთ, რომ მსხვერპლის გაღება უანგარიფ უნდა მოხდეს!

გიორგი — (განცვილებით) მერე და სად ხედავთ აქ ანგარებას?

თომა — (რბილად) თავისთავად სიტყვა ანგარება, მართლა არ გე-
კუთვნით...

გიორგი — აბა, უდანაშაულო მამის დახსნის ცდაში ანგარებას და-
მაბრალებს კაცი? ან ხეიჩამ რა დაშვეა, როცა ოჯახი მიმშილისგან
უნდა იხსნას!

ზურაბი — მაშ, მარტო ჩემი პირობაა ანგარებიანი?

ხეიჩა — გიორგი, რატომ ეშმაკობ? მაშ მე ოჯახის გამო ვენირები? გიორგი — აბა?



ხვიჩა — სამშობლოსთვის ვნირავ თავს! შენთვი კი ვექილად დად—
გომა ნაღდად არ მითხოვია!

გიორგი — რაზე ჩეუბობ, შენ თვითონ თუ გესმის?

ზურაბი — თომა ბატონო, მე სახელს ბრძოლაშიც ვიშოვი! რაც
გოხოვეთ, მომავალში ბალლები რომ ნამოიზრდებიან, მათთვისაა სა-
ქირო!

თომა — ნამით არ იფიქროთ, რომ თქვენი მამულიშვილური განზ-
რახის სინრეფელეში შემაქვს ეჭვი! თავის განირვა ყველა შემთხვევაში
გმირობაა, ყმანვილებო, ამ მხრივ გული წყნარად გქონდეთ, მაგრამ...

ზურაბი — (რისხევით) ჩემმა თანასოფლელმა ბიჭმა ბაირალი არ
დახარა ბრძოლაში და, ეითომ დიდი ამბავიაო... გმირად მონათლეს,
მონამებრიეო სიკედილით ვინც მოკედა, წმინდანად შერაცხეს და სან-
თლებს უნთებენ. ჩემი მსხვერპლი კი რითა ვინმეზე ნაჯლები? განს-
ხვავება მითხარით!

თომა — განსხვავება ის არის, რომ ისინი არაფერს თხოულობდ-
ნენ სანაცვლოდ! შენ კი, გიორგი, მამაშენის დახსნას რომ ლამობ, ვერ
ხვდები, რა სატანჯველს შეუქმნი, როცა გაიგებს, რომ თავისუფლება
შეილის სიკედილის ფასად მოიპოვა!

გიორგი — შვილის გმირულად დალუპევის ფასად!

თომა — ეგ სულერთია! შვილი მამას არ უნდა ენირებოდეს!
მტერს არ ვუსურვებ ამას!

გიორგი — მე, ხვიჩასი არ იყოს, მამაჩემს კი არა, ჩემს სამშობლოს
ვენირები!

თომა — მესმის თქვენი, შვილებო, მესმის, მაგრამ ყველა წინაპი-
რობა ანგარებად ჩაითვლება!

ზურაბი — რა ანგარებაა ეს?

თომა — პატივმოყვარეობა ანგარებაა, ზურაბ!

ზურაბი — კარგი რა, ბატონო თომა, ხვიჩასავით ფული ხომ არ
მითხოვია?

გიორგი — გირჩევ, აქვე მოუხადო ბოდიში ხვიჩას!

ხვიჩა — გიორგი, მე მგონი გაგაფრთხილე, რომ არამეითხე ვექი-
ლები არ მტირდება!

გიორგი — (წყენით) შენ რა უულმა გესმის ყველაფერი, ძმაო?!

ზურაბი — ხვიჩა, შენს სანყენად არ მითქვამს!

ხვიჩა — არც გირჩევ ჩემს წყენინებას!

ზურაბი — არც დაგასლოების! ამას უურეთ, ხმაც რომ დაიბოხა?

გიორგი — მაშ უარს გვეუბნებით?

თომა — მერწმუნეთ, ყმანვილებო, თქვენზე არანაკლებ მტერი
გული!

ხვიჩა — აღარც ჩაკირვა მინდა, აღარც ოქროები, სანამ ჭიბამდე
არ ჩამოგიყვან მაგ ულვაშს, ჩემო გმირთაგმირო!



ზურაბი — (ხანგალზე გაიცლებს ხელს) თუ გინდა აქვე დაგწერავ.
შე გლეხსუტა.

თომა — გრცხვენოდეთ, დაგავინყდათ, რა საქმეზე ჩამოხვედით?

ხვიჩა — გიორგი, შუაში არ ჩადგე, თორემ არ დაგინდობ, იცოდე!

გიორგი — (მანამდე გაშველებას რომ ცდილობდა) მასე ხომ? მე არ დაგინდობთ არცერთს! ხომ გადამიარეთ გულზე ორივემ?! ახლა მიყურეთ!

დემა — ამ დუქანს რას ერჩით, ტყეს მიაქვს აქაურობა და იქ უკა-პუნქტო ერთმანეთს, თქვე კაი ხალხო.

თომა — (ნამოხტება და თითო სილას უთავაზებს სამთავეს) ეს არის თქვენი ერისკაცობა, თქვენ გენვით გული სამშობლოსთვის? მტერი კარზეა მომდგარი, თქვენ კი ერთმანეთის სისხლი არ გენანე-ბათ? აქედან დაიყარგეთ, თქვე ცინგლიანებო, თქვენა!

გიორგი — (ხანგალს ჩააგებს) ეს დარბაისელი კაცი რა იოლად იქ-ნევთ მუშტებს, ბატონო ჩემო? (გადის. მას თავჩაქინდრული ზურაბი და ხვიჩა გაპყვებიან).

დემა — რამე სისულელე არ ქანან გზაში!

(შეძფოთებული თომა უკან გაჰყვება მათ, მაგრამ მალე ბრუნდება).

თომა — არა, სამივემ სხვადასხვა მიმართულებით გაქუსლა! (მა-გიდაზე ყრის ვერცხლის ფულს) კიდევაც დაიზრდებიან! გესმის, დახ-ლიდარო, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია, ეგ დალესილი ბიჭები ერისკაცური გზით ივლიან! (ცხვირს დააცემინებს) აგერ დავამონმე კიდეც! (ცლის ღვინით სავსე თასს და გადის).

დემა — (აყირაცებულ სკამებს ალაგებს) არ გეკადრება მოხმარე-ბა?

გიზო — რა იყო, მთხოვე და უარი გითხარი? (ჩაიცინებს) ისე, რამ-დენი სულელი დადის ქვეყანაზე ჲა, მამი?

დემა — (ჩაფიქრდება) ეგ სულელები ათი თავით გჯობიან, შე საქონელო, შენა.

გიზო — (ნაწყენი და გაევირებული) ვითომ რატომ?

დემა — (ნელში გასნორდება) რატომ და... რატომ და...

გიზო — ჲო, ჲო, თქვი რატომ?

დემა — (ვეღარ უპასუხებს) იმიტომ.

გიზო — ასე გეთქვა, შე კაცო, ახლა ნამდვილად მივხედი!

დემა — ნუ ღლიცინობ მანდ უშნოდ!

გიზო — შენ რა, გული ხომ არ გნუდება, კედელში ჩაკირვას რომ არ ვეისრულობ?

დემა — (გულგახეთქილი) არა, შეილო, ეს სიგირე რამ გაფიქრებინა?

გიზო — რა ვიცი, ათი თავითო და...

დემა — ვერ გამიგე, გიზოს ვენაცვალე!

გიზო — აბა რით მჯობიან?



დემნა — (საბოლოოდ იბნევა) არა მე... მე ის მინდოდა მეთქვა...

გიზო — ჰო, ჰო, ამოღერლე, მამი!

დემნა — მე მინდოდა მეთქვა, ეგენი ალბათ ეხმარებიან შილებულის
დებს დალაგებაში-მეთქი!

გიზო — აუ, რამხელა ტყვეილი დააწუილე?

დემნა — რას მიბედავ, შე...

გიზო — (თვალს მოჭუტავს) ჴა, თუ გინდა დაევენევი თომას?

დემნა — კაი ახლა, შვილო, რაზე მიხეთქავ გულს? ჩამოვსხდეთ,
თითო ჭიქა დავლით, დილით დავკალი სწორედ უშობელი...

გიზო — ალარა მშია! (ამთქნარებს) მამი!

დემნა — ჰო, მამა გენაცვალოს!

გიზო — ფული მოიტა! ქალაქში მივდივარ!

დემნა — (რისხვით) ისევ იმ ბოზ დედაკაცთან?

გიზო — თუ გინდა, დაევრჩები!

დემნა — (საწყლად) არა, შვილო, ნადი! ეგ შეგრჩება, სხვა რა?

გიზო — (ნასიამოვნები) ჯიგრიანი კაცი ხარ, მამი! ახლა ფული
მოიტა, ხო იცი, რა ხარჯიანია ქალაქი?

დემნა — (სულს ამოაყოლებს) მაგაზე კარგად რა ეიცი, შენი გა-
დამკიდე! რამდენი გინდა?

გიზო — ხუთ თუმანს ვიმყოფინებ!

დემნა — (გამშრალი) ამდენი არასოდეს გითხოვია!

გიზო — რა ვი, ეგ შეგრჩებაო და!

(დემნა უხმოდ აძლევს ფულს. გიზო მიდის, კარში შეჩერდება და
ფულს გადაითვლის).

გიზო — სამი მანეთი მაინც დამაკელი, ხომ? (თავს გააქნევს ნყე-
ნის ნიშნად და გადის).

დემნა — (თვალს გააყოლებს და უეცრად გაელიმება) რა მიკვირს,
ჩემი შეილია და...

(გახალისებული დემნა დარჩენილ ლეინოს დაისხამს ჯამში და
სულმოუთემელად ცლის).

სურათი მეცხრე

ლამეა. ქალები გარს დახევევიან ნამოჩიქილ თომას და გამეტე-
ბით ურტყამენ.

თომა — (თავს არ იცავს) გაგიქდით, ქალებო!

თამარი — (ლონივრად უქნევს სახრეს) ხომ გაგაფრთხილე, ხომ
გაგაფრთხილე!

მარები — კარგი, აკმარე, თამარ, ხომ ხედავ, თავსაც არ იცავს.

თამარი — (შედგება. სხვა ქალებიც ჩერდებიან) მეტი ალარ ვნახო
აქ ახლოს გაკარებული (ქალები მიდიან).



თომა — (უყვირის მიმავალ ქალებს) ჰო, მე ქვა მიდევს საგულეჭვებულება ჯალათი ვარ მონოდებით, მთელი ცხოვრება იმას ვოცნულებული ჩემია... ტავ ვინმე ჩამაკირინა ორ კედელს შუა-მეთქი. (კვენესით დგება) მიონი ნეკნი ჩამინვრიეს მაგ ჯოჯოხეთის მაშხალებმა. რას მერწმოდი, ბრძენო თედორე! ჩემთვის გებრძანებინა, ჩაეკირო... ჩავდგებოდი იმ ეე-დელში, ამომიგლისავდნენ ამ დასადუმებელ პირს და მოისვენებდა ყველა გარშემო.

ლექსო — (შემოდის, შეშფოთებით) რა დაგემართა, ნათლი?

თომა — რა ვიცი... (ლექსოს შეხედავს და უეცრად გაეცინება) ქალებმა გამლახეს, ბიჭი.

ლექსო — (თვითონაც ეცინება) რაო?

თომა — შენ აქ საიდან გაჩინდი?

ლექსო — ხმაურზე გამოვედი. ნამო, ჩვენთან დაიძინე დღეს!

თომა — არა, შვილო, ნავალ ასე ნელ-ნელა.

ლექსო — გაგაცილებ.

თომა — ჰო, ნისქილამდე, თუ არ გეზარება.

ლექსო — ნათლი, სულ მინდოდა შენთვის მეკითხა.

თომა — ბრძანე.

ლექსო — მამაჩემი როგორ დაიღუპა?

თომა — განა შენ არ იცი?

ლექსო — როგორ არ ვიცი, მაგრამ თავიდან მინდა მოვისმინო ცოცხალი მონმისგან.

თომა — რა გითხრა, შვილო, შუაგულ ომში მეფეს ცხენი მოუკლეს და გიორგიმ თავისი დაუთმო. ეს კი თვითმეცლელობას უდრიდა, ძლიერად ვიცანით მერე ცხენებისგან გათელილი. მაპატიე, რომ ასე ნერილად გიყვები!

ლექსო — მე ვგევარ მამაჩემს?

თომა — გარეგნულად უფრო ნინოსკენ ხარ გადახრილი.

ლექსო — ხასიათით?

თომა — (ჩაფიქრდება) ხასიათით? გიორგი უფრო მკაცრი იყო, შენ უფრო რბილი ხარ, ალერსიანი.

ლექსო — (ნერინით) რახან ქალის გაზრდილი ვარ?

თომა — (გაკეირცებით შეხედავს) ასე ცუდად გესმის ჩემი?

ლექსო — მაპატიე, ნათლი!

თომა — მე შენს ვაუკაცობას არ შევხებივარ!

ლექსო — მიეხედი-მეთქი!

თომა — მეტს ნულარ გამაცილებ, დაბრუნდი! (ფერდზე იკიდებს ხელს).

ლექსო — გინდა, ნათიას ბაბუდასთან მიგიყვან, კარგ მალამოს აკეთებს, უცებ მოგირჩენს იარებს!

თომა — მაგ ბაბუდამ მიყაყუნა ყველაზე მეტად! საქმაოდ ჯანია-

ნი ქალბატონია. ილბალი, რომ თავის დროზე ცოლად არ შევირთე!

ლექსო — კარგი ერთი, თამარი შენი საცოლე იყო?

თომა — აბა, დიდი სიყვარულობია გვქონდა!

ლექსო — მერე, რად არ მოიყვანე?

თომა — რა ვიცი, შვილო, ჯერ ქალაქში წავედი, თედო კალატოზ-თან შეგირდად, მისი სული აცხონოს ღმერთია, შემდეგ ერთ დედა-კაცს გადავეციდე... მოკლედ, აღარ შედგა ეს ამბავი!

ლექსო — ალბათ მაგიტომ გირტყა განსაკუთრებული ხალისით?!

თომა — (ნეკნებს ისინჯავს) ჰო, დამზოგაო, ვერ ვიტყვი!

ლექსო — (ლიმილით) მაშ, სახიფათო ყოფილა ასეთ დასტაქართან მისვლა!

თომა — ნუ იტყვი! კარგი, დაბრუნდი ახლა!

ლექსო — იქნებ გადაიფიქრო და დარჩე, ნათლი!

თომა — არა, შვილო, არ ვარ ჩვეული სხვაგან ძილს! ჭოტივით უნდა გავატარო ღმე!

ლექსო — ნება შენია! მაშ, აქვე გეტყვი ჩემს სათქმელს!

თომა — (უკვე ნასასვლელად შეტრიალებული) რა სათქმელს?

ლექსო — ნათლი ბევრი ვიფიქრე...

თომა — თუ გრძლად პირებ, ხვალისთვის გადავდოთ, უქეიფოდა ვარ რაღაც!

ლექსო — ორი სიტყვით აგიხსნი ყველაფერს! ეს დღეები ბევრი ვიფიქრე...

თომა — რაზე?

ლექსო — ბევრი ვიფიქრე, მზად ვარ თუ არა-მეთქი!

თომა — (მიშნარევად) რისთვის?

ლექსო — თუ მათქმევინებ, გეტყვი!

თომა — (დაძაბული) ბრძანე, ბატონო!

ლექსო — მოკლედ... ალბათ არ შევარცხვენ მამაჩემის ხსოვნას და არც შენს ნათელ-მირონს... არ შემანყვეტინო! მე ჩავეტანები იმ კუ-დელში!..

თომა — (გაოგნებული) რაო?

ლექსო — ჩავეკირები-მეთქი!

თომა — (ცოტა ხანს უაზროდ მისჩერებია ბიჭს, მერე სახეზე მოისვამს ხელს). არა, არა, არა, არა, ოლონდ შენ არა!

ლექსო — რატომ?

თომა — მეკითხები?

ლექსო — ჰო, გეკითხები!

თომა — ლექსო, შვილი რომ მყავდეს, შვილი, ალბათ უფრო ითად გავიმეტებდი!

ლექსო — ეგ რა პასუხია?

თომა — (სახეს სახესთან მოუტანს) ნათლული ხარ, ბიჭო, ჩემი!





ლექსო — ეგ რამ გათქმევინა, ნათლი? სხვის ნათლულებს რომ
აგულიანებ და იმეტებ?

თომა — (სიტყვებს ეძებს) იცი, რას გეტყვი?

ლექსო — რას?

თომა — რასა და დედაშენს უბედურებად მამაშენის გმირობაც
ყოფნის!

ლექსო — (ჩაიცინებს) მაშ, საემარისისა ერთი გმირი ოჯახში, არა?

თომა — ლექსო, შვილო, მოდი, დავივინწყოთ ეს საუბარი! ვითომ
არც ყოფილა! (შეტრიიალდება ნასასელელად).

ლექსო — (საემაოდ უხეშად შეაჩერებს ხელით, თომა დაიკვენე-
სებს) უკაცრავად, გატკინე, მაგრამ როგორ თუ დავივინწყოთ? მე აქ
თამაშს კი არ გეთამაშები! შენ დაგევალა ეგ ამბავი და მიტომ ვითხა-
რი! აბა, ბოლომდე მათქმევინე! თანაც კი არ გითანხმებ, გატყობინებ
მხოლოდ! დედაჩემს კი ნუ მაცოდებ, მაგაზე ფიქრი ახლა არ მინდა!
მოკლედ, შენ რომ ბიჭს ეძებდი, ნათლი, ჩათვალე, რომ ნაპოვნი გყავს
და ამაზე მეტს მართლა ნუღარ ვილაპარაკებთ!

(გრძელი პაუზა. თომა გამნარებით აცეცებს თვალებს აქეთ-იქით,
ლექსო მშვიდად შეჰყურებს მის ასეთ ყოფას).

თომა — (მოულოდნელად, დამყოლად) კარგი, ლექსო, რახან გა-
დანყვიტე, მასე იყოს! (პაუზის შემდეგ) პირობა როგორი იქნება?

ლექსო — (გაევირვებით) რა პირობა?

თომა — შენი პირობა. რას თხოულობ სანაცვლოდ?

ლექსო — რას უნდა ვთხოულობდე?

თომა — (მუდარით) რაღაცა მოითხოვე, ბიჭო!

ლექსო — (გაელიმება) ეშმაქობა გისნავლია, ნათლი! პირობა გინ-
და დამტყუო. შენივე ქადაგებიდან ვიცი, რომ ეს უანგაროდ უნდა გა-
კეთდეს! ასე არაა?

(თომა სახეზე აიფარებს ხელებს). გახარებული უნდა იყო ნათლი,
შენ კი ცხვირ-პირი ჩამოგტირის.

(ბეჭზე აკოცებს თომას და მიდის. სახეზე ხელაფარებული მოხუ-
ცი არეული ნაბიჯით გადის სცენიდან).

სურათი მეათე

მკრთალად განათებული საფლავი. ლექსოს იქვე ფეხი მოურთ-
ხია და სამარის თავთან დასმულ თეთრად მოლაპლაპე ჯვარს
ხელით ეფურება.

ლექსო — პირველად მოვედი დამით შენთან, მამაჩემო, გამიარა
სიპნელის შიშმა. მაინც რა შავი, მრუმე ლამეა, უმთვარი და უეარსკე-
ლავო! არა, ერთი ვარსკევლავი მაინც კიაფოს მკრთალად, ნეტა ჩემი
თუა? არ ვიცი, რისთვის მოვედი შენთან. დამშვიდობებაა ეს თუ, მალე

შეხვედრის იმედი. თუ შევხვდით, შენ დამიძახე, მამა! მე ხომ ვერ გიცა-
ნობ. აი ასე ცხოვრობ შენი ცხოვრებით კაცი და ელი, როდის შემოტკიცებული
ნებს შენი ვარსკევლავი. მანაც შემომცინა და მითხრა: აი, შენი უზრუნველყოფის
კვიცი! აი, შენი დასაპყრობი მწვერვალი! აი, შენი ვარსკევლავის საათი!
ადექე და რამე ქენი! ამისთვის დაგნათოდი თვრამეტი ნელინადო!
ისიც მითხრა, აი, შენი შავოსანი თმაგაშლილი დედა, აი შენი ლამაზი
შეყვარებული! აი, შენი შენზე შენყვეტილი გვარი! ეგ არის შენი არჩე-
ვანიო! მაგრამ ისიც დაამატა, თუ ვარსკევლავს ნაყვები, კაცად ნაყვები!
თუ არა და ქონდრის კაცად იარეო! რა ვენა, მამა, სხვა რომ ჩაეტანოს
ჩემს მაგივრად, სიცოცხლეს ხომ აზრი დაეკარგება! ნეტა რას გრძნობ-
დი მაშინ, მეტეს საკუთარი ცხენი რომ დაუთმე და თავი სასიკვდილოდ
გადადევი? ჩემსავით თუ გეშინოდა ნეტა, ჩემო ვაჟეაცო მამა?

(შორიდან ნინოს განნირული ხმა მოისმის, ლექსო! ლექსო! ბიჭი
აკლდამის ქვას ამოეფარება. შემოდის ნინო თმაგაშლილი და სახეჩა-
მოხოკილი, ქმრის საფლავთან ჩაიმუხლებს, ღონე ეცლება).

ნინო — (უღონოდ თაეჩაიდებული) ჩევნი შვილი არ მოსულა აქ,
ვიორგი? აქ მოვიდოდა შენთან, ვიცი! მე კი გამირბის, რცხვენია ჩემი!
(საფლავის ჯვარს ჩამოეყრდნობა და შუბლს მიადებს) უფალო, რა
შეგცოდე, რა მძიმე ბრალი მიმიდლვის ან შე, ან ჩემს ნიხაპარს, ასე
რომ გამაუბედურე! რად მაჩუქე გმირი ქმარი, რად მაჩუქე გმირი შეი-
ლი, რად? სულ შიშში და კანკალში ვიყავი, რომ რალაც ამდაგვარს გა-
დაწყებულდა ჩემი ბიჭი, ჩემი მზეჭაბუკი!... შეგირცხვა ნათელ-მირონი,
თომა, ასე ადრე ვის დასჭირდა ცაში ლექსოს უმანკო სული!

რა შეგცოდე, ღმერთო, ასე რომ მტანჯავ? ან რა დამსახურება
მაქეს შენს ნინაშე, გმირის ცოლობითა და გმირის დედობით რომ და-
მაჯილდოვე? რად მარგუნე ამხელა პატივი, რად?

გიორგი, გიორგი! ნუთუ შენი სული არ ფორიაქობს ახლა! ყველა-
ზე ბედნიერი დედა ხარო, დღეს ვიღაცამ მითხრა. ყველაზე ბედნიერი
ვყოფილეარ თურმე, ზარ-ზეიმით რომ მივაცილებ ერთადერთ შვილს
ცოცხლად დასამართავად!

რატომ? რატომ? რა თილისმა აქეს, რა ჯადო ამ სამშობლოს, რა
არის ეს სამშობლო, გაუთავებლად მსხვერპლს რომ მოითხოვს? რა
თილისმა აქეს ასეთი მის სიყვარულს, რა?!

მაპატიეთ ეს სიტყვები, გიორგი და ლექსო! მაპატიეთ ეს მერეხე-
ლობა მე უბედურს, ვიცი, რომ უნდა გავმაგრდე, ცრემლი შეეიშრო,
თქვენ როგორც გეკადრებათ, ჩემო ვაჟუაცებო! ქანდაკებად უნდა
ვიქცე და ვიმეორო, ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომა-
რია! ერთი შვილ... არ მომასწრო ბედისნერამ შენს გაზრდას, შვილო!
და მაინც... ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარია! (გმინ-
ვა ამოხდება და საფლავზე დაემხობა, ლექსო ფრთხილად მიიპარება
სასაფლაოდან).

სურათი მეთერთმეტე



თივის ზეინზე ლექსო მიწოლილა, მელავები თავქვეშ ამოულავისა
დდეს. შემოდის ნათია. ცოტა ხანს მდუმარედ დაჟყურებს თი-
ვაზე ნამონოლილ ბიჭს.

ნათია — (სიოსავით) ლექსო!

ლექსო — (თივაზე ნამოჯდება) ნათი? აქ როგორ მიპოვე?

**ნათია — ეიცოდი, რომ მოხვილოდი ჩვენს ადგილზე! (გვერდზე მი-
უნვება) მელავზე დამადებინე თავი. (ცოტა ხანს ჩუმად წვანან) იცი,
აივანზე მეძინა, ბაბუდას ტირილმა ვამაღვიძა, მეც უცებ მიეხვდი,
რაც მოხდა... ცას აეხედე და დავინახე მკრთალი, უსიცოცხლო მზე.
სხივებშემოფცევნილი უფოთლო გვირილასავით და ის მზე უფრო
მთვარეს ჰგავდა, მკვდარი ფერი ედო. იცი, მზეს რომ აეხედავ ხოლმე,
ყოველთვის ცხვირს მაცემინებს... რას ვლაპარაკობ, მე თვითონ არ
ვიცი. თუ გინდა მაერც!**

ლექსო — ზღვის გემო აქვს შენს ტუჩებს!

(კოცნიან ერთმანეთს).

ნათია — ვტირი და იმიტომ!

ლექსო — ჰოდა, ნუ ტირი!

ნათია — შენ რომ მიდიხარ?

**ლექსო — იცი, მე მჯერა, რომ მაინც ვიქნები შენს გვერდზე, ხან-
დახან მიგრძნობ კიდეც...**

**ნათია — ეგ ცოტაა, მე მინდა გხედავდე, ხელით გეხებოდე. (ჰაუ-
ზის შემდეგ) მაშ, შენ ფიქრობ, რომ მერეც...**

**ლექსო — არ შეიძლება, ამხელა სიყვარული მოქლულ ბაჭიასავით
ნკაპ, და გაქრეს სადღაც... დარჩება, დაგუბდება. მე ხშირად მიგრძე-
ნია მამაჩიმის სუნთქვა სახეზე.**

ნათია — შენ იცი, რისთვის მოვედი?

ლექსო — რომ გამომეთხოვო, არა?

**ნათია — (თივაზე ნამოჯდება) მე მინდა შენი ცოლი გავხდე! (ტუ-
ჩებზე დააფარებს ხელს) ჩუ! რამე სისულელე არ თქვა!**

ლექსო — (დაბნეული) როგორ?

ნათია — ბუნების ჩესით, როგორც ხდება!

ლექსო — ნათი, გარიურაუზე მე აღარ ვიქნები!

**ნათია — (ჩაეხუტება) ჰო, ლექსო, მოქლე თაფლობის თვე მოგვი-
ზომა განგებამ!**

ლექსო — ხვალ...

**ნათია — ნუ იფიქრებ ახლა ამაზე! ერთი გასაოცარი ამბავი უნდა
გითხრა.**

ლექსო — რა ამბავი?

ნათია — იცი, ვინ გამომიშვა შენთან?



ლექსო — ვინ?

ნათია — ვინ და ბაბუდამ! ყველას რომ დაეძინა, კაბა ჩავიცვია და სარქმლიდან ბალში გადავძვერი. ამ დროს ხელი მტაცა ვიღაცაშ, ბაბუდა იყო! სად მიდიხარ ამ კუნაპეტ ღამეშიო. უკანასკნელი გამბედა-ობა მოვიკრიბე, სად მივდივარ და ლექსოსთან, მისი ცოლი უნდა გავ-ხდე-მეთქი! მიყურა, მიყურა ცოტა ხანს და მითხრა: მართალი ხარ, ნა-დიო!

ლექსო — ალარ მომიყვე!

ნათია — რატომ?

ლექსო — თან ბედნიერი ვარ, თან... (ხანმოკლე დუმილის შემდეგ) ლონივრად უნდა ვიყო ხვალ!

ნათია — არ მესმის.

ლექსო — რა და, საკუთარი თავის შეცოდება თუ დავიწყე, ყველა შემატყობს ამას!

ნათია — დაიგინწყე ყველაფური! გახსოვდეს მარტო ის, რომ დღეს ჩვენი საქორნილო ღამეა! (ერთმანეთს ეხვევიან) ერთი წუთით გამიშვი ხელი! (უბიდან ორ სანთელს იღებს).

ლექსო — (ლიმილით) აქ რომ არ გეპოვნე, რას იზამდი?

ნათია — სახლში მოგადგებოდი! (ერთ სანთელს უწვდის) დაანთე! ახლა კი დავიჩოქოთ! (ორივე იჩიქებს, ანთებული სანთლებით ხელში) უფალო იქსო ქრისტე! ძეო ღვთისაო! გვიხილე ცოლად და ქმრად მე და ლექსო! შეგვხედე შენი ლიმიბიერი მზერით ჩვენ, არა როგორც მრუშებს, არამედ შეყვარებულებს. ვფიცავარ შენს სხივოსან სახეს, რომ არასოდეს, არასოდეს შემეხება საალერსოდ სხვა კაცის ხელი. (ლექსოს) ახლა შენ თქვი!

ლექსო — (ჩურჩულით) რა ვთქვა?

ნათია — (ისიც ჩურჩულზე გადადის) რამე!

ლექსო — უფალო იქსო ქრისტე! ძეო ღვთისაო! შეგვინწყალენ ჩვენ შეყვარებულნი!

ნათია — (აქრობს ორივე სანთელს) ამ სანთლებს შეეინახავ! (ჩაფიქრებით) თუ ღვთის ნებით, შვილი არ დამრჩა შენგან, მონაზენად აღვიკვეცები! (ლექსო თმაზე გადაუსვამს ხელს).

ლექსო — ნათი!

ნათია — (ტუჩებზე დაადებს კვლავ ხელს) იყუჩე! შენ დაიმსახურე ეს! ახლა კი მომეხვივე!

ლექსო — რატომ კანკალებ?

ნათია — არაფერია (უეცრად ხელს მალლა წევს და ცრემლმომსკ-დარი ყვირის) პირველი მამალი, პირველი... გარიურაჟი გვიახლოედება, ლექსო! ის ჩვენ დაგვაშორებს! (ერთმანეთს ჩაეხვევიან. სიბნელე).

სურათი მეოთხმეტე



ტაძრის ამოსაშენებელი კედლის ნინ ხალხი შეკრებილა. ყველაზე განვითარებული დღას ნინო. მის გვერდით მასავით შეებში შემოსილი ნათია დგას მუხლებზე და ორივე ხელით ნინოს ფეხს შემოხვევია. ავისმომასაწავებლად რექს ზარი. ორ კალატოზს შემოყავს ლექსო. მას შავ შარვალში ჩატანებული თეთრი, ქათქათა პერანგი აცვია. სახე მშეოდი აქცს, ფიქრიანი. ხალხში გმინუა გაისმის.

ნინო — (შეკრთება) მოიყვანეს?

ნათია — ჰო, დედოვ ბატონი!

ბაბუდა — (ჩემი მოთქმით) ვაი, შვილო, რა ლამაზი ხარ!

(შავოსანი ბერი ლექსოსთან მიდის, თმაზე ხელს გადაუსვამს და ხატს უწვდის საკოცნებლად, ლექსო დაიჩოქებს, ხატს აკოცებს, პირჯვარს გადაისახავს და კვლავ ფეხზე დგება).

ნინო — რას აკეთებს ჩემი ბიჭი?

ნათია — ილოცა და ხატს ეამბორა, დედა ბატონი!

თომა — (მიდის ლექსოსთან, ცალ მუხლზე დაიჩოქებს და ხელზე კოცნის) მაპატიე!

ლექსო — (არ დაანებებს მუხლზე დგომას, ნამოაყენებს) არ გინდა, ნათლი, სჯობს პატარა სამლოცველოში შეხვიდე და ჩემთვის ილოცო!

თომა — (ყრუდ) როგორც მიბრძანებ, შვილო! (გადის)

ლექსო — (კალატოზებს მიუტრიიალდება) რაღას ველით?

კალატოზები — (არეულად) როცა შენ იტყვი... შენ გელოდებით!

ლექსო — ნულარ გავნელავთ, ცოდოა ხალხი! (საკრებულოს მიუტრიიალდება) მშვიდობით, ხალხო! (ოდნავ მოიღრექს ქედს, შემდეგ ღრმად ამოისუნთქავს და სწრაფი ნაბიჯით მივა კედელთან, ნამით თვალს შეავლებს მას, შემდეგ კედლის ნიშაში ჩადგება) მე მზად ვარ!

ნინო — (სადღაც იცქირება) რას შეება, ჩემი ვაჟი?

ნათია — კედელში ჩადგა, დედავ ბატონი!

პირველი კალატოზი — (თოყი უჭირავს ხელში) ლექსო, უკაცრავად მარა... ხელ-ფეხი უნდა შეგიკრათ!

ლექსო — რატომ?

მეორე კალატოზი — ვერ მოითმენ, აფართხალდები და გადმოანგრევ კედელს...

პირველი კალატოზი — დუღაბი ვერ მოასწრებს გაცივებას.

ლექსო — მაგას ნუ შიშობთ! არც გავტორედები!

(კალატოზები მუშაობას იწყებენ, კაცები ქუდს იხდიან, შემდეგ ჯველა იჩიქებს).

ნინო — რაო, დაიწყეს კალატოზებმა?



ნათია — დაიწყეს, დედავ ბატონო!

პირველი კალატოზი — (უეცრად ქაფჩას გააგდებს ხელისუბის მიერთებინებთ!)
ხალხო, რას მერჩით, რას მაჟეთებინებთ!

(არავინ არ პასუხობს).

ლექსო — (რბილად) განაგრძე, კალატოზო!

(ის უხმოდ უბრუნდება სამუშაო ადგილს).

ნინო — შვილო, სადამდის მოგნვდა?

ლექსო — დედა, ნადი, გთხოვ!

ნინო — მიპასუხე, შვილო!

ლექსო — დედი, ნადი, ნათია ნაიყვანე და ნადი!

(კალატოზები სწრაფად აგებენ კედელს).

ნინო — შვილო, ლექსო, სადამდის?

ლექსო — (ყვირის) ნუ მაწვალებ, ნადი! გაიყვანეთ ქალები აქე-და!

(დავითი, მარეხი, მიხა და ბაბუდა დასწოდებიან ნინოს და ნათიას).

ნინო — (ხელს მაღლა აღმართავს) ხელი არ დამაკაროთ მე... მისი დედა ვარ!

ლექსო — კალატოზო, დააჩქარე!

პირველი კალატოზი — (ატირებული, სახელოთი ცრემლს ინ-მენდს) მეტი რაღა დავაჩქარო?

ნინო — შვილო, ლექსო, სადამდის?

ლექსო — (მოულოდნელად მორჩილად) მკერდამდე, დედა!

ნინო — (თავისითვის) მკერდამდე!

თამარი — ნამოდი, გთხოვ! ნუღარ შეხედავ ამას...

ნინო — შვილო, შვილო, სადამდის!

(პასუხი აღარ ისმის, ლექსოს სახე უკვე დაფარეს ქვით კალატო-ზებმა).

ნინო — ლექსო, რატომ არ მპასუხობ, ლექსო!

(მოტრიალდება. ამოყვანილ კედელს შეხედავს, შეყვირებს და უგონოდ ეცემა ძირს. დაჩოქილი ხალხი ბერთან ერთად გალობას ინ-ყებს).

თომა — (შემოვარდება) შეწყვიტეთ, ახლავე შეწყვიტეთ! გამოან-გრიოთ კედელი!

(ეცემა კალატოზებს. მას გამოფხიზლებული ხალხი აკავებს).

შეძახილები — გაგიჟდა? გააკავეთ!.. რა შევწყვიტოთ, რა?..

თომა — (სალტესავით შემორკინულ მელავებში ფართხალებს) ხილვა მქონდა, ახალი ხილვა!

შეძახილები — ტყები!.. გაგიჟდა, ვეღარ გაუძლო! არ მიუშვათ კედლამდე!

ნათია — (ფეხზე ნამოიჭრება) თქვი, თომა ბიძია, თქვი!

თომა — (ყვირის) მსხვერპლი უკვე გალებულია! ბრძენი თედორე

გამომეცხადა ლოცვაში?

შეძახილები — კალატოზებო, განაგრძეთ, არ უსმინოთ! გამომეცხადა მიხა

დემნა

მარები — (არეულად) შეწყვიტეთ... ათქმევინეთ... ათქმევინეთ!
თამარი

დავითი

ნათია — (მიუქრება თომას, ცდილობს მის განთავისუფლებას)
თქვი, ყველაფერი თქვი, დროზე!

თომა — ბრძენმა თეორემ ბრძანა ხალხო, თუ ერს ასეთი თავგან-
ნირული, ასეთი უანგარო შეილი ჰყავს, მას უერაფერი მოერევაო!
მსხვერპლი უკვე გადებულია, ეს გამოცდა იყო ხალხო, გამოცდა!

დავითი — თომა, ამხელა რაღაც რომ გადაგვალახინე თავში, ახ-
ლა მართლა უნდა დაგვარნმუნო, თორემ გვიქირს შენი დაჯერება!

თომა — (ცოტა ხანს დაბნეული დგას, ყყუმანობს, შემდეგ სწრაფი
ნაბიჯით მიდის ხატთან, იჩიქებს და ხატს ეამბორება) ვფიცავ, რომ
ჭეშმარიტია ეს აზრი — ნათლით მოსული... ერს, რომელსაც ასეთი
გულმხურვალე და თავდადებული შეილები ჰყავს, მარადიული დღეგ-
რძელობა უნერია! რომ აშენდება დიდი ტაძარი, რომ უკან დაიხევს
მტერი, რომ გაბრნყინდება ჩენი ტანჯული სამშობლო!

ნათია — (ფოცხვერიერით გაიკაფავს გზას გაოგნებულ ხალხში და
ჯერ კიდევ ნედლ კედელს გადმოანგრევს. გულნასული ლექსო მის
მელავებს მიესვენება). ერთი ვინმე მომევაროს!

ლექსო — (თვალს ახელს) არა, ნათი, არა!

ხალხში შეძახილები — ისევ დაინგრევა ტაძარი! არ აშენდება, არ
აშენდება!

თომა — აშენდება!

თამარი — (ჩუმად) როგორ დაილიცე ტყუილზე? ხილვა ხომ არ
გქონია?

თომა — (ლიმილით) ხილვა არ მქონდა, გონების განათება კი
მქონდა, ასე რომ ტყუილი არ მითქვამს, თამარ!

შეძახილები — აშენდება კი? აშენდება?

ნათია — (ნინოს დაუსვენებს შეილს მელავებზე) აშენდება კი არა,
ავაშენდებთ!

დავითი — ავაშენდეთ?

ყველა ერთმანეთს — ავაშენდეთ?

ნინო — შვილო, შვილო!

ხალხი — ავაშენდეთ?

(მაყურებლის პასუხი უცნობია ჩეენთვის).

მირე რა, რომ სველია, სველი იასამანი?!

პიესა ორ მოქმედებად
დაუდგენელი უანრი ფენტეზის ელემენტებით

მოქმედი გმირები

გიორ ბაჩა კოსტა იცდახუთი წლისანი. აფხაზეთში დაღუპული ძმაკაცის ბინაზე იმაღლებან, რადგან...

ნიკა ანუ „პეიპისითერი“ — 20 წლის. იდუმიალებით მოსილი

თეა — 16 წლის. თბილისის ომში უცაპედმა ტყვიამ უკვე ორი წელია ხეიბრის საერთელს მიაჯაჭვა.

დევი — 45 წლის. დიდი ზეიმურობით ემზადება თავის მოსაქლავად.

გელა დაბალი — ძევლი ბიჭები. მუდმივ „ლომეკაში“ იმყოფებიან.

არიან სხვა მონანილებიც, მაგრამ ისინი უხილავნი რჩებიან.

(1) მოქმედება პირველი (2)

ოთახი სცენის ცენტრში. მაგიდა, სკამები... მაღალ, ძეველებურ ზანდუეზე გიტარას ჩასუტებულ კოსტას ტინაეს. ბაჩა იატაკზე ზის და ჯოხისა თლის. გიო ელექტროკურაზე მოთუხოვება პატარა ჯამს დატრიალებს.

შემდგომი მოვლენების დროს, მოძრავი შუქის წყალობით, კიდევ ორი, იზოლირებული ბინა გამოჩენდება. ერთში თეა ცხოვრიბს, ხეიბრის ეტლს მიჯაჭვული, თექვსმეტი წლის გოგონა, მეორეში კი ორმოცს მიტანებული, მაღალი, ნარმოსადევი კაცი ხახელად დევი.

ბაჩა — მაღალ, სულ მაღალე მოიხარშება ნამალი... მაღალ, სულ მაღალ შავ-თეთრი ულიმლამი გარემო მრავალ ხალისიან ფერებად შეიღებება... სწორი ჩხვდეტა და ვავ! მოვა ურყუვი რნმენა, რომ ნარკოტიკს მხოლოდ ფარჩიაკები ვერ ანებებენ თავს...

გიო — დიახ, მხოლოდ სუპერ ფარჩიაკები!

კოსტა — (ძილბურანში) პიტლერმა რომ ხუთი გემი ააფეთქა ნარკუშებით სავსე? გამოყოს მთავრობამ ერთი კატერი.

გიო — იყუჩეთ, ძილი არ გაიტეხოთ, კოსტა-ბატონო!

ბაჩა — შემდეგ მოვა იღუზია, რომ ყველაფერს ეშველება...



კოსტა — (თვალს ახელს და მხართეძოზე ნამონვება) ისე ყრაა ჩე-
მი მტერი, თქვე მორფინისტები!

ბაჩა — რაო, ეს რა გვაკადრეს, გიო?

გიო — (უსაზღვრო გაოცებით) მორფინისტიო?

კოსტა — А чем тебе не нравиться твое имя, бывший хуй?

გიო — გამიგია, ყოველი დილა ჩეენი გამოსწორებით დაინტენდება?

კოსტა — გამოსწორების მცდელობით!

ბაჩა — (ჯოხის თლას განაგრძობს) იძირები, იძირები რაღაც ყვი-
თელ მორევში... იძირები, თუ ნელი ვარდნაა? არა, იძირები, თითქოს
დაგაპატარავეს და საკუთარ ნაღვლის ბუშტში გტკუცეს თავით...

გიო — ანციდრიდი მომზანდე!

ბაჩა — (ჯიბიდან დახუცულ შპრიცს ილებს და გიოს აძლევს) იძი-
რები ამ მრუმე ნაღვლის მორევში და პანიკურად ჩალიჩობ, როგორმე
ფსკერს მინვდე ფეხით...

კოსტა — (ბუზღუნით) ფანჯარა მაინც გააღეთ, თავი ამხადა რას-
ტვორიტელის სუნმა!

გიო — დროზე გეთქვა, დალოცვილო!

(უხილავ ფანჯარას აღებს)

ბაჩა — გამიგია, მორევს არ უნდა შეეჭიდო, მინებდი და, ფსკერს
რომ იგრძნობ, მძლავრად დაკარი ფეხი და სხვა მხარეს ამოყვინთეო...

კოსტა — (გიტარას აწყობს) გამომელებიდა საბრალოს...

გიო — ჯერ პირი დაგებანა, ბულბულო, ნირვლიანი თვალებით
რომ აგალობდი!

კოსტა — (დგება ზმორებით) ახლა არ მითხრა, კბილებიც გაიფე-
რეო!

ბაჩა — (ჯოხს მოისვრის) არა ჩანს ფსკერი, არა ჩანს სხვა მხარე...

(კოსტა გადის. გიო ჯამს ათუხთუხებს. ბაჩა გიტარას ილებს და სი-
მებს ჩამოკრავს).

ბაჩა — გამომელებიდა საბრალოს,

და სინანულით აღვივსე...

გიო — წყალი გააცივე?

ბაჩა — მაცივარშია!

გიო — (ოთახის სილრმები მიდის და ჭიქით ხელში ბრუნდება) გა-
ვედით ფინიშის სწორზე!

ბაჩა — კარგად დააძრე?

გიო — გიომ საქმე იცის, ძმაო!

კოსტა — (ახალი შემოსული) ინდიელივით მესამე პირში ბაზრობ
საკუთარ თავზე?

გიო — ამის გული ხომ ვერ მოვიგეთ!

ბაჩა — ინდიელი ბელადი,

ნაკოლკები ყელამდი...

კოსტა — თუ ყელამდე?

ბაჩა — ყელამდი... ასე მინდა!

გიო — (ინტერესით) მერე?

ბაჩა — ინდიელი ბელადი,

ნაკოლკები ყელამდი,

განდონები ფერადი...

კოსტა — მეტს ვერ ქაჩავ?

გიო — აცალე, რა!

ბაჩა — ინდიელი ბელადი,

ნაკოლკები ყელამდი,

განდონები ფერადი...

მგონი ბუშტი გეგონა,

ბეჯითად რომ ბერავდი!

კოსტა — (გამხიარულებული გიოს შეხედავს, მერე ბაჩას მიუტ-რიალდება და თვითონაც ეცინება) აფსუს, რა ლექსებს წერდა, ახლა კი რითი გვეხმიანება!

ბაჩა — მეც მინდა თანამედროვე პოეტი ვიყო!

კოსტა — იღადავე, იღადავე...

ბაჩა — შენ რა, არ მოგწონს ჩემი პროდუქცია? აბა ასეთ სიქაჯეს ხომ არ ვიკარებ:

მაქვს მექრდს მიდებული

ქნარი, როგორც მინდა...

გიო — (დაიკვენესებს) გადაინვა, ეს ბოზის ნაშობი... გაზზე უნდა გადაეიტანო!

ბაჩა — არ ბუთქოს! გიო, არ ბუთქოს-მეთქი!

გიო — თქი, თქი, თქი... არ ბუთქოს, სულ დაშრა გამხსნელი!

ბაჩა — (ტელეფონის ყურმილს იღებს) სილანს!

კოსტა — ვის ურეკავ?

ბაჩა — ლალის!

(ძმაკაცები უხმოდ შეპყურებენ ბაჩას)

ჰო, რა იყო? ჯობია, ახლა დავურექო, სანამ ფხიზელი ხმა მაქვს...

ხმაში ვინვები ხოლმე!

კოსტა — (ცივად) აბა, შენ იცი!

ბაჩა — (პირქუშად) შენ კი ხელი დაგიბანია, არა?

გიო — ბაჩა, ოთხი თვეა, ცალ-ცალკე ხართ!

ბაჩა — შეეძვი რა არითმეტიკას!

გიო — გავიდეთ, კოსტა!

კოსტა — მგონი, ნიამ გაიღვიძა!

გიო — არა, ბეიბისითთერს ტკბილად ძინავს!

(გადიან. ბაჩა თვალს გააყოლებს მათ და მხრებს იჩეჩავს)

ბაჩა — (ტელეფონის ყურმილში გაპრანჭული ხმით) ალლოუ!

ლალის ხმა — (გაკეირვებით) გისმენთ...

ბაჩა — ბაჩა ვარ, შენი ნახევარი!

ლალის ხმა — წარსულში, წარსულში ნახევარი!

ბაჩა — დრო პირობითი მცნებაა, ლალი!

ლალის ხმა — რა გინდა, პირობითო?

ბაჩა — ამნისტია ან პირობითი სასჯელი!

ლალი — დაჭრილი როგორ არის?

ბაჩა — ვინ დაჭრილი?

ლალი — ბარიგას პირადი დაცვა, ბოლიგარდი, ტყვია რომ მიართვი ფეხში!

ბაჩა — (სიმწრით გაქნევს თავს) არ მესმის!

ლალის ხმა — მთელი ქალაქი ლაპარაკობს, როგორ გადააგდეთ ბარიგა კილო ოპიუმში...

ბაჩა — კილო ოპიუმში?

ლალი — ჰო, ერთ კილოში... ან იქნებ ეგ ლიტრებში ინონება?

ბაჩა — კიდევ რა იცი?

ლალის ხმა — ისიც ვიცი, როგორ გამოექმავა მას პირადი მცველი და როგორ დაასწარი შენ, მნერალო!

ბაჩა — რა დავასწარი?

ლალის ხმა — რა და სროლა, სროლა! მხოლოდ ფეხში გაიმეტე, ჰუმანისტო? თუმცა, სწორი ხარ, შენ რომ არა, ის გესროდა!

ბაჩა — რა სროლა, რის სროლა...

ლალის ხმა — ახლა ვიყივლებ, იცოდე...

ბაჩა — აჲ, ოლონდ ეგ არა ქნა!

ლალი — გასაგებია, რომ აფხაზეთში იომეთ... ჰო, თუმცა ოსეთშიც...

ბაჩა — (რბილად) სამაჩაბლოში!

ლალის ხმა — უკაცრავად... მოკლედ, ნურავის ამადლით ამას...

ბაჩა — (გაოგნებული) ვის დავამადლეთ, ან როდის!

ლალის ხმა — შინაგანად, გულის სიღრმეში...

ბაჩა — ლალი, შეგაგინებ იცოდე!

ლალი — ეს უკევ რაღაც ახალია, ჰო, მართლა, შენ ძმაკაცებს უთხარი, სისულელების კეთებას მოქმედა, აღარაფერი შეიცვლება!

ბაჩა — რაო?

ლალის ხმა — თვითონ იციან, რასაც ვგულისხმობ!

ბაჩა — უცხო ხარ, იცი!?

ლალის ხმა — (სევდიანად იცინის) არ უნდა გამოიყეანო ქალი ნყობიდან!

ბაჩა — თორემ ძალაუნებურად გაშიფრავ?

ლალი — კარგი, მოერჩიეთ ჯავდანს... შენ ის მითხარი, არაფერი გჭირდება?

(1)

ბაჩა — შენ მჭირდები, მგონი!

ლალის ხმა — ვინ გირეცხავთ, გიუთოვებთ...

ბაჩა — არის ერთი გოგონა, ბეიბისითერს ვეძახით.

ლალის ხმა — ჴო, ბაზარში ვნახე გიოსთან ერთად... ურძელი ნაწ-
ნავი აქვსხომ?

ბაჩა — ჴო, ერთ მშენიერ ღილას გამოვეცხადა და გვითხრა, კა-
ხას ნათესავი ვარ, დროებით შემიკედლეთ!

ლალის ხმა — თვითონ რა, სხვა ქალაქში ცხოვრობს?

ბაჩა — არ ვიცი... ამ თემას თავს არიდებს.

ლალის ხმა — მაშ კახას ბინაზე ხართ?

ბაჩა — (შემფუოთებული) ლალი, არავისთან ნამოგცდეს, ვიმალე-
ბით!

ლალი — აპა, გამოტყდი?

ბაჩა — შენ არც ეი იცი, კახამ ეს ბინა ჩვენ დაგვიტოვა... ომში ნა-
ვლის წინ ოთხივემ ღადავით ანდერძი დავწერეთ...

ლალის ხმა — მე თუ შემახვედრებთ რამეს?

ბაჩა — როგორ არა!

ლალის ხმა — რაას?

ბაჩა — ვიღლას კოტდაზურზე და კოეანის პლანტაციას ფარც-
ხანაყანებში. მოკლედ, კახამ თავისი ანდერძი მართლა დაამტკიცები-
ნა ნოტარიუსს.

ლალი — რამდენი ოთახია?

ბაჩა — სამი! ნესით უნდა გახსოვდეს... პირველად აქ ვიცელქეთ
მე და შენ! თეთრეული სახლში წილი ნაიღე გასარეცხად...

ლალის ხმა — აჲ, ეგ ბინა?

ბაჩა — ჴო, ვერაზე!

ლალის ხმა — მაშ მეზობლად ყოფილხარ!

ბაჩა — იცი, ისევ დავიწყე ლექსების წერა!

ლალის ხმა — სტყუი!

ბაჩა — მე არ ვიყო, მე!

ლალის ხმა — ბეიბისითერი რა, სექსუალური მუზაა!

ბაჩა — აბა რას ამბობ, სხვანარი გოგოა!

ლალის ხმა — girl with distance!

ბაჩა — დიახ. თანაც კახას ნათესავია!

ლალის ხმა — ან მემკვიდრეობის მაძიებელი!

ბაჩა — არა! ვუთმობდით ბინას, მავრამ უარი თქვა. მიდის მალე!

ლალის ხმა — მალე?

ბაჩა — ჴო, დიდმოგეარობას ველოდებიო... ასე გამოგვიცხადა!

ლალის ხმა — დიდი, საესე, მრგვალი მთვარე... ნამიკითხე ლექსი!
ოღონდ მაიმუნობის გარეშე!

ბაჩა — (პაუზის შემდეგ) ინდიელი ბელადი... მოკლედ, არ მირიგ-



დები?

ლალის ხმა — ბავშვიერით ხარ, რაც არ გინდა დაიჯერო, ქაჭალოტაშვილი
ხოლმე. როგორ გვინია, გაებუტტებოდი, რომ არ მიყვარდე? სხვათა
შორის, ძალიან მიყვარდა კახა და... ეგ ორი ჟეზეჩიც.

ბაჩა — რას უპირებ ამდენ სიყვარულს?

ლალის ხმა — აბა, რა გიპასუხო?

ბაჩა — არა გჯერა, რომ შევეშვები?

ლალის ხმა — არა! კარგად იყავი, ბაჩა, თუმცა ცუდად ვერც იქ-
ნები, კილო ოპირუმის პატრონი! (კიდებს ყურმილს)

გიო — (კოსტასთან ერთად შემოდის) მორჩი?

ბაჩა — (მოშლილი) დაასხი რა წყალი იმ ოხობას, ვიბრიდები
ლომეკში!

(შუქის სვეტი მარჯვნივ გადაინაცელებს... ხეიბრის ეტლში ნორჩი
თეა ზის. ხელო ჯვარი უპყრია)

თეა — უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალენ მე ცოდ-
ვილი...

კოსტა — (ზანდუქზე ჩამოჯდება) აბა რა ცოდვა, რა უნდა შეუწყა-
ლონ თექვსმეტი წლის თეას? თბილისის ომში, საკუთარ აიგანზე გა-
სულს, ბრმა ტყვია მოხვდა სადღაც ხერხემალთან.

თეა — ოთხი დღეა ფეხის თითებს ვგრძნობ... ოთხი დღეა უკვე და
მეხუთე დილა... მემინია, დავიჯერო, მგონი ოდნავ ვამოძრავებ კი-
დეც... აი, ახლაც!

(საკუთარ ფეხებს დაპყურებს შიშით და იმედით)

გიო — (ჯამის ფსკერს ათვალიერებს) აი, ნალდი კონცეპტუალიზ-
მი, შეხედე რა ფერწერა!

(მაგიდიდან ხმაურით ცვივა უურნალები)

კოსტა — დალენა ქარმა ყველაფერი!

ბაჩა — აბა ქარი? სიოც არა ჰქრის!

(სკამი ეცლება დაბლიდან და იატაკს დაასკდება)

ვინ გამომაცალა სკამი?

გიო — (გაკვირვებული) ვის უნდა გამოეცალა?

(უხმოდ შეპყურებენ ერთმანეთს)

(გაისმის ოგინსკის პოლონეზის ჰანგები. შუქი ახლა შავ ფრაკში
გამოწყობილ, ორმოციოდე ნლის, მაღალ მამაკაცს ეცემა. დევი (ასე
ჰქვია კაცს) სიგარეტს უკიდებს და ბოლთას სცემს ოთახში).

გიო — ბატონმა დევიმ გაიღვიძა!

ბაჩა — ვა, ჯერ არ დაუბრედია თავი?

დევი — მე ვიცი, რომ თვითმკელელებს ცალკე ასაფლავებენ...

კოსტა — დაუბრახუნენ, ჩაუწიოს იმ პოლონეზს!

ბაჩა — მიდი და დაუბრახუნე...

დევი — ვიცი, მაგრამ არა მნაშს, რომ ეს ღვთის გმობაა... მე მხო-



լող ჩեմի Շնչմագար պեղուրեծա զգմոծ! աս առա՞?

თէա — ჩեմո սատացանեքելոն ոյսօն! տավս եօթ ար զուդպշեմ? աշարսարանաց նամակութագ զըրճնօնձ... սոնմրեքմուց հալապ եմեծո ჩամեսմիս... օնսոն մամենցեցեն, մեցուրեցման, ձաշըցենու եմեծո...

ցոռ — հալապ շունաշրո ամեծու եդքա ամ սածլու!

յոսիւ — (օնսզ ցուդարաս ոլուս ելու) ոյնեծ ծարաձաշյեցմա?

ծահիա — ան բացոն շուներոնձու մեժուրութեպուլու ոյսուս անցելութեծո?

ցոռ — նու մյուրեցելոնձ, մըուլու ჩեմո!

(սաօգանձապ նասրոլու մշտայա տավմու եպքա ցոռս. սամուց գառց- նեպուլու մեթպշուրեծս ցրտմանցու)

յոսիւ — պայլամ ցրտմարուլագ գավրույտ?

զեզու — (մամեանշուրս ասեամս ჭոյեամ) րոցոր դաշեզգու սոյցալու? եցեսուրուցու եմալմումարջզեպուլու տու... տու սոյցալու յալու, լամա- նու յալու? ոյնեծ յեգուս զայսապուրու մոգրեյու, սացուցաու րուպա ցա- մոնցուցա! (մուսամս մամեանշուրս) լմերու, րոցոր մեթարեծա սայստարու տացու!

յուլապ մուտիանս ծացեստան սասմելս, մացրամ շուպրագ ագցուլիշ շեցելունա — շեցունիւրումեծս դա մյուրութեց ցագաուցուցս մամեանշուրս) ցոն ամոմարտիպա პանիշուրո? ցոն մայագրա...

ցոռ — ոմաս հալա պյուզլունա?

յոսիւ — մեծօն, հալապ եգեծու... շացու մեատու գլուա...

ծահիա — յարցո, տու մեա ხար... (ցունեծա) քո, մարտլա, տորմեթու յա- լունու ցպարա սագլապ!

ցոռ — հագ ցոնդա?

ծահիա — զեզում մտեղուա... համագունիւ ցանսա... սանագուրուգ մուզգու- րու!

ցոռ — (ցածենդունա) ծոլու ծոլու ցացուիներու գլուս, տու մոլուցու- աս ցամուցուսախու?

յոսիւ — (սաօգանձապ յոնուայուս ծուուլս ամրոնձս դա ჭոյաս այսեծս) դալուց, ծագունեծո՞? (ծահիա պուրչեց ուղարկուս ելուս դա ոտանուն ցար- ծուս) քա, ար ցոնդատ աելա ծրուգութեացուն հոնցուցա!

ցոռ — (յամս առցանց) ցացալ, պաշուցու համես!

յոսիւ — յաս, մեն ցացումարջուս, մամուրու! (յոնուայս ցագայրացա) աե- լա մենս նանդերմեց ծոնամու ցումացունու մենու մետուցեցու... ցըմացունու մացեցս, ծարոցուս պագելունուցս, պոլուցուս, սայստար ոչցանցեծս... եռմ յարցագ ավանցու պեղուրեծա?

զեզու — (սայգումնիշ օնսամս ելու) ցուպոնձա մոլունգունու գամեն- պո... զըերունու... քմ, ծեպերու սանտուազ, զայսապու մետուցեց, լումեցու րում ցունմրեցուն սունցուշու... պմանցուլցապուրու ենուցա. այսուցուս սա- նաըուրու դա լումեցու! մե... մե հա հիմու ոյեցեծու գամեսունմրեծա?

յոսիւ — ուու, սագ ցուուցա? ցարուշրայնիշ, տետրու օնսամնու ցա-

დაპერტიკლ ბალში! ცრიდა!.. ცალი ხელი მოგლეჭილი გქონდა, ორი რაჟოები მთლიანად დაცლილი, ბოლო ვაზნამდე! ათ ნაბიჯში ასეზაზი აფხაზი ბიჭი ინვა ნელში გადაცხრილული... იქით კიდევ თეონგო და ორი კაზაკი... დიდ, სველ იასამნის ბუჩქზე იყავი გადაწოლილი... და ის თეონგი იასამანი შენი სისხლით იყო შავად შეღებილი!

(შემოდიან ბაჩა და გიო)

ბაჩა — იგრძენი რამე?

გიო — არა, თავიდან უნდა მოვხარშო! ეტყობა, გაგვინყალდა უკ-
30!

კოსტა — მორჩით რა, უკვე გული მერევა!

ბაჩა — (შემრიგებლურად) ისე, რა მოხდება, ნარკომანობა პრეს-
ტიული და თანაც სასარგებლო რომ იყოს!

კოსტა — ჰო, ზეპური საზოგადოება ტაშს გიკრავდეს, ხოლო შენ, დიდი ბაიანით ხელში, მაღალ მორალს უკითხავდე სამარცხევინოდ
ფხიზელ ადამიანებს!

ბაჩა — თქვენი სახე მორალური,

არის სექსი ორალური,

ხოლო ტაქო ოვალური,

რხევა არაფორმალური,

გახვევა, ნორმიდან თუ

ზედმინერნით ნორმალური!

კოსტა — (დაეჭვებით) არ მითხრა, ექსპრომტიაო!

ბაჩა — (თავმდაბლად) როგორც ყველა შედევრი!

გიო — არა, თავიდან უნდა მოვხარშო!

(კოსტა ხელს ჩაიქნევს, ბაჩა კვლავ ჯოხის თლას იწყებს. გიო ნერ-
ვიულად დადის ოთახში)

ისე, თუ ატყობთ, რომ ამ გოგოს მოსვლის შემდევ აინთხლა ყვე-
ლაფერი?

ბაჩა — ნიაზე ამბობ?

გიო — ჰო, ბეიბისითერზე, როგორც შენ შეარქევი.

კოსტა — რას ერჩი, მშვენიერი გოგოა... მოვიდა, შემიკედლეთო,
გვთხოვა...

გიო — შენ გვერს, რომ კახას ნათესავია?

კოსტა — აბა, ტყუილი თქვა? მემევიდრეობა არ აინტერესებს,
გვივლის და გვაფუფუნებს!

გიო — რაღა მაშინ გამოჩინდა, კილო ოპიუმი რომ გავწიეთ კონი-
ნადით?

ბაჩა — რა შუაშია ეს?

გიო — რა და მოგზავნილი არ იყოს!

ბაჩა — ნუ სულელობ რაღაცას... ისე, იმ დღეს უცნაური ამბავი კი
მოხდა... ბაზარში ნასვლის ნინ ორი ოქროს მონეტა გადმოუვარდა!



ორი ოქროს ლარი!

გიო — ოქროს ლარი აღარ გამიგია... ასეთი არ არსებობს!

ბაჩა — არა, ენტა... ოქროს ლარი!

გიო — მოკლედ, მაგის მოსელის შემდეგ ამოძრავდნენ ნივთები...
თავზე გვენთხლევა ყველაფერი...

(უეცრად ჩუმდება. მეზობელი ოთახის კართან მაღალი, ნანავიანი გოგო დგას)

კოსტა — აი, ჩვენი ბეიბისითერიც!

ნია — დილა მშვიდობისა!.. ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

კოსტა — აბა რას ამბობ?

ნია — ახლავე გასაუზმებთ! (საათზე დაიხედაეს) უი, რა ტკბილად
მძინებია! (გადის)

ბაჩა — (თავისთვის) ნარკოტიკი, არკოტიკი, რკოტიკი...

კოსტა — (აყვება) კოტიკი, ოტიკი, ტიკი..

ბაჩა — იქი, კი...

კოსტა — ეი?

ბაჩა — ეი!

კოსტა — ი!

ბაჩა — ი და ბებიაშენისა!

(კოსტა ბალიშს ესერის, ბაჩა სიცილით იქერს და უკან უპრუნებს)

ნია — (შემოდის, სკამზე ჩამოჯდება) მე მაღალ ნავალ!

გიო — სად?

ნია — ჩემს სახლში დავპრუნდები!

გიო — სად არის ეგ შენი სახლი?

ნია — (გაკვირვებული მისი ტონით) შორს!

გიო — შორს, არა?

ნია — მე მაღალ ნავალ და აღარ გაგაღიზიანებ, გიო! სავსე მთვარეს ველოდები!

ბაჩა — რას ელოდები?

ნია — დიდმოვარობას, ასე არ უნდა ვთქვა?

კოსტა — (თავისთვის) შენც კარგა მაგრა გასხია, ჩემო დაიკო!

ნია — ოლონდ თქვენი დაბმარება დამჭირდება! ახლა ნუ მეითხავთ, ნასვლის ნინ გეტყვით!

ბაჩა — ეი, ბატონო! გაგვიძებ ბერო მინდია, მუხლი შაიბი მგლისაო!

ნია — კვირაობით რომელ საათზე იწყება საბავშვო გადაცემები?

კოსტა — ალბათ უკვე დაიწყო. ჩართე ტელევიზორი!

ნია — (დეგება) ასე ვიზამ!

გიო — (ნიას გასელის შემდეგ) რატომ უყურებს სულ საბავშვო გადაცემებს?

ბაჩა — რა ვიცი, ინფანტილურია ალბათ... ჰო. მართლა, გახსოვს,

რა მოხდა გაცნობისას?

გიო — რა?

ბაჩა — შენ რომ შეგხედა, გული წაუვიდა.

გიო — რა შეაშია ეს... უბრალოდ, ცუდად გახდა!

ბაჩა — არა! გაიხსენე. შენ გვიან შემოხვედი, ნია მოტრიალდა, შეგხედა და გული წაუვიდა!

კოსტა — (ხელებს გაასავსავებს) უი, კრაქადილიო!

ბაჩა — მანამდე არასოდეს გინახავს?

გიო — (ჩაფიქრდება) არა, არ მინახავს... დააკეირდი, არც ეი გვეუბნება, საიდან ჩამობრძანდა.

კოსტა — რატომ-ღიზიანდებით ასე?

ნია — (შემოდის ლანგრით ხელში. ლანგრაზე ყავა და ხილია) სულ მინდოდა მეყითხა, ბეიბისითერი რას ნიშნავს?

კოსტა — ბავშვების მომვლელს!

ნია — (იცინის) აბა, ბავშვებო, მიირთვით! სხვათა შორის, იქ, ჩემთან, სწავლისგან თავისუფალ დროს, საბავშვო ბალში ვმუშაობ. ასე რომ, მართლა ბეიბისითერი ვარ! სადილისთვის კარტოფილს მოეხარ-შავ! (საკუთარ ოთახში ბრუნდება)

გიო — ტელევიზორი ჩართო, ბასტი ბუბუს უსმენს.

ბაჩა — აკვირდები, შენ რომ გელაპარაკება, თვალს გარიდებს.

გიო — ეითომ რატომ?

ბაჩა — ცდილობს სახეზე არ შეგხედოს!

კოსტა — (ისევ გაასავსავებს ხელებს) უი, კრაქადილიო!

გიო — ფაიზალი დურდომია!

კოსტა — მანანამ დარეეა!

ბაჩა — გვიან ლამით, მორიგე იყო!

კოსტა — რაო?

ბაჩა — დაზარალებული თავს კარგად გრძნობსო... პოლიცია ისევ მოსულა!

გიო — მერე?

ბაჩა — გაჯიქებულა ბოდიგარდი, არ ვიცი, ვინ მესროლაო! ერთი ჩააფარეს თავში და ნავიდნენ. მოკლედ, დაცვა არ ბოზობს!

გიო — ხომ არ იტკცის, ნამლის ბარიგას ვიცავდიო!

კოსტა — მისი ილბალი, დაჭრილი როა, თორემ რომ დაინყებდა პოლიცია მაგის კენწლას, ძირს არ დაუშვებდა, ჰაერშივე დაუქვეავდა ყველაფერს!

გიო — კიდევ რაო, მანანამ?

ბაჩა — ბოდიგარდი სულ დოლარებით იხდისო!

კოსტა — მე ეი მეგონა, ყველაფერი ჩვენ წამოვიდეთ!

გიო — ცხოვრებაში არ გვიქურდია... ეს უბრალოდ ექსპროპრია-ცია იყო!

კოსტა — რა ლამაზად გამოჩნდა ის ტყავის ლაპატნიკი... მსუქანი, ელეგანტური ლაპატნიკი... ლაპატნიკი რვა ათასი დოლარით გატარებული ინილი!

გიო — აზრზე მოდი, ჩვენ რა ძეირფასი დასაყენებლები ვართ! ია-რაღი, დოლარები, კილო თმიუმი... ოქროს ლარებიც გვეონია!

ბაჩა — სადღაა კილო, დაგავინყდა, ციხეზე რამდენი შევგზავნეთ!

კოსტა — და რამდენი გაიხმარეთ?

გიო — რა ხდება? ვის ელაპარაკება?

ბაჩა — ნია?

გიო — ჰო, ვიღაცას ელაპარაკება!

კოსტა — მეც შევამჩნიე, ხშირად მესმის მისი ხმა... საკუთარ თავ-თან ბაზრობს?

გიო — აბა გეგულება იქ ვინმე? ტელეფონიც არ დგას!

კოსტა — დაუსტვინა? (ნაბიჯს დგამს ნიას ოთახის მიმართულე-ბით, მაგრამ უეცრად მოწყვეტით ეცემა ძირს)

გიო — რა დაგემართა?

(ეხმარება ადგომაში. ბაჩა პირდალებული უყურებს ძმაკაცებს. კოსტა ზანდუქზე ჩამოვდება!)

ბაჩა — იტკინე რამე?

კოსტა — ვიღაცამ ფეხი დამიდო! ნაღდად დამიდო, არ მომჩენე-ბია და არ შემეკამათოთ!

ბაჩა — კარგი, დაწყნარდი!

გიო — არა, უნდა ვეითხო იმ ნიას, რა ხდება ჩვენს თავს?

ბაჩა — ვიჟად ვინდა ჩაგთვალოს?

გიო — (სასოწარევეთილებით) აბა, რა ვქნა, უკვე დავიზმენდი!

დევი — (საკუთარ ოთახში, მაგიდის ფეხზე თოკით ამაგრებს ლუ-ლაგადაჭრილ თოფს) მეგონა უფრო ამალებული იქნებოდა ეს ბო-ლო ეტაპი. მაგრამ ფიქ, არაფერი ხდება, არაფერსა ვგრძნობ! (ჩარ-ჩოში ჩასმულ ფოტოსურათს ათვალიერებს) რა ახალგაზრდები ხართ შენ და მამა ამ სურათში. კოჯორშია გადაღებული. ხშირად მახსენდე-ბა ის ღამე... მე, სულ პატარა, შუაში გენექით, მამა ტერენტი გრანე-ლის ლექსებს კითხულობდა... მერე მერცხლის ბუდე შევამჩნიეთ აივ-ნის კუთხეში... ბუდე პატარა იყო და ბარტყები ნამდაუნუმ ძირს ცვი-ოდნენ... მამა კი სკამზე შემდგარი ბუდეში აპრუნებდა მათ... თან ბუზ-ლუნებდა: ეს დედა მერცხალი ძროხასავით რომ განოლილა, რატომ არ მიხედავს თავის ბარტყებსო... დედა მერცხალი — ძროხასავით... ამაზე სიცილი აგვიტყდა... ვიცინდით და უეცრად სუნთქვა შემეერა, შემეშინდა ამ უკიდურეს ბედნიერების!

გიო — არა, თავიდან უნდა მოვხარშო, უკვე ქსუტუნი დამენყო!

ბაჩა — (შუბლზე შემოიკრავს ხელს) რამ გამომაშტერა? დამისხო, კოსტა, კონიაკი!

გიო — ციროზეს ეთამაშები?

ბაჩა — ჩემი ქორნილის დღეა დღეს!

(კოსტა უშმიდ შეუვსებს ჭიქას)

უკაცრავად, ცოტა ხანს გადით, რა!

კოსტა — სულ ნავალთ, ბატონი!

(ბიჭები გადიან. ბაჩა ტელეფონის ყურმილს იღებს)

ბაჩა — ლალი...

ლალის ხმა — გაგახსენდა?

ბაჩა — სხვათა შორის, გაცნობის დღეცაა!

ლალის ხმა — ჰო, ასე დავამოხვიერ, მაშინ! ბაჩა, რაღაც უნდა გითხრა!

ბაჩა — კარგს არაფერს ველი შენგან, ასე რომ, ახლა წუ მეტყვი!

ლალის ხმა — (ყოყმანით) კეთილი!

ბაჩა — ჰო, ნაწიმარი ბალი და ვეებერთელა ბუჩქზე გადავარდნილი, მელავმოგლეჯილი კახა... და სისხლის ნინჯლები თეთრ იასამანზე...

ლალის ხმა — შენ რა, ტირი?

ბაჩა — (თითებს მოისცამს სახეზე) მგონი, არა!

ლალის ხმა — მართლა დანერე ლექსი?

ბაჩა — აპა...

ლალის ხმა — მოდი, მაინც გეტყვი...

ბაჩა — არ მითხრა, ცუდად ვარ!

ლალის ხმა — წუნუნი არ იცოდი ნინათ!

ბაჩა — თავი მინდა შეგაცოდო!

ლალის ხმა — შენ მაინც გვინია, რომ რაღაც პედაგოგიურ ექსპერიმენტს ვატარებ? არა, ბაჩა, არა! შენს გვერდით ვინექი და მეგონა სხვა კაცთან გლალატობდი, ისე გამიგუცხოვდი... მანამდე, არ უარვყოფ, უბედინერესი ქალი ვიყავი!

ბაჩა — საპიორი ხომ არა ვარ, პირველივე შეცდომაზე ამაფერთქო!

ლალის ხმა — ჩემზე რომ დაგეძინა, გახსოვს?

ბაჩა — რა თქვი?

ლალის ხმა — ჩემზე რომ დაგეძინა, ჩემზე რომ ინექი, მაშინ დაგეძინა!!!

ბაჩა — დაწყნარდი!

ლალის ხმა — კარგი, ოღონდ წურც შენ მომილოცავ ქორნილის დღეს. კარზე რეკავენ, ყურმილი უნდა დავკიდო!

(კიდებს ყურმილს. ბაჩა ცოტა ხანს უძრავად დგას, შემდეგ არეული ნაბიჯით მიდის მაგიდასთან და კონიაკის დიდ ფუფურს გადაკრავს. კელავ ჯოხს იღებს და მექანიკურად განაგრძობს მის გათლას)

ბაჩა — (თავისთვის) მავანი და შავანი.

იტყვის არის თავანი...

(უეცრად აიქნევს დანას და ხელის მტევანში აპირებს ჩაირტყას,
მაგრამ ზურგიდან ნამოპარული გიო დანიან ხელს გაუქვებებს) კარგი რაოდ
გიო — (დანას წაართმევს) არ გეკადრება ასეთი გემზები, ძამიკენ! რაოდ
ბაჩა — რაზე მითხრა ლალიმ, შენი ძმაკაცები სისულელებს შეეძ-
ვანო!

გიო — (ამოიოხრებს) მისი ერთი თაყვანისმცემელი გაფიცანით!
ბაჩა — მერე?

კოსტა — ცოტა ნავქოთეთ ის და მისი ძმაკაცი, მაგრამ შემდგომ
რაღაც-რაღაცები გაირკვა!

ბაჩა — რა გაირკვა?

კოსტა — (უმნეოდ) შენ უთხარი, გიო!

გიო — ბაჩა, ქალი, რომელიც ოთხი თვე უშენოდ გაძლებს...

ბაჩა — რა გაირკვა-მეტქი?

გიო — რა და ლალის საქმრო ყოფილა... გშორდება!

(ბაჩა დაიკვნეს და თავს ხელებში ჩარგავს)

კოსტა — კარგი რა, ბაჩა, ასეთები გადაგვილახავს?

გიო — (ჩუმად კოსტას) აცალე, იტიროს!

ბაჩა — (თავს მაღლა წევს) ჩემი ბრალია!

გიო — (რბილად) ალბათ! მაგრამ გაეკარი ასეთ სიყვარულს!

კოსტა — რა თავანზე ლაპარაკობდი, ბაჩა?

გიო — მთავრობა თხოულობს იარაღის ჩაბარებას!

კოსტა — რატომ, ჩევნ უფრო გვჭირდებაო?!

გიო — ნარსულისთვის მადლობა, მაგრამ იარაღი... მოქლედ, კალ-
ვერა რომ ეუბნება კრისს, იარაღი შეიხსენით და მაგიდაზე დააწყვე-
თო!

კოსტა — კაცო, შენ არ გეეკითხები, თავანზე გალექსე რა, ბაჩიკ!

ბაჩა — (თავს ჩაქინდრავს) ამისმა ფსიქოთერაპიაშ ხომ შამცა!

კოსტა — გეხვენები, რა!

ბაჩა — მავანი და მავანი

იტყვის არის თავანი,

ჩასაბარებელია, ა

რეინის ცხელი სავნი...

ჩასაბარებელია!

ჩვენგან ამას ელიან,

მერე რა, რომ სველია,

სველი იასამანი?!

კოსტა — მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი!

ბაჩა — (ანუვეტინებს) დაასხი!

გიო — გეყო, ეგ არ შველის!

ბაჩა — აბა, ის შველის?

გიო — (მშვიდად) არც ის!



ბაჩა — რა შველის, აბა?!

გიო — არ ვიცი. მაგრამ განა აუცილებელია... (ჩუმდება) გიო
ბაჩა — რა? დაამთავრე!

გიო — განა აუცილებელია შეიმსუბუქო ტკივილი?

ბაჩა — (თავს ჩაქინდრავს) ჰო, მართალი ხარ! (პაუზის შემდეგ)
მაგრამ მაინც დაასხი!

გიო — მეც დავლევ!

ბაჩა — კახას და ყველას, ვინც წაეიძა...

კოსტა — მცონი იქით უკეთესი კამპანია შეიკრიბა, აი!

გიო — მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი?

(სვამები)

(ბაჩა კელავ მკლავებში ჩარგავს თავს და მაგიდაზე გადაწვება)

ბაჩა — (თავაუნერლად) დამანებეთ რა თავი! რა უბედურებაა ეს?

კოსტა — (გაკვირვებული) ჩვენ გვეუბნები?

ბაჩა — (თავს აწევს მკლავებიდან) ჰო, თქვენ... რას მეოცნით და
მეფერებით?

გიო — (ფრთხილად) შენ რა, ბოდავ?

კოსტა — ვინ გაყოცა, ვინ მოგეფერა?

ბაჩა — (გაკვირვებით) ახლა თმაზე არ მისვამდით ხელს და არ
მკოცნიდით?

კოსტა — ერთპაა!

ბაჩა — (გაუბედავად) მომეჩვენა?

კოსტა — ნუ მკოცნი, ნუ მკოცნი,

მეტეინა ტუჩები,

დამეხა ახალი კაბა...

ბაჩა — ძმებო, ეს უკე რაღაც...

გიო — (ხანმოკლე ფიქრის შემდეგ) არა, თავიდან უნდა მოვხარშო!

(ბაჩა და კოსტა გაკვირვებით შეშყურებენ გიოს)

კოსტა — (იფეთქებს) გინდა მოხარშე და გინდა დააბასტურმე ეგ
ოხერი! ვერ ხედავ, რომ ვერეებით უკვე?

გიო — ჰოდა, მოვხარშა!

ბაჩა — აკი არ უნდა შეიმსუბუქოო!

გიო — (ხელს უქნევს)

სინათლემ უნდა გვაცალოს!

(ქრება სინათლე)

ოჲ, ჩემი თარსი ენა რა ვთქვი! გაზიც გათავდა!

ბაჩა — მშრალ სპირტზე ვიჩალიჩოთ!

გიო — (ბუზლუნით) სხვა რა გზაა?

(კოსტა სანთლებს ანთებს. გიო ნამალს ამზადებს. ბაჩა კელავ ჯო-
ხის თლას იწყებს)

კოსტა — ალარ ჩათავდა ეგ ჯოხი? (უეცრად სიცილი აუტყდება)

ბაჩა, შეხედე გიოს!

ბაჩა — რა იყო?

კოსტა — ფაიზალი ალქიმიკოსია... შეა საუკუნეებში ინჯიშიციის კოცონი არ აცდებოდა! შეგვიხრავავდნენ ძმაკაცს ულაპარაკოდ!

ბაჩა — (ერთვება კოსტას ფანტაზიებში) მაგრამ გიო კოცონზე ამაყად ავიდოდა და შესძახებდა — ის მაინც თუხთუხებს!

გიო — არა, სხვა რამეს შევძახებდი!

კოსტა — რას?

გიო — ლეგალიზაცია, მეტადონიზაცია და ასე შემდეგ!

კოსტა — მართლა შეველის მეტადონი?

ბაჩა — ერთადერთი ეგ შეველის!

კოსტა — რაც ნარკოტიზე ფული გადის ქვეყნიდან, იმის ნაცვლად მეტადონი რომ შემოეტანა მთავრობას?

გიო — მაშინ ზოგი ბიძია ფულს ვეღარ იშოვიდა!

ბაჩა — ჩემო კოსტა, არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ ბედ-ნიერებას...

გიო — სხვის უბედურებაზე აგებენ!

კოსტა — რა ცინცხალი აზრია, უნდა ჩავიწერო! ისე მართლა დაა-ნებებდნენ თავს მეტადონით?

ბაჩა — ბევრი დაანებებდა, ბევრი თვით მეტადონზე შეჯდებოდა!

კოსტა — (ჩაფიქრდება) ისე, გიო მათაც შესვამდა ნამალზე!

კოსტა — ვის?

ბაჩა — ინჯიშიციის მამებს!

გიო — რომელი იდეური ნარკომანი მე მნახე? სტაუიც კი არა მაქვს!

ბაჩა — ჰო, პრინციპიში ორი ნელია გასული!

კოსტა — მაინც არ მესმის, რა მოხდა?! მანამდე რამდენს ამტერიე ცხვირ-პირი, ნამალს არ გაეკაროთო!

ბაჩა — მიტომაცაა სატანური! (პირჯვარს ინერს) შორს ჩვენგან!

კოსტა — რალა შორს, ჩახუტებულები ყოფილხართ უნმინდურ-თან! (უცრად პირს დაალებს, დაილმულებს და გიუივით იწყებს სირ-ბილს ოთახში, თან კონვულსიურ მოძრაობებს აკეთებს ხელებით) მიშველეთ! მიშველეთ!

ბაჩა — რა დაგემართა?

(გიო და ბაჩა შერყეულ კოსტას ეცემიან და აკავებენ)

კოსტა — იქ, ზურგთან... ზურგში... ზურგში...

(გიო პერანგს ამოუჩეჩავს კოსტას და იატაკზე პატარა კარტოფი-ლი დავარდება)

ბაჩა — ცხელი კარტოფილი!

კოსტა — (კვერცის) ნყალი! (სულმოუთქმელად ცლის გიოს მიერ მიწოდებულ ჭიქას)

ბაჩა — (ხელში იღებს კარტოფილს) აუ, რა ცხელია?! ახლახნი მო-
ხარშულს გავს!

გონ — ჰო, ნია ხარშავს სამზარეულოში!

კოსტა — (გაოგნებული უყურებს კარტოფილს) ვინ ჩამიგდო?

ბაჩა — არ ვიცი!

კოსტა — (ყვირის) ვინ ჩამიგდო კისერში?

(შემორბის ნია)

ნია — (შეშუოთებით) — რა მოხდა?

ბაჩა — (დაბნეული) ვიღაცამ კარტოფილი ჩაუგდო კოსტას...
ზურგიდან მიეპარა!

გონ — (ეჭვით უყურებს მას) რატომ გეღმება, ნია?

ნია — განა გავიღომე?

გონ — შენ რაღაც იცი, დარწმუნებული ვარ... გვითხარი, რა ხდე-
ბა ჩვენს თავს?

ნია — გონ, აღარ მოგბეზრდა?

(გადის)

გონ — (გასძახებს) სავსე მთვარეს ელოდები, არა?!

ბაჩა — როგორ შევაპუნტულოთ ეს მთვარე, როდემდე ველო-
დოთ?

გონ — მე თქვენ გებენებით, ნიამ რაღაც იცის...

კოსტა — რას ნიშნავს, იცის? რა უნდა იცოდეს? ვინ დამიდო ფე-
ხი, ვინ ჩამიგდო კარტოფილი...

ბაჩა — (დანას ამოაცლის გიოს ჯიბიდან და კვლავ ჯოხს მოიმარ-
ჯვებს) ისევ ატორტმანდა ყვითელი ბლანტი სითხე, ახლა უკვე შავ-
ფერშერეული და უხილავმა ხელმა მძლავრი მონასმით შენი ქალის
თვალები დახატა... როდის გაქრა ამ თვალებიდან ტკბილად დამცინა-
ვი სითბო?

გონ — არა, უნდა გვითხრას!

ბაჩა — (თავზე მოისვამს ხელს) ვინ მასხამს თავზე.. (ეჭვით დასუ-
ნავს ხელისგულს) ჭრიდან ჩამოდის წყალი?

კოსტა — (სანთელს მიანათებს) არა!

ბაჩა — აბა, რა დამესხა?

გონ — ბარბარებმა თუ დაგაფსეს... ეს ერთი ახსნა მაქვს!

ნიას ხმა — გაიტყიპებით იცოდეთ?

ბაჩა — ვის ელაპარაკება?

ნია — აღარ გაბედოთ, თორემ გული მეტეინება...

გონ — (იღრიალებს) ნია!

(შემორბის ნია. ხელში პირსახოცი უჭირავს)

ნია — მოხდა კიდევ რამე?

გონ — შენზე უკეთ ვინ იცის?

ნია — გონ, შენ უკვე გადაჭარბებული ნარმოდგენა შეგექმნა ჩემს



შესაძლებლობებზე!

გიო — (დაიკვეთებს) ლაპარაკითაც რაღაც სხვანირად ლაპტენიული გვიძებს!

ბაჩა — (საწყლად) ნია, არ გეწყინოს, მაგრამ რაიმე ახსნა თუ აქვა ამას ყეველაფერს...

ნია — (რბილად) ბაჩა, ჯერ ადრეა, მაინც არ დამიჯერებთ!

კოსტა — (აღელვებით) დაგიჯერებთ, დაგიჯერებთ!

ნია — (ჩაფიქრდება) არაფრის შეგეძინდეთ! ბავშვები გეთამაშე-ბიან!

ბაჩა — აბა ბავშვები?

ნია — (სასოწარევეთით) ცოტაც მაცალეთ, გემუდარებით!

(სახეზე იფარებს ხელებს და სკამზე ეშვება. სამი ბიჭი უხმოდ შეჰყურებს მას)

გიო — (მიდის და თმაზე უსვამს ხელს) კარგი, როცა ჩათვლი საჭიროდ, მაშინ გვითხარი!

ნია — (ცრემლიანი ხმით), თავის აუნევლად) შენა ხარ, გიო?

გიო — ჰო, მე ვარ!

ნია — გმადლობთ!

(ზარის ხმა კარზე. გიო ტუჩებთან მიიტანს თითს და ნიას ანიშნებს რაღაცას ხელით)

ნია — ვინ არის?

თეას ხმა — თეა ვარ, ნია!

გიო — (შვებით ამოისუნთქავს და კარს აღებს) მობრძანდი, პატარა ქალბატონი!

(ოთახში თეა შემოგორდება თავისი ხეიბრის ეტლით. კოსტა წამოდგება)

თეა — სალამი ყველას და სათითაოდ!

(მოულოდნელად შუქი ინთება)

კოსტა — სინათლე მოგვიტანა თეამ!

თეა — მიიღეთ ჟუმანიტარული დახმარება! (მაგიდაზე ანყობს პურსა და ფუთას) ეს ძეხვია! ჩემმა კლასელებმა მომიტანეს! ჰო, მართლა, თქვენმა გამხსნელმა, „რასტვორიტელს“ რომ ეძახით...

გიო — დიდი რასტროისტელი გამოიწია მეზობლებში?


თეა — დაიხრჩი ხალხი ლამის... მეშინა, რომელიმემ არ გიჩივლოთ! ძლივს გავაკავე ერთი ბრაზიანი ძია! ნია, რატომ არ მკოცნი?

(გოგონები ერთმანეთს კოცნიან)

ბაჩა — გერმანიაში ნასვლას როდის აპირებ?

თეა — (ხელს ჩაიქნევს) შენ გვინია, გეოგრაფია ცვლის რამეს? ერთ ბიჭს, ჩემსავით გაკავებულს, იქ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ...

კოსტა — (გაცხარებული) ვინ განვდის ამ იდიოტურ ინფორმაციებს?! ზოგს შველიან, ზოგს ვერა... შენ გიშველიან!



თეა — (ლიმილით) რახან შენ ასე გინდა, კოსტა?

კოსტა — სხვათა შორის, გერმანიასთან დაკავშირდით, ჩვენიცაა გვაქვს შენთვის საჩუქარი! (ჯიბიდან მსუქან კონვერტის იღებს და მუხლებზე დაუგდებს გოგონას) მერე გახსენი!

თეა — დედამ მასნავლა, საჩუქარი ადგილზევე უნდა გახსნაო!

(გაოცებული იღებს დოლარების დასტას კონვერტიდან) ლმერთო ჩემო, რამდენია!

კოსტა — სამი ათასი დოლარი!

თეა — (სანყლად) ნია, რა ვქნა?

ნია — უნდა აიღო!

თეა — ბიჭებო, ეს ძალიან ბევრია! დიდი მაღლობა! ეს სამი დღეა, თითები ავამძრავე! გაოგნდა ჩემი ექიმი, არ ველოდიო! ნინათ ეს სა-ერთოდ ვერ ვგრძნობდი, მიუხედავად ისტერიული ვარჯიშისა!

კოსტა — (აღელვებით) შენი თვალით დაინახე? ! ხომ არ მოგეჩვენა?!?

თეა — არა, ხომ გითხარი, ექიმმაც ნახა-მეთქი!

კოსტა — ექიმმაც? (ხმა ჩაუწყდება. უხერხულობისაგან გამშრალი ბიჭები ერთმანეთს შეხედავენ. ნია კოსტას მიეჭრება)

ნია — (თმაზე ხელს გადაუსვამს) კოსტა, ნამოდი! (გაყავს მეზობელ ოთახში)

თეა — (ლამისა თვითონაც ატირდეს) რა მოხდა, ბიჭებო?

გიო — (მხრებს იჩეჩავს) გაეხარდა!

ბაჩა — ძალიან ემოციურია!

თეა — (ჩაფიქრდება) გასაგებია! (პაუზის შემდეგ) ახლა კი, მომის-მინეთ, რალაც უნდა გიამბოთ. თან ნინასნარ გთხოვთ პატიებას.

გიო — ბრძანეთ, პატარა ქალბატონი!

თეა — ორი წლის ნინ, პირველად რომ მოვხვდი ამ ნარმტაც ტრანსპორტში... (ხელს დაკრავს ეტლის სახელურს) საშინელი ტკივილები მანუხებდა და ნარკოტიკით მიყუჩიდნენ! სულ უფრო მეზრდებოდა დოზა! მერე, თანდათან გავეშმადი, მტკიოდა თუ არა, მაინც ვიმიზეზებდი ტკივილს, მორფი რომ მიმეღო! ბოლოს, ერთ მშევნიერ დილას, ყველაფერს მივხვდი... და გამაყუჩებელზე ვთქვი უარი! ახლა თქვენ რომ გიყურებთ...

გიო — (რბილად) ნუ ბოდიშობ თეა, ბოლომდე მოვუგრიხავთ ამ ოხრობას კისერს!

ბაჩა — დედას ვუტირებთ! აბა ფარჩაკებად ხომ არ ვივლით?!

თეა — თქვენ არ იცით თქვენი თავის ფასი, თქვენი შემხედვარე ბევრი პატარ ბიჭი შესკუპდა ნემსზე...

გიო — აჲ, მაგ ცოდვას ნუ დაგვადებ!

თეა — (სევდიანად) კარგი, ნავგორიალდი, აბა, ბოდიშს არ გიხ-დით, სინათლე ხომ მოგართვით?!

ბაჩა — სინათლეც, პურიც...

თეა — კოსტას... კოსტას მაღლობა გადაეცით ჩემვან!

(გადის. ბიჭები კარამდე მიაცილებენ მას. შემოდიან ნია და კოსტა)

კოსტა — (დარცხვენილი) რას მიყურებთ?

გიო — რას უყურებთ, მტირალა ბიჭი არ გინახავთ?

ნია — (უკმაყოფილოდ გააქნევს თავს გიოს სიტყვებზე) ყმანეი-
ლებო, სადილს როდის მიირთმევთ?

გიო — ჰო, ცხელი, ქაფქაფა კარტოფილი გაასწორებდა!

ნია — დამიძახეთ, როცა გადაწყვეტით! (გადის)

კოსტა — (ზანდუქზე ჩამოჯდება, კონიაკს დაისხამს და გადა-
რავს) ბარემ ლუპით შემისავლეთ!

გიო — ჰო, თვალი ვერ მოგწყვიტეთ ვერაფრით!

კოსტა — მიყვარს, მიყვარს, მიყვარს, გასაგებია?!

ბაჩა — (ფრთხილად) კოსტა!

კოსტა — (დალილი) რაც არ უნდა თქვა, გულს მატექნ, იცოდე!
(ტელეფონის ზარი. ბიჭები ერთმანეთს გადახედავენ)

გიო — ზაურა იქნება... სხვამ არავინ იცის ეს ნომერი! (ყურმილს
იღებს) ჰო, ზაურ... იშვიერ წყალი? რაო, არ მესმის!.. რა თქვი? დაგაყე-
ნეს? ვინ დაგაყენა? მერე რა, რომ ქურდია? კარგი, გადაეცი ყურმი-
ლი. შენ ეს ცალკე მოგელაპარაკები, შე ბოზის ტრიკო! რაო, ვინ არა
ხარ? ზოია? ზოია კოსმოდემიანსეაია არა ხარ?! თუ, შე მართლა ზოია!
განამეს? (ცოტა ხანს უსმენს) მიეცი ყურმილი... გამარჯობა. ეს. შო-
რიდან გიცნობ... ახლოს ხარ? კარგი, ამოდი! (კიდებს ყურმილს) ქურ-
დებთან ჩაგვიშვა!

ბაჩა — ვიძახდი, არ ვენდობი-მეთქი!

გიო — აბა სხვას ესის არბენინებდი ან პიღრიდზე?

კოსტა — ანამეს?

გიო — თოკი ჩააბეს და მტკვარში აყეინთავეს, სანამ არ გატყდა!

ბაჩა — ვინ ქურდია?

გიო — გელა ჰქეა!

კოსტა — სერიოზული ვინმეა?

გიო — (მხრებს იჩეჩავს) მასეთი განაბი ბალი ათი შეაურია, მაგრამ
მაინც შარია!

(უჯრას აღებს და პისტოლეტებს ურიგებს მეგობრებს)

კოსტა — (ბალიშის ქვეშ ამოდებს იარაღს) ქურდთან იარაღით,
ბატონებო? ეს ხომ ბოზურია?

ბაჩა — გადავიტანთ მაგ სირცხვილს როგორმე! გადატენე, რას
შერები?

კოსტა — (არხეინად) შენს რეინას მიხედე!

გიო — (ერთ იარაღს ზურგთან ჩაიდებს, მეორეს კი წინ, ქამარში
გაირჭობს) ბარიგამ ქურდთან იჩივლა, ხომ ვამბობდი... გამოიცნობს



ზაურას ნავოდებას-მეთქი!

ბაჩა — (ჩაიცინებს) ზაურა რომ ნაკოლებს იძლევა, ავტო, ტექნიკი-
ჩემმა ნინამ იცის, გავარვარებულმა ბარიგამ კი არა?

კოსტა — ეწყობა ალარაფერი ჰქონდა გასანენი, მართლა ჩვენ ნა-
მოგვიღია მთლიანად!

(გიო და ბაჩა ერთხელაც ამონმებენ იარაღებს, შემდეგ გადატენი-
ან და ნელზე ირგებენ)

ბაჩა — ზატვორი ჭედავს ხოლმე!

კოსტა — თქვენ რა, მართლა ომს აპირებთ? განი-გამონი, მაინც
ქურდია!

გიო — ქურდი, რომელიც ბარიგავს იცავს!

კოსტა — ის იტყვის, კი არ ვიცავ, ნამალი მე ჩამომიტანაო!

ბაჩა — (ირონიულად) დიახ, უკვე დადერბენებული ჩეკებად!

გიო — ბიჭი, ბარიგა იქვე არ იყიდებდა, ქურდული ნამალიაო?!?

კოსტა — მერე რა, იტყვის, ძალები მეგონეთო!

გიო — (გაბეზრებული) ის იტყვის, ეს იტყვის, რა გინდა ლოთია-
ნად?

კოსტა — (ეცინება) არაფერი, მომავალი დიალოგისთვის გამზა-
დებ!

ბაჩა — (პიჯაკს იცვამს და ბუზღუნებს) ბარიგა ველარ გადაგიგ-
დია კაცს! იქ ავტომატიანი ჯეელი დაგვხვდა, აქ ქურდი ამოისახა,
ხვალ პოლიცია დაგვადგება... (სამჯერ დააკაუჭნებს მაგიდის კიდეზე)
არა, ასეთ პირობებში მე ვერ ვიმუშავებ, ძმაო!

(გიო და კოსტა იცინიან)

რამდენი ამოვა?

გიო — არა მგონია, ჯარი დაგვასიოს, ძალიან თავდაჯერებულად
ბაზრობდა. მოიცა, მოიცა, ნიას რა ვუყოთ?

ნია — (შემოდის) ალარ მოგშივდათ?

გიო — ნია, თუ არ შენუხდები, ცოტა ხნით გაისეირნე რა?

ნია — კი ბატონო, მაინც ვაპირებდი გასვლას! (ჩანთა გამოაქვს
მეზობელი ოთახიდან) როდის მოვიდე?

ბაჩა — ასე ერთ, ორ საათში!

გიო — (კართან ეწევა) შენ არ იფიქრო...

ნია — რა?

გიო — არ გეგონოს, გოგოები მოგვყავდეს!

ნია — ასეც რომ იყოს?..

გიო — არა, უბრალოდ, მინდა იცოდე!

ნია — (გაუღიმებს) ჭევიანად მოიქეცით ჩემს მოსვლამდე!

კოსტა — ნამდვილი ბებისითური ხარ!

ბაჩა — (ნიას გასვლის შემდეგ) მაინც არ მესმის, რატომ გარიდებს
სახეს?

გიო — (უკმაყოფილოდ) აღბათ რაღაც დემონურია ჩემში!

კოსტა — (გიტარას იღებს და მღერის)

როდის უნდა შემოლენო,

ჩემი ფანჯრის მინები...

(ზარის ხმა კარზე)

გიო — ფრთები გამოისხა დალოცეილმა?

(აღებს კარს. მაღალი, თმაგაცვენილი ბიჭი პირველი შემოაბი-
ჯებს, მას ჯანიანი, უკისრო ახალგაზრდა შემოყვება)

გელა — გაუმარჯოს!

(ხელს ართმევს სამივეს)

ეს მეგობარი კაცია, გაიცანით!

(გიო და ბაჩა თავს დაუკრავენ უკისროს, კოსტა ხელს გაუწვდის)

კოსტა — კოსტა!

(უკისრო უხმოდ ართმევს ხელს)

გიო — დაბრძანდით!

(გელა სავარძელში ჩაეშვება. უკისრო კედელს მიეყრდნობა)

გიო — დაჯექი, მეგობარო!

(დაბალი არ პასუხობს. ბიჭები გაევირვებით გადახედავენ ერთმა-
ნეთს)

გიო — დალევ რამეს?

გელა — არა, გმადლობთ!

გიო — (უკისროს) შენ?

(ის კელავ უპასუხოდ ტოვებს გიოს შეკითხვას)

ბაჩა — გაბუტული ხარ ჩვენზე, ძამიკო?

(დაბალი კელავ არ პასუხობს)

გიო — (მოშლილი, გელას) მუმუ ამან დაახრჩო?

გელა — აბა მუმუ?

გიო — (ხელს ჩაიქნევს) ზაურა რატომ არ ამოგყვათ?

გელა — ვერ მოახერხა, სველი იყო ძალიან!

გიო — მტკვარში უყვინთავია, როგორც გავიგე!

გელა — (გულგრილად) ჰო, დაგვისველდა ცოტა!

გიო — გასააგებია!

გელა — ტუტუტუ, ასე არ გამოვა, ლამაზო!

გიო — ვერ გავიგე!

გელა — (ღომილით) ამხელა ფიშტოთი აპირებ ჩემთან საუბარს?

გიო — აბ, ესა?

(ქამარში გაჩრილ იარაღს იღებს და გელას უწვდის. ის უხმოდ ჩა-
დებს ჯიბეში)

გელა — ცოტა არ იყოს, ვჩეარობ, ასე რომ, საქმეს შევუდგეთ!

გიო — გისმენ!

(კოსტა ზანდუჟზე გადაწვება და ჩუმად აუღერებს გიტარას)



გელა — ეს აკომპანიმენტი აუცილებელია?

კოსტა — უკაცრავად!

გელა — არ გენყინოს, ძამიკო! ახლა ნამალს რაც შეეხება ფლიშნიერადა დაბრუნდეს. ბევრი მსმენია თქვენზე, ვიცი, რომ ვაუკაცი და სუფ-თა ბიჭები ხართ...

გიო — გმადლობთ!

გელა — (ზელს აიქნევს) მადლობისთვის არ ვამბობ... და არც თქვენს გასაკერად... ასე რომ არ იყოს, შეიძლება უხეშადაც მოგეცე-ოდით სამიერა!

გიო — (მშეიდად) რა დავაშავეთ?

გელა — ჰორო, მაგის ახსნა თუ დამჭირდა...

გიო — გელა, აქ არც საბავშვო ბალია და არც შენა ხარ...

ბაჩა — (ჩაერთვება) ბეიბისითთერი!

გელა — (ნარბს მაღლა ანევს) ვინ არა ვარ?

გიო — (ეცინება) ბავშვების ძიძას ნიშნავს.

გელა — როცა ქართული არ გყოფნით, ინგლისურს გაურევთ ხოლმე? (სიგარეტს უკიდებს. გიო საფერფლეს მიუჩინჩებს) იცით, რა მიკვირს, ინტელიგენტ, ნესიერ ბიჭებად გიცნობთ ქალაქი... ჩვენს სამყაროშიც უყვარხართ, პატივს გცემენ, როგორც ხელოვან, კეთილ-მობილ ადამიანებს... და ეს ყველაფერი წყალში ჩაიყრება, როცა საუ-თარ ჩარჩოდან ამოხტებით! რა თქვენი საქმეა, ძმურად, ბარიგის მოტყორუნა, დაჭრა და ფათქა-ფუთქი...

გიო — გეთანხმები! ნალდად არ არის ჩვენი საქმე. მაგრამ ასე მოხ-და! პრინციპში, მანეთიც არასოდეს მოგვიპარავს...

გელა — თუ იმ რვა ათას დოლარს არ ჩავთვლით!

გიო — ეს ექსპროპრიაცია იყო!

გელა — ალბათ ქველმოქმედებას დასჭირდა არა? კი, ბატონი, ეგ ფული თქვენია, რაც შეეხება ნამალს...

გიო — ისიც ჩვენია, ხოლო თუ პრობლემები გაქვს, შეგვიძლია გა-გიყოთ!

გელა — კარგად ანონე შენი სიტყვები, თორემ პრობლემები აქეთ გაგიჩნდება!

გიო — მაშ, ასეთი მაღალი აზრისა ხარ ბარიგებზე, ჩვენგან რომ იცავ?

გელა — (მოთმინებით) მე იმ ნაბოზარს კი არ ვიცავ, ჩემს ნამალს ვთხოვლობ. იმიტომ, რომ ეგ შმატი მე ჩამომიტანეს! ისიც ვიცი, ნაწი-ლი ციხეზე რომ შეგზავნეთ, მაგაზე როგორ გისაყვედუროთ? ჩემი ნა-მალი ნაიღეთ, იმიტომ, რომ არ იცოდით... ამის გამოა, რომ არც თქვენს დასჯას ვაპირებ და არც იმ ქარაქუცა ნაკოლშჩიკის! გასაგე-ბია, თუ...

გიო — გასაგებია, გასაგებია!

გელა — ჰოდა, მოვრჩეთ ამაზე!

გიო — მოვრჩეთ! მაგრამ ნამალი არ დაბრუნდება. ის უკუნიშვილი და ჩეკებად განკობილი დაგვეხვდა. სარეალიზაციოდ დერბენებული და ჩეკებად განკობილი დაგვეხვდა. სარეალიზაციოდ არც ბარიგას, არც მის დაცვას შენი სახელი არ უხსენებია. არც ის უთქამს, ქურდული ნამალია! პროცენტებზე დაგვიწყეს შებმა, ოღონდ გაყიდვა გვეცლია მათვეის!

გელა — რას იზამ, ზედმეტად სულგრძელი ვარ, ამიტომაც ვლებულობ ტრავმებს! უკანასკნელად გიმეორებს, ნამალი მე ჩამომიტანეს!

გიო — (გულუბრყვილო ინტრონაციით) სარეალიზაციოდ?

გელა — (ნამოხტება და იარაღზე გაივლებს ხელს) დასცეხ!

გიო ელვისებრური მოძრაობით სწვდება მაჯაში და ძლიერი სარმით ძირს დასცემს ბიჭს, შემდეგ ზედ დაახტება და ზურგთან დამალულ პისტოლეტს პირში ჩათხრის. ამასობაში უკისრომაც სცადა იარაღის ამოღება, მაგრამ ჯერ ეოსტამ ჩატარება თავში გიტარა, ხოლო შემდეგ ბაჩას შუშტს ნამოეგონ და ისიც იატაქზე გაიშხლართა. კოსტამ სწრაფად განაიარალა უკისრო)

გიო — (გელას აზის მკერდზე და იარაღის ლულას სულ უფრო ღრმად ჩრის ყელში) ამდენი ტყუილი, მუქარა... გეეადრება განაკაცა? ტიტულს რომ დაკარგავ, ეს, ორჯერ ორია, დანარჩენს კი..

(ჩახმახს გადმონევს)

ბაჩა — (მიღის მათთან) კარგი, გეყოფა! ფრთხილად ჩანიე, არ გავარდეს!

კოსტა — (გალახულებს დაშურებს) ერთს კარდენის პიჯაჟი აცვია, მეორეს კი არმანისგან, მაგრამ არც ერთი იყო ფრანგი და არც მეორე იტალიელი, ორივე ბედერული საქართველოს შვილები იყვნენ!

გიო — (დგება და იარაღის ლულას ნმენდს ცხვირსახოცით) გლანდები არ გქონან ნესრიგში, ძმაო! აგერ თქვენი არტილერია! (ტყვიებს ამოყრის და იარაღებს უბრუნებს ფეხზე ნამომდგარ ნყვილს) სადაც და ვისთანაც გინდათ იქ გავარჩიოთ! ეს შენც გეხება, გერასიმე! (მიმართავს უკისროს)

(გელა და მისი მეგობარი უხმოდ გადიონ ბინიდან)

კოსტა — (ამოიოხრებს) აი, კიდევ ორი მტერი!

გიო — ცუდას რად უნდა მტერობა?

ბაჩა — კოსტა, რომელი ფდრი ჰეპბერნი შენ მყავდი, გიტარით რომ გადაწყვიტე ბრძოლა?! (უეცრად სახეზე მოისვამს ხელს) ვინ შემასხა წყალი? ვინ შემასხა? (ყვირის) ვინ იმალება ამ სახლში, ბოლოს და ბოლოს?! გამოჩინდი, რომელი ხარ!

(გარიერაუზი. ყველას სძინავს. მხოლოდ ბაჩა ნამომჯდარა ლოგინზე და ტელეფონის ყურმილს აწვალებს ხელში)

ბაჩა — (კრეფს რიცხვს) დილა მშვიდობისა!

ლალის ნამძინარევი ხმა — იცი, რომელი საათია?
 ბაჩა — ღვინის საათია, სექსის საათია!
ლალი — მე მძინავს, სექსით შეშფოთებულო ყმანვილო!
 ბაჩა — მე ეკ შენი დილის კოშმარი ვარ!
ლალის ხმა — ხარ, ხარ! ეჭვი არ შეგვაროს!
 ბაჩა — იცი, რატომ გირეკავ?
ლალი — ვიცი, ვიცი, რომ ხვალიდან ყველაფერი...
 ბაჩა — არა. მე შენ გათავისუფლებ!
ლალის ხმა — როდის დამატყვევე რო?
 ბაჩა — იყო ასეთი ეპიზოდი შენს ცხოვრებაში!
ლალი — ჴო, მართალი ხარ. იყო! ისე, რომ არ მყვარებოდი, შეგი-
 რიგდებოდი ეკიდეც.
 ბაჩა — ახლა შევრიგდეთ, ჯანდაბას ჩემი თავი, მე ხომ სულგრძე-
 ლი პიროვნება ვარ!
ლალი — ყურადღებით მომისმინე. მე ვთხოვდები... გესმის? რამ
 დაგადუმა. ვთხოვდები-მეთქი!
 ბაჩა — (პაუზის შემდეგ) ჩემგან რას თხოულობ?
ლალი — მხოლოდ ერთს, მოიქცი, როგორც ცივილიზებულ კაცს
 შეშვენის.
 ბაჩა — არის, უფროსო!
ლალი — (ცოტა იმედგაცრუებული) ნინათ ტყვიას მესროდი, ეს
 რომ მეთქვა!
 ბაჩა — არც ახლა გვიან, არ დაქიდო ყურმილი! (იარაღს იღებს
 ბალიშის ქვეშიდან, გადატენის)
ლალი — რას შერები?
 ბაჩა — ვფიქრობ, გესროლო თუ არა!
ლალი — რა გადაწყვიტე?
 (ჩაფიქრებული ბაჩა ჯერს ამოილებს ტარიდან და შემდეგ ტყვია-
 საც აგდებს ლულიდან)
 რა მანიპულაციებს ატარებ?
 ბაჩა — გადავწყვიტე, არ გესროლო! არა ხარ ღირსი!
ლალი — მაშინავთ მორჩინილა ყველაფერი! ახლა დამშვიდდი?
 ბაჩა — დიახ, მიცემებულის პულსივით. ველი შენს ადვოკატებს!
ლალი — (იცინის) ქონებას არ ნაგართმევ.
 ბაჩა — (რანეცსკაიას ხმით) Верните мои письма и телеграммы!..
ლალი — შენ არც ერთი წერილი არ მოგინერია!
 ბაჩა — გულის ფიცარზე ვინერდი.
ლალი — რომ იცოდე, როგორ გამიტეხე?
 ბაჩა — არც შენ დამაკელი. აბა, ტებილი სიზმრები, ჰატარძალო!
ლალი — თავს მოუარე!
 (ბაჩა ყურმილს კიდებს)

მოძალური გეორგი



ოთახში მხოლოდ ნია და ტახტზე ჩამოძინებული გიო არიან იპიტორისა
ნია ფრთხილად ალაგებს დიდ ხელჩანთაში იარაღებს და ოპიუ-
მის მოზრდილ ბურთს. დროდადრო მძინარე გიოს გახედავს
ხოლმე... ბოლოს სადესანტო ავტომატის ჩატენას ცდილობს
ჩანთაში, მაგრამ უერაფრით ახერხებს

გიო — (მოქანარებითა და თვალების ფშენეტით ნამოჯდება ტახტ-
ზე და სიგარეტს უკიდებს) გაუმარჯოს ბეიბისითთერს... დიდხანს მე-
ძინა?

ნია — (ფეხით შესწევს ჩანთას მაგიდის ქვეშ) შხაპი რომ მიიღე,
ჩაგოვლიმა!

გიო — (დგება) ბიჭები სად არიან?

ნია — თეა ნაიყვანეს ექიმთან.

გიო — ჩაის ხომ არ დამალევინებ?

ნია — ახლავე!

გიო — თუ ჩქარობ... მერე იყოს!

ნია — არა, არ ვჩქარობ... ერთადერთი, ბავშვებს მკედარი საათი
აქვთ და რომ არ დავხედე... (ენაზე იქბენს)

გიო — ვინ ბავშვებს?

ნია — არაფერი, ამერიკა რაღაც!

გიო — რა ლამაზი ხარ!

ნია — ბატონო?

გიო — ლამაზი ხარ-მეთქი და მატყუარა!

ნია — მატყუარა ძალიან ცუდი სიტყვაა, გიო!

გიო — ეგ არაფერი, მე უფრო ცუდი სიტყვებიც ვიცი!

ნია — ეგ რა სატრაბახოა?

გიო — ვინ გეტრაბახება რო? ჩამოჯვექი რა ნუთით!

ნია — (ჯდება სკამზე) — გისმენ!

გიო — სანამ მომისმენდე, მე მოგასმენინებ ერთ პატარა მელოდი-
ას. მოხერხებულად დავუკი, სკამის კიდეზე ზიხარ!

(რთავს მაგნიტოფონს. გაისმის ლეთაებრივი გალობა. გიო თავს
ჩაქინდრავს, თითებს ნიას თითებს გადაჭდობს და ცოტა ხანს ასე სხე-
დან გარინდებით ორივე)

ნია — რა იყო ეს?

გიო — თუ მელოდიაზე მეუითხები, ამითი გავაცილე მამა უკანას-
კნელ გზაზე.

ნია — მაპატიო.

გიო — აბა რა გჭირს საპატიობელი. მე მხოლოდ ერთი რამ მწყინს,
არ შეიძლება ასე ძალიან გიყვარდეს...

ნია — ვინ?

გიო — (მხრებს იჩეჩავს) მშობლები, ძმაკაცები, რა ვიცი, კიდევ
ვინ? მე ვამბობ, რომ არ შეიძლება ასე ძალიან გიყვარდეს, ჟანდარმი —
რო რაღაც ზომიერების ფარგლებში უნდა ეტეოდეს.

ნია — მოსაწყენი არ იქნება?

გიო — ცხოვრება ისედაც არ მოგაწყენს...

ნია — ცუდად ხარ?

გიო — დღეს ცუდად მხოლოდ ვირი არ გრძნობს თავს!

ნია — და ისიც ალბათ ჯანმრთელი ვირი, არა?

გიო — (იცინის) ჴო, ჯანმრთელი ვირი!

ნია — შემიძლია დაგეხმარო?

(გიო თავს დაუქნევს)

როგორ?

გიო — ჩემო უფლიდესო მშვენიერებავ, შენი კოხტა ფეხით ჩემეენ
გამოწიე ეგ ჩანთა... და საერთოდ ეგ ავტომატი იკეცება!

ნია — ეგ ადვილი საქმეა.

(ფეხით მიუჩოჩებს ჩანთას)

ახლა კი შეგიძლია მკითხო...

გიო — რა გეითხო, შე ძუნა, ვინ მოგაგზავნა ჩვენთან და საერ-
თოდ რას მიკეთებ აქ, ჩემი დალუპული ძმაკაცის სახლში? რა გეითხო
კიდევ, მითხარი და გეითხა!

ნია — მე არ გატყუებ, მე მხოლოდ გიმალავთ...

გიო — რაღაცას?

ნია — ჴო, ჯერჯერობით, შე... შე...

გიო — რაო, სალანძღავი სიტყვები არ გყოფნის?

ნია — მყოფნის, შე ვირო... არავანმრთელო ვირო! (ამოიოხრებს)
თუმცა ვირი უწყინარი და მშრომელი ცხოველია!

გიო — ვინ მოგაგზაუნა?

ნია — არავინ. ეს უცაბედად მოხდა... უცაბედად გავარღვიე კედე-
ლი!

გიო — ბატონი?

ნია — იმ ჩანთის გადაგდებასაც თქვენს საშველად ვაპირებდი! იმ
რეინებს აგრესიული გამოსხივება აქვთ!

გიო — და ამისთვის კედელი გაარღვევი?

ნია — არა. კედელი უცაბედად გავარღვიე და ბავშვებიც ასეთ
დღეში ჩავყარე!

გიო — (იფეთქებს) რა კედელზე მელაპარაკები?

ნია — ჩემი სამყაროს კედელი... მე ხომ სხვა სამყაროდან ვარ!

გიო — (თავს მოიქექავს) მაგელანის ლრუბლებიდან, სატურნის
თუ...

ნია — არა, გიო, ეგ პლანეტებია. მე სხვა განზომილებიდან ვარ,
პარალელური სამყაროდან!



გიო — არა, ან უნდა გავიჩირო, ან დავლიო!

ნია — (დალილი) სჯობია დალიო, გაჩერით, თუ რას ეძახების მაგას, ვეღარასოდეს გაიჩერ. მე შენ ფსიქოლოგიური ბლოკი ჩაგიყენე!

გიო — ბლოკი, ხომ?

ნია — ჰო, საერთოდ შენი ნებართვის გარეშე ამის უფლება არ მქონდა, მაგრამ... ამიტომაც ვარ ცუდად. ჩვენ მძლავრი პარაფსიქოლოგიური ძალა გვაქეს, მაგრამ ობიექტის თანხმობის გარეშე...

გიო — (აწყვეტილებს) მომისმინე, მე მთვლი გიუად, თუ...

ნია — (უბრალოდ) არა, მე შენ არა გთვლი გიუად, პირიქით, შენი ინტელექტუალური ინდექსი საკმაოდ მაღალია!

გიო — (ქედს იხრის მადლობის ნიშნად) იმ შენ პარალელოპისე-დურ...

ნია — პარალელურ სამყაროში!

გიო — იქაც საქართველოა?

ნია — დიახ, ოლონდ სხვანაირი... აი, დაახლოებით ისეთი, როგორ-ზეც თქვენ ოცნებობთ. ჩვენ ყველაფერი ვიცით თქვენს შესახებ, მაგრამ ვერ გეხმარებით...

გიო — (ინტერესით) რატომ?

ნია — (უხერხულად) ჩვენ ხომ თქვენზე ერთი წამით ახლგაზრდები ვართ.

გიო — მაგრამ ჩვენს შეცდომებს ითვალისწინებთ, არა?

ნია — ჰო, ეს შეიძლება გარევეულ ეგოიზმადც მოინათლოს!

გიო — იმერელი ხარ, ბოშო?

ნია — არა, კოლხი!

გიო — მარგალი ხარ, ძლაბი?

ნია — (ნეენით) არა ვარ მე შენი ძლაბი!

გიო — ლეკე ლომისა სწორია

და არა პარალელური!

ნია — მე სხვანაირად ვიცი ეგ ლექსი!

გიო — არ გამაგიურ?

ნია — (სევდიანად) მგონი შენ ეს ალარც გჭირდება.

გიო — (ჩაფიქრებით) მაშ, იქ, იმ ნანატრ საქართველოში ცხოვრობ?

ნია — დიახ.

გიო — ახლა კი ყურადღებით მომისმინე და გადაეცი შენს გამომგზავნ პოლიციურ-პარალელოპისედურ ორგანიზაციას, ნუ გადაწყვიტეს, რომ მათი დრო დადგა და ჩვენი მგლებივით ერთ სოროში შეყრას მოახერხებენ, რომ მართალს და მტყუანს ერთნაირად გაგვისწორდებიან და მონმეს არ დაუტოვებენ იმ უკიდევეგანო ბოზობას, რასაც ჩვენი თაობა შეენირა, პატრიოტული დროშის ქვეშ... თავისუფლება,



არა? დამოუკიდებლობა, არა? და თურმე სულ სხვა, განსხვავებული
თამაშები? გადაეცი, სანამ ფიზიკურად არ გაგვანადგურებეჭმას! სტანდატული
პირში სული გვიდგას...

ნია — (რბილად) მაპტირე, მაგრამ არა მგონია იმ მითიურ ძალებს,
რომელსაც თურმე მე წარმოვადგენ, თქვენი განადგურება სჭირდე-
ბოდეთ.

გიო — მაშ რა?

ნია — გიო, ამას თქვენ თვითონ ბრწყინვალედ ახერხებთ.

გიო — (წინ გადაიწევა) მაშ ჩვენ თვითონ ხელს ვუწყობთ იმ ბო-
ზებს?

ნია — მე არ ვიცი, სიტყვა ბოზს თუ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს,
მაგრამ არ გენყინოს, რა საბრძოლველი თქვენა ხართ? ხელჩაქნეული,
დეგრადირებული ნარეომანები... თუმცა ვცდები, ერთი ლოთია!

გიო — (გაოგნებული) შენ რა გვონია, მართლა მაროდიორები ვი-
ყავით სუყველა ან რაიმე უკადრის ჩავიდინეთ? ან აფხაზებთან
მქონდა რამე გასაყოფი? და ახლა მეხუთე თაობის უმნიკელოდ ნამსა-
ხურები გვარის კაცი, ვიღაც ნუნკალმა უნდა გამშმონოს და პრაკო-
ლები მისინჯოს ხელებზე? შემდეგ კი ფულზე მევაჭროს?

ნია — მე უფრო ღრმად გითხარი!

გიო — (დალლილად) როგორ დაგავერბოვეს ეს ანგელოზი ქალი
მაგ ნუნჯლებმა?

ნია — რა ქნეს?

გიო — როგორ მოგიგდეს ხელში ორგანოებმა?

ნია — (ჩაფიქრდება) რას ნიშნავს ორგანოები?.. და საერთოდ, რა
გინდა შენ ჩემგან. გინდა ნავიდე?

გიო — სამნუხაროდ, ვერსადაც ვერ ნახვალ!

ნია — სადაც მინდა იქ ნავალ, მაგრამ ეს არ არის მთავარი, შენ ის
მითხარი, ორგანოები რას ნიშნავს?

გიო — (ინტერესით) შენ რა, ურუპინსკიდან ხარ?

ნია — (ბეჭითად) მე ვარ პარალელური სამყაროდან, რომელიც
მხოლოდ ერთი ნამით ჩამოგრჩებათ!

გიო — და ახლა იმ ბეღნიერ, ნანატრ საქართველოში ცხოვრობთ?

ნია — რატომ მარტო საქართველოში?

გიო — შენ უკვე მღლი!

ნია — შენ კი მტანჯავ! სხვათა შორის, რატომ ვერ ნავალ აქედან?

გიო — (უხალისოდ) იმიტომ, რომ არ გენდობი!

ნია — (უეცრად გაეცინება) რამდენის უფლებას აძლიერ შენს თავს,
თავისუფლებისათვის მებრძოლო, ბრეივ ჰართ, როგორ უიდა ამიკრ-
ძალო ნასვლა?

გიო — ლოთიანად, ვინ ხარ?

ნია — სტუდენტი-ფსიქოლოგი, თან საბუშვო ბალში უმუშაობ! (მო-

იღუშება) ნეტა არ მემუშავა!

გიო — კიდევ!

ნია — კიდევ ქერივი!

გიო — შენ იცი მაგ სიტყვის მნიშვნელობა?

ნია — ვიცი, მე ქმარი მომიკედა, ამიტომ აღმოეჩიდი აქ!

გიო — მოიცა, შენ იქ, იმ სამყაროში ქმარი დაგეღუპა?

ნია — ყველაფერი გინდა იცოდე?

გიო — (მოშლილი) ქერივო, მოყევი შენი ლავსტორი!

ნია — მიჭირს აგიხსნა. თქენ ჩვენს თვალში გამოქვაბულში გა-
მომწყვდეულ ველურებს გავხართ...

გიო — ამ ერთი ნამის გამო?

ნია — (გალიზიანებით) რა აიკვიატე ეს ნამი? ნამი შეიძლება საუ-
კუნებს უდრიდეს! მოკლედ, რასაც ჩვენ მივალნიეთ, თქვენც მიაღ-
ნეთ, ოლონდ არ სისხლით!

გიო — მშვენიერი, თოთო აზრია, მაგრამ შენ რატომ ხარ ქერივი?

ნია — მე მიმძიმს...

გიო — თქვი!

ნია — სკოლის ასაკიდან მოგეწონდა ერთმანეთი, მერე დავქორ-
ნინდით...

გიო — მერე?

ნია — ერთ კვირაში მანქანამ გაიტანა. მეოცნებე იყო, მხიარული,
რაღაც გამოგონებებზე ფიქრობდა... შუქნიშანი ვერ შეამჩნია! მერე
საბუშვო ბალში დავიწყე მუშაობა, ცოტა მშველოდა... ჩვენში თვითმე-
ვლელობა დიდ ცოდვად ითვლება!

გიო — ჩვენთანაც!

ნია — მერე მნარედ შევცდი... ზედმეტად ვფიქრობდი მასზე... ეს
კი არ შეიძლება... არ შეიძლება ამდენი გლოვა!

გიო — აბა ცეკვა-თამაში უნდა გაგემართა?

ნია — არა... მისი სახე არ უნდა ნარმომედგინა ასე ხშირად!

გიო — ეგ რა შუაშია?

ნია — (საწყლად) სულ მისი სახე მედგა ნინ... და მინდოდა...

გიო — რა?

ნია — მინდოდა ერთხელ მაინც მენახა!

გიო — მერე ეს რა ცოდვა?

ნია — (პაუზის შემდეგ) ჩვენ დიდ ძალას ვფლობთ... ლევიტაციის,
ფიქრო კითხვის...

გიო — მაშ მე შენთვის გადაშლილი ნიგნი ვარ?

ნია — არა. ჩვენ არა გვაქვს ერთმანეთის უფლების გარეშე...

გიო — (დაღლილად) განაგრძე შენი ზღაპარი!

ნია — თუ არა გჯერა, რა აზრი აქვს?

გიო — განაგრძე!



ნია — მოკლედ, მის სახეს არ უნდა ჩავფიქრებოდი ასეთი გალით! თქვენსა და ჩვენს სამყაროში ორეულები არსებობენ, ხშირი პრატისტები... რამ იშვიათად კი... მე ვიპოვე ამ სამყაროში მისი ორეული... წყალი და-მისხი!

(გიო ბოთლიდან ჭიქას უვსებს).

ნია — (სულმოუთემელად გადაეკრავს და სული ეხუთება) რა დამა-ლევინე!

გიო — არაყ! (ზურგზე ურტყამს ხელს) ახლა უფრო ლამაზ ზღა-პარს მოყვები!

ნია — (პაუზის შემდეგ, შემთვრალი) ვერასოდეს ვიგონებდი ზღა-პარს, ბავშვები კი მთხოვდნენ, მთხოვდნენ, მე კი ვერ ვიგონებდი! ვერ ვთხზავდი.

გიო — მერე რა მოხდა?

ნია — (სულ უფრო ეკიდება სასმელი) მერე მანქანამ გაიტანა!

გიო — ეს ნინა სერიაში იყო... შენს ორეულზე მოყევი...

ნია — მე აქ არა მყავს ორეული!

გიო — რატომ, აბორტს გადაყვა?

ნია — რა არის აბორტი?

გიო — მოკლედ, მგლოვიარე ქვრივო, შენ გადაწყვიტე, რომ შენი განსვენებული სატრფოს ორეული სადღაც აქ არსებობს?

ნია — (გაკვირვებით) სადღაც? სადღაც კი არა, აქ!

გიო — ნამით ნინ მიმავალ სამყაროში!

ნია — (გაულიმებს) რა კარგია, რომ მიხვდი. რა კარგი ყოფილა და-ლევა... დამისხი კიდევ!

გიო — (ხელს აფარებს ჭიქას) საკმარისია!

ნია — (დაასლოვინებს) უკაცრავად... დამისხი, ახლა უფრო ადვი-ლი გახდა ყველაფერი!

გიო — ჩვენც ასე ვიადუილებთ ცხოვრებას, ზოგი ნარკოტიკით, ზოგი ალკოჰოლით, ზოგიც ჩათლახობით!

ნია — ეს რა იყო, რაც დამალევინე, ჩათლახობა?

გიო — (გმინვით) მორჩი. მერე რა მოხდა-მეთქი?

ნია — (თვალებს ხუჭავს, ასლოვინებს) ბოდიში... უბრალოდ, ამ-დენი დაძაბულობის შემდეგ... ისე ჩვენთანაცაა ლეინო... მაგრამ ოც წლამდე არ შეიძლება! მხოლოდ ქორწილზე ერთი ჭიქა!

(თითს მაღლა სწევს)

გიო — ისიც მხოლოდ სიძეს, არა?

ნია — (წყენით) არა, რატომ... ეს ხომ ქორწილია?! რა ლამაზია ქორწილი, თეთრი კაბა, სიმღერა...

გიო — აბა, აბა, ნუ აქეიფდი! მერე რა იყო?

ნია — მერე მანქანამ გაიტანა!

გიო — (გააფთრებით) ორეულზე გეკითხები!

ნია — (ფხოზლდება) ჰომ, დიდი ცოდვა დავიდე... იმ დღეს საბავშვო ბო ბალში... ისეთი დაუქინებით ნარმოვიდგინე მისი სახე, რომ იქ უჩერებულა ლავი კედელი გავარღვიე... აქ აღმოვჩინდი და საუბედუროდ ჰავშვერის ბიც იმ ველში მოყვნენ.

გიო — ეს ის ბავშვებია, ჩვენ რომ გვამწარებენ?

ნია — (იცინის) ისინი გეთამაშებიან... ხანდახან კი, როცა მაპრაზებთ... (ასლოკინებს)

გიო — (მოულოდნელად) ბუჟ!

ნია — (შიშისაგან სკამზე შეხტება) რა მოხდა?

გიო — შეგაშინე, სლოკინმა რომ გავიაროს!

ნია — (წყენით) გმადლობთ! ჰო, რას ვამბობდი... მოკლედ, ჩვენ დიდი ფსიქოკუმულაციის უნარს ვფლობთ...

გიო — და მოკლე ჩართვასავით მოხდა რალაცა, ასეა ხომ?

ნია — ასც შეიძლება ითქვას! მაგრამ ბავშვები ვერ განსხეულდენ!

გიო — აბა თავზე რომ გვამხობენ ყველაფერს?! თუ ტელეკინეზს ფლობენ?

ნია — (დაეჭვებით) საიდან იცი ეგ სიტყვა? თუმცა სულერთია... (თავს მაგიდაზე დებს და ჩათვლებს) მე დამნაშავე ვარ... მათ მხობლებს და ბავშვებს, ნარმოიდგინე, როგორ ენატრებათ ერთმანეთი...

გიო — (ოდნავ შეაჯანვლარებს ნიას) გამოფხიზლდი!

ნია — (თავს სწევს) ფხიზელი ვარ, ფხიზელი ვარ, ოღონდ აღარ ქნა ეგ ბუჟ!

გიო — კარგი. მერე რა ქენი, იპოვე ის ორეული?

ნია — მე მსურდა მხოლოდ შემეხედა მისთვის და უკან დავბრუნებულიყავ!

გიო — მერე, ვერ ბრუნდები?

ნია — (კოტად ამთქნარებს) დიდმთვარობას ველოდები, ბავშვებიც ხომ უნდა დაუუბრუნო მშობლებს?! ეს მხოლოდ დიდმთვარობაზე მოხდება.

გიო — და ის ორეული... ორეული იპოვე?

ნია — (უხალისოდ) ვიპოვე! ვიპოვე!

გიო — (ეცინება) რა, მაგრად გაგიტეხა?

ნია — რა გამიტეხა?

გიო — აბა ასე უხალისოდ რატომ ამბობ, ვიპოვეო, არა ჰეგავს?

ნია — (ჩაფიქრდება) ტყუპისცალიერით! ნაიარევიც კი ყბაზე...

გიო — ბატონო?

ნია — შენა ხარ, ის ორეული, ის, ვისი ნახვაც მინდოდა, შენ, შენ, შენ.

(ნამოიმართება და სილებს აწნის გაოგნებულ გიოს) ჩემი, მხიარული, მშვიდი, ალერსიანი ბიჭის ნაცვლად შენ დამხვდი, აგრესიული ცი-

ნიკოსი, ნარკომანი, მედიკისფერი მოჩვენება... შენ, შენ, დიდი ვაჟა-
ცი რომ გგონია თავი!

გიო — აღარ გამარტყა... მექანიკური რეაქცია მაქვს!

ნია — აპა, მემუქრები კიდეც? მე ხომ შენი დანახვა მინდოდა და
უკან დაბრუნება... შენ კი გამოშიგნული კასტრატი დამხედი!

გიო — (მშეიდად) აი, თურმე რაში ყოფილა საქმე?! მოიბეზრე
ზღაპრები და მთავარს მიადექი?.. მე გეომეტრიაში ვერ ვერავევი,
თორმებ ვე საქმე, კასტრატებს რაც შეეხება... (ხელს კრაკს და ტახტზე
მიაგდებს ნიას) ჯენტლმენობა არ დაგვიფასდა, ახლა სხვანაირად ვი-
თამაშებთ!

ნია — (შეშინებული) არა, მე მხოლოდ სულიერ კასტრატობას
ვეულისხმოდი... არ დამღუპო, ბავშვებია იქითა ოთახში! მაპატიე!

გიო — (პერანგის იხდის) რასაკვირველია, გაპატიებ!

ნია — ეს არავანსაღი იქნება, მე სხვა მიყვარდა, ის მხოლოდ
გვავს!

გიო — გავარტყი იმ შენს მოგონილ პრინცს!

ნია — (გაოგნებული) მოგონილს?

(უცრად ისკუპებს ტახტიდან და ჩანთის ჯიბიდან ნაგანს აძრობს,
ცოტა ხანს მუხლებზე დაჩინქილი ათვალიერებს იარაღს, შემდევ კი
გიოს დაუმიზნებს. გიოს უცრად ეცინება და შარვალს იკრავს)

გიო — მართლა მაზალო იქნება შარვალჩახდილი მიპოვონ დაბრე-
დილი! მაში ის შენი პრინცი ვაჟეაცი იყო, დადებითი, მეოცნებე და ასე
შემდეგ... მე დეგრადირებული, მშიშარა, ბეჩავი... როგორ იქცევიან
კაცები თქვენთან, როცა მათ ლირსებას შეეხებიან, შე ფლიდო,
ოლონდ გაითვალისწინე, რომ მაგ ნაგანს ტუგოი სპუსეკი აქვს!

(ჩაიჩინქებს, კბილებით წვდება ლულაში ნაგანს და მკვეთრი მოძ-
რაობით გამოგლეჯს დაბნეულ ნიას ხელიდან იარაღს).

ახლავე გაეკცებდი, ჩემო კახპუშეა, მაგრამ პირი ზეთითა მაქვს
სავსე!

(მიდის ონკანთან, კბილის ჯავრისს იღებს და კბილების გაფერვას
შეუდგება)

ისე, არტილერია ბლომადაა კიდევ მაგ ჩანთაში!

(ზურგს შეაქცევს და კბილებს იფერავს)

ნია — (სევდით) შენ კიდევ უფრო ცუდი ყოფილხარ, ვიდრე მეგო-
ნე...

გიო — (პირსახოცით სახეს იმშრალებს და ნიას მოუტრიალდება)
ახლა უყურე, იქითა ქართველო, როგორ უნდა იარაღთან თამაში!

(ტყვიებს ამოყრის საბუდრებიდან, შემდევ ერთ ცალს ჩადებს,
„ბარაბანს“ დაატრიიალებს, საფეხქელთან მიიტანს და გაისურის) ასე
თუ შეუძლია შენს ვაჟეაც პრინცს?

ნია — ეს მას არ დასჭირვებია საკუთარი ვაჟეაცობის დასამტკი-

ცებლად! შენში კი ყოფილა რაღაც ბავშვური!

გიო — (გაკვირვებული სიცილით) ბავშვური?

(მეორე ტყვიას დებს იარაღში)

ნია — გიო, ის აღარ არის ცოცხალი, ნუ ეჯიბრები!

გიო — (მოეშვება) მე შენ მოგზავნილი მეგონე, შენ კი უბრალოდ გიში ხარ!

ნია — თქვენი შემყურე გაგიუდება ადამიანი, აბა რა მოუვა?.. მე ბავშვებზე განვიცდი... ცცდილობ არ დავანახო თქვენი შექანებული ცხოვრება...

გიო — სელინჯერის ერთი მოთხრობის პერსონაჟს მაგონებ, ბავშვს რომ შეთხზავს თავისითვის და თვითონვე სჯერა!

ნია — მე გულს მიხეთქავს, რომ ბავშვები ამ საშინელ პაროდიას ხედავენ ცხოვრებაზე...

გიო — მაშ ჩვენ პაროდია ვართ?

ნია — ხართ, ოღონდ ისევ იარაღის ტუტური არ დაიწყო საფეხულებან, მაინც არ გასროლინებ!

გიო — ყოველთვის იდიოტზმად ვთვლიდი მაგ „რულეტკას“!

ნია — გადამაგდებინე ეგ ჩანთა!

გიო — არც იფიქრო მაგაზე!

ნია — მე შემიძლია ეგ ძალით გაგაეეთებინო, მაგრამ ყოველ ძალადატანებაზე წლები მაკლდება. მე შემიძლია შენს სულში ჩავიხედო, ოღონდ შენი ნებართვის შემდეგ.

გიო — არა.

ნია — ოდნავ, ოდნავ!

გიო — ოდნავ რაღას ნიშნავს?

ნია — სულ ზედაპირზე, ღრმად არ ჩავყვინთავ!

გიო — (ირონიით) კარგი, ჩაიხედე, ოღონდ ყვინთვისა და ლასტების გარეშე!

ნია — (პაუზის შემდეგ) რამდენი სინათლეა, კეთილი, ნაზი სუნთქვა და... ხელოვნური, ხელოვნური კუპრი... მაგრამ სითეთრე მეტია, მე ვცურავ ამ სითეთრები, ამ მოვარდისფრო სითეთრეში... ეს კუპრი ხელოვნურია... ის გაირიყება და დარჩება... ღმერთო, რა იშვიათად მიგრძენია ასეთი ნეტარება!

(უცრად პროსტრაციოდან გამოდის და შეკიცლებს) არა! არა!

გიო — (დაფეხული) რა დაგემართა?

(წყალს შეასხამს სახეზე)

ნია — (ღრმად ამოისუნთქავს და ნამოდგება) მე უნდა ნავიდე!

გიო — სად?

ნია — (აფორიაქებული) სასწრაფოდ უნდა ნავიდე!

გიო — (მშეიდად სუამს სკამზე) ბავშვები?

ნია — (სახეზე ხელს იფარებს და დაიკვენესებს) ჰო, ბავშვები!

გიო — (შემპარავად) დიდმთვარობა?

ნია — (კვერცხის) დიდმთვარობა! დავიღუპე!

გიო — და ის შენი პარალელოპისეფი...

ნია — (უცრად ისტერიული სიცილი აუტყდება) პარალელური!

გიო — (მასაც ელიმება) რა იყო?

ნია — მე შენ დაგლუპე!

გიო — ეგ როგორ მოახერხე, კუკუშ?

ნია — (სახეზე მოკიდებს თითებს და თვალებში ჩახედავს) მე შენ
დაგლუპე, მაგრამ ღმერთს ვფიცავარ, არა ვარ დამნაშავე!

გიო — რა, მაგრად მომეხაზა?

ნია — ძალიან!

გიო — მითხარი და შეგინდობ, ჯანდაბას ჩემი თავი!

ნია — შენ... შენ მე შეგიყვარდი!

გიო — (იცინის) მე შემიყვარდი?

ნია — ჰო, ჩემგან ყოველგვარი მცდელობის გარეშე!

გიო — სულ ეგ იყო, გული რომ გამიხეთქე? და ამას ეძახი პარაფ-
სიქოლოგიურ აკუმულაციებს, ჩაყინონთვებს და ამოყვინთვებს?

ნია — (თავს ჩატინდრავს) გიო, მე არ ვაჭარდებ!

გიო — (მაგიდასთან ჯდება და ჭიქას ავსებს) ნებისმიერი გლეხის
გოგო მიხედებოდა ამას!

ნია — (გაოგნებული) მაშ შენ იცოდი?

გიო — (ხუხავს არაყს) რა?

ნია — რომ...

გიო — რომ შემიყვარდი? კი, ვხვდებოდი რაღაცას!

ნია — მერე?

ნია — მე ხომ უნდა წავიდე!

გიო — (დაბეჯითებით) უნდა წახვიდე, აბა ამ საგიურეთში ხომ არ
დარჩები?!?

ნია — (გაეკირვებით) და შენ...

გიო — შენ გაინტერესებს, მე რა მეშველება? შევიყვარებ ვინმე
სხვას...

ნია — შენ ეს შეგიძლია?

გიო — შემიძლია რომელია, ამითი ვარ სახელგანთქმული! ერთ
დღეს ერთი, მეორე დღეს მეორე! (დგება, ონჯანთან მიდის და კვლავ
კბილების გაფერვას იწყებს)

ნია — წასვლას მიადგილებ?

გიო — (გაქაფული პირით) არც ასეთი დიდსულოვანი ვარ, ჩემო
ერთგულო! თანაც წუ გავინყდება, რომ მე ასლი ვარ, შორეული ფან-
ტომი, შენი გულისტვის კი პლასტიკურ ოპერაციას ვერ გავიკეთებ!

ნია — (მხრებჩამოყრილი) არა.

გიო — რა არა?

ნია — შენ არც ასლი ხარ, არც... შენ შენა ხარ!

გიო — ფრთხილად, თორემ შენს ფიქრებშიც ჩავიხედავ... ეს დაწყული ინილი ორი ლინკილა წელიც რომ მომაკლდეს!

(და რადგან გიო ჯიუტად არ ტრიალდება მისკენ, ნია თვითონ მი-დის მასთან. გიო წყლის დაგუბებას ვერ ასწრებს, როცა გოგონა პირ-სახოცს იღებს და სახეს უმშრალებს ბიჭს).

ნია — კბილებს მაშინ იფერავ, როცა ცრემლი გდის?

გიო — არა. მხოლოდ მაშინ, როცა ნაგანის ლულას ამომივლებენ გლანდებში!

ნია — (ჩაფიქრებული) მე კი ვერც ნარმომედგინა, ტირილი თუ შე-გეძლო!

გიო — ნუ იქნები ასეთი უშუალო და მეტი არაყი ალარ დალიო!

ნია — ბავშვებს დავხედავ!

(გადის თახიდან. გიო სწრაფად მიდის ტახტიან, გამზადებულ შერიცს ამოილებს და უგუტს გადაიჭერს ხელზე, მაგრამ მისდა გასა-ოცრად ვერაფრით მიაქვს ნემის ვენამდე, დიდხანს წვალობს. შემდეგ გაოგნებული ბალიშის ქვეშ ინახავს მთელ მონყობილობას და ჩაფიქ-რდება. საფერფლეში პაპიროსიდან თუთუნს გადმოყრის და სწრაფად შეაკეთებს „კასიას“, შემდეგ უგულოდ მიაგდებს იქვე, საფერფლე-ზე)

ნია — (შემოდის) ბავშვებს სძინავთ!

გიო — მარტო შენ ხედავ მათ?

ნია — ჰო, იცი რა კარგები არიან?

გიო — (ფრთხილად) შენ რა, მართლა გამიკეთე ბლოკი თუ რაღაც ჯანდაბა?

ნია — (უხალისოდ) ჰო.

გიო — (რბილად) სასწრაფოდ მომხსენი... შეიძლება ლომკაში მოვკედე!

ნია — არაფერი მოგივა... ბავშვები თეას ეხმარებოდნენ, მე კი სისხლს გისუფთავებდით... ალარასოდეს მოგინდებათ!!!

გიო — ოპერაცია რომ დამჭირდეს?

ნია — ყველაფერს ექიმები ჩაგიტარებენ... ჯვარი გნერია!

გიო — ბაჩა?

ნია — ბაჩაზე კიდევ დამჭირდება რამდენიმე დღე... დავიცალე! ოღონდ სთხოვე, დამთანხმდეს, თორემ მართლა მაკლდება ნლები... (უეცრად ეცინება) ჩემს ნლებს შენ ნუ ჯავრობ. ჩეენ თქვენზე ორჯერ მეტს ეცოცხელობა! (მოილუშება) ოღონდ სიბერე არ მინდა.

გიო — იცი, ბაჩამ იქ, ომში ერთი ლექსი დანერა, პირველი სტრო-ფი მახსოვს მხოლოდ... გითხრა?

ნია — მითხარი.

გიო — მე არ მჯეროდა სიბერის,
მე არა მნამდა სიკედილის,
სიკედილმა ისე იბევრა,
სიბერეს ვინდა მისტირის.

ნია — და კახა?

გიო — კახაზე ხომ იცი, ნაწიმარი იასამნის ბალი და ის ბუჩქი...
მკლავმოგლეჯილმა ბოლო პატრიონამდე იომა... უცაბედად ნააწყდ-
ნენ დილის ნისლში ერთმანეთს და ნააყარეს კიდეც.

ნია — მერე?

გიო — (გაილიმებს) მერე? რა გინდა, ისევ კბილები გავიფერო?

ნია — (ნიკაზე შეახებს ფრთხილად თითებს) ეს ნაიარევი?

გიო — ბავშვობაში კონსერვის ქილაზე გავიჭერი! ცელქი ბავშვი
ვიყავი ძალიან!

(ორივე იცინის. უეცრად კარის მძლავრი ბრახუნის ხმა და ხმამა-
ლალი, უნმანური სიტყვებით შეზავებული ხმაური აკრთობს გარინ-
დებას).

ნია — ვამე, ბავშვები!

გიო — სწრაფად ოთახში!

(ხელს დაავლებს აეტომატს, სწრაფად გადატენის, ერთ იარაღს
ზურგთან გაიჩრის და კარს აეფარება).

ბაჩას ხმა — ჰა, კონსპირატორო, გააღებ კარს თუ ორგანოს მუ-
შაკებს მოუტემო?

კოსტას ხმა — გეყო რა, მთელ სახლს გაეღვიძა!

ბაჩა — (ეტყობა მთერალია) აბა, გავბოზდე ამ სიბერეში და ჩემს
სასიქადულო პოლისმენებს უუბმო კარის შესანგრევად?

გიო — (ამოიოხებას და კარს ალებს) სად წვიმდა?

ბაჩა — (კოსტას მხარს ჩამოკონიალებული) ქორნილში, იუზგარ,
ახუიტელნი ქორნილში! შენ ლიმონკალა გაკლია კბილებში. ახლავე
გიპოვი ერგედეს.

კოსტა — მაინცდამაინც ლალის საქორნინო მაყრიონს შევეფე-
თეთ!

ბაჩა — (ლრიალებს) ქორნილია, ქორნილი, გორქა, თქვე ბოზებო!

კოსტა — (ძალით დასვამს ტახტზე) შარო საიდან მოდიხარო. პირ-
დაპირ შევეჩერეთ, ეს ჯერ შოკში ჩაევარდა...

გიო — ლალიმ დაინახა?

კოსტა — (სიმნრის ოფლს ინშენდს) დაინახა რომელია?.. ფერი
დაკარგა, ამანაც რომ ქამრისეკნ ნაილო ხელი...

გიო — რა, იარალი ამოილო?

კოსტა — არა, მოვასნარი და უუთხარი, თავი არ გაიფარჩიაკო-
მეთქი. დამიჯერა, მოტრიალდა და ნამოვიდა.

გიო — მერე?

კოსტა — რაღა მერე, გიშივით დათვრა!
 გიო — ხომ არ უჩხვბია?

კოსტა — არა, პირიქით, ყველას ეფერებოდა და უმტკიცებდა,
 რომ ერთადერთი გოთვერანი თვითონ ბრძანდება ამ განსპეციალულ
 საქართველოში!

ბაჩა — ასეა, ასე! მე თვითონ გავათავისუფლე, თვითონ გავუდე
 გალის კარი! ისე არაა ჩემი მტერი, ისე არაა ჩემი მოსისხლე მტერი,
 მე თვითონ გამეღო ის კარი. (...) რანევსეაიას ხმით.

Верните мои письма и телеграммы!

გიო — ბაჩა, ძამიკო, ნამონექი რა!

ბაჩა — ნოლა საფლავეშიც მეყოფა! (მღერის)

დართლოელების ქალასა,

ქვეშ დავუგებდი ჩალასა,

ნელი-ნელ მიგანევებოდი

არ დავატანდი ძალასა!

(კოსტა წელზე შეავლებს ხელს და იარაღს ამოაცლის, სწრაფად
 ამოყრის ტყვიერს ჯერიდან, შემდეგ ლულიდანაც ამოაგდებს)

გიო — გთხოვ, ბაჩა!

ბაჩა — ნუ გამინაზდებით, პა დე დე... გთხოვ... გემუდარები, ჩემი
 ბაჩიუნი... ეი, შენ, კოსტა ხარ თუ გიო, იარაღი დამიბრუნეთ და უოშკა-
 ობას თავი დაანებეთ!

კოსტა — ა, ბატონი!

(უბრუნებს ცარიელ იარაღს. ბაჩა ქამარში გაიჩირის. ღიად დარჩე-
 ნილ კარში ბატონი დევი შემოდის.)

დევი — (ტაქტიანად) უდროო დროს ხომ არ...

ბაჩა — აჲ, ამაზე უკეთეს დროს ვერც ინატრებდა კაცი... კოსტა,
 სად არის ჩემი თეთრი თაგუნა? სად არის, ჩემი ბუტა??

გიო — ის ხომ აფხაზეთში დაკარგე!

ბაჩა — (გაჯიუტებული) როგორ, მთელი ომი მხარზე მესვა, მოვი-
 შინაურე ეკიზოპერის მელიის პრინციპით... ჩემი ბუტა, ჩემი თეთრი
 თაგუნა... ის სადღაც აქ არის!

კოსტა — ბაჩა, გონს მოდი, წელინადია ბუტა აღარ ვინახავს!

ბაჩა — არა, აქ იყო და მე ვიცი, რაც მოხდა. იმ ნაბოზარი არტემიას
 არანაკლებ ნაბოზარმა კატა შეჭამა ჩემი ბუტა! კატები რომ თაგვებს
 ჭამენ, დღეს გაიგეთ, არა? ჰოდა, ახლა ჩამოვიდებ ხიდან მავ კახპის
 ნაშობს, არტემიას კატას!

(იარაღს გააძრობს და გვერდითა ფანჯარასთან ჩაცუცქდება,
 ცდილობს, სიბნელეში კატა გაარჩიოს).

დევი — (დინჯად) თუ ისტერიკა აქეს, ერთი კარგი სილაქი და
 უცებ დაწყნარდება!

გიო — (დალლილად) ჩვენ ვერ ვხედავთ ამის აუცილებლობას!



კოსტა — და გთხოვთ, არც თქვენ მიიღოთ ეს საბედისნო უზრუგული დაწყვეტილება!

ბაჩა — (მონადირესავით ჩასაფრებული) სულ ამ ხეზეა, ოჟ, არტემ, შენ გაგავორებ მავ კატის ნაცვლად! (უეცრად წელში გაიმართება და ოფიციალური ტონით მიმართავს დევის) ბატონო დევი, უცაბედად ერთი ბიდონი ვალერიანი ხომ არა გაქვთ?

დევი — (გაევივებული) უცაბედად?

ბაჩა — (გაჯეგიმული) მე მინდოდა მეთქვა, შემთხვევით, სადმე ხომ არ გიგდიათ, ერთი ბიდონი ვალერიანი... ჯანდაბას, ნახევარი ბიდონი?!

დევი — (დაბნეული) ერთი პატარა შუშა მაქს, გნებავთ დალიოთ?

ბაჩა — (ჩაფიქრდება) ერთი შუშა არ მეყოფა!

დევი — (იფეთქებს) აბა ბიდონი ვალერიანი უნდა დალიოთ დასაწყნარებლად?

ბაჩა — (გაევირვებული) მე უნდა დავლიო? (მხარზე ხელს ხვევს დევის) არა, ბატონო დევი... სახურავზე და ხეზე უნდა მოვასხა, რათა ზემოსხენებული და დედაკარგადანამყოფი კატები ერთ დიდ მუშტად შეეკრა. ჯერ კარგი გადარბენა მოუკუნყო უჟმტის სახურავზე არტემის და შემდეგ, ხეზე რომ აცოცდებიან ხსენებული კატები, ერთიანად გაუდინო უუვა!

დევი — მე არ მინდა დავიჯერო, რომ თქვენ ცოცხალ არსებას ეს-ვრით!

ბაჩა — უნდა გატეინოთ გული, მაგრამ დედასაც უტირებ. დავხოცავ, დავმარხავ, შემდეგ მოვინანებ და ცხოველთა დაცვის კომიტეტში შევალ, ან შევაბიჯებ. მოკლედ, როგორც არის!

დევი — ეი მაგრამ რატომ, რას ერწით კატებს?

ბაჩა — (აგრესიულად) რატომ! თქვენ გაინტერესებთ, რატომ?

დევი — (პოზაში დგება) დიახაც, რომ მაინტერესებს, რამ მიგაღებინათ ეს არაადამიანური გადაწყვეტილება!

ბაჩა — (გამომწვევად ჩაიცინებს) რატომ, არა? განა ეს თვითმიზანია?

კოსტა — დაავინწყდა!

დევი — დიახ, რატომ უნდა გაუუჭოთ უწყინარი ცხოველები?

ბაჩა — დღეს მე ამ შეკითხვისთვის მზად არა ვარ!

კოსტა — ხომ გითხარი, დაავინწყდა ის თაგუნა-მეთქი!

დევი — (მალლა ალაპყრობს თვალებს) უცნაურია, ღმერთმანი!

ბაჩა — სად არის ჩემი ბაიანი!

დევი — აქორდეონს ეძებს?

(გიო ბალიშის ძირიდან შპრიცს იღებს სწრაფად)

ბაჩა — მომეცი!

კოსტა — ბაჩა, მთვრალი ხარ, გაგავორებს!

ბაჩა — (ნყნარად) მომეცი, თორემ ფანჯრიდან გადავხტები!



გიო — (ბოლმით) აიღე! (ნახევარს გადაასხამს)

ბაჩა — (კმაყოფილი ართმევს შპრიცს) ნახევარი გადაგისტრა, შექმნია
ცელქ!

კოსტა — ბაჩა, კახას გაფიცებ არ გაიკეთო!

ბაჩა — (შეშლილი სახით) ეს რა იკადრე, შე უნამუსო, კახას მაფი-
ცებ? (ოთახში დააქცევს მთელ ნამალს) დაიღვარე ეშმას სისხლო;
თორემ ჩემს ძმაკაცებს მართლა ნარკომანი ვგონივარ.

დევი — აი, ეს კი კაცური საქციელია!

ბაჩა — (სწრაფად მოუტრინალდება) აჲ და ქალური რა შემატყვეთ,
გამოტყდით, ბატონი დევი? იქნებ ნაზი მიხერა-მოხერა, ან შეფარუ-
ლი პომოსექსშეულ?..

დევი — (მაგიდასთან ჯდება, გიოს მიერ შეკეთებულ ანაშის პაპი-
როსს გაიჩირის პირში და ლრმა ნაფაზებით ეწევა) არა, ეს უკვე მეტის-
მეტია!

კოსტა — (ყნოსავს ჰაერს) ბიჭო, პლანის სუნია!

გიო — (მოტრიალდება და ტარიანით პირდამშევენებულ დევის
რომ შეხედავს, სიცილი აუტყდება) ჩემი შეკეთებული გაუბოლებია!

ბაჩა — (ოთახში დაბორიალობს იარაღით ხელში და რაღაცას
ექცებს) სად არის ჩემი მარადიული სიყვარული, სად? (მაგიდის ქვეშ
ექცებს, შემდეგ ტახტის ქვეშ შეიხედავს) სად არის მარდიული სიყვა-
რული?

კოსტა — არტემიას კატამა! შეჭამა!

ბაჩა — ოჲ, არტემ შენი...

გიო — (გაუგრძელებს) შავი კატა, არტემ-ჯან!

ბაჩა — (უცრად დაყნოსავს და თვალს ძრასავით დაასობს ბა-
ტონ დევის) ვაჲ, თქვენც უქიშინებთ, დევი ბატონო?

დევი — (მიკნავლებული ხმით) რას ნიშნავს უქიშინებ, რატომ მე-
ფა... მეფამილიარებით... ისე მართლა რა გემო აქვს ამ ოხერს! რა არის
ეს, სასაცილო პაპიროსი?

კოსტა — გახლავთ!

დევი — მერე რატომ მანევინებთ!

კოსტა — რა ვიცი, თქვენ თვითონ გაიჩირეთ პირში და...

დევი — (შეშფოთებით) ახლა რა მომივა?

ბაჩა — (ხელებს მაღლა ალაპყრობს) ახლა მოვა დიდი ბუა და...

დევი — ვამე!

გიო — (აწყნარებს) არც არაფერი, ბატონი დევი, უბრალოდ შეე-
ცადეთ რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ!

ბაჩა — და არ ნარმოიდგინოთ, რომ ბულტერიერი ხართ და უნდა
დაგვებინოთ სუსყველა!

დევი — (გათიშული. მოეკიდა ანაშა) ბავშვობაში ხშირად მესიზმ-
რებოდა... მზიანი, ქვიშიანი ნაპირი და ამ გარინდებაში ნამომართუ-

ლი, თვალუნვდენელი, ვეებერთელა ტალლა... რომელიც ჯერ მზეს ფარავდა, შემდეგ მთლად უკიდეგანო ზეცას და რაღაც გამოიყორინა უსუსურობა მეუფლებოდა ამ მეფური სტიქიონის ნინაშე... მოშავო, მოლურჯო მზის ჩამერობი ტალლა... და ეს სიზმარი მდევნიდა.. მაგრამ ერთი კარგი თვისება ჰქონდა...

ბაჩა — სიზმარს?

დევი — აარა, ტალლას... თუმცა, პო, სიზმარს... ბოლო წამს ეს ტალლა, როგორც წესი, იყიდებოდა... ულრი სწორედ, ქვავდებოდა და ოდნავ მორკალულ, თხელ მთას ემსგავსებოდა... მოშავო, მოლურჯო მთა, ზედ თეთრი გვირილებით მოპენტილი... და თვალს რომ ვახელდი, დედის ღიმილი დამნათოდა... შექმუხნულ შუბლზე სულს მიბერავდა... (სახეს ხელებში ჩარგავს)

გიო — (ჩუმად) რა დაემართა?

ბაჩა — დედა მოენატრა!

დევი — (თავს მალლა სწევს) მშია!

კოსტა — ბატონი?

დევი — საოცრად მშია!

კოსტა — (გიოს) აათოხლავა მოსაწევმა!

ბაჩა — ვიქეიფოთ ასე, ფული მიგვიცია,

გინდა იყოს ჩეკა, გინდა მილიცია...

(გიოს დიდი ნატერი პური და ყველი გამოაქვს და დევის აწედის, ის ხარბად იწყებს ჭამას)

ბაჩა — (ჭიქას ჩამოასხამს) ქორნილია, ქორნილი... ლალი, შენს ბედნიერ მომავალს გაუმარჯოს შე.. არა, ვერ შეგაგინებ!

Где же вы теперь,

Кто вам целует пальцы...?!

(სუამს, დაიკენესებს და ჭიქა ხელში შეატყდება)

დევი — (ძემფოთებით) ხელი გაეჭრა!

თეა — (ლია კარში შემოგორდება თავისი „ეტლით“) გაგიუდით, ძლივს ვაკავებ მეზობლებს!

ბაჩა — (ახსენდება) ოჳ, არტემ შენი!

კოსტა — (ბინტს აძლევს თეას) შეუხვიერ ხელი ამ მაზოხისტს!

თეა — სასნაულები მითხრა ექიმმა... სასნაულები! (ხელს უხვევს ბაჩას) თუმცა, ყველას თქეენი პრობლემები გაქვთ, მე კი სულ ერთი და იგივეს გაეიძახი!

ბაჩა — დე გაიხარა პატარა თეამ,

მოიბას თავის ირმის ფეხები...

ქეიფია, ქეიფი!

აბა საკოლმეურნეო დაეცხოთ, მა რა ჩემი ფეხების შარაფისტები ვართ?! (მკლავებს გამლის და ნრეს დაუელის)

კოსტა — (გიტარას მოიმარჯვებს)

ყანა ქალებს ვეღარ იტევს,
 ვარდებივით მოფენილს,
 სილამაზით თვალს მოგტაცებს
 ეს პატარა სოფელი და...

რა ეარგია ჩემი სოფელი!

ბაჩა — (აყვა სიმღერას)
 მზეს ამოსვლას არ აცლიან,
 მზეს ყანაში ხედებიან
 თვალუუშუნა გოგონები
 ვაჟებს ეჯიბრებიან!

(დევი დევბა და გიშურ ტემპში მოცეკვავე ბაჩას დინჯად აყვება.
 კოსტა გიტარას გადმოაბრუნებს და დოლივით აბრაგუნებს)

ბაჩა — (უეცრად რეპულ რეჩიტატივზე გადადის)

კოლექტივო, მხარი მხარს, მხარი მხარს,
 მხარი მხარს... მიუყვეთ ტრაქტორების ჯარს
 მხარი მხარს... მხარი მხარს... მხარი მხარს

(ცეკვას რეპს, თან ზანგური, ოდნავ ორანგუტანგული ხელის
 მოქნევით აძლევს რიტმს. კოსტა მოულოდნელად ამ უცნაურ რეპს
 სტილი ვუანდერის „განგსტერზ პარადაიზის“ ჩაურთავს...)

დევი — (უეცრად აპარატზე, სავარაუდო ფანჯარასთან ჩერდება,
 ნამით ყბა ჩამოუვარდება და ჩურჩულით ამბობს) ეს რა მომანევი-
 ნეთ? ეს რა მომანევინეთ?

კოსტა — (წყვეტის დოლის დაკვრას) რა მოხდა, დევი ბატონი!

დევი — შეხედეთ, შეხედეთ... ფრინავს... მფრინავი.

ბაჩა — (არხენიად) მფრინავი თეფშია? ორი ნაფაზიც და თქვენც
 იფრენთ, დევი ბატონი!

დევი — (ჩურჩულით) ნია ფრინავს... ნია ფრინავს და ტირის!

კოსტა — (ინტერესით) ბეიბისითერი ტირის?

დევი — (ქალის ხმით) მიშველეთ!

(ბაჩა, გიო და კოსტა ფანჯარას მიეჭრებიან)

კოსტა — ვაიმე?

ბაჩა — (გაოგნებული) სახლის გარშემო ფრინავს და ტირის!

გიო — (ყბაჩამოვარდნილი) ნია... ნია ფრინავს!

დევი — მიშველეთ... მომაცილეთ ეს გალუცინოგენი!

ბაჩა — ლოთიანად... ერთდროულად დავიზმენდით?

გიო — (გათიშული) ნია დაფრინავს და ტირის!

ნიას ხმა — რატომ გაიკეირვეთ, ბატონებო... თეა, არც შენ შეგე-
 შინდეს, ზოგი როცა ტირის, ებილებს იფერავს, მე როცა ცრემლი
 მდის, ფრენა მიყვარს... ნუ ნუხხართ, არაფერი მომივა... გულს ვაყო-
 ლებ მხოლოდ... მოდი, ერთად ვიმღეროთ... (მღერის)

მალლა ცაში ავტონდები, გადმოვხედავ ქვეყანას, მაგრამ ვერსად



ვერ შევხედები ჩემი სამშობლოსთანას!

(დარეტიანებული ოთხეული ჩუმად აყვება — ორერო რენატა რენატა
რო რერო ორერო რერო რანუნი...)

(დევის ოთახი. მაგიდა, სკამები, ტახტი. მაგიდის ფეხს ორლულია-
ნი, გადაჭრილი თოფი აქეს გამობმული თოკით ჩახმახზე)

დევი — (კარზე კაკუნი აფხიზლებს, დევი და კარს აღებს) მოდი,
ბაჩა, მადლობელი ვარ, ჩემთვის რომ მოიცალე! (პირსახოცს დააგ-
დებს თოფზე).

ბაჩა — (სავარძელზე ჯდება და გულგრილად შეავლებს თვალს
პირსახოციდან გამოჩრილ ლულას) რა ლამაზად იფრინა გუშინ ბეი-
ბისითერმა, არა?

დევი — დღესაც სიზმარი მგონია... და ის პარალელური სამყა-
როც, ეინ ნარმონიდენდა? (ამჩნევს, რომ ბაჩამ ჩათვლიმა) შენ რა, კა-
ეფში ხარ?

ბაჩა — (ფხიზლდება) არა, მხოლოდ უძილარი! ეს აბრეზი საიდან?

დევი — სხვენზე ეიპოვე!

ბაჩა — (ინტერესით) თავის მოკელას აპირებთ?

დევი — (გაოგნებული) რა მარტივად კითხულობ ამას?

ბაჩა — აბა, როგორ გაგირთულოთ? ეს ვისი ნახატია?

დევი — (კიდევ უფრო დაბნეული ამ მოულოდნელი გადასვლით)
მოგწონს?

ბაჩა — დიახ!

დევი — (უხალისოდ) ერთმა ქალმა დაკიდა... ავტორი უცნობია!
ისე, მართლა არის რაღაც სპონტანური...

ბაჩა — მოვწევ, თქვენი ნებართვით!

დევი — ეი, ბატონო, აგერ საფერფლე...

(ბაჩა სიგარეტს უკიდებს და კვლავ ჩათვლებს)

გინდა გაჩუქრო?

ბაჩა — (თვალს ახელს) საფერფლე?

დევი — არა, ნახატი!

ბაჩა — მემკვიდრეობაში მომიხსენიერ!

დევი — (ცივად) რატომ მელაპარაკები ასე?

ბაჩა — იმიტომ, რომ ბევრს ეიცნობდი, ვისაც ძალიან უნდოდა სი-
ცოცხლე, მაგრამ... (მელავებს შლის).

(უეცრად ნამოხტება და მუხლებში ჩავარდნილ სიგარეტს იღებს)

აუ, კინალამ ამოენეო სავარძელი!

დევი — ვალერიანის ბიძონი თუ იშოვე?

ბაჩა — (გაკვირვებით) რატომ უნდა მეშოვა?

დევი — კატების მოზიდვას აპირებდი, ვერ სახურავზე უნდა მო-
გესხა და მერე ტირიფზე!



ბაჩა — (ინტერესით) ვალერიანით? რისთვის?

დევი — ერთად რომ შეგეერიბა და დაგეხოცა კატები!

ბაჩა — პოო, მნიშვნელ უყოფილვარ გუშინ... ისე, ჩაკაეფებულებული არის მოახდენდა, მაგრამ დახოცავა?

დევი — არტემას კატამ ჩემი თაგუნა შეჭამაო!

ბაჩა — ჩემი თეთრი ბუტა... ის ხომ ტამიშთან დავკარგე, მოელიო ერთად გავიარეთ... ყველაფერი გასაგებია!

დევი — რა არის გასაგები?

ბაჩა — გავრეე ეტყობა სიმთვრალეში! მდაა... (ისევ ჩაყვინთავს, უეცრად ნამოხტება და სიგარეტისაგან გაბნეულ ნაპერნელებს იქ-რობს შარვალზე)

ბაჩა — ისე არტემა და მისი კატა კია დასახრჩობი ვალერიანის ბი-დონში!

დევი — რას ერჩი?

ბაჩა — ქეყებანა თავზე გვენთხეოდა და ეგ თავისი გაოფლილი ცო-ლით დუბაიდან დუბაიში...

დევი — (ერთობა ბაჩასთან საუბრით) კარგი, ეგ და მისი გაოფლი-ლი ცოლი დუბაიში ვაჭრობდნენ, კატა რა ძუაშია?

ბაჩა — კატაც თან დაპყავდათ.

დევი — მერე რა?

ბაჩა — მერე ის, რომ კატაც თანამონანილეა! (უეცრად ეცინება) რაღაც ვერ ავანეცეთ დიალოგი! ჯანდაბას არტემა თავისი კატით... თქვენ მითხარით, საუბარი მინდა შენთანო და აი, მეც მოვედი!

დევი — (უმწეოდ) იცი, მე მაინც ვერ ვხვდები, როდისა ხარ სერი-ოზული და როდის ლადაობ? მოდი, პატარა გამოკითხვას მოგინყობ!

ბაჩა — რა გაინტერესებთ?

დევი — ამ ორი ნილის ნინ შენი ინტერვიუ წავიკითხე და ძალიან დავინტერესდი შენით... შენი მეგობრებით...

ბაჩა — რაღაც გინდოდათ გეეკითხათ?

დევი — ვინ არის შენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?

ბაჩა — ალუდა ქეთელაური!

დევი — არა, უცხოური კლასიკიდან!

ბაჩა — მერკურიო!

დევი — მერკურიო?

ბაჩა — დიახ. გიოს სტენდალის ფაბრიციო უყვარს, კოსტას...

დევი — არა, მე შენი მაინტერესებს?

ბაჩი — ყველაზე ყველაზე?

დევი — ჰო!

ბაჩა — დონ კიხოტი! ლექსიც კი დავნერე მერვე კლასში დონ კი-ხოტზე და, მორიგ პედსაბჭოზე რომ გამიყვანეს, ლიტერატურის მას-

ნავლებელს დონ კიხოტი და დონ უუარი აერია. ჰოდა, გამლანდეს ჩა-
ადრევი სექსუალურობის გამო. დონ უუანზე ნერს ლექსებსთა კარებული
დევი — კარგი მასწავლებელი გყოლიათ ლიტერატურაშის კარისუა
ბაჩა — ჰო, ჯიგარი იყო. პოტებს პესიმისტებად და ოპტიმისტე-
ბად ჰეყოდა.

დევი — იცი, ისე არ მინდა ნავიდე, რომ რაღაცებში არ გავერკვე!
აი, თქვენი სამეცნიერო... ზოგი დაგელუპათ, ღმერთმა ნათელში ამყო-
ფოთ... შენ და შენი ძმაკაცები... იჯაბიშვილები, რაინდები, ლამაზები,
ნიჭიერები... ყველაფერი უხვად დაგაბერტყათ განგებამ... თქვენი პო-
ეზის საღამოები, გამოფენები, ზაფხულობით ტაძრების აღდგენაზე
მუშაობა, სპორტი... ულამაზესი ქეიფები, ნარმტაცი გოგონები
თქვენს გარშემო... ცნობილი ძველი ბიჭების პატივისცემა. მშვენიერი
ბორემა და თან უკვე სერიოზული განაცხადო საზოგადო მოღვაწეო-
ბაზე...

ბაჩა — (გულწრფელად გაევირვებული) და ეს ყველაფერი ჩვენ?
ახლა მართლა ჩავკაეფიდი, განაცრეთ რა!

დევი — სად გაქრა ეს? ჯერ იმ ბენდიანებმა გაჯობეს ენერგიით,
ნატოს ჯარების დახმარებას რომ გვპირდებოდნენ, მერე ერთმანეთს
დაუწყეტ სროლა, თან სამიაჩიბლო, აფხაზეთი... პოლიტიკას განერი-
დეთ, პარტიებში არ შეხვედით... ამავე დროს სულ ცეცხლის ნინა ხაზ-
ზე იყავით... და ფინალი... ნებსით თუ უნდღიერ დეგრადირებული,
ხელჩანეული, განარკომანებული, ნახევრად თუ მთლიანად კრიმინა-
ლური...

ბაჩა — ამოისუნთქეთ, ბატონონ დევი, რა ქადაგად დავარდით?

დევი — არა, მე მერე ჩემსასაც გეტყვი...

ბაჩა — არა, ჯერ მე გეტყვით!

დევი — (გამომწვევებად) რას?

ბაჩა — რას და ატრაკებთ და გიხარიათ!

დევი — (გაოგნებული) ბატონონ?

ბაჩა — ატრაკებთ და გიხარიათ-მეთქი!

დევი — ევ შენი ვირობა განზე დარჩეს... ვთქვათ, ვახურებ, მაგ-
რამ რატომ უნდა მიხაროდეს?

ბაჩა — ევ გამოთქმა ასეთი... ისე, თქვენი პროკურორობადა აკ-
ლდა ახლგაზრდებს! თან ყველაფერი ნათევამია, ცილისწამება... მარ-
თალი, ტყუილი ისე აიგლისა ერთმანეთში, რომ... თანაც ვერ ვიტან
თაობის სახელით ლაპარაკს... (პაუზის შემდეგ) ისე, მართლა ასეთ
დეგენერატებად გამოვიყურებით თქვენს თვალში?

დევი — რას ამბობ, არის ლირსეული, ჯანსაღი ნანილი...

ბაჩა — ჰოდა, იმ ნანილს მოუარეთ თავის მოკვლის ნაცვლად!

დევი — აერძალულ ილეთებს ხმარობ... პირიქით-მეთქი, მე ვამა-
ყობდი თქვენით, რაც ცხრა აპრილს თქვენ იმ ჯალათებს ეომეთ...



ბაჩა — ჰო, მაგრა გადაგვიარეს!

დევი — არც თქვენ დააკელით... ვმირებად გთვლიდათ ყველა! წევემი მომარისებული ქალები... თხელი, უმნეო ქალები!

დევი — კარგია თავმდაბლობა, მაგრამ რამდენიმე პირადად შენ გადაარჩინე... გაზეთშიც ენერა მათი მადლობა!

ბაჩა — (ჩაიცინებს) ერთს გავახსენდი კიდეც. ნერილი მომნერა ნუკელა-კრულები სავსე!

დევი — შენ მიერ გადარჩენილმა ქალმა?

ბაჩა — ჰო, ჩემს შეიღს შენს მაგალითზე ვზრდიდი, ახლა კი გნეული, როგორც ნარკომანს და ხულიგანსო... თან დაამატა, არ ვე-გონის ჩემი ძუძუები გლოცავდნენო.

დევი — გახსოვს ის ქალი?

ბაჩა — აბა საიდან? იმდენი მირტყეს ერთი თვე, ჭერში ვიღიმებოდი! (ჩათვლემს და ფხიზლდება) არა, მისი ძუძუები რაღა შუაში იყო?

დევი — ვისი?

ბაჩა — იმ ქალის, ეპისტოლარული უანრი აღადგინა!

დევი — უპასუხე?

ბაჩა — რა უნდა მეპასუხა? ქალბატონო, გავიგე, რომ მენსტრუა-ციული ციკლი დაგერლვათ, სირცხვილი თქვენს ეროვნულ თვითშეგნებას?

დევი — (ელიმება) ეგ რაღა შუაშია?

ბაჩა — აბა ვისი რა საქმეა, მე თუ ავად გავხდი?

დევი — არა გაქეს შენ მაგ ავადმყოფობის უფლება!

ბაჩა — აი, თქვენც ჩემს მაგივრად ნუკეტო... ისე, ხვალიდან ეგეც მორჩება!

დევი — როგორ?

ბაჩა — ნიამ რაღაც ბლოკი ჩაუდგა გიოს და ახლა მეც მემუქრება, ნემსს დასანახად ვერ აიტანო!

დევი — ბლოკი? სად?

ბაჩა — (გალიზიანებით) ტვინში... ამ ჩვენს უტვინო ტვინში! გიო უკვე შერყეული დადის, როგორია ფხიზელი თვალით ამ ცხოვრების ცერა?

დევი — (ჩაფიქრდება) გოგონას, რომელსაც ფრენა შეუძლია, ალ-ბათ...

ბაჩა — (აწყვეტინებს) კი, ეგეც შეუძლია ბეიბისითერს!

დევი — ისე, თუ ატყობ, ბაემვებიც აღარ გვიწყობენ ოინებს!

ბაჩა — ჰო, დიდმოთვარობა ახლოვდება. ნიას იმედი აქვს, რომ უკან დაბრუნდებიან...

დევი — (სევდიანად) იმ ნანატრ საქართველოში?

ბაჩა — ნარმოიდგენდი ოდესმე, რომ არსებობს სხვა, მშვენიერი

პლანეტა...

ბაჩა — მე უფრო გასაკეირს ვერ ნარმოვიდგენდი...

დევი — რას?

ბაჩა — რას და რაც ამ ბოლო წლებში მოხდა! მაგრად გაეშაყირდით! თავი არ დაგვიზოგავს... ვისწავლეთ, ვიწრომეთ, ვიომეთ... დღეს კი უცხო სხეულებად ვართ მიჩნეული საკუთარ ქალაქში... და ეს საყვარელი ქალაქიც უცხო გახდა... რატომ ტეხავთ ყველაფერს ახლგაზრდებზე... ენის დაცვიდან მოყოლებული დავით გარეჯამდე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... იყო, მოდიოდა თაობა, თაობები, რომლებიც მზად იყვნენ ლამაზი, ლალი, თავისუფალი ცხოვრებისათვის... დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა, ჩვენი თავი ჩენვე უნდა გვეყუდნეს... მოვინდომეთ და ისეთი ჩაგვაფარეს თავში, რომ აქამდე დაელმებული დავდივართ! ფერი, ფერი ჩანვა მინაში ქართველი ბიჭების, პროფესიონალ მოტირლებად ვიქეცით და რისთვის? რისთვის? მესმის, რომ ამ გზას, რაც სხვა ერებმა საუკუნე მოაწყობეს, ერთბაშად ვერ გავიკლიდით, მაგრამ სად იყო თქვენი, უფროსი თაობის სიბრძნე და გამჭრიახობა, სისხლი რომ გვარწყევინეთ და ახლა, ნარქომანებს, მაროდიორებსა და მკვლელებს გვეძახით... ასეთებიც იყვნენ, მაგრამ რაღაც დიუქრენცირება ხომ იყო საჭირო, ერთ ჯოჯოხეთის ქვაბში რომ გადაგვიძახეთ?! მე რომ დავიბადე, უკვე ბოლშევიკი მეჯდა ხიმტით აკვანთან...

დევი — რაიმე დიდ შეკითხვას თუ უსვამ საკუთარ თავს?

ბაჩა — (უხერხულად შეიძმუშნება) მაქვს ერთი შეკითხვა, რომელიც მანვალებს.

დევი — რა შეკითხვა, შეილო?

ბაჩა — რატომ ითვლება ტიტველი თეთრკანიანი ქალი პორნოგრაფიად, ხოლო ასევე შიშველი ძავებიანი ქალი ეთნოგრაფიად?

დევი — (წყნარად) მორჩი მაიმუნობას! გია აბესაძემ თავი დაინვარუსთაველზე, ერთმანეთს არ ესროლოთთ... ეს ეროვნული ენერგია, ნევთნევთად ნაგროვები თქვენი ნინაპრების მიერ, მთელი ქვეყანა რომ უნდა აეძრდლებიალებინა, კანალიზაციის ლუქში გადაასხით...

ბაჩა — ისნავლეთ რა პირველ პირში ლაპარაკი... მაგალითად, გადავასხით... ჩაიკიტეთ და ასე შემდეგ!

დევი — პირველ პირში კი არა, პირველ რიგში ჩემს თავს ვამტყუნებ და მიტომაც გამოვუტანე განაჩინი!

ბაჩა — (რბილად) ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა...

დევი — (გამოცოცხლდება) რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება... 66-ე სონეტი! 68-ის პირველი სტრიქონი გახსოვს?

ბაჩა — არა!

დევი — შენ რატომ უნდა არსებოდე ამ ბინძურ დროში?!

ბაჩა — ეგ სამოცდამეშვიდეა!

(კვლავ ჩაყვინთავს)

დევი — (მოშლილი) გაიღვიძე, ბოლოს და ბოლოს!

ბაჩა — (შეერთება) შეიძლება ასე გულის გახეთქვა, ბატონი დევი? (დაიხედავს) ისე, სულ ამოვნვი სავარძელი... არც ჩემს შარვალს დავაკელი! თქვენ რომ პასუხებს თხოვლობთ, ყველაფერი ნათქვამია უკვი!

დევი — (მეაცრად) თუ ყველაფერი ნათქვამია, როგორლა წერთ მწერლები?

ბაჩა — სიტყვები უთვალავია, იოლია მათი კომბინირება, მე უფრო მუსიკოსების მიკეირს, სულ შეიძიო ბგერა აქვთ და მაინც აჩალიჩებენ რაღაცა!

დევი — არ მოგნებინდა ლადაობა?

ბაჩა — არა!

დევი — აი, ჩემს ასაქს რომ მიალნევ...

ბაჩა — (იფეთქებს) მერე და ვინ აპირებს ამ თქვენს ასაკამდე მიღევას?!

დევი — (შეშფოთებული) შეილო, შენ მგონი ჩემზე უფრო ცუდად ხარ!

ბაჩა — ვინ არის დღეს კარგად? სქელეანიან ახერებს არ ვგულისხმობ... და საერთოდ, ეს თევითმიზანი არ უნდა გახდეს, კარგად ყოფნა. ნარკომანია ეგ არის, სხვა კი არაფერი... მაგრამ მერწმუნეთ, ბატონი დევი, ის დროც მოვა, როცა კარგად ვიქნებით...

პო, მართლა, ტყვიები მოგიტანეთ!

დევი — (გაოგნებული) რა?

ბაჩა — ვაზნები მოგიტანეთ... თორმეტი კალიბრი?

დევი — რატომ?

ბაჩა — თქვენ არ მთხოვთ?

დევი — (ტყვილით) შენ ხომ იცი, რისთვისაც მჭირდება?

ბაჩა — ხათრი ვერ გაგიტეხეთ... თქვენ ისე მყარად გადაწყვიტეთ თავის მოკვლა, რომ...

დევი — მომეცი ვაზნები!

ბაჩა — (უწვდის ორ ვაზნას) ინებეთ! ისე, როგორ გგონიათ, კასტანედასავით იტყვიან თქვენზე?

დევი — (ვაზნებს ათვალიერებს) რას?

ბაჩა — მას ალარ ჰქონდა დრო, ამ ლამაზ უდაბნოში სარბენად! აიხადეთ თავის ქალა, ბატონი დევი, ვინმეს შეიძლება შეეცოდოთ კიდეც!

დევი — (ყურადღებით აკვირდება) არა მჯერა...

ბაჩა — გამოგიტყდებით და თქვენს ხარჯზე გაფართოებასაც ვაპირებთ... ამ ოთახს შევიერთებთ!



(პაუზა)

დევი — მე არავის ეყვარებივარ... ძალლიც არ მყოლია... ერთხელ გადაიღოდა
ბაჩა — კატა?

დევი — (კვლავ ყურადღებით აკვირდება) მე მეგონა კატების თე-
მა ამოენურეთ!

ბაჩა — ჴო, ბრიჯიდი მიხედავთ მაგათ!

დევი — (კვლავ ვაზნებს ათვალიერებს) ვინ ბრიჯიდი?

ბაჩა — (დაყვინთავს) ბართო!

დევი — მაშ ვაზნები მომიტანე, ხომ?

ბაჩა — დიახ. გიმეორებთ, მე თქვენ მაღიზიანებთ, იმიტომ, რომ
ბევრს ეიცნობდი, ვისაც სურდა სიცოცხლე, მაგრამ თავი განირეს რა-
ღაც პრინციპების გამო... თქვენ კი ელემენტარული ნარცისი ხართ!
ისე საკაეფოა თვითმეკვლელობის ზღვარზე ცხოვრება!

დევი — (ვაზნებს ლულებში აწყობს) მაშ, შე ლანირაკო, ნაქცეულ-
ზე გეეაფება პარადის გამართვა?!?

ბაჩა — იქით განიეთ ლულა, თუ არ შენუხდებით!

დევი — რომ არ გაენიო და შევნუხდე?!

ბაჩა — რა, მეგზური გჭირდებათ ჯოჯოხეთის გზაზე?

დევი — არა, მაგრამ ერთს მაინც გაგამნარებ!

ბაჩა — ეს როგორ?

დევი — გაყურებინებ... გაყურებინებ!

(სახესთან მიიტანს იარაღს და ორივე ჩახმახს გამოჰკრავს. ისმის
ტკაცანის ხმა. იქვე ბაჩა სნრაფი მოძრაობით „აფეთქებს“ „ხლაპუშ-
ქას!!!“)

ბაჩა — ჴოპლა, ჩვენ ეცოცხლობთ!

დევი — (სროლის დროს უკან გადავარდა და ახლა სახეებამურული
და გაშტერებული იატაკზე ნამოჯდება) რა მოხდა? ეს რა გამიერეთ?

ბაჩა — მოდით, ისტერიის გარეშე!.. ვაჟეაცი არა ხართ? ეს ხომ
მაინც თქვენი პრინციპული ქმედება იყო! ხომ დაუმტკიცეთ საკუთარ
თავს, რომ შეგიძლიათ... ახლა დაივინყეთ ეგ უაზრო აკვიატება და
იცხოვრეთ! როგორც დარწმუნდით, არავითარი სიდიადე ამ აქტს არ
ახლავს... არავითარი ზეიმურობა!

დევი — შენ იცი, ჩემო კრეტინო ფსიქოთერაპევტო, რომ მაშინ,
ცხრა აპრილს... მოკლედ, ვიდექი ბეტერებისა და ჯარის ნინაშე და
ვფიქრობდი, აი, ჩემი ვარსკელავის საათი, აი ჩემი ტულონი, არკოლეს
ხილი! მოელი ცხოვრება ამ ნამისათვის ვემზადებოდი! და გავიქეცი!

ბაჩა — ბატონო?

დევი — გავიქეცი!

(ტირილი უტყდება)

ბაჩა — (მის გვერდზე ჩამოჯდება და დევის თავს მხარზე მიიღებს)
ეგ არაფერი... მეც გავიქცეოდი, მაგრამ ვერ მოვასნარი!

**დევი — (ტირის) ტყუი... შენ და შენმა მეგობრებმა თავი შეაკა-
ლით...**

**ბაჩა — არეოლეს ხიდი, დოდის ხიდი... თქვენ ბონაპარტისტიც ყო-
ფილხართ! სწორედ ამისი მეშინოდა, თქვენი პათეტიურობის! სულ
ველოდი, როდის დადგებოდით ხორავას პოზაში და ოტელოს მონო-
ლოგს ნაიკითხავდით!**

დევი — (თავს ნევს) რა მონოლოგს?

**ბაჩა — აა, იმ ვენეციელზე, მახვილი ვთხარეთ, რომ ამბობს! და
მერე... რატომ გადანყვიტეთ, რომ არავის უყვარსართ, ჩვენ გვიყვარ-
ხართ, გოს, კოსტას, თეას... ნიას!**

დევი — (ცდილობს გაიღიმოს) არტემას?

**ბაჩა — აი, უკვე ალარ ვიცი... ან რატომ უნდა უყვარდეთ ახვარ
არტემას ეს ინტელიგენტი ადამიანი? ეგ კასტური შეუსაბამობა იქნე-
ბოდა! ბოლოს და ბოლოს ნიას გაყევით იმ საოცნებო საქართველოში,
ოლონდ ეგ ძირმაგარა ამოიგდეთ სულიდან!**

დევი — მაშ ეს სადისტური ცირკი ჩემს გადასარჩენად მოაწყვე?

ბაჩა — ცირკს ეძახით, ამხელა სიყვარული გამოგიცხადეთ?

**დევი — (პაუზის შემდეგ) გმადლობთ! შენ, ბაჩა, შენ გაქვს რამე
დიდი ოცნება?**

**ბაჩა — (დაუფიქრებლად) მაქსე! მინდა ვინვე თეთრ კუბოში და
საქართველოს შევართი გოგონები ცრემლით დანამულ უხმარ პრე-
ზერვატივებს მაყრიდნენ!**

**ბაჩა — (მღერის) თუ დავეცე, ნუ მიტირებთ დანანებით... არა,
სხვა სიმღერას გიმღერებთ. გიმღერებთ და გიცევებთ!**

(დება და ფეხების ბაკუნით მღერის)

უოუომ ბატკანი იყიდა,

ხუჭუჭა, თეთრი, ბაკუნა...

ადექით და ჩემთან ერთად აბაკუნეთ ფეხები!

**(აყენებს გაოგნებულ კაცს და მასთან ერთად ფეხების ბაკუნით
მღერის)**

უოუომ ბატკანი იყიდა, ხუჭუჭა, თეთრი, ბაკუნა!

გაიგო უოუოს სიმამრმა, კარებზე მიუკაკუნა:

უოუო დაკალი ბატკანი! ან ხორცი მომე ან ტყავი...

(სინათლე ქრება)

**(ყველა, დევის გარდა, ბიჭების ოთახში შეკრებილა. თავის „ეტილ-
ში“ ჩაფიქრებულ თეას გვერდზე კოსტა უზის და ნენარად უკრავს გი-
ტარაზე. გიო კვლავ ჯოხსა თლის, კუთხეში შეყუშული ბაჩა ცდი-
ლობს ცხვირსახოცით გადაჭრილ მელავში ნემსი გაიკეთოს, მაგრამ
უშედეგოდ. ნია ბოლთას ცემს, შემდეგ გიოსთან მიდის და მხარზე
ადებს ხელს)**

ნია — გიო, უთხარი ბაჩას, რომ ვერასოდეს გაიკეთებს, წერა აუცილებელი ტობს, თანაც ბავშვებმა გაიღებდეს, ოთახში შემომყავს! გიო უთხარი გიო — (ბაჩასთან მიღის) რას ჩალიჩობ, სურვილიც ხომ გაგიქრა!

ბაჩა — (საწყლად) ვამონმებდი, მართლა ასეა თუ არა! ლომეაც გამიქრა, მაგრამ როგორია იდიოტური სიფხიზე?

გიო — როცა მიგეჩვევით, აღარ იქნება იდიოტური!

ბაჩა — შენს პირს შაქარი... ჩავაგდებ აბა ნაგვის ყუთში! (მოწყენილი გადის)

ნია — ბავშვები, შემოდით! (კარს ალებს)

კოსტა — (თეას) ხომ გავაკეთეთ გუშინ ათი ნაბიჯი, დღეს რა და-გემართა?

თეა — (თმაზე უსვამს ხელს) მეშინია! უსირცხვილოდ ბედნიერი ვარ! გიო!

(იღებს უკვე ნაცნობ კონვერტს და გიოს აწვდის) აიღეთ თქვენი დოლარები, დიდი მადლობა, მაგრამ აღ-არ მჟირდება!

გიო — დაიტოვე! ეს ჩეენი მზითევია, დაიკო!

(პირდალებულ თეას ხელი უშეშდება, კოსტა კვლავ გიტარას ააუ-დერებს)

ბაჩა — (შემოდის, სკამზე დაჯდომას აპირებს, მაგრამ უხილავი ბავშვები სკამს გამოაცლიან და ბიჭი იატაქზე ეპერტყება)

ოჳ, გხედავდეთ მაინც, ან ყური მომცა ხელში რომელიმესი... ნია, ბეკრი დარჩა დიდმოთვარობამდე, ეს ბანდიტები რომ გავისტუმროთ!

ნია — (მკაცრად) თუ ასე იცელებეთ, იცოდეთ... იცოდეთ...

ბაჩა — კარგი, დაანებე თავი... ნერვიულობენ ლანოები!

ნია — (საათზე დაიხედავს) ნახევარ სათში... უნდა მოვემზადოთ... დევიც ხომ მოვა?

ბაჩა — მოვა, მოვა, წუ ლელავ!

ნია — ყველას ენერგიაა საჭირო!

გიო — ჩეენ რა უნდა ვქნათ?

ნია — ხელი უნდა ჩავეიღოთ ერთმანეთს და ბავშვები შუაში მო-ვაქციოთ...

ბაჩა — ზილინას პონტია!

ნია — მერე მოჰლი სულიერი ენერგია ამ სივრცეში უნდა ნარე-მართოთ... და ბოლოს გაჩნდება თეთრი კაშკაშა სვეტი... ეს სინათლის სვეტი ნაიყვანს ბავშვებს!

გიო — შენ?

ნია — (ყურადღებით შეხედავს) მერე მე ჩავდგები ნრეში!

გიო — გასაგებია!

თეა — ბავშვებო, როგორ მინდა მოგეფეროთ, მაგრამ ვერ გხე-დავთ!

ბაჩა — მე კი როგორ მინდა გაგტყიპოთ, თქვენი შიშით სკამზე

რომ ვეღარ ვჯდები. (უეცრად იცინის) უპ, თქვე ლაწოებო!

ნია — (შეძლოთებით) ჩაიდინეს რამე?

ბაჩა — (ჩაიცინებს) ორივე ლოყაზე მაკოცეს!

(ტელეფონის ზარი. კოსტა ყურმილს იღებს)

ლალის ხმა — კოსტა ხარ!

კოსტა — გახლავართ?

ლალი — როგორ გიკითხო?

კოსტა — რატომ უნდა მიკითხო, რო?

ლალი — გასაგებია! ბაჩას სთხოვე!

ბაჩა — (ყურმილს იღებს) გისმენთ!

ლალი — გამარჯობა!

ბაჩა — გაგიმარჯოს!

ლალი — მაღლობა მინდოდა მეთქვა...

ბაჩა — ბატონ?

ლალი — იმ დღეს... შენი ჯენტლმენობისთვის! მე ვიჭიქრე, დაგვიშვა პარაბელუმი-მეთქი!

ბაჩა — მაგას დამსახურება უნდა!

ლალი — სროლის ლირისიც არა ვარ?

ბაჩა — (რბილად) რა გინდა, ლალი?

ლალი — რაღაც პრაქტიკული საკითხებია... ბინაზე... ნივთებზე...

ბაჩა — დაიტოვე ეგ ბინაც და ნივთებიც!

ლალი — არა, ბინა არ მინდა, მაქვს! უბრალოდ, მოვალედ ჩავთვალე თავი...

ბაჩა — არავითარი ვალი არა ვაქვს. რაც შენთვის ძვირფასია, ნაიღე. გასაღები ხომ არ დაგიკარგავს?

ლალი — არა! მაგრამ... რა ფხიზელი ხმა ვაქვს?

ბაჩა — ლალი, მაპატიე, ვჩერობ!

ლალი — არც მეეგითხები, როგორა ვარ?

ბაჩა — როგორა ხარ?

ლალი — კარგად, მაგრამ ცოტა დაბნეული... ჴო მართლა, განქორნინების ქალალდი არ გვექირდება?

ბაჩა — არა, ჩვენ ხომ ჯვარი გვაქვს დანერილი, ზაგსი არ ყოფილა.

ლალი — ჴო, თუმცა... შენ რას აკეთებ?

ნია — (ნაზი ხმით ჩაულაპარაკებს ბაჩას ყურმილში) ვის ელაპარაკები ამდენ ხანს? მომენატრე უკვე!

ლალი — (ცივად) შენ დროს არ კარგავ თურმე, მე კი ვლელავდი, როგორ არის-მეთქი!

ბაჩა — (ეცინება) დაქალი ლადაობს!

ლალი — (აგრძელებს იმავე ინტონაციით) ფან-ფან-ტიულპა-ნიზმს არ კარგავ!

ბაჩა — (უცირად ეცინება) აქეთ მებუტები?

ლალი — არა, ეკი არ გებუტები...

(კოსტა ყურმილს უკიდებს ბაჩას)

ბაჩა — (რისხევით) რას შერები?

კოსტა — ახლა მაინც მიხვდი, რომ კატა?

გიო — არ შეგეძალოს არტემას კატაში!

(კვლავ ტელეფონის ზარი. ბაჩა ყურმილს იღებს. ყველა მას შესცერის)

ლალი — ერთი შეკითხვა მაქვს და თავს დაგანებებ!

ბაჩა — ბრძანე!

ლალი — შენ დამიკიდე ყურმილი თუ...

ბაჩა — მე დაგიკიდე!

ლალი — აბა, მშეიდობით გევლოს!

ბაჩა — კარგად იყავო!

(კიდებს ყურმილს)

კოსტა — გილოცავ სვაბოდაზე გამოსვლას, ძმაო!

(უცირად რაღაც ძალა შემოანგრევს კარს და ოთახში იარაღმომარჯვებული გელა და მისი უსიტყვო მეგობარი შემოვარდებიან. გელას ცალ ხელში იარაღი უჭირავს, მეორეში კი მოკაუჭებული რკინა, "გელას" რომ ეძახიან ძეელი ბიჭები)

გელა — (იარაღს ათამაშებს ხელში) გაუმარჯოს კამპანიას!

(დაბალი და უსიტყვო აუტომატს გადატენის)

გიო — (დანას გახსნის) გელა გელათი აღებს კარებს!

გელა — ნამალი მაგიდაზე და მერე ვიფიქრებ, სად გესროლო!

(უცირად კარებში ორლულიანი თოვით შეიარაღებული ბატონი დევი აისვეტება)

დევი — დაყარეთ იარაღი, თორემ დაგაცივებთ ორივეს!

გელა — (თავს მიატრიიალებს მისკენ) აორთქლდი, ბაბუ!

დევი — (უმწეოდ) გაგაბაბუებ მე შენ!

ბაჩა — გერასიმებ გვითხრას ორი სიტყვა და ნამალი შენია!

ნია — აჲ, ბავშვებს ვერ ვაყურებინებ ამას!

(ორივე ხელს გაიშვერს და ადგილზე აშერებს გელას და მის უტყვი მეგობარს)

გელა — (გაოგნებული) რა მოხდა?

(კოსტა მხრებს იჩეჩავს) **კოსტა — (მიდის მათთან და იარაღებს ჩამოართმევს) რა და გაგაშეშეს, კუკუშ!**

გელა — ჰიპნოზია?

(კოსტა მხრებს იჩეჩავს)

სთხოვე, ამიხსნას რა?

(ნია — ახლა მე მიყურეთ! (გადის და შეფუთულ ნამლის ბურთს იქვე მდგომ ვარცლში აგდებს, შემდევ ბოთლიდან რაღაც სიოხეს ას-

ხამს წამალს)

გელა — (დაიქსუტუნებს) რა დაასხა? ნავთია?

კოსტა — ჴო, ნავთია!

გელა — წამალს დაასხა?

(ნია ასანთს გაკრავს და ცეცხლს უკიდებს ნავთიან ოპიუმს)

რას შერება, ძმებო, გააჩირეთ, წამალს წვავს!

ბაჩა — ლამაზდ კი ინვის ოხერი!

ნია — (ხელს აუქნევს გაშეშებულებს და ათავისუფლებს მათ) ახლა კი წადით!

(გელა და მისი მეგობარი გონის მოდიან, ვერ ვარცლს ჩააჩირდებიან, შემდეგ ოთახში მყოფებს)

დაბალი და უტყვი — (მოულოდნელად) შეიძლება ეს ვედრო წავიღო... იქნებ დარჩა რამე წამლიდან!

ბაჩა — (მხიარულად) რახან შენ დაილაპარაკე, ძმაო, ალალი იყოს ეგ წავთიანი ოპიუმი!

გელა — იარალი?

კოსტა — აქ დარჩება!

(გელა და „გერასიმე“ კარში გაიძურნებიან)

თეა — (სიცილით) სხვათა შორის, არტემამ გიჩივლათ პოლიციაში, წამალს ხარშავენ და მერე სახლის გარშემო დაფრინავენ! ეტყობა, ნიას ფრენა დაინახა.

კოსტა — პოლისმენებმა რაო?

თეა — შენ ვის აშაყირებ, ახლავე აქ იფრენო და იმდენი ურტყეს არტემას, მართლა ძირს არ დაუშვიათ. მონეული ეგონათ. დადის ახლა დაბოლმილი და საკუთარ თავს ელაპარაკება.

ნია — თეა, მე რომ წავალ, ეს იარალი და შპრიცები და მთელი ოხრობა მტკვარში გადაყარე. შენ უკვე შეგიძლია სიარული.

გიო — მტკვარს კიდევ დანაგვიანება უნდა!

ნია — სევდიანო ეკოლოგო, იარალის ჩამბარებლები თქვენ არა ხართ და რა ექნათ? ლმერთო ჩემო, დიდმთვეარობაა, სწრაფად. ბატონი დევი, თქვენც მობრძანდით! ბავშვები, შუაში ჩადექით. სანამ სინათლის სევტი არ გამოჩინდება, არ გაინძრეთ!

(ყველა ერთმანეთს ჩაკიდებს ხელს და ნრეს აკეთებენ. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ არაფერი იცვლება)

ნია — სულ წამართვა ძალა იმ ორმა შეიარაღებულმა იდიოტმა! დამეტმარეთ! (კვლავ დაძაბული სიჩრუმე, სინათლის სვეტი არა ჩანს).

ნია — (სასონარკვეთით) არაფერი ხდება. გრამი ენერგია არ მოდის თქვენგან, რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგიხუჭათ სულები?! რა ვქნა, რით შეგაჯინჯლაროთ?! დევი ბატონი, გაისხენეთ ის შორეული ლამე და მერცხლის ბუღიდან გადმოცვენილი ბარტყები. იმ ბარტყებივით არიან ახლა ეს პატარები, მათ მშობლები ელოდებიან! ეს არის თქვენი



ვარსკევლავის საათი, თქვენი არკოლეს ხიდი! მოიკრიფეთ ძალაქ! უფასა
ამ ბაეშეგბის ნაზმა ენერგიამ დაგაყენა ფეხზე და სიყვარულის უფასა
ლება მოგცა...

თქვენ, თქვენ რა გითხრათ, ბიჭებო? კი, ბევრი გაიღეთ და ცოტა
მიიღეთ! ბევრი დაკარგეთ და ცოტა იპოვეთ, მაგრამ ნურაეს და-
მადლით ამას. საკუთარ ერს არ ებუტებიან! მსხვერპლი, თქვენმა და-
ლუპულმა მეგობრებმა რომ გაიღეს, ბიჭმა თავი რომ დაიწვა, ამდენი
ხეიბარი ახალგაზრდა, ნუთუ ეს მსხვერპლი თქვენ უაზროდ გაღებუ-
ლი გონიათ? ლამაზი სულის არც ერთი მოძრაობა არ რჩება უპასუ-
ხოდ! პასუხმა შეიძლება დაიგვიანოს მხოლოდ! კი, დაგცინეს! ის სის-
ხლიანი კალიც და თქვენი დალუპული დები და შემდეგ სხვა სისხლი-
ანი უელები და ცაში გაფრენილი თქვენი ვაჟეაცი ძმების სულებიც
ბევრმა დაივინყა, ანგარებით დაბრმავებულმა! მაგრამ დროებითია
ეს ყველაფერი! გაიხსენეთ და იტირეთ, ნუ გრცხვენიათ თქვენი
ცრემლით... კახა და ის აფხაზი ბიჭი, ნაწილმარი იასამნის ბალი და ის
დანამული თეთრი ბუჩქი, წვიმითა და კახას სისხლით შეფერქილი! უე-
რავინ შეურაცხყოფს იმ ამაღლებულს და ლამაზს, რაც თქვენმა სულ-
მა და სხეულმა გაიღო და ვაი მას, ვინც ამას შეეცდება! პასუხი მოვა,
მოვა სულ მალე!

მოიკრიბეთ ძალა, გამაშებინეთ ეს ბავშვები მშობლებთან, იმ ნა-
ნატრ საქართველოში, რასაც თქვენ თვითონ მოესწრებით თქვენს
გამნარებულ სამშობლოში!

(უეცრად იფეთქებს და მალლა აიტყორცნება სინათლის სვეტი.
ძალაგამოღეული ნია დაიჩოქებს)

(ხანმოკლე დუმილის შემდეგ მაღლიდან ბაეშვების ნკრიალა სიმ-
ლერა მოისმის)

ბავშვები — წვიმა მოდის, წვიმა მოდის,

წვიმა მოდის, წვიმა მოდის,

მთა და ბარი სველდება!

ჩემი კარგი დედიკო,

ჩემი კარგი მამიკო,

როდის დამიბრუნდება?!

ნია — (სუსტი ხმით) ბავშვები გემშეიდობებიან! ახლა მეც უნდა
ნავიდე, სინათლის სვეტი კიდევ ორი ნუთი გაძლებს...

(ტუჩზე ხელს მიიდებს და კოცნას ხელის ლამაზი მოძრაობით მო-
ავლებს ყველას. გიოზე ხელი ულონოდ ჩამოუვარდება, შემდეგ ფეხს
შედგამს სინათლეში)

კოსტა — უშვებ, ბიჭო?

გიო — (სასონარევეთით) აბა, ამ საგიურეთში დავტოვო?

თეა — იდიოტო, მას ხომ უყვარხარ, სად უშვებ?

(მოულოდნელად გადმოფრთხიალდება „ეტლიდან“, სინათლის



სვეტში შევარდნება და ხელს კრავს ნიას. ნია გიოს ეტაკება. ორბურჩაზე მტაკეზე ეცემა. გოგონა უცაბედად ზემოდან მოექცევა გიოს) პირველი მომავალი

ბაჩა — ეს ეროტიკული პოზები ღამისთვის შეინახეთ, ყმანვილები! თქვენ, ბატონო დევი, არ ნახვალთ? ეიდევ არის დრო!

დევი — აბა რა მინდა მე იმ ანყობილ ქვეყანაში? იქნებ აქ წავადგე რამეს ან ვინმეს!

თეა — (კოსტას მელავებში ატაცებული) აღარ ჩამსვა იმ წყეულ სავარძელში!

(კოსტა ფეხზე დააყენებს მას და გიტარას იღებს ხელში)

კოსტა — (მღერის)

მავანი და მავანი,

იტყვის არის თავანი,

ჩასაბარებელია, რეინის ციფი საგანი!

ჩასაბარებელია, ჩვენგან ამას ელიან,

მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი?!

(ბაჩა აყვება)

ჩასაბარებელია, ჩვენგან ამას ელიან,

მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი!

ბაჩა — (მღერის)

გაზაფხულის ქარია,

გულო დარდთან ნაფიცო!

რა-კარგი სიზმარია,

დედა, არ გამალვიძო!

გაზაფხულის ქარია, ქვეყანას უხარია,

რა ქარგი სიზმარია, დედა არ გამალვიძო!

(ერთმანეთს გადახვევენ ხელს და პირველ სტროფს იმეორებენ)

მერე რა რომ სველია, სველი იასამანი?!

ბაჩა — არტემ, შე ბოზო!

დასასრული

თოვლივით თათრი თოვლი

ბიძინა ხერხეულიძის
ხსოვნას ეძღვნება...

ორმოქმედებიანი პიესა

2000-2001 წ.

მოქმედი პირები

1. ნიკა იშხნელი, 44 ნლის, მწერალი
2. ხათუნა, 18 ნლის, ბარმენი
3. გუგა, 44 ნლის, პოეტი
4. გვანცა, 25 ნლის, ფურნალისტი
5. აფრასიონ ბუაჩიძე, 80 ნლის, იდუმალი პიროვნება
6. შლაპიანი ბიჭი, ნიკას ნარმოსახეა

პიესა დრამატურგიული სამების მრინციპზე დგას: დროის, ადგილისა და მოქმედების ერთობლიობა

ნათელი კატე, თუმცა უფრო პაბი ეთქმის, კიდევ უფრო ზუსტად კი პაბი-მაბლიოთება. მაგიდები, სკამები და გრძელი ბარი, უკან ბოთლების ნება. გარშემო, კანტიკუნტად, ნიგნებით გაქცედილი თაროები.

ამჟამად პაბი ცარიელია. მხოლოდ თერამეტიოდე ნლის, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, მოკლეებინი გოგონა დგას ბართან და სიგარეტს ენევა. ტელეფონის ზარი.

ხათუნა — (ყურმილს იღებს) პაბი-ბიბლიოთეკა! (იცინის) მაშ, გახსოვს?.. რას მიღლოცავ, თერამეტი ნლის გავხდი, ეს კი უკვე ასაკია! ჰო, შევურიგდი მაგ უნამუსოს... მომიღლოცა, საჩუქრად შამპანური მომართვა... რატომ? რატომ შევურიგდი, თუ რატომ ნავერჩუბე? ჰოო, ... მაშ, არ გცოდნია... მისმინე! გუშინნინ თავის მეგობრებში დამპატიუ, ყველაც რაღაც ჭყანურს ბაზრობდა და მეც თავი გამოვიდე — ამასნინათ დოსტოევსეის „კრეტინი“ ნავიეითხე-მეთქი! შემეშალა, ეგ გიურზა კი, იმის მაგივრად, დამხმარებოდა... კარგი, მოვრჩეთ. უკვე შევურიგდი. (შამპანურს მოსვამს) ჰო, ცოტა ვყლურნე! ეს პირველზე მოგიყვენი, მეორემ კი რა იკისრა, იცი? ბარში შემოვიდა, ყვავილები ფეხებში მომაყარა... მერე რევოლუციი ამოილო, ბარაბანში ერთი ტყვია ჩადო... (ხმას სულ უფრო მეტ დრამატიზმს ძენს) სამჯერ დაიტ-რიალა საფეხულთან და სამჯერ დააჩხაუნა! მაგ მართლა ბარაბან-

მა! ... მეე? მე, რასაკეირველია, გული ნამივიდა! პო, ვიუია, უნიგნური, მაგრამ, უნდა გითხრა, დიდი ვნებების თავი აქვა! ვინ? ვინ რაჯობები ნი? აჲ, ისა? არა, სულაც არ ჰეგავს... თანაც ვაჭრებს ვერ იტანს!

(ცოტა ხანს უსმევს, შემდეგ ღიზიანდება) ბატონი ნიკა არ არის... და შენ, ნატურში, მხოლოდ მაგ ინტერესით მირევავ! ნუ გავინყდება, რომ ორმოცს გადაცილებული კაცია და შენნაირ ლანოებს არც ამჩნევს... ასე რომ, ჩემო დაო, ფეხი არ ჩაგივა! პო, კაი, გებუმრე, რა მოგივიდა? ... (პაუზის შემდეგ) დეიდა ისევ ყავაჯვნებზეა და მე ვცელი... ძალიან ბევრს ვეითხულობ! გადამქანცა! ქალი, მნერლების კაფეა და ხომ უნდა ველაპარაკო კლიენტს რამეზე?! კაფეა, პაბი, თუ ბიბლიოთეკა, მეც მომეთხოვება... პო, მართლა, იმ პირეელმა... დიჯეიმ... რალაც მაგარი ნიგნი მირჩია, წაიკითხეო... სათაური? მოიცა... (ბლოკნოტს გადაშლის) „კამა-სუტრა“ არ გესმის? „კამა-სუტრა“, რატომ იცინი გიუივით? რა ვთქვი ასეთი? შენყვიტე, თორემ დავკიდებ! შენყვიტე-მეთქი (ყურმის დაახეთქებს) გასკადი შურით!!! გასკადი, გასკადი! რატომ გადაბურდა მაინც? (სარკეს იღებს და თმებს ისწორებს. დიდხანს ათვალიერებს საჟუთარ თავს და მტკიცედ ასევნის) შურს!

(სიგარეტს აქრობს და მაგნიტოფონს რთავს. მუსიკის რიტმს აკვება თეობების ჩეხევით, პერანგს იხდის და ლიფის ამარა რჩება. შემდეგ ტოპ-მოდელების მოელე ნაბიჯებით დადის აქტო-იქით და უამი-უამ ეფექტურ პოზაში შეშდება დოინჯმოყრილი. ხათუნა ვერ ამჩნევს პაბში შემოსულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ვაკეირვებით შეჰყურებს მის „დეფილეს“. მუსიკის რიტმი უფრო მძაფრი ხდება და გოგონაც ოდნავ გაიქნევს მხარს, ბრეტელი მელავზე უვარდება, ხათუნა, თითქოს ახლა შეამჩნიაო ეს, ნაზი მოძრაობით აბრუნებს ბრეტელს ადგილზე და გაშიშელებულ მქერდს იფარავს. მუსიკა მთავრდება).

ხათუნა — (ამჩნევს შემოსულ ქალს). ვაიმე! (სასწრაფოდ გადაიცვამს პერანგს). უკაცრავად, ჩემთვის ვერთობოდი!

გვანცა — (ლიმილით) ლამაზი იყო!

ხათუნა — (კმაყოფილი) დაბრძანდით, ახლავე მოგხედავთ!

გვანცა — არ შენუხდეთ, საქმეზე ვარ მოსული!

ხათუნა — საქმეზე? (თავი მოყავს ნესრიგში)

გვანცა — ბატონი ნიკა მალე მოვა?

ხათუნა — არ ვიცი! არ დაურევავს!

გვანცა — მობილურის ნომერს ხომ ვერ...

ხათუნა — (სწრაფად) ვერა... არ მაქეს უფლება! არ გენყინოთ!

გვანცა — გასაგებია. (ჩაფიქრდება) დაველოდო?

ხათუნა — პო, ასე აჯობებს! მე ხათუნა მქევია!

გვანცა — გვანცა!

ხათუნა — დღეს ჩემი დაბადების დღეა!

გვანცა — გილოცავ!

ხათუნა — ეჲ, რა მოსალოცია... თვრამეტი წელი?

გვანცა — (ლიმილით) მაშ, მე რაღა ვთქვა?

ხათუნა — (გულწრფელად) ბოდიში! დაბრძანდით რა!

გვანცა — (ჩამოჯდება) ყავას თუ დამალევინებ, ხათუნა?

ხათუნა — თურქული, ესპრესო?

გვანცა — ესპრესო!

ხათუნა — იცით, მე ცოტას ვხედავ...

გვანცა — ბატონი?

ხათუნა — (მორცხვად) ყავაში ვიხედები!

გვანცა — მერე?

ხათუნა — თურქულში ჩაგიხედავთ... ეს ისე, მეგობრულად!

გვანცა — გმადლობთ, ესპრესო მინდა!

(ტელეფონის ზარი)

ხათუნა — (ყურმილს იღებს) პაბი-ბიბლ... აჲ, ბატონი ნიკა... დიახ, ბევრმა დარეკა... ჩავინერე... ბატონი ნიკა, თქვენ აქ გელიან! გვანცა! (ხმას უნევს) გვანცა! (გაკვირვებული) მოვიკითხო? (გვანცას) მოკითხვას გითვლით!

გვანცა — (ისიც გაკვირვებული) მე მას არ ვიცნობ!

ხათუნა — (დაბნეული) ის თქვენ არ გიცნობთ... მაგრამ მანაც მოგიყითხათ! დიახ... ჟიდებს ყურმილს) თხუთმეტი წუთში მოვალო!

გვანცა — კეთილი!

(ჩანთიგან დიქტოფონს და მუყაოს დალუქულ პაკეტს იღებს)

ხათუნა — უურნალისტი ხართ?

გვანცა — ისე რა... დამნებები. უფრო მუსიკოსი ვარ!

ხათუნა — კონსერვატორია დაამთავრეთ!

გვანცა — ვერ დავამთავრე, მაჯა ვიტქინე და...

ხათუნა — მერე!

გვანცა — გავთხოვდი!

ხათუნა — (გადაიკისეისებს) ჰა, ჰა, ჰა... (უეცრად მოსხიპავს უადგილო სიცილს და ყავას მიართმევს ქალს) ესეც ესპრესო! ინტერვუ უნდა აიღოთ?

გვანცა — (ცოტა გაბეზრებული) ვაპირებ!

ხათუნა — (ჩაფიქრდება) ეგ საქმე არ უყვარს!

გვანცა — მე შემშეირდა!

ხათუნა — რა გაზეთია?

გვანცა — უურნალია ახალი... (ანუმბს მაგიდაზე)

ხათუნა — მოდი, შენობით ვილაპარაკოთ!

გვანცა — (უხალისოდ) მოდი!

ხათუნა — რამდენი წლის ხარ?

გვანცა — ოცდახუთის!

ხათუნა — დიდი ხანია?

გვანცა — რა?

ხათუნა — რაც ოცდახუთის ხარ?

გვანცა — (თითებზე ითვლის) სამი თვე და შეიძი დღეა!

ხათუნა — შეიძი საკრალური რიცხვია!

გვანცა — უყურე შენ?

ხათუნა — (სიგარეტს უეიჭებს) დეიდაჩემმა ფეხი მოიტეხა და უკვე თვეა, მე ვცვლი ბართან! ძველი ბიბლიოთეკარია!

გვანცა — დეიდა?

ხათუნა — ჰო! (პაუზის შემდეგ) ფეხი მოიტეხა!

გვანცა — ახლა როგორ არის?

ხათუნა — უკეთ... მე ეი უკვე შევეჩერი აქაურობას! საინტერესო ხალხი დადის, მწიგნობარი... მაგრამ ფულს არავინ იხდის, ამხელა არზა მავეს მევალების! ალბათ მაღლე გავკოტრდებით!

გვანცა — ასე ცუდადა საქმე?

ხათუნა — ბატონი ნიკა ყველას პატივებსო, თვითონ კი ნიგნის ფულიც ვერ დააგროვა...

გვანცა — აბა, უკრნალს როგორ უშვებს?

ხათუნა — საყუთარი სახსრებით... ხეირად, ნასესხები. უყვარს ეს უკრნალი და იძახის... (ბლოკნოტში ჩაიხედავს) ლიტერატურული პროცესის უწყვეტობა... უი, ვერ ვარჩევ დალშე! იცი რა ჰქვია კავალერს ქართულად? ჩოყლაყი! ხომ კაია, ჩოყლაყი?

გვანცა — (ლიმილით) ბევრი ჩოყლაყი გყავს?

ხათუნა — პერსპექტიული მხოლოდ ორი. ერთი ინტელექტუალია, მეორე ცხოველი! პირველი მე დამცინის, მეორეს მე დაცინი და ასე ვატარებთ დროს!

გვანცა — რატომ დაცინი?

ხათუნა — ცხოველია, მაგრამ რომანტიკოსი, პირველს არა ჰგავს!

გვანცა — რომანტიული ცხოველი...

ხათუნა — (აღელვებით) აი, შენ ამბობ ცხოველიო...

გვანცა — სტოპ! ეგ შენა თქვი!

ხათუნა — სულურთია! აი, შენ ამბობ, ცხოველიო, ის კი დიდი ვნებების მატარებელია!

გვანცა — ის, პირველი, დაცლილია ამისგან?

ხათუნა — ჰო, ... ცინიკოსია. გვანცა, რა ნიგნია ასეთი, „კამა-სუტ-რა“? რაზეა?

გვანცა — რაზე და... პოზებია დახატული, თან ტექსტიც ერთოის!

ხათუნა — პოზები? რისი პოზები?

გვანცა — ქალის და მამაკაცის. სექსუალური პოზებია... პოზიციები!

ხათუნა — (ნამოხტება და მუშტებს კრავს) ოპ, ეგ კაზიოლი ეგა, კაზიოლი, კაზიოლი!



გვანცა — ვინ?

ხათუნა — ის... პირველი! აუცილებლად იშოვე და ნაიკითხვა, ცუდი ლიერად აგამაღლებსო! რა გაცინებს?

გვანცა — ნუ მომაქცევ ყურადღებას!

ხათუნა — არა, კოცნაობით მეც მიკოცნავია, მაგრამ მთავარი, მხოლოდ მენდელსონის ვალსის შემდეგ!

გვანცა — (მექანიკურად) მენდელსონის მარშის!

ხათუნა — გინდაც მთილური იყოს, ოლონდ ბეჭედი თითზე.

გვანცა — იმ ერთადერთის?

ხათუნა — რა ვიცი, ერთი იქნება, ორი თუ სამი, მთავარია, მხოლოდ ქორნილის დამესა თუ მეყვარება, ერთგულიც ვიქნები! (მწარედ ეჰ, ჩემმა დაქალებმა ხოშინად იციან, როგორ დაუგონ კაცს მახე!

გვანცა — მერე და რა ყრია მაგ სათაგურში?

ხათუნა — აბა, ხო არ გავბოზდები?!

გვანცა — (ყავა გადაჭცედება) ჰო, სულაც და სულაც!

(ტელეფონის ზარი)

ხათუნა — (ნამოხტება და ყურმილს ეცემა) ალო... უჟ, შე კაზიოლო შენა, გაგაკამასუტრებ, შე სირისტიანო... (პირზე იფარებს ხელს და ყურმილს დააგდებს) დავილუპე! (კიდევ ტელეფონის ზარი. ხათუნა განაზებული ხმით) პაპი ბიბლიოთეკა! გისმენთ, ბატონონ ნიკა... არა! ჩემთან არ გისაუბრიათ... აქ საერთოდ არ დარწევილა! თხუთმეტ წუთში? კი, ბატონონ! ჰო, მართლა, თქვენ აქ გელოდებიან! ვინ? გვანცა! (დაბნეული) მოკითხვა გადავცე? კეთილი... (კიდებს ყურმილს).

გვანცა — რაო, ისევ მომიკითხა?

ხათუნა — (მობოდიშებით) დიახ. (თვალებზე მოისვამს ხელს) რა-დაც არეულო-ფრდეს!

გვანცა — (ლიმილით) დაბადების დღე დასკვნების დღეცაა?!

ხათუნა — მოიცა, ჩაეიწერ!

(ბლოკნოტში აფიქსირებს ფრაზას, მონდომებისგან ერთს ნვერსაც ყოფს)

გვანცა — რა ვთქვი ასეთი, უკვდავი?

ხათუნა — მე მომერნა... და საერთოდ, ძალიან მომწონხარ! აი, ნახავ, ბატონ ნიკასაც მოენონხბ!

გვანცა — ხათუნ, მე საქმეზე ვარ მოსული!

ხათუნა — მერე, რამე გაკადრე? ის კეთილშობილი და დასტოინი კაცია... უკაცრავად, ლირსეული! (პაზის შემდეგ) ისე კი, მაგარი კონ-სპირატორია, ძნელად თუ ჩაავლებ, ვინ დაყავს მაღლა ოთახში!

გვანცა — შენ რა, ცდილობ ჩაავლო?

ხათუნა — ღმერთმა დამიფაროს... მაგრამ ძალიან მაინტერესებს!

გვანცა — (კიბეს ახედავს) მაღლა ოთახი აქვს?

ხათუნა — ჰო, მთავარი ბინა ცოლ-შვილს დაუტოვა. ვერაზე,

ძველ სახლში აქვს ორი ოთახი. რაც ცოლს გაცილდა, უფრო აქ ათვეს
დამეს. ლამაზი, მყუდრო ბაითია, ყველა უდობსტეპით... ცოტა შემორი
ვერი... როგორც აქ მოსიარულე ერთი მხატვარი ამბობს, ე ქიქ! თით-
ქოს ნეიპურტი მოგხედაო თავში! თვითონ კი ბოლოს მაგიდას ურტ-
ყამს თავს, მანამდე ჯენტლმენია... ე ქიქს ცოტა უქიქინებს. ხომ კობ-
ტად ვთქვი?

გვანცა — რა?

ხათუნა — ე ქიქ, უქიქინებს!

გვანცა — ჰო, მშენიერია. მიამბე, როგორ ნარმოიშვა ეს კაფე?

ხათუნა — კაფე კი არა პაბი-ბიბლიოთეკა... პარიზში ნახა ბატონ-
მა ნიკამ ჯორისის პაბი... (პაუზის შემდეგ) გინდა, საქმე წინ ნავიგდოთ!
მე რაღაცებს მოგიყვები, შენ კი ჩაინერე! ოლონდ ჭორაობა არ იყოს.

გვანცა — მომიყვეო!

ხათუნა — (უცრად დადინჯდება) შეგიძლია დიქტოფონი გამოი-
ყენო. დააჭირე პლაუს!

გვანცა — (პაუზის შემდეგ) ფლეის!

ხათუნა — აბა, პლაუ რომ წერია... კარგი, შემეშალა. ჰო, მართლა,
შენ რომ შემოხვედი, ნაომის ვბაძავდი პოდიუმზე! გახსოვს, ბრეტელ-
კა რომ ჩამოუვარდა...

გვანცა — ჰო, ტელევიზორში უნახე!

ხათუნა — რა ლამაზად გაისწორა, არც კი შეიმჩნია. მე სირცხვი-
ლით მინა გამისკდებოდა... ისე, ცოტა მაინც ვგავდი ნაომის?

გვანცა — უფრო დელაკრუას ქალს, ბარიკადებზე!

ხათუნა — (იცინის, შემდეგ მიამიტად კითხულობს) ეგ რომელია?

გვანცა — (შერცხვება) მაპატიკი, უაზროდ გეხუმრე!

ხათუნა — (ნაძალადევი ღიმილით) არაუშავს... მე არ მნიშნს! (პა-
უზის შემდეგ) რა, ულამაზო ქალია?

გვანცა — ძალიანაც ლამაზია... უბრალოდ, უადგილოდ ვიხუმრე!

ხათუნა — ჰოო! (ჩაფიქრდება) ახლა ბატონი ნიკას მეგობრები აქ
არ არიან. თვითონ კი რაღაც ტკივილები ანუხებს სპლეტენიაში და...

გვანცა — სად?

ხათუნა — აი, მზის სპლეტენიას რომ ეძახიან... სოლნერინო... ჰო-
და, რაღაც ანალიზებს ილებს... ძალიან ტკივა. მარინეც წერვიულობს!

გვანცა — მარინე?


ხათუნა — ყოფილი ცოლი. კარგი ქალია, მაგრამ ზედმეტად მშეი-
დი, ამიტომაც გაცილდა ქმარს.

გვანცა — არაფერი მესმის.

ხათუნა — მოკლედ, ახლაც უყვარს, მაგრამ დამღალაო, იძახის,
სულ შეფოთვაში ვარო, გადავინვიო!

გვანცა — რამ დაღალა?

ხათუნა — მეც ეგ არ მიკეირს, ასეთი ქმარი გყავდეს და დაიღა-



ლო? ვაუკაცი, ლამაზი, მწერალი...

გვანცა — მწერალი იქნებ რთულია ყოფაში?

ხათუნა — ჰო, მარტივიაო, ვერ იტყვიო. ფათერაჟიანი კაცის... შაგ რამ მაინც არ მესმის! არც ეჭვიანობა ყოფილა, არც უხეშობა, რამ და-ლალაო? თვითონ სიმპათიური განათლებული ქალია, მაგრამ სულ ნერვიულობს. იცი, ისე ექცევა ქმარს... (სიტყვებს ეძებს)

გვანცა — (ღიმილით) როგორც სკოლის დირექტორი ცელქ მონა-ფეს?

ხათუნა — (მოხილული) აუ, რა კოხტად თქვი, მოკლედ, გაცილ-და! ნორმალური საქციელია ეს?

გვანცა — (მხრებს იწეჩავს) ალბათ ნორმალურია, მაგრამ ცოტა ვიცი, ასეთი ფუფუნების უფლებას რომ აძლევდეს საკუთარ თავს! მაგ ეჭვიანობა არ ყოფილა?

ხათუნა — არა. ბატონი ნიკა ის ტიპი არ არის, ჩემო დაომ, რომ მე-უბნებიან და ამავე დროს თვალებით მჭამენ. არ მჭირდება ასეთი ძმადნაფიცები! მოკლედ, ის მარინე... ცოტა დედობრივი ცოლი აღ-მოჩნდა!

გვანცა — დედობრივი?

ხათუნა — ჰო. გაცილდა, მაგრამ ნერვიულობას მაინც განაგრ-ძობს... დღეს სამჯერ დარჩეა, რა უთხრეს ექიმებმაო? (ტელეფონის ზარი) გამორთე, გვანცა! (იღებს ყურმილს) დიახ, მე ვარ, ქალბატონი მარინე! არა, არ მოსულა... აუცილებლად. მე თვითონ დაგირევავთ! (კიდებს ყურმილს. გვანცას) აი, ხომ დარჩენდი? შეგიძლია ჩართო!

გვანცა — დიქტოფონზე მეუბნები?

ხათუნა — ჰო.

გვანცა — მე ის არ ჩამირთავს!

ხათუნა — (ნაწყენი) ამდენი ვიქაქანე... სჯობდა ჩაგენერა!

გვანცა — (ცივად) ხათუნა, შენ მგონი მამეცადინებ!

ხათუნა — სულაც არა! (ცრემლი ერევა) რატომ ასე ქედმალლუ-რად, მე ხომ მეგობრულად დაგხვდი?

გვანცა — ნუ გნიონს!

ხათუნა — (ჭიქას ჩააჩერდება) მე ისეთ სოფელში გავიზარდე, რომ დღესაც არ იციან, რა ნებაა... ცარიზმი თუ კომუნიზმი. ოცი კომლია სულ... ჩემი მეზობლის მამიდა კი მგელმა შეჭამა!

გვანცა — რისი თქმა გინდა?

ხათუნა — რა მინდა და... ნუვარამი და კურმუხეთი მინდა მეეე... (ხმამალლა ტირის. შეშინებული გვანცა მხრებზე მოხვევს მკლავებს) რა ვქნა, არ დამიმთავრებია კემბრიჯები...

გვანცა — (საკუთარი ცხვირსახოცით ნმენდს ცრემლებს) გეყო-ჟა, პატარასავით იქცევი!

ხათუნა — ჰო, აღარა ვარ პატარა... პატარაობა სჯობდა, ააააა...

(აგრძელებს ღნავილს. გვანცა თოთო ბავშვიერით არწევს მკლავებში
და გოგონაც თანდათან წყნარდება) ელენე თექქსმეტი წლისაა და მოგცემისაა

გვანცა — (ასეთი გადასელით დაბნეული) ვინ არის ელენე?

ხათუნა — (სლუკუნით) ბატონი ნიჟას შეილი... ეკემბრიჯზე გამახ-
სენდა... ამ ცხვირსახოცს გაგირეცხავ და მოგცემ!

გვანცა — შენი იყოს... ახალია!

ხათუნა — მაშინ ხურდა უნდა აიღო... (ჩაჩრის ხელში ხურდა
ფულს. წყნარდება) შენ კი არ გაბრალებ, მე იმ კაზიოლს ვაბრალებ,
კამა-სუტრაო! მაგას არ ვაღირსებ არცერთ პოზას!

გვანცა — (იცინის) არც აღირსო! მე ახლა სასამართლოდან მოვ-
დივარ, ქმარს გაცილდი. ასე რომ, მაპატიე, უხეში თუ ვიყავი!

ხათუნა — (თვალებს დააჭერტს) ოფიციალურად გაცილდი?

გვანცა — ჴო.

ხათუნა — რატომ გაცილდი?

გვანცა — მიღალატია!

ხათუნა — ვაიმე! და არ მოკალი?

გვანცა — (სერიოზულად) არა!

ხათუნა — ბავშვი?

გვანცა — (დაღლილად) არ გვყავდა, ჯერ ადრეაო, ასე თვლიდა!

ხათუნა — უუუ, ეგ კაზიოლი ეგა... (სწრაფად) შენ ხომ არ გწყინს?

გვანცა — (იცინის) არა!

ხათუნა — მე მეშინია ასეთი რამეების!

გვანცა — რას იზამ, ტეივილს ზურგი არ უნდა შეაქციონ...

ხათუნა — იქნებ შევეეგებო კიდეც?

გვანცა — (ინტერესით) უყურე ამას შენ?

ხათუნა — (დამორცხვებით) კარგად გიპასუხე?

გვანცა — ხუთოსანი ხარ!

ხათუნა — ჩემი ფიზულტურის მასნავლებელი მომწონდა! ლამა-
ზი კაცი იყო!

გვანცა — ზედმეტად ბევრს ხომ არ ფიქრობ კაცებზე?

ხათუნა — მგონი კი... იცი, სარაიონო შეჯიბრში მეორე ადგილი
ავიღე პინგ-პონგში. ისეთი გახარებული იყო...

გვანცა — ვინ?

ხათუნა — (მოწყენილი) ჩემი ფიზულტურის მასნავლებელი!

გვანცა — მერე?

ხათუნა — მერე ფიზიკის მასნავლებელი შეირთო.

(ტელეფონის ზარი) გისმენი! დიაბ, ბატონი ნიკა, გელოდებათ!

გვანცა — (კუშტად) მოკითხე ჩემს მაგირად!

ხათუნა — გვანცამ მოგიყითხათ! (გვანცას) ბატონი ნიკა ამბობს...

გვანცა — მე ნავედი!



(დგება)

ხათუნა — გვანცა მიდის! ხუთ წუთში?.. გადავცემ! (ყურძინებული წერილი მოვალე)

გვანცა — (ჯდება) მოვიციდი, სხვა რა გზა მაქვს?!

ხათუნა — რატომ არ გაქვს სხვა გზა?

გვანცა — ხათუნ, ეს ჩემი პირველი დავალებაა, ჯერ შტატშიც არ ვირიცხები. ნიკა იძხნელის ინტერვიუს თუ მოგვიტან, აგიყვანთო, მითხრეს. ძალიან მჭირდება ეს სამსახური და, სულო ცოდვილო, ჯა-მაგირიც მჭირდება!

ხათუნა — ეს რომ გაიგოს, აუცილებლად... მოგცემს ინტერვიუს!

გვანცა — იმედია, არაფერს ეტყვი!

ხათუნა — რატომ?

გვანცა — (რბილად) იმიტომ, რომ დამამცირებ!

ხათუნა — (მორჩილად) კარგი. არ ვეტყვი.

გვანცა — მოდელი გინდა გახდე?

ხათუნა — უუუჲ, მინდოდა... დიეტაზეც დავჯვექი, შიმშილისაგან სინჯებზე გულიც ნამივიდა, მაგრამ ამას რა ვუყო?

გვანცა — რას?

ხათუნა — (მეერდზე მოიჭერს ხელს) ზედმეტად დიდი მაქვს!

გუგა — (კიბეზე ჩამოდის) მერე დიდ მეერდს რა სჯობია, ეგ შენი მომავალი შვილების სატრაპეზოა! ბომ!

ხათუნა — (გაოგნებული) თქვენ... შენ... თქვენ ვინა ხართ?

გუგა — (ორმოცს გადაცილებული, მაღალი, წვერგაუპარსაცი კა-ცი. ეტყვობა, რომ ახალი გალვიძებულია) გუგა გახლავართ, გუგა! ბომ!

(ფეხი დაუცდება კიბეზე და ძირს ჩავრიხინდება. ახლალა ვამჩ-ნევთ, რომ თავი გვერდულად აქვს გადახვეული არც თუ ახალი ბინ-ტით!

ხათუნა — (მივარდება ნაქცეულს) იტკინეთ რამე?

გუგა — (იატაკზე ნეეს და დაბლიდან შესცერის) რა ლამაზი ხე-დია!

ხათუნა — (მუხლებს იფარავს ხელით) იქ როგორ მოხვდით?

გუგა — (დეგბა და სახვევს ისწორებს) იქ თუ აქ? იქ ნიკას ოთახში მეძინა, აქ კი ჩამოვგორდი!

ხათუნა — როგორ, საიდან?

გუგა — კიბიდან, კუქუშ, კიბიდან!

ხათუნა — თქვენ ვინ ბრძანდებით?

გუგა — სახელი უკვე მოგახსენეთ, პროფესია თუ გაინტერესებთ, პოეტი ვარ. თუმცა ეს პროფესია არ არის, როგორც აუხსნეს ბროდს-კის სასამართლოზე!

ხათუნა — გვანცა, რას ბჟოტიალობს ეს კაცი?

გვანცა — აუხსენით გოგონას, ხომ ხედავთ, ღელავს!

გუგა — რა ავუხსნა, ის რომ ლექსის წერა პროფესია არ არის?

გვანცა — როგორ მოხვდით ოთახში?

გუგა — ქარი ღია იყო! ბომ!

ხათუნა — ახლა მართლა ბუმ იქნება! (დიდ საფერფლეს ნამოავ-ლებს ხელს).

გუგა — (დალლილად) ოლონდ საფერფლე არა! ჩემმა მეუღლემ სწორედ ეგ ნივთი მტყუროცნა აღვზნებულ მდგომარეობაში! (ბართან მიდის და ბოთლებს ათვალიერებს) სასწრაფოდ მოსაფიქრებელია, რა დავლიო!

ხათუნა — (შეკიცებს) არა... ეგ ბუზის ნამალია!

გუგა — (დამტრთხალი) ეს უკვე მეტისმეტია! ბუზის მაგივრად დაბრედვა? მაშ, რა ქნას ინტელიგენციაში? პახმელიას გადაყვეს?

ხათუნა — (აღმუოთებით) ეს თქვენა ხართ ინტილიგენტი?

გუგა — ინტი კი არა ინტე!

ხათუნა — აი, რო გდრუზავ თავში საფერფლეს, მერე გახდები ინ-ტე!

გუგა — ვატყობ, საფერფლე მშვენიერი სქესის ტრადიციულ ია-რალად იქცა. გთხოვთ, და-ნიშ-ნუ-ლე-ბი-სამებრ მოხმაროთ იგი! ბომ!

ხათუნა — (სასონარკვეთით) გვანცა, ვერაფერს ვხვდები, რაღაც უცნაურად ლაპარაკობს... კარიც არ დამრჩენია ლია!

გუგა — (ბოთლებში ფათურობს) კარი არ ჩაგირაზავთ, სულაც და სულაც!

ხათუნა — ერთი უსმინეთ, ამ ბომქა!

გუგა — რატომ გაუზრდელდნენ ნიმუჟეტყები?

ხათუნა — (გაუბედავად) ეს მე ვარ კანფეტკა?

გუგა — რატომაც არა? (ვისეის ბოთლს ხსნის) რომელი საათია?

გვანცა — ექვსი!

გუგა — დილის თუ?..

გვანცა — ახლა საღამოა!

გუგა — (ნაიმღერებს) დილაა თუ ბინდია... (სვამის და უკმაყოფი-ლოდ გააქნევს თავს) შეკეთებულია ვისეკი!

გვანცა — მე მიყვარს თქვენი ლექსები!

გუგა — კარგი გემოვნება გქონიათ! აი, ნიკანდროც მოვიდა!

(ოთახში ნიკა იძხნელი შემოდის. ჯინსები, შავი სეიტრი და ბოტა-სები აცვია. ხელში ექისი და ყვაველები უჭირავს. მას უეხდაფეხ ასე-ვე ჯინსებში და სვიტრში გამოწყობილი ბიჭი შემოყვება, ყელზე თეთ-რი კაშნე აქვს გადაგდებული, თავზე ძველმოდური შლაპა ახურავს. ბიჭი შეხტება და ფეხმორთხმით ჯდება ბარზე).

ნიკა — (ყვაველებს მიართმევს ხათუნას) გილოცავ, დიდი გოგო გაიზარდე!



ხათუნა — ულრმესი მადლობა! საიდან შეიტყვეთ? ეს საიდუმლოა... დეიდაშენმა მითხრა! გამარჯვისათვი ცუკის ცინო!

ხათუნა — ბატონი ნიკა... გვანცა ჰქეივა!
ნიკა — უკაცრავად, გვანცა, გუგა, როდის მოხვედი?
გუგა — შენს ოთახში მეტინა!

ხათუნა — ვმ, ნაუპლაცკარტა! ჩემი ბრალია, კარი დამრჩენია ღია. ეს არასოდეს განმეორდება, ბატონი ნიკა!

გუგა — (სახვევს ისწორებს) ვიხუმრე! კარი დანით გავალე! ბომ! ახლა არ მეითხო, თავი სად გაიტეხო?

ნიკა — არ გუთხავთ თავი სად გაიტეხე?
გუგა — ჯერ მიშველე, სული მძვრება!
ნიკა — სამი ბოთლი ნაღდი ტეკილა მაჩუქეს... ხათუნ, გახსენი ყუ-
თი!

ხათუნა — ჯერ სიას ხომ არ ნახავთ?
გუგა — ხათქუნა, ჯერ საქმე, გახსენ ყუთი!
ხათუნა — რა მიწოდეთ? ხათქუნაო?
ნიკა — (გვანცას) დაბრძანდით! რას მიირთმევთ?
გვანცა — ჟავე გეახელით!

ნიკა — სულ ორი ნუთით... (გვერდზე გადის. მობილურ ტელე-
ფონზე რეკავს). ჟო, ფიდო, ნამოვილე რენტგენის პასუხები... რას უნ-
და მივხვდე, ჩემთვის ეს აბსტრაქციაა...

გუგა — (ხათუნას მიერ მოტანილ ტეკილას ხუხავს)
ირიურავა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაქროლებს
მეგობრისთვის მეგობარი!
ხათუნა — (გვანცას) ეს ამ ბომების ლექსია?

გვანცა — არა! აკაეკის!
ნიკა — რატომ გაგინაზდა ხმა? ცუდია რამე?.. ფიდო, მე ხომ გა-
ვიგონე ის ფრაზა... არ გეხერხება ტყუილი და არც შენი სახის ფერი
მავინდება... რა და შეშინებული იყავი! (იფეთქებს) ბიჭი, ხომ იცი,
შენი ყველაზე მეტად მჯერა, სხვა ექიმებთან ნუ გამიშვებ!.. რა იზმე-
ნა, უნდა ვიცოდე! როდის? ... როდის იქნება პასუხი? (დალლილად)
კარგი! დავიცდი! (ეეცავს ტელეფონს და კეისს ხსნის, ცოტა ხანს
გულდასმით ათვალიერებს რენტგენის სურათებს, შემდეგ კელავ კე-
ტავს კეისს და ბარზე მოისვრის)

შლაპიანი ბიჭი — რა მოხდა, ეჭვობ რამეს?
ნიკა — ექიმები ეჭვობენ!
შლაპიანი — რას გეუბნებიან?
ნიკა — ხან რას და ხან კიდევ რას! თვალებში არ მიყურებენ. მგო-

ნი ცუდადაა საქმე!

ხათუნა — (ნიკას ჩუმად) გვანცა გელოდებათ!

ნიკა — ჰო, ახლავე!

შლაპიანი — ტკიულები გაქვს?

ნიკა — ლამე არ მაძინებს!

შლაპიანი — იქნებ აპრილის ექოა, სალდათის ჩექმის?

ნიკა — რაღა დროს ეგაა? თორმეტი წელი გავიდა!

გუგა — ნიკანდრო, მოდი რა, ჩავარტყათ!

ნიკა — ცოტა მაცალე, გუგა! (გვანცას მაგიდას მიუჯდება) უკაც-
რავად, გალოდინეთ! მოიტანეთ ლექსები?

გვანცა — არა, მე ლექსებს არ ვნერ!

ნიკა — (საფეხლებს ისრესს) აბა, ეინ დამირეკა გუშინ?

გვანცა — მე დაგირეკეთ, ოლონდ სამი დღის ნინ!

ნიკა — და რამეზე შევთანხმდით?

გვანცა — (ამოითხრებს და კვლავ მაგიდაზე აბრუნებს დიქტო-
ფონს და დალუქულ პაკეტს) თქვენ მე ინტერვიუს დამპირდით!

ნიკა — (დამფრთხალი) როდის?

გვანცა — (მშვიდად) სამი დღის ნინ, დილით ძილბურანში და მეც
ვისარგებლე ამით!

ნიკა — დილით დარეკეთ?

გვანცა — დიაბ!

ნიკა — რატომა დალუქული?

გვანცა — ეს რედაქტირის იდეაა... თქვენი თანდასწრებით უნდა
გავხსნა!

ნიკა — ასეთი ინტრიგაა, ხომ?

გვანცა — რედაქტორის იდეაა... თქვენი თანდასწრებით უნდა
გავხსნა!

ნიკა — გასაგებია. საათი X. საიდუმლო ინფორმაცია!

გვანცა — ნუ ღიზიანდებით!

ნიკა — მესმის, ეს მხოლოდ მოთელვაა... პატარა, მომხიბლავი,
ურნალისტური პროვოკაცია... მე ნყობიდან გამოვალ, ეს კი უკვე
კონტაქტია!

გვანცა — ნუ ღიზიანდებით!

ნიკა — არა, დამეთანხმეთ, რომ ეს გეიმები...

გვანცა — გეთანხმებით!

ნიკა — თან გატყობთ, სულ არ გაინტერესებთ, არც ეს ინტერვიუ
და არც ჩემი პიროვნება!

გვანცა — არა, რატომ?

ნიკა — იმიტომ! იმიტომ რომ სხვაგან ხართ!

გვანცა — იქნებ, ამ მარჩიელობას, სჯობდა. თვალი გადაგვევლო
კითხვებისთვის?

ნიკა — მთელი ჩემი ცხოვრება უპასუხოდ დარჩენილი კიუთხედას
გვანცა — (ცივად) ახლავე დავუძახებ ხათუნას! გვანცა — რისთვის?

გვანცა — თავის ბლოკნოტში ჩაიწერს ამ გამონათქვამს.

ნიკა — (ამოიოხრებს) ჰორო, ხათუნას ბლოკნოტი! ყავა ხომ არ
გნებავთ?

გვანცა — გმადლობთ, უკვე დავლიე!

ნიკა — (მუცელზე მოიჭერს ხელს და ნინ იხრება) სასმელი?

გვანცა — რა გემართებათ?

ნიკა — ცოტა მტკიცა... აქ! ახლა გამივლის!

გვანცა — სპაზმია?

ნიკა — (გასწორდება. ცხეირსახოცით ინმენდს შუბლს) იყო!

ხათუნა — (გაუბედავად მიდის მასთან) ბატონ ნიკა, ერთი შე-
კითხვა მაქვა!

ნიკა — (სულს ითქვამს) აქაც შეკითხვა... ბრძანე!

ხათუნა — რატომ თქვა ლევ ტოლსტოიმ, ანა კარენინა ვარო!

ნიკა — (პაუზის შემდეგ) ეგ ფლობერმა თქვა!

ხათუნა — ანა კარენინა ვარო?

ნიკა — არა, მადამ ბოვარი ვარო!

ხათუნა — (ბლოკნოტში იწერს) აპა! (პაუზის შემდეგ) და რატომ
იბრალებდნენ ქალობას?

გუგა — ნუ ღელავ, ხათქუნ, ორივე გრეტეროსექსუალი იყო!
(ტელეფონის ზარი. ხათუნა კნიქსენს აკეთებს)

გმადლობთ, ბატონ ნიკა!

გვანცა — (საქმიანად) ბატონ ნიკა...

ნიკა — (იფეთქებს) გამოთიშეთ ეს ტელეფონი და საერთოდ დაა-
ნებეთ ამ ბატონობიას თავი!

გვანცა — ნიკოლოზ!

ნიკა — რაო?

გვანცა — აბა, ნიკანდრო?

გუგა — (ჭიქას ივსებს) ეგ პლაგიატია!

ნიკა — (პირველად შეხედავს ინტერესით გვანცას) ნიკანდრო მე-
ტისმეტი იქნება... ნიკა დამიძახეთ!

გუგა — ხათუნა, ლიმონი, გეთაყვა!

ხათუნა — (რატომლაც დაეჭვებით) რად გინდათ ლიმონი?

გუგა — თვალებში უნდა ჩავიწევეთ!

გვანცა — თვითონ აიღეთ პირველი ბარათი, ნიკა!
(პაკეტს გადმოაპირქვავებს და მაგიდა ოთხკუთხედი ბარათებით
იესება)

ნიკა — როგორც გამოცდაზე?

გვანცა — დაახლოებით!

ნიკა — (თვალებს ხუჭავს, დიდხანს აფათურებს ხელს და ბოლოს
ერთ-ერთ ბარათს იღებს) თვითონვე ნაეკითხო?

გვანცა — დია! (დიქტოფონს რთავს)

ნიკა — გიყვართ თუ არა მამაკაცის პარფიუმერია და რა სუნამოს
ხმარობ? ამ სიგიურს უნდა ვუპასუხო?

გვანცა — (დაბნეული) არ ვიცი!

შლაპიანი — არ თქვა ახლა, ენზო ან კაშარელიო... შიპრი და
ტრაინი ადეკოლონი არ დაგავინყდეს!

ნიკა — ევენი ჩვენ არ მოგესწრებია!

შლაპიანი — აბა, კარგად გაიხსენე!

ნიკა — შენ მართლა მათუსალასკენ გაქუსლე!

შლაპიანი — გაიხსენე-მეთქი!

ნიკა — (უეცრად სიცილი აუტყდება) ერთხელ მნერლების სემი-
ნარზე ტრაინი ადეკალონი დავლიე!

გვანცა — (მოკირებული) ბატონ?

ნიკა — ჩემი ციმბირელი კოლეგა გამიმასპინძლდა. სხვა არაფერი
გვექნდა.

გვანცა — მერედა, რა შეგრძნება...

ნიკა — (აწყვეტინებს) თითქოს პარკეგახერი შევჭამე!

გუგა — (მარილს იყრის მუშტზე) როცა სხვა არ არის? (ახლოს
მიტობას სახესთან მარილიან მუშტს, მაგრამ ხათუნა ისკუპებს და
ხელში ჩაარტყამს კაცს)

ხათუნა — (ყვირის) რას ბედავ, შე თავხედო ნარკომანო?

გუგა — (გაოგნებული) ბომ!

ნიკა — (მოტრიალდება) რა ხდება?

ხათუნა — კოკაინს იყრიდა ცხვირში!

გუგა — რა მაბეზლარა გოგო ხარ! ყველაფერი კი არ უნდა თქვა!

ნიკა — ხათუნ, ევ მარილია და არა კოკაინი! ტეკილას მარილით
და ლიმონით სვამენ!

გუგა — თუმც არც კოკაინი იქნებოდა ურიგო! მმ, ტეკილაც შარ-
ვალზე დამექცა!

შლაპიანი — (მხიარულობს) არა ვიშავს, მარილიც ზედ აყრია, არ
დააჩნდება!

ხათუნა — (შეწუხებული) მაპატიეთ, ახლავე დაგფერთხავთ! ადე-
ქით! (გუგა დგება. გოგონა მის ნინ ჩაიცუცქებს და ნაჭრის ხელსახო-
ცით ღონივრად უნმინდავს დასველებულ შარვალს)

შლაპიანი — (შეშფოთებით) Гусары, молчать (გუგა უცრად შეყ-
ვირებს და ჩაჯდება).

ხათუნა — ვაიმე!

ნიკა — რა მოხდა?

ხათუნა — მგონი ვატკინე! იქ!



(გვანცას ისტერიკა ემართება. შლაპიანი ტაშს უკრავს)

ნიკა — (თავზე დაადგება ჩაცუცეულ გუგას) აბა, გეყო მარმილიულა
ბა!

გუგა — (ეშმაკურად ახედავს) დამღუპა კაცი!

ნიკა — ადექი!

გუგა — (დგება და ბოთლს ათვალიერებს) ისე ფაიზალი ტეკილაა,
რამხელა მექსიკური ჭია აგდია შიგ!

ნიკა — ხომ გითხარი, ნალდა-მეტქი!

გუგა — (ბოთლს ეფერება) აქ რამ მოგიყვანა, შე მექსიკელო შენა!

ნიკა — დანწნარდი, ხათუნ, ჩამოუშვი მელავები!

(სახეზე მელავებაფარებული გოგონა თავს გააქნევს და გარბის)

შლაპიანი — ნიკოლოზ, დაუბრუნდი გვანცას, შენი პასუხები მეც
მაინტერესებს!

ნიკა — (გვანცას) კიდევ ავიღო?

გვანცა — (თვალებს იმშრალებს) გთხოვთ!

ნიკა — (ბარათს კითხულობს) ხართ თუ არა ნარცისი?

გვანცა — (დიქტოფონში) ხართ თუ არა ნარცისი?

ნიკა — (ჩაფიქრდება) არა. საკუთარ თავთან რომანს კარგა ხანია
მოურჩი.

გვანცა — შემდეგი ბარათი!

ნიკა — (კითხულობს) ანდერძი თუ დაგინერიათ ოდესმე?

გუგა — (გაიგონებს) ანდერძის რა გითხრათ, ყველაზე ტკბილი კი
საკუთარი ნეკროლოგის დანერაა.

გვანცა — მაშ, ანდერძი!

ნიკა — ახლა რომ დაუნერო, რა მოხდება?

გვანცა — (გაკეირვებით) არც არაფერი!

(ნიკა რაღაცას ნერს ქალალდის მეორე მხარეზე და გოგონას უნვ-
დის ბარათს)

გვანცა — თქვენი ანდერძი ნავიკითხო?

ნიკა — გთხოვთ!

გვანცა — (კითხულობს) დამასაფლავეთ მეოცე საუკუნეში!

ნიკა — დიახ. ასეთი ანდერძია!

გვანცა — (ინტერესით) ახლა რომ უკვე ახალი საუკუნეა?

ნიკა — მერე რა!

გვანცა — (დიქტოფონში) დამასაფლავეთ მეოცე საუკუნეში!

გუგა — რა გახდა ერთი ლიმონი?!

ხათუნა — (შემოდის) ახლავე მოგართმევთ, ბატონო გუგა!

(მოაქვს დაჭრილი ლიმონი. გუგა მარილს აყრის ზედ)

ხათუნა — (ბოთლს იღებს ხელში) მე დაგისხამთ!

გუგა — (კმაყოფილი) კარგი აზრია!

ხათუნა — (უეცრად ბოთლს ჩააკვირდება, მალლა აწევს ხელს და

შეპერვლებს) ვაიმე, ჭია!

(ბოთლი ხელიდან უვარდება, გუგა სპორტულ ვარდნას აკეთებს
 და ზედ იატაკთან ახერხებს მის დაჭრას)

ნიკა — (შეხტება) რა მოხდა კიდევ?

ხათუნა — (შეშინებული) ბოთლში ვეებერთელა ჭიაა!

ნიკა — ასეც უნდა იყოს!

შლაპიანი — (ბარიდან ჩამოხტება) მყუდრო საგიუროია! აბა, შენი
 ბიბლიოთეკა შევათვალიეროთ, იუზგარ!

ნიკა — მიდი! ისე, რა ხშირად იცვლები?

შლაპიანი — (ჩაიცინებს) ჰო, მე ხომ ბევრი ვარ!

ნიკა — არც ისე ბევრი! ყველას გცნობთ! აი, შენ...

შლაპიანი — იუზგარ, არ გინდა სახელები... არ შეიძლება!

ნიკა — (სევდიანად) მესმის!

(შლაპიანი ბიჭი თაროებთან მიდის, ნიგნებს ათვალიერებს)

გუგა — გეპარდის ნახტომი! თან წვეთიც არ დაღვრილა! ბომ! (მა-
 რილს ალოკავს, ლიმონს მონუნის და სასმელს ვადაკრავს დაჭყანუ-
 ლი სახით) თაფლია, თაფლი! განათდი, ლამევ, კუნაპეტო!

ხათუნა — ხომ არ მიბრაზდებით?

გუგა — არამც და არამც!

ხათუნა — (ლიმილით) მაშინ ნაგიყითხეთ თქვენი ლექსები!

გუგა — (მძიმედ ჩაფიქრდება) ლექსები? კაცმა რომ თქვას, რატო-
 მაც არა?! სილანს!

(ნიკა და გვანცაც მისკენ შეტრიიალდნენ) სად არის ჩემი რვეული?
 აპა! (შარვლის უკანა ჯიბიდან პატარა, გვარიანად დაჭმუჭნილ რვე-
 ულს იღებს და გადაშლის) მე ახლა თქვენ ნაგიყითხავთ... არა, ამას
 არა! მე ახლა თქვენ... არა, არც ეს! მე ახლა... ვიპოვე! სათაური „გრძე-
 ლი და მოსაწყენი ლექსი“.

შლაპიანი — შენც მოკლე და საკაეფო დაგენერა!

გუგა — (რვეულს ფურცლავს) არა, არც ამას არ ნაგიყითხავთ... მე
 ახლა თქვენ ნაგიყითხავთ... (ბოლო ფურცელს ჩააშტერდება, შემდეგ
 რვეულს დაეცავს და ძარვლის უკანა ჯიბეში ინახავს) არაფერსაც მე
 თქვენ არ ნაგიყითხავთ!

ხათუნა — (ნყენით) რატომ?

გუგა — (მოკლედ) დახერეტაა!

ხათუნა — რა?

გუგა — ხმამაღლა ლექსების კითხვა!

გვანცა — ერთი ბარათიც, ნიკა!

ნიკა — (თვალებს ხუჭავს და ხელს აფათურებს მაგიდაზე) თით-
 ქოს მაკედურავს ვთამაშობდე! კლასიკური „კლასობანა“, თავზე სალ-
 ეკა მადევს, თვალები დახუჭული მაქვს და ვცდილობ კვადრატში ზუს-
 ტად ჩაეხტე! მაჯ? მაჯ! მაჯ?



შლაპიანი — დურაქ!

ნიკა — (კითხულობს ბარათს) საყვარელი სტრიქონი ლექსიდან! გვანცა — (დიეტოფონში) საყვარელი სტრიქონი!

ნიკა — შენ ჩემში უსტკენ, ვით საყდრის ჩიტი!

გვანცა — (ლიმილით) დაემთხვა!

ნიკა — თქვენს სტრიქონს დაემთხვა?

შლაპიანი — თქვე დამთხვეულებო თქვენა!

გვანცა — დიახ!

გუგა — ნიკანდრო, წუ გამებუტე!.. მარტო ხომ არ დავლევ?

შლაპიანი — (განაზებული ხმით) დედა, დედა, ვინმეს ლოთი არ ეგონო!

გვანცა — ერთი შეკითხვაც და... შეისვერნეთ!

ნიკა — (კითხულობს) გესმით თუ არა ქალების?

გვანცა — გესმით?

ნიკა — ნაკლებად! თითქმის არ მესმის... და ეს მშევენიერია ალ-ბათ!

გვანცა — რა არის მშევენიერი?

ნიკა — ცნობისმოყვარება რომ შემრჩა!

გვანცა — გავაგრძელოთ?

ნიკა — (თითქმის ადებს ხელისგულს) კალათბურთივით მცირე შეს-ვერბა!

(გუგასთან გადაჯდება) გაამზადე ორ კაცზე!

გუგა — მზადაა, ძამიკო!

შლაპიანი — ნიგნები იცოცხელე, მაგრამ კითხულობს ვინმე?

ნიკა — ხანდახან...

შლაპიანი — პარუსუმზე რომ გეითხეს... მეონი ყველაზე კარგი სურნელი ბავშვობაში წაკითხულ ნიგნს აქვს!

ნიკა — სხვა სურნელებიც კარგია... მაგალითად მამის... ზღვის და თამბაქოს სურნელი დამდევს, როცა ვიხსენებ!

შლაპიანი — ხშირად იხსენებ?

ნიკა — არ ვიცი, რას ნიშნავს ხშირად... ისე ყველას გიხსენებთ!

შლაპიანი — მართალია, მიტომაც ვართ აქ!

(პაუზის შემდეგ) მაშ, ხანდახან კითხულობენ კიდეც?

ნიკა — (იცინის) რას ჩამაცივდი?!

შლაპიანი — აგაშენა ღმერთმა!

გუგა — ჰა, ვნევიტოთ, თუ პოლიციას გამოვუძახო?!

ნიკა — გაგვიძარჯოს! (სვამს)

გუგა — ეს თავისთავად... საღლეგრძელოს არ იტყვი?

ნიკა — არა!

გუგა — სულ წასულხარ ხელიდან!

(ტელეფონის ზარი. ხათუნა ყურმილს იღებს)



ხათუნა — (ჩუმად) აღარ დარეკო, შე დებილო... გაიგე, არ ფრთხოება
ამ დაწყველილ დაბადების დღეს! მე შენ გიჩვენებ ბარაბინის ტრიკოსტას, მარც
შე მართლა ბარაბანი! შე ბაობაბი!.. რა არის და ხე, დიდი ხე! ჩაიხედე
„ნეიშენალ ჯეოვრაფიში“, თუმცა მანამდე თხა და გიგო წაიკითხე...
კამა-სუტრა კი ბებიაშენს წააკითხე, იქნებ გაახსენდეს რამე! (პირზე
ხელს იფარებს) ვაიმე, შემეშალა, ეგ იმ პირელმა მითხრა... ვაიმე, შე-
მეშალა... ვინ პირველმა და პეტრე პირველმა! არ არის შენ საქმე! დი-
ახაც მშვენივრად ვგრძნობ აქ თავს... საინტერესო ადამიანები არიან,
ჩვენ ესაუბრობთ, ვკამათობთ! (შეშინებული) გიკრძალავ! არ გაბედო!
(კიდებს ყურმილს)

გუგა — (ნიკას) ბავშვი როგორ არის?

ნიკა — უნდა დარეკოს მალე!

გუგა — მოსწონს იქ?

ნიკა — ძალიან, მაგრამ მაინც აქეთ უნდა!

გუგა — გამაგიუბენ ეს ბავშვები, აქ რა დარჩენია?

ნიკა — შენგან მიკვირს... როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვე-
ნოს, ჩვენი შეილები მაინც აქ ისურვებენ ცხოვრებას!

გუგა — სულაც არ ვთვლი უცნაურად... ის კი არა, ერთი ესპანელი
ძმაკაცი მყავს, არქიტექტორი... საკუთარ ქვეყანაშიც გამარჯვებული
კაცია, მაგრამ უკვე ხუთი წელია თბილის ვერ აანინენა ოჯახმა. მეტ
ნილ დროს აქ ცხოვრობს, ამ ბარდაკში... თვითონაც ვერ აუხსნია, რა-
ტომ. კაცმა რომ თქვას, ამ ახალმშენებლობას რომ ვუყურებ, მგონია,
რომ მაგრად იძიეს თბილისზე შური! საერთოდ აღარ მესმის, რა ხდე-
ბა? ვინ არის ეს ხალხი, რომელი ნაპრალებიდან გამოძრვნენ? გუშინ
არარაობიდან გამოჩეკილი ვირთაგვა, ერთი ორი პოლიტიკური „დი-
შეოვე“ სეანდალით ყველა გაზრდის თავფურცელზეა... თან მნიშვნე-
ლობა არა აქვს, კაიკაცობით თუ სიბილნით აღნევ ამას. მთვარია ჩან-
დე, არ დაგვიწყონ... ისე კი, თუნდაც დედა გაგინოს ყველამ, უკვე რა-
ღაცას ნარმოადგენ!

ნიკა — ვულგარული სოციოლოგია!

გუგა — თვითონ სოციუმია ვულგარული! ინერტულები არ ვიყა-
ვით მე და შენ, უკან არ დაგვიწევია, სახელის მოხვეჭაც ნილიდან და-
ვიწყეთ, ისე გადაგვიხაზეს წინა ათნოულებები...

შლაპიანი — დიდუ, რაფრა მოწონთ საკუთარი თავი? კიდევ რას
ნაიგალობებ, გუგი, ვს ა ხე ა ხელო ფრახ.

ნიკა — (იცინის) ტრაბახი არ გიხდება, დამიკო!

გუგა — (ხელს ჩაიქნევს) თვითონ თუ არ ვიქეთ თავი, სხვა ვინ მო-
იცლის! მოდი, ჩვენი ნასული ძმებისა ეთქვათ!

შლაპიანი — ძლივს არ გავახსენდით?

(კაცები სვამენ)

ეეე, ნიკოლოზ, ეგ სტაქანი ბოლომდე!

ნიკა — ბოლომდე არ ვსვამ მე ამ ჭიქას,
 რენო, რანინო,
 შიგ ანგელოსებს, ფეხი უნდა ჩავაბანინო!
 (შემოდის ხათუნა)

ხათუნა — ხომ არაფერი გნებავთ?

გუგა — არა, ხათქუნ, სამწუხაროდ, აღარ!

ნიკა — (ჩუმად) მორჩი! (ხათუნას) ხათუნ, იცი, გახდი და ძალიან
 მოგიხდა!

ხათუნა — არა, ბატონი ნიკა, უბრალოდ, დავიხვენე!

შლაპიანი — ნო კომენტ!

გუგა — (პაუზის შემდეგ) ღამით შენი ხელნანერი წავიკითხე! გამ-
 ჯანრა, მაგრამ ხატყა აელიკა.

ნიკა — ვიცი! საერთოდ, მიჭირს წერა. სულ მეგონა, რომ რასაც
 ვაკეთებ, ეს ჯერ უბრალო მოთელვაა. და უცებ ცაიტნოტში აღმოვჩინ-
 დო. სილალე დავყარგვე! გახსოვს, ფასკუნჯეს ფრენის დროს ძალა რომ
 ელევა, რას აკეთებს ბიჭი?

გუგა — ბარძაყიდან ხორცს ამოიჭრის და ფასკუნჯეს აძლევს!

ნიკა — ჰოდა, ასე უნდა წერდე. ამას თხოულობს შენი ფასკუნჯე!
 (გვანცას) უკაცრავად, მიგატოვეთ!

გვანცა — დაგელოდებით!

ხათუნა — (ჩუმად, ნიკას) ეგ ქმარმა მიატოვა!

ნიკა — (ასევე ჩუმად) მეც მიეკოროვე, ქმარმაც... შენ მაინც დაუ-
 კექი!

ხათუნა — სამუშაო საათებში უფლება არა გვაქვს!

ნიკა — ვინ გაგვიძრაზდება?

ხათუნა — უიმე, სულ აეირიო! (გვანცას მაგიდასთან ჩამოჯდება
 „სვეტსაყად“) გვანცა, რას შვება ახლა ლენონის ბიჭი?

გვანცა — გულწრფელად გეტყვი... არ ვიცი!

ხათუნა — იმ მეორემ დამირეა!

გვანცა — ბაობაბმა?

ხათუნა — ჰო, ნერვები დამაწყვიტა... ნამდვილი ოტელოა!

გუგა — ოტელო სულაც არ იყო ეჭვიანი, პირიქით, ის ზედმეტად
 მიმნდობი გახლდათ! პომ!

ხათუნა — ვაიმე, ჩავინერ! (ენას ყოფს წერის დროს)

ნიკა — ხათუნა — ენა!

ხათუნა — (ჩაზმუვლებით) ბატონი ნიკა, (შიშისგან ენას იკენეტს)

გუგა — ეგ ფრაზა მე არ მეკუთვნის!

ხათუნა — სულერთია!

ნიკა — (გვანცას შეუესებს ჭიქას) გასინჯეთ ტეკილა, სტიმულა-
 ტორია!

გვანცა — გაგვიმარჯოს!



გუგა — (უკმაყოფილოდ) რა ჭირი გვეტაკა ქართველებს, საჭალებულება
რძელოს თქმაც კი გვეზარება!

გვანცა — თქვენ თქვით, გუგა!

გუგა — მე მეზარება! გაგვიმარჯოს! (ჩაფიქრდება) მალე პირიქით
დაილევა ხოლმე, რას არ გაუმარჯოს! ბომ!

ნიკა — ჰო, ეგ ულევი თემაა!

გუგა — (სახვევს ისწორებს) არა, როგორ მრეკა საფერფლე საკუ-
თარმა მეუღლებ?

ნიკა — ეტყობა, გადარიე ეგ ბელურასაეით გოგო!

გუგა — გენახა ეგ ბელურა ბადროსმტყორცნელიეით... რამ გაამ-
ხეცათ ეს ქართველი ქალები?

გვანცა — (მეზობელი მაგიდიდან) იქნებ ქართველმა კაცებმა?

გუგა — (ჩუმად ნიკას) ოცი ნელია ცოლ-ქმარი ვართ და კიდევ
ჩემს გამოსწორებას ცდილობს... შენი მარინესი არ იყოს!

ნიკა — ქალებს გაუმარჯოს!

გვანცა — კაცებსაც!

ხათუნა — მეც დავლევ რა!

შლაპიანი — ცხოველებსაც გაუმარჯოს!

ნიკა — ჰო, ფლორას და ფაუნას!

გუგა — (ნაიმღერებს) სწრაფია ვით ტალღა, ცხოვრება ჩვენი...
რა, არ იცით ეს სიმღერა? ხочете песен, их есть у меня!

ხათუნა — (ჩაილაპარაკებს) არასწორი რუსულია! (გვანცას) იცი,
რა თქვა ჩემზე, პირველად რომ დამინახა?

გვანცა — ვინ, პირველმა?

ხათუნა — არა, მეორემ!

გვანცა — რაო?

ხათუნა — დააყარე ამას სწიკერსები და რიხეიტარიკი, რიხეიტა-
რიკიო!

გვანცა — (სიცილ უტყდება) რიხეიტარიკიო?

ხათუნა — ჰო და რატერიკიო! სილა უნდა გამენნა?

გვანცა — აბარა გიპასუხო?

ხათუნა — სულ დამავინყდა... ბატონი ნიკა, რვიანი გავათიშინე,
თორემ სულ მობილზე და უცხოეთში რეეავდნენ!

ნიკა — შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, ხათუნ!

გუგა — რატომ იკიდებ ხელს მუცელზე, გტკვე რამე?

ნიკა — ხანდახან, გუგი!

გუგა — მერე მიხედვა უნდა მაგას!

შლაპიანი — შეხედე გუგის, როგორ დაბრძენებულა! (ტელეფო-
ნის ზარი. ნიკა მობილურს მიტანს ყურთან)

ნიკა — ლენიკო... ლენიკო, ახლა ვაპირებდი დარეკვას!.. კარგად...
სისულელეა, რაღაც ნამომტკიცდა... არაფერი სერიოზული! დედაშენ-

მა დაგაფეთა?.. მითხარი, სად ხარ და გადმოგირებავ... ნუ ლელავ-
მეთქი და ტყუილად ნუ ხარჯავ მაგ ლირებს... ჰო, მართლა, ხვალ ეპლ-
მოვირიცხავ რაღაცა თანხას! ... რას ნიშნავს, არ გჭირდება... ოფიცი-
ანტად? ... ახლავე დაანებე თავი! ... იხტიოზავრი ბაბუაშენია დედის
მხრიდან! (იცინის) სევდიანი ხმა? გეჩვენება, შვილ! არაფერზე
ინერვიულო! მიყვარხარ! (ხმა ებზარება და მობილურს თიშავს)

ხათუნა — რა, ასე ცუდია ოფიციანტობა, ბატონო ნიკა?

ნიკა — (გამოერევევა) ბოდიში, ხათუნ! ეს იმიტომ ვუთხარი, რომ
სწავლაში არ ჩამორჩეს!

ხათუნა — (ჩაფიქრებით) ჰორო!

(უეცრად ნიკა ორად იკეცება და ბართან ეცემა. ქალები შეეივლე-
ბენ. გუგა ნამოაჯენს ნაქცეულ ძმაკაცს)

გუგა — რა დაგემართა, ბიჭი?

ნიკა — (სულს ითქვამს) ხათუნ! ყინულიანი ნყალი... პირსახოცი
და ჭიქა ტეკილა! (კვნესის) და არა ამ თანმიმდევრობით!

ხათუნა — არ მესმის!

გვანცა — ჯერ ტეკილაო! (უეცრად საიდანლაც ამოვარდნილი ქა-
რი ყმუილით შემოანგრევს კარს და ოთახში მაღალი, თეთრნერა მო-
ხუცი შემოდის. გრძელი, შავი საწვიმარი აცვია. კაცი ჯოხს სკამის
ზურგზე ჩამოკიდებს და მაგიდას მიუჯდება. ნიკა ტეკილას ხუხავს და
ნეალებით დგება ფეხზე).

თეთრნერა მოხუცი — თქვენ ნიკა იშხნელი ხართ?

ნიკა — გახლავართ!

მოხუცი — აფრასიონ ბუაჩიძე!

შლაპიანი ბიჭი — მიგრძნობდა გული... ახლა კარი გაიღება და
აფრასიონ ბუაჩიძე შემოვა-მეთქი!

ნიკა — (გაევირვებით ათვალიერებს) დაბრძანდით!

აფრასიონი — (საწვიმარს იხდის და სმოკინგში რჩება) ჯერ ბიბ-
ლიოთეკას დავათვალიერებ, თქვენის ნებართვით...

ნიკა — კი, ბატონო! ხათუნა, გააცილე სტუმარი!

ხათუნა — აქეთ მობრძანდით! (სტუმარს ბარს უკან გაუძლვება)

გუგა — ვინ არის ეს იმპოზანტური მოხუცი?

ნიკა — არ ვიცი... აფრასიონ ბუაჩიძე ვარო! (ისევ ხსნის კეისს და
რენტგენის ფოტოებს ათვალიერებს)

გუგა — (გვანცას მაგიდას მიუჯდებას) რა დღეშია ინტერვიუ?

გვანცა — შავ დღეში!

გუგა — ხომ არ გავიფერადოთ განწყობილება?

გვანცა — ეს როგორ?

გუგა — დავლიოთ თითო ჭიქა, თორემ... ნამლეუა თქვენმა დეპრე-
სიამ!

გვანცა — მე არ ვიცი მაგ სიტყვის მნიშვნელობა!



გუგა — სამაგიეროდ, მე ვიცი. დავლიოთ?

გვანცა — ძალიან ტახიკარდიული რიტმია!

გუგა — აბა ბრადიკარდიულით მიზანს ვერ მივაღწეოთ? (სუამენ
ბრუდერშაფტზე) ახლა კი, გაიღიმეთ, გვანცა, და მაჟოცეთ! (გვანცას
ეცინება, დება და ორივე ლოყაზე კოცნის გუგას)

გვანცა — რა არის ეს, თითქოს ზღარბს ვაჟოცეო?

გუგა — გაეიპარსავ წვერს... აუცილებლად! ბომ!

ნიკა — (ეეისს კეცავს) ახლავე შენყვიტეთ ეს აღვირახსნილობა!

გუგა — აი, ასეთი შურიანი და ჯაჯლანა ტიპია, თქვენ კი ინტერ-
ვიუებს ართმევთ! (მოფარებულიდან ხათუნას ეისკისი ისმის)

ხათუნას ხმა — რა მშვენიერია, აუცილებლად უნდა ჩავინერო!

ნიკა — (გაევირვებით) შეხედე, რას შობა?

გუგა — მოხუცი უძახე შენ!

აფრასიონი — (დინჯად შემოდის დარბაზში) მშვენიერი ბიბლიო-
თეკაა... და მეგზურიც მშვენიერი გამაყოლეთ!

ხათუნა — (ემაყოფილი) ბატონ აფრასიონს მოენონა ჩვენი ნიგნე-
ბი!

აფრასიონი — ჭეშმარიტად. ძალიან მომენონა, მაგრამ... თუ კით-
ხულობს ვინმე?

ნიკა — რომ გითხრათ, უუტკარივით ესევა ხალხიო, მოგატყუ-
ებთ!

აფრასიონი — ვმ, პრინციპში ბიბლიოთეკა დღეს მომხიბლავი
ანაქრონიზმია!

ნიკა — დაბრძანდით!

აფრასიონი — (ჯდება და ჩიბუხს გააბოლებს) სხვათა შორის, ეს
ჩიბუხი სოტბის... არა ვტყუი, ერისტის აუცილებელი შევიძინე!

ნიკა — სტალინის ჩიბუხია?

აფრასიონი — არა. უორჟ სიმენონის!

ნიკა — უკაცრავად, დაგტოვებთ, ხათუნა მოგემსახურებათ!

აფრასიონი — მე თქვენთან მაქს საქმე!

ნიკა — (კვლავ ჩამოჯდება) გისმენთ!

ხათუნა — (თავისთვის, გაევირვებით) მომხიბლავი ანაქრონიზმი?

ნიკა — რას მიირთმევთ?

აფრასიონი — ფრეშს დავლევ ფორთოხლის!

ხათუნა — რაო?

ნიკა — ფორთოხალი განურე!

ხათუნა — (დაბნეული) გავწურო? ახლავე... (თავისთვის) ფრეში
რაღაა?

აფრასიონი — მაშ თქვენ ნიკა იშხნელი ხართ!

ნიკა — თქვენ კი აფრასიონ ბუაჩიძე!



აფრასიონი — გახლავართ! ჯერ პატარა შესავალს გაუკუთხები
მდაა... უცნაურია, მაგრამ ვლელავ!

ნიკა — რატომ?

აფრასიონი — უნდა გამცნოთ, რომ ჩეენს შეთანხმებაზე საქართ-
ველოს ბედია დამოკიდებული!

(პირველი აქტის დასასრული)

ნიკა — ახლა მეც ავლელდები!

აფრასიონი — ეგ ბუნებრივია! შევეცდები სხარტად აგიხსნათ
ყველაფერი. მე ამერიკელი ქართველი ვარ... პირველი ტალღის ემიგ-
რანტი!

ნიკა — ბუაჩიძების სოფელი ისლარია, თუ არ ვცდები!

აფრასიონი — დიახ, ხარაგოულში... ბატონი ნიკა, გაგიკირდე-
ბათ, მაგრამ მე ძალიან მდიდარი კაცი გახლავართ!

ნიკა — ძალიან მდიდარი, თუ ძალიან, ძალიან?!

აფრასიონი — თუ გნებავთ, შეგიძლიათ ათვერ ახსენოთ ეგ სიტ-
ყვაძლიან!

ნიკა — გასაგებია! მაგრამ ეგეც პირობითი მცნებაა!

აფრასიონი — თუ სიმდიდრე პირობითია, ოთხი მილიარდი დო-
ლარი შეწყდება თქვენს ქედმალლობას?

ნიკა — ქედმალლობის რა შემატყვეთ?

აფრასიონი — კეთილი, ასე გეითხავთ, ოთხი მილიარდი საკმარი-
სია?

ნიკა — ისლარს ეყოფა!

აფრასიონი — უადგილოდ ხუმრიობთ!

ნიკა — ბატონი აფრასიონ, რამდენი გჭირდებათ?

აფრასიონი — რა?

ნიკა — ფული!

აფრასიონი — ორას დოლარს ეიმყოფინებ!

ნიკა — რა ამბავია?

აფრასიონი — მე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მდიდარი კაცი
ვარ!

ნიკა — ღმერთმა ბარაქა მოგცეთ!

აფრასიონი — ღმერთმა უკვე მიბოძა ბარაქა! არ მისმენთ და
ორასი დოლარი გებევრებათ. ორი ნლისა გახლდით, როცა სულგა-
ნათლებულმა მამიჩქმმა ბოლშევიზმის კლანჭებს თავი დააღნია და
ამერიკაში წამიყვანა. დედა ჩემს მშობიარობას გადაუყავა. იქ, უცხოეთ-
ში, ქართულ დიასპორასთან კავშირი არ გვქონია... რატომ დასცემ-
რით წამდაუწუმ საათს?

ნიკა — ცოტა არ იყოს, ვჩქარობ... იქნებ მოგვიანებით...

აფრასიონი — გამორიცხულია... არა, ღმერთმანი, მართლა მიკ-
ვირს, მილიარდებზე ვსაუბრობთ და თქვენ სადღაც გეჩქარებათ!



ხათუნა — (ჭიქას დგამს შავიდაზე) თქვენი ფორთოხალი!

აფრასიონი — გმადლობით, შეილო! (მოსვამს წვენს) ჩინებული ამერიკელებს არ უვარგათ ხილი... შესახედად იცოცხლე, მაგრამ გე-
მო...

ნიკა — ორასი დოლარი არ მაქვს!

აფრასიონი — ისესხეთ! თქვენი ავტორიტეტის კაცს ეგ არ უნდა
გაუქიმდეს!

ნიკა — ეგ ტრილიონები მამამ დაგიტოვათ?

აფრასიონი — ცხონებულმა მამაჩემმა ერთი ხანჯალი და დასა-
ხოცი ბოლშევიკების სია დამიტოვა. პო, კიდევ ქართული მინა მიან-
დერძა, სხვათა შორის, სწორედ ისლარიდან ნაღებული. უმძიმესი კა-
ეშანი რომ მომანვებოდა, მანქანის საბარეულს უხსნიდი თვალდახუ-
ჭელი, იმ ქართულ მინაში შევაცურებდი ხოლმე ხელს... პატარა ტოპ-
რაჟში იყო ჩაყრილი და ხატიდან ჩამოღვენთილი ზეთივით მილბობდა
სულს.

ნიკა — თქვენი პონორარი ოცდაათ ლარს შეადგენს!

აფრასიონი — მე ორასი მჭირდება, უპირობოდ!

ნიკა — (ცოტა ხანს უხმოდ შესცეკრის მოხუცს) იცით, თქვენ ძა-
ლიან ჰევებართ ბაბუაჩემს!

აფრასიონი — მეც შევამჩნიე მსგავსება!

ნიკა — რანაირად, ის ოცი ნლის წინ მიიცვალა?

აფრასიონი — ფოტოებიდან.

ნიკა — სად ნახეთ?

აფრასიონი — თქვენი დოსიე გამოვისყიდე ეგბ-დან. რასაკვირვე-
ლია, ასლი.

ნიკა — ოჯახური ფოტოებიც იქ იყო?

აფრასიონი — პატარა ნანილი... დანარჩენი კერძო დეტექტივს
დავუკევთე!

ნიკა — ბაბუ, ბაბუ, თქვენს ასაკში... გუეადრებათ?

აფრასიონი — ამახსნევინეთ ვითარება!

ნიკა — 50 ლარი და მორჩა...

აფრასიონი — თქვენ მე დამცინით!

ნიკა — (დაღლილად) ეს თქვენ დამცინით, ბატონო ჩემო! (შლაპი-
ან ბიჭს) რა უყუყ მოხუცს, ამ ასაკის აფერისტი ჯერ არ მინახავს!

შლაპიანი ბიჭი — მოუსმინე, ყურადღებით მოუსმინე! შენ ხომ
დიდხანს გჯეროდა თოვლის ბაბუების! ჩეენი თამაშიც გაიხსენე! რო-
გორ ვოცნებობდით, რომ გამოჩინდება მდიდარი, ქართველი ემიგრან-
ტი და მონანიების ნიშნად საქართველოს აჩუქებს მილიარდებს. გახ-
სოვს, როგორ ვანანილებდით ფულს? ჩხუბიც კი მოგვდიოდა პრიო-
რიტეტებზე.

აფრასიონი — ნუთუ თქვენი ნდობის დამსახურება ასე ძნელია?



ნიკა — ჰო, ურნმუნო თომა ვარ! იშხნელების დოსიეს გამოსყიდვა
ვას, პირდაპირ ჩემთვის მოვემართათ!

აფრასიონი — ხომ უნდა მცოდნოდა წინასწარ, ვის ვაბარებ ამხე-
ლა ფულს?! ლუსტრაციის კანონს დავლოდებოდი?

ნიკა — აი, ეს ლაპარაკი უკვე მომწონს. მაშ, თქვენი მემკვიდრე
ვარ?

აფრასიონი — (უხერხულად) არა, მემკვიდრე არა... ეს ფული სა-
ქართველოს უნდა მოხმარდეს, ამიტომ არავითარ პერსონიფიცირე-
ბაზე საუბარიც არ არის... კოორდინატორი იქნებით, შესაბამისი
ანაზღაურებით, რასაკეირებელია!

ნიკა — (ინტერესით) თქვენ არც კი ცდილობთ მაცდუნოთ! ეს უკ-
ვე საინტერესო ხდება!

აფრასიონი — იმიტომ, რომ აბსოლუტურ ნდობას ვიცხადებთ!

ნიკა — გმადლობთ, მაგრამ ორასი დოლარი მეტისმეტია!

აფრასიონი — (მკაცრად) არ არის მეტისმეტი და ახლავე აგიხს-
ნით რატომაც. მე ალგებიმერის ავადმყოფობა აღმომიჩინეს ამერიკა-
ში... მალე ტვინი გამინყალდება და ალარაფერი მეხსომება...

ნიკა — როგორც რეიგანს?

აფრასიონი — დიახ, ევ დაავადებაა სწორედ. ამიტომ ვჩაქრობ
ფულის დროზე დაბინავებას საქართველოში. ეს ჩემი ვალია სამშობ-
ლოს წინაშე. მხოლოდ ასე გამოვისყიდი ცოდვას... აბა, რეიგანივით
ხომ ერ დავემშვიდობები ჩემს ერს?!

ნიკა — როგორც ვხედავ, თქვენ მას ჯერ არც კი მისალმებიხართ!
(მოხუცი თავს ჩაქინდრავს)

აფრასიონი — ხშირად ტკენთ გულს ადამიანებს?

ნიკა — რაც შეიძლება იმვითათად!

გუგა — (რომელიც აქამდე გვანცასთან ერთად კითხულობდა მა-
გიდაზე გაბნეულ ბარათებს) რა უბედურებაა ეს? ქართველებს ნორ-
მალური შეკითხვების დასმაც კი დაავინყდათ, პასუხებზე რომ არა-
ფერი ვთქვათ!

გვანცა — მე წინასწარ არცერთი არ წამიკითხავს... ეს რედაქტო-
რის იდეა იყო!

გუგა — ცინცხალი ხერხია ურნალისტიკაში!

გვანცა — ნულარ მამართლებინებთ თავს... ისიც მეყოფა, სამსა-
ხური რომ დავკარვე!

გუგა — იცით, რას ვიზამთ ჩვენ? ხვალ, ფიზელ ჭკუაზე, თვი-
თონვე შეეთხავთ შეკითხვებს და ნიკაც უპასუხებს!

გვანცა — ტყუილად არ მიკოცნა თქვენთვის!

გუგა — ოლონდ ნიკამ არ ამხადოს სკალპი!

გვანცა — (რბილად) ნუ ხუმრობთ ასე!

შლ. ბიჭი — რას შეები, ძმაკაცს წვავ, ბიჭო?



აფრასიონი — (ამთავრებს ჩიბუხის დაბერტყვას და თავიდან გა...
აბოლებს) რას იზამ, საყვედური სამართლიანია, მაგრამ სჯობს ქუჩან, უკა
ვიდრე არასადრობა! უნდა გითხრათ, რომ აქ ინკოგნიტოდ ჩამორცული.
ჩემი ლეგენდა — ამერიკელი ქართველოლოგი იყო!

ნიკა — ლეგენდა?

აფრასიონი — დიახ, სპეციალისტურების ზედმეტ დაინტერესებას
მოვერიდე.

ნიკა — ო, არა მგონია, მათ თქვენთვის ეცალოთ!

აფრასიონი — მოიცლიან, მერნმუნეთ, მილიარდებს რომ ჩამოვ-
რიცხავ!

ნიკა — (ინგლისურად) ანლეს მაი მემორი ფეიილზ მი...

აფრასიონი — როდის გიღალატათ მეხსიერებამ?

ნიკა — (გაევირებული) ინგლისურიც გცოდნიათ!

აფრასიონი — რატომ მინყობთ გამოცდებს? რასაკირველია ვი-
ცი, მე ხომ ამერიკის მოქალაქე ვარ! მოკლედ, ჩამოვედი, ბინა ვიქირა-
ვე და ვითარების შესწავლას შევუდევქი... ორ თვეში სამოქმედო სცე-
ნარის კონტურებიც გამოიკვეთა... ხოლო დღეს დილით გამქურდეს,
მობილი, ფაქსი, საბუთები, კრედიტუარტები, ქეში, ტანსაცმელი...
ყველაფერი ნაიღეს. ეს ორასი დოლარიც...

ნიკა — ასი... ასი დოლარი!

აფრასიონი — (ჯიუტად) ეს ორასი დოლარიც ფაქსების გასაგ-
ზავნად მჭირდება, რათა ფული გადმოვარიცხინო ჩემს ბანკებს... ნინ
დიდი სამუშაოა... მოქალაქეობის მიღება... ამხელა ფულის ნელ-ნელა
გადმოქაჩია... ეს ხომ ერთბაშად ვერ მოხერხდება... რად მინდა პანიკა
ბირუაზე?

ნიკა — საელჩოსთვის მიგემართათ!

აფრასიონი — (გაძეზრებულად) ხომ გითხარით, ინჯოგნტოდ ჩა-
მოვედი-მეთქი! რატომ ჩააცქერდით ჩემს ხელებს?

**ნიკა — უკაცრავად, თქვენი ხელისგულები მაჩვენეთ, თუ შეიძლე-
ბა!**

აფრასიონი — უნდა მიმკითხაოთ?

(უნდის ხელებს)

**ნიკა — ისეთი კოურები გაქვთ, თითქოს ბანკირი კი არა, მენავე
იყოთ!**

აფრასიონი — ნიჩბებს გულისხმობთ?

ნიკა — დიახ... ნიჩბებს... ნავს!

აფრასიონი — ჰოო. მენავეობა ჩემი ჰობია!

ნიკა — ამ ასაკშიც?

**აფრასიონი — არც თუ ტაქტიანი შეკითხვაა. უკვე მოგახსენეთ,
ჩემი ჰობია-მეთქი. ჩემპიონატებზე არ გამოვსულვარ.**

ნიკა — თუმცა, ებრძოლეთ თქვენს დინებებს, მე რა მესაქმება!



აფრასიონი — იქ დინება არ არის! (პაუზის შემდეგ) დავაწეროთ
თავი ნიჩებძს და ნავებს, საქმეს მივხედოთ!

გიგანტის ისე

ნიკა — ხომ არ მოგშეიდათ?

აფრასიონი — არა, ბატონი, ბრეგის დიეტაზე ვარ... ეს ფული
ტრანშებით ნამოვაჩენს მიერ დაარსებულ ქართულ ბანკში. მანამდე
კი, სანამ ავადმყოფობამ ხელი არ დამრია, დიდი ბიზნეს-გეგმა უნდა
შევადგინოთ... პრიორიტეტები და დაცვის მექანიზმები განვსაზღვ-
როთ!

ნიკა — (ლიმილით) მე რომ არაფერი მესმის ბიზნესის?

აფრასიონი — ეგ თქვენი პრობლემა არ არის. აქ ჩემი ექსპერტე-
ბის ჯგუფი ჩამოვა დაქართველებთან ერთად...

ნიკა — ჩემგან მხოლოდ ორასი დოლარი გინდათ?

აფრასიონი — არა, მტკიცე ნების მეგობარი მჭირდება... აბა ამ
კორუმპირებულ ქვეყანაში ვის ვანდო ჩემი მილიარდები, თქვენ უფ-
რო არ იცის?

ნიკა — კორუფცია ძალზე დელიკატური სიტყვაა!

აფრასიონი — კი, ბატონი, სუპერკორუფცია დაარქვით, მამა-
ძალლობა, ბოლოს და ბოლოს!

ნიკა — სუპერმამაძალლობა! კეთილი... რა ნარმოშობისაა თქვენი
მილიარდები?

აფრასიონი — უნივერსიტეტი რომ დავამთავრე...

ნიკა — ალბათ, ჰარვარდი!

აფრასიონი — არა, ეგ ბოსტონელი სწობების ალმამატერია...
მოკლედ, კომპიუტერულ ბიზნესს მოვეიდე ხელი!

ნიკა — როგორც ბილ გეითსმა?

აფრასიონი — (ქედმალლურად) მე რომ საქმე დავიწყე, ბილ გეით-
სი მაგიდის ქვეშ დადიოდა.

ნიკა — ორასი დოლარი მაინც ბევრია!

აფრასიონი — ყმანვილო, მგონი შევცდი თქვენში, ვაჭრობას კად-
რულობთ?

ნიკა — ლმერთმა დამიფუროს!

აფრასიონი — (მეაცრად) ლმერთმა დაიფაროს საქართველო! ჴო,
მართლა, აუდიენცია უნდა გამიხერხოთ, სასწრაფოდ! ქვეყნის პრე-
ზიდენტთან!

ნიკა — ო, ეგ ადვილი საქმეა! მას ეს ძალიან გაეხარდება!

აფრასიონი — ეშე ნი, არ გაეხარდეს! ქვეყნის გადარჩენაზეა ლა-
პარაკი!

ნიკა — ასი დოლარი და ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს!

აფრასიონი — ორასს წყალი არ გაუვა და, საერთოდ, ფულს ბედ-
ნიერება არ მოაქვს!

ნიკა — სამაგიეროდ, უფლებას მოაქვს უბედურება!

აფრასიონი — შეიძლება ევროთიც გადმოვრიცხოთ პირველი
ტრანზიტი!

ნიკა — (უეცრად) ბატონი აფრასიონ, მე ვერ წაგადგები ჰქონია

საქმეში!

აფრასიონი — რატომ?

ნიკა — (ჩუმად) მეც ავადა ვარ!

აფრასიონი — რაო, თქვენმა მეგობარმა ფიდომ შეგაშინათ?

ნიკა — (გაოგნებული) ახლა უკვე თქვენ მაშინებთ!

აფრასიონი — სულის სიმტკიცე გჭირდებათ. ძლიერი კაცი მგონხართ. ნინ დიდი საქმეები გველის. სუფთა, ნიჭიერი და გავლენიანი ხალხის ბირთვი უნდა შევქმნათ!

ნიკა — (ჯიბიდან იღებს ფულს) აქ ასოცი დოლარია... და ესეც რისთვის, იცით?

აფრასიონი — ბაბუათქვენს რომ ვვავარ?

ნიკა — და ნყალგაუმტარი დრამატურგიისათვის... განსაკუთრებით ქართულ მინაში ხელის ფათურისათვის... რად გინდათ ნავი და ნიჩბები? ბელეტრისტიკას შეებით.

აფრასიონი — (დგება) არაბივით ვაჭრობთ!

ნიკა — (ამოიოხრებს) ხათუნ, რამდენი გვაქვს სალაროში?

ხათუნა — სამოცდასამი ლარი!

ნიკა — მომიტანე! ესეც ინგლისურის ცოდნისათვის!

აფრასიონი — მე ვაფასებ თქვენს დიდსულოვნებას, მაგრამ...

ნიკა — (მოშლილი) ახლა უინ არის არაბი?

აფრასიონი — (მშვიდად) თქვენ!

ნიკა — გუგი?

გუგა — ოთხმოცი ლარი მაქვს!

გვანცა — ათამდე მეც მომეპოვება!

ხათუნა — ლარ-ნახევარი ხურდებით!

ნიკა — შეაქუჩით! (შლაპიან ბიჭს) რა წასტირნია ბაბუ?!

აფრასიონი — (ფულს ჯიბეში იდებს) ხათუნა საწვიმარს აცმევს) სხვათა შორის, ნიკა, მამათქვენი რომ ჭევბოდა, გახსოვთ? არგენტინაში სელექციის გზით ერთი ცხენი დაპატარავეს. ლილიპუტი ცხენი შეეჩნეს. ყველაფერი შეუმცირეს, გარდა ერთისა. გული ვერ დაუპატარავეს. საქართველოს ადარებდა იმ ცხენს მამათქვენი!

(გასასვლელისაკენ მიდის და ოდნავ უქნევს თავს შლაპიან ბიჭს. უცებ შეჩერდება) ფრეშის რამდენი მმართებს?

ხათუნა — ლარი.

აფრასიონი — (ხურდებით აძლევს გოგონას) ეტო ვამ ნაჩა! (გადის)

ნიკა — (სიცილით) როგორც ლოხს, ისე ამახია!

გუგა — ჩვენს ბებია-ბაბუებს გაუმარჯოს!



ნიკა — ვუსმენდი და ვტკბებოდი მისი ნიჭირებით.

ხათუნა — სხვათა შორის, თვითონ იყო მომხიბლავი ანაკრიზის შედეგი

მი!

(ყველა გავეირვებით შეცყურებს)

(მობილური ტელეფონის ზარი)

ნიკა — (მობილში) გისმენთ... მარინ?.. ტყუილად დელავ, ყველა-
ფერი რიგზეა! რა და კარგი სურათია... ახლა მოიტანეს რენტგენის პა-
სუხი... რა გატირებს?.. კარგი რა, ნუ მიტირებ ცოცხალს!.. ფილოს არ
დაურევო, ოპერაციაზეა!

(გათიშვავს მობილს და ბარს ეყრდნობა იდაყვებით)

გუგა — რა ხდება, ნიკა?

ნიკა — (სახეს მოისწრეს) არც არაფერი, ძამიკო! რატომლაც მგო-
ნია, რომ დაუფიქრებლად უფრო სწორ ნაბიჯებს ვდგამდი, ვიდრე
ანალიზების შემდეგ!

გუგა — მარინე ნაღდი პენელოპაა! დაემორჩილე წყურვილის
გრძნობას!

(საქუთარი ხელით გადაახუხინებს ტეკილას)

ნიკა — ის პენელოპა თევითონ გამცილდა!

შლაპიანი — რატომ მოატყუე, ყველაფერი რიგზე მაქვსო?

ნიკა — არ მინდოდა გული ტკენოდა... რაც არ უნდა თქვა, თხუთ-
მეტი ნელი ვიყავით ერთად! ახლა უფრო პრაქტიკულ რამებზე ვფიქ-
რობ. ბავშვზე გავაფორმო, რაც გამაჩინია, საავტორო უფლება და ასე
შემდეგ და... საერთოდ, ჩემს გამო ხარჯი რომ არ ჰქონდეს ლენიკოს.

შლაპიანი — სად მიერეები, ჯერ ხომ არ იცი საბოლოო პასუხი?!
ლამისაა საფლავის ქვა შეისყიდო ნინასნარ!

ნიკა — ჴო, თუმცა...

შლაპიანი — რას აპირებ?

ნიკა — თუ ცუდია რამე, არ ვიმკურნალებ... ტკივილს გავიყუჩებ
მხოლოდ. თავსაც ვერ დავიბრიდავ, დიდი ცოდვაა!

შლაპიანი — (ირონიით) არ ვიცოდი, ასე ღრმა მორნმუნე თუ იყა-
ვო!

ნიკა — (ლიმილით) ღრმა თუ არა, რიგითი მორნმუნე ხომ ვარ?!

გვანცა — ნიკა!

ნიკა — (გამოერევევა) გისმენთ, გვანცა!

გვანცა — (გაუბედავად) მერვე ქალასში ჩემი პირველი თავისუფა-
ლი თემა თქვენს მოთხოვობაზე დავნერე და თითქმის ნახევარი კლა-
სიც ასე მოიქცა!

ნიკა — (ინტერესით) რომელი მოთხოვობა?

გვანცა — „უხილავი მფარეველები“!

ხათუნა — (ბლოკნოტით ხელში) ბატონო გუგა, ჩანაწერს ხომ არ
გააკეთებთ ამ ბლოკნოტში?



გუგა — საჩივრის ნიგნია?

ხათუნა — საალბომო ლექსებისა და ფრაზების კრებული ჩამოარცება
გუგა — საალბომო? აბა, ნამიკითხეთ რამე!

ხათუნა — (თმას ისწორებს და ბლოკნოტს გადაშლის)

მე ბავშვობაში მყავდა ძალი, სახელად რექსა...

ნადირობაში შემოაკედა მეზობელ ზემდეგს.

მე გეტიური ლექსად, დამიბინდა გონება სექსმა...

და ასე შემდეგ, ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

გუგა — რა გულწრფელი ჩანახატია, ძალი, ბავშვობა, ზემდეგი,
სექსი...

ხათუნა — თქვენც ჩამინერეთ რამე!

გუგა — მე ვიფიქრებ ამაზე... ლიმონი მომიჭური!

(ნუნის ლიმონს და იჭყანება) მაშ ასე... ჯერ ზეპირად და გამოთ-
ქმით!

რეინისმკვნეტელა, ტკბილი გეტერა,

ტექილა მასვა და მომეფურა!

გეტერას მტერი გადაემტერა,

ენდ ითსეთერა, ითსეთერა, ენდ ითსეთერა... ბომ!

ხათუნა — (ტაშს უკრავს) რა უბადლოა, უზადო და სპონტანური...
ეე, და ითსეთერა რას ნიშნავს?

გუგა — (ალბომში აკეთებს ჩანანერს) და ასე შემდეგ, და ასე შემ-
დეგ... ინგლისურად!

ხათუნა — აჲ, როგორც პირველ ლექსში, არა?

გუგა — პირველიც ეგ არის და უკანასკნელიც! შეუნახე შთამო-
მავლობას!

ხათუნა — (მუერდზე მიიკრავს ბლოკნოტს) შევუნახავ, უპირო-
ბოდ შევუნახავ!

გუგა — (მუსიკას მიაყურადებს) ეს სტიკ ვანდერია?

ხათუნა — დიაბ!

გუგა — (ჩაფიქრდება) ნეტა რა დაემართება, ერთ მშვენიერ დი-
ლას თვალები რომ აეხილოს და ენა მუცელში ჩაუვარდეს?!

ხათუნა — სტიკ ვანდერს?

გუგა — დიაბ, ბრმა გენიოსს!

ხათუნა — თვალები აეხილოს და ენა მუცელში ჩაუვარდეს? (ჩა-
ფიქრდება) ალბათ თავს მოიკლავს!

გუგა — ჯიგრული ნათქვამია!

ნიკა — (ბართან მიდის, ზედ შემოსკუპებულ შლაპიან ბიჭთან) შენ
ეს მითხარი, ვიცი, რომ ჩემს მეტი ვერავინ გხედავს!

შლაპიანი — სრული ჭეშმარიტებაა!

ნიკა — მე კი მომეჩვენა, რომ მოხუციც გხედავდა.

შლაპიანი — აბა მოხუცი?

ნიკა — აფრასიონ ბუაჩიძე! მომეჩვენა, თითქოს გხედავდა და ცო-
თხელ გაგილიმა კიდეც!

შლაპიანი — (მხრებს იჩეჩავს) მართლაც რომ მოგემუშავა ჩბჟუე
სხვა რა ახსნა აქვს ამას?

ნიკა — (თვალებზე მოისვამს ხელს) აი, ახლა ისევ შეიცვალე! ხან
ბიჭი ხარ, ხან ქალი... ხან კი ბევრი ერთად!

შლაპიანი — (ლიმილით) რას მერჩი, ნიკანდრო, ჩვენ ხომ შენს
ნარმოსახვაში ვართ მხოლოდ!

ნიკა — (თვას გააქნევს) მართალი ხარ... სხვა ახსნა არ არსებობს!

შლაპიანი — შენ ჯობია გვანცას მიხედო... ცოდნა გოგო. თან
მგონი, ავარდი კიდეც. მოგენონა?

ნიკა — ჰო, სამწუხაროდ!

გუგა — (ჩაფიქრებით) ტეკილასაც აღარა აქვს ქრა!

ნიკა — (გვანცას მაგიდასთან ჩამოჯდება) აღარ გეინდა დღეს შე-
კითხვები, გთხოვთ... ხვალისთვის გადაედოთ!

გვანცა — როგორც გენებოთ!

(ჩანთაში აწყობს დიქტოფონს და ქალალდებს)

ნიკა — (უხმოდ შეჰყურებს ამ პროცესს, შემდეგ ხელს დაადებს
ხელზე) არ ნახვიდეთ!

გვანცა — უკაცრავად, მაგრამ...

ნიკა — დარჩით, გთხოვთ... გეხვენებით!

გუგა — მე კი გემუდარებით! ბომ!

შლაპიანი — გუგი, მურმანო!

გვანცა — დავრჩიბი!

ნიკა — გმადლობთ. ცოტა ხანს ჩუმად ვისხდეთ!

(გვანცა ორივე ხელს აღმართავს და თითებს ერთდროულად მიი-
დებს თვალებზე, ყურებზე და ტუჩებზე)

ხათუნა — (გუგას) მოდით, სახეევს გამოგიცვლით!

გუგა — რაო, აქ აფთიაქიცა გაქვთ?

ხათუნა — მხოლოდ ბინტი!

გუგა — ნაკერთან ფრთხილად ოღონდ!

ხათუნა — მე მედდების კურსებზე ვსწავლობდი!

გუგა — რა უნივერსალური ხარ, ხათქუნ!

ხათუნა — თქვენ კი რენესანსული ტიპი ხართ!

(გადის ბინტის მოსატანად)

გუგა — დააა, ნახვატალას, დევოჩქა!

(სიგარეტს უკიდებს. ხათუნა ბრუნდება)

ხათუნა — ნუ იძაბებით, არ გატენთ. რა მშიშრები ხართ კაცები
და არ თქვათ რა, რა რომანტიკული ინტიმია!

გუგა — რა რომანტიკული ინტიმია?!

ხათუნა — (კეკლუცად) თქვენ სახიფათო კაცი ხართ!



გუგა — ეჭ, ტროლების შემთხვევა ადგილს მითმობენ!

შლაპიანი — (მხიარულობს) ჰო, შენც სულ მუნიციპალური ტრანსიტი
სპორტით დასეირნობ!

ხათუნა — (სახვევს ამაგრებს) ხომ არ გიქერთ?

გუგა — არა, მაგრამ სურვილი გამიჩნდა, ხშირხშირად გავიტეხო
თავი!

შლაპიანი — (სევდიანად) სულ გამომიჩერჩეტდნენ ძმაკაცები!

ხათუნა — აუტანელი ხართ! (გადაიყის სისტემს, შემდეგ სახვევს
მაკრატლით მოჭრის) ვოლა! მაჩუქებთ თქვენი ლექსების ნიგნს?

გუგა — აუცილებლად!

ხათუნა — და რას ნამინერთ ყდაზე?

გუგა — ავტორი გაფრთხილებთ, რომ ლექსების კითხვა სახიფა-
თოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

ხათუნა — რა არაორდინალურია!

გუგა — (დაიკვენეს სისტემა) შენ მე ბოლოს მომილებ, ხათქუნ!

ხათუნა — ვაიმე!

გუგა — (დაუკეთებული) რა მოხდა?

ხათუნა — ლუკმა არ ჩაგიდევთ პირში. ახლავე გაგიმზადებთ ბუ-
ტერბროტს!

(გარბის)

გუგა — ბომ?

ნიკა — დღეს იყო სასამართლო?

გვანცა — დიახ. დღეს დილით.

ნიკა — უცნაური გრძნობაა, არა?

გვანცა — პირიქით, ძალიან მკაფიო და ცხადი. უცნაური თუ საც-
ნაური ის შეკითხვებია, საკუთარ თავს რომ უსვამ. რა იყო ეს ერთად
გატარებული ნლები?.. როდის იყავი ნაღდი, მაშინ თუ ახლა?.. ისეთი
შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი კლონი იყო გათხოვილი! ლიტერატუ-
რამ დამლუპა!

ნიკა — (ეცინება) ეგ როგორ?

გვანცა — (ლიმილით) ძალიან მიყვარდა სათავგადასავლო რომა-
ნები! ძლიერი, კეთილშობილი. ლირსებით აღსავსე კაცები... ჩემს უნ-
კასს ვეძებდი!

ნიკა — ვერავინ გადმოხტა კლდიდან?

გვანცა — მიტომაც იყო უნკასი, უკანასკნელი მოპიკანი... ეს ვე-
ლარ გავთვალე! თუმცა, გათვლებში ისედაც მოვისუსტებ!

ნიკა — თქვენი მეუღლე ალბათ გრძნობდა ამას...

გვანცა — დიახ, მითხრა კიდეც, პიგმალიონები ცუდად ამთავრე-
ბენ!

ნიკა — სწორი უთქვამს.

გვანცა — ჴო, არ იყო უჭეულ ბიჭი... საერთოდაც კარგი ბიჭი იყო,

Abkhaz



აბა ამდენი ნელი რა გამაძლებინებდა?.. და კიდევ... ხომ არ ჭავჭულა
ლეთ ჩემი გულწრფელობით?

ნიკა — მე თვითონ არ გყითხეთ? რამე ქონებრივი კონფლიქტი
ხომ არ ყოფილა?

გვანცა — ო, არა. ისე არ იფიქროთ, თითქოს ჩემმა ეჭვიანობამ
დაანგრია ოჯახი!

ნიკა — მე სხვა რამეს ვფიქრობ, თქვენ თვითონ ხომ არ უბიძგეთ
სხვა ქალისეუნ, უნკასობა რომ შეანერეთ?

გვანცა — (ჩაფიქრდება) ეს აზრი მანამდე არ მომსვლია თავში...
მაგრამ, არა... არანაირი ძალატანება ჩემი მხრიდან არ ყოფილა...

ნიკა — ამას თქვენ ამბობთ!

გვანცა — მერნმუნეთ, ძალიან მარტივი ვარ ურთიერთობაში და
სრულებით არ ვეძებ სირთულეებს. მისი ღალატი დამანგრევდა, ჯერ
კიდევ რომ მყვარებოდა. ისე, რა მყიფე ყოფილა ყველაფერი!

ნიკა — ჰო, იოლად მსხვრევადია! რეინა-ბეტონს ძნელად თუ ნა-
ანყდება კაცი!

გვანცა — თქვენ, მგონი მე მამტყუნებთ!

ნიკა — ვინ მომცა ამის უფლება... თან, მე ხომ არაფერი ვიცი
თქვენს შესახებ! სულ არ გენატრებათ?

გვანცა — როგორ შეიძლება მოგენატროს სიზმარი, რომელიც
დილით აღარ გახსოვს?! თქვენი ერთი ნაწარმოების გმირი ამბობდა,
თითქოს უკაცრიელ კუნძულზე ვიყო, მინდა ბოთლში ნერილი ჩავაგ-
დო, ვარ ამა და ამ გრძელზე და განედზე, მიპოვეთო!

ნიკა — რატომ გაგახსნდათ?

გვანცა — მე არ ჩავაგდებდი ბარათს ბოთლში, პირიქით დაუიმა-
ლებოდი იმ კუნძულზე!

ნიკა — ცოტა ხომ არ აზეიადებთ?

გვანცა — (ლიზიანდება) ძალიან გთხოვთ, ნუ ნაბავთ მამაშვილუ-
რად თეალებს!

ნიკა — (ცივად) მეტი აღარ დალიოთ!

შლაპიანი — ჰა, მუტრუკო, რას უტოვავ, რა თქვა ასეთი?

გვანცა — უკაცრავად! (პაუზის შემდეგ) უფროს-უმცროსობაში
ჩავიჭრი, ვატყობ!

(ნიკა ჯერ განცემურებული შეჰყურებს, მერე სიცილი უტყდება,
გვანცასაც ელიმება)

ნიკა — და თქვენ ამბობთ, მარტივი ვარო!

გვანცა — (მოულოდნელად) თქვენ როგორ ხართ?

ნიკა — (გაევირვებული) გმადლობთ, ისე რა...

გვანცა — მე არ გეეითხებით, როგორ ბრძანდებით მეთქი, მე
გყითხეთ როგორ...

ნიკა — (ანუვეტინებს) ახლა მიეხვდი. ცუდად! და საერთოდ დღეს

ეს შეკითხვა...

გვანცა — რაო, ბარტავონ შეკითხვაა?

ნიკა — (სიცილი უტყვდება) ზუსტად! (პაუზის შემდეგ) იცით, ერთ-მა ჭევიანმა პირატმა რა მოიფიქრა: ელდოვან, რიფებით სავსე ყურე-ში, ყალბი შუქურა დაფდა. შტორმისა და ნისლის დროს გემები დან-დობილად მიდიოდნენ ამ შუქშე და ილუპებოდნენ. ასე, ყოველგვარი აბორდაჟების გარეშე, აღნევდა მიზანს!

გვანცა — თქვენ მექობრე ხართ, თუ მსხვერპლი?

ნიკა — არ მიყვარს სიტყვა მსხვერპლი, მაგრამ ჩემი გემი დალე-ნილია და გაქურდული! ჩემი ლამაზი კარაველა!

გვანცა — თქვენ ხომ გადარჩით?

ნიკა — გადავრჩი, ნაპირზე გამომრიყა ტალლამ. იცით, რომელი კუნძულის ნაპირზე... (ხმას დაუნევს) იმ კუნძულის, სადაც თქვენ იმა-ლებით!

გვანცა — ეკონი იყოს თქვენი გამორიყვა, მაგრამ რა ვუყოთ ბოროტს და ჭევიან პირატს!

ნიკა — დავბრიდოთ!

გვანცა — გაგრძელება თუ აქვს ამ ისტორიას?

ნიკა — (ცოტა ხანს უყურებს გოგონას, შემდეგ სიგარეტს მოუკი-დებს) სამწუხაროდ, არა!

გვანცა — (ნაძალადევი სიცილით) კონცერტ სკონალს!

შლაპიანი — (უკმაყოფილოდ) რა კატა-თავგობანას ეთამაშები?

ნიკა — ხომ არ გაგიუდი, ნამით დამავიწყდა ასაკი და ის ოხრობა, რაც მჭირს!

შლაპიანი — იმ ანექდოტს მახსენებ, გასისხლული ნიქარა ბიჭს რომ ეხვევნება, ეგ მაქრატელი და სავარცხელი უკან გადააგდე, ნინ ნუ ისვრიო!

ხათუნა — (შემოდის თეფშით ხელში) თქვენი ტოსტიკი ინებეთ! ხომ გემირიელია?

გუგა — (ილუქმება) ძალიან, ბომ!

ხათუნა — ნიგნი მაჩუქეთ და კიდევ გაგიკეთებთ!

გუგა — უნდა დავძებონ, მე ალარ მაქვს!

ხათუნა — სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს... ახლა გამახსენდა! ოლონდ ყველაზე მაღალ თაროზეა, უნდა აძვრეთ!

გუგა — (უხალისოდ) კიძე?

ხათუნა — კიძეც მოგვეპოვება... ნამობრძანდით!

გუგა — (დგება) საით მიმაბუნდულებს ეს ქალბატონი? (ხათუნას გაყვება)

ნიკა — (უხერხულ სიჩუმეს არღვევს) ხომ არ მოგშივდათ?

გვანცა — (დგება) არა, გმადლობთ, ახლა კი ნამდვილად დამაგვი-ანდა! (ნიკა უეცრად ნინ გადაიხრება და კვნესის) რა გემართებათ?



ნიკა — (წევალებით) სპაზმია, ახლავე გამივლის!

გვანცა — (შეშფოთებული) რამე ნამალი არა გაქვთ?

გადასაზღვრული

(ნიკა თავს უქნევს, ჯიბიდან ტაბლეტებს იღებს და პეშვით ჩაიყრის პირში, შემდეგ ტეკილას გადახუხავს) ნამალს ტეკილას აყოლებთ? ეს სად ნერია?

ნიკა — (სულს ითქვამს) ჩემს კარაბადინში!

გვანცა — ნიკა, გთხოვთ, ნუ აკეთებთ ამას!

ნიკა — მეცა მაქეს სათხოვარი. არ ნახვიდეთ, არ დამტოვოთ მარტო ამ კუნძულზე!

გვანცა — (პაუზის შემდეგ) აერ სიუჟეტის ძაფი განყდაო?

ნიკა — რას გაუგებდ ამ დრამატურგიას! ვინ იცის, იქნებ... რა დაგემართათ?

გვანცა — (თვალს ისრესს) რაღაც ჩამივარდა თვალში!

ნიკა — (სკამზე დასვამს) ახლავე გივექიმებთ!

გვანცა — (ლიმილით) ტეკილას ჩამანვეთებთ?

ნიკა — არა, სულს შეგიბერავთ! (ნელზე მოხვევს ხელს და თვალს გაახელინებს. ნაზად უბერავს სულს) ახლავე გაგინიავებთ მაგ მშვენიერ თვალებს! ეს ალბუციდზე ეფუტურია!

გვანცა — დიახ... ეფუ... ქტუ... რია!

ნიკა — რატომ ლაპარაკობთ ნყვეტილად, ჩემშა სიახლოვემ ხომ არ აგაღელვათ?

გვანცა — (წევალებით) არა... ნეკნები...

ნიკა — (გაოცებით) ნეკნები?

გვანცა — ჰო... ძალიან მომიქირეთ ხელი... და... ველარ ვსუნთქავ!

ნიკა — ეს პროცედურის ნანილია!

გვანცა — ამდენ სულის... ბერვისაგან... ძილი მოგერევათ!

ნიკა — ახლა მე ვერაფერი მომერევა! (კოცნიან ერთმანეთს. უერად საშინელი გრუბუნის ხმა ისმის).

ხათუნას ხმა — (კივის) ვაიმე! (ნიკა და გვანცა ერთმანეთს შეხედავენ და ხმაზე გარიბიან)

ხმები — ჯერ ნიგნები მოაცილეთ... სად არის?.. აგერ ფეხსაცმელი მოჩანას... ფეხით გამოვათრიეთ... გადაყარეთ ეს ნიგნები... აი, რადაცას ზმუის!

შლაპიანი — გუგას პოვნას შლიმანი სჭირდება!

(შემოყავთ გაკავებული, დარეტიანებული გუგა, სახვევი ცალ თვალზე აქვს ჩამოფხატული)

ნიკა — (შვებით) პოეტის ჭეშმარიტი ფინალია!

გვანცა — ვიფიქრე, რაღაც აფეთქდა-მეთქი!

გუგა — Вы когда нибудь видели, такую великолепную катаклизму?!

ხათუნა — აი, სწორედ ეგ ფრაზა ჩამინერეთ თქვენს ნიგნში!

გუგა — (ხელში ჩაბლუჯულ ნიგნს დახედავს) ეს ჩემი ნიგნი არ არის, ტომას ელიოტია!

ხათუნა — (მხიარულად) მე კი ვიპოვე თქვენი კრებული, როცა ტყვეობიდან გისხენით!

გუგა — (რაღაცას ჩაჯდაბნის ნიგნში და სკამზე დაეშვება) არა, დღეს ჩემი დღე არ არის, თუმცა არც გუშინ იყო! (უეცრად ახსენდება) ეინა თქვა ჩემზე, ზმუსო! მე არ ვზმუოდი, ელემენტარული ასფიქსია მქონდა.

გვანცა — (ნიკას. ნაზად) მეც მქონდა პატარა ასფიქსია!

ხათუნა — (კითხულობს გუგას ჩანანერს) მეგობარო, ეს არ არის ნიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები!

გუგა — ბოდიში ბიბლიოთეკის დაქცევისათვის! ბომ!

ნიკა — გულთან ახლოს წუ მიიტან! დავალაგებთ! (ტელეფონის ზარი) გისმენთ... ხათუნას? (თვალით ანიშნებს, ყურმილი აიღეო)

ხათუნა — (ბართან მოდის) ალო... ჩეენ ალარაფერი გვაქვს სალა-პარაკო... შენი იდიოტური შაყირებით კამა-სუტრაზე და... კიდევ ბევ-რი მახსენდება... დაახვივ აქედან! ჰო, ჰო, დაახვივ-მეთქი! რა იფიქრე, რომ ასეთი მიამიტი და შტერი ვარ? შენ კი გამოსული ბიჭი, ჩემზე კა-ეფობ?.. მოვრჩეთ, ალარაფერი... (დიდხანს უსმენს) შენ ისევ ხუმრობ! ... ვიზებიც? ... რა საბუთები უნდა შევაგროვო? (უსმენს) გეხვენები, მართალი მითხარი, მორიგი ხუმრობაა თუ...? ... როგორ, უარაფროდ? მარტო კბილის ჩოთქით ხომ არ ნამოვალ? ... არა, არა, ამხელა ხარჯი რა საჭიროა... მე ყველაფერი მაქვს სამოგზაუროდ, ჩემთვის მთავარი თვითონ პარიზია... ვაიმე, მგონი არ ტყუი! ვინ არის დემულენი? ... როგორ თუ დაანგრიოს, ეგ ხომ ეულტურული ძეგლია? კარგი, მოვემ-ზადები, მაგრამ კიდევ ერთხელ გთხოვ, წუ მომატყუებ, ისედაც შეგი-რიგდები! (დიდხანს უსმენს. ბედნიერი ლიმილი ალბეჭდია სახეზე) არა, ეს უკვე შენი ფანტაზიებია... ვინც არ უნდა იყოს, ის შენი მევო-ბარი, იცი, რა როგორი სააგენტოში გასინჯვა? (იცინის) შენ მონეული ხომ არა ხარ? ისეთი ხმა გაქვს... კარგი, გეყოფა, ისედაც ამერიკ ტეი-ნი... (უეცარი დაეჭვებით) მანდ ვინ ხითხოთებს? ... მომეჩვენა? (ძვე-ბით) ჰო, ვიღაც ჩაერთო, ეტყობა... მომისმინე, რა საბუთებია საჭი-რო?... (ნეუნით) გაითიშა... ალო, ალო... გაითიშა! (კიდებს ყურმილს და მაგიდასთან ჩამომჯდარ სამეულს მიეჭრება) ბატონო ნიკა, დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან!

ნიკა — ბრძანე, ხათუნ!

ხათუნა — (დელაცს) მეგობარმა დამირეკა... რაღაც გენიალურ ამ-ბაქს მთავაზობს... მე გაბუტული ვიყავი და ახლა, რომ შევურიგდე... მოკლედ, პარიზში მეპატიკურება... ერთი კვირით. (ბედნიერი სიცილით) მსუბუქად ნამოდიო, ყველაფერს იქვე ვიყიდითო... უი, ეს რა შუაშია... ავირიე... ისე მოულოდნელად... ძალიან კარგი ეულტურული პროგრა-

50813

მაა! ... თეითონ ნამყოფია და იცის... ყველაზე მეტად მინდა ბასტი-
ლია განახოო, თან დროზე უნდა ჩავასწოროთ, თორემ ვიღაც დამკავშირდებია
ნი ბასტილის დანგრევას აპირებსო... გამიკეირდა სხვათა შორის, პა-
რიზი თბილისი ხომ არ არის, იქაც ანგრევენ კულტურულ ძეგლებს?
და კიდევ... თუმცა „ჩრევო პარიჟაც“ ხომ აიღეს...

ნიკა — (ყვირის) შენყვიტე! (შემდეგ უფრო მშეიდად) შენყვიტე ეს
ისტერიკა!

ხათუნა — (დაბნეული მისი რეაქციით) რატომ მიბრაზდებით, მე
მხოლოდ გიყვებოდით... მინდოდა ვიზებზე დამხმარებოდით... (გაკ-
ვირებული შეპყურებს უხმოდ მჯდარ სამეულს) და კიდევ... რომ გა-
გვშვით... უხელფასოში... რა მოხდა, რატომ მიყურებთ სამიცე ასე?

გვანცა — (პაუზის შემდეგ დგება და მხრებზე ხვევს ხელს გოგო-
ნას) მოდი, ჩამოჯექ, ხათუნ!

ხათუნა — ის ახლა დარეკავს... ტელეფონი ვაითიშა!

გვანცა — მომისმინე... ბასტილის ციხე ორი საუკუნის წინ დაან-
გრიეს!

ხათუნა — მერე რა... როგორ თუ დაანგრიეს?

გვანცა — იმ დემულენმა დაანგრია ხალხთან ერთად... ორი საუ-
კუნის წინ!

ხათუნა — (უმნეოდ) ესე იგი?

გვანცა — ესე იგი, შენი ვაუბატონი უნიჭოდ ხუმრობს... (იფეთ-
ქებს) კი არ ხუმრობს, დაგცინის ეგ შობელძალი!

ხათუნა — (ხელებს მიიღებს ყურებზე) ნუ ყვირი, გვანცა, გთხოვ,
ნუ ყვირი! მე ყველაფერს მივხვდი! (სომნამბულასავით მიდის დახლ-
თან და მექანიკურად ამშრალებს ჭიქებს. უსიცოცხლო ხმით) რატომ
დამცინა? რატომ უნდა მოგინდეს ადამიანის დაცინვა... რა საჭიროა
ეს? (ტელეფონის ზარი. ხათუნა თავს ჩაქინდრავს, ნიკა ყურმილს
იღებს)

ნიკა — გისმენი! ხათუნას არ სცალია... ჰო, სხვათა შორის, კამა-
სუტრა ჩევნს ბიბლიოთეკაში არ არის! იმიტომ, რომ შენი დედიკოს
საძინებელში დამრჩა!... ახლა კი, მე მომისმინე, შე ქარაქუცა! ერთხე-
ლაც რომ დაურევო ხათუნას, ძალიან ცუდად მოვიცლი შენთვის... ჰო,
ხუმარა ბიჭო, ნამდეილად არ დავიზარებ! (კიდებს ყურმილს)

გუგა — სეფე ჭიქა ხათუნას!

გვანცა — ერთადერთი სამკურნალო რეცეპტია, ბატონებო?

ნიკა — ხათუნ, გილოცავ დაბადების დღეს! კიდევ ერთხელ!

გვანცა — დაანებე თავი მაგ ჭიქებს და ჩამოჯექი! (ტელეფონის
ზარი. ნიკა ყურმილს იღებს).

ნიკა — ბატონო... ხათუნას? ახლავე... (ყურმილს აფარებს ხელს)

ხათუნ, მე მგონი ის ბიჭია, მეორეს რომ ეძახი!

ხათუნა — (ყურმილს იღებს) გმაღლობთ, ბატონო ნიკა! გამარჯო-

ბა... სად ხარ? პო, ვხედავ... დამიცადე წუთით... (ყურმილს ხელს აჭაპავებს) შეიძლება ცოტა ხნით გავიდე... აქვე ქუჩის მეორე მხარეს ჩივილი

ნიკა — ნადი, ხათუნ! (ხათუნა ნინისაფარს იხსნის, ჩანთიდან სარკეს ამოილებს, შეათვალიერებს თავს და გვანცას შეხედავს. გვანცა ცერა თითს აუნევს. გოგონა გადის)

გვანცა — როგორ ჩამნარდა დაბადების დღე!

ნიკა — (ლიმილით) თქვენ ხათუნას არ იცნობთ, ხუთ წუთში მისი კისეისი აიკლებს აქაურობას!

გუგა — (რაღაცას აუეირდება გარეთ) რამხელა კამბეჩია?

ნიკა — რომელი?

გუგა — ხათუნას რომ ელაპარაკება... არც მეორე მყავს ტანწერ-ნეტა და ბეჭტბრტყელი, ისიც გვარიანი ჯორია, მაგრამ ხათქუნას მე-გობარი რაღაც უსაშველოა!

გვანცა — (ლიმილით) ხათუნა მაგას ბაობაბს ეძახის!

ნიკა — რას ერჩით ბაობაბს? (მობილს კრეფს, ცოტახანს უსმენს და ისევ ეცავს)

გვანცა — (შეკივლებს) ვაიმე... ვაიმე!

ნიკა და გუგა — (ერთხმად) რა მოხდა?

გვანცა — (სკამიდან ნამოხტება. თვალცრემლიანი) სილა გაარტყა ხათუნას იმ პირუტყვმა (გარბის გასასვლელისკენ. ნიკა უკან გამო-ედევნება)

გუგა — (სწრაფად ხსნის დანას) ატ, თქვე წუნკლებო! (დაედევნება მათ)

შლაპიანი ბიჭი — რა ვქნა, გიორგი სააკაძის/ხეზე ამძვრალი ბიჭიები უნდა გადმოვცე ბრძოლის ძირითადი მომენტები! აი, ნიკამ ორჯერ მაგრად დააშეულა კამბეჩის, მაგრამ ძვრა უკო... რაღაც ანომალიასთან გვაქვს საქმე! მეორე მუტანტს ჩხერი არ ცოდნია, ამიტომ ნიკას და გუგის მიერ ჩატეხილმა ცხვირმა ისე დაასევდიანა, რომ მცირე კროსი გამართა ხალხმრავალ ქუჩაზე... მაგრამ რა უყოფთ ხათუნას კამბეჩის? ჯანი და ახალგაზრდობა მის მხარეზეა... მაგრამ ჩემი ბებერი ძმაკაცების გამოცდილებაც ანგარიშგასანევი ფაქტორია... და აი, გუგამ მატადორის უზადო გრაციით, მცირე ჩხელეტა მიაყენა დანით ხათუს მუტირებულ კავალერს უკანა, რბილ ნაწილში... რასაც დაზარალებულის ლმუილი და ბრძოლის ველის დატოვება მოვეა, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცი იფირებდა, რომ მას სადღაც ძალიან ეჩეარება... ყველაფერ ამას თან ერთვოდა ჩემი გოგონების კეიილი და ქრისტიანული შეგონებები! ახლა თხილე აქეთ მორბის. შევეგებოთ მათ...

(ოთახში გვანცას სახეზე ხელაფარებული ხათუნა შემოყავს, მათ ნიკა მოყვებათ, რომელიც ფრთხილად ისინჯავს დაზარალებულ ყბას).

გუგი — შემოდის ოთახში, დანას ცერად აღმართავს ჰელიში და დასჭყივლებს) გახლავართ ზეიადაური...

ნიკა — (სწრაფად მოტრიალდება და დანას ართმევს ხელიდან) ხომ არ დაჭრო?

გუგა — არა, რომელი ყასაბი მე მნახე? ტაქოში ვუჩხვლიტე ოდნავ!

ხათუნა — (მშვიდად) მკვლელო, მკვლელო, მკვლელო!

გუგა — (დაბნეული) ხათუნ, ოდნავ ვუჩხვლიტე... ტაქოში! და საერთოდ, უფიქსატორო დანაა...

ხათუნა — (დინჯად იმეორებს) მკვლელო, მკვლელო, მკვლელო!

გვანცა — ხათუნ, დამშეიდიდი, არაფერი მოსვლია იმ მუტრუს!

ხათუნა — (შესაძინებელი სიმშეიდით) მე აქ ინტელექტუალურად და სულიერად ამაღლებას ვაპირებდი, ამიტომ გამომიშვა დეიდამ... და მკვლელების, ლოთებისა და გიუგის ხელში მოვხვდი... ეს რაღაც მთვრალი ხომალდია!

ნიკა — ხათუნ...

ხათუნა — (კელავ მონოტონურად) მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთ... მე ორი თაყვანის მცემელი მყავდა... ორივე მირეკავდა ხოლმე, მნერლებმა და პოეტებმა გამიტების ისინი... (უეცრად წყვეტის რეჩიტატივს და კივილზე გადადის) ალარავინ დამირეკავს, ალარც პირველი, ალარც მეორე! რას მერჩოდით, რას მერჩოდით?!

გვანცა — ხათუნ, ბიჭებმა შენ დაგიცვეს...

ხათუნა — (კივის) რატომ დამიცვეს? რატომ დამიცვეს ასეთი გააფთრებით?! ალარავინ დამირეკავს! (ბარისკენ შემოტრიალდება, ზედ გადაემხობა და ტირის)

გუგა — (მობოდიშებით) ხათუნ, აი ასე მეჭირა დანა... მხოლოდ ნერგი სჩანდა... ტაქოში ოდნავ... (ათვალიერებს ხათუნას გამობზე-კილ ტაკას) ვუჩხვლიტე, მაგრამ მონი მისამართი შემეძალა...

(ნიკა ხელს კიდებს მას და ხათუნას მომხიბვლელი ადგილების თვალიერებას ანუკეტინებს)

ნიკა — მართლა უჩხვლიტე?

გუგა — სულ ოდნავ... რატომ იღმუვლა, არ ეიცი!

ხათუნა — ალარავის ვუყვარები... არავის ვუყვარვარ!

ნიკა — რა ვქნათ, ისტერიკა აქვს!

გუგა — ამ დროს სილის გამნაა კარგი, მაგრამ მე არ შემიძლია!

გვანცა — გაგიჟდით, კიდევ სილა რომ მოხვდეს, საერთოდ გადადგება ჭკუიდან!

ხათუნა — აჲ, სილაც უნდა მღენოთ?! (პირს ალებს და ლნავის) არავის ვუყვარვარ, მიშველეთ!

ნიკა — აბა, ახლა გაჩუმდი! (ხათუნა დამფრთხალად უყურებს მას) შენ ღმერთს უყვარხარ, გესმის, შენ ადამიანი ხარ და ღმერთს უყ-

ვარხარ! (დაბნეული ხათუნა სეამზე ეშვება და ხელებს მუხლებზე და-
ინყობს)

გუგა — შენ ადამიანი ხარ და ღმერთს უყვარხარ! ბომ! დანა კი
მართლა უფიქსატოროა, შეხედე!

შლაპიანი ბიჭი — არ მიაწვა ამ უფიქსატოროს?! მილიციაში ხომ
არ იძლევი ჩევნებას? (მობილური ტელეფონის ზარი)

ნიკა — გისმენთ... მარინე, ახლა არ გადამრიო, იმდენჯერ მათქმე-
ვინე, მშეიძობა არის მეთქი, სანამ ომი არ დაიწყო, კარგად ვარ, კარ-
გად, შენ თუ არ გამხდი ძალით ცუდად! (თიშავს მობილს და ბარზე
მდგომ ტელეფონის ყურმილსაც გადადებს)

გვანცა — (ჩუმად. ხათუნას) ხათუნ, ბიჭებმა შენი ლირსება დაიც-
ვეს... რაც შეეხება კავალრებს, ხვალ მთელი თბილისი რომ გაიგებს,
რა კაცებმა გამოილეს შენთვის ხელი, შენი აქციები ცაში ავარდება!

ხათუნა — (ყურებს ცეკვიტავს) მართალი ხარ, იცი?!

გვანცა — (ლიმილით) სარკეში ჩამახედებ? ჩემი სახლში დამრჩა!

ხათუნა — (გამოცოცხლებული) სარკეში კი არა, თუ გინდა სულ-
ში ჩაგახედებ!

გუგა — ხათუნ, ვითომ პოდიუმზე ხარ და ჩევნთვის პატარა დეფი-
ლე გამართე! მე ხომ შეგისრულე წიგნზე!

ხათუნა — (თმებს ისწორებს) ვაიმე, არ ვიცი...

გუგა — იცი, იცი! (გოგოები გადიან)

ნიკა — (ნატენ ხელს ისრესს) ქვის ყბები ჰქონდა იმ შობელ-
ძალლს? ახლა მაინც მომიყევი, როგორ გაიტეხე თავი! თან გადაგიხ-
ვი!

გუგა — (იმანჭება ტეკილისგან) ტიქემესში ვიყავი, გამოფენაზე
და ერთი კოხტა გოგონა გამაცნეს. აღმოჩნდა, რომ ლექსებს წერს და
ფემინისტური მოძრაობის ლიდერია საქართველოში... ფრთხილად
რა...

ნიკა — ბოდიში... მერე...

გუგა — წეიმა ნამოვიდა, მას კი ზონტი ჰქონდა... პოდა, შევეყუ-
შეთ ორივე... ჩემს სახლთან რომ მივედით... მომიერდე რა.. ვანიჩკა
გახსოვს, ჩემი მეზობელი?

ნიკა — აბა, ვანიჩკა?!

გუგა — ძეველი პრაშლიაკი! ნაკოლეა ჰქონდა ასეთი: „ფეხები დამ-
ბანე, ცელქო!“ მოკლედ, მაგ ვანიჩკამ თავის სარდაფუში ღამის კლუბი
გახსნა და ვიფიქრე, იქ ჩავიყვან ჩემს პასიას-მეთქი, მაგრამ ბატონშა
ვანიჩკამ ამიხსნა, დღეს უშიშროების ბიჭები ქეიფობენ და არ ლირს
შენი ჩასელაო. მე ვუთხარი, მეგონა კოტტონ-კლუბი გქონდა, შენ კი
ძერუინსეის კლუბი გაგიხსნია-მეთქი!

ნიკა — (იცინის) რა გიპასუხა, ატრიცალოვეეს ბერმუხამ?

გუგა — დაიმორცხვა ცოტა. ბოლოს სახლში მივიყვანე ის პოე-

ტესასა. ანუეი და ბავშვები სიდედრთან ათევდნენ ღამეს...

ნიკა — თავზე დაგადგა?

გუგა — მოთმინება, თავადო! აერთ მისმინე... იმ ჩემი ცუჭვეოთება საესე სუფრაჟისტები ჯერ ლექსი დატექა, ხოლო შემდეგ დასძინა: მე მარტო კალამში კი არა, კარატეშიც უბადლო ვარო, რამდენიმე კატა გააქეთა და ტორმერს, კარადას და თაროებს სულ დედა უტირა. და-ლენა ყველაფერი! თან რალაც გამყიდვან კლიჩს დასძახოდა!

შლაპიანი ბიჭი — ამას ჰქვია, Предварительные любовные игры!

გუგა — და ამ დროს შემოდის ანუეი! ვიღაც იდიოტმა ხრუსტალის საფერფლე გვაჩუქეა შარშან... დანარჩენი იცი! ჩემი ბელურა ნინა ინ-კარნაციაში ნაღდად ბადროსმტყორცნელი იქნებოდა... ნე ვამახა ისე დამაშხვილა ნარძში, რომ, ბომ!

ნიკა — ჰოეტესასა?

გუგა — იძუსტრა და ფანჯრიდან გადახტა... მაინც ბელეტაჟია, ბომ!

შლაპიანი ბიჭი — აფსუს დროებავ, ნინათ მგოსნები მინიმუმ მე-ოთხე სართულიდან ხტებოდნენ!

ნიკა — ცოლმა ლოგინმიც რომ შევისწროს ქალთან, მაინც არა უნდა იძახო, ძვირფასო, ეს ჟაველაფერი მტკნარი სიცრუეა! (სიცი-ლით შემოდიან გვანცა და ხათუნა. ხათუნას მცირე ცვლილებები შე-უტანია თავის სამოსში და მზადაა „დეფილესთვის“).

ნიკა — (მობილს რთავს) ანუეი, გამარჯობა, ნიკა ვარ!.. მგოსანი ჩემთან არის, აქ გაათია ღამე! ანუეი, დამიჯერე, შენს მიერ შერისხუ-ლი გუგა-უმნიკვლეობა შენს ნინაშე!

შლაპიანი ბიჭი — როგორ უხდება გუგას სიტყვა — უმნიკვლო!

ნიკა — ხომ იცი, არ მოგატყუებ, მერნმუნე, შენ ხომ ჭევიანი გოგო ხარ?! აბა, გეოცნი!

გუგა — (დაძაბული) არა თქვა, ჭეუა რომ მქონოდა, მაგაზე არ გავთხოვდებოდიო?

ნიკა — თქვა!

გუგა — ესე იგი შემირიგდა, ბომ!

ნიკა — აბა, ხათუნ, პოდიუმი გეძახის! (თიშავს მობილს)

ხათუნა — (მეფური უესტით) გვანცა დააჭირე პლაუს... უი, ბოდი-ში, ფლეიის! (გვანცა მაგნიტოფონს რთავს. ხათუნა წელში გაიზნიერა და მუსიკას ააყოლებს ტანს)

ნიკა — რა არის ეს? რომაელი ლეგიონერივით რომ დააბოტებ?! აბა, მსუბუქად, მოსწყდი ამ ცოდვილ მინას... კარგია, მშვენიერია... ასე... ნარნარად, უფრო ნარნარად... ბატონებო, გაარონინეთ ეს ბალა-ნა პოდიუმზე და ახალი ტროას ომი დაინტება... გაცურე, ხათუნა, ძირს არ დაიხედო... შენ მალლა ხარ, დაბლა შენით დარეხვილი მამაკაცები ირევიან, შენ ვერ ამჩნევ მათ... მზისკენ მიცურავ, ლამაზო გედო, შენ

არავისოთვის გცალია... იარე ხათუნ... შენ საოცარი ხარ, იდუმალი და
მიუწედომელი! შენ შენი ოცნებისკენ მიაბიჯები! შენ იქ გელია! წერილი
(ხათუნა უცებ შეჩერდება, ხელებს სახეზე აიფარებს და ქვითინი
ნასკდება)

ნიკა — (მკლავებს შლის) ისევ ლნავის!

გვანცა — (ლიმილით) არაუშავს, ეს კარგი ცრემლებია!

(სცენის აქტით მხარე ბნელდება და ყველა ბინდში მოექცევა. ბინ-
დიდან ნიკა გამოდის, ხელში სანთელი უჭირავს)

ნიკა — (შლაპინ ბიჭს) აღარ დარეკა ფიდომ, ესე იგი ვერაა საქმე
კარგად... ეს სანთელი დღეს ეკლესიიდან ნამოვიღე! (ბარის კიდეზე
აწებებს სანთელს და ანთებს) მაშ ასე, ჩემო მეგობარო! ძალიან მომე-
ნატრე!

შლაპიანი ბიჭი — ჩვენც! ნუ შეეცდები გამოცნობას, ვინ უფრო
მეტია ჩემში, ან ვინ გელაპარაკება ამ ნუთას! ნურც სახელს დამიძა-
ხებ!

ნიკა — რატომ?

შლაპიანი ბიჭი — სხვებს ენყინებათ... ჩვენ ხომ შენს ნარმოსახ-
ვაში ვართ! და საერთოდ, ეს ხომ სპირიტიშმის სეანსი არ არის!

ნიკა — (თვალებზე მოისვამს ხელს) სახეები, სახეები, ამდენი საყ-
ვარელი სახის კალეიდოსკოპი... ირინკა, გია, თქვენ ერთად ხართ?

შლაპიანი ბიჭი — რასაკვირველია, ერთად! ოლონდ სახელების
გარეშე!

ნიკა — აი, შენი სახელი კი არ მახსოვს, ჩემზე ერთი კლასით ნინ
სწავლობდი... მერე მითხრეს, აფხაზეთში დაიღუპაო!

შლაპიანი ბიჭი — ჰო, ტამიშთან! რატომ ვერ მიტანდი ბავშვობა-
ში?

ნიკა — იმიტომ რომ — დამცინავი და ცინიკოსი მეგონე!

შლაპიანი ბიჭი — ჰო, მე ვგრძნობდი შენს აგრესიას... მერე რაღა-
ტომ დათბი?

ნიკა — ღამის სამ საათზე ჭავჭავაძით ვეშვებოდი რუსთაველზე.
ჩემს ნინ შენ მიაბიჯებდი და ვერ მხედავდი. ქუჩაც ცარიელი იყო...
უცებ დაიხარე, რაღაც აიღო მინიდან, სახესთან მიიტანე და ფანჯრის
რაფაზე შემოდე... იმ ადგილს რომ გავუსწორდი, დავინახე, რომ ეს
გამხმარი, ობმოკიდებული პური იყო...

შლაპიანი ბიჭი — ყოველთვის სენტიმენტალური იყავი!

ნიკა — მაშ ტამიშთან?

შლაპიანი ბიჭი — ჰო, აფხაზეთში!

ნიკა — სახეები, ამდენი საყვარელი სახე... ბიძინ, ბიძინ!

შლაპიანი ბიჭი — ხომ გოხოვე?

ნიკა — სულ ბოლოს მე გიკითხავდი ფსალმუნებს, მეუფემ დამა-
ვალა... გესმოდა ჩემი?



შლაპიანი ბიჭი — მესმოდა!

ნიკა — უეცრად თვალი გაახილე და თქვი: თოვლი იყო თოვლი იყო თეთრი... მგონი ტოლსტოის ფრაზაა, მაგრამ ჩემთვის შენს წატევა-
მად დარჩა... ჩვენი სიყმანვილის ქათქათა თოვლი, ახლა ნაშარდალი
და ტალახვამჯდარი.

შლაპიანი ბიჭი — (ბარიდან ჩამოხტება, შლაპას მოიხდის და ნი-
კას ახურავს, შემდეგ თავის თეთრ კაშნეს შემოახვევს ეისერზე) გიხ-
დება!

ნიკა — რა, უკვე დროა? ცოტა მეშინია, ბიჭო! უფრო ვაჟკაცი მე-
გონა ჩემი თავი, მამაჩემივით ვაჟკაცი!

შლაპიანი ბიჭი — მერე და ვინ გითხრა, რომ არ მეშინოდა?!

ნიკა — (ხელს ინვდის ნინ) მამა... დედა!.. (პაუზის შემდეგ) არა,
ისევ ბიძინა ხარ! მაშ, დანარჩენი იქ გავარჩიოთ, სადაც თოვლი ყო-
ველთვის თოვლის ფერია? ერთი წამით დამელოდე! (შედის მიმქრალ
ბინდში, გვანკას) მაპატიეთ, ჩვენ დროში და სივრცეში აუცილო ერთ-
მანეთს! (გოგონა ულონოდ ჩაქინდრავს თავს)

ხათუნა — (გუგას) რა გემართებათ?

გუგა — მე ვტირი, ბომ!

ნიკა — (შლაპიან ბიჭთან ბრუნდება) წავიდეთ, ძმაო! (უეცრად
აფეთქებასავით ინთება სინათლე, კვლავ ქარი შემოანგრევს კარს და
პაბში სმოკინგში გამონყობილი აფრასიონი შემოდის. მოხუცი ჯონის
ენერგიული ხმარებით მიღის ნიკასთან, მელავში ჰეიდებს ხელს და
მაგიდასთან მიჸყავს)

აფრასიონი — გახსენით კეისი! ასე! ახლა თქვენი რენტგენის ფო-
ტოგრაფი მომეცით! სანამ თქვენი ძმაკაცი ფილმ ხალათგაუზდელი მოქ-
რის აქეთ, მინდა აგიხსნათ ერთი ნიუასი მედიცინაში. ექმები ამას
ფიტობუსუარს უნიდებენ. თქვენ ამასწინათ ჭამეთ ხურმა?

ნიკა — (გაოგნებული) ხურმა? მგონი კი...

აფრასიონი — ნუ გაამტუნებთ ფილმს, ბევრ გამოცდილ ექიმს
მოსდის ეს შეცდომა... ეს ხურმის კურკაა და არა სიმსიცნე... ხანდახან
რენტგენზე ცუდ ეფექტს იძლევა ხოლმე... ამას ჰქვია ფიტობუსუა-
რი... ისე ძეველი გამოთქმაც არსებობს...

ნიკა — ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო!

აფრასიონი — დიახ, დიახ, ვირმა რა იცის... არ გენყინოთ! მომა-
ვალში ეს რენტგენის ფოტოგრაფი კაბინეტში გააკარით და ხშირზეირად
შეხედეთ ხოლმე... თქვენ ალგებრაული ნყობის ტვინი გაქვთ და მიხვ-
დებით, რასაც გეუბნებით! ტელეფონი კი ჩართეთ!

ნიკა — (თვალებზე მოისვამს ხელს) რა თავბრუდამხვევი ყოფილა
სიცოცხლე?

(აფრასიონი შლაპიან ბიჭთან მიღის. ის ბარიდან ჩამოხტება)

აფრასიონი — კინალამ გამომიცნო კოურიანი ხელებით... მენავე

ხომ არა ხარო!

შლაპიანი ბიჭი — (ლიმილით) ნიკანდროს მახვილი თვალიაქვეცელი

აფრასიონი — რას იზამ, მოხუცი აფერისტის მოგონებად და გერიატრია
ჩები მის თვის... თუმცა, ხომ არ გავაგრძელო ეს როლი და ოცნებაც
ავესრულო! უჭირს ქვეყანას! მიდი, გამოართვი შენი კაშნე და შლაპა!

(ბიჭი მიდის გაშეშებულ ნიკასთან, ქუდს და კაშნეს მოხსნის, თმა-
ზე გადაუსვამს ხელს)

შლაპიანი ბიჭი — კიდევ ბევრი დაგრჩა საბაზუნო ამ ცოდვილ მი-
ნაზე, ნიკანდრო! (ბრუნდება მოხუცთან) ახლა?

აფრასიონი — ახლა ახტი შენს ქანდარაზე!

შლაპიანი ბიჭი — ნიკამ რა ჰქინას? *ლიკ*

აფრასიონი — ნიკამ? ნიკამ იცეკვოს!

ნიკა — ხათუნ, დააჭირე ხელი პლაუს!

ხათუნა — ფლეის, ბატონო ნიკა, ფლეის!

(როკენროლის მძაფრი რიტმი შემოიქრება სცენაზე. ნიკა გოგო-
ებს დააბზრიალებს, გუგა მარტო ცეკვავს)

გუგა — მგონი ვიბრაციაში გავარტყი, ბომ!

(შლაპიანი ტაშს ააყოლებს რიტმს, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი
ჩერჩილის ქანდაკების პოზაში დგას და მოცეკვავებს უბურებს. ხო-
ლო ნიკას სანთელი იწვის და ჯერ ჩაქრობას არ აპირებს).

დასასრული

ବ୍ୟାକିଳା
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

